ალექსანდრე ჭყონიას

# ისტორიული ნარკვევი

ანუ

## ქრისტომატია

## საქართველოს ისტორიისათვის

უძველეს დროიდამ ბაგრატიონთ გამეფებამდე

თK 9143/2

ტფილისი

1890

фундаментальная библиотека

Дозв. Ценз. Тифлисъ, 29 Декабря 1889 г.

Типо-литографія К. I. Месхіева и С. А. Полетаева.

# წინა-სიტყვაობა

ჩვენს საზოგადოებაში არ არის გავრცელებული ცოდნა სამშობლო ქვეყნისა, ენისა, მწერლობისა და მეტადრე ისტორიისა. ჩვენს დროში განათლებული ქართველი ადვილად მოგითხრობსთ დაწვრილებით რომელსამე მცირე მნიშვნელობის ცნობებს უცხო ერთა ისტორიიდამ და იმავე დროს რომ ჰკითხოთ, როდის მიიღო საქართველომ ქრისტეს სარწმუნოება და ან როდის მოღვაწეობდნენ ვახტანგ გორგასალნი, ან დავით აღმაშენებელი, ვერას გეტყვისთ. სამწუხარო ის არის, რომ ასეთი არ ცოდნა სამშობლოსი განათლებულს ქართველს არც-კი ეთაკილება, რადგან ეს ნაკლი საყოველთაოა.

საზოგადოებაში სამშობლო ისტორიის ცოდნის გასავრცელებლად ერთ უმთავრეს საშუალებად უნდა ჩაითვალოს ისტორიულ თხზულებათა და სახელმძღვანელოთა გამრავლება. რასაკვირველია, ერთი კაცი ამ ვრცელ ასპარეზზე ბევრს ვერ გაარიგებს და ერთი წიგნი, რაც უნდა კარგად შედგენილი იყოს, უებარ წამლად არ გამოდგება. ხოლო თვითოეულმა უნდა გააკეთოს ის, რაც მის ხელთ არის. ჩვენის მხრით განვიზრახეთ ამ წიგნში შეგვეკრიბა, რაც რამ საყურადღებო დაბეჭდილა, ან ჯერ კიდევ დაუბეჭდელია, საქართველოს ისტორიის შესახებ. ასეთი მასალა დავაწყეთ რიგზე, ისე რომ მკითხველს შეეძლოს წარმოიდგინოს, რამდენადაც შესაძლოა საქართველოს ისტორიის აწინდელ მდგომარეობის კვალობაზე, ჩვენის ერის წარსულის ცხოვრების და ნაღვაწის სურათი. ჩვენ გვგონია, რომ ეს წიგნი მცირეოდენ სარგებლობას მაინც მოუტანს ჩვენის საშუალო სასწავლებლების უფროს კლასების მოწაფეებს, სახალხო სკოლების მასწავლებლებს და აგრეთვე ყოველს ქართველს, ვისაც თვითონ შემთხვევა და შეძლება არა აქვს გადაჩხრიკოს და გადაიკითხოს, რაც რამ დაწერილა ქართულზე და უცხო ენებზე ჩვენის ისტორიის შესახებ.

ამ წიგნს; უეჭველია, აქვს ნაკლი და დიდი ნაკლიც. თვით შემადგენელი გრძნობს მის ნაკლს, რომელიც აიხსნება ჩვენის ისტორიის აწინდელ მდგომარეობით. ჩვენ მანამდი არ გვექნება სრული და ჭეშმარიტი ისტორია, ვიდრე თვით ჩვენ, ქართველები, არ შევუდგებით, ევროპულ მეცნიერებით აღჭურვილნი, შეგროვებას, განჩხრეკას და შემუშავებას იმ ძვირფას მასალებისას, რომელიც შეეხება ჩვენს შინაურ

ამიტომაც კაჰკ-აზი მიგვაჩნია კავკასიის წინა-პირვანდელ და უმართლეს ფორმად.

მწერლობის უძველესნი თქმულებანი, ჩვენს წელთა აღრიცხვამდე ათასის წლით ადრე, გვამცნევენ, რომ მაშინდელს განათლებულს ქვეყანაში ტრიალებდა ბინდ-ბუნდი აზრი შესახებ იმისა, რომ ჩრდილოეთში, საუკუნო სიბნელესა და სიცივეში, ცხოვრობენ ადამიანები, ბნელეთელნი—ჭამერნი, კიმმერნი, გოგი, მაგოგი.

მდიდარი, განათლებული, გარყვნილი და დესპოტობის წინაშე ქედ-მოდრეკილი დასავლეთი აზია, როგორც სასიკვდილოდ განწირული, ცახცახით გრძნობდა, რომ თურანის უცნობს უდაბნოებში და კავკასიის ჩრდილოეთით, ცივსა და ბნელს ქვეყნებში, დასეტიალებენ უამრავნი ხალხნი—გოგი და მაგოგი, რომელნიც, როცა იქნებოდა, გადმოსკეთქდენ მთებისა და უდაბნოების სიმაგრეებს, მოედებოდენ სამხრეთს და ყველაფერს წალეკავდენ, მაგრამ არც ერთს ზღუდეს, ქვეყნის ორის ნაწილის განმსაზღვრელს, არ შეჰყურებდა დასავლეთი აზია ისეთის შეშფოთებით და განუწყვეტელის შიშით, როგორც კავკასიის ყელს. ყოვლად მდიდარი და მრავალგვარი ბუნება კავკასიისა, ცხადია, ძლიერ იმოქმედებდა აზიელებზე, რომელნიც შეჩვეულნი იყვნენ ერთ-ფერსა და ერთ-გვაროვან ვრცელს მიწა-წყალს. ცეცხლ-მფრქვეველ მთებსა და მთების მწვერვალებზე უდაბურ ტბებსა, განუქრობელ ცეცხლთა, აყვავებულ ველთა, თოვლ-ყინულსა და ამწვანებულ მცენარეობასა, კამკამ წყაროთა და მიწაში ჩაფლულ ძვირფას ლითონთა, ყოველსავე ამას ფანტასტიურის საზღაპრო შარავანდედით უნდა მოეფინა კავკასია. კიდევ უფრო საიდუმლო სახით უნდა წარმოსდგენოდათ კავკასია, ზღვიდამ ზღვამდე რამდენსამე წყობად უხარ-მახარ კედლებით გადაჭიმული; კავკასია, მის უდაბურ და ბნელ ხევებით, მოღრიალე გიჟ-მაჟ ნაკადულებით, ქართა კვნესით და ზვავთა გრიალით მოშიშარ აზიელებს მიაჩნდათ მძვინვარე კვნესად ავის სულების, ჯინების და დევების, რომელნიც, მათის აზრით, არ შეუშვებდენ ადამიანს თავის საიდუმლო სავანეში. ცამდე მიბჯენილ და მუდმივ თოვლით მოსილ კავკასიის მწვერვალებზე სახლდებოდა დასავლეთ აზიის ცხოვრების

შფოთი. კავკასიის გადაბიჯება ვერ გაბედეს ძველ დროთა ქვეყნის მპყრობლებმა, რომელნიც ოცნებობდენ მსოფლიოს დამონებას: კიროსი გაემართა ჩრდილოეთისაკენ თურანით, დარიოსი — ბოსფორით. მაგრამ, როგორც ზეციური მოვლენანი და ფიზიკური ვაებანი: მიწის ძვრა, გალია ანუ ჟამი, რომელთაც წინ და წინ ვერ გაიგებს კაცი, — ისე კავკასიას არა ერთ-გზის შესევიან აზიის უამრავნი უცნაურნი ხალხნი, გოგი და მაგოგი, რომელთაც იწვევდა უფალი წინასწარ-მეტყველის ღაღადით: „და აღმოხვიდე ვითარცა წვიმაჲ და მოიწიო ვითარცა ღრუბელი დაფარვად ქვეყანისა“ (ეზეკიელ XXXVIII, 9). და ეს ცის რისხვა, რომელიც ელვინებოდა კავკასიიდამ ჩრდილოეთით, მძვინვარებდა აზიაში იმ დრომდე, ვიდრე არ გადივლიდა ღვთის წყრომა; მაშინ-კი გოგი და მაგოგი დაიღუპებოდენ მათგანვე აოხრებულ ქვეყნებში: „დავსაჯო იგი სიკვდილითა და სისხლითა და წვიმითა რღვნისაჲთა და სეტყვისათა, და ცეცხლი და წუნწუბი ვაწვიმო მას ზედა.“ (ეზეკიელ XXXVIII, 22.)

ამ გოგისა და მაგოგის შიშით ლოდინმა ღრმად გაიდგა ფესვი აზიაში. იოანეს გამოცხადებაში წინასწარმეტყველობაა: „განიხსნას ეშმაკი საპყრობილისაგან თვისისა და გამოვიდეს ცთუნებად წარმართთა, რომელთა არიან ოთხთა კიდეთა ქვეყანისათა, გოგს და მაგოგს, შემოკრებად მათდა ბრძოლად, რომელთა სიმრავლე ვითარცა ქვიშა ზღვისა (XX, 78).

ეს გადმოცემა დაცულია ალ-ყურანშიაც, სადაც მოჰამედი წინასწარმეტყველობს, რომ ქვეყნის დასასრულის დროს გაიღებიან კარნი იაჯუჯებისა და მაჯუჯებისათვის, რომელნიც მაშინ მთებიდგან გადმოეშვებიანო.

საუკუნეთა განმავლობაში ამ გვარმა მოლოდინმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მისცა კავკასიას დასავლეთ აზიის მცხოვრებთა შორის: თუმცა ძლიერ ძნელი გადასავალია ის ზღუდე, რომელიც ბუნებისაგანვე აგებულა შავის-ზღვიდამ კასპისამდე, მაინც ვერ შეაკავა მან გოგი და მაგოგი. კავკასიის სამხრეთით მცხოვრებნი ხალხნი ყოველთვის ცდილობდენ გაემაგრებინათ ეს ბუნებრივი ზღუდე

ხელით აგებულის სიმაგრეებით. ამ სიმაგრეთა დასაწყისი უძველეს დროთა მითიურს სივრცეში იკარგება: კავკასიის კედლის პირველად დაწყებას მიაწერენ მეფეს ზიულქარნეინ-ორრქოსანს, ნოეს მახლობელ შთამომავალს; ქართული ქრონიკა-კი მიაწერს არდამს, მოადგილეს ირანის მეფის აფრიდონისას, რომელიც იყო ფიშდადების მითიურის გვარისა. გარდა ამისა ამ დიდს სიმაგრეების აგებას მიაწერენ აგრეთვე აზიის სხვა შემდეგს სახელ განთქმულ მეფეებსაც.—ყველაფრიდამ სჩანს, რომ უძველეს დროიდამ დაწყებული მმართებლობანი და ხალხნი მუდამ იმის ცდაში იყვნენ, რომ კიდევ უფრო გაემაგრებინათ ეს ზღუდე, რომელსაც თავის თავად წინ ახვედრებდა კავკასია ჩრდილოეთს.—კავკასიის მთის გარდასავალნი ძველსა და აგრეთვე კლასიკურს დროშიაც უფრო ცნობილნი იყვნენ, ვიდრე ამ ჟამად: ისინი მიიქცევდენ ყურადღებას მთელის მაშინდელის განათლებულის ქვეყნიერობისას, რომლის მყუდროება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ იქნებოდენ ისინი დაცულნი. თუ ამ გარდასავალთა აღწერანი, რომელთაც შევხვდებით კლასიკურ ნაწერებში, გაურკვეველად გვეჩვენება, ეს უნდა მიეწეროს ძველის-კავკასიის გეოგრაფიულ სახელების არევ-დარეულობას.

ამ ნაირად მთელის დასავლეთ აზიისათვის ძველს დროში კავკასიას ჰქონდა თუმცა განსაკუთრებული, მაგრამ დიდად უაღრესი მნიშვნელობა დამცველის ზღუდესი ევროპის წინააღმდეგ. აზიის ხელმწიფეთა ყოველივე პოლიტიკური მეცადინეობა კავკასიის შესახებ იმაზე იყო მიმართული, რომ როგორმე გარდუვალ ზღუდედ გადაექციათ იგი გოგისა და მაგოგისათვის, აეგოთ სიმაგრენი, ყოველ გადასავალზე კარები გაეკეთებინათ და დაეყოლიებინათ მთიულნი, რომ მათ ამ კარებით არ შეეშვათ სამხრეთისკენ ჩრდილოეთის ბარბაროსები.—კავკასიის ჩრდილოეთით თავიანთ ბატონობის გავრცელებას კი აზიის ბრძანებელნი არასოდეს არ ფიქრობდენ, რადგან მართლადაც მათთვის ეს შეუძლებელი იყო. ეჭვი არ არის, რომ მტკვარისა და რიონის ვაკეების მკვიდროთა დიდი უმრავლესობა კავკასიის ხეობათაგან არ არის გამოსული. თვით ამ ხეობათა დასახლება, იმ ხეობათა მაინც, რომელნიც სამხრეთისკენ არიან პირ-

მიჭცეულნი, სხვა მიზეზთა გარდა, შეიძლება აიხსნას მთის გარდმოსავალთა გამაგრების მიუცილებელ საჭიროებით, და ამ გამაგრებისათვის კი უნდა გაემართათ საგანგებო სამხედრო კოლონიზაცია, რომელიც არ ეთანხმება და ხშირად ეწინააღმდეგება კიდეც ბუნებრივს დასახლებას ხალხისას. ამ გვარს კოლონიზაციებს მმართველობანი მიჰმართავენ მაშინ, როცა მათის შემწეობით სურთ აღასრულონ რაიმე განსაკუთრებული საპოლიტიკო ან სამხედრო აზრი. ამისთანა შემთხვევაში ისინი გადაასახლებენ ხოლმე ბევრს, ანუ რამდენსამე ოჯახობას, ან და რამდენსამე კაცს სახელმწიფოის ერთ-ერთ მივარდნილ კუთხიდამ, რომელსაც არა ვითარი პირ-და-პირი კავშირი არა აქვს დასასახლებელ ქვეყანასთან. გადასასახლებელნი უეცრად გადაჰყავთ ვრცელის სახელმწიფოის ერთის კუთხიდამ მეორეში; ხშირად ამ ნაირ ხალხს ამოარჩევენ ხოლმე მორჩილს ლაშქრობაში შეპყრობილთა შორის. ამ მოსაზრებით თუ შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ კავკასიის მთები დასახლებულია სხვა და სხვა ხალხთაგან, რომელთაც ხშირად არავითარი ნათესაური (ერთ-მოდგმის დამამტკიცებელი) კავშირი არა აქვთ ერთმანეთთან, მაგრამ შესაძლებელი-კია, რომ სადმე შორს ჰყავდესთ მონათესავენი, რომელთა ხსოვნაც კი აღარა აქვთ ამ ჟამად.—

სრულიად სხვა ნაირი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა კავკასიას ძველს დროში გოგისა და მაგოგისათვის, სკვითებისათვის, სარმატებისათვის, ერთის სიტყვით, იმ უცნობ ხალხთათვის, რომელნიც დასეტიალობდნენ ტრიალ მინდვრებში შავის მთებისა, ყუბანისა და თერგის ჩრდილოეთად, აზოვისა და კასპის ზღვათა, დონისა და ვოლგას მდინარეთა შორის. ჰეროდოტე მოგვითხრობს, რომ ყველა ცნობილ ხალხთა შორის მარტო სკვითებმა მიაკვლიეს ამისთანა უმარჯვესი საშუალება, რომ თავს-დამსხმურნი მტერნი ვერც მოეწეოდნენ და ვერც გაეპარებოდნენ. სკვითებს არა აქვთ არც ქალაქნი და არც სიმაგრენი; თავიანთი სახლები თან დააქვთ; ცხენებზე სხდან და მარჯვედ ხმარობენ ისარს; ცხოვრობენ ჯოგების მოშენებით და არა ხვნა-თესვით, და თავ შესაფარად ურმების მეტი არა აქვთ-რა. როგორ არ იქნებოდნენ უძლეველნი ამისთანა ხალხნი და ვინ დაეწე-

ოდა მათ საბრძოლველად? იმ შემთხვევისათვის, თუ თავს-დაესხმოდენ კავკასიის სამხრეთად მყოფნი ბრწყინვალე მეფეთა ჯარნი, დაცვის ნუგეშად ნაგულები ჰქონდათ ჩრდილოეთის უსაზღვრო უდაბნოები, და არა კავკასიის კლდე-ღრენი. თერგისა და ყუბანის გაღმა იწყებოდა ტყიანი ქვეყანა, რომელშიაც არ შეიძლებოდა იურტებით და ურმებით სეტიალი. რითი უნდა მიეზიდნა კავკასიას ეს ბარის ხალხნი? რას მისცემდა ეს ქვეყანა იმის სამაგიეროს, რომ სრულად უნდა შეეცვალათ თავიანთი ყოფა-ცხოვრება, თუ-კინიცობაა შიგ კავკასიაში ფეხს მოიკიდებდენ? მისცემდა მხოლოდ საშუალებას რომ მთების ბუნაგებიდამ, როგორც მიუდგომელ თავ-შესაფარიდამ, ეწიოკებინათ, როცა-კი მოისურვებდენ, დასავლეთი აზია. მაგრამ ამ გვარი შესევა ბარბაროსთა თითქმის ყოველთვის მოკლებულია საპოლიტიკო მოსაზრებას, დალაგებულსა და ხანგრძლივს მომზადებულებას. ამ გვარ დიდ საქმეთათვის აუცილებლად საჭიროა ძალთა შეერთება, და ეს კი ერთმანეთში მოკინწლავე ეულ ტომთა შორის მოსდება უეცრად და მაშინაც ძალიან მოკლე ხანს გასტანს ხოლმე.

---

## II კავკასიის ტომნი და მათი დასახლება

*(П. К. Усларъ—Древнѣйшія сказанія о Кавказѣ)*

ზემოდ ჩვენ განვმარტეთ, რაოდენად დაუჯერებელია, რომ ვითომ კავკასიის ყელი გზა იყო, რომელზედაც მიდიოდა ხალხი ძველად, ისტორიის წინა დროს, როცა კაცობრიობა გაიფანტა ქვეყნიერობის დასასახლებლად და რომ ვითომ გზაში დარჩენილნი ტომნი დასახლდენ კავკასიის მთა-ღელეებში და ვითომ აქედამ წარმოსდგა მრავალ-გვარობა დღევანდელ კავკასიის მკვიდრთა. რა კი დავრწმუნდით, რომ კავკასიის ქედი ხალხთა წინა-პირვანდელ გადასახლებისათვის წარმოადგენდა ისეთსავე დამაბრკოლებელ ზღუდეს, როგორც ზღვები და ზღვის სრუტენი, ადვილი ასახსნელია ის მი-

ზაეჩები, რომელთა გამო უძველეს დროიდამვე მჭიდროდ დასახლებულ იქმნა კავკასიის ჩრდილოეთ დაღმართის მწირი ხეობანი. საფიქრებელია, რომ ევროპის ხალხნი დიდის ხნის განმავლობაში ნელ-ნელა ვრცელდებოდენ ჩრდილო-დასავლეთისკენ, საითკენაც არა ვითარი ბუნებითი ზღუდე ატლანტიკის ნაპირებამდე არ შეხვდებოდათ. სამხრეთის კონცხოზე კი ეს გადასახლება მალე უნდა შეჩერებულიყო, და შესაძლებელია, რომ სწორედ იმ დროს შეჩერებულიყოს, როცა დასავლეთი ევროპა ჯერ კიდევ უდაბური იყო, ანუ იყო დასახლებული ისტორიის წინა დროინდელ ტომებით, რომელნიც ამოწყდენ შემდეგს ხანებში.

კავკასიის ყელის ჩრდილოეთი ნაწილი ამ გვარსავე კონცხს შეადგენს ევროპის ხმელეთისას, და ხალხთა გადასახლებისათვის შეიძლება ჩაითვალოს იმნაირსავე ნახევარ-კუნძულად, როგორიც მაგ. თავრიდის, ბალკანის, აპენინის და პირინეის ნახევარ-კუნძულებია. წარმოვიდგინოთ, რომ უძველეს დროში ცხოვრობდა რომელიმე მომთაბარე ტომი დონის მარცხენა ნაპირიდამ ყუბანის მარჯვენა ნაპირამდე გაჭიმულ ვაკეზე; თუმცა ამ მხარეს სივრცე დიდი აქვს, მაგრამ ადგილ-მდებარეობის ვითარება ერთი და იგივეა, ასე რომ ზნე-ჩვეულება და ენა მთელს ამ სივრცეზე ერთი და იგივე ექნებოდათ, მაგრამ აღმოსავლეთიდამ ახალ-მოსულების პირველისვე მოსევით ეს ხალხი ორად გაიყოფებოდა და ერთი ნაწილი საუკუნოდ მოწყდებოდა მეორეს იმ მიდამოებში, სადაც მდინარე დონი აზოვის ზღვას შეერთვის. დონის სანაპიროებზე მცხოვრებს ხალხს შეეძლებოდა შეუცვლელად დაეცვა ეროვნული თავისებურობა და თავისუფლად წაწეულიყო დასავლეთისკენ; ყუბანის მიდამოებში მცხოვრებს ხალხს კი შეეძლო ყუბანში გამოსულიყო, იქიდამ—ტყეებში და ტყეებიდამ მთის ხეობებში შეხიზნულიყო, გადაელახა კავკასიის ქედი, და ბოლოს, შავის ზღვის ნაპირზე ანუ უნდა გაწყვეტილიყო ან და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა არსებობის დასაცველად.—

კავკასიის ყელის ჩრდილოეთის მხარეზე ამისთანა შემთხვევანი უნდა განმეორებულიყო ევროპაში ხალხთა ყოველსავე ახალ შე-

სევის დროს.—იმ დროს, როცა ისტორიის ნათელი აბნევს ევროპის ჩრდილოეთზე მოცულს წყვდიადს, ვხედავთ არიელთა სამს ტომსა: კელტებისას, გერმანელებისას და სლავიანებისას, მწყობრად დასახლებულს დასავლეთიდამ აღმოსავლეთამდე. მათი გეოგრაფიული მდგომარეობის თანდათანობა ცხადად გვიჩვენებს აზიიდამ მათის გამოსვლის ქრონოლოგიურს თანდათანობას ე. ი. ჯერ კელტები გამოსულან და ბოლოს—სლავიანები.

კავკასიის თავდაპირველ დასახლებას კი ვერ ვატყობთ ვერც ქრონოლოგიურს და ვერც გეოგრაფიულს თანდათანობას: წარმომადგენელნი ისტორიის წინა დროინდელ ტომთა, ნათესავნი ანუ უცხონი ბასკთა, ეტრუსკელთა, ილლირიელთა და სხვათა, აგრეთვე ისტორიულნი კელტები, გერმანელები და სლავიანები იქნება არეულ-დარეულად ცხოვრობენ. ამის მიზეზი კავკასიის ბუნების ვითარებაა: კავკასია ორის უკუნითულო ზღვით შემოზღუდულია და ირიბად გადაღობილია გადაუვალის ქედით. ზოგიერთს ადგილას, საუკუნეთა განმავლობაში ურთიერთობის გამო, ეს აჭრელებული ნაწილები დაემორჩილნენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქიმიურ შეკავშირების კანონს და გარდაიქმნენ რამდენსამე ცალ-ცალკე შეკავშირებულ ჯგუფად და თვითოეული ჯგუფი წარმოადგენს, ცოტად თუ ბევრად, ერთს გვარს ხალხს. კავკასიის ყრუ ადგილებში, სადაც ადგილ-მდებარეობის სხვა და სხვანაირობა იქამდის მიაწევს, რომ მრავალ ადგილს გვერდით საზღვრადვე უდევს სულ სხვა სახის ადგილ-მიდამო,—დღემდისაც არ მოსრულებულა სხვა და სხვა გვარი ეთნიურ ნაშთთა შეკავშირება: თემები, სოფლები და გვარებიც ენით, გარეგანის შეხედულებით და ზნე ჩვეულებით ისე ძლიერად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ კაცი იფიქრებს ქვეყნიერობის სხვა და სხვა კუთხიდამ გამოსულნი მკვიდრნი მხოლოდ ეხლა შეხვედრიანო ერთმანეთს კავკასიაში, ის-კი არა თუ ათას წლობით ცხოვრობენ ერთმანეთის მეზობლად! საეჭვო და სადავოდ საძიებელს საგნებს რომ თავი დავანებოთ და ყურადღება მივაპყრათ მხოლოდ იმას, რაც დღეს დაბეჯითებით ვიცით კავკასიის მკვიდრთა შესახებ, ჩვენ უნდა დავჯერდეთ იმას, რაც თუმცა ბეჯითად გვაქვს ცნობილი, მაგრამ საერთო დასაბუთე-

ბუნდად მაინც ვერ ჩავთვლით. მთელის კავკასიის მკვიდრნი ანთროპოლოგიურად ეკუთვნიან ერთს მოდგმას, რომელსაც უწოდებენ კავკასიის მოდგმას.—კავკასიაში არიან უწმინდესნი და უმშვენიერესნი წარმომადგენელნი ამ მოდგმისანი; ამასთანავე იქვე შეხვდებით ამ მოდგმის ყოველ-გვარს ცვლილებათა წარმომადგენლებს. ლეკები, ქართველები, სომხები, ადიღეები (ჩერქეზნი), ოსები და ნახჩები (ჩაჩანნი), თუმცა ანთროპოლოგიურად ერთსა და იმავე კავკასიის მოდგმას ეკუთვნიან, მაგრამ მათს შორის არა ნაკლები განსხვავებაა, ვიდრე სკანდინავთა, ებრაელთა, გერმანელთა და ლათინთა შორის. მარტო ადგილ-მდებარეობის და ცხოვრების სხვა და სხვა ნაირობით ძნელი ასახსნელია ის განსხვავება, რომელიც არის კავკასიის სხვა და სხვა ნათესავთა შორის. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ისინი ეკუთვნიან ერთსა და იმავე მოდგმას და, საოცარს განსხვავებასთანავე, რომლის მსგავსს ვერ შეხვდებით ვერსად დედამიწაზე, ნამდვილი ერთობაც აქვთ. სწორედ ამ გარემოებამ, თუმცა ბუნდად წარმოდგენილმა, დაარქმევინებინა ბლუმენბახს მთელის მოდგმისათვის—კავკასიის მოდგმა. უნდა ვიცოდეთ კი, რომ ეს სახელ-წოდება კიდევ იმას არ ნიშნავს, ვითომ კავკასიიდამ, როგორც ნოეს კიდობნიდამ, გამოსულიყვნენ ყველა სხვა და სხვა გვარნი წარმომადგენელნი ამ მოდგმისანი.

ანთროპოლოგიური ერთობა კიდევ არ ნიშნავს შთამომავლობის ერთობას, რომელიც გამოირკვევა ხოლმე უფრო ენათა მსგავსებით. თუმცა მცირედ გამოკვლეულია ჯერ-ჯერობით კავკასიის მკვიდრთა მრავალი ენები, მაგრამ რაც ვიცით, იქიდგანაც შესაძლოა დავასკვნათ, რომ ეს ენები ერთსა და იმავე ძირს არ ეკუთვნიან. „კავკასიის ენათა ჯგუფი“—ხმარობენ ზოგიერთები შედარებითს ფილოლოგიაში, მაგრამ, ჩვენის აზრით, ამ სახელ-წოდებას არა ვითარი საფუძველი არა აქვს.

კავკასიის მთიან ადგილების ფიზიკურს თვისებათაგან არის დამოკიდებული ის დიდი მრავალ-გვარობა და დიდივე განცალკევება, რომელთა გამოც ყოველსავე ეთნიკურს თვისებას განსაზღვრული აქვს თავისი წრე მოქმედებისა და სრულიად არ ემსგავსება მეზობელთა მოქმედებას, ყოველივე ამისთანა ეთნიკურ თვითებს სრულიერი და ქონებ-

რივი ძალა იმდენად სუსტია, რომ ვერთა ჰკვეცება გარეშე მოღვაწეობისათვის; უკიდურესი ცალ-კერძოობა პირდაპირი შედეგია ამისთანა განცალკევებისა და განმარტოვებისა. კავკასიის მცხოვრებლები არ წარმოადგენენ ჩრდილისა და ნათლის ნელ-ნელ ციმციმსა. ისინი შეჰკრებიან უფრო აჭრელებულ მოზაიკას, შედგენილს იმდენადვე სხვა და სხვა ნაირის ლია ფერადებისაგან, რამდენადაც მრავალ ნაირია თვით კავკასიის ბუნება. მუდმივის თოვლის უმტვერო სითეთრეს გვერდით მოჩანს სიშავე თავდაღმართის ფიქალისა, რომელსაც აქა-იქ აჭრელებს ყვითელის სავსის ნამზვლევი; ამათ ქვემოდ იწყება მუქი სიმწვანე შეუვალ ტყეთა; კიდევ უფრო ქვემოდ-ოქროსფერი ყანები-ვენახებითურთ, ბაღებითა და ცის ფერ აულებით, რომელთაც კოსტად ჩაურბიან ქვებიდამ ქვებზე მზეზედ მოთინათინე და ხევებში ჩამქუხნი ნაკადულები...

კავკასია მიღებით ყველას განურჩევლად იღებდა, მაგრამ რაკი ერთხელ მიიღებდა, მერმე კი აღარავის გაუშვებდა; თუმცა დარდი არა ჰქონდა იმის წარსულისა, ვინც ასლად დაბინადრდებოდა, მაგრამ მისს მომავალს კი ერთხელ და სამუდამოდ უცვალებელის ფორმით გაჭედდა ხოლმე. კავკასიის ჩრდილოეთით და სამხრეთით არა სცხრებოდა ღელვა ცხოვრების ორის ზღვა-ოკეანესი, რომელთაც მოსვენებას არ აძლევდა ორის დიდის მორევის მეზობლობა: თურანის ვაკისა და სომხითის ვაკე-გორისა. — ვნების უცნობელ, უტყვ და უძრავ მოსაზღვრე დარაჯად იდგა კავკასია ორს ზღვა-ოკეანეთა შორის.

## III. უძველეს უცხო-ტომთა კვალი კავკასიაში

(დ. ზ. ბაქრაძე — „საქართველო“ I რვ.)

ყოველივე, რასაც კი ცხოველს ვუწოდებთ დედა-მიწაზე: მცენარე, პირუტყვი, ადამიანი და თვით ადამიანის ზნეობა და ყოფა-ცხოვრება, ყოველივე ეს არის ნაწარმოები ანუ შედეგი წარსულისა. წარსულს ფორმებს ანუ ორგანიზმებს უშობნია აწინდელი ფორმები; აწინდელი ფორმები ჰშობენ მომავალს ფორმებს. ასე დაუწყესებია პირველ-საუკუ-

სედამე გამოუკვლეველს ძალას. მთელს ბუნებაში არა არის რა, რომ შემდგარი ანუ გაუქმებული იყოს: ყოველივე მოძრაობს, დროს განმავლობაში იცვლება. კარგია თუ ავი, სასარგებლოა თუ მავნებელი, ის თავისს გვარს არა ჰკარგავს. რამდენადაც მეცნიერება წარმატებაში შედის, იმდენად ეს აზრი უფრო და უფრო ცხოველდება. ბუნების ისტორია გვიმოწმებს, რომ ძველი ბუნების ფორმები ახალს ფორმებად გადაცვლილა, თუმცა იმათში ჩვეულებრივი გონება ვერა მსგავსებას ვერ შეჰნიშნავს; ფიზიოლოგია გვიმტკიცებს, რომ აწინდელი კაცის ტიპი ანუ აგებულება სულ სხვაა, ვიდრე ძველად. შედარებითი ენათამეცნიერება გვარწმუნებს, რომ არ არის ხმელეთზე ენა, რომ იმ მდგომარეობაში იპოვებოდეს, რა მდგომარეობაშიაც დაბადებულა: ძველადვე თვითოეულს ენაში დაშთენილა მხოლოდ წინაპარის ენის ფესვები და გრამმატიკული აგებულება. ამ ბუნების წესს ექვემდებარება მთელი კაცობრიობაც, რომელშიაც დაახლოვებისა, დაკავშირებისა და დამონავების შემწეობით ერთი ტომი მეორე ტომში გადაშენდება, ერთს მეორეში შეაქვს თავისი ელემენტი, თავისი თვისება, თავისი ზნეობა. სადა აქვს თვითოეულს ტომს დასაწყისი, როგორ მომდინარეობს იმისის ცვლილების სვე, რას ანუ ვის ჰქონია იმაზე მომეტებული გავლენა, ამის გამოკვლევა ან შეუძლებელია, ან ძნელია. აქ საჭიროა ფაქტები, იმათი შედარება ერთისა მეორესთან, თვით ამ ფაქტების ისტორია, რომელიც თითქმის არც ერთს ტომს არ უგროვებია. არ დაუცავს... ჩვენ არ ვიცით არსად მხარე, რომელსაც იმდენი გავლენა გამოევლოს ძველს დროდამ, რამდენიც ჩვენს კავკასიას გამოუვლია. მიზეზი არის იმისი გეოგრაფიული მდებარეობა. იმისი განვითარებული ბუნება. კავკასია მდებარეობს — თუ ნება გვექნება ასე ვთქვათ, — თვით აზიისა და ევროპის შარა-გზაზე. კავკასია უაღმატებულესად შემკულია ყოვლის-გვარის ჰავით, ყოვლის-გვარის მცენარეობით, მიმზიდავის ადგილ-მდებარეობით; ის არის მდიდარი და უხვი მდინარე-წყლებით. იმას ჰსაზღვრავს: ევროპის მხრით შავი ზღვა, აზიის მხრით — კასპის ზღვა. მრავალი მოძრაობა, ემიგრაცია აზიიდამ ევროპაში კავკასიით იყო. აქ თვითოეული ნათესავი თავისს მოგზაურობაში ანუ სამუდამოდ მკვიდრდებოდა ანუ დროებით ბინადრდებოდა და თავისს კვალს ადგილობრივ სტოვებდა. ამისთვისაც

ეს მხარე ძველადვე სახელ-წოდებული იყო მრავალ ენათა მთად. ჰერო-დოტეს სიტყვით, კავკასია შეიცავდა დიდ-ძალს ტომით რიცხვს; ბერძნების და რომაელების მწერლები აღრიცხვენ 300-ზე მომეტებულს ტომს მხოლოდ იმათ რიცხვში, რომელნიც დიოსკურიაში იკრიბებოდენ. პლინი გვიმოწმებს, რომ იმისს დროს რომაელებს აქ 130 მთარგმნი ჰყოლიათ. აქ ეძებდენ საზოგადოდ ყველა ტომის ფესვს და შთამომავლობას. ოდესმე აქედამვე უწყებდენ ისტორიკოსნი მთელის მსოფლიოს გაშენებას. ეს იყო მიზეზი, რიტტერის სიტყვით, რომ ხმარებაში შემოვიდა სახელ წოდება „კავკასიის მოდგმისა“ და ამ მოდგმისად სთვლიან მთელის ევროპის და აზიის უმეტესის ნაწილის მცხოვრებთ... შემდეგ ამისა ეჭვი აღარ უნდა გვქონდეს, რომ უცხო ნათესავთ კავკასიაში ბინადრობის სახსოვრად მრავალი კვალი უნდა იყოს აქამომდე დატოვებული ჩვენს მხარეში, ესე იგი, კავკასიის ტომით ენებში, ადგილებისა, მთებისა და მდინარეების სახელწოდებაში და თვით ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში. ეს საგანი დიდ ღირსია ყურადღებისა. სამწუხაროდ უნდა ვთქვათ, რომ იმას ჯერ ისტორია არ შეხებია. შეეხნენ მხოლოდ გაკვრით ზოგიერთნი, მეტადრე კლაპროტი, ვივიენ-სენ მარტენი და დიუბუა დე-მონპერე: ამათ უჩვენეს უცხო-თესლთ კვალი კავკასიაში: კლაპროტმა — ენებში, სენ-მარტენმა — გეოგრაფიულს სახელ-წოდებაში, დიუბუამ — ზნეობასა და ყოფა-ცხოვრებაში. — სახელ წოდება „კავკასია“ შემოტანილია ძველად აზებისაგან ანუ ასსებისაგან (ოსებისაგან) ინდოეთით, სადაც ეს სიტყვა აქამომდე ხმარებაშია. ეს სახელ-წოდება ჩვენს მხარეს შესთვისებია აქამომდე სამუდამოდ და აქედამ აღარსად გავრცელებულა, რადგანაც მომეტებული ნაწილი აზების ტომისა აქვე დამკვიდრებულა. თვით „აზია“ პირველად პელაზგებს — შემდეგ იმათის გადმოსახლებისა სამუალო-აზიიდამ — მიუთვისებიათ ერთის ადგილისთვის მცირე აზიაში; მასუკან ასე დარქმევია ჩრდილო მხარეს კავკასიისას და აქედამ მთელს აზიას მოჰფენია. იალბუზი ან ელბრუსი ძველს სპარსულ ენაზე ნიშნავს მაღალ ტანს, სიმაღლეს. აქამომდე სპარსეთში, ჯობადის მაზრაში, ელბრუსსად უწოდებენ ორს მაღალს მთას. თავდა-პირველად ქართველები და სომხები აწლანდელს არარატს უწოდებდენ მასისად,

ძველი მნიშვნელობა ამ სიტყვისა ჰხატავს ფრიად მაღალს. სანსკრიტულს ენაზე ითქმის mah ანუ mahat. (აქედამ წარმოსდგა ქართული მაღალი). ასე უწოდებდენ ჯერ თავის ქედის ნაწილს, რომელიც ჰყოფს სომხეთის და მესოპოტამიას. აქვე უჩვენებდენ სხვა და სხვა მაღალს მთებს, სადაც ნოეს კიდობანი შეჩერდა. მასისი შემდეგ დროებში მისთვისება აწინდელს არარატს. ქართველებში კავკასიის ქედს უწოდებენ სხვა სახელსაც, რომელიც დიდად ღირსია შენიშვნისა: ეს სახელია თემი. როდის მიეთვისება თემი ქართულს ენას, ან როგორ შეცვლილა იმისი ნამდვილი მნიშვნელობა, ჩვენ ამაზე ცნობა არა გვაქვს. ეს კია, რომ თემი ხშირად იხმარებოდა საბერძნეთში, თვით სომხეთში და ნიშნავდა სამხედრო მაზრას ანუ პროვინციას. ის არის წარმომდგარი ბერძნულის სიტყვიდამ Θέμα.

მცხეთის მასლობლად ძველი ციხე-სიმაგრე ყოფილა არმაზი. ეს სიტყვა უნდა წარმომდგარიყოს სიტყვისაგან ორმუზდი, ორმუზი. ეს სახელი ერქვა სპარსეთის ღმერთს, ანუ უზენაეს ღვთაებასა. ორმუზდად იწოდებოდა აგრეთვე ქალაქი და ნავთ-სადგური ყვარსის მახლობლად სპარსეთში. შესაძლებელია, რომ სპარსეთით იყოს არმაზი შემოტანილი ქართლში. თვით სახელ-წოდება „თბილისს" ვპოულობთ უცხო-ქვეყნებში. Tibilis-ი ძველად მდებარეობდა ნუმიდიაში, იმ ადგილს, სადაც თბილი წყალი ამომდინარეობდა მიწის გულიდამ. გარდა ამისა ბოჰემიაშია ქალაქი ტეპლიცი: ის არის წარმომდგარი სლავიანურის სიტყვიდამ тепло, რომელიც ეკუთვნის ერთსა და იმავე ფესვს, როგორათაც ლათინური tepidus

კავკასიის მდინარეები, თუ უფრო ნათლად არა, ნაკლებ არ მოგვითხრობენ თავისის სახელწოდებით თავისს ისტორიულს მნიშვნელობას დ გეოგრაფიულ სახელების გადასვლას ერთის ქვეყნიდამ მეორეში. ეს საგანი უფრო უკეთ არის გამოკვლეული ვივიანე სენ-მარტენისაგან. ავიღოთ ჯერ სიტყვა მტკვარი. ასე ვუწოდებთ ჩვენ, ქართველები, უმთავრესს საქართველოს მდინარეს. სპარსნი დ ბერძნები კი უწოდებენ კურად. თუ ყურადღებით გავარჩევთ მ ტ კ ვ ა რ ს დ კ უ რ ს, უეჭველად დავრწმუნდებით, რომ ორივე ეს სიტყვა ერთისა და იმავე ფესვისაგან არისო. ხოლო ძველად კურად უწოდებდენ მრავალ მდინარეებს

სპარსეთში და ეგრეთვე მესოპოტამიაში. ამ სიტყვის ფესვი არის ინდო-კელტური, სემიტურის ენებისაგანაც შეთვისებული. ინდო-კელტური khor, ებრაული khour, სომხური khorin, ლეკური hor, khor, ouor ჰნიშვნენ თხრას, სიღრმეს. აი საიდამ არის წარმომდგარი კური და არა სპარსეთის მეფის კიროსის სახელისაგან. ამ სიტყვაშივე უნდა ჰქონდეს თავისი დასაწყისი თვით ქართულს სიტყვას „ჩქარა“. ივე აქვს ფესვი იორს: ებრაული iaor ანუ ior, კოპტური iaro, ისლანდიური sjor ჰნიშნავენ მდინარეს, ფინნური სახელ წოდება მდინარისა არის khoub ანუ kob, გავრცელებული კავკასიის სამხრეთით და ჩრდილო-სამხრეთით, როგორათაც Houpan-is და Houpa-kour-is, რომელსაც ჰეროდოტე გვიჩვენებს პონტ-ევქსინის ჩრდილოეთით; Houpanis-ი დარჩენილია აქამომდე ყუბანის სახელ წოდებაში; ძველი კოლხიდის Khobos არის ხოპი.

არაგვის ფესვი არის ზენდური და სანსკრიტული arg, რომელიც ჰნიშნავს სისწრაფეს, მიმდინარეობას. არგი არის შემოტანილი ირანო—კელტებისაგან და იმათგან გავრცელებული ევროპაში; გლახეთში არის Arghisch; იტალიაში იყო Orgus, გადაქცეული ახლა Orcoსად, საფრანგეთშია d'Argens, d'Argent, d'Argue, Arc და სხ. ისპანიის იბერიაში იპოება Aragon. ვივიანეს სიტყვით, „ვინც კავკასიის იბერიელებში და ისპანიის იბერიელებში ერთს შთამომავლობას ეძებდენ, სხვა საბუთების გარდა, მოჰქონდათ ისპანიის არაგონის მსგავსება საქართველოს არაგვთან. მართლა და მსგავსება ცხადია, მაგრამ ეს მსგავსება ამტკიცებს მხოლოდ, რომ არაგონი და არაგვი ერთისა და იმავე ფესვისაგან არის ნაშობი. იმავე ფესვისა არის არაქსი, რომელიც ისტორიაში და გეოგრაფიაში უფრო მეტად არის ცნობილი, ვიდრე არაგვი. არაქსს სომხები უწოდებენ ერასხს, ქართველები რახს, არაბნი, თურქნი და სპარსნი—არას ანუ რას. ძველად სახელ წოდება არაქსი გავრცელებული იყო მთელს აღმოსავლეთზე, ბაქტრიანიდამ დაწყობილი სპარსეთის ყურემდე, სპარსეთის ყურედამ კავკასიამდე. სახელ-განთქმული კოლხიდის ისტორიაში „ფაზი“ მოგვაგონებს ერთს ოთხს მდინარეთაგანს, რომელნიც, მოსეს თქმით, ჰრწყავდენ სამოთხეს, ესე იგი, ფიზონს. ფაზი არის ინდო-კელ-

ტური სიტყვა, თუმცა საზოგადოდ ფინნურს ენებშიაც კია მიღებული; სანსკრიტული visan ჰნიშნავს წყალს, სინოტიეს, ბერძნული πεῖσχς—რწყვას, სიგრილეს πεῖσος—ადგილს, რომელიც წყლის ნაკადულით ირწყვის, πισω—სმას, ნემეცური wasser, ინგლისური water არის წყალი. იგივე მნიშვნელობა აქვს ჩრდილო-ფინნურს vesi ანუ vessi, ვენგრულს—fis, ჩერქეზულს-pzèh, psé ანუ psi. მდინარეს ჰიფასის უჩვენებენ ინდოეთის პენჯაბიაში; პტოლომე ფაზისს ასახელებს ცეილონის კუნძულზე; პავზანი მოიხსენებს ოფისსვე არკადიაში. ოფისსვე ვპოულობთ ჩვენ ჭანეთში ანუ ლაზისტანში. ჭოროხი და აგრეთვე არაქსი თავიანთ სათავეებში იწოდება ფაზად. ამ სიტყვიდამვე წარმომდგარი ბაზიანი ანუ ფაზიანი, რომელსაც უჩვენებს ოსმალეთის საქართველოში ვიზანტიის ისტორია და ქართლის—ცხოვრება.

„კავკასიის ტომთ, დიუბუას შენიშვნით, აქამომდე შეურყევლად დაუცავთ ძველი ყოფა-ცხოვრება. რაც ათასის წლის წინად ქრისტეს შობამდე ყოფილა, რაც სტრაბონის დროს ყოფილა, იგივეა ახლაც. როდესაც თქვენ აქ შედიხართ სეობათა შუა-გულში, სადაც უცხოტომთ გავლენას არ უმოქმედნია, თქვენ ცხადად ჰხედავთ უძველესს ზნეობას და ჩვეულებას. თუ ყურადღებით გამოიკვლევთ ყოფა-ცხოვრებას ქართველთ კოლხთ შთამომავლობისასა, რომელიც ფაზისა და ენგურის სათავეებში ცხოვრობს, შეუძლებელია თვალ წინ არ წარმოგიდგეთ ჰომიროსის დროება, ილიადის სურათები. მაგრამ არც ერთს ისტორიის წინა-დროთა ტომს არ შეუნახავს იმოდენად ძველი ყოფა ცხოვრება, როგორადაც ჩერქეზის ტომსაო“. ეს ასეც არის. აი ამისი დასამტკიცებელი საბუთები:

გამოკვლეულია, რომ თავრის თემი (ყირიმში) ყოფილა დასახლებული ფინნის მოდგმისაგან იმ დროს, როდესაც კავკასიის ჩრდილო მხარეს პირველად მოსდგომია ინდო ევროპიული შთამომავლობა, რომელსაც შეადგენდნენ კიმმერიელნი ანუ კიმრნი. თავრის ფინნები ისტორიაში ცნობილნი არიან თავრებად ანუ მთიულებად (toira ასსირიულს ენაზე ჰნიშნავს მთას.) თავრების ღმერთი ყოფილა, როგორც ჰეროდოტე მოგვითხრობს, ქალწული, თავრებისავე სიტყვით სახელ წოდებული იფიგენიად. იფიგენიის ტაძარი ყოფილა ალმართული მა-

დალს კლდის ქიდზე; იმას მსხვერპლად უცხო თესლის კაცებს და ტყვე-ებს თურმე სწირავდენ; იმათ გვამებს ზღვაში თურმე ჩასტყორცნიდ-ენ კლდიდამ და თავებს კი, კეტებზე აგებულებს, მოიტანდენ შინ და აქ სახლებზედ გარედამ მიჭლურსმავდენ. იფიგენია მიუთვისებიათ ბერძნებს, რომელთაც იმისთვის უწოდებიათ დიანა. დიანას ისინი მსხვერპლად უმაწვილებს თურმე უძღვნიდენ. იფიგენია ანუ დიანა თავი-სის რიგით შესულა თვით კავკასიაში და სხვა მხარეებში. ჩეჩნები და ლეკები, რომელნიც ყოფა-ცხოვრებით მომატებულად თავრელებთან და-ახლოვებულნი არიან, განსაკუთრებით უცხო-ტომთ მტრობენ; ჩერქეზ-ნი ჰხოცდენ ყოველს უცხო-ქვეყნის კაცს, რომელიც კი ხელში ჩაუ-ვარდებოდათ. „იმათი ღმერთი ქალწული იგივე იყო, რაც იყო სომ-ხების ანაჰიდი ანუ ჰენერა-მთვარე. საღმთო წესი იბერებისა და ალ-ბანიებისა წარმოადგენდა თავრების წესს. ალბანები, სტრაბონის სიტყ-ვით, თაყვანს სცემდნენ მზეს, იუპიტერს და მთვარეს (ანაჰიდს), რომ-ლის ტაძარიც აღმართული იყო იბერიის საზღვარზე და რომელსაც დაწესებულს დღეს, საზოგადო ყრილობაში მსხვერპლად ადამიანს შე-სწირავდენ. ჩვენის აზრით კოლხებსაც იგივე წესი უნდა ჰქონიყოთ, რადგანაც იმათი თაყვანის-ცემის საგანი იყო ისევ მზე, სახელ-წოდე-ბული რქად.

დიუბუას სიტყვითვე „კავკასიის ტომნი მუდამ ეტანებოდენ დრუი-დიზმს ანუ ტყის თაყვანის-ცემას. დრუიდიზმი კავკასიაში შეუკავშირ-და საქრისტიანო აღსარებას. აქ არ არის თითქმის არც ერთი ეკლესია, არც ერთი სალოცავი ადგილი, რომ დაჩრდილული არ იყოს ძველის ხეებით, რომელთაც შიშით და მოწიწებით ეპყრობიან. აფხაზეთში, სა-დაც მომეტებული კვალია დაშთენილი ქრისტიანობისა, ვიდრე ჩერქე-ზეთში, სახლს აქვს საკუთარი საღმთო ტყეები. პროკოპი დარწმუნე-ბით გვიამბობს, რომ იმის დროს (მე-VI საუკ.) აფხაზნი თაყვანს სცემდნენ ხე-ტყეებს, რომელნიც ღმერთებად თურმე ირიცხებოდენ. ახლა თითქმის მთელს კავკასიაში, თვით საქართველოში, სასაფლაო ხე-ტყეს ვერავინ გაჰბედავს ხელი შეახოს, შიშის გამო, რომ განრისხე-ბულმა ხატმა არ დასაჯოს. . . სად უნდა იყოს ფესვი დრუიდიზმი-სა? ჩვენ ვიცით, რომ ძველად ხეების თაყვანება გავრცელებული იყო

ინდუსებსა, სპარსებსა, ბერძნებსა და სკანდინავებში. თვითოეული ეს ტომი თაყვანს-სცემდა რომელსამე ხეს, მუხას, ლეღვს და სხ. განსაკუთრებით განსხვავებული იყო ეგვიპტე, სადაც, როგორც ჩანს, უნდა ჰქონდეს დასაწყისი დრუიდიზმს. აქ საღმთო ხეები ხშირად იპოვება ნილოსის კაკე-მინვდრების ძეგლების მხატვრობაში. პლუტარხის სიტყვით, სიკომორის ლეღვის ხე ოზირისის ღვთის ხე იყო. როგორც ახლა ნამდვილად არის გამოკვლეული, ოზირისი იყო ღვთად შერიცხული ეგვიპტელების მეფე სეზოსტრისისაგან, რომელიც ცხოვრობდა მე-XIV საუკ. ქრისტეს წინად, სახელი განითქვა თავისის სამხედრო მოგზაურობით და სხვა ქვეყნების დაჭერით, ადამიანთ ასწავლა, როგორც გვარწმუნებენ, სხვათა შორის, ღვინის დაყენება; ჰეროდოტეს თქმულებით, ფაზის მდინარეზე დაასახლა ეგვიპტელების კოლონია, საიდამაც შთამომავლობენ ვითომც კოლხიდელები და დაპყრობილს მხარეებში გააშენა ქალაქები, მათ შორის თვით კოლხიდაში ეა, შემდეგ არხეოპოლი ანუ ნაქალაქევი. შესანიშნავი ეს არის, რომ სეზოსტრისის სახელი აქამომდე დაშთენილია კავკასიის ზეპირსიტყვაობაში, რომელშიაც თვით იმის პირადი თვისებანი გამოისახება. ჩერქეზები იმას უწოდებდენ სეოსერესად ანუ სეოსირისად. იმათის თქმით, სეოსერისი იყო დიდი მგზავრობის მოყვარე ღმერთი, რომელსაც ხელთ ეპყრა ქარი და წყალი. სეოსერისის წარმომადგენელად მიაჩნდათ ქოროვა მსხლის ხე, რომელსაც მოსჭრიდენ ხოლმე ტყეში, შემოქონდათ შინ და თაყვანს-სცემდენ, როგორათაც საქონლის მფარველს ღმერთს.—თვით მიის ოქროს მატყლოვან ვერძისას ეგვიპტეში უნდა ჰქონდეს თავისი დასაწყისი, რადგანაც იქ საღმთო ხეების თაყვანის-მცემელთ ჩვეულებად ჰქონდათ იმათის შტოების შემკობა ოქროს ნივთებით: ოქროს მანიაკით, სამაჯურებით, და სხ. შესაძლებელია, რომ ეს ჩვეულება კოლხიდაში გავრცელდა ერთსა და იმავე დროს, როდესაც ხე-ტყის თაყვანის-ცემა შემოვიდა. არიმანი — „მაცდური სული“, წინააღმდეგი ორმუზდისა — „ბრძენის სულისა“, არიმანი, მეფე დევებისა, აგრეთვე ცნობილი იყო კავკასიაში. კავკასიის ზეპირ-თქმულებით, ორმუზდისაგან დათრგუნვილი არიმანი ანუ ამირანი მიჯაჭვულია ერთს მთის შუა-გულში და შეღურსმულია მძიმე ჯაჭვით, რომლის შეწყვეტასაც ამაოდ ცდილობს. თვით დევებში, რო-

ძველთაც სპარსნი წარმოგვიდგენენ ცეცხლით-მოსილ გველეშაპად, რომელნიც არაბთ თქმულებაში არიან გადაქცეულნი დევებათ, ბერძნების თქმულებაში ტიტანებად, რომელნიც ქვეყნის პირზე სთესენ სიბოროტეს და უბედურებას, დიად გავრცელებულნი არიან აგრეთვე ქართველების წარმოდგენაში. ქართველები იმათ დევებადვე უწოდებენ. დევია უშველებელი გველი, რომელიც ხშირად მოიხსენება სახალხო ზღაპრებში. დევს აქვს რამდენიმე ადამიანის-მსგავსი თავი; იმისი ელვა-მოსილი თვალები, საზარელი კბილები, უშველებელი ტანი ზარსა სცემს დედამიწას. დევი ებრძვის ყოველსავე სულ-დგმულს. თუ არ სასწაულებრივს ძალას, იმისი ძლევა არას შეუძლიან.

ფეოდალური სისტემა ანუ ფეოდალიზმი კავკასიაში ისე ძველია, როგორათაც თვით ისტორია. სტრაბონი იხსენიებს ხუთ კასტას ანუ წოდებას იბერიაში. დიუბუა აღრიცხავს ჩერქეზეთში იმდენსავე კასტას, რომელიც, იმისის შენიშვნით, სრულებით ეთანხმება საშუალო-საუკუნოების რაინდობას ანუ ძველის საბერძნეთის არისტოკრატიას. „სკეპტუხების ფეოდალიზმი საბერძნეთში იგივეაო, რაც ჩერქეზეთის ფეოდალიზმი. განვითარებულს ხასიათს ერთისას და მეორისასაც შეადგენდენ მონები და ტყვენი. ალამემნონი, ულისი, ახილლესი, რომელნიც მსუბუქის ნავებით უეცრად დაესხმიან მდიდარს ქალაქებს, აოხრებენ და ატყვევებენ იმათ მცხოვრებლებს, წარმოგვიდგენენო ცხოველს სურათებს მამაცელ და ჯიუჭუბუელ ჩერქეზებისას. როდესაც პარისი იტაცებსო ელენეს და სიდონიის დედა-წულთ, მაშინ ის იმ საქმესვე იქსო, რასაც ახლა სჩადიან ჩერქეზები. მაგრამ ისე არაფერი გაგვაკვირვებსო, როგორც სრული მსგავსება იმათის ფეოდალიზმისა და ყოფა-ცხოვრებისა ლიტველების ფეოდალიზმთან და ყოფა-ცხოვრებასთან". მონობას ჩერქეზეთსა და აფხაზეთში მეტად ფასი ედვა. სტრაბონი I საუკ. დამდეგს ქრისტეს შემდეგ, პროკოპი მე-IV საუკუნეში, ინტერიანო მე-XIV საუკუნეში და ახალის დროს მოგზაურნი იხსენიებენ მონების აღებ-მიცემობას. შეიძლება ვთქვათ, მილიონი მონები არიან გასყიდულნი ჩერქეზეთიდამ და აფხაზეთიდამ სხვა და სხვა მხარეში, თითქო „განგებას ჰქონდა აზრი ამ სახით კაცობრიობის მოდგმა გაეუმჯობესებინა". რა გვარად ეპყრობოდენ აქ

მონებს, ეს იქიდამ სჩანს, რომ, გერმანიელ მოგზაურის რეინეგის სიტყვით, რომელსაც მოიხსენებს დიუბუა, ჩერქეზები მონებს მსხვერპლად სწირავდენ მიცვალებულს ნათესავებს და მეგობრებს, ახილესის მიბაძვით, რომელმაც თავისს მეგობარს პატროკლეს შეჰსწირა იმის საფლავზე მონანი და ტყვენი.

რა არის კავკასიური სისხლის-ძიება, ყველამ ვიცით. სისხლი კავკასიის მთიულებში წარმოგვიდგენს თითქმის მთელს სამსჯავრო სისხლის კანონს. დიუბუას სიტყვით, სისხლის-ძიება არსად არ არის ისე მკაცრად აღბეჭდილი, როგორადაც აქ. აქ დათხეული სისხლი უეჭველად უნდა იზღვიოს. მონათესავეს, მახლობელია თუ მოყვრეული, საღმთო ვალად აქვს, რომ იმან განწმინდოს დაღვრილი სისხლი ნათესავისა, დაამშვიდოს იმისი აღშფოთებული სული. დიუბუას მოჰყავს ბლიადილამ ერთი მაგალითი დასამტკიცებულად, რომ ჭომიროსის დროს სისხლის-ძიება სრულად ყოფილა დაწესებული საბერძნეთში. თვით სტუმართ-მოყვარეობა, რომელიც ვალად სდებს კავკასიაში მასპინძელს და იმისს მონათესავეებს სისხლის-ძიებას სტუმრისას, წარმოგვიდგენს აგრეთვე სტუმართ-მოყვარეობას ძველის საბერძნეთისას. გამოაშკარავებული ავაზაკობა ანუ ქურდობა, ჩერქეზების ჩვეულებით, უეჭველად უნდა დაისაჯოს ორ-კეცად; იდუმალი ქურდობა კი იმათის აზრით, არის საქებარი საქმე, კარგი ვაჟ-კაცობა. ასე იყო თვით ლაკედემონში.

ყირიმისა და საქართველოს აღწერაში დიუბუამ განსაკუთრებით ყურად-ღება მიაქცია ძველს კლდის-ქვაბებს, რომელნიც დიდ ბლომად არიან დაბნეული აქა-იქ. იმათი ისტორიული მნიშვნელობა, ჩვენის ფიქრით, დიუბუამ პირველად ახსნა. იმისის სიტყვით, „კლდის-ქვაბები არიან უძველესის ცივილიზაციის ცოცხალნი მოწამენი.“ ის ამბობს, რომ აქამომდე ჯერ ღირსეულად ყურად-ღება არ არისო მიქცეული ამ საგანზე: თუმცა ის დიდ შორს არისო ჩვენს ყოფა-ცხოვრებაზე, მაგრამ, თუ გამოვიკვლევთ, ბევრს ფაქტებს გვიჩვენებსო, იმისთანა ფაქტებს, რომელნიც ისტორიის წინა-დროების ფარდით არიან გარემოცულნი. სულ ძველად უმეტესი ნაწილი აზიის მცხოვრებთა, წინადროების დიდების შემდეგ, სადგომად კლდეებში ქვაბებსა სჭრიდნენ; კლდეებშივე სთხრიდნენ ტაძრებს და სასაფლავოებს. კლდე-ქვაბების კვალი

აქამომდე მრავალი იპოვება ინდოეთში, სპარსეთში, ეგვიპტეში და აბისსინიაში. ძველი ქალაქები ინდოეთისა კლდეებში იყო გამოქანდაკებული. დიდს საბერძნეთში და ეტრურიაში აქამომდე დაცულია კლდის აკლდამები. მცირე-აზია და თვით თესალია სავსეა მშვენიერის გროტებით. საფრანგეთის სამხრეთად თქვენ ჰპოულობთ ურიცხვს გროტებს, „სადაც, როგორათაც სჩანს, ცხოვრობდა ნათესავი, მსგავსი კავკასიისა, ყირიმისა და მეოტიდიის მოდგმისა". თავისის ცივილიზაციის დასაწყისში, ამბობს იგივე დიუბუა, ტავრნი, ქართველნი, კოლხნი, სომეხნი და კავკასიის შუა ადგილების და ჩრდილო-მხარეების ტროგლოტიდნი ცხოვრობდენ კლდე-ქვაბებში. ყირიმში არიან ისინი ბლომად გაბნეულნი ინკერმანისასა, ჩერქეზ-კერმანისასა და ტეპეკერმანის კლდეებში და სხვ. საქართველოს კლდე-ქალაქები არიან: უფლის-ციხე — გორის მახლობლად, არმაზისა — მცხეთის გარეშემო, ვარძია და ზედათმოგვი — ახალციხის მაზრაში, მღვიმე — იმერეთში და სხვანი. გასაოცარი შრომაა დადებული გროტებზე: მრავალი იმათგანი ეტაჟებად არის დაყოფილი; აქ არის სანათურები, ბუხრები, ჭები და მდინარეზე სავალი კლდის გულში ჩათხრილი გზები და ყოველივე, რაც ოჯახობაში საჭიროა სახმარებლად. ქვაბიდამ ქვაბამდე, ეტაჟიდამ ეტაჟამდე გამოჭრილია კიბეები, ტერრასები, გალლერეიები. ზოგიერთი კლდე-ქვაბები წარმოადგენდენ გასაკვირველს ხელოვნებას. ამ ხელოვნების მაგალითად დიუბუა უჩვენებს უფლის-ციხეს. უფლის-ციხეში, განსაკუთრებით იმისს საუფლო პალატში, თქვენ გაკვირვებაში მოჰყავხართ სიმეტრიას და ორნამენტების ხელოვნებას: კარნიზებს, სვეტებს, თაღებს და სხ. ვისაც ყურადღებით შეუნიშნავს დიუბუას მოგზაურობაში როგორც კლდე-ქვაბების ქალაქები ყირიმისა და საქართველოისა, აგრეთვე უძველესი იმათი ციხე-სიმაგრეები, ესე იგი: პანტიკაპეა, კიმმერიკუმი, გორის-ციხე, ხერთვისის-ციხე და სხ., ის შეუძლებელია არ დარწმუნდეს, რომ პირველთ ხელოვნებიდამ წარმომდგარა უკანასკნელთ ხელოვნება: ამ ციხე-სიმაგრეების შენობის რიგი, იმათი ადგილ-მდებარეობა, იმათი შინაგანი მოწყობილობა თითქმის იგივეა, რაც კლდე-ქვაბებში. ისინი არიან ამართულნი აგრეთვე მაღლობებზე ტერრასებად ანუ ეტაჟებად; აქ არის გათხრილი მიწის-გულში წყალზე ჩასავალი გზა; ეტაჟიდამ

ქტაყაში გზა ანუ ახდილია, ანუ დახურულია; იმათ მაღალ-დიდროვან კლდეებზე მიდგმულია საცხოვრებელი შენობანი თახჩებით, ბუხრებით, სანათურებით, და სხ. უძველესი ციხე-სიმაგრეები აშენებულია უკიროდ დიდროვანის ფიქალ-ქვებით; აგური ანუ არსად არის, ანუ იშვიათია.

ყირიმის კიდეებიდამ და თავრიდის ვაკე-მინდვრებიდამ დაწყობილი ვიდრე ტანაისის და ყუბანის ნაპირებამდე მოგზაური შეხვდება აქა-იქ მრავალს გორაკებს ანუ კურგანებს. ისე ბევრი კურგანები არსად არის, როგორც კიმმერიკუმისა, პანტიკაპეისა და ტემრუკის გარეშემო და კიმმერიკუმის ბოსფორის კიდეებზე. კურგანები იპოვება აგრეთვე თესალიაში, მაკედონიაში, ალბანიაში. დიუბუას აზრით, ისინი არიან ნაწარმოებნი იონიელთ კოლონისტებისა; პირველნი იმათნი მომგონნი კი უნდა იყვნენ ბერძნების წინაპარნი—პელაზგები. მრავალს კურგანზე შეუნიშნავთ უშნოდ გამოკვეთილი ქვის სვეტი სფინქსის სახით. შიგნიდამ ზოგიერთი კურგანი თავ-შეკრულია ეგვიპტურის თაღით. კურგანებში იპოვება დიად ღირს-შესანიშნავი არხეოლოგიისთვის საგნები: მამა-კაცისა და დედა-კაცის მკლებზე სამაჯეები, მანიაკები, გულზე ეგვიპტური თილისმები და სხვა სამკაული, ძველი ფული და ვაზები წარწერებით ბერძნულს ენაზე. აქ განსაკუთრებით თქვენს ყურადღებას მიიქცევენ ვაზანი, რომელთაც უწოდებენ ეტრუსის ვაზებად, რადგან ისინი პირველად აღმოჩნდნენ ეტრურიაში, იტალიაში, და რომელნიც აღმოიპოვებიან როგორც საბერძნეთში, აგრეთვე მთელს აღმოსავლეთის მხარეებში. ბერძნები ამ ვაზებს უწოდებდენ კადოს; ისინი იყვნენ თიხისა, გამომწვარნი და წარმოადგენდენ რანდენსამე სხვა და სხვა ფორმას: იმათ ჰქონდათ ერთი, ორი და სამი ყური; კადოსები წყლის მოსატანი ჭურჭელი იყო, მხარზე ანუ თავზე შესადგმელი. არის უფრო კადოსებიც, დიად დიდის ზომისა, რომელნიც მთლად ჩამჯდარნი არიან მიწაში ღვინის შესანახავად. ეს არის ჩვენებური ქვევრები, რომელნიც ბლომად იპოვებიან ყირიმის ძველს ნანგრევებში. რამდენადაც ყირიმს დაშორდებით და საქართველოს შუა-გულში შედიხართ, იმდენად ქვევრების ზომა უფრო დიდია. კახეთში, ამ მთელის კავკასიის უკეთესს ვაზის სამშობლო ადგილში, სიმაღლე უდიდესის ქვევ-

რისა ერთი საუკუნია და მეტიც. „ღვინის შენახვა ქვევრებში, დიუბუას გამოკვლევით, დიაღ ძველი ჩვეულებაა. მაგრამ არ შეგვიძლიან დავამტკიცოთ, ეს ჩვეულება ქართველებმა ბერძნებისაგან მიიღეს, თუ ბერძნებმა ქართველებისაგან. ეს კია, რომ როდესაც არგონავტები კოლხიდაში შემოსულან, მაშინ კოლხიდაში ცივილიზაცია დამყარებული ყოფილა კიდეც." „უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული სიტყვა ღვინო სომხურად ითქმის გინი, ბერძნულად οἶνος, ლათინურად vinum, რომელნიც თითქმის ერთგვარ გამოითქმის, მაშინ როდესაც ეს სიტყვა არ არის სპარსულში, არაბულში, თურქულში და თურქო-თათრულში. ეს გარემოება და აგრეთვე ისა, რომ ვაზი ისე უხვად არ სად იპოვება, როგორც საქართველოში და სომხეთში, გვიმტკიცებს, რომ საქართველო და სომხეთი უნდა შეადგენდენ ნამდვილს ვაზის სამშობლო ადგილს, რომ ვაზი აქედამ უნდა იყოს გავრცელებული იმ ქვეყნებში, რომელნიც ჩრდილოეთით ხმელთა-შუა ზღვას უახლოვდება. ეს უფრო ამისათვის არის დასაჯერებელი, რომ არც vinum, არც სხვა იმისი მსგავსი სიტყვა არ მოიპოვება ძველს ინდოეთის ენაში, რომელსაც დაუცავს მრავალი ფესვი, ერთი და იგივე იმისს მონათესავე ენებში — ლათინურში, ბერძნულში და ნემეცურში.

კავკასიის ტომთ მეურნეობა აღბეჭდილია აგრეთვე ძველის დროს ბეჭდით. აწინდელის ჩერქეზების ოჯახობა, დიუბუას თქმით, წარმოგვიდგენს ნამდვილს ოჯახობას კურლანდიის ლეტტებისას, ამ ნახევარ-სლავიანურის და ნახევარ-ფინნურის ტომისას. ჩვენ ვპოულობთ ძველად, სხვათა შორის, ჩვეულებას, რომელსაც აქამომდე მისდევენ საქართველოს ტომის ერთი ნაწილი და სომხები: ფეხ-მოკეცით ჯდომას ხალიჩა-დაფენილს ტახტზე, მუთაქაზე მიწოლით; ვპოულობთ საჭმელში ქაშად ხმარებას ბრინჯისას, საშუალო-აზიაში, ქართლში, კახეთში და სომხეთში; ღომისას (panicum italicum) — ღისის მთას იქით და იმისს მსგავსს საჭმელს სლავიანურს ტომებში, ლიტველებში და ლეტტებში; ვპოულობთ მწვადს, რომელსაც იმ გვარადვე სწვავდენ, როგორც ახლა ჩვენში, თვით ჰომეროსის დროს ბერძნები; ვპოულობთ ღვინის სმას ვერცხლის აზარფეშებით და ყანწებით და ამასთანავე ნადიმებში სადღეგრძელოების სმასა: ეს ჩვეულება ჰომეროსის დროსვე იცოდენ. თვით

კავკასიური ტან-საცმელი არ არის ახალი: პანტიკაპეის ძეგლების მხატვრობაში დიუბუას ცხადად შეუნიშნავს როგორადაც ჩვენებური დედა-კაცური ჩადრი, აგრეთვე მამა-კაცური ჩოხა, რომელიც არის ტან-საცმელი უწინდელის გერმანიელებისა, სკვითებისა, სარმატებისა, და აგრეთვე სერმეჯი—აწინდელის ლიტვებისა. ჩვენებური ნაბადი, სომხური იაპინჯი, ჩერქეზული ჯასო, სხვა არა არის რა, როგორც ძველი ხლამიდა, რომელშიაც ულისის მამა ლაერტი, ილიადის თქმულებით, ზამთარში ცეცხლთან გახვეული იწვა, მონებ-ხლებული. ხმარობენ აგრეთვე კავკასიელნი სლავიანო-თათრულს თულუფს. თურქული ბაშლიყი, აფხაზური სეთაფი, ჩერქეზული ფასო, ქართული ყაბალახი წარმოგვიდგენს ფრიგიულს თავ-სახურს, რომელიც იხმარებოდა სკვითებში, რომლისაც ახალს დრომდე ხმარობდენ ლიტველნი და რომელიც კავკასიაში გავრცელებულია ყველგან. ყაბალახი ხშირად მოიპოვება პანტიკაპეის ძეგლებისა და ეტრურიის ვაზების მხატვრობაში, სადაც ამასთანავე შეინიშნება ამაზონების სრულს კავკასიურს ტან-საცმელზე ჩერქეზული ვიწრო შარვალი და ტყავის ფეხ-საცმელები, რომლებსაც ხმარობდენ სკვითნი. შეინიშნება აგრეთვე სამხედრო იარაღი, სახელდობრ: ხელ-შუბი, შვილდ-ისარი და მრგვალი ფარი, ხით შეწნული, თვით იმ გვარი ფარი, როგორიც დაჰქონდათ ძველს კავკასიის ტომებს და აქამომდე დააქვთ ღლიღვებს ანუ ინგუშებს.

აქ არ შეიძლება არ მოვიხსენოთ თავად-აზნაურის ვაჟის აღზრდა ჩერქეზეთში, აფხაზეთში და თვით განვლილ საუკუნოების საქართველოში. ვაჟი ყმაწვილობაშივე გაებარებოდა უცხო სახლში, სადაც ასაკობამდე იზრდებოდა და ისწავლებოდა ჩვეულებისამებრ; დაბრუნების დროს შესაფერი ჯილდო იყო დადებული. ხან და ხან გამზრდელი თვითონვე კისრულობდა ჭაბუკი-მოწაფის დაქორწინებას: როდესაც ის ღირსეულს დედა-წულს შენიშნავდა, მეგობრების შეწეობით იტაცებდა და იმისს სასყიდელს თვითონვე მეგობრების თანა-შეწეობით აძლევდა ქალის დედ-მამას. ეს ჩვეულება წარმოგვიდგენს პელეას, რომელიც ახილევსს ასაზრდელად მიანდობს ცენტავრს ხირონს. სასყიდელი, ახლანდელის მზითვის მაგიერი, ეკუთვნის აგრეთვე ჰომიროსის ძველს დროებას: როდესაც აგამემნონი ფიქრობს, რომ

ერთი თავისი ქალი მისცეს ახილლევსს, ეგები ამ სახით დაამშვიდოს ბრიზეისის მოტაცებისათვის, მაშინ ის ამბობს: არა თუ მე არ მოვთხოვო ახილლევსს ჩვეულებრივს სასყიდელს, მე თვითონ მოვუმზადებო ჩემს ასულს მდიდარს მზითევს. ჩერქეზებს, ფშავებს, თუშებს ⴃ ხევსურებს უკანასკნელს დრომდე ჩვეულებად ჰქონდათ გამოსყიდვა ომში მოკლულის მონათესავისა. განგებ გაგზავნიდენ ისინი კაცს მტერთან ⴃ დაიბრუნებდენ გვამს; ამის ფასად იყო საქონელი, ცხენი ⴃ სხვა საგნები. აქაც ვხედავთ ჰომიროსის სურათს, რომელიც მოკლულის ჰეკტორის გამოსყიდვას წარმოგვიდგენს.

---

## IV. უძველესი ბერძნული მითები კავკასიის შესახებ

*(Штолль—Герои Греціи въ войнѣ и мирѣ)*

### ა) **პრომეთეოს**

წინა-პირველად ცასა ⴃ ქვეყანას ჰფლობდა ქრონოსი. შემდეგ მისმა შვილმა ზევესმა დაიჭირა მისი ადგილი ⴃ ქრონოსი ჩამოაგდო ტახტიდამ. ზევესმა ჯავრი ამოიყარა აგრეთვე ტიტანებისა, რომელნიც ღმერთების შთამომავლობისანი იყვნენ ⴃ ესმარებოდენ ქრონოსს. ტიტანების შთამომავლობისა იყო აგრეთვე **პრომეთეოს**, რომელსაც ამ ბრძოლაში ზევესის მხარე ეჭირა; მაგრამ გამარჯვების შემდეგ ზევესი მაინც ცდილობდა მის დაღუპვას, რადგან **პრომეთეოს** იყო ძლიერი შთამომავალი ტიტანებისა ⴃ ბედავდა ხოლმე ზევესის წინააღმდეგობასა. ზევესმაც მალე უპოვნა მიზეზი რისხვისა ⴃ დასჯისათვის.

ამ დროს კაცობრიობა წარმოადგენდა საბრალო ⴃ უძლურ ტომს, უგუნურს ⴃ უიმედოს. ადამიანები, თუმცა თვალხილულნი იყვნენ, მაგრამ ვერას ხედავდენ; თუმცა ყურები სალი ჰქონდათ, მაგრამ არა ესმოდათ რა; როგორც აჩრდილნი ისე დადიოდენ უაზროდ ⴃ უგზოუკვლოდ; არ იცოდენ ჯერ არც სანათი, არც ქვის სახლები, ⴃ არც

ხუროთ-ხელოვნება; ჭინჭველებივით მიწის ორმოებში ცხოვრობდენ და უსინათლო მღვიმეებში ბუდობდენ; ვერ იტყობდენ სიახლოვეს ვერც ზამთრისას, ვერც ყვავილოვან გაზაფხულისას და ვერც მოსავლიან შემოდგომისას; რასაც კი აკეთებდენ, სულ მოუფიქრებლად და ურიგოდ აკეთებდენ. ეს საწყალი ადამიანები შეიბრალა პრომეთეოსმა. პრომეთეოს წავიდა ლემნოსის კუნძულზე და თავისის მეგობრის, ჰეფესტის, სამჭედლოში, მოსისხლის მთაზე, იშოვა ღვთაებრივის ცეცხლის ნაპერწკალი, მიუტანა ადამიანებს და ასწავლა ყოველი ხელოვნება და ყოველი მეცნიერება. აუხსნა მნათობთა ამოსვლა და ჩასვლა; ასწავლა თვლა და ანბანის ხმარება და მისცა ძალა მეხსიერებისა,—ეს საფუძველი ყოვლის მეცნიერებისა. ადამიანებისთვისვე შეაბა მან უღელში გარეული მთის ხარი და ეტლში—ამპარტავანი ცხენი; ზღვაზე სასიარულოდ კი აუშენა ხომალდი და ხელის იალქნების ფრთები შეასხა. მასვე ასწავლა ადამიანებს პოვნა, ამოღება და მოხმარება მიწაში დაფლულ საუნჯესი, სპილენძისა და რკინისა, ოქროსი და ვერცხლისა. წინად, ვისაც კი სნეულება შეხვდებოდა, მორჩენის იმედიც არა ჰქონდა, არ იცოდენ არაფერი წამალი, არც დასალევი და არც საცხები. პრომეთეოსმა კი ასწავლა ადამიანებს შემზადება იმისთანა წამლებისა, რომლებიც არჩენდა ყოველ გვარ სნეულებას. ეგრე ასწავლა პრომეთეოსმა კაცთა ნათესავს ყოველი ხელოვნება, რაც კი გამოსადეგი იყო ცხოვრებისათვის. ამრიგად ველური და უძლური კაცობრიობა შეიქნა წარმატებული და ბედნიერი.

ამისთანა საქციელისათვის, განსაკუთრებით ღვთაებრივის ცეცხლის მოტაცებისათვის ზევსი გაურისხდა პრომეთეოსს. თუმცა პრომეთეოსის დედა, თემიდა, აფრთხილებდა და უწინასწარმეტყველებდა, რომ მაგისთანა ურჩობისათვის ზევსი კლდეზე ჯაჭვით მიგაბამს და ოცდა ათი ათასის წლის განმავლობაში აგრე დაგტანჯავსო, მაგრამ პრომეთეოსს არ ეშინოდა ზევსის რისხვისა: მისი ამპარტავანი სული და კაცობრიობისადმი სიყვარული დალუპვას უმზადებდა მას.

ზევსს უხაროდა, რომ ამპარტავან და ურჩს ტიტანს მიზეზი უპოვნა და თავის ნების აღმასრულებელთ „ძალას“ და „უფლებას“ უბრძანა, შეიპყარით პრომეთეოსი, წაიყვანეთ სკვითების ქვეყანაში, დე-

და-მიწის კიდეზე და იქ მიაჯაჭვეთ კავკასიის სალს კლდეზე, რომელსაც ეჯახებიან ზღვის ტალღებიო. ეს საქმე სისრულეში უნდა მოიყვანოს ჰეფესტმა, მაგრამ ჰეფესტს გულით არ ჰსურს იმისი აღსრულება, რადგან დიდის-ხნის მეგობარია პრომეთეოსისა. ჰეფესტი ადებს პრომეთეოსს შეუმუსრავ რკინის ჯაჭვებს ხელებსა და ფეხებზე, გვერდებსა და თეძოებზე და ადამანტის პალოთი უგმირავს გულსა. ჰეფესტი ოხრავს და სწუხს, რომ იძულებულია თავისი მეგობარი შეჰბოჭოს რკინის ჯაჭვებით. ამავე დროს მისი უშვერი მსლებელნი-კი დასცინიან საბრალო მიჯაჭვულს და უზრდელის სიტყვებით ამტყუნებენ და ეუბნებიან, თვით შენმა თავ-ხედმა ამპარტავნობამ დაგღუპაო. მაგრამ პრომეთეოს ამპარტავნულად და შეუპოვრად მდუმარებს და ერთხელაც არ ამოუოხვრია. როდესაც კი მისი მტარვალები წავიდნენ და თვითონ მარტოკა დარჩა, მხოლოდ მაშინ დაიწყო ხმა-მაღლა ჩივილი, რომ ასეთს წვალებასა და სასჯელში ჩავარდა. მისი ხმა ისმოდა შორს, ზღვის კლდოვან ნაპირებზე. ყველაზე უფრო ის აწუხებდა, რომ ამ წვალებას იტანდა კეთილის საქმისათვის და კაცობრიობის გაბედნიერებისათვის.. ამიტომაც თავისი წინააღმდეგობა ზევესისადმი სამართლიანად მიაჩნდა.

ოკეანეს მშვენიერ ქალებს რა მოესმათ ხმაურობა კვერისა, რომლითაც წვალებული მიაკრეს კლდეს, მაშინვე მიიფრინდენ პრომეთეოსთან და ურჩიეს, ზევესს დაემორჩილე და ბოდიში მოიხადეო. მალე თვითონ ოკეანეც მივიდა და იგივე ურჩია და ამასთან თვითონ მოინდომა ზევესთან წასვლა და პრომეთეოსისათვის პატიების გამოთხოვნა, მაგრამ პრომეთეოს არ დათანხმდა და გადასწყვიტა, ტანჯვის ფიალას ბოლომდე შევსვამ, ვიდრე თვით ზევესის რისხვა არ დასცხრებაო.

პრომეთეოს პირ-იქით თვითონ ემუქრება ზევესს, რადგან მის ხელშია ზევესის ბედი. მან იცის, რომ ზევესი დაწყევლილია თავის საკუთარის მამის ქრონოსისაგან, რომელიც ზევესმა ტახტიდამ ჩამოაგდო. მამის დაწყევლის ძალით თვითონ ზევესს მოელის ტახტიდამ ჩამოგდება საკუთარის შვილისაგან, უკეთუ მან შეირთო ერთი ქალღმერთი, რომლის სახელი მარტო პრომეთეოსმა იცის თავის გულთმისანის დედისაგან. ამ საიდუმლოს არას გზით არ გაუმხელ ზევესსა, უკეთუ ბორკილებისაგან არ განმათავისუფლებსო. თუ ზევესი არ გან-

მათავისუფლებსო, — ამბობდა პრომეთეოს, — მისი ტახტი დაიმხობა და თვითონაც დიდის სირცხვილით ძირს იქნება ჩამოგდებულიო.

ამ მუქარამ მიაღწია ზევსის ყურამდე ზეცაში და ზევსმა გაუგზავნა პრომეთეოსს მოციქული, რომლის პირით უბრძანა, გამიმხილე ეგ საიდუმლო, თორემ მეხითა და ქუხილით დავანგრევ მაგ კლდესაო, ჩაგაგდებ ბნელს ქვესკნელშიო და იქ რამდენსამე ათასის წლის განმავლობაში დაგტანჯავო და რომ კიდეც დაბრუნდე ამ ნათელ-ქვეყანაში, გამოგზავნი მძლავრსა და გაუმაძღარს ძერას, რომელიც დაგიწყებს მაგ ტანჯულ სხეულის გლეჯას და ამოგიჭამს გულ-ღვიძლსაო. პრომეთეოსი ვერ შეაშინა ამ მუქარამ და უპასუხა, რომ ჩემს საიდუმლოს მაინც არ გაგიმხელ, გინდ ჩემს გარეშემო ყოველიფერი დაინგრესო. ამის შემდეგ ზევსმა სისრულეში მოიყვანა თავისი მუქარა.

მთელი ათასის წლობით მიჯაჭვული პრომეთეოს ბნელსა და ღრმა კლდის ნაპრალში იტანჯებოდა, მაგრამ გული მისი ვერაფერმა ვერ შეარყია. თუმცა ზევსის ბრძანებით მან სინათლე ხელახლავ დაინახა, მაგრამ კიდევ რამდენიმე ათასი წელიწადი ეკიდა კლდეზე მიბმული და შეუბრალებელი ძერა გლეჯდა მის გულ-ღვიძლსა, როგორც ოდესმე დაემუქრა ზევსი. მიუცილებლად ყოველ მესამე დღეს ფრთა-მძლავრი ძერა ჩამოფრინდებოდა ხოლმე მაღლიდამ, ჩაასობდა თავისს მძაფრ ბრჭყალებს ტანჯულ გულ-მკერდში და ნისკარტით გლეჯდა ღვიძლსა, რომელიც მესამე დღემდე ისევ გაუმთელდებოდა ხოლმე. საუკუნეების განმავლობაში იარებიდამ გადმომდინარე სისხლი ტანზედ უგროვდებოდა და შემდეგ მხურვალე მზისაგან თბებოდა და წვეთავდა ქვიან მიწაზე.

ბოლოს პრომეთეოსიც მოიღალა. მას ჰსურს შერიგება და განთავისუფლება. უწინდელი მისი თანამოზიარენი, ტიტანები, დიდისანია, რაც დაემორჩილენ ახალ წეს-წყობილებას ქვეყნისას და მოურიგდენ ზევსსა. ბორკილებისაგან განთავისუფლებულნი ამოვიდნენ ისინი ხელ-ახლავ ქვესკნელიდამ, მივიდნენ თავის უბედურ ნათესავთან და ურჩიეს, დამორჩილდიო. აი, აგერ მოვიდა თემიდაც, მოხუცებული, წელში მოხრილი დედა პრომეთეოსისა, და შეატყობინა, რომ ზევსი ახლა აპირობს იმის შერთვას, ვისაც მისი დაღუპვის მიზეზი უნდა გახდესო. „აი, ახლა მოისურვებს ზევსი შენთან შერიგებას და გთხოვს რჩევა-

საო; ეს უკანასკნელი შემთხვევაა თავის დახსნისათვის და ნუ დაჰკარგავ ამ შემთხვევასაო.“

ზევსს შესმა გონიერ თემიდის სიტყვები და უბედურების აცდენისათვის გაიფიქრა პრომეთეოსთან შერიგება. დროს განმავლობაში უფლების-მოყვარე ზევსიც დასცხრა: ტახტი მისი ისე მკვიდრად სდგას, რომ ტიტანები აღარ არიან მისთვის საშიშნი.

ზევსმა უბრძანა მაშინ ერთს თავის შთამომავალთაგანს, ჰერაკლეს, რომელიც იმ ხანად დედა-მიწაზედ მოგზაურობდა, მისულიყო პრომეთეოსთან და მოეკლა მის გულზე გაუმაძღარი მერა. ჰერაკლემ შეასრულა ზევსის ბრძანება. პრომეთეოს განთავისუფლდა და ნიშნად თავის ტყვეობისა და აგრეთვე ნიშნად ზევსისადმი დამორჩილებისა და ერთგულებისა თავზე დაიდვა ტირიფის გვირგვინი და ხელზე ატარებდა ამიერიდგან რკინის ბეჭედს, რომელშიაც თვლად ჩასმული იყო კავკასიის კლდიდამ მოტეხილი ქვა.

---

## ბ) არგონავტების მოგზაურობა კოლხიდაში

(XIV საუკ. ქრ. წინ).

საბერძნეთში, ბეოტიის სამეფოში, ორხომენის ქალაქში, ცხოვრობდა მეფე ათამასი. პირველ ცოლის ღვთიურ ნეფელასაგან ეყოლა მას ვაჟი ფრიქსი და ქალი ჰელლა. როცა ათამასმა ნეფელას გარდა შეირთო კიდევ ცოლად ბეოტიის ხელმწიფის ქალი, სიკვდილის შვილი ინო, მაშინ განრისხებულმა ნეფელამ მიატოვა ათამასი და მას აქედ მუდამ უბედურება სდევნიდა ათამასის ოჯახს. ბოროტი დედინაცვალი ინო ცდილობდა თავიდგან როგორმე მოეშორებინა ფრიქსი და ჰელლა.

ნეფელამ რომ გაიგო ამისთანა განზრახვა ინოსი, გამოგზავნა თავის შვილების დასახსნელად ოქროს მატყლოვანი ვერძი. ამ ვერძმა ყმაწვილები ზურგზე შეისვა, ჰაერში ააფრინა, გადაატარა მთები და მინდვრები და, როცა მიაღწია იმ ზღვას, რომელსაც ახლა უწოდებენ

დარდანელად, ჰელლა ჩამოუვარდა და დაირჩო. ამის გამო იმ ზღვას დაერქვა ჰელლესპონტი ანუ ჰელლას ზღვა. ფრიქსმა კი ჰაერის სივრცეში დიდხანს მოგზაურობის შემდეგ მიაღწია ეას ქვეყანას ანუ კოლხიდას, რომელიც მდებარეობდა შავის-ზღვის აღმოსავლეთის კიდეზე, სადაც მდინარე ფაზისია. აქ ბრძანებლობდა სახელ-განთქმული მეფე-გრძნეული აეტი, შვილი მზის ღმერთის, ჰელიოსისა. აეტმა სიყვარულით მიიღო ფრიქსი, და, როცა ეს ყმაწვილი ჰასაკში მოვიდა, შერთო მას თავისი ქალი ხალკიოპი. ფრიქსმა თავის გადარჩენისათვის, მადლობის ნიშნად, მსხვერპლად შესწირა ზევსს თავისი ვერძი და იმისი ოქროს საწმისი (მატყლი) მიართვა მეფე აეტს. აეტმა ეს ძვირფასი საუნჯე ჩამოჰკიდა მუხაზე საღმთო ჭალაში და დარაჯად დაუყენა საშინელი დრაკონი, რომელიც არასოდეს არ იძინებდა. აქ ამისთანა სანდო დარაჯის ხელში ეს ოქროს საწმისი დიდ-ხანს ეკიდა. იმისი აქედამ წაღება მეტის-მეტად საძნელო და საშიშ საქმე იყო. ამის თაობაზე ხმა გავრცელებული იყო მთელს საბერძნეთში და ფრიქსის ნათესავებს ჰსურდათ, უკან დაებრუნებინათ ოქროს საწმისი, რადგან ამაზე იყო დამოკიდებული მთელი იმათი გვარეულობის ბედი და კეთილდღეობა.

ამ ნათესავთა შორის იყო ფრიქსის ბიძის შვილის შვილი — იაზონი, ჭაბუკი ოცის წლისა, სრული ძალითა და სილამაზით. ხელში ეჭირა მას, მაშინდელ გმირთა ჩვეულებისამებრ ორი მაგარი ლახვარი. ტანს ეცვა ჩვეულებრივი მაშინდელი ბერძნული ტანისამოსი, მხოლოდ მხარზე ეკიდა წვიმისაგან დასაფარავად ჭრელი ვეფხვის ტყავი. ეგრე აღჭურვილმა იაზონმა შემოიარა მთელი საბერძნეთი და, სადაც კი მივიდოდა, მაშინდელ გამოჩენილ გმირებს იწვევდა კოლხიდისაკენ გასალაშქრებლად. ყველანი სიამოვნებით დაეთანხმენ და წაჰყვნენ კოლხიდაში. იაზონის თანამგზავრნი სხვათა შორის იყვნენ: სახელგანთქმული მომღერალი ორფეოს, კასტორი, პოლიდევკი ანუ პოლუქსი, პელე, ჰერაკლე, თეზეოს და სხვები. გასამგზავრებლად მომზადებული გმირები შეიკრიბენ ქალაქს იოლკოსში, სადაც დახვდათ დამზადებული მშვენიერი ხუთ ნიჩბიანი ხომალდი, მეტად მჩატე და მსწრაფმოსიარულე. ეს იყო დიდი ხომალდი, რომლითაც ბერძნებმა გაბედეს

შუა ზღვაში სიარული. ეს ხომალდი არგოსმა ააშენა ათინას შემწეობით და ამიტომ თვითონ ა რ გ ო ერქვა და იმაში მსხდომარე გმირებს — ა რ გ ო ნ ა ვ ტ ე ბ ი.

ბევრი იარეს არგონავტებმა და მერმე მიაღწიეს არეტიასის კუნძულს. აქ გამოვიდნენ ნაპირზე და ნახეს სამი ახალგაზრდა ვაჟი დაკონკილ ტანისამოსით და მეტად საბრალო შესახედულებისა. აღმოჩნდა, რომ ესენი ფრიქსის შვილები იყვნენ, რომელთაც მამამ თურმე სიკვდილის დროს ანდერძად დაუტოვა, დაბრუნდით სამშობლოში, ქალაქს ორხომენს, ათამასის მდიდარ სასახლეშიო. მამის ანდერძის შესასრულებლად ეს ახალგაზრდა ყმაწვილები დიდის იმედით გამგზავრებულიყვნენ საბერძნეთისაკენ იმ ხომალდით, რომელიც მისცა მათმა პაპამ, დედის მხრით, აეტმა. მაგრამ გზაში ერთ ბნელ ღამეს საშინელი ღელვა ატეხილიყო, მათი ხომალდი დამსხვრეულიყო და მგზავრები გამოეგდო ხსენებულ კუნძულზე, სადაც შემდეგ მოადგა იაზონი თავის თანამოგზაურებით. არგონავტებს ამ ჭაბუკებმა სთხოვეს ტანისამოსი და საჭმელი. ამასთანავე აუხსნეს თავისი ვინაობა. არგონავტებმა, რა საკვირველია, შემოსეს და გააძღეს ისინი. მაშინ უთხრა მათ იაზონმა, რომ პაპით თქვენი ნათესავი ვარ და კოლხიდაში მივდივარო. ოქროს საწმისის საშოვნელად და სთხოვა, წინ გაგვიძეხით და შემწეობა აღმოგვიჩინეთ ამ ძნელ საქმეშიო. ფრიქსის შვილები გაოცდნენ ამ ამბავზე და უპასუხეს არგონავტებს: „დიდის სიამოვნებით შეგეწევით, მაგრამ იცოდეთ, რომ აეტი სასტიკი და მძაფრი მეფეა, ის ბრძანებლობს დიდს და ძლიერ ხალხში, რომელიც მეტად ერთგულია მისი. თვით აეტმა რომ კიდეც მოინდომოს ოქროს საწმისის მოცემა, ამ საწმისს მაინც ვერავინ ვერ გამოგლეჯს იმ საშინელ დრაკონს, რომელიც უდარაჯებს მას.“

ამ სიტყვებმა ძლიერ დაალონა არგონავტები, გარდა პელევსი, რომელმაც გაამხნევა თავისი ამხანაგები და უთხრა, რომ აეტი ჩვენ ვერ მოგვერევა, რადგან ჩვენს ძარღვებში ღმერთების სისხლი სდგასო. ამ სიტყვებით გამხნევებული არგონავტები დაღამებამდე მხიარულად მუსაიფობდნენ. მეორე დილას კი ფრიქსის შვილებითურთ განაგრძეს მოგზაურობა. ერთი დღე და ღამე იარეს ზღვაში და მეორე დღეს დაი-

ნახეს შორიდამ კავკასიის მაღალი მწვერვალნი. კავკასიის ერთ კლდეზე მაშინ მიჯაჭვული იყო პრომეთეოს და მძაფრი ძერა ღვიძლებს გლეჯდა. საღამოს, როცა სიბნელემ ქვეყანა დაჰფარა, მოგზაურთ თავს გადაუფრინდათ ძერა, რომელიც მიისწრაფოდა თავის მსხვერპლისაკენ. თუმცა ის ძლიერ მაღლა ფრინავდა, მაგრამ თავის მძლავრის ფრთების ქნევით საშინლად არყევდა ხომალდის იალქნებს, თითქოს ძლიერი ქარი ამოვარდაო. მალე არგონავტებს მოესმათ ოხვრა და საშინელი კვნესა ტიტანისა: ძერა გლეჯდა მის გულ-ღვიძლსა. რამდენისამე ხნის შემდეგ ძერა უკან მოფრინავდა იმავე გზით.

იმავე ღამეს არგონავტები მივიდენ იქ, სადაც კოლხიდის მდინარე ფაზისი ერთვის ზღვას. მხიარულად ჩამოუშვეს იალქნები, დაჰკრეს ნიჩბები და მდინარის სათავისაკენ გააქანეს ხომალდი. მარცხნით დარჩათ კავკასიის მთები და აეტის სატახტო ქალაქი და მარჯვნით—საღმთო მინდორი და არეის ჭალა, სადაც დრაკონი დარაჯობდა ოქროს საწმისს. იაზონი სკამზე წამოდგა, ხელში აიღო წმინდა ღვინით სავსე ოქროს თასი და საკურთხი ღვინო მდინარეში გადააქცია. ამ რიგად იაზონმა შესაწირავი მიართვა დედა-მიწას, ადგილობრივ ღმერთებს და განსვენებულ გმირთა სულებს და შეევედრა არგონავტების წარმატებისათვის. შეწირვა რომ გაათავეს, არგონავტებმა ფრიქსის უფროსის შვილის რჩევით მდინარის ნაპირას მიაყენეს ხომალდი. აქ ბლომად იზრდებოდა მაღალი ლერწამი. ხომალდი დააბეს და ცოტა ხნის შემდეგ დაიძინეს. მაგრამ მათი ძილი არ იყო გულიანი და არც ხანგრძლივი. მალე მოწმენდილს ცაზე გამოჩნდა განთიადი.

მაშინვე არგონავტები ადგნენ და დაიწყეს თათბირი. „მეგობრებო, უთხრა იაზონმა, აი, როგორ სჯობს, ჩემის აზრით, მოვიქცეთ. თქვენ დარჩით აქ ხომალდზე; მე წავიყვან თქვენგან ორს და ფრიქსის შვილებს და წავალ აეტთან. შეიძლება ნება-ყოფლობით მოგვცეს ჩვენ ოქროს საწმისი: ხშირად კეთილის სიტყვით უფრო მეტი გარიგდება, ვიდრე ძალით. თვით აეტმა არ იყო, ფრიქსი კარგად მიიღო და ბინა მისცა. უკეთუ ჩვენმა თხოვნამ არ გასჭრა და აეტმა გვაიძულა ძალა ვიხმაროთ, მაშინ დავბრუნდებით და ერთად ვარჩიოთ, როგორ მოვიქცეთ“. ყველანი დაეთანხმენ იაზონს ამისთანა რჩევაზე და იაზო-

ნი თავის მხლებლებით წავიდა აეტის სასახლისაკენ. როცა ისინი მივიდენ აგრეთ წოდებულ კირკეის მინდორზე, საოცარი სანახავი იხილეს: ხეებზე ჯაჭვებით ჩამოკიდებული იყო მრავალი კაცის ლეში. ეს ლეშები არც დამნაშავეებისა იყო და არც მტრესისა. თურმე ასეთი ჩვეულება ჰქონდათ კოლხიდელებს, რომ მამა-კაცის ლეშს არც მიწაში ჩაფლავდენ და არც ცეცხლში სწვავდენ, არამედ გაახვევდენ ხარის ტყავში და ჩამოჰკიდებდენ ხეზე. ამ რიგად ლეში ჰაერში ისრწნებოდა. დედაკაცის ლეშს კი მიწაში ჩამარხავდენ ხოლმე, და ამ გზით ჰაერსაც და დედამიწასაც თავ-თავისი წილი თანასწორად ჰხვდებოდათ.

არგონავტები მიდიოდენ აეტის სატახტო ქალაქის ქუჩებში, რომელიც სავსე იყო ხალხით. მიუახლოვდენ სასახლეს და გაკვირდენ მისი სიდიდით და სიმშვენიერით. სასახლის მაღალ კედლების ირგვლივ იდგა მრავალი კოშკი განიერის ალაყაფის კარებით და რამდენიმე წყება სვეტებისა. არგონავტები ჩუმად შევიდენ სასახლის ეზოში, სადაც იდგა ოთხი შადრევანი, რომელსაც ჰფარავდა ხშირ ფურცლოვანი და ჩრდილოვანი ვაზები. ერთ შადრევანისაგან ამოდიოდა რძე; მეორესაგან — ღვინო; მესამისაგან — სუნელოვანი ზეთი და მეოთხესაგან — წმინდა და ბროლივით ანკარა წყალი, რომელიც ზამთრობით თბილი იყო და ზაფხულობით კი ცივი, როგორც ყინვა. სხვა სასწაულთა შორის არგონავტებმა იხილეს კიდევ აეტის ხარები, რომელთაც თავი და ფეხები სპილენძისა ჰქონდათ და პირიდამ ამოსდიოდათ საშინელი ალი. ყოველივე ეს აეტს გაუმართა ჰეფესტმა, ღმერთმა ცეცხლისამ. ჰეფესტმა გარდა ამისა გაუკეთა აეტს მთლად რკინის გუთანი. არგონავტებმა მშვენიერ სვეტების იქით დაინახეს სასახლეში შესავალი ორმაგი კარები. სასახლეში იყო ორი დარბაზი: ერთში იდგა თვითონ აეტი თავის ცოლით და მეორეში — მისი შვილი, მშვენიერი აპსირტი თავის ცოლით. ამ დარბაზთა გარშემო იდგა კიდევ ორი სახლი და იქ ცხოვრობდენ აეტის ორი ქალი: ერთში ფრიქსის ქვრივი ხალკიოპი და მეორეში — გაუთხოვარი მედეა, რომელიც იყო მოგვთა დედა-ღმერთის, ჰეკატეს, ქურუმი. ჩვეულებრივ მედეა ყოველ დღე ტაძარში დადიოდა და საღამომდე იქ რჩებოდა; მაგრამ იმ დღეს კი შინ დარჩენა მოისურვა. არგონავტები რო სასახლის ეზოში შევიდენ,

სწორედ იმ დროს მეფე თავის სადგომიდამ გამოვიდა და ხალკიოპის სანახავად მიდიოდა. უცხო არგონავტების დანახვაზე შეშინებულმა მეფემ დაიკივლა. კივილზე ხალკიოპმა და მისმა მოახლეებმა მიატოვეს რთვა-ქსოვა და გამოვარდნენ გარეთ. ხალკიოპმა მოსულთა შორის დაინახა თავისი შვილები; მაშინვე მივარდა და სიხარულით გადაეხვია. ღმერთებს ცრემლით მადლობა უძღვნა მათის მშვიდობით დაბრუნებისათვის. ხალკიოპის მხიარულ ხმაურობაზე დარბაზიდამ გამოვიდა აეტი თავის ცოლით. სასახლეში მალე დიდი ამბავი და მზადება დაიწყეს. ზოგი მოსამსახურე ხარს ჰკლავდა, ზოგი შეშას სჭრიდა და ზოგი სტუმრების ფეხის დასაბანად წყალს ათბობდა.

რაკი სტუმრებს ფეხები დაბანინეს, სადილადაც მალე დასხდნენ. გმირებმა დაიწყეს ჭამა და ღვინის სმა. სადილზევე აეტმა გმირების მოსვლის მიზეზი იკითხა. იაზონმა მოახსენა, რომ ოქროს საწმისის საშოვნელად მოვედი ჩემის მხლებლებითაო. აეტმა იფიქრა, რომ იაზონი ცრუობს და საბერძნეთის გმირების მოსვლის მიზეზი უფრო კოლხიდის დაპყრობის სურვილიაო და ამიტომ ძლიერ გაჯავრდა, მაგრამ იაზონმა დაწვრილებით უამბო თავისი გარემოება და დაარწმუნა აეტი, რომ მისგან იაზონს არაფერი არ უნდოდა გარდა ოქროს საწმისისა. აეტი დასცხრა, მაგრამ ოქროს საწმისი მაინც ასე ადვილად არ მისცა. „რიგი არისო, უთხრა აეტმა იაზონს, რომ კაცმა მხოლოდ თავის მეგობარს ან ტოლს დაუთმოს რამეო; ამიტომ, თუ გინდა წაიღო, რისთვისაც მოსულხარ, ეცადე შეასრულო ის საქმე, რასაც მე ყოველ დღეს ჩემის ხელით ვაკეთებო.“

„ეს საქმე ვერავისათვის ვერ მიმინდვია, რადგან ძლიერ საშიში არისო. არეის მინდორზე სძოვს ბალახს ორი სპილენძ-ჩლიქებიანი ხარი, რომლებსაც ნესტოებიდამ ალი ამოსდით. ამ ხარებით მე ვხნავ იმ მინდორს, სადაც ვთესავ, პურის თესლს კი არა, არამედ დრაკონის კბილებს. ამ დათესილზე ამოდიან აბჯროსანი გმირები, რომელნიც გარს შემომეხვევიან ხოლმე და მეც ვხოცავ ლახვარით. თუ ამ საქმეს შეასრულებ შენ, ოქროს საწმისიც შენი იქმნება, თუ არა და— შენ იმისი ღირსი არ იქმნები და ჩემს სამეფოდამაც უნდა გამეცალო.“

იაზონი მიხვდა, რომ ეს საქმე ძლიერ საშიში იყო, მაგრამ

მეტი ღონე აღარ ჰქონდა და აეტის წინადადებაზედ დათანხმდა და შემდეგ ამისა გამოვიდა სასახლიდამ.

მედეა კი თავის სადგომიდამ უცქეროდა და თვალს არ აშორებდა ამ უცხო ქვეყნელს, რომლის სიყვარული გულში ჩავარდნოდა. რაკი მედეა მარტო დარჩა თავის სადგომში, ლოყებზე ცრემლები ჩამოუვარდა და თავის მფარველ ქალ-ღმერთს დაუწყო ვედრება, გადაარჩინე იაზონი იმ საშინელ განსაცდელს, რომელიც მას მოელისო.

როცა ამ მწუხარებაში იყო მედეა, გამოვიდა მასთან მისი და ხალკიოპე. ხალკიოპის შვილმა არგოსმა არგონავტებს ურჩია, თქვენ თვითონ ნურას მოიქმედებთ ამ საქმეში და მე დედაჩემს ვათხოვნინებ მედეასთვის, რომ იგი თავის მისნობით შეეწიოს იაზონს და გამოიხსნას იმ უბედურებისაგან, რომელიც მას მოელისო. თუ მედეა დაგვეხმარა, ჩვენ არარაფერი გვიშავსო. სწორედ ამისთანა სათხოვარით მოვიდა მედეასთან მისი და ხალკიოპე. მედეას ესიამოვნა, ასეთი თხოვნა რომ გაიგონა თავის დისა. იმას თვითონაც ჰსურდა იაზონს დახმარებოდა, მაგრამ რცხვენოდა. ხალკიოპემ კი აუხსნა, რომ იაზონის გადარჩენით ჩემს შვილებსაც დაიხსნიო, რადგან იაზონის დაღუპვის შემდეგ აეტს განზრახვა აქვს მოჰკლას ყველა მისი თანა-მოგზაურები და აგრეთვე ჩემი შვილებიცაო. მედეა თავის დას შეჰპირდა, იაზონს დავიხსნიო, იმისთანა თილისმას მივსცემ, რომლის შემწეობით დაიმორჩილებს ხარებსაო, მაშ ნუღარ სწუხარ შენს შვილებზე; მხოლოდ რაც მითხარი, საიდუმლოდ შეინახე, რომ დედ-მამამ არ გაგვიგოსო.

ხალკიოპე წავიდა შინ. მედეა მარტო დარჩა და მთელი ღამე ვეღარ დაიძინა. მის დაღონებულ გულში იბრძოდა სხვა და სხვა გრძნობა: სირცხვილისა და სიყვარულისა, სიბრალულისა და შიშისა. სტიროდა და თრთოდა, და ვერ შეიძლო დამშვიდება. ხან გადასწყვეტდა, ჯერ უცხოელ გმირს გადავარჩენ და მერმე თავს მოვიკლავო და ხან იფიქრებდა — ახლავე, ამაღამვე მოვიკლავ თავსაო; მაშინ მამულის და მშობლების მოღალატე აღარ შევიქნებიო. ამ განზრახვით გაადო ყუთი, რომელშიაც ჰქონდა სხვა და სხვა წამლები და საწამლავები. ამოიღო იქიდამ საშინელი საწამლავი და უნდოდა დაელია, მაგრამ ამ დროს სი-

ცოცხლის სურვილი გაეღვიძა, მოაგონდა ყმაწვილობის ნეტარი დროება და მეგობრები, რომელთანაც ყმაწვილობის ჟამს ერთად თამაშობდა. სიცოცხლე ისე ტკბილი ეჩვენა ახლა, როგორც არასოდეს არ სჩვენებია, და სიკვდილისა ძლიერ შეეშინდა. სიცოცხლის სურვილმა შეაცვლევინა გადაწყვეტილება და იაზონის დახსნა გადასჭრა, რისთვისაც გათენებას მოუთმენლად მოელოდა.

მეორე დღეს დილა-ადრიანად ამოიღო ყუთიდამ წასაცხები წამალი, რომელსაც ერქვა პრომეთეოსის წამალი. ვინც ამ წამალს ტანზედ წაიცხებდა, იმას იმ დღეს ვერ ავნებდა ვერც რკინა, ვერც ცეცხლი და ვერც რომელიმე მტერი. ასეთი წამალი კეთდებოდა ერთი მცენარის ძირის შავის წვენისაგან. ეს მცენარე მოდიოდა კავკასიის მთებში და იზრდებოდა პრომეთეოსის სისხლით. მედეა ბნელ ღამეში აგროვებდა ხოლმე ამ მცენარის წვენს. ეს წამალი მედეამ წაიღო და წავიდა ჰეკატეს ტაძარში; იქ მივიდა იაზონიც. წამალი გადასცა იაზონს და უთხრა: „აი როგორ შეგიძლია გიხსნა შენ იმ ფათერაკისაგან, რომელიც მოგელის: როცა მამა ჩემი მოგცემს დრაკონის კბილებს, შენ ჩაიცვი შავი ტანისამოსი და შუაღამისას მდინარეზე მარტო წადი; მდინარის ზვირთებში ტანი დაიბანე, მერმე იქვე ორმო ამოთხარე, იმ ორმოზე ცეცხლი გააჩაღე და ცეცხლზე მსხვერპლად ბატკანი მიიტანე; შემწვარ ბატკანს დაასხი თაფლი და შეევედრე ძლიერ ჰეკატეს. როცა იქიდამ დაბრუნდები, გზაზე არ დაიბნე და ძაღლების ყეფას არ მიჰყვე, უკან არ მიიხედო, თორემ შენი მიტანილი მსხვერპლი ვერ გიპატიებს. დილას აიღე ეს წასაცხები წამალი, წაისვი ტანზე და აგრეთვე წაუსვი შენს ფარს, ლახვარს და მახვილს. მაშინვე იგრძნობ დიდს და უზომო ძალას. ვეღარას გავნებენ მაშინ ვერც ის გმირები, რომელნიც დრაკონის კბილებისაგან მიწიდამ ამოვლენ და ვერც ხარების ალი. თუმცა ამისთანა ძალას ეს წამალი მხოლოდ ერთის დღისთვის შეგძენს, მაგრამ ამან არ შეგაშინოს და უარი არ განაცხადო იმაზე, რაც დაგსაქმეს. ამასთანავე ისიც უნდა გითხრა, რომ როცა დრაკონის კბილებს დათესავ და დაინახავ, რომ მიწიდამ ჯგუფ-ჯგუფად ამოდიან გმირები, მაშინ ქვა ესროლე და ისინი, ვითარცა ძაღლები გადაგდებულ ლუკმის გამო, ერთმანეთს დაუწყე-

ბენ ჩხუბს; ამ დროს თავზედ დაეცი და დახოცე. ამ გზით იშოვნი ოქროსს საწმისს და წაიღებ თან ელლადაში. დიაღ, წაიღე, სადაც გინდოდეს და სადაც მიიწევს შენი გული.“

იაზონმა ბეჯითად შეასრულა მედეას რჩევა და მართლაც გაიმარჯვა იმ საქმეებში, რაც აეტმა დაავალა.

აეტი დაღონდა, რაკი დაინახა იაზონი გამარჯვებული. მოიხმო დიდებული კოლხიდელები და მთელი ღამე მათთან თათბირი ჰქონდა იმის თაობაზე, თუ როგორ მოვახერხოთ, რომ არ მივცე არგონავტებს ოქროს საწმისი და როგორ დავღუპოთ ისინი. მეფე საშინლად განრისხდა, როცა გაიგო, რომ მედეამ უღალატა და მხოლოდ მისის შეწევნით გაიმარჯვა იაზონმაო. მედეა ძლიერ შეშინდა, რაკი გაიგო, რომ მამას ყოველივე შეუტყვიათ და გადასწყვიტა, მამის სახლში დარჩენის პირი აღარა მაქვსო; იმავე ღამეს გაიპარა სახლიდამ და მივიდა არგონავტების ხომალდზე. აქ იაზონს უამბო თავისი გაჭირვება და სთხოვა დამიფარეო. რაკი იაზონმა ფიცი მისცა, რომ სირცხვილს არ გაჭმევ და ცოლად შეგიყვან ჩემს სახლში, უკეთუ მეღირსა სამშობლოში დაბრუნებაო, მედეამ დაიმედა, ოქროს საწმისს უსათუოდ მოგატაცინებო და მაშინვე წაიყვანა იაზონი ჭალაში, სადაც ის საწმისი იყო დაცული. საწმისის მცველი დრაკონი მედეამ ჯერ შელოცვით დააუძლურა; მერმე ჯადოსნური წამლის რამდენიმე წვეთი შეასხა თვალებში და სულ დააძინა. ამის შემდეგ იაზონმა ადვილად ჩამოიღო ხიდამ ოქროს საწმისი და გასწია მედეასთან ერთად ხომალდისაკენ. არგონავტებმა მაშინვე ხომალდი აუშვეს და საჩქაროდ დაბრუნდენ შინისაკენ. მართლაც რომ საჭირო იყო მათთვის საჩქაროდ გაქცევა, რადგან აეტმა იმავე დღეს გაიგო, რომ მედეას შეჰყვარებია იაზონი და მასთან ერთად გაქცეულა და ოქროს საწმისიც მოუტაცნიათ. აეტმა საჩქაროდ დაადევნა არგონავტებს თავისი ქვეშევრდომი კოლხიდელები, რომელთაც გამოუცხადა, რომ, უკეთუ ჩემი დამნაშავე ქალი უკან არ მომგვარეთ, ყველას თავებს დაგაყრევინებთო. ამ კოლხიდელებმა ვეღარ შეიძლეს არგონავტების დაჭერა და აეტის შიშით ვეღარ გაბედეს შინ დაბრუნება და ამიტომაც უცხო ქვეყნებში დაიფანტენ.

# V. ქართული ენის კვალი ვანის ლურსმულ წარწერებში

*(Fr. Lenormant — Lettres assyriologiques sur l'histoire et les antiquités de l'Asie antérieure)*

სომხეთის უძველეს ისტორიას ახემენიდებამდე მოუღწეველი ნათელი მოჰფინა ლურსმულ წარწერათა და ტექსტების გამოკვლევამ. ამ ტექსტების შემწეობით ჩვენ ახლა შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ საერთო სურათი იმ ისტორიისა, დამყარებული ნამდვილ მაშინდელ დოკუმენტებზე, რომელთა შორის ზოგი იქაურია და ზოგი — ასურული. მხოლოდ ეს კია, რომ ამ უტყუარ დოკუმენტებზე დამყარებული ისტორია სრულებით არ ეთანხმება სომეხთა მწერლების ისტორიას საერთოდ და მოსე ხორენელისას განსაკუთრებით, თუმცა დღემდე მეცნიერებას ძლიერ სწამდა მათი სინამდვილე. ახალ ცნობათა მიხედვით, არათუ სომხეთის ისტორია, არამედ მთელი აზიისაც, სრულებით უნდა შევცვალოთ და სხვა სახე მივსცეთ. სომხებს არ აბადიათ არავითარი ნაციონალური თქმულება ტიგრან პირველამდე, რომელიც კიროსის თანამედროვე იყო. რაც კი შეეხება ამაზე წინა დროს, ყველა მოთხრობა სომეხთა მწერლებისა მომდინარეობს მოსე ხორენელის წიგნისაგან; ეს წიგნი კი, როგორც თვით ხორენელი აღიარებს, სულ ერთიანად დამყარებულია სირიელ მწერლის მარ აბაზ კატინის ისტორიაზე, რომელიც დაიწერა ქრისტიანობის პირველს თუ მეორე საუკუნეში და შეიცავს უფრო ბევრს ტყუილს, ვიდრე სიმართლეს.

ახალი ცნობები სომხეთის უძველესის ისტორიისა, როგორც ზემოთ მოვახსენეთ, ორნაირია: ერთია ასურელ მეფეთა ლურსმული წარწერები, სადაც მეფენი მოგვითხრობენ, რა ბრძოლა ჰქონიათ სომხეთთან; მეორეა იქაური ლურსმული წარწერანი, რომელთაც, ჩემის აზრით, შეცთომით უწოდებენ სომხურს და უნდა დაერქვას კი ა ლ ა რ ო დ ი უ ლ ი.

ასურულნი წარწერანი, რომელნიც სომხეთს შეეხება, ჩნდება პირველად სალმანუ-ასირ მეოთხის მეფობაში და არ იძლევა ასურ-ბანი-პალ-ის

მეფობამდე, ე. ი. მეცხრე საუკუნიდამ მეშვიდემდე ქრისტეს წინ. ეს წარწერები მოგვითხრობს იმ დროინდელ სომხეთის პოლიტიკურ მდგომარეობას, განსაკუთრებით მეცხრე და მერვე საუკუნეთა განმავლობაში. ამის სურათი მე სხვაგან დამიხატავს და მიჩვენებია, თუ მაშინდელი ხომხეთი რა ნაირად ყოფილა დანაწილებული წვრილ-წვრილ სამეფოებად, რომელთა შორის უფრო გამოჩენილი იყვნენ: განნა ანუ გან, მუშაშირ ანუ არსისა კლასიკურ გეოგრაფთა, მილდის, რომელიც იმყოფებოდა იქ, სადაც ეხლა არზრუმის გარეშემო მთებია, მილიდ ანუ მილიდდა — მელიტენი ბერძენთა და რომაელთა და ურარტი ან არარატი. თუმცა მაშინდელი სომხეთი ესე დაყოფილი ყოფილა მრავალ სხვა და სხვა სამეფოებად, მაგრამ, როდესაც ყურადღებით განვიხილავთ სახელებს იქაურ პროვინციებისას, ქალაქების, კაცებისა და ღმერთებისას, რომელნიც მოხსენებულია იმ წარწერებში, მაშინ ცხადად დავრწმუნდებით, რომ მთელი იქაური ხალხი იყო ერთის შთამომავლობისა, ლაპარაკობდა ერთსა და იმავე ენას და მეცხრე საუკუნიდამ ერთიანად ემორჩილებოდა ურარტის უფროსობას (სუზერენობას).

რა ხალხი იყო ეს ხალხი? რა ტომისა იყო იგი? თუმცა ასურულნი წარწერანი საკმაოდ გვიმტკიცებს, რომ ის ხალხი იყო ერთის შთამომავლობისა, მაგრამ მარტო ეს წარწერები არ კმარა, რომ ზემოხსენებული საკითხი გადავწყვიტოთ. ამისათვის მიუცილებლად საჭიროა მივმართოთ იქაურ ლურსმულ წარწერების განხილვას. ეს წარწერები დღეს ბლომად არის აღმოჩენილი, როგორც სომხეთში, ისე ქურთისტანში და დიდი ნაწილი უკვე გამოქვეყნებულია ან და მუზეუმებშია შენახული, ისე რომ მეცნიერებას შეუძლიან მათი გაჩხრეკა და გამოკვლევა.

ოთხს წარწერას გარდა, რომელთაც აზის ურზანას ბეჭედი, დანარჩენი ალაროდიულია. ყველა ეს წარწერები ერთისა და იმავე დროისაა, როცა ხუთს მეფეს უმეფნია ზედი-ზედ მეშვიდე საუკუნეში ქრისტეს წინად. როგორც გროტეფენდმა და ჰინკსმა ადრევე თქვეს, ეს წარწერები სრულიად ემსგავსება ასურულ ნაწერს. მარტო ერთი პალეოგრაფიული განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ალაროდიულ წარ-

წერებში უხმარიათ ორი განცალკევებული ჰორიზონტალური ლურსმანი ადრე ხმარებულ ერთ ლურსმანის მაგიერ რომელიც სჭრის ვერტიკალურ ლურსმანს.

მაგრამ ეს ალაგობრივი ცვლილება შემოდის შემდეგ; პირველად ალაროდიული წარწერები არაფრით არ განირჩეოდა ასურულ ნაწერისაგან. ყველაზე უძველესი წერის ნიმუშია შულცისაგან პირველ ნომრით აღნიშნული წარწერა და აგრეთვე ჯერ გამოუქვეყნებელი პირი, რომელიც გადაუღია ლეარდს. ეს ორი წარწერა, რომელთა ტექსტები არაფრით არ განსხვავდება, ამოჭრილია ასურულად იქაურ მეფის ბრძანებით. ამ მეფეს რქმევია ბ ე ლ ი ტ-დ უ რ, შვილი ლ უ ტ ი ბ რ ი ს ა, მეფე ნ ა ი რ ი-სა. ამ სახელით წოდებულს მეფეს განუზრახავს თავის ხალხში გაევრცელებინა წერა-კითხვა და ყოველივე სწავლა-განათლება ქალდო-ასურული. ამისათვის მოუწვევნია თავის სამეფოში ასურული მწერლები და იმათ გამოუჭრიათ თავიანთ საკუთარ ენაზე ოფიციალური წარწერები და ამ გვარად ასურული ენა დროებით გამხდარა ხომხეთში სწავლულთა ენად, როგორც ახალ ევროპისათვის ლათინური ენა იყო. მაგრამ ესეთმა დროებითმა მდგომარეობამ დიდ ხანს არ გასტანა: მცირე დროს შემდეგ ვხედავთ, რომ ასურულ წერის სისტემით დაუწყვიათ ალაგობრივ ენაზედ წერა, რასაც გვიმტკიცებს ერთი წარწერა იმავე ბ ე ლ ი ტ-დ უ რ ი ს შვილისა, სახელდობრ ი ს პ უ ი ნ ი ს ა. ეს წარწერა, როგორც ყველა შემდეგნი, ალაგობრივ ენაზე არის დაწერილი.

ალაგობრივ ენაზე ამოჭრილ წარწერებს, რიცხვით ორმოცამდე, აქვს უფრო საღმთო მიმართულება და მათში მოხსენებულია ერთი და იგივე ღმერთები. ზოგიერთი ამ წარწერათაგანი, რომელიც უფრო ვრცელია, მოგვითხრობს ისტორიულ ამბებსაც. ეს უკანასკნელი წარწერები მოგვითხრობს დიდ ლაშქრობას და ომებსა წინააღმდეგ უცხო-ხალხებისა, რომელთა შორის ხშირად მოიხსენებიან ასირიელები და ბაბილონელები; მოგვითხრობს აგრეთვე ქალაქებისა და თემების აღებას; ვრცლად ჩამოგვითვლის დავლას და აგრეთვე იმას, თუ რომელ ღმერთს დავლის რა ნაწილი ერგებოდა. აქვე მოიხსენება ადგილობრივისა და უცხო ხალხთა ღმერთები, მათთვის შეწირული საღმთონი და დასახელებულია, თუ რა და რამდენი პირუტყვი დაკლულა მათთვის.—

ჩვენის აზრით, სომხეთში ნაპოვნ ლურსმულ წარწერათა ენა მეტის მეტად ემსგავსება ქართულ ენას.

მომავალში იმედი მაქვს, როდესაც ჩემი გამოკვლევა წინ წაიწევს, ბლომად წარმოვადგინო შეურყეველი საბუთები ამ აზრის დასამტკიცებლად. ახლა კი წარმოვადგენ ერთს ფრიადს სარწმუნო დამტკიცებას, რომელიც დაფუძნებულია არსებითის სახელების ბრუნვაზე. წარწერათა განხილვამ დაგვარწმუნა, რომ სახელ-არსებითის ბრუნვა ასეთი ყოფილა:

| | პირველი ბრუნვა | | მეორე ბრუნვა |
|---|---|---|---|
| სახელობითი . . . . . | ის | — | ას |
| ნათესაობითი. . . . . | იაის | — | აის |
| ნათესაობითი რთული. . | ისინი | — | აისინი |
| მიცემითი. . . . . . | ინი | — | ანი |
| რთული მიცემითი. . . | ინინი | — | ანინი |
| შემასმენელობითი. . . | ჱ | — | აჱ |
| მოქმედებითი. . . . . | იდი | — | ადი |
| რთული მოქმედებითი. . | იდინი | — | ადინი |
| დაწყებითი. . . . . | ისტე | — | ასტე |
| მოთხრობითი. . . . | იმენი | — | ამანი |

აქედამ ცხადად სჩანს, რომ ეს ბრუნვები, რომელიც ძლიერ მდიდარია ფორმებით, არა ჰგავს არც არიულს და არც თურანულ ბრუნვებსა, მხოლოდ საოცრად ჰგავს და ეთვისება ქართულ ბრუნვებსა, რომელსაც აქვთ შემდეგი დაბოლოებანი:

| | | | |
|---|---|---|---|
| სახელობითი. . . . | ი | — | ა. |
| ნათესაობითი. . . . | ის, ისა | — | ის, ისა. |
| მიცემითი. . . . . | სა | — | სა. |
| შემასმენელობითი. . . | [აი] | — | ი. |
| მოქმედებითი. . . . . | ითა | — | აითა. |
| მოქმედებითი მეორე. . | ად | — | ად. |
| დაწყებითი. . . . . . | ისაგან | — | ასაგან. |
| მოთხრობითი. . . . | მან | — | ამან. |

მსგავსება, როგორც ვხედავთ, შესანიშნავია. ხოლო ახლანდელ ქართულს დაუკარგავს განმეორებითი, რთული ფორმები, რომლის მაგალითები არ მოიპოვება არსად გარეშე ალაროდიულ წარწერათა და რომლის წარმოება ამ წესით არის: მარტივ ბრუნვას მიემატება მარცვალი „ნი.“

მრავლობითი რიცხვის დაბოლოებანი ჰგვანან მხოლობითს და სწარმოებენ ასე, რომ სიტყვა, რომელიც შესდგება ხან იდეოგრაფიულად, და ხან ფონეტიკურად, დაბოლოების წინ მიიმატებს ერთნაირს ნიშანს *) რომლის უეჭველი წაკითხვა ჯერ გარკვეული არ არის. მაგრამ სიმრავლეს კი უსათუოდ უნდა ნიშნავდეს.

ამ გვარი აგებულება ალაროდიულის მრავლობითის რიცხვისა სრულებით ეთანხმება ქართულ ბრუნვის მესანიზმს, სადაც მრავლობითი რიცხვის დაბოლოებანი ჰგვანან მხოლოობითისას მარტო იმ განრჩევით რომ სიტყვის ძირსა და ბრუნვის დაბოლოებას შუა ჩაერთვის მრავლობითის ნიშანი „ები“ (მაგალითად, მამ-ები მამ-ებ-ისა, მამ-ებ- სა და სხვ.)

ალაროდიულის და ქართულის ნათესაობას ამტკიცებს აგრეთვე შემდეგი ნაცვალ-სახელების მსგავსება:

| პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი თ ი: | | ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ი: | |
|---|---|---|---|
| ალაროდიული: | ქართული: | ალაროდიული: | ქართული: |
| მე. | მე. | სა. | ეს. |
| ქი. | იგი. | სი. | ის. |

ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ი:

ალაროდიული: მას. ქართული: მისი, იმისი.

კავშირის მსგავსებაც შესანიშნავია:

| ალაროდიული: | ქართული: |
|---|---|
| და. | და. |

არ არის აგრეთვე უმნიშვნელო საკუთრებითი ზედშესრული, რომელიც მიიღებს დაბოლოებასა ალაროდიულში „ნანე“-ს და ქართულში „იანი“-ს

---

*) ლენორმანს თავის წიგნში თავ-თავის ადგილას ყოველგან მოაქვს ლურსმული წარწერები და ნიშნები, მაგრამ ჩვენ ვერ გადმოგვაქვს ისინი, რადგან სტამბაში არ არის ლურსმული ასოები.

რაც შეეხება ზმნებსა, თუმცა ჯერ-ჯერობით ნაკლებად გამორკვეულია, მაგრამ რაც კი ვიცით, ისიც საკმაოდ გვიმტკიცებს, რომ ალაროდიული ზმნათა უღვლილება ემსგავსება ქართულსა, მაგალითად აწმყო განსაზღვრებითი დახრისა მიიღებს დაბოლოებას „ბი“-ს, როგორც ქართულში [ვრჩე-ბი, ვიარე-ბი, ვკვდე-ბი, და სხ.] ესევე უნდა ითქვა ზოგიერთ სიტყვების თაობაზე, რომელიც ქართულს უფრო უახლოვდება, ვიდრე რომელსამე სხვა ენას და რომლის ახსნა მხოლოდ ქართულ სიტყვების შემწეობით შეიძლება. ხოლო წარწერათა ლექსიკონში არიული სიტყვებიც ურევია, ისე რომ თუ გრამატიკის მხრით ალაროდიული ენა მხოლოდ ქართულის მონათესავეა, სიტყვების მხრით კი უნდა ვალიაროთ, რომ არიულ ენებთანაც აქვს დამოკიდებულება.

ქართულის შესახებ ის-კი უნდა ვთქვათ, რომ თუმცა ქართული გრამატიკოსები სრულებით საფუძვლიანად ამტკიცებენ, რომ მათი ენა სრულებით განსხვავებული ენაა და არ ენათესავება არც ერთის აქამდის ცნობილ ენათა ჯგუფს, მაგრამ მეორეს მხრის ქართულში უეჭველად მოიპოვება მრავალი სიტყვა არიულ ძირისა. ამისთანა სიტყვების რიცხვი იმდენად შესამჩნევია, რომ ბროსე ამის გამო ამტკიცებდა. თუმცა ჩვენის აზრით კი ცდებოდა.— რომ ქართული ენა არიულ ენათა ჯგუფს ეკუთვნისო. უეჭველია, როგორც სამართლიანად შენიშნა თეიმურაზ ბატონიშვილმა, დიდი ნაწილი ამ სიტყვებისა შემოტანილია ქართულში შედარებით ახალ დროს, სპარსეთის გამგებლობის ქვეშ, და წარმოადგენს სიმეტნავეს სიტყვებისას, რადგან ამ არიულ სიტყვებთან ერთად ქართულს აქვს თავისი საკუთარი სიტყვები იმავე მნიშვნელობისა და ან დაახლოებით იმავესი. მაგრამ ისიც უეჭველად მიგვაჩნია, რომ რამდენიმე ნაწილი არიულ სიტყვებისა ძველის-ძველად მიუღია ქართულ ენას. ეს აზრი გამოთქვა ჩვენმა დიდებულმა მეცნიერმა ეჟენ ბიურნუფმა. ამან შენიშნა, რომ არიული სიტყვები მიუღია ქართულ ენას ნაცვალსახელებშიაც კი, რომელიც ენის ფრიად არსებითი და თვალსაჩინო ნაწილია. აი ამ მხრითაც მსგავსება სჩანს ალაროდიულ უძველეს ლურსმულ წარწერათა და ქართულს შუა.

ამ ნაირად ფილოლოგია, ეს ალგებრა ისტორიულ მეცნიერებათა, როგორც უწოდეს მას, ეს ძლიერი და ზოგჯერ ერთად-ერთი

საშუალება ძველის ეთნოგრაფიის აღსადგენად, ამტკიცებს, რომ მეშვიდე საუკუნის ბოლომდე ქრისტეს წინად სომხეთის მკვიდრნი იყვნენ იმავე ტომისა რომლისაც არიან ქართველები და ს[illegible] ხალხი კავკასიისა და ამ მკვიდრთა მეცხრე საუკუნიდამვე, შე[illegible]-დენიმედ არიული ელემენტი. სწორედ ეს მკვიდრი ხალხია, რომელსაც დაბადება უწოდებს (X, 3) თ ო გ ო რ მ-ად. ამავე სახელს სდებს ამ ხალხს ეზეკიელი (XXVIII, 14, XXXVII, 6) სწორედ იმ ხანებში, როდესაც ამოჭრილია უმეტესი ნაწილი იმ წარწერებისა, რომელიც ჯვარ-ჯვარობით უპოვნიათ ვანში და იმის მიდამოში. ეს უძველესი ხალხი სომხეთისა სრულიად განირჩევა აწინდელ სომხებისაგან. შესანიშნავია, რომ თუ სომხები ამტკიცებენ, თ ო გ ო რ მ ო ს შვილის ჰაოსის შთამომავალნი ვართო, ქართველებსაც თ ა რ გ ა მ ო ს ი მიაჩნდათ თავის წინაპრად.

უველაზე უფრო თვალსაჩინო და შესანიშნავი ის არის, რომ ალაროდიულ ლურსმულ წარწერათა ენა სრულიად არ ენათესავება სომხურს. ის ხალხი, რომელსაც ამოუჭრია ეს წარწერანი და რომელიც მარტოდ-მარტო ფლობდა იმ ქვეყანას მეექვსე საუკუნემდე, არავითარი მონათესავე არა ყოფილა სომხებისა არც შთამომავლობით და არც ენითა. სომხები შემოსულან ამ ქვეყანაში მხოლოდ უკანასკნელ წარწერათა შემდეგ, ე. ი. იმ დროს, როცა უწინდელი მკვიდრი ხალხი წაიწია ჩრდილოეთისაკენ, სწორედ იმ ქვეყნისაკენ, რომელსაც ძველები უწოდებდენ ივერიას და ახლანდელები—საქართველოს. ამ სახით ჩვენ მივუახლოვდით იმ დასკვნას, რომელსაც მიდიის მატიანების გამოკვლევამ თვალწინ დაგვიყენა. ამ გამოკვლევამ დაგვარწმუნა აგრეთვე, რომ მდინარე ჴალისსა და კასპის ზღვას შუა მდებარე მთიანი ადგილები დაიპყრო არიის შთამომავლობის ხალხმა მხოლოდ მერვე საუკუ იდამ მეექვსე საუკუ ემდე ქრისტეს წინად, და არა უფრო ადრე, როგორც საზოგადოდ ფიქრობენ. მანამდე კი მიდიაში და კაპადოკიაში მკვიდრობდენ თათარ-ფინები, თურანელი მიდები, მოსხები და ტიბარენები, და სომხეთში კი მკვიდრობდა ხალხი, რომელიც მონათესავე იყო კავკასიის ხალხებისა.

რაც ვთქვით ენის შესახებ, იგივე უნდა ითქვას სარწმუნოების

თაობაზედაც. ლურსმული წარწერები სომხითისა სრულებით არ იხსე-ნიებს სომხების ეროვნულ ღმერთებსა, რომელთაც აგვიწერს მათი მწერლები. პირიქით ლურსმულ წარწერებში მოხსენებულ ღმერთების ცნობა არა აქვთ არც სომხის ისტორიკოსებს და არც სომხურ ეროვ-ნულს ზეპირგადმოცემას. ერთი და იგივე ღმერთები არიან მოხსე-ნებულნი, როგორც ვანისა, ისე მალღუსა და არზრუმის გარემო ნა-პოვნ წარწერებში. ამნაირად სომხეთის ძველის-ძველს ხალხსა, თუმცა იგი დაყოფილი იყო რამდენსამე დამოუკიდებელ სამეფოდ, ეტყობოდა სრული ერთობა როგორც შთამომავლობითა და ენით, ისე სარწმუნოები-თაც. ეს ერთობა შთამომავლობისა, ენისა და სარწმუნოებისა აკავში-რებდა ერთმანეთ შორის განცალკევებულ ნაწილებსა. ამ სარწმუნოე-ბის ქვა-კუთხედია თაყვანის-ცემა უმაღლესის სამეულისა, რომელსაც დასაწყისსავე მიჰმართავს თვითოეული ეპიგრაფიული წარწერა და რო-მლის შემდეგაც მოხსენებულია უფრო დაბალი მეორე ხარისხის ღმერ-თები. ამ სამეულში (ტრიადაში) პირველ პირს ეწოდება ქ ა ლ დ ი ს ანუ ქ ა ლ დ ი ა. დანარჩენ ორ ღმერთს წარწერები გამოხატავენ იმ ნი-შნებით, რომლითაც ასურელები გამოხატავდენ თავიანთ ღმერთებს ბ ი ნ-ს და შ ა მ ა შ-ს. ცხადია, რომ ეს ღმერთები, როგორიც უნდა იყოს მათი სახელები, წარმოადგენენ: ერთი—ატმოსფერას, ეთერს, ბრწყინვალე ცას, მეორე—მზეს და ქალდისი სამეულის (ტრიადის) შესავსებლად წარმოადგენს მთვარეს.

ასურეთის ხელმწიფე სარიუკინი ხშირად გაილაშქრებდა ხოლმე სომხეთისაკენ და ერთხელ ამ გალაშქრებაში გასძარცვა ერთი მეტად გან-თქმული ქალდისის ტაძარი მუშაშირში, ვანის ტბის ნაპირად, და აი რას ამბობს ამის შესახებ ასურეთის ხელმწიფე ერთ-ერთ ზედწარწერაში: „მე გავემართე იმის (ურზანას, მუშაშირის მეფის) ქვეყნისაკენ და მუშაში-რის ქალაქს მოვეპყარ, ვითარცა ძლევა-მოსილი. შევიპყარ მეფის ცოლი, ვაჟები და ქალები, იმისი საჭურჭლე და ყოველიფერი, რაც მოიპო-ვებოდა მისს სასახლეში, 20100 ტყვე და ყოველივე მათი ქონება და აგრეთვე ღმერთები ქალდია და ბაგმაშტუვი მათის მრავალი წმიდა სამ-კაულით“... ამ ლაშქრობას დიდის დაწვრილებით წარმოადგენს ხორ-საბადის სასახლის ბარელიეფნი, სადაც ქალდისის ტაძარიც დაწვრილე-

ბით გამოქანდაკებულია, ამ ტაძრის სურათი გვარწმუნებს ჩვენ, რომ სომხეთის უძველეს მკვიდრთა შეუთვისებიათ ასურელებისაგან, გარდა წერისა, აგრეთვე ხუროთ მოძღვრების ხელოვნებაც.

ყოველივე ზემო თქმული ჩვენ საბუთს გვაძლევს დავეთანხმოთ ბატ. ჰენრი რაულინსონის დასკვნას: „ურარდის ენას და ახლანდელ სომხურს შორის არავითარი ერთობა არ არის. ტომი, რომელიც ლაპარაკობს ამ უკანასკნელ ენას, გამოსულია, როგორც ნამდვილად სჩანს, ფრიგიიდამ და თან-და-თან დაუპყრია ფრიგიის აღმოსავლეთისაკენ მდებარე მთები, საიდგანაც მკვიდრნი ზოგი გაუძევებია, ზოგი ჩაუნთქავს და შემდეგ, მათის სახელისა, ენისა, სარწმუნოებისა და გარდმოცემათა მაგიერ თავისი დაუმკვიდრებია.“ თუმცა ეს დასკვნა არ ეთანხმება ახლანდელ ორიენტალისტებისაგან საერთოდ მიღებულს აზრს, მაგრამ საუცხოვოდ ეთანხმება ჰეროდოტეს მოწმობას. ჰალიკარნასელი ისტორიკოსი ცხადად განარჩევს სომხეთში ორს ხალხს, რომელთაც ერთმანეთში არავითარი ნათესაობა არ აქვთ მისის აზრით. ეს ორი ხალხია: ა ლ ა რ ო დ ი ე ლ ე ბ ი, რომელნიც ცხოვრობდენ დიდ-სომხეთში, კოლხიდელებს და საპარსებს ანუ იბერებს შუა ერთის მხრით და ატროპატაკანის მატიელებს შუა მეორეს მხრით, და ს ო მ ხ ე ბ ი, რომელნიც, ჰეროდოტეს მოწმობით, ცხოვრობდენ სომხეთის დასავლეთ მხარეს, ევფრატის სათავის მახლობლად, ფრიგიის გვერდით, იმ მთებში, საიდგანაც ჰალისის მდინარე გამოდის. ხოლო ალაროდიელები წარმოადგენენ იმ ძველ ტომსა, რომლის შთამომავლობა ჩვენ ზემოდ გამოვიკვლიეთ და რომელსაც ეკუთვნის სომხეთის ლურსმული წარწერები. „ა ლ ა რ ო დ-ით, საფუძვლიანად ამბობს ბატ. ჰენრი რაულინსონი, უბრალო ვარიანტია ა რ ა რ ო დ-ისა, რადგან ძველ სპარსთა გამოთქმაში ძნელად გაირჩეოდენ ლ და რ, და ა რ ა რ ო დ ი იგივეა, რაც ა რ ა რ ა ტ ი საღმთო წერილისა და უ რ ა რ დ ი ანუ უ რ ა რ ტ ი ასურულ წარწერებისა.“ ჰეროდოტეს ზემოხსენებულ ძვირფას შენიშვნის მიხედვით გამოვთქვი მე აზრი, რომ სომხეთში ნაპოვნ ლურსმულ წარწერებსა და მათ ენას უნდა დაერქვას ა ლ ა რ ო დ ი უ ლ ი, რადგანაც ამ ენასა და სომხურს შორის არავითარი ერთობა არ არის და ეს ენა იმ ხალხის ენაა, რომელსაც ასურელები უწოდებდენ უ რ ა რ ტ-ად და ჰეროდოტე ა ლ ა რ ო დ ი ე ლ ე ბ ა დ.

## VI. ქართულის ენის კვალი მცირე აზიაში

*(Hyde Clarck—„Сборникъ свѣдѣній о Кавказѣ“, т. I.)*

ჟურნალ „Athenaeum“-ის სტატიაში „ძველ დროთა ამორძლები“ (*амазонки*) ჰაიდ კლერკს, ავტორს სტატიისას, მოჰყავს ბევრი ქართული სახელ-წოდება, რომელიც ჰმოწმობს ქართველთ ტომის გავრცელებას უძველეს დროს ამიერ-კავკასიის მახლობლად, მცირე აზიის ქვეყნებში. ინგლისელი მეცნიერი ამბობს, რომ მცირე აზიაში არსებობს მრავალი ქალაქი, რომელიც, ზეპირ-გადმოცემის თქმულებით, ამორძლების მიერ არის დაარსებული. ჰაიდ-კლერკმა გამოიკვლია იმ ქვეყნების ძველად დასახლებულ ადგილების სახელ-წოდებანი და ის აზრი დაასკვნა, რომ ბევრია მათ შორის ივერიულის ენის შთამომავლობისაო; ამორძლების ქალაქების სახელ-წოდებანი კი არ არის არც ელლინური და არც ივერიული, არამედ ნაშთია უფრო ძველის ენის, ვიდრე ორივე ზემოხსენებული ენაა.—ჰაიდ-კლერკი არ ეთანხმება იმ მეცნიერების აზრს, რომელნიც მცირე აზიის დასავლეთის ნაწილისა და ევროპის სახელ-წოდებათაც კი სომხურის ეტიმოლოგიის შემწეობით არკვევენ, და ჰფიქრობს, რომ არც სომხეთა და არც ელლინთა ერი იმდენად ძველი არ არის, რომ ან ერთისა და ან მეორეს დიდი გავლენა ჰქონოდა დასავლეთს ქვეყნებშიო. სულ სხვა აზრისა არის ავტორი იმ ერთა ჯგუფის შესახებ, რომელიც დღეს კავკასიაშია დამკვიდრებული და რომელსაც წინად უფრო ვრცელი ქვეყანა ეჭირა. ეს ჯგუფი არის ქართველთ ტომი, რომლის ერთი შტო გავრცელებულია ტრაპიზონამდე ლაზების სახელით.

ლაზების ქვეყნის ძველ სახელ-წოდებათა განხილვის დროს, შეამჩნიეს, რომ ის სახელ-წოდებანი უფრო გავცელებულია პონტში, პაფლაგონიაში, კაპადოკიასა და მისს მიდამოებში, და აგრეთვე დარჩენილა იმ ქვეყანაში, რომელიც ძველის-ძველად, ეჭვი არ არის, ქართველებისა ყოფილა. ის სახელ-წოდებანი, რომელიც არც ელლინურია და არც კელტური, ავტორს მიაჩნია ქართულ სახელ-წოდებად. ამასთანავე ამტკიცებს, რომ კოლხიდა, ივერია და მთელი ამიერ-კავკასია კასპის (გურგენის) ზღვამდე

ხომსეითიურთ არის ის ტერიტორია, რომლის სივრცეზედაც შეხვდება კაცი ქართულ სახელ-წოდებას.

ჰაიდ-კლერკი პირველ მაგალითად ასახელებს მდინარე მეანდერსა, რომელიც უდიდესი მდინარეთაგანია დასავლეთი მცირე აზიაში და რომელსაც დღეს ეწოდება მენდორე-ჩაი. თვით სახელის შესახებ ავტორი ჰფიქრობს, რომ იგი არის ქართული სიტყვა მდინარე, და რომ მდინარეს დაარქმევდენ ყველა ენაზე იმ გვარ დიდს მიმდინარე წყალსა. ამ სიტყვებში მხოლოდ დიალექტური განსხვავება ნ-ისა და დ—ისა ერთი მეორის ადგილას. მაინც ყველა უსმო ასოები მდინარი-სა არის სიტყვაში მეანდერ.

ოსმალნი მეანდერის მახლობელს მდინარეს კაისტერს უწოდებენ—ქუჩუქ-მენდერს, ანუ პატარა-მეანდერს. შესაძლებელია, რომ თავდაპირველნი მკვიდრნი კაისტერსაც მეანდერს ანუ მდინარეს უწოდებდენ და რომ უკანასკნელი სახელი იყო სინონიმი პირველისა.

სკამანდერი ტროადის მიდამოებში წარმოგვიდგენს მეორე ფორმას იმავე ძირისას. ეს უთუოდ იგივე მდინარეა, რომელიც სკამანდრად მიაჩნიათ და ახლა მენდერე ჰქვია. ღირს შესანიშნავია ის გარემოება, რომ მცირე-აზიის დასავლეთის ნაწილში სამს მდინარეს ჰქვია მენდერე, და ეს სახელი ოსმალებმა უთუოდ ძველს დროში ისწავლეს იქაურის ბერძნებისაგან.

კაპადოკიის ხომსეთში არის მეორე სახელი, ორომანდროს, რომელიც შეიძლება ნიშნავდეს „ორ-მდინარეს“, ანუ წყაროთა მდინარეს—სიტყვისაგან ორმო (ჭა, ანუ წყარო.) შესამჩნევია მდინარე ელუმანდრა. მანდრა—ადგილია მიზიაში.

თუ მეანდერს ანუ მანდრას და მდინარეს ერთ და იმავე სიტყვად ჩავსთვლით, უნდა მოველოდეთ, რომ ამ სიტყვას შევხვდებით მ—ს უპრეფიქსოდაც. ეს მოსაზრებაც მართლდება მითი, რომ ვპოულობთ მდინარეთა სახელებს: ფრიგიაში—ალანდერს და პამფილიაში კალანდერისს; ანდრიაკა ნავთ-სადგურია ლიკიაში; ქალაქთა სახელებს შევხვდებით—ანდრანა პაფლაგონიაში, ტარანდრი ფრიგიაში, მინანდრი (Mynandrus) კილიკიაში; ატანდრი, ნეანდრი, ანდრი და ანდეირა ტროადის მიდამოებში. სამხრეთის იტალი-

აში არის ახალანდრი, ეს შეიძლება ნიშნავდეს ახალ მდინარეს.

მელესი, პატარა სარწყავი მდინარე სმირნის ახლო, შეიძლება ნიშნავდეს მილს—სარწყავ არხს.

საქართველოში შევხვდებით სიტყვას გორს, რაიცა ნიშნავს პატარა მთას, როგორც მაგალითად დიდ-გორი ტფილისის ახლო. ძველ სახელებში შევხვდებით გარგარს, რომელიც სახელია იდას მთის ერთის მწვერვალთაგანისა, იმავე სახელის ქალაქითურთ. გარგარნი—ალვანიაში მცხოვრები ტომია, რომელსაც დღესაც ეწოდება დაღისტანლუ, ანუ მთიულნი. სინგარა (შეიძლება „სამს მთას" ნიშნავდეს) ციხეს ერქვა მესოპოტამიაში; პისიგგარა—დაბას ჰქვია კაპადოკიის სომხეთში.

კორაკესსიონ—მთა და ქალაქი (გიბრალ-ტარსავით) პამფილიაში და აგრეთვე კილიკიაში. კორაქსი, კორიკი, კორიბდალლა, კარამბისი, კარმილესსი (Karmylessus) და კორესსია—მთების სახელებია, რომელსაც შესაძლოა ნათესაობა ჰქონდეს სიტყვასთან „გორა." არის აგრეთვე ბევრი ქალაქის სახელი, რომელსაც იმავე „გორის" ფორმა აქვს, ანდა შეიცავს ძირს სიტყვისას „გორა".

მთა (mtha)—მეორე სიტყვაა ქართული, რომელიც ნიშნავს (დიდს) გორას და ენათესავება, ვგონებთ, თმას, რადგანაც კავკასიის მთებს ერქვათ—თემი. თუ ეგ ასეა, მაშინ შეიძლება აიხსნას რამდენიმე ძველი სახელი მთებისა, მაგალითად თემნუსი—მიზიაში, ქალაქი თემნუსი ეოლიის მაღლობზე; თიმნია—მთის ციხე პაფლაგონიაში, დინდიმი (Dindymus) გალატიაში (შეიძლება დიდ მთას ნიშნავდეს), ორდიმნური—ქალაქი ლესბოსის კუნძულზე (ორთავიანი მთა?) და ლეპტიმნუსი (Leptymnus)-- მეორე მთა იმავე კუნძულზე.

სიტყვამ თავი შეიძლება აგვიხსნას თავრი (მთა), დავარა—გამაგრებული ადგილი კაპადოკიაში, და აგრეთვე სხვა სახელებიც.

თმოლოსს, ლიდიის დიდ მთას, ახლანდელ დროში ჰქვიან ბოზ-დაღ—ყინულის ანუ თოვლის მთა, რადგანაც მისი მწვერვალი

მუდამ თოვლით არის შემოსილი. თმოლოსი გვონებთ თოვლის ძირისაა, რადგან მ და გ ერთმანეთსა სცვლის.

ცისე ამ ჟამად ზოგადს სმარებაშია, როგორც სახელწოდება, მაგალითად ასალ-ცისე, და შეიძლება მითი აიხსნას იმ გვარი სახელები, როგორც ქარმოზიკა.

ხიმერას ანუ ხიმაირას, ამ მითოლოგიურს სახელწოდებას, რომელიც დღესაც ადვილი გამოსაცნობია ლიკიაში ცეცხლ-მფრქვეველობით, მოეპოვება სინონიმი სიტყვაში კომლი ანუ კვამლი; ეს სიტყვა გადასხვაფერებულად ნახმარია კომერის სახელში.

თავის მსჯელობის დასასრულს ქართულ სახელ-წოდებათა შესახებ ინგლისელი მეცნიერი ამბობს: ჩვენ შეგვეძლო მეტის-მეტად გაგვეგრძელებინა ქართულ სახელების ჩამოთვლაო, მაგრამ ესეც საკმაო არის ქართველთა ტომის ძველად მცირე აზიაში ბინადრობის დასამტკიცებლადაო.

---

## VII. ქართველთა მოსახლობის კვალი კაპადოკიაში

(დ. ჩუბინაშვილი—ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა)

---

საქართველოს ერი, ენისა და ლაპარაკის მიხედვით, განიყოფება ორად: პირველსა შეადგენენ: ქართველნი, ე. ი. მცხოვრებნი ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, გურიისა, სამცხე-საათაბაგოსი, და მეორესა: მეგრელნი და ჭანელნი, ე. ი. მოსახლენი სამეგრელოსი და ჭანეთისა ან ძველის კაპადოკიისა*).

ძველი კაპადოკია მდებარეობდა მცირის აზიის შუაგულში და

*) პატივცემული პროფესორი არას ამბობს სვანებზე, რომელნიც ენის მიხედვით წარმოადგენენ მესამე შტოს ქართველის ერისას.

იყო მოსაზღვრე: ჩრდილოეთით—შავი ზღვისა, ლიხის მდინარის შესართავიდამ ვიდრე ქალაქ რიზამდე; სამხრეთით—კილიკიის მთებისა (აწ ბულღარ და ალადაღი); აღმოსავლეთით—კოლხიდისა (აწ ოსმალეთის საქართველო) [და ბათუმის და ყარსის მაზრები].

დროსა სპარსთა ფლობისა, ე. ი. ხუთის საუკუნის წინად ქრისტეს შობისა, კაპადოკია შეადგენდა ორს საერისთოსა ან სატრაპიასა. პირველი საერისთო იყო კაპადოკია ხმელეთისა, მეორე—კაპადოკია შავის ზღვის ნაპირისა; ორივე საერისთონი განისაზღვრებოდნენ სციდიის მთებითა (აწ ჯანეთის მთები).

კაპადოკიის ხალხი წინაპირველად ჰმონებდა ასურელთა, მერმე მიდიელთა, და მიდიელთა შემდგომ სპარსთა მეფემან დარიოზ, ხუთასის წლის წინად ქრისტეს შობისა, დაიპყრა კაპადოკია და განჰყო ორ საერისთოდ ან სასპასპეტოდ (სატრაპია ბერძენთა.) პირველი სასპასპეტო იყო ხმელეთისა ან დიდი კაპადოკია და მეორე—ზღვის ნაპირისა ან მცირე კაპადოკია. როდესაც სპარსთა სამეფო შემცირდა, მაშინ კაპადოკიის ერისთავთა მიიღეს ხარისხი მეფობისა. მეფე არიარატ II იყო თანამედროვე ალექსანდრე მაკედონელისა და განიძო სამეფოიდგან 322 წელსა ქრისტეს უწინ. ამისმა შვილმან არიარატ III, სომეხთა მეფის შეწევნითა, დაიპყრა სამკვიდრო თვისი და თავის შვილსა არიარატ IV შერთო ქალი თეოს ანტიოქიის მეფისა; არიარატ VIII ცხოვრობდა დროსა მეფობისა დიდისა მიტრიდატ VII, რომელმანც მოჰკლა იგი და დაიპყრა მისი საბრძანებელი. რომის იმპერატორმან ტიბერიმ მოსპო კაპადოკიაში მეფობა 17 წელსა შემდგომ ქრისტეს შობისა.

შემდგომ განყოფისა რომის საბრძანებელისა ორად, კაპადოკია დარჩა მონებასა ქვეშე ბიზანტიის იმპერატორთა. პირველს საუკუნეში ქრისტეს შობიდგან ხმელეთის კაპადოკიაში იყვნეს მრავალნი ქრისტიანენი, და მესამე და მეოთხე საუკუნეში აქ არ იპოვებოდა არც ერთი კერპთ-მსახური. ამ დროს კაპადოკიაში იყო ორმოცდა ათი საეპისკოპოზო საყდარი ან ეპარქია. ჩინებულნი მღვდელ-მთავარნი ამ ადგილისანი იყვნენ: წმინდა გრიგოლ თაუმატურგი, წმინდა ვასილი კესარიელი, წმინდა მაკრინე—დაი მისი, წმინდა გრიგოლ ნისელი და სხვანი მრავალ-სახელ-განთქმულნი და ჩინებულნი მწერალნი.

ორსავე კაპადოკიაში მცხოვრებნი ხალხნი იყვნენ ერთისა ნათესავისა და ლაპარაკობდენ ერთსა და იგივე ენაზედ. დასამტკიცებელად ამისა გვაქვს ჩვენ:

პ ი რ ვ ე ლ ი — უწყება სტრაბონისა, რომელიც მეთორმეტეს წიგნის დასაბამში დარწმუნებით ამბობს: „სახელი კაპადოკიელი ეკუთვნის სრულებით ერთს ხალხსა, რომელნიც არიან ერთ ნათესავნი და ლაპარაკობენ ერთს ენაზედ და სახლობენ შემდგომთა საზღვართა შორის: სამხრეთით — მთა კილიკიისა თავრი, აღმოსავლეთით — სომხითი, კოლხიდა, და მათ შორის ადგილები და მცხოვრებნი, მოლაპარაკენი უცხოს ენაზედ; ჩრდილოეთით — პონტოს ზღვა შესართავამდე ჰალისის მდინარისა, და დასავლეთით — პაფლაგონია, გალატია, ფრიგია და ლიკაონია.

ამ გვარ ღირს-შესანიშნავ ჩვენებას ჩვენ არ დავიჯერებდით, თუ გვცოდნოდა, რომ ამას სტრაბონი ამბობს გაგონებით, ვითარცა მრავალნი უწყებანი ჰეროდოტესი. სტრაბონს თვითონ გამოუყვანვართ ამ გვარს ეჭვისაგან, როდესაც მოგვითხრობს, რომ მისი სამშობლო ქვეყანა იყო კაპადოკია, დაიბადა ქალაქსა ამასიას, მდებარესა ირისეს მდინარეზედ პონტოში, დედა ჰყვანდა ნათესავით ჭანი და ქალი ჩინებულის ერისთავისა, რომელიც პატივცემული და მიჩნეული იყო დიდის მიტრიდატისაგან, პონტოს მეფისა. თავის სამშობლო ქვეყანას სტრაბონი გაგონებით არ იცნობდა, და როგორც გვაუწყებს, თითონ მოუვლია მთელი კაპადოკია და, არ გაგონებით აღუწერია, არამედ რაც თავისის თვალით ენახა და გამოეძია. რასაკვირველია, უწყება ამისთანა მწერლისა არ იქნება ტყუილი და დაუჯერებელი; ამას გარდა პლინიცა გვარწმუნებს, რომელ კაპადოკია იყო ერთი და განუყოფელი ქვეყანა.

მ ე ო რ ე — მრავალი სახელები ადგილთა, მთათა, ქალაქთა, მდინარეთა, მდებარეთა ხმელეთის კაპადოკიაში, როგორც ჩანს კიპერტის ქარტისაგან მცირის აზიისა, აწცა არიან ქართულნი, მაგალითად: თ ე მ ი თ ი ა ნ ე თ ი ს ა და ქალაქი თ ი ა ნ ი (აწ ნიღდე) ქართულად ჰნიშნავს მთებიანს ადგილს და თვით საქართველოშიაც არის თემი თიანეთისა; თ ა ვ ი ა დაბა, მდებარე ჩრდილოეთით კიშერის ქალაქისა; იამარმე, დაბა მახლობელ ქალაქისა კესარიისა; ურგუბა (ორგუბე უნდა), მახლობელ

აგრეთვე კესარიის ქალაქისა; სარმურ-სახლი, აგრეთვე დაბა მუნვე; ჯო-ჯაკის მთა, მახლობელ კიმერის ქალაქისა; ბოცოს მთა კილიკიაში; ჯილობის მთა; ორთაყვის მთა, მახლობელ ნიღდის ქალაქისა; ფარსალი, მახლობელ საროს მდინარისა; დედა მთა, მახლობელ საროს მდინარისა. ხაჯი ხილფა, გეოგრაფიის მწერალი, მუსულმანი, მოიხსენებს რამდენთამე ადგილთა, რომელიც ქართულია, მაგალითად: ქუთაია, გომიში (კამბეჩი მეგრულად), ჯალა, ტაზისკარი (ტაშისკარი); თავ-შანი, მენდერი (მდინარე), ბანა, ენგური, კარიბაზარი, და სხვა.

ამათ გარდა მრავალნი ადგილები, მდინარეები და ქალაქნი პაფლაგონიაში ან სხვათა ადგილთა იწოდებიან აქამომდე ქართულის სახელებითა, მაგ. ენგური, ერთი ტოტი ზაგარის მდინარისა, ქალაქი ენგური (ძველი უნგური); მენდერჩაი, ბერძნულად მეანდერი, ე. ი. მდინარე, ქალაქი ქიზიკი, მდებარე მარმარილოს ზღვის პირზედა, თემნუს, ე. ი. თემი მიზიაში და სხვანი მრავალნი.

მესამე—ზნე, ჩვეულობა, ყოფა-ქცევა, შინაგანი ცხოვრება და თვით მმართებლობაცა, აგრეთვე ცეცხლის მსახურება ჰქონდათ კაპადოკიის ხალხთა სრულიად მსგავსი ძველისა წესისა, ჩვეულებისა, ყოფა-ქცევისა და სხვ. ძველთა ქართველთა.

მეოთხე—რადგანაც კაპადოკიის ხალხსა ჰქონდა მონათესაობა საქართველოს ხალხთან, ამითი განიმარტება სურვილი კაპადოკიის სულიერთა მამათა დამყარებად საქართველოში ქრისტიანობის სარწმუნოებისა. მოსულნი ამ აზრით იოანე ზედაძნელი თორმეტის მოწაფეებითურთ, არ იყვნენ მესოპოტამიელნი, არამედ კაპადოკიელნი, ამიტომ რომ ძველნი მწერალნი კაპადოკიელთა რაცხამდენ სირიელად, ან მესოპოტამიელად. თუ ქართული ენა არ სცოდნოდათ ამ წმინდანებს საქართველოში ვერ გაბედავდენ მოსვლასა და ვერც მოიმოწაფებდენ ხალხსა. ესეც უნდა ვსთქვათ, რომ წმინდა გიორგი იყო კაპადოკიელი და ამის გამო მთელს საქართველოში ძალიან პატივცემულია. ამ წმინდა გიორგის მონათესავე იყო წმინდა მოციქულთ-სწორი ნინო, აგრეთვე კაპადოკიელი და მცოდნე ქართულის ენისა; უამისოდ არ შეეძლო ქადაგება ქრისტეს სარწმუნოებისა და მოქცევა ქარ-

თველთა. უდაბნოში ცხოვრება წმინდათა სულიერთა მამათა კაპადო-კიაში იყო ძალიან გავრცელებული, რადგანაც კლდეებში მრავალი იყო გამოკვეთილი ქვაბები და სადგომი სახლები, როგორც საქართველოში უფლის-ციხე და სხვანი. ამ ქვაბებში ცხოვრობდენ მეუდაბნოენი, რომელთაგანცა ჩინებულნი იყვნენ სვიმონ დიდი მესვეტე (390—460); სვიმონ მცირე აგრეთვე მესვეტე (521—592). ეს სვიმონ მცირე იყო მიზეზი საქართველოში გამოგზავნისა წმინდისა იოანე ზედაზნელისა მოწაფეებითურთ. ხსენებულთა წმინდათა განავრცელეს და დაამყარეს შერყეული ცეცხლ-მსახურთაგან ქრისტეს სარწმუნოება საქართველო-ში, რადგანაც თვით იყვნენ ქართველნი. ამათ შემოიღეს წელთ აღრი-ცხვა იულიანისა, რომის კეისრისა და ახალის წლის დაწყება იანვრიდ-გან, რომელიც დარჩომილა აქამომდე. —

# მეფობის დაარსებამდე

---

## VIII. ქართული ენა და მისი ადგილი სხვა ენათა შორის

*(А. Цагарели—О грамматической литературѣ грузинскаго языка)*

ენათა მეცნიერნი დიდი ხანია, რაც შეუდგნენ ქართულის ენის გამოკვლევას და სხვა ენებთან შედარებას. ხშირად ცალკე წერილები და გამოკვლევანიც უძღვნიათ ამ საგნისათვის. მხოლოდ ამ საგნის მკვლევარნი, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთმანეთთან ვერ შეთანხმებულან და დროთა განმავლობაში გამოირკვა სამი მიმართულება, რომლის მეთაურებად ევროპის გამოჩენილი ლინგვისტები არიან: პირველის მიმართულების მომხრენი ქართულს ენას აკუთვნებენ ინდო-ევროპულ ენათა მოდგმას; მეორენი—თურანის ენათა მოდგმასა და მესამენი კი ამბობენ, რომ ქართული ენა თავის იდიომებით ენათა განცალკევებულს ჯგუფს წარმოადგენსო. მოკლედ განვიხილოთ ამ მეცნიერთა ნაწერები ამ საგნის შესახებ.

პირველად ლეიბნიცმა წარმოსთქვა აზრი, რომ ქართულს ენას ინდო-ევროპულ ენებთან აქვსო დამოკიდებულება. ეს ფილოსოფოსი ამტკიცებდა თავის წერილებში აღმოსავლეთის ენების და მწერლობის სწავლულთადმი, რომ ქართული ენა მონათესავეა ბერძნულისა, ლათინურისა და სომხურისა. ერთ ამ გვარ წერილთაგანში მან გამოსთქვა უფრო გარკვეულად და დაწვრილებით თავისი აზრი ამ საგნის შესახებ. პაოლინის და ირბახის ქართულ-იტალიურ ლექსიკონის მისვლ-

ვით ლეიბნიცი ფიქრობს, რომ ქართული ენა ბერძნულს ემსგავსება. თავის აზრის საბუთად მოჰყავს 140-ოდე სიტყვა, ამოკრეფილი ხსენე-ბულ ლექსიკონიდამ და შედარებული ბერძნულ-ლათინურ-იტალიურ სიტყვებთან. თითქმის ნახევრობით სულ შეცდომით არის გადმო-ცემული ქართული სიტყვები ჯაულინის ლექსიკონის წყალობით; რიც-ხვითი სახელები კი სწორედ არის ხმარებული. შემოგვაქვს ლეიბნიცის მიერ შედარებულ სიტყვების რამდენიმე მაგალითი: ო რ დ ა ნ ო — ბერძ. ო რ გ ა ნ ო ნ; კლიტე — კ ლ ი ს, ლათ. clavis; ჰ ა ე რ ი — aer; ს ე რ ი (საღამო), სეროსა (ვახშამი) — seri და სხვა.

ამ გვარად დაანათესავებს ლეიბნიცს ერთი ორად, ერთი სამად შე-მდეგ გადაკვეთილებისა იმავე მაგალითებით, რაც მოჰყავს, მაგ. არაფერი უშავს იმის მეთოდით შეადაროს ცა ბერძნულს ზ ე ვ ე ს-ს, ზევსის ღმერთის, ან ფ ე ხ ი — ლათინურს pes, pedis და სხვა. ლეიბნიცის მეთოდის უსაფუძვლობა მეტად ცხადია; რაც სიტყვები აქვს მოყვანილი თავის აზრის დასამტკიცებლად, ნახევარი მაინც უცხო შთამომავლობისაა, ბერ-ძნულ-ლათინურისა; იგინი შემოსულან ენაში წიგნის საშუალებითა და მაშასადამე გასაკვირველი არ არის, რომ ჰგვანან თავიანთ პროტოტიპს, ბერძნულ-ლათინურსა. მაგრამ ამისთანა მოხერხებულ დაახლოვების შემ-წეობით ხსენებულ ენების ქართულთან ნათესაობის დასკვნა სრულიად არ არის მეცნიერული. იგივე უნდა ვთქვათ დანარჩენ ქართულ სიტყვებისა-თვის, რომელნიც ლეიბნიცს შეუდარებია ბერძნულ და ლათინურ სიტყვებ-თან და რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ ერთმანეთთან გარეგანის შემთხვევითის ბგერათ მსგავსების მეტი, როგორც seri (სერი) — vesper, საღამო. მაგრამ ნუ ჩავუდგებით კვალში ლეიბნიცს; ას-ორმოც-და-ათი წელიწადი იქნება მას აქეთ, რაც იმან წერა დაიწყო ამის თაობაზე და მაშინ ხომ სახსენებელიც არ იყო შედარებითი ენათმეცნიერებისა. მით უფრო შესაწყნარებელია მისი ნაკვლევი, რომ დღესაც ზოგიერთ ლინ-გვისტებში იმნაირადვე უცნაურად აახლოვებენ სიტყვებს სხვა და სხვა ენათა შედარების დროს.

ამ საუკუნის პირველ მეოთხედიდგან მოყოლებული ბროსე, რო-გორც Journal asiatique-ში დაბეჭდილ ცალკე წერილებში, ისე თავის ორთავე გრამატიკაში ამტკიცებდა ქართულის ენის ნათესაობას

ინდო-ევროპულ ენებთან; ერთ უკანასკნელთაგანში თავისი დასკვნა ამ საგანზე პირდაპირ ეგრე გამოთქვა: „ამ გრამატიკაში მოყვანილ ფაქტებიდამ სჩანს:

1) რომ დიდძალი ნაწილი ქართულ სიტყვებისა ეკუთვნის საერთო ნიადაგს ინდო-გერმანულ ენებისას და განსაკუთრებით უახლოვდება სანსკრიტულს, ძველს სპარსულს და ზენდურს ენას, ხშირად კი სომხურის ენის საშუალებითა.

2) რომ სახელობითი ფორმები, დიდი ნაწილი კანკლედობისა, და დაბოლოება შედარების ხარისხებისა სრულიად სანსკრიტული ან ზენდური არის.

3) იგივე ითქმის თითქმის ყველა ქართულ ნაცვალ სახელებისათვის.

4) რომ ფორმა, კლასიფიკაცია და ერთი ნაწილი უღვლილებისა ემსგავსება სპარსულის, სანსკრიტულის და ბერძნულისას.

5) რომ სინტაქსითა და დიდძალ სიტყვებითა ქართულს თავისებური თვისებაცა აქვს, თუმცა ზემო-ხსენებული მსგავსებანი ნებას გვაძლევს ვიგულისხმოთ სხვებიც, რომელსაც აღმოაჩენს უეჭველად უფრო დახელოვნებული მკვლევარი".

ამ ნაირად დასკვნილმა აზრებმა, რაც ბროსეს მოჰყავს გრამატიკაში, ე. ბიურნუფს შემთხვევა მისცა ამ გრამატიკის რეცენზიაში თავისი აზრი გამოეთქვა ენათ მეცნიერების „შედარებითის მეთოდის თაობაზე საზოგადოდ და ქართულის ენის „შედარების შესახებ კერძოდ. ბიურნუფის აზრი ამ საგნის შესახებ იმნაირადვე თვალსაჩინოა დღესაც, როგორც იყო 1835 წელს, როცა იგი გამოთქვა ამ ჩინებულმა ენათ მეცნიერმა. აი მისი აზრიც: „ბროსე თავის გამოკვლევით და ამ შედარებით, რომელიც მან დაადგინა ქართულის კანკლედობის და უღვლილების ფორმებსა და ინდო-ევროპულ ზოგიერთ იდიომების ფორმებს შორის, ფიქრობდა დაემტკიცებინა, რომ ქართული ენა ეკუთვნის ენათა იმ დიდს განყოფილებას, რომელსაც უწოდებენ ინდო-ევროპულ მოდგმას. ჩვენ ვწუხვართ, რომ არ შეგვიძლიან გამოვთქვათ ჩვენი აზრი ამ საინტერესო საგნის შესახებ. თუ ვისმე სხვას, ჩვენცა გვსურს ეს ინდო-ევროპულ იდიომების დიდი შტო გამდიდ-

რდეს კიდევ ახალის დიალექტითა და ჩვენ გვესმის, თუ რა საბუთის შესძენს ბროსეს აზრსა ქართულის და სომხურის ნათესაობა, მაგრამ ამასთანავე გვგონია, ამ გვარ კვლევას კაცი უნდა შეუდგეს სიფრთხილით და შეადაროს ერთმანეთს მხოლოდ ის ფორმები, რომელთა ჭეშმარიტი ბუნება ორისავე მხრით ნათლად არის გამოკვლეული. ჯერ კიდევ ბევრს არა სწამთ შედარებითი ფილოლოგია და, თუ ამ მეცნიერების მკვლევარნი სასტიკ სიფრთხილეს არ გამოიჩენენ სხვა და სხვა შედარების და დასკვნის დროს, მაშინ ხსენებულ ურწმუნოებას შედარებითის ფილოლოგიისადმი საფუძველი მიეცემა.

„ჩვენ ბროსეზე ნაკლებ არა გვგონია, რომ ქართული, მაგალითად თავის ნაცვალ სახელებითა, შესანიშნავს მსგავსებას წარმოადგენს ინდო-ევროპულის მოდგმის ზოგიერთ ძველ იდიომებთან. აქ ვამბობთ მხოლოდ იმას, რომ ქართული ჩვენ იმდენად არ ვიცით, რომ ჩვენ თვითონ დავაჭეშმარიტოთ ამ მსგავსების მნიშვნელობა და ბეჯითად განვსაზღვროთ, თუ რა თვისებებით განირჩევა ეს ენა სხვა ენებისაგან, რომელთაც მას ბროსე უკავშირებს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ საჭიროა არა მხოლოდ მსგავსებისა, არამედ ამ მსგავსების ბუნების აღნიშვნა, განსაკუთრებით საჭიროა აღნიშვნა ინდივიდუალ თვისებათა თვითოეულ შესადარებელ იდიომებთაგანისა.

„თუ ორივე იდიომი, რომელსაც ახლოვებენ ერთმანეთს, ერთსა და იმავე შტოს ეკუთვნის, მსგავსება ადვილად აღმოჩნდება და ჩვეულებრივი ნიჭი საკმაო იქნება მის მისაგნებლად. მაგრამ ვიდრე შედარების საზომს არ ვიპოვნით, მანამდე არ უნდა გვქონდეს იმედი ნამდვილის სამეცნიერო დასკვნისა. ამისთანა საზომს კი ვიპოვნით მხოლოდ მაშინ, როცა ორს ენას სრულიად და ზედმიწევნით შევადარებთ და როცა ცხადად გავარკვევთ, რა აქვთ შესადარებელ ენებს, ერთის მხრით, საერთო და მეორეს მხრით, რითი განირჩევიან ისინი ერთმანეთისაგან.“

პროფესორი და აკადემიკოსი ფრანც ბოპპი უფრო შორს წავიდა ამ მიმართულებაში. იგი ორს თავის საკადემიო ლექციაში 1842 წ. დეკემბრის 11-ს და 1845 წ. 23 ოკტომბრისაში ცდილობდა დაემტკიცებინა აზრი ქართულის ენის და სხვა იბერიულ იდიომთა ნათესაობისა ინდო-ევროპულ ენებთან. ბოპპი ამბობს: რომ დავამტკიცოთ

ძველის-ძველი ნათესაობა ქართულსა და სანსკრიტულს შუა, ამისთვის პირ და პირ უნდა შევმართოთ სომხურ ენას კი არა, თვითონ სანსკრიტულს, რომელთანაც ქართულს და ჭანურს საოცარი მსგავსება აქვს ენის ორგანიზმის ყველა ნაწილებში, სახელთა ცვლილებაში, შედარების ხარისხებში, ნაცვალსახელიან ძირებსა და განკლედლობაში, ზმნაუღვლილებაში, პირთა, რიცხვთა, დროთა და დასვრათა ნიშნებში. ამ მხარეთა მსგავსების განმარტება შეადგენს ჩემის მსჯელობის საგანსა. მერმე ადარებს ქართულ ენას სანსკრიტულს, ამასთანავე გმარობს მარტო ეტიმოლოგიურის ან მორფოლოგიურის ნაწილის შედარებას და უყურადღებოდ სტოვებს ფონეტიკურს ნაწილს, საზგერალთ სისტემას და ქართულის ენის განორჩეს, ურომლისოდაც ყოვლად შეუძლებელია ენების მეცნიერულად შედარება.

ამ შედარების საბაბად ბოპპს გაუხდა დ-რ როზენის გრამატიკული კვლევა ჭანთა, მეგრელთა, სვანთა და აფხაზთა ენის შესახებ, თუმცა როზენი თავის წერილებში არაფერს ამბობს ხსენებულ ენების ინდო-ევროპულ ნათესაობისას, პირიქით საერთო კილო მისის კვლევისა ადვილად გვაფიქრებინებს სულ წინააღმდეგსა. ბოპპი ამ შედარებით კვლევაში ჭეშმარიტად საოცარის მახვილ გონიერებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ მის მიერ კავკასიის ენებად წოდებულს სამხრეთ-დასავლეთის იდიომებს, რომელნიც შეადგენენ იბერიულ ჯგუფს, სახელდობრ ქართულს, მეგრულს, ჭანურს, სვანურს აქვს მჭიდრო კავშირი სანსკრიტულ ენასთან. მართლაც, ბოპპის მოტანილი საბუთები და ის მაგალითები, რომელსაც იგი გვიჩვენებს თავის აზრის დასამტკიცებლად, ადვილად დაიყოლიებს მას, ვისაც შემთხვევა არ ჰქონია ახლო გასცნობოდა ხსენებულ ენებს. რასაკვირველია, ბოპპი არ ამტკიცებს, რომ ქართულს ენას თავის მონათესავე იდიომებიურთ ჰქონდეს სანსკრიტულთან ისეთი კავშირი, როგორც მაგალითად ახალ ინდოურ იდიომებსა, ესე იგი, რომ იგი იყოს უშორესად განვითარებული შტო საერო ენისა, რომელიც დაცულა ვედას ძველ საგალობლებში და დასდებია საფუძვლად სანსკრიტს, როგორც მწიგნობრულს ენასა. ამ აზრს ყველა დაერწმუნებოდა, ვინც კი ცოტად მაინც იცის ამ ენათა აგებულება. ბოპპი ფიქრობს რომ ქართულ ენას თავის მონათესავე იდი-

ომებითურთ ინდო-ევროპული ხასიათი აქვსო. თუ ეს მართალია, უნ-და ვაღიაროთ, რომ ბოპპი დიდად სცოდავს შედარების სამეცნიერო მეთოდის წინაშე, როცა ხსენებულს იდიომებს უახლოვებს მხოლოდ სანსკრიტსა, იმ განზრახვით, რომ იპოვოს მათ შორის ინდო-ევრო-პული ბუნება, რადგან, თუ იბერიული ენები მართლა ინდო-ევროპულ ენათა დიდ ჯაჭვის რგოლებია, სიმართლე არ გვაქვს შევადაროთ ცალ-ცალკე ფორმები მარტო ერთ ინდო-ევროპულ ენას და იმავე ოჯა-ხი სხვა წევრებს კი ყური არ ვათხოვოთ; კიდევ უფრო ნაკლები სიმართლე გვაქვს ვიკმაროთ მისთანა ენა, რომლის უხმო ასონი ერთის მხრით თავისებურად განვითარებულან და მეორეს მხრით ძალი-ანაც შეცვლილან.

ბოპპის უცილო ღვაწლი ის არის, რომ არა ჩვეულებრივის მა-ხვილგონიერების, გამჭრიახობის, კომბინაციის ნიჭისა და სანსკრიტის ცოდნის წყალობით მან თავი მოუყარა ქართულ ენის ინდო-ევროპუ-ლის ბუნების დასამტკიცებლად ყ ვ ე ლ ა ს ა ბ უ თ ე ბ ს, რის გამონახვაც კი შეიძლებოდა. ერთის სიტყვით, თავის შრომაში ბოპპმა გამოსთ-ქვა, რის თქმაც შეიძლებოდა ხსენებულის მიმართულების სასარგებლოდ და, თუ შედეგი, ავტორის მოულოდნელად, უკუთქმული გამოვიდა, შ ე დ ე გ ი ს მიზეზი მაინც მიგნებულია. ამ უკუთქმულ სარგებლობას გარდა, ბოპპის ნაკვლევს ნამდვილი ღირსებაცა აქვს; ამ შრომაში ბო-პპი მარტო ქართულის ენის ფორმების შედარებას კი აღარ კმარობს, ხშირად ყურადღებას აქცევს ჭანურ-მეგრულ-სვანურსაც, რომლის გრა-მატიკულ ფორმებს ერთმანეთს ადარებს; ამ იბერიულ ენათა ჯგუფის გრამატიკულ აგებულებაზე ბოპპის შრომაში გაფანტულია ბევრი მოს-წრებული განმარტება, რომელიც ჭეშმარიტად შეჰფერის ამ არა ჩვეულებ-რივს ლინგვისტსა.

ბოპპის შემდეგ არა ვის ისე განსაკუთრებულად არ გან-ურჩევია ქართულის ენის ინდო-ევროპული ხასიათი; ბოპპმა თავის ნაწერებით დაარწმუნა კი არა, პირიქით, ვისაც სწამდა ქართულის ენის ინდო-ევ-როპული შთამომავლობა, იმათაც კი აფიქრებინა, რომ ამ გვარის აზ-რის დასამტკიცებელი საბუთი ცოტა იყო მის თხზულებაში.

მეორე მიმართულება, რომელიც იყო და ახლაც არ მოსპობილა,

ქართულს ენას მის იდიომებითურთ აკუთვნებს თურანის ენათა ოჯახს. ყველაზედ უფრო თამამად ეს აზრი წარმოსთქვა მაქს მიულერმა თავის ენათა კლასიფიკაციაში, თუმცა ხმარობს საზოგადო აზრებსა ჭარვათარი საბუთი თავის აზრის დასატკიცებლად არ მოჰყავს. ქართულს ენას, როგორც სხვა კავკასიურ ენებს, მ. მიულერი უწოდებს დაშორებულ ანუ დაფანტულ ენებს თურანის ოჯახობისას; მეორე ადგილს ეძახის გადაშენებულ კოლონიებს თურანის ოჯახის ენებისას. ამ სახელებისაგან სჩანს, რომ მას მიაჩნია ქართული და ჩრდილო-აღმოსავლეთის ენები კავკასიისა მარტო დაშორებულ ნათესავებად თურანის ოჯახისა.—

საზოგადო მიმოხილვის შემდეგ მიულერი განიხილავს კავკასიის ენებს და ხალხებს, რომელთა შესახებ გვაუწყებს მოკლე ისტორიულსა და გეოგრაფიულ ცნობებს, მომეტებულ ნაწილად კი კლაპროტისა და როზენისა მებრ.

მიულერი ჰყოფს კავკასიის ყველა ტომებს ორად: I, საკუთრად კავკასიის ტომები, რომელთა ენებსაც ეძახის მკვიდრთა ენებსა,—ეს ტომები ცხოვრობენ უხსოვარ დროდამ იმ ადგილებში, სადაც დღეს მოსახლობენ; II, სხვა ტომები, რომელნიც უფრო გვიან მოსულან, როგორც ქართველები, რუსები და აგრეთვე თურანის ტომებიცა—ბასიანნი და სხვანი. ყველა ენებს, ხალხებისა არ თქოს, მიულერი ჰყოფს ორად. პირველს ეძახის ქართველთა შტოს, რომელსაც კიდევ ჰყოფს ოთხ შტოდ: I, საკუთრად ქართველები, მკვიდრნი ქართლისა, კახეთისა და იმერეთისა; II, მცხოვრებნი სამეგრელოსი, ოდიშისა და გურიისა(?); იგინი მკვიდრობენ ძველს კოლხიდაში და მათ ენას აქვსო ახლო ნათესაობა ჭანურთან; III, სვანები, რომელნიც მკვიდრობენ კავკასიის ალპების სამხრეთ ფერდობზე და რომელნიც უეჭველად ქართველთ მონათესავენი არიანო. მათ ენას ბევრი განსაკუთრებული თვისება აქვს მეგრულ-ჭანთა ენასთან შედარებით, მაგრამ ამასთანავე დიდძალი რიცხვი მსგავსის ფესვების, სიტყვების და გრამატიკის ფორმებისა ადგილს აძლევს მათ ქართველთ ოჯახობის ენათა შორის. IV, ქართველთა ტომის უკანასკნელს დასავლეთის შტოს შეადგენენ ჭანები, რომელთაც თურქნი

ლაჯებს უწოდებენ. მ. მიულერი გვაუწყებს მოკლე ისტორიულ და გეოგრაფიულს ცნობებს ამ ტომის და მათ სამკვიდრო ადგილების შესახებ კლაპროტის Asia polyglotta-ს მიხედვით, საიდგანაც მოგვყავს შემდეგი სიტყვები: „ჭანების სამკვიდრებელი პონტოში გავრცელებულია ტრაპიზონიდამ, შავის ზღვის გაყოლებაზე, ჭოროხის შესართავამდე; ხოლო ჭოროხი განჰყოფს მას გურიისაგან. მათი ენა საკმაოდ უახლოვდება მეგრულსა; საშუალ საუკუნოებში ჭანებმა თავიანთი სახელი მისცეს ჭოროხიდამ ჩრდილოეთისკენ ფაზისამდე მრთელ მხარეს, რომელიც მაშინ ჭანეთის სამეფოს შეადგენდა. პროკოპი და აგათი [ბიზანტიელი მწერლები] ერთხმად მოწმობენ, რომ ჭანები ძველ კოლხთა შთამომავალნი არიანო. ამიტომაც საფიქრებელია, რომ, რასაც ძველად ამბობდენ ეგვიპტელთაგან მათ შთამომავლობისას, სულ ზღაპარია, რადგან არც ჭანურში, არც მეგრულში და არც ქართულში არავითარი ნათესაობა არ იპოვება ყოფთურთან, რომელშიაც ძველის ეგვიპტურის ენის ნაშთი მრავლად არის. შავის ზღვის აღმოსავლეთის ნაპირის მცხოვრებთა სახესაც არავითარი მსგავსება არა აქვს აგრეთვე ეგვიპტელთა სახესთან, რომელიც ზედმიწევნით გაცნობილი გვაქვს ქანდაკ-მხატვრობის ნიმუშებითა.

მერმე მ. მიულერი ისტორიულ-გეოგრაფიულად განიხილავს მთიელთა ტომებს, კავკასიის მკვიდრთა და მათ „სამკვიდრო ენებს“. ამ ჯგუფს მიულერი ჰყოფს სამ შტოდ: ა) აღმოსავლეთისა ანუ ლეკების ენები, ბ) საშუალო ანუ მიძღეგებისა და გ) დასავლეთის ანუ ჩერქეზ-აფხაზებისა.

ამით ათავებს მიულერი კავკასიის ენათა მიმოხილვას. სამწუხაროდ, ავტორი ფაქტებით ვერ ამტკიცებს თავის აზრს ქართულის და საზოგადოდ კავკასიის ენათა ნათესაობისას თურანის ენებთან, მაგრამ რადგან თავის „ლექციებში ენის მეცნიერების შესახებ“ ამ ნათესაობისას აღარაფერს ამბობს, შეიძლება თვითონვე დარწმუნდა შემდეგ, რომ ცოტა საბუთები იყო ამ გვარის კავშირის ჩამოსაგდებად.

ენათ მეცნიერებაში არსებობს კიდევ მესამე აზრი ქართულის ენის შესახებ. ეს აზრი ჭეშმარიტებაზე უფრო ახლო მგონია. იგი რაცხს ქართულს ენას, კავკასიის სხვა ენებთან ერთად, განკერძოებულად ანუ „ენათა ცალკე მდგომარე ჯგუფად“. ეს აზრი,

რამდენსაც უფრო ვიცნობთ ქართულს ენას, იმდენს უფრო ბევრ მომხრეს იძენს ენის მეცნიერთა შორის; ამ მიმართულების მომხრეებად ითვლებიან აგრეთვე პირველ ხარისხოვანი ევროპელი ენათ მეცნიერნი. ეს აზრი უკვე გამოთქვა კლაპროტმა: თუმცა ქართულს ენას დიდი მსგავსება აქვს ინდო-გერმანულ და სხვა, განსაკუთრებით ჩრდილო-აზიის, ენებთანაო, მაგრამ იგი უნდა ჩაითვალოს მაინც როგორც განკერძოებული გვარი ენისაო, რომელიც განსხვავდება ყველა ცნობილ ენებისაგან ფესვებითაც და გრამატიკითაც. ამ გვარსავე აზრს ადგანან შლეიხერი, პოტტი, ლეპსიუსი, ფრ. მიულერი, ეპკე და შპიგელი, რომელიც აბოლოებს თავის წერილს ქართულისა და სხვა კავკასიურის ენების შესახებ ამნაირად: „თუმცა ზედმიწევნით არ ვიცით კავკასიის ენები, მაგრამ ორი რისამე სარწმუნოდ დამტკიცება მაინც შეიძლება: ერთი ის, რომ ყველა ენები მეტნაკლებობით ენათესავებიან ერთმანეთს, რადგან, თავისებურობასთან ერთად, აქვთ აგრეთვე ზოგი ერთი საერთო განმასხვავებელი თვისებანი; მეორე ისა, რომ იმათ არავითარი ნათესაობის კავშირი არა აქვთ არც ერთის ენის ოჯახთან, არც ინდო-გერმანულთან, როგორც უწინ ცდილობდნენ დამტკიცებას, არც თურქულ-თათრულთან, რომელთაგან კავკასიელები ფიზიკურ თვისებითაც განსხვავდებიან. ამ ენებში ვხედავთ სრულიად განსაკუთრებულ ოჯახს ენებისას, რომელთაც უწინ ეჭირათ უმეტესი ადგილი ვიდრე ახლაო."

ამნაირივე აზრი დამასკვნევინა მე ივერიის ენათა მორფოლოგიისა განხილვამ. ეს აზრი მე უკვე გამომითქვამს: პრეფიქსით სიტყვათა წარმოებას მოუპოვებია ყველა ივერიის ენებში მოქალაქობის სიმართლე სუფიქსით სიტყვა-წარმოებასთან ერთად მეთქი, მაგალითად: ზმნათა უღვლილებაში პირადი ნაცვალ სახელები ჩართულია, როგორც, შემოკლებული პრეფიქსები: 1 პირში — ვ, ბ, მ, 2 პირში — ს, ჴ, ქ, გ, ჯ, 3 — პირში — ს, უ, ხ. ჭანურ უღვლილებაშია პრეფ. ო, დო, ქო, მო, ე, ემ. სვანურშია იმავე მიზნისათვის ლი, ო, ხ, ხვ, ოხ, ოთ; პრეფიქსების ემ, ეჯ, ეს, გვი, გი, ხო მიმატებით სწარმოებენ indirecta tempora verbi directi. ქართულს ენაში შედარების ხარისხი სწარმოებს პრეფიქსების უ, უ-ს საშუალებითა; რიგობითი-რიცხვითი სახელები სწარმოებს აგრეთვე პრეფ. მე-ს საშუალებითა; n. agentis — სა, n. ab-

stracta—სი. ამგვარი პრინციპი სიტყვათ წარმოებისა, რომელიც არსებობს მთელ იბერიის ენათა ჯგუფში ცხადად არღვევს ამ ენათა ინდო-ევროპულ და თურანულ შთამომავლობის აზრსა. ქართულ ენას (როგორც სხვა კავკასიურ ენებსაც) არა აქვს გენეტიური კავშირი ინდო-ევროპულ ენებთან, მაგრამ შეუძლებელიც არის ჩაირიცხოს იგი ურალ-ალტაურთა შორის. ქართული, ბასკურის ენისა არიულს ევროპაში, უთუოდ ნაშთენია ოდესმე ფრიად გავრცელებულ ენათა ჯგუფისა, რომელიც დამკვიდრებული ყოფილა კავკასიის ქედზე, ვიდრე კავკასიაში და მის სამხრეთად მოვიდოდენ სემიტელთა, არიელთა და ურალ-ალტაელთა ტომები.

თუ წარჩინებული ევროპის ენათ მეცნიერები ჯერ კიდევ ვერ შეთანხმებულან ერთმანეთში ქართულის ენის სხვა ენებთან გენეტიურის კავშირის თაობაზე და აქამდე ეძნელებათ რამე ადგილი მოუპოვონ ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში, მიზეზი ლინგვისტიკურ თეორიათა ამისთანა გაუბედველობისა, გაურკვევლობისა და წარუმატებლობისა უნდა ვეძიოთ არა მარტო გრამატიკულ ფორმების (განსაკუთრებით ზმნების) სიძნელესა და ხლართებში, არა მარტო ქართულის ენის უძველეს ნაწერ საბუთთა უქონლობაში, არამედ, ჩემის აზრით, უმთავრესად, იმ გარემოებაში, რომ ქართული ენა არ არის შესწავლული ყოვლის მხრით თავის შტოებითურთ (დიალექტებით, იდიომებით და კილოებით); გაურკვეველია მისი პირადობა და სახე ყოველ მის განმახასიათებელ თვისებითა, რომელნიც მას განასხვავებენ, როგორც ერთს რასმე განუყოფელს, მთელს ყველა მის მსგავს ობიექტებისაგან. ამ გვარად აღდგენილი სახე ენისა-კი ერთთავად მოსპობდა უმადურს და საალალბედო შრომასა, რომელსაც ეხლა ეწევიან იმისათვის, რომ ადგილი მოუძებნონ მორფოლოგიურ თუ გენეტიურ კლასიფიკაციაში იმ ენას, რომლის სახე ჯერ კიდევ სრულად გამორკვეული არ არის. მაგრამ ენის სახის გამოსარკვევად არ კმარა უძველესი ნაწერი ძეგლები; როგორიც უნდა იყვნენ ისინი, ვერ გასწევენ სახალხო ენის მაგიერობას და ვერ აღადგენენ სრულის სიმდიდრით და

სხვა და სხვაობით ენის ფორმებსა და ფუნქციებს; ამისთვის უფრო საჭიროა შევისწავლოთ ის ენები, რომელთა ფორმები არ აულაგმავს და თავისუფალი განვითარება არ შეუბრკოლებია მწერლობას. დიალექტები, რომელთაც არა აქვთ მწერლობა და აღასრულებენ მხოლოდ ენის პირვანდელ დანიშნულებას, სახელდობრ დიალექტები, რომელნიც იხმარებიან მხოლოდ აზრების და გრძნობათა ზეპირ გამოსათქმელად, უფრო თავისუფლად და ბუნებრივ განვითარდებიან.

ამ შემთხვევაში ქართველთ ტომთა: ჭანების, მეგრელების, სვანების იდიომები, რომელთაც არა აქვთ მწერლობა, განსაკუთრებით საჭიროა ენის მეცნიერებისათვის; ამ ხალხთა შორის ენა ცხოვრობს ბუნებრივს მდგომარეობაში და ამ ენებს უნდა ვათხოვოთ ყური, თუ გვსურს, ნამდვილად გავიცნოთ ქართულის ენის ზრდა და განვითარება, რომელიც დიალექტებში არ შეჩერებულა მწერლობის ჩარევით.

ამ გვარად ნამდვილი და სამეცნიერო საშუალება იმ ცილობის მოსასპობლად, რომელიც არსებობს აგერ ერთი საუკუნე ნახევარია, არის—გულდადებით და ყოველ მხრით გამოკვლევა, წინადვე აჩემებულის თეორიების მიუხედავად, ქართულის ენისა (განსაკუთრებით მის ფონეტიკისა) და მის მონათესავე იდიომებისა, მეგრულისა, ჭანურისა და სვანურისა და აღდგენა, შედარებისა და დედუქციის გზით, ძველის ძველ იბერიულ ენისა, რომელიც საფუძვლად დასდებია ქართულის დარგის ხსენებულს ენებს.

---

## IX. ქართული ენა და სომხურის დამოკიდებულება მასთან

*(J-A. Gatteyrias: 1) Revue de l'inguistique, 15 juillet 1881—Études linguistiques sur les langues de la famille géorgienne; 2) L'Arménie et les Arméniens)*

ქართულის და სომხურის შესწავლამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ დიდი ნაწილი ქართულ სიტყვებისა და ყველა ძირები ეკუთვნიან განსაკუ-

თრებითს ჯგუფს ენებისას, რომელსაც ვუწოდებთ ქართულ ჯგუფად. თუ მრავალი რიცხვი ამ სიტყვებისა მოიპოვება სომხურშიც, ეს იმას ამტკიცებს, რომ სომხურს მიუღია ისინი ქართულისაგან, რომელიც ოდესმე დიდ-სომხეთის დიდ ნაწილზედ უნდა ყოფილიყო გავრცელებული, სანამდე იქ არიელები მოვიდოდნენ: ალვანიელების ენაც, რომელიც მე-XIV და მე XV საუკუნეში კიდევ ცოცხალი იყო, იქნება ქართულს ჯგუფს ეკუთვნოდა. ქართულს ენას დიდი მნიშვნელობა აქვს სომხურის ენის შესწავლისათვის. ამიტომაც სომხურ გრამატიკის გამოქვეყნებამდე მე საჭიროდ ვცანი გამომერკვია სრულებით, თუ რა ეკუთვნის ქართულ ენას, რადგან უამისოდ შედგენილი სომხური გრამატიკა მოკლებული იქნებოდა სამეცნიერო საფუძველს და მეთოდს. სომხურს ძლიერ ბევრი სიტყვები შეუთვისებია ქართულისა და სხვა კავკასიის ენებისაგან და ამ ენებს სომხურის სინტაქსზეც უმოქმედნია.—

---

## X. საქართველოს ისტორიულნი სახელწოდებანი

*(M. Brosset—Histoire de la Géorgie—Introduction)*

საქართველოდ იწოდება კავკასიის მთელი აქეთა მხარე, სადაც ქართული ენა ძველად გავრცელებული ყოფილა და სადაც ჩვენს დროშიც დარჩენილა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ის მხარე, რომელიც შეიცავს ალვანიას, ივერიას, კოლხიდას, მესხეთს და სტრაბონისაგან მოხსენებულ ტაოების ქვეყანას. მაშასადამე საქართველო შეიცავს მტკვრის მთელ ბასეინს და აგრეთვე შემდეგ სხვა მომცრო ბასეინებს: არაგვისას ჩრდილოეთით; ხრამისას ანუ ქციისას, დებედისას და აქსტაფისას სამხრეთით; ალაზნისას — აღმოსავლეთით; ჭოროხისას — დასავლეთით; რიონისას და იმ მდინარეებისას, რომელიც შავ-ზღვას ერთვის გაგრამდე—ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით.

საქართველოს სამი ისტორიული სახელი აქვს. მცხეთას რომ მტკვარი შეუხვევს და მიიმართება ჩრდილოეთიდგან სამხრეთისაკენ, იქვე ახლო მტკვარს შეერთვის პატარა მდინარე ქართლი, რომელსაც

მიუღია ეს სახელი, როგორც გარდმოცემაა, საქართველოს ერის წინა-პარის ქართლოსისაგან. გარდმოცემა ამბობს, რომ ეს ქართლოსი იყო შვილი თარგამოსისა ანუ თორგომისა, რომელიც იყო იაფეტის შვილის-შვილის შვილიო.

ამ ქვეყნის ერი მაშასადამე თავის წინა-პარს უწოდებს ქართლოსს, თავის თავს ქართველს და თვით ქვეყანას ქართლს ანუ საქართველოს (საქართლოს მაგიერ). ეს სახელ-წოდება ყველაზე უძველესია, ყველაზე უფრო ზოგადი და შეიცავს უფრო დიდ სივრცეს. მაგრამ ახალ დროთა განმავლობაში ეს სახელწოდება ორად გაიყო, ისე რომ ქართლი ეწოდება მხოლოდ მტკვრის ბასეინს, იმერეთის საზღვრიდამ ტფილისის სამხრეთად მდებარე ადგილებამდე. საქართველო-კი დარჩა როგორც საერთო სახელ-წოდება მთელის ქვეყნისა, თუმცა ეს სახელ-წოდება ძვირად იხმარებოდა მეთხუთმეტე საუკუნეს შემდეგ: ქართველების თქმულება შესახებ ქართლოსისა და მათის ეროვნულ სახელ-წოდებისა უკუსაგდები იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ამის წინააღმდეგ გვექმნებოდა სხვა უფრო ნამდვილი ცნობები, ან და თვით ეს თქმულება რამე უაზრობას რომ შეიცავდეს. რადგანაც არც ერთს და არც მეორე პირობას ადგილი არა აქვს, ამიტომ გონიერმა კრიტიკამ ეს თქმულება უნდა შეიწყნაროს.

სომხები თავის მეზობლებს, საქართველოს ერს, უწოდებენ ვ ი რ ქ (მრავლობითი რიცხვია სიტყვისა ვ ი რ) და ქვეყანას — ვ რ ა ც ტ უ ნ ე. ი. ვირკის მკვიდრნი; აქედან წარმოსდგება ეთნიური სახელი ვ რ ა ც ი. ეს სიტყვა წარმოებს, ჩემის აზრით, სომხურ სიტყვისაგან ვ ე რ ან ი ვ ე რ, რომელიც ნიშნავს „ზ ე მ ო დ". აქედამ წარმოებს სახელები: ვ ე რ ჭ ი ნ და ვ ე რ ი ა ც ი ე. ი. ი ვ ე რ ი ა და ი ვ ე რ ი ე ლ ი. ამ სიტყვების მნიშვნელობას ადვილად ავხსნით, თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს და სომხეთის საერთიერთო გეოგრაფიულ მდებარეობას. როგორც ქართველებმა თავის სამხრეთის მეზობლებს უწოდეს ს ო მ ე ხ ი და მათ ქვეყანას ს ო მ ხ ე თ ი (ცხადია, რომ ეს სიტყვა წარმომდგარია ს ა მ ხ რ ე თ ი ს ა გ ა ნ), ისე სომხებმა თავის ჩრდილოეთის (ე. ი. ზემო ქვეყნის) მეზობლებს უწოდეს ვ ე რ ი ა ც (ჩრდილოეთის ერი) და მათ ქვეყანას „ვ ე რ ჭ ი ნ (ჩრდილოეთის ქვეყანა).

მესამე სახელი საქართველოსი არის გეორგია. ამ სიტყვისაგან წარმოსდგება ფრანციელების სიტყვა Géorgie, რუსების Гурзи, Грузи (ძველებური ფორმა) და Грузія (აწინდელი ფორმა) და გერმანიელების Grusien და Grusinisch. ზოგიერთების აზრით, „გეორგია“ წარმოებს ბერძნულ სიტყვისაგან (გეორგოს), რომელიც ნიშნავს „მიწის მუშას“. სხვები კი ფიქრობენ, რომ ეს სახელ-წოდება მიიღო საქართველომ წმ. გიორგისაგან, რომელსაც ქართველები ძლიერ სცემენ თაყვანსა. არც ერთი ახსნა და არც მეორე დასაჯერებელი არ არის, რადგან ერთის მხრით ქართველები სრულებითაც არ არიან შესანიშნავი მიწის მუშაკნი და მეორეს მხრით რომლისამე წმინდანის თაყვანის ცემას და მთელ ერის სახელს შორის საკმაო კავშირი არ არის. მე მგონია, რომ ეს სახელი გ ე ო რ გ ი ა წარმომდგარა სპარსულ სიტყვის გ უ რ ჯ ი ს ა და გ უ რ ჯ ი ს ტ ა ნ-ისაგან. პირველ სახელს სპარსელები უწოდებდნენ ქართველებს და მეორეს—საქართველოს. აქედამ არაბები უწოდებდნენ ქართველებს „ჯ უ რ ზ“ და საქართველოს „—ჯ ო რ ზ ა ნ“. ეს სპარსული სიტყვა კი წარმომდგარი უნდა იყოს მტკვრის სახელისაგან: „კ უ რ“ ან „ჯ უ რ ზ ო ნ“

---

## XI. საქართველოს ნაწილები ისტორიულ დროთა განმავლობაში

*(M. Brosset—Histoire de la Géorgie—Introduction)*

საკმაო არ არის ვიცოდეთ, რა სახელები ეწოდებოდა ძველად საქართველოს საერთოდ, საჭიროა კიდევ ჩამოვთვალოთ მისი უმთავრესი ნაწილები და ავხსნათ მათი სახელები, თუმცა კი უნდა ვაღვიაროთ, რომ ყველა ამ სახელების ჯეროვანად ახსნა შეუძლებელია.

დავიწყოთ აღმოსავლეთის ნაწილიდამ, რომელსაც ერქვა ალოვანკი ანუ ალვანია. თუმცა ამ სახელწოდების —„ა ლ ო ვ ა ნ კ“-ის ახსნა ადვილი იქნებოდა იმ სომხურ სიტყვების შეწყობით, რომელიც ნიშნავს „ტკბილს“ ანუ „წყნარს“, მაგრამ ამისთანა ახსნას საფუძვე-

ლი არ ექმნებოდა, რადგან ლეკების და კახელების წინაპრები, რომელნიც ესახლენ ალვანიაში, სრულებითაც არ იყვნენ ცნობილი თავის სიწყნარით.

ალვანიის დასავლეთის ნაწილს ქართველებმა დაარქვეს კახეთი. ზეპირ-გადმოცემა ამბობს, რომ ეს სახელი მიეცა ამ ქვეყანას კახოსისაგან, რომელიც იყო ქართლოსის ერთი რვა შვილთაგანი.

მეორე საქართველოს სამეფოს ერქვა იმერეთი. ცხადია რომ ეს სახელი დაერქვა ამ მხარეს გეოგრაფიულ მდებარეობის გამო. რადგან ეს მხარე არის ლიხის მთის იქით, რომელიც ჰყოფს ერთმანეთისაგან ქართლს და იმერეთს, ამიტომ ამ უკანასკნელს უჩვენებდენ, როგორც ლიხთ-იმიერ მხარეს; აქედამ წარმოსდგა იმიერეთი, იმერეთი.

რაც შეეხება აფხაზეთს ან აბაშეთს, ამის თაობაზე მხოლოდ ის უნდა ვთქვა, რომ ეს სახელი უნდა იყოს წარმომდგარი რომლისამე ადგილობრივ ენის სიტყვისაგან. ეს დასკვნა გამომყავს მე იმისაგან, რომ ჩომსკების ადიღედს ან ბიზანტიელების აბსილიას აფხაზები ეხლაც უწოდებენ „აბჟუიბ“. ეს სიტყვა კი ჰნიშნავს „შუაგულს ადგილს“. მართლაც ძველთა აბსილია მდებარეობდა აბაშეთსა და მისიმიელებს შუა, სწორედ იმ ადგილს, რომელიც ეხლა უჭირავს სამურზაყანოს შუაგულს ნაწილს.

სამეგრელო, ძველის ქართველების ეგრისი, სომხურად მეგრ ან მეგრისტან, დაერქვა საქართველოს დასავლეთის ნაწილს ქართლოსის ძმის ეგროსის გამო. ეს სახელი უხმარია, თუმცა დამახინჯებულად, სხვათაშორის, პლინსაც, რომელიც ქვეყანას ეძახის „მეგრეტიკე“-ს და ერს — „მანრჯალი“-ს. ეთნიური ზედ-შესრული „მეგრელი“ ეგრეთვე კანონიერად წარმომდგარია „ეგრისი“-საგან, როგორც „ქართველი“ „ქართლი“-საგან.[1]

რაც შეეხება „კოლხიდის“ სახელს, ამის ახსნის თაობაზე ბევრი სხვა და სხვა აზრი წარმოთქმულა, მაგრამ საფუძვლიანი არც ერთი არ არის. კოლხიდად იწოდებოდენ რიონის და ჭოროხის ბასეინები საერთოდ, როცა ეს ბასეინები შეადგენდა ერთ სამთავროს. შემდეგ კი დაერქვა ამ მხარეს კოლხიდის მაგიერ ლაზიკა ან აბსაზე-

თი. მხოლოდ უკანასკნელ დროში ეს საერთო სახელი დაიყო კერძო სახელებად: იმერეთი, ოდიში, სამურზაყანო, აბხაზეთი და გურია. არავითარი სარწმუნო ახსნა ამ უკანასკნელის სახელისა ჯერ არავის არ წარმოუთქვამს.

ორი თვალსაჩინო სახელი უნდა ჩავსთვალოთ კიდევ: ტაო და სამცხე, რომელთაც ეჭირათ ჭოროხის და მტკვრის ზემო ნაწილები. ტაო, ცხადია, სომხების ტ ა ი კ ი ა, რომლის საზღვრები გარკვეული არ არის და რომლის სახელი ასლაც ქართულს ლაპარაკობს. ქსენოფონტე ამ ნაწილის ერს უწოდებს ტაოხებს. სამცხე არის მესხების მამული. თუმცა ძლიერ დასაჯერებელია, რომ ამ ერის სახელი წარმოსდგა მის წინაპრის მოსოხისაგან, რომელსაც კრიტიკა ამყარებს სწორედ ამ მხარეში, მაგრამ მოუხერხებელია ამ სახელის წარმოება ქართლოსის შვილის მ ც ხ ე თ ო ს-ის სახელისაგან, რადგან ასეთი წარმოება მოითხოვდა უკანასკნელის მარცვლის მოკვეთას, რასაც არავითარი საფუძველი არ ექნებოდა. „სამესხეთო“ —საგანაც არ შეიძლება ამ სახელ-წოდების წარმოება, რადგან ეს წარმოებაც მოითხოვს სიტყვის იმისთანავე უსაფუძვლო შემოკლებას და მარცვლის მოკვეთას. აგრეთვე საკვირველი და სრულებით უსაფუძვლოა ამ სახელის წარმოება სიტყვის „სამი-ციხე“-საგან. ამიტომაც ჰგონობს, რომ გონიერი კრიტიკოსი ამ სიტყვის ახსნის თაობაზედ დასდუმდეს.

საქართველოს ის ნაწილები, რომელიც ჩვენ ზემოდ ჩამოვთვალეთ, ყოველთვის კი არ წარმოადგენდენ ერთს პოლიტიკურ სხეულს. არამც თუ თვითოეულის საზღვრები იცვლებოდა სხვა და სხვა დროს და თვითოეული მხარე გადადიოდა ხან ერთისა და ხან მეორე მთავრის ხელში, არამედ რამდენიმე მათგანი ხშირად უცხო ტომის მთავრებსაც დაუპყრიათ. აფხაზეთის ნაპირები, მაგალითად, ძველ დროში ეჭირათ ბერძნის კოლონიებს. მეხუთე საუკუნეში ქრისტ. აქედ ეს მხარე საქართველოს მოჰგლიჯა საბერძნეთმა და შემდეგ ისევ დაუბრუნა, როგორც მზითევი გორგასლანის ცოლისა, რომელიც იყო საბერძნეთის იმპერატორის ქალი. ეს მხარე შეიქმნა თავშესაფარ ადგილად იმ მეფეებისათვის, რომელთაც გამარჯვებული მუსულმანები ამევებდენ შუა საქართველოდამ. მერმე ეს მხარე თავისუფალი გახდა და

მეათე საუკუნეში აქედამ გამოვიდნენ ის მთავრები — დიდი ბაგრატიონები, — რომელთაც დააარსეს ქართლ-აფხაზეთის სამეფო.

სამეგრელო, იმერეთი, სამცხე, გურია და ტაო შეადგენდენ ფარნავაზის სკიპტრას ქვეშ მეოთხე საუკუნეში ქრისტეს წინად. შემდეგ ეს მხარეები, კოლხიდის სახელით, ბოსფორის და პონტის სამეფოს ნაწილი გახდა და საბერძნეთის გავლენის ქვეშ ჩავარდა. აქ შეიხიზნენ გორგასლანის პირველნი შთამომავალნი. ლაზიკის სახელით ეს მხარე ო რ მ ო ც და ა თ ი ს წ ლ ი ს განმავლობაში წარმოადგენდა საბერძნეთისა და სპარსეთის შორის ბრძოლის ველს. საგანი ამათის ბრძოლისა იყო ლაზიკის დაპყრობა. მერმე აქ ნელ-ნელა დამყარდა ბაგრატიონების მთავრობა. თუმცა წინა-პირველად ეს ბაგრატიონები სომხები იყვნენ, მაგრამ აფხაზებთან და იბერიელებთან დამოყვრების გამო თან და თან გაქართველდნენ. შუა საქართველოში მუსულმანების ბრძანებლობის გამო ბაგრატიონებმა ველარ შეიძლეს გადასულიყვნენ ტაოსა და სამცხეს იქით. აქ ისინი ამოწყდნენ და ეს ადგილები გადავიდა ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს მეფეების ხელში, რომლებმაც ეს ადგილები ტაძრებით და სხვა შენობებით მოჰფინეს, ნელ-ნელა გაიწიეს დასავლეთიდამ ქართლისა და კახეთის დასაპყრობად.

ეს უკანასკნელი სამეფო წარმოსდგა დასავლეთის ნაწილისაგან ძველის ალვანიისა, რომელიც ეგრე შვენიერად აქვს აწერილი სტრაბონს და რომელსაც ვცნობთ შემდეგის ნიშნებით: ალვანიის და იბერიის საზღვრად ხსენებული გეოგრაფი უჩვენებს კირნოსის ანუ კირტოსის მდინარეს ე. ი. ქართველების მტკვარს; ამ მხარეს რწყავს მდ. ალაზონიუსი, ე. ი. ალაზანი; აქვე მოიხსენებს კამბიზენს ე. ი. კამბეჩოვანის მინდორს, რომელიც აწინდელის ყარაიალის (ყარაიაზი) და შირაქის მინდვრები არის. — სტრაბონი ამ ადგილის აწერილობაში მოიხსენებიეს ღვინის სიუხვეს, რომელიც დღესაც შეადგენს კახეთის შესანიშნავს თვისებას. — როცა მეექვსე საუკუნეში წმ. დავით გარეჯელი მოვიდა კახეთში, იქ დახვდა მას სომხის მთავარი. მეათე საუკუნეში ერთმა ადგილობრივმა მთავართაგანმა გაავრცელა აქ მართლმადიდებელი სარწმუნოება და ბოლოს, მრავალ ცვლილებათა შემდეგ, ეს სამეფო შეუერთა საქართველოს დავით აღმაშენებელმა. ამ მდგომარეო-

ბაში დარჩა კახეთი მეთორმეტე საუკუნის დასაწყისიდამ 1469 წლამდე.

გაკვრით მოვიხსენიოთ, რომ ალვანია სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა მხარეს ერქვა. 1) სტრაბონის დროს ალვანია შეიცავდა ქართველების კახეთს და დაღესტანს. ამ ალვანიის მეფემ ორეზესმა შეჰკრიბა აქ ჯარი 70,000 კაცი პომპეის წინააღმდეგ. 2) ალვანია გააქრისტიანა წინა პირველად წმ. ელისემ, წმ. თადეოზ მოციქულის მოწაფემ და შემდეგ უქადაგებდა ქრისტიანობას წმ. გრიგოლ განმანათლებელი. კათალიკოსი იყო აქ მთამომავლობით სომეხი. მაშინ ალვანია შეერთებული იყო სამხრეთ საქართველოსთან და თანაც ერთი სულიერი მწყემსი ჰყავდათ. 3) ხასანიდების ალვანია, რომელიც ეპყრათ სპარსეთის სამეფო მთამომავლობის მთავრებს. ამათი მთამომავლობა და ტახტზე ასვლის დრო მხოლოდ სომხის ისტორიკოსს მოსე კალანკატოვაცს აქვს აწერილი. 4) ალვანია ქორიკოზ-ბაგრატიონებისა, *) რომელთა სატახტო ქალაქი იყო ლორი ტაშირში. აქ ქორიკოზ ბაგრატიონები თითქმის ორასი წელი შეუმჩნეველად ცხოვრობდენ. შემდეგ კახეთის პატარა მეფეებს შეერივნენ და დავით აღმაშენებლის მლევა-მოსილობამ სრულებით გააქრო ქორიკოზ ბაგრატიონები.

სიტყვას „სომხეთი“ აგრეთვე ორნაირივე მნიშვნელობა აქვს ქართულად: ეს სიტყვა ჯერ ნიშნავს ნამდვილ სამხრეთს, რომლის თხუთმეტი თემი აუწერია მოსე ქორენელს თავის გეოგრაფიაში. ეს სახელი ჰქვია აგრეთვე საქართველოს სამხრეთის ნაწილს, რომელიც ხშირად გადასულა ხან სომხების და ხან ქართველების ხელში და შეიცავდა ტაიკს და გუგარკის თემებს. როცა ეს მხარე სომხეთის მეფეების ან მთავრების ხელში იყო, მაშინ სომხები უწოდებდენ საქართველოდ—„გრაცტან“ და როცა ქართველების ხელში გადავიდოდა, მაშინ ქართველები უწოდებდენ სომხეთად. დავით აღმაშენებლის შემდეგ ეს მხარე აღარ მოსცილებია საქართველოს.

*) „ქორიკოზ“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „მეფის მონაცვლეს“, „მეფის მოადგილეს“. ამ ტიტულს ატარებდენ კახეთის მთავრები მე-VIII საუკუნიდამ მე-XI საუკუნემდე (იხ. დ. ბაქრაძე—ისტორია საქართველოსი, გვ. 278.)

ამისთანა იყო საზღვრები იმ ქვეყნებისა, სადაც ბრძანებლობდენ ქართველი მეფეები. მაგრამ ყველა ეს ქვეყნები იშვიათად ყოფილან შეერთებული მათ სკიპტრას ქვეშ, სანგრძლივად კი არასოდეს, რადგან ქართველ მეფეებს იმდენი ძალა არ ჰქონდათ, რომ სრულებით უზრუნველ ეყოთ თავისი დამოუკიდებლობა. ამ ნაირად სხვა და სხვა დროს აფხაზეთის, არტანუჯის მხარე და მთელი ლაზიკა ჩავარდენ ბერძნების გავლენის ქვეშ; შუაგული საქართველო მერვე საუკუნიდამ მეთორმეტემდე მუსულმანებმა დაიპყრეს, თუმცა ბაგრატ მე-IV ორჯელ გამოჰგლიჯა მათ ტფილისი; დავით მე-II-დგან მონგოლებამდე მთელი ყარაბაღი, შირვანი და დაღესტანი ქართველ მეფეების მეხარკე გახდა; ბვით ტრაპიზონმა ვეღარ გაუძლო თამარის ჯარებსა და ბოლოს, საქართველოს უკანასკნელ გამოღვიძების დროს, მთელი ქვეყანა ლარსიდამ დაწყებული რახსამდე დაემორჩილა მამაცს და დაუღალავს ერეკლე მე- II-ს. ყველა ამ ცვლილებათა სრულის სურათის დასახატავად საჭირო იქნებოდა მოგვეთხრო აქ საქართველოს მთელი ისტორია ოცის საუკუნის განმავლობაში.

## XII. საქართველოს ისტორიის წყაროები

*(M. Brosset—Histoire de la Géorgie—Introduction)*

უმთავრესი თხზულებანი, რომელნიც შეადგენენ საქართველოს ისტორიის საფუძველს, არიან:

1) ქართლის ცხოვრება, რომელიც ორიგინალად ცნობილია და აქამდე კი მეფე ვახტანგ VI-ს აწერდენ. 2) იგივე თხზულება, შემოკლებულად გადათარგმნილი სომხურად მეცამეტე საუკუნეში; შეიცავს საქართთველოს ისტორიას 1125 წლამდე.

3) იგივე ქართლის ცხოვრება, შემოკლებული ვახტანგ VI ძის ვახუშტის მიერ. ეს თხზულება განიყოფება ორ ნაწილად: პირველი შეიცავს საქართველოს ისტორიას 1469 წლამდე და მეორე ცალ-ცალკე ისტორიას საქართველოს სხვა და სხვა სამეფოებისა და სამთავროებისას 1744 წლამდე.

4) ქორონიკონი იმავე ავტორისა 1201 წლიდამ 1755 წლამდე.

5) საქართველოს ისტორია ფარსადან გორგიჯანიძისა, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებიდამ 1703 წლამდე.

6) საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა, 1659-დამ 1737 წლამდე.

7) საქართველოს ცხოვრება პაპუნა ორბელიანისა, შეადგენს გაგრძელებას სეხნია ჩხეიძის თხზულებისას 1758 წლამდე.

8) თექვსმეტი სიტყვა კათალიკოზის ანტონ I-სა საქართველოს ისტორიის შესახებ.

9 ქართლის ცხოვრება უსახელო ავტორისა, გამოცემული 1831 წ. პარიჟის აზიურ საზოგადოების მიერ და ხელახლავ გადათარგმნილი ფრანციულად პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის მემუარებში, შეიცავს ქორონიკონებსა, სიგელებიდამ გამონაკრებსა და დიდ-მოურავიანსა (იხ. ქვემოდ, № 18).

ამ ცხრა თხზულებას, რომელიც შეიცავს ან სრულს ისტორიას და ან რომელისამე გრძელ პერიოდის ისტორიას, უნდა დავუმატოთ:

10) ქართველ წმინდათა ცხოვრებანი სხვა და სხვა ავტორებისა.

11) მარტირიკა, ანუ შესხმა რაოდენთამე ქართველ წმინდათა, კათალიკოზის ანტონ I-სა.

12) წყობილ-სიტყვაობა, იმავე ავტორისა. ეს წიგნი ლექსად დაწერილია და მოიხსენიებს ყველა იმ ქართველთა, რომელთაც რომელსამე ასპარეზზედ თავი უსახელებიათ. (დაბეჭდილია ტფილისს, 1853 წ.)

13) მოხილვა წმინდათა და სხვათა აღმოსავლეთის ადგილთა, ქართლის მთავარ-ეპისკოპოზის ტიმოთესაგან, 1755 და შემდგომ წლებ-ში. (დაბეჭდილია ტფილისს, 1852 წ).

14) მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ევროპას და წმინდათა ადგილთა. დაიბეჭდა ტფილისს, 1852 წ).

15) შემოკლებული ისტორია მეფეთა გიორგის VIII-სა და კო-ნსტანტინე III-სა.

16) ამბავი თამარისა და მეფე თეიმურაზ I-სა, ლექსად თქმული ვახტანგ V-ის მის არჩილ მეფისაგან. (უკანასკნელი ნაწილი დაბეჭ-დილია ტფილისს, 1853 წ.)

17) ამბავი შაჰ-ნავაზ I-სა და მისის შვილის არჩილისა კახეთში, თქმული ლექსად ფეშანგის მიერ.

18) დიდ-მოურავიანი, ესე იგი, ამბავი დიდის მოურავის გიორგი სააკაძისა, თქმული ლექსად მისის შვილის-შვილის, ტფილელ მიტროპოლიტის იოსების მიერ. (დაბეჭდილია ტფილ., 1851 წ.)

19) ამბავი ვახტანგ VI-ის უკანასკნელ წლებისა, ლექსად თქმული დავით გურამიშვილს მიერ.

20) იმერეთის მეფის სოლომონის ომი აფხაზებთან, აწერილი პროზით და ლექსით.

21) რუსის ბრძოლა იმავე მეფის დროს, ლექსად თქმული მეგრელ პოეტის ჩიბმეჭკორის მიერ.

22) ერეკლე მეორის ცხოვრება 1783 წლამდე, თქმული ომან ხერხეულიძისაგან.

რამდენიმე ისტორიული თხზულებანი სხვა და სხვა ავტორებისა და სხვა და სხვა სივრცისა და მნიშვნელობისა, რომელნიც შეეხებიან ცალკე პირებს ანუ ფაქტებს.

23) ახალ დროის ისტორია, შედგენილი ბატონის შვილების დავით და ბაგრატის მიერ.

24) სიგელები, გუჯრები და სხვა ნამდვილი დოკუმენტები.

25) ძველ წარწერები ხატებისა და საეკლესიო სამკაულებისა.

26) ძველ წარწერები შენობებისა და სასაფლაოებისა.

27) ძველი ფულები და სხვა და სხვა ნაშთები.

28) მრავალი ცნობები მოიპოვება სომხურ თხზულებებში, მაგალითად მოსე ხორენელისა და ლაზარე პარბელისა, კორიუნისა და ღევონდისა, სებეოსისა და იოანე კათალიკოზისა, უხთანეს ურჰაელის და ასოღიკისა, არისტაკესი და ვარდან დიდისა, მათე ედესელისა და სტეფანე ორბელიანისა, კირაკოსისა და მალაქია აბელასი და სხვათა თხზულებაში. რასაკვირველია, არც ერთ ამბავთაგანს არ აქვს საგნად განსაკუთრებით საქართველოს ისტორია, მაგრამ იმათი ცნობები ძლიერ საფუძვლიანნი, მართალი და ბეჯითია: მე დიდად ვისარგებლე ამ ცნობებით საქართველოს ისტორიის პირველ ნაწილისათვის.—

29) ამ წყაროებს შევსებენ, როგორც მუსულმან ისტორიკო-

სების ცნობები, აგრეთვე დაბეჭდილი თხზულებანი რამდენისამე ქართველებისა და ევროპიელებისაც, რომელთაც ხელი მიჰყვეს საქართველოს ისტორიის კრიტიკულ შემუშავებას. ყველა ამათ აგრეთვე უნდა დაუმატოთ მრავალი ევროპულ მოგზაურების ნაამბობნი და რამდენიმე საეკლესიო მწერლების ძლიერ სასარგებლო გამოკვლევანი.

30) რადგან არაბულ, თათრულ და სპარსულ თხზულებების წაკითხვა მე არ შემეძლო, ამიტომ ვისარგებლე შემდეგ მეცნიერების თარგმანებით და კრიტიკულ შენიშვნებით: სენ-მარტენის მდიდარ შენიშვნებით შესახებ ორბელიანების ისტორიისა, ოტომანთა იმპერიის მშვენიერ გამოკვლევებითა დეფრემრის მიერ (პარიჟის აზიურ ჟურნალშია, 1849 წ.), ჩემის ამხანაგის დორნის გამოკვლევებითა, პროფესორის გოტვალდის თარგმანებითა და სხვ. ზოგიერთ ქართველებმაც მომცეს მასალები: ბატონიშვილმა დავითმა თავისი თხზულება „Исторія о Грузіи“ (პეტერბურგი, 1805 წ.) და თავისი ნ ა რ კ ვ ე ვ ი (ტფილ. 1800 წელს), და მეცნიერმა ბატონიშვილმა თეიმურაზმა თავისი „ი ს ტ ო რ ი ა ივერიისა ანუ გიორგიისა ანუ საქართველოისა“ (პეტ. 1848 წ.). სამართლიანობა მოითხოვს მოვიხსენიოთ აქ ვრცელი გამოკვლევანი ვივიენ სენ-მარტენისა: ა) ისტორიული გამოკვლევა კავკასიის ძველ გეოგრაფიის თაობაზე (პარიჟი, 1847 წ.); ბ.) გამოკვლევანი კავკასიის წინაპირველ ერების თაობაზე (პარ. 1847 წ.) და გ) მრავალნი გამოკვლევანი შესახებ ალანებისა, თეთრ ჰუნებისა, ლაზიკისა და კავკასიისა მეათე საუკუნეში. აი რა მასალა მქონდა მე ხელში ქართველ ორიგინალ ისტორიკოსების კრიტიკულად განხილვისათვის.

## VIII «ქართლის ცხოვრება»

*(M Brosset—Histoire de la Céorgie—Introduction)*

ჩვენს წინა წერილში ჩამოთვლილ წიგნთა შორის ყველაზედ-უფრო თვალსაჩინო ადგილი უჭირავს „ქართლის ცხოვრებას“, რომელსაც შეცდომით აკუთნებენ ხოლმე მეფე ვახტანგ მე-VI-ს. ეს წიგნი

ყველაზე უძველესია, ყველაზე უვრცელესი, თუმცა შეიცავს საქართველოს ისტორიას მხოლოდ მე-XVII საუკუნის დამდეგამდე. ეს ერთად ერთი წიგნია, რომელსაც არ ეტყობა, რომ ერთ დროს იყოს შედგენილი. ეს წიგნი ის წყაროა, რომლიდამაც ამოღებულია ყოველივე, რაც კი თქმულა [1858 წლამდე] საქართველოში და ევროპაში ქართველ ერის შთამომავლობის შესახებ. რომ ამ მატიანეს უსაფუძვლოდ მიაწერენ ხოლმე მეფე ვახტანგ მე-VI-ს, აი ამის დამტკიცებანი. ჯერ ეს უნდა ვთქვათ, რომ შეუძლებელია 1675 წელს დაბადებულს ვახტანგს, თუ კი უწინდელი მასალები არ ექნებოდა, დაეწერა იმისთანა მატიანე, რომელიც შეიცავს, არა თუ წარღვნის დროთა გარდმოცემას, არამედ ისტორიულ ფაქტებს მეოთხე საუკუნისას ქრისტეს დაბადებამდე. ამისთანა მასალები საქართველოში მართლაც არსებობდა ვახტანგის წინად, და არა ვითარცა განცალკევებული ცნობები, არამედ ვითარცა მატიანეს მთელი წიგნები. ამას მოწმობენ სომხის ისტორიკოსები მხითარ ერეწი, რომელსაც ასახელებს ვართან დიდი, მხითარ აირივანქელი, თვითონ ვართან დიდი და სტეფანოზ ორბელიანი. ეს მეისტორიენი სწერდენ მე- XII და მე-XIII საუკუნეებში, და ამბობენ, რომ მათ უკითხავთ ქართული მატიანე. სტეფ. ორბელიანი იმასაც დასძენს, რომ ამ მატიანეს უწოდებენ „ქართლის ცხოვრება"-ს, სწორედ იმ სახელს, რომლითაც ცნობილია ჩვენგან დასახელებული მატიანე. ამას გარდა დოსითეოზ, იერუსალიმის პატრიარქი, რომელიც ყოფილა სამეგრელოში 1659 წ., ამბობს, რომ სამეგრელოში ვნახეო ქართული ძველი ისტორიის წიგნი, რომელიც შეუდგენიაო აფხაზეთის მეფეს ბაგრატსაო. პატრიარქის სიტყვით, ეს ბაგრატი ცხოვრობდა 991 წ. ქრისტეს აქეთ. მაშასადამე ეს ყოფილა ბაგრატ მე-III..

ამას გარდა „ქართლის ცხოვრებაში" ნახსენებია აფხაზეთის ისტორიის წიგნი, ძველი წიგნი ქართლისა და მეფეთა წიგნი მე-X საუკუნისა, მე-XII-ის დასაწყისისა და მე-XIII-ის ნახევრისათვის. თვითონ ვახტანგიც სრულებით არ ჩემულობს ამ მატიანეს შეთხზვას და არც სხვა და სხვა მასალებისაგან შედგენას. წინაამდეგ ამისა ამ მატიანეს წინასიტყვაობაში, რომელსაც ამ მეფეს აკუთვნებენ, ნათქვამია რომ ვახტანგმა მხოლოდ ბრძანა შეკრებილიყო, საცა კი იყო ძველად

მატიანეში: „შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხუნა, რაც რომ ქართლის ცხოვრებანი ჰპოვნა და კვალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი, და შეამოწმეს... და სხვაცა წერილნი მოიხვნეს“... ამ სიტყვებიდამ ცხადად სჩანს, რომ ვახტანგმა მხოლოდ შეაკრებინა სხვა და სხვა მატიანენი და ცნობანი, რომელნიც მოიპოვებოდა მის დროს საქართველოში, მაგრამ გაბნეული იყო და მხოლოდ დაურთო რამდენიმე წვრილმანი ცნობანი, რომელიც აკლდა უწინდელ მატიანეებს. ჩვენის აზრით, ესეთი შრომაც დიდ ღვაწლად უნდა ჩაეთვალოს ვახტანგს. მხოლოდ, ჩვენდა სამწუხაროდ, არა სჩანს, რომელი წვრილმანი ცნობა არის შეტანილი „ქართლის ცხოვრებაში“ ვახტანგის მიერ.

ამ დასაბუთებას, ფრიად სარწმუნოს, ჩვენ შეგვიძლია კიდევ უფრო მტკიცე მოსაზრებანი დავსძინოთ. აი რა ნაირ მინაწერს ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრების“ ხელ-ნაწერში, რომელიც ეკუთვნის მოსკოვის რუმიანცოვის მუზეუმს, ვახტანგ-გორგასლანის მეფობის შესახებ: „ლევან—მაქელა, ვახტანგის სიმამრი. ამ ლევანის დროდამ აწინდელ ქორონიკონამდე ტჟზ (397) გავიდა 1188 წელი“... ეს ქორონიკონი უდრის 1709 წელს ქრ. აქეთ. მაშასადამე ეს ხელნაწერი ყოფილა გადაწერილი 1709 წლამდე. ამ წელს კი ვახტანგი იყო ოც და თოთხმეტის წლისა. მართალია ძლიერ ყმაწვილი არ ყოფილა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ ხანში ვახტანგს, რომელსაც 1703 თუ 1704 წელს უკვე შეუდგენია კანონთ კრება, შეძლებოდა კიდევ დაეწერა თავისით იმისთანა დიდი თხზულება, როგორიც არის „ქართლის ცხოვრება“.

ამას გარდა, ზოგიერთი ნაწილები იმ „ქართლის ცხოვრებისა“, რომელსაც მიაწერენ ვახტანგ მე-VI-ს, ცნობილია თავიანთ ავტორების სახელით. მაგალითად, საქართველოს გაქრისტიანების ამბავი დაწერილია სამის თანა მედროვე კაცისაგან: მცხეთელ ებრაელ მღვდლის აბიათარისაგან, რომელიც გაქრისტიანდა და იწოდა ახალ პავლედ; აბიათარის ქალის სიდონიასაგან, რომელიც იყო ეგრეთვე წმ. ნინოს მოწაფე; და კიდევ მირიან მეფის შვილის რევის ცოლის სალომესაგან, რომელიც იყო დედოფლად უჯარმისა. არჩილ წამებულის მეფობის

დასასრულს ვკითხულობთ შემდეგ შესანიშნავ სიტყვებს: ,,წიგნი ესე წამებისა მისისა იპოვა ქსრედ, სულ მცირედ აღწერილი, რომელ ჟამთა შლილობით, ჯერისა-ებრ ვერავის აღეწერა. ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა, ვიდრე ვახტანგისამდე, აღიწერებოდა ჟამითიჟამად. ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, ძმის წულის ქმარმან წმინდისა არჩილისამან, ნათესავმან რევისამან, მირიანის ძმისამან და ამიერითგან შემდგომთა ნათესავთა აღწერონ, ვითარცა იხილონ". აქედამ სჩანს, რომ საქართველოს ისტორია ვახტანგ გორგასლანამდე (446—499 წ. ქრ. აქედ) იწერებოდა ძველადგანვე სხვა ძ სხვათაგან; რომ ჯუანშერ მთავარმა განაგრძო იგი წმ. არჩილის წამებამდე, რომელიც მოხდა მერვე საუკუნეში ქრ. აქედ. მართლაც, როცა ვკითხულობთ ორმოცდა ოთხის მეფის ამბავს, ფარნავაზიდამ დაწყებული არჩილამდე, საკვირველ განსხვავებასა ვხედავთ სხვა და სხვა ნაწილთა შორის. ზოგიერთი მეფობა მაგალითად ფარნავაზისა ძ ადერკისა, მირიანისა და ვახტანგისა ძლიერ ვრცლად და დაწვრილებით არის ნაამბობი, ზოგიერთი კი, თუმცა გაგრძელებულა რამდენიმე წელიწადი, ნახსენებია მხოლოდ ერთის ფრაზით; თითქმის ყველა მეფობანი ძლიერ თვალსაჩინონიც, დაწერილია განაგონებისამებრ, გარდა მირიანისა, რომლის მეფობაში მოხდა ქართველების გაქრისტიანება და ეს ამბავი კი, როგორც ზემოდ ვთქვით, აუწერიათ თვით დამსწრეთა.

იგივე განსხვავება ცხადად სჩანს შემდეგაც. საეჭვო არ არის, რომ ,,ქართლის ცხოვრება" შემდგარია სხვა და სხვა ნაწყვეტებისაგან, რომელიც დაწერილია სხვა და სხვა უსახელო ავტორების მიერ. საფიქრებელია, რომ ეს ავტორები იყვნენ სამღვდელონი და სცხოვრობდენ იმ დროს, ანუ თითქმის იმ დროს, რომელსაც აღწერენ. მხოლოდ ერთხელ რუსუდანის მეისტორიე ამბობს, რომ ტფილისის აოხრება აწერა ვინმე ბერმა მღვიმელმაო, მაგრამ მის სახელს კი არ იხსენიებს და არც იმას ამბობს, ის მღვიმელ ბერის მოთხრობა თითონაც გამოიყენა, თუ არა. მართალია, ამისთანა სიჩუმე ,,ქართლის ცხოვრების" ავტორებისა შესახებ თავიანთის სახელებისა, დროსა და ბიოგრაფიისა ბევრად ვნებს მათ სინამდვილეს და საბუთიანობას, მაგრამ იმდენად კი

არა, რომ ისინი სრულებით ღირსნი აღარ აყვნენ ჩვენის რწმუნებისა, რადგანაც აღნიშნული ნაკლულევანება შეიძლება შეივსოს ქართველ და ევროპულ მეისტორიეთა ნაწერების შედარებით, რომელიც ამტკი-ცებს პირველთა სინამდვილეს და სიბეჯითეს.

ერთი გარემოება კიდევ უფრო ეჭვს გარეშე ჰყოფს, რომ ვახ-ტანგ მეფის წინად არსებობდენ, არამც თუ საზოგადოდ წერილობრივ-ნი სახსოვარნი საქართველოს ისტორიისა, არამედ კერძოდ მატიანეთა კრებულიც, რომელიც ერთ წიგნად გავრცელებული იყო საქართველო-ში დ რომელიც ვახტანგს მხოლოდ გადაუსინჯავს ერთიანად და შეუ-სწორებია.

ეს გარემოება შემდეგია. ტფილისის სომხების არქიელმა კარა-პეტმა 1841 წელს წარუდგინა პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიას საქართველოს ისტორია, სომხურად დაწერილი, რომელიც იწყება ქარ-თველ ერის შთამომავლობის აღწერით და თავდება დავით აღმაშენე-ბელის სიკვდილით, — 1125 წელს ქრ. აქედ. ეს თხზულება არ არის სრული და უკანასკნელი მისი ფრაზა თავდება დაუსრულებელ სიტყვით (დაადგინა რა თვისი შვილი დიმიტრი ტახტზე). ეს ხელ-ნაწერი შეი-ცავს არა ნაკლებ თექვსმეტის თხზულებისა, გადაწერილს სხვა დ სხვა დროს, როგორც სჩანს გადამწერთა შენიშნებიდამ. პირველი ნაწილი ანუ პირველი სამი თხზულება გადაწერილია 1669 წ. ქრ. აქედ; მეო-რე ნაწილი, რომელიც შეიცავს განსაკუთრებით საქართიველოს ისტო-რიას, დასრულებულია ანის ქალაქში ,,მოციქულთა პეტრეს და პავ-ლეს მფარველობით 1674 წ. უღირსის მღვდლის გრიგოლ ერეწის მიერ.‘‘ ეს სომხური ქრონიკა მხოლოდ თარგმანია, როგორც ესლავე დავრწმუნდებით, იმ ,,ქართლის ცხოვრებისა‘‘, რომელსაც აკუთნებენ ვახტანგ მე-VI. ვახტანგი-კი დაიბადა 1675 წ., როგორც ზემოდ ვსთქვით მაშასადამე ის ვერ იქნებოდა ავტორი ,,ქართლის ცხოვრებისა, რომე-ლიც სომხებმა გადათარგმნეს 1674 წელსა.

რომ ეს სომხური ქრონიკა შემოკლებული თარგმანია ,,ქართლის ცხოვრებისა‘‘ და არა ორიგინალი, ამას ამტკიცებს ამ ორის თხზულე-ბის სივრცის შედარება. ამასვე ამტკიცებს ის გარემოება, რომ რამ-დენიმე მეფობა სრულებით გამოტოვებულია სომხურ ქრონიკაში, სა-

ხელდობრ მეფობა ბაგრატ I-სა, მირდატ II-სა, ბაგრატ III-სა, ადარნასესი, გურამისა და სტეფანოზ I-სა და სხვებისა, ე. ი. იმ მეფეებისა და მთავრებისა, რომელთა მეფობას „ქართლის ცხოვრება", ბევრად თუ ცოტად, უფრო ვრცლად მოგვითხრობს.

ამასთანავე სომხური ქრონიკის და „ქართლის ცხოვრების" შედარება ცხადად ამტკიცებს, რომ პირველი ნათარგმნია მეორიდამ არა ქართველის მიერ; რომ დედანი განირჩეოდა იმ „ქართლის ცხოვრებიდამ", რომელმაც ჩვენამდი მოაღწია; რომ მთარგმნელს ზოგიერთ ადგილს თავისი დამატება ჩაურთავს და ეს დამატება ამტკიცებს, რომ მთარგმნელი სომეხი ყოფილა.

ქართულ სიტყვის „ჩრდილოეთის" სამაგიეროდ სომხურს აქვს საკუთარი სიტყვა „ჰიუსისი", მაგრამ მთარგმნელი ამ სიტყვას პირდა პირ სთარგმნის და ამიტომ ჰხმარობს იმისთანა სომხურ სიტყვას, რომელიც ჰნიშნავს „ბნელ ქვეყანას". იმის მაგიერ რომ ქართული საკუთარი სახელები „ცისე-დიდი", „უფლის ცისე", „დედა-ცისე" უცვლელად გადაეწერა, მთარგმნელი სთარგმნის ამ სიტყვებს სომხურად.

„შიომ", „არშაკ", „არდაშირ" და „მობიდან"—ის მაგიერ მთარგმნელი თითქმის მუდამ სწერს: „ბიუსბ", „არბაკ", „არდაბირ" და „მოშიდან". ასეთი ასოების გამოუცნობლობა ადვილად აიხსნება ქართულ ხუცურ ნაწერით, მაგრამ ამისთანა უმეცრება მთარგმნელს არ მიეტევება, რადგან ეს სახელები ხშირად იხმარება ისტორიაში და განსაკუთრებით არშაკის სახელი კარგად უნდა სცოდნოდა მთარგმნელს.

რომ მთარგმნელი არ არის ქართველი, არამედ სომეხია, რომელიც არ ყოფილა საკმაოდ განვითარებული საქართველოს ისტორიაში, ამას ამტკიცებს ის განმარტებანი, რომელიც მთარგმნელს ჩაურთავს თარგმანში. ეს განმარტებანი ქართველისათვის სრულიად არ იყო საჭირო. ფარნავაზის ლეგენდა ამბობს, რომ ამ მეფეს ერთხელ გზა დაებნა, როცა ნადირობაში იყო და ირემს მისდევდა. სომხის მთარგმნელი ამ სიტყვას სომხურად ეგრე სწერს: „ე რ ე მ ი", რომელიც ნიშნავს „ტყის ნადირს". შემდეგ მთარგმნელი ამ ადგილს: ქვეყანა „ეგრისის წყალსა და რიონს შუა, ზღვიდგან მთამდე", ეგრე სთარგმნის: „ქვეყანა ერევნის გარე ჯურს და მთას შუა". ცხადია, რომ მთარგ-

მნელს ხელნაწერში შეცდომით ამოუკითხავს: „გარის წყალს და რქევან შუა" და ამის თანახმად გადაუთარგმნია ეს ადგილი. განსაკუთრებით მთარგმნელის სომხობას ამტკიცებს ის გარემოება, რომ დამატებანი, რომელიც იმას შემოაქვს, შეეხება სომხეთის ისტორიის ფაქტებს...

„ქართლის ცხოვრება", რომლის მოთხრობა იწყება თითქმის წარღვნის დროიდამ, შეიცავს შესავალს და ამ შესავალს მოსდევს ამბავი ოთხმოცის მეფისა. შესავალი შეიცავს ქართველის ერის შთამომავლობას, თავდაპირველ განაწილებას ქვეყნისას, რამდენსამე შენიშვნას საზოგადოებრივ წყობილების თაობაზე და შემოკლებულ ამბავს იმის შესახებ, თუ რა გაჭირება გამოიარეს ქართველებმა პირველ მეფის ფარნავაზის გამეფებამდე ხაზარებისა, სპარსებისა და ბერძნებისაგან.

ქართველები რომ უძველეს დროიდამ თავის ახლანდელ სამშობლოში ცხოვრობენ, ეს დამტკიცებულია სტრაბონის, იოსების, პლუტარხის და მოსე ხორენელის მოწმობით.

---

## XIV. «ქართლის ცხოვრების» სინამდვილე

(დ. ზ. ბაქრაძე—ისტორია საქართველოსი უძველესის დროიდამ მე-X საუკ. დასასრულამდე)

ჩვენს დროში მსწავლულენი საზოგადოდ დარწმუნებულნი არიან, ვითომც „ქართლის-ცხოვრება" ვახტანგ მეექვსისაგან იყოს სომხურის ქრონიკებიდამ და სხვა-და-სხვა ცნობებიდამ შედგენილი. ამ აზრს ამყარებენ „ქართლის-ცხოვრების სათაურზე, რომელიც გვამცნევს, ვითომც ვახტანგ მეფეს „მოეხვნეს გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი და შეემოწმებინოს „ქართლის-ცხოვრება" და, რომელი გარყვნილ-იყო, განემართოს და სხვა-ცა წერილნი მოეხვნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოეხვნენ და ესრედ აღეწერინოს". ამ სათაურზედ-ვე დაუფუძნებია ამ ცოტა ხანში ერთ მეცნიერსა დედა-აზრი თავის სტატიისა, რომლითაც იგი უარ-ჰყოფს „ქ-ცხ.ის" სიძველეს და ამასთანავე ამტკიცებს, ვითომც ის იყოს შედგენილი სომხისაგან

სომხურს ენაზე მეთორმეტე საუკუნეში და ვითომც ვახტანგზე წინა დროის „ქ-ცხბა“ არ მოიპოებოდეს.

როგორც ხსენებული სათაური, აგრეთვე ეს უკანასკნელი აზრი ყოვლად უსაფუძვლოა. ვახტანგ მეფეზე ჩვენ გვაქვს ცნობები, რომელნიც დაწვრილებით გვიხატვენ ყოველ შემთხვევას იმის ცხოვრებისას; მაგრამ „ქართლის-ცხოვრების“ შედგენას თუ შესწორებას ვახტანგის მიერ არც ერთი მათგანი არ იხსენიებს.

მაშ საიდამ წარმოსდგა ხსენებული სათაური? საქართველოს წარსულ ჟამთა მატიანე იყოფა ორ განყოფილებად: პირველი ანუ „ქართლის-ცხოვრება“ თავდება მეთოთხმეტე საუკუნეში, გიორგი ბრწყინვალეს დროს; მეორე შეიცავს შემდეგ საუკუნეთა გამოკვლევას. მეორე განყოფილების მატიანე შეუწყვეტელის არეულობის გამო საქართველოში არა ყოფილა შემუშავებული და რიგზე აღწერილი და აი რას ამბობს ამ საგანზე ვახუშტი თავის ისტორიის წინა-სიტყვაობაში; „თუმცა ვიხილავთ გუჯართა, სიგელთა და ეკლესიებთა წიგნებთა შინა ქორონიკონებთა მათთა, რომელნი აღუწერიათ ბრწყინვალის გიორგიდამ ვიდრე ჩვენამდე; ყოველთა მეფეთა და მთავართა და სხვათა ვიუწყვით ხსოვნათ-მოთხრობათა და მცირეთა ცხოვრებათა მათთა წარწერითაცა, არამედ გარჩევა საჭირო არს და უხმს შრომა დიდი. გარნა ამის გარჩევისათვის წარმოვსთქვათ ბრწყინვალე გიორგიდამ ვიდრე ჩვენამდე. ხოლო აღუწერიათ ცხოვრებაცა სახელითა ლევანის ძისა მეფისა ვახტანგისათა, რომელი არა საგონებელ არს მის მიერ და, თუმცა ბრძანებითა მისითა არს, არამედ მას თვით არღარა განუხილავს ვითარება მისი“... შემდეგ ამისა ვახუშტი უჩვენებს ქრონოლოგიურს შეცდომებს ამ აღწერილობისას და წინა-სიტყვაობას აბოლოებს ამ სიტყვებით: „ხოლო ჩვენი შრომა ამისთვის იყო, ვინადგან მეფის ვახტანგის სახელით აღეწერათ და ვიხილეთ ესოდენნი წინააღმდეგნი და უსწორებლობანი, ესენი განვასწორეთ და განვმართეთ მოწმობითა ზეით თქმულითა, რათა არავინ სთქვას მხილველმან ამისმან შეურაცხება რაიმე, რამეთუ მეფის განზრახვას ვგონებ ესრედ, ვითარცა აღვწერეთ, ვინადგან ნათესაობისა ქორონიკონსა სწორესა სწერს, გარნა შემწყობი ამისი შეცდომილ არს“. ამ ვახუშტის სიტყვებიდამ ჩვენ ის აზრი გამო-

გვაქვს, რომ იმისგან დაწერილი ახალი ისტორიული ცხოვრება ჩვენის ქვეყნისა უნდა იყოს თვით ის აღწერა, რომელიც ვახტანგის ბრძანებით შეუდგენიათ და ვახუშტის ეს აღწერა მხოლოდ შეუსწორებია და შეუვსია კიდეც.

წინა-სიტყვაობა ვახუშტისა, რომელსაც ჩვენ ვუჩვენებთ, ჩართულია ბროსსესაგან გამოცემულს „ქართლის-ცხოვრებაში" და ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, რომ ახალის ქართულის მატიანის დამწყების სახელი, ესე იგი ვახტანგისა, მიუთვისებიათ თვით „ქართლის-ცხოვრებისათვის",—ასე რომ ორს „ქართლის-ცხოვრების" ძველსვარიანტში, რომელნიც ვახტანგის წინად არიან გადაწერილნი და ეკუთვნოდნენ თეიმურაზ ბატონი-შვილს, დასაწყისში სხვა ხელით არის დაწერილი ხსენებულის სათაურის ფურცელი და ეს არის საფუძველი შეცდომის გავრცელებისა. ამის გამო შეცდომაში თვით თეიმურაზ ბატონი-შვილი. რაც კი იმას თავის ისტორიაში „ქართლის-ცხოვრებიდამ" გამოაქვს, ყველას მეფე ვახტანგს მიაწერს. ამ შეცდომაშივე იმყოფებოდნენ ევროპელნი ქართულის ისტორიის გამომძიებელნი...

საქართველოს ისტორიული მატიანე ძველის დროდამვე ცნობილი „ქართლის-ცხოვრებად". ასე უწოდს მას ზემოდ ხსენებული „სომხური ქრონიკა", ანუ უკედ „ქართული ქრონიკა", რომელიც თავდება დავით აღმაშენებლის სიკვდილით—1125 წ. არ იციან, როდის არის იგი თარგმნილი სომხურ ენაზე; მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ეს თარგმანი ეკუთვნის დავითის თანა-მედროვეს. „თვით ჩვენის თვალით გვინახავსო — ასე ათავებს მთარგმნელი თავის შრომას—სოლომონ ბრძენის სიტყვების აღსრულებას დავით მეფეზე". დავითის შემდეგ რომ თარგმნილიყო ეს ქრონიკა, უეჭველია, მთარგმნელი მომავალს ცხოვრებასაც განაგრძობდა. „ქართლის-ცხოვრებადვე" სახელ-სდებს ქართულ მატიანეს მეცამეტე საუკუნეში სტეფანოზ ორბელიანი. მცხეთის ერთი გუჯარი 1546 წლისა, რომელიც ახლა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორაშია, მცხეთის წიგნთა საცავში, იხსენიებს, სხვათა შორის, „ქართლის-ცხოვრებას". ჩვენ დრომდე მოუღწევია ვახტანგ მეფეზე ადრინდელს სამს ვარიანტს „ქართლის-ცხოვრებისას": ერთია ნუსხურად ნაწერი და ეკუთვნის პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიასა;

მეორე მხედრული რუმიანცოვის მუზეუმშია; მესამე მხედრულივე, გადაწერილი 1636—1646 წ. როსტომ მეფის ცოლის მარიამისათვის. ჩვენ იმედს არა ვკარგავთ, რომ სხვა ძველი ვარიანტებიც უნდა აღმოჩნდეს საქართველოს კერძო სახლებსა და მონასტრებში.—

„ქართლის-ცხოვრების“ თვით ჩვენის საკუთარის გამოკვლევამ აღმოგვაჩინა შემდეგი ფაქტები.

თუ მარტო პალეოგრაფიის მხრით განვიხილავთ „ქართლის-ცხოვრების“ ვარიანტებს, უეჭველად დარწმუნდებით, რომ ძველი „ქართლის-ცხოვრება“ წერებულა იმ დროს, როდესაც მხედრული ჯერ არ არსებობდა და მხოლოდ ხუცური ანბანი იყო გავრცელებული. როგორც ვიცით, ხუცურში ზოგიერთი ასოები, მაგ. შ და ბ, ტ და ძ, ი და ღ ერთმანეთში ძნელად გაირჩევა; ამისგამო მწერლებს ძველადვე ეს ასოები მხედრულის ხელით გადაწერილს „ქართლის-ცხოვრებაში“ აურევიათ და ამ მიზეზით, მაგალ., ნაცვლად შიოშისა, არშაკისა, არდაშირისა, მობიდანისა, პაბურისა, ასადასი, მანქორისა, ქარიალმანისა, ჯავანშერისა, მურღულისა ვკითხულობთ: ბიობ, არბაკ, არდაბირ, მოშიდან, ბაბურ, აშალ, ბანქორი, ჯავანბერი, ქარიალანი, მურღული და სხვ. ეს შეცდომა ხშირია და ამისი კვალი დარჩენილია თვით მეთორმეტე საუკუნის „სომხურს ქრონიკაშიაც“, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ, და მეცამეტე საუკ. მხითარ აირივანქელის „ხრონოლოგიურს ისტორიაშიაც“.

თვით ლექსთა-წყობა და გრამატიკული ფორმები ძველის „ქართლის-ცხოვრებისა“ აღმოაჩენენ საგრძნობელს განსხვავებას, თუმცა იმათ მომავალის საუკუნოების კალმის კვალიც კი დასტყობია. გარდა ამისა „ქართლის-ცხოვრებაში“ ვპოულობთ იმისთანა ლექსებსა, რომელნიც შემდეგ საზოგადოდ არიან მიღებულნი, მაგრამ ძველად კი ან არ იხმარებოდნენ, ან განსხვავებულის აზრით იხმარებოდნენ, მაგ. ბიძა, პაპა სულ არ ამოიკითხვის და ამათ მაგიერ იხმარება: მამის ძმა, დედის ძმა, მამის მამა; თარგმანი იხმარება მთარგმნელის ნაცვლად: „კანანელთა თარგმანთა“, „მოუწოდა თარგმანსა“. ხშირია სეფე და ამ ლექსიდამ წარმომდგარი რთული სიტყვა: სეფე-შვილი, სეფე-ქალი, სეფე-წული, სეფის-პირი, სეფე-მწიგნობარი, სეფენი ქვეყნისანი, სეფე-

დროშა, სეფე-ვენახი; „სარაკა“ სულ ძველად, შემდეგ „ხარკი“ მასუ-კან „ხარაჯა“, სულ ბოლოს „ხარჯი“; სანახები „ნაცვლად“ სიტყვისა სამზღვარი, გარემშემო ადგილები: „სანახები ქართლისა“; „ბარენი და სანახები ქართლისანი“; „მსგეფსი“ — შვიდეულის მაგიერ ან სწორის-სწორისა: „დაიმარხავს მსგეფსი ერთი“; „დაჰყვეს მუნ მსგეფსი ერ-თი“. მრავალია „ქართლის - ცხოვრების“ ძველს ნაწილში ამგვარი ლექსები, რომელთაც იგივე მნიშვნელობა აქვთ თვით სახარების უძვე-ლეს ვარიანტებში და სხვა მანუსკრიპტებში. — ძველი „ქართლის-ცხოვ-რება“ შეიცავს ერთს შესამჩნევს ფაქტსა, რომელიც გვაძლევს შეურ-ყეველს საბუთს თავის სიძველისას. „ქართლის-ცხოვრება“ აშო-ტის შვილის გვარამის დროიდამ († 883) ტაო-კლარჯეთის მფლო-ბელთ უწოდს მამფლებად, როგორც კახეთის მფლობელთ — ქორიკოზე-ბად. ლექსი მამფალი უდრის შემდეგის საუკუნოების მთავარსა და ის-მარება მხოლოდ მეათე საუკუნის გასვლამდე, როდესაც მამფლები ერთ-მპყრობელობის დაარსების გამო საქართველოში გაქრნენ. ამავე ლექ-სსა ხმარობს, როდესაც ტაო-კლარჯეთის მპყრობელთ შეეხება მეათე საუკუნეში ბიზანტიის მწერალი კონსტანტინე პორფიროგენი და ხმა-რობენ აგრეთვე იმავე დროსათვის: მეთერთმეტე საუკუნის მემატიანე სტეფანოზ ასოღიკი და სხვა-და-სხვა ქართული მანუსკრიპტები და გუჯა-რები. საკვირველია, რომ ლექსი მამფალი ტაო-კლარჯეთის საზღვრებს თითქმის არ გასცილებია და ამასთანავე მეთერთმეტე საუკუნიდამ არც მატიანეებში, არც სხვა ძველ მწერლობაში აღარ ამოიკითხება.—

რომ მოხსენებული ნაწილი „ქართლის-ცხოვრებისა“ მირიანის მე-ფის დროიდამ თითქმის თავ-თავის დროს იწერებოდა, ამას ადგილ-ად-გილ „ქ-ცხოვრება“-ში გვიჩვენებს. ზოგიერთთა ეჭვი შეჰქონდათ და შე-აქვთ კიდეც „ქართლის ცხოვრება“-ზე იმ გარემოების გამოცა, რომ „ქარ-თლის-ცხოვრება“ არ იხსენიებსო, რომელი მოთხრობა როდის და ვის-გან არისო შედგენილი. ეს მართალია, მაგრამ უმთავრესი ამისი მიზე-ზი, რომლის განხილვაში არავინ შესულა, იმითი აიხსნება, რომ „ქართლის-ცხოვრება“ შეადგინდა სხვა-და-სხვა ვრცელთა კერძო ქრონი-კებითაგან შემოკლებით გამოსაწერ საზოგადო საკითხავ წიგნსა. ამ აზ-რის საბუთს იმის შინაარსივე გვაძლევს, როდესაც გვაუწყებს, მაგ.,

„ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა სომხთასა...“, „წიგნსა წამებისა-
რიფსიმესა“ (აგასთანგელის ისტორია)... „ვითარცა წერილ არს ცხოვრება-
სა სპარსთასა“... „ბერძენთასა“... „ვითარცა წერილ არს სრულსა ცხოვრე-
ბასა მისსა“.... „დაიწერა ცხოვრება და სასწაულნი მათნი (ათორმეტთა
სირიელთა მამათა) და დაისხნეს ეკლესიათა შინა ქართლისათა და აწ
ვიწყოთ შემოკლებით ცხოვრება მათი“....„რომელი თვითოეულად ჰპო-
ვო ცხოვრებასა მათსა (აფხაზთა მეფეთასა)...“ „ვითარცა მოგვით-
ხრობს ძველი მატიანე ქართლისა“. .. „ვითარცა მოგვითხრობს წიგნი
მეფეთა და ესე მტკიცედ სიტყვანი, ვითარცა თესლის-მკრებელმან მი-
მო-განთესილნი წმინდათა წერილთაგან ერთად შემოკრიბე“... „...ვი-
თარცა მოგვითხრობს ჩვენ აღწერილი გუჯარი, რომელსა შინა აღწე-
რილ არიან მეფენი და წარჩინებულნი ტომებით და სოფლებით მათით.“
თუმცა, როგორც ეს გამონაწერი გვამცნევს, სირიულ მამათა და სხვა
წმინდათა გარემოებანი მხოლოდ გაკვრით არიან ნაჩვენებნი „ქართლის-
ცხოვრებაში“ და ამასთანავე იმათნი შემადგენელნი არ არიან დასახელე-
ბულნი, მაგრამ მომეტებულს ნაწილს ამ წმინდათა კერძო-კერძო ცხო-
ვრებისას ჩვენამდე მოუღწევია, რადგან იგინი ივითხებოდენ ეკლესიებ-
ში, როგორც ამას მოითხოვდა საეკლესიო კანონი; ამის გამო თვითო-
ეულის მათგანის ავტორებიც ვიცით ვინ არიან. ამას ვერ ვიტყვით
საზოგადოდ საერო კერძო ქრონიკებზე, რადგანაც იმათ ან არ მოუ-
ღწევიათ ჩვენამდე, ან ჯერ არ არიან იგინი აღმოჩენილნი. მხოლოდ
ორი-სამი შემთხვევა ვიცით, როდესაც „ქართლის-ცხოვრება“ მოიხსენებს
ავტორებსა. აი ეს შემთხვევანი, რომელნიც სიტყვა-სიტყვით შემო-
გვაქვს: „წიგნი ესე „ქართლის-ცხოვრება“ ვიდრე ვახტანგისამდე აღიწე-
რებოდა ჟამითი-ჟამად; ხოლო ვახტანგ მეფიდგან ვიდრე აქამომდე
აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან და ამიერიდგან შემდგომთა ნათესავ-
თა აღწერონ, ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად
მოსცეს გონებასა მათსა...“ „ესე არჩილის წამება და მეფეთა ცხოვ-
რება და ნინოსაგან ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა და
ახლა იოანე დეკანოზი სწერს...“ „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონ-
თა ჩვენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადით მოიწივნეს ამას ქვეყანასა
ანუ რომლით ჟამიდგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა, რომელი

აღწერა სუმბატ, ძემან დავითისამან." რა ეკუთვნის „ქართლის-ცხოვრებაში" ანუ მროველს, ანუ ჯუანშერს, ანუ იოანე ღუკანოზს, არ ვიცით. არ ვიცოდით აგრეთვე აქამომდე, რა ეკუთვნოდა სუმბატს, რადგანაც იმაზედ მხოლოდ შენიშვნაა მიწერილი ძველს აკადემიის ვარიანტში; მაგრამ როდესაც მარიამ დედოფლის ვარიანტი გავსინჯეთ, ვნახეთ, რომ აქ სუმბატის ქრონიკა მთლად ცალკეა შეტანილი „ქართლის-ცხოვრების" ტექსტში, იწყება მეექვსე საუკუნიდამ და თავდება მეთერთმეტე საუკუნეში ბაგრატ IV დროს; დაბეჭდილს „ქ-ცხოვრებაში" და სხვა დედნებში კი დაგლეჯილია და აქა-იქ გაფანტული. სუმბატის ვინაობაზე ცნობა არა გვაქვს. ჩვენის ფიქრით, ის უნდა იყოს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთაგანი, რადგანაც ამ ბაგრატიონთ ისტორია „ქართლის-ცხოვრებაში" ეკუთვნის სუმბატსა. ამასთანავე მხოლოდ იმ ბაგრატიონთა შორის ვჰპოულობით რამდენსამე სუმბატს დავითის ძეთა. იქნება იგია უკანასკნელი სუმბატ, რომლის სიკვდილსაც „ქართლის-ცხოვრება" უჩვენებს 988 წელს, და თუმცა სუმბატის ქრონიკა იმის სიკვდილსაც გადასცილდება, მაგრამ შესაძლებელია, რომ ეს შემდეგი სხვამ განაგრძო. ამ გვარივე უნდა იყოს აქა-იქ „ქართლის-ცხოვრებაში" დაბნეული თვით მროველისა, ჯუანშერისა და იოანე ღუკანოზის ქრონიკები. ვნახოთ, იქნება ესეც აღმოჩნდეს რომელსამე ვარიანტში.

ზემო-ხსენებულთ ცნობათა გარდა ჩვენამდე მოუღწევია სხვა ცნობებსაც ძველ ქართულ წყაროებზე, რომელნიც არ ვიცით, სად იპოებიან, კერძო სახლებში, თუ მონასტრების წიგნთა-საცავებში. მაგალითებრ, სად არის ბაგრატ მეფისაგან მეათე საუკუნეში შედგენილი ,,აფხაზეთის ისტორია'', საიდამაც იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოზს მე-XVII საუკუნეში ადგილობრივ გამოუკრებია თავისი ცნობები და რომელიც აქა-იქ „ქართლის-ცხოვრების" ცნობებში განსხვადება? სად არის ანუ ის ისტორია, რომელიც, როგორც ვახუშტი გვარწმუნებს, ვახტანგ VI-ს ბრძანებით იყო შედგენილი გიორგი ბრწყინვალის დროიდამ თვით ვახტანგ მეფემდე? ანუ ის მასალა, რომელიც ვახუშტისვე ჰქონია თავის გეოგრაფიისა და ახალის ისტორიის წყაროებად მაგალ., იმერული ძველი ვარიგების წიგნი, დავითნი მესხური, ხუთ წიგნად დაყოფილი, იმერული სძილის-პირი ეტრატზე, ტლაშა-

მის მიერ აღწერილი ქრონიკონები და სხვ... (იხილე ქართლის-ცხოვრება, II, 237)? სად არიან ის სხვა-და-სხვა გვარნი წყარონი, რომელთაც ბატონი-შვილი თეიმურაზი მოიხსენებს თავის ისტორიაში და რომელნიც თვით მას ჰქონია ხელში, მაგ. არსენი კათალიკოზის მოთხრობა, საიდამაც ანტონი მეორის მინდობილებით თეიმურაზს გამოეწერა პეტერბურგში 1822 წ. სეზოსტრისზე ცნობა, რომელიც არსენის აღმოეკითხა დიდს ქართულს მატიანეში? ანუ თვით ანტონის გამოწერილი ძველის „ქ-ცხოვრებიდამ“ ისტორიული მოთხრობა და მრავალთა წერილთაგან გამოკრებილი მოთხრობანი? ანუ ის „წერილი“ ძველი ფრიად ძველთა წინაპართა ჩვენთაგან შედგენილი, რომელიც, როგორც იგივე თეიმურაზ გვარწმუნებს, გიორგი მთაწმინდელს „ქონდა ანტიოქიის სვიმონ წმინდის მონასტერში და საიდამაც გიორგის გამოეკრიბა თავისი მატიანე?“

ახლა აქაც უნდა მოვახსენოთ, რომ საკმაოდ მოიპოვებიან ჩვენში იმ გვარნი ჩვენის ისტორიის წყარონი, რომლებშიდაც ჯერ-ჯერობით არა-ვითარი ცნობა არა გვაქვს და რომელთაგან ზოგიერთებს ხან-და-ხან შემთხვევით ვპოულობთ. ერთიც ამათგანი ჩვენ შეგვხვდა ამ ცოტა-ხანში [1888 წ.]. იგია შეტანილი მეცხრე საუკუნის ტყავზე ნაწერს დიდს საეკლესიო მანუსკრიპტში, რომელიც ჩვენის „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნთა-საცავისათვის შემოუწირავს ალექსიძეს-მესხიშვილს და წიგნთა-საცავის კატალოგში აღნიშნულია 1141 ნომრით. იმისი სათაურია: „მოქცევაჲ ქართლისა“ რომელიც შეიცავს 433—497 გვერდსა და ნაწერია მანუსკრიპტში ბაგრატ მეფის დროს (826—876 წ.) იოანე ბერაის ხელით. ამ „მოქცევაჲს ქართლისას“ განსხვავებულს, იმ ცნობათაგან, რომელნიც ჩვენა გვაქვს, წინა-უძღვის ქართული მოკლე მატიანე (გვ. 433—446) რომელიც იწყება ალექსანდრე მაკედონელის დროდამ და სწყდება აშოტ კურაპალატის (786—826 წ.) მემკვიდრის გვარამ ერისთავთ ერისთავის დროს ესე იგი იმ დროს, რომელსაც ეკუთვნის თვით მანუსკრიპტი. ეს მატიანე გამოკრებილია როგორც ეტყობა, სხვა დიდის მატიანიდამ დ ბევრში ეწინააღმდეგება „ქ-ცხოვრებას“.—ხსენებული წყარო ჩვენ მიგვაჩნია შესამჩნევ წყაროდ. არც

მატიანეში, არც „ქართლის-მოქცევაში“ ჩვენ არა ვხედავთ არა-ვითარ კვალს არც უცხოელთ მწერლობის გავლენისას, არც შემდეგ საუკუ-ნეთა ცვლილებისას. ერთიც და მეორეც აღბეჭდილნი არიან იმ ხასი-ათით, რა ხასიათიც უნდა ჰქონოდა იმათ იმ დროს როდესაც იგინი პირველად არიან შედგენილნი. მატიანე ბევრშიაც ჰშველის „ქ-ცხოვრე-ბასა“. „ქ-ცხოვრებით“ ზოგნი მეფენი და მთავარნი მეტის მეტად დიდხანს მეფობდენ და მთავრობდენ, მაგალ. 40 60 წელს, მა-შინ როდესაც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა, მეტადრე სასანიანების და არაბების ბრძანებლობის დროს ისეთი იყო, რომ ხანგრძლივი მეფობა ანუ მთავრობა შეუძლებელი საქმე იყო. მატიანე იმ ხანად აღრიცხავს რამდენსამე მეფეს თუ მთავარს და ამ წყაროს შემწეობით ახლა შეგვიძლიან ჩვენ თითქმის შევავსოთ, მაგალითებრ, ვინ იყვნენ, სხვათა შორის, წმ. ევსტათე მცხეთელის ცხოვრებაში (VII საუკ.) ნახსენები ქართლის პატიახში არშუშა, ანუ მეცხრე საუ-კუნის მანუსკრიპტში ჩართულის წმ. აბოს ცხოვრების პირნი, ქართ-ლის ერის-მთავარნი: ნერსე, მე ადარნასე კუროპალატისა, სტეფანოზ, დის-წული ნერსესი და მე გურგენისა. გარდა ამისა მატიანე ყოველ-თვის უჩვენებს, რომელ დროს ვინ იყო პირველი მთავარ-ეპისკოპოზი კათალიკოზობის დაწესებამდე. ამ გვარადვე ასახელებს იგი ყველა კა-თალიკოზებს, მათ შორის იმათაც, რომელთაც „ქ-ცხოვრებაში“ ჩვენ ვერა ვპოულობთ. პოლიტიკური მდგომარეობაც და უცხოელთ მფლო-ბელობაც აგრეთვე გარკვევით არის ნახსენები... აქ დავძენთ, რომ თუ ამ მატიანის დიდი დედანი სადმე აღმოჩნდება, მაშინ, ჩვენის აზრით, ჩვენ შევიძენთ ერთს ახალს, და იქნება უძველესსაც, ისტორიულ მასა-ლას ძველის ჩვენის დროისას.

## XV. «ქართლის ცხოვრების» უძველესი თქმულება ქართველების შთამომავლობის შესახებ

*(Vivien de S-t Martin*-ის შრომებიდამ: *Recherches sur les populations primitives du Caucase)*

პირველად ვახსენოთ ესრეთ, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა [1]) და მოვაკნელთა [2]), ჰერთა [3]) და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა—ამათ ყოველთა ერთი იყო მამა *), სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარშისა, ძისა ავანანისა, ძისა იაფეთისა, ძისა ნოესა. და იყო ესე თარგამოს კაცი გმირი და შემდგომად განყოფისა ენათასა, ოდეს აღაშენეს ნებროთ ბაბილონს გოდოლი და განეყვნეს მუნ ენანი, და განიბნინეს მუნით ყოველსა ქვეყანასა. წარვიდა ესე თარგამოს ნათესავითურთ მისით და დაემკვიდრა ორთა-მათ მთათა შორის კაცთა შეუვალთა, არარატსა და მასისსა და იყო ნათესავი მისი დიდი და ურიცხვი, რამეთუ ესხნეს ცოლ-მრავალ, ძენი და ასულნი, შვილნი და შვილის-შვილნი ძეთა და ასულთა მისთანი; რამეთუ ცხონდა **) იგი ექვს-ას წელ, და ვერღარა იტევდა ქვეყანა არარატისა და მასისისა, ქვეყანა იგი, რომელი წილით ხდომოდა. ესე არს საზღვარი ქვეყანისა მისისა: აღმოსავლით—ზღვა გურგანისა, რომელსა აწ გილანის [4]) ზღვად სახელ სდებენ; დასავლით—ზღვა პონტოსა, რომელსა აწ შავ-ზღვად სახელ-სდებენ, სამხრით—მთა ორეთისა, რომელ არს ურითთა ქვეყანასა, პირის პირ მიდიისა; ჩრდილოთ—მთა კავკასია, რომელსა სპარსნი ალბუზს უწოდენ.

---

[1]) არანი ანუ ყარაბაღი, რომელიც მდებარეობს მტკვარს და არაქსს შუა.

[2]) შაქი და შარვანი, მტკვრის ქვემო ნაწილს და დაღესტნის მთებს შუა.

[3]) აღმოსავლეთის ნაწილი კახეთისა, ალაზანსა და დაღესტნის მთებს შუა.

*) თუმცა ეს თქმულება, რომ ქართველები და სომხები ერთის შთამომავლობისანი არიანო, არ ეთანხმება ახალ დროის მეცნიერთა გამოკვლევას, მაგალითად ლენორმანისა და სხვებისას, მაგრამ ჩვენ მაინც შემოგვაქვს აქ ეს ადგილი, როგორც უძველესი თქმულება ჩვენის ეროვნულის მატიანესი, რომლიდამაც ეს წერილი უცვლელად იბეჭდება.

**) იცხოვრა. — [4]) კასპის ზღვა. —

ხოლო შვილთაგან თარგამოსისთა გამოჩნდეს რვანი გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა ერქვა — ჰაოს; მეორესა — ქართლოს; მესამესა — ბარდოს; მეოთხესა — მოვაკან; მეხუთესა — ლეკოს, მეექვსესა — ჰეროს; მეშვიდესა კავკას; მერვესა — ეგროს.

ესე რვანი იყვნეს გმირნი; ხოლო ჰაოს უმეტესი გმირი იყო ყოველთასა. რამეთუ მაგ-ვითარი არა-ოდეს ყოფილ იყო, არცა წყლის-რღვნის წინადა, არცა შემდგომად, ტანითა, ძალითა და სიმხნითა. ხოლო ჰერლა-რა იტყვდა ქვეყანა არარატისა და მასისისა. განუყო თარგამოს ქვეყანა და ნათესავი *) თვისი რვათა ამათ გმირთა. ნახევარი ნათესავისა მისისა და ნახევარი და უმჯობესი ქვეყანისა მისისა მისცა ჰაოსს. ხოლო შვიდთა ამათ მისცა სწორი მათი, აღმატებისებრ **) მათისა. მისცა ქართლოსს და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით — ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისა [1]); დასავლით — ზღვა პონტოსი; სამხრით — მთა, რომელი მიჰყვების ბერდუჯის მდინარის თავს, და მთა, რომელი მიჰყვების დასავლით კერძო, რომლისა წყალი გარდმოდის ჩრდილო კერძო, და მიერთვის მტკვარსა, რომელი მიჰყვების მთა შორის კლარჯეთისა [2]) და ტაოს [3]) ვიდრე ზღვამდის; და ჩრდილოეთ საზღვარი — ლალო-მთა, რომელსა აწ ჰქვიან ლიხი. და ამათ საზღვართა საშუალ მისცა ყოველი ქართლოსს.

ხოლო ბარდოსს მისცა მტკვარს სამხრით, ბერდუჯის მდინარიდგან, ვიდრე სადა შეკრბებიან მტკვარი და რახსი. [4]) ამან ბარდოს აღაშენა ქალაქი ბარდავი [5]) და ეშენა მუნ.

---

*) ერი, ხალხი, ტომი. **) უფროსობისა მებრ.—

[1]) აწინდელი ბორჩალო ანუ დებედა.

[2]) კლარჯეთის მთა ჰყოფს ერთანეთში ჭოროხის ნაწილის და მტკვა-რის ზემო ნაწილის ბასეინებს.—

[3]) ტაოს მთა გაგრძელებაა სამხრეთისაკენ კლარჯეთის მთისა.

[4]) არაქსი.—

[5]) ბარდოსის ხვედრი იყო მტკვრის სამხრეთით, ბორჩალოდამ დაწყებული, და შეიცავდა სომხეთის აღმოსავლეთის ნაწილს და ყარაბაღის იმ ნაწილს, რომელიც უჭირავს მტკვრის ბასეინს. ბარდავი ძველად ძლიერ სახელ-განთ-

და მოვაკანს მისცა მტკურისა ჩრდილოთ, მცირის ალაზნის [1]) შესართავით-გან ვიდრე ზღვამდე. და ამან აღაშენა ქალაქი მოვაკნეთი [2]) და დაემკვიდრა მუნ.

ხოლო ჰეროსს მისცა ქვეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნის შესართავით-გან ვიდრე ტყე-ტბადმდე, რომელსა აწ ჰქვიან გულგული. და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა, და უწოდა სახელი თვისი ჰერეთი, და მის გამო ჰქვიან ჰერეთი, და აწ მის ადგილს ჰქვიან ხორანთა [3].)

ეგროსს მისცა ქვეყანა ზღვის ყურისა და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით — მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვიან ლიხი: დასავლით — [შავი] ზღვა და მდინარე მცირისა ხაზარეთისა [4]), სადა წარსწყდების წვერი კავკასიისა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქვიან ბედია [5])

ხოლო კავკასიათა ჩრდილოთი არ იყო სხვედრი თარგამოსისა, არამედ არცა იყო კაცი კავკასიათა ჩრდილოთ, და უმკვიდრო იყო ქვეყანა იგი კავკასიიდ-გან ვიდრე მდინარედმდე დიდად [6]), რომელი შესდის ზღვასა დარუბანდისასა [7]). ამის-თვის მოიყვანნა მრავალთა გმირთა-გან ორნი გმირნი ლეკან და კავკასი, და მისცა ლეკანს — ზღვით-გან დარუბანდისათა ვიდრე მდინარედმდე ლომეკისა [8]) ჩრდი-

---

ქმული უთვილია. ახლა კი მის ადგილზე პატარა სოფელია ბარდე. ამ სოფელს ჩაუდის მდინარე, რომელიც მტკვარს შეერთვის მარჯვნით. —

1) იორი. —

2) ნუხი. —

3) ფიქრობენ, რომ ეს უნდა იყოს აწინდელი სამუხი კახეთში. —

4) კლაპროტი ფიქრობს, რომ ეს უნდა იყოს ქვემო ყუბანი, სადაც მართლა თავდება კავკასიის მთა-გრეხილი, ჩრდილო დასავლეთით. —

5) დაბაა ოდიში — ენგურის მარცხნით, ილორის ციხის აღმოსავლეთით. მაშასადამე ეგრისის მხვედრი შეიცავდა იმერეთს, გურიას, სამეგრელოს, აფხაზეთს და ზღვის სანაპირო ჩერქეზეთს. —

6) კლაპროტის აზრით ეს უნდა იყოს ვოლგა. —

7) კასპის ზღვა. —

8) ქართული სახელია თერგისა. —

ლოთ, ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთისად [1]). და მისცა კავკასის ლომეკის მდინარით-გან ვიდრე დასასრულადმდე კავკასიისა, დასავლით. [2])

ხოლო ჰაოს დაუმკვიდრა საყოფელთა მამისა თვისისა თარგამოსისათა, და დაიპყრა ქვეყანა: ჩრდილოთ—ვითა დავგიწერით; სამხრით—მთით ორეთისით-გან; აღმოსავლით—ვიდრე ზღვადმდე გურგანისა და დასავლით—ვიდრე ზღვადმდე პონტოსა. და ამათ შვილთავე გმირთა ზედან იყო გამგებელ და უფალ ჰაოს და ესე ყოველნი იყვნეს მორჩილნი ჰაოსისა. და ესე რვანივე ერთობით ჰმორჩილებდეს ნებროთ გმირსა, რომელი იყო პირველი მეფე ყოვლისა ქვეყანისა.

შემდგომად ამისა მცირედთა წელიწადთა მოუწოდა ჰაოს შვილთამათ გმირთა, შემოკრიბნა და ჰრქუა მათ: „მოგვცა ღმერთმან მაღალმან ძალი და სიმრავლე ნათესავისა ჩვენისა. აწ შეწევნითა ღვთისა დამბადებელისათა ვიყვნეთ არა ვისა მონა და არა-ვის ვმსახუროთ, თვინიერ ღვთისა დამბადებელისათა“. ეწამნეს შვილნი-იგი გმირნი, და დაუმტკიცეს განზრახვა იგი, და განუდგეს ნებროთს, და აღარა მისცეს ხარაჲ. და ეზრახნეს სხვათა ვიეთმე ნათესავთა, და დაუმორჩილდეს სხვანიცა ნათესავნი. მაშინ გაუწყრა ნებროთ და შემოჰკრიბნა გმირნი მისნი, და ყოველნი რომელნი ერჩდეს სპანი მისნი, და მომართა თარგამოსიანთა. ხოლო ჰაოს მოუწოდა შვილთავე გმირთა და ნათესავსა თარგამოსისა, და შეეწივნეს სხვანიცა ვინმე ნათესავნი დასავლეთისანი. შეკრიბნა ჰაოს ესე ყოველნი და დადგა ძირსა მასისისასა და ვითარ მოადგა ნებროთ ქვეყანასა ადარბადაგანისასა [3]) და დადგა მუნ. წარავლინა გმირნი სამეოცნი, და მათ-თანა სპანი ძლიერნი წყობად [4]) თარგამოსიანთა. ხოლო ვითარცა მოიწივნეს სპანი ნებროთისანი, მაშინ მიეგებნეს შვილნი იგი გმირნი ჰაოსისანი სპითა ძლიერითა, ხოლო ჰაოს სპითა უძლიერესითა დაუდგა უკანით, ზურგით. იქმნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი, რომელი ემსგავსებოდა სასტიკებასა ჰაერისასა, რამეთუ მტვერი ფერხისა, ვითარცა ღრუბელი სქელი; ელვა აბჯ-

[1]) სჩანს, რომ ლეკოსის ხვედრი შეიცავდა მთელს დაღესტანს.

[2]) ყაბარდოს ქვეყანა.

[3]) ადრიბეჟანი

[4]) წინააღმდეგ.

რისა მათისა, ვითარცა ელვა ცისა; ხმა პირისა მათისა, ვითარცა ხმა ქუხილისა, სიმრავლე ისართა და ტყორცნა ქვისა მათისა, ვითარცა სეტყუა ხშირი, და დათხევა სისხლისა მათისა, ვითარცა ღვარი სეტყუათა. განგრძელდა ბრძოლა მათ შორის, და მოსწყდეს ორგნითვე ურიცხვი.

ხოლო ჰაოს უდგა ზურგად გმირთა მისთა, მალ-სცემდა *), ნუგეშინის ცემად **) ხმითა საზარელითა, რომელი მსგავსი იყო მეხის-ტყცისა. მაშინ სძლეს თარგამოსიანთა და მოსრნეს სამეოცნი იგი გმირნი ნებროთისნი და სპანი მათნი. ხოლო შვიდნი ესე გმირნი თარგამოსიანნი: ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ჰერაოს, ლეკოს, კავკასოს, ეგროს, ესენი დარჩეს ცოცხლებით, თვინიერ წყლულებისა ***) და ძლევა შემოსილნი მადლობდეს ღმერთსა. ხოლო ვითარცა ესმა ნებროთს, განწყრა და წარმოემართა მათ კერძო, ყოვლითა ძალითა მისითა. ხოლო ჰაოსს არა ჰყვეს სპანი ნებროთის სპათა ოდენნი, განამაგრდა იგი ღირღალთა ****) შინა მასისისათა. მოუდგა ქვეშე კერძო ნებროთ და იყო იგი შეურვილი რკინითა და რვალითა, ტერფითგან ვიდრე თხემამდე. ასდა ერთსა გორასა ზედა ზრახვად ჰაოსისა, და ეტყოდა დამორჩილებასავე მისსა, ხოლო ჰაოს ჰრქუა ძმათა მისთა: „განმიმაგრეთ ზურგით კერძი ჩემი და მივეახლოთ ნებროთს," და წარვიდა და მივიდა პირის-პირ მახლობელად ნებროთისა, სტყორცა ისარი და ჰკრა მკერდსა ნებროთისასა, ფიცარსა ზედა რვალისასა, და განვლო ზურგით; მაშინ დაეცა ნებროთ, და იოტა ბანაკი მისი და ჰაოს ჰყო თავი თვისი მეფედ ძმათა თვისთა ზედა. და სხვათაცა ნათესავთა ზედა მახლობელთა საზღვართა მისთასა. ხოლო შვიდნივე ესე ძმანი წარვიდეს თავის თავისად ქვეყანად და იყვნეს მორჩილ ჰაოსისა. ხოლო აქამომდის დავწერეთ ჰამბავი ესე რვათავე ძმათა.

ხოლო აქათ-გან ვიწყოთ და წარმოვთქვათ ამბავი ქართლოსისა და ნათესავისა მათისა და ცხოვრება მათი ვიდრე დღეთა ჩვენთამდე, და ვითარ იგი განუყო ქვეყანა თარგამოს ნათესავსა მისსა, რვათავე

*) მხარს აძლევდა. — **) ამხნევებდა. — ***) არც დ. ჭრილან
****) ღრმა ხეობა.

შვილთა მისთა. და მისცა ქვეყანა ქართლოსს, რომელი ზემო აღვწერეთ, და ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვის არაგვი მტკუარსა. და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი, და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი, და უწოდა მთასა-მას სახელი თავისა თვისისა ქართლი და ვიდრე აღმართებადმდე მუნ ზედა კერპი არმაზისი, ერქვა მთასა მას ქართლი, და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, ხუნანით-გან ვიდრე ზღვადმდე სპერისა[1]. შემდგომად ამისსა ამანვე ქართლოს აღაშენა ციხე ორბისა, რომელსა აწ ჰქვიან სამშვილდე[2], და კვალად აღაშენა მტკვრის-ციხე, რომელსა აწ ჰქვიან ხუნანი.[3] ცხოვნდა იგი მრავალთა წელთა და განმრავლდა ნათესავი მისი. ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს ხუთნი გმირნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა — მცხეთოს, მეორესა გარდაბოს, მესამესა — კასპოს, მეოთხესა — კუხოს, მეხუთესა — გაჩიოს. ესე ხუთნივე იყვნეს გმირნი. არამედ მცხეთოს უგმირესი იყო სხვათა მათ. მოკვდა ქართლოს და დაფლეს იგი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა აწ ეწოდების არმაზი. და შემდგომად ამისსა ცოლმან მისმან აღაშენა დედა-ციხე, და მანვე აღაშენა ნოსტან ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუს-თავი და განუყნა ცოლ-მან ქართლოსისა-მან ხუთნივე იგი გმირნი, შვილნი მისნი. მისცა გარდაბოსს ხუნანი და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით — მდინარე ბერდუჯისი, დასავლით — ქალაქი გაჩიანი, სამხრით — მთა პირველ სსენებული [4]) და ჩრდილოთ — მტკვარი.

ხოლო გაჩიოსს მისცა ორბის-ციხე და სკვირეთისა მდინარით-

---

[1]) ეს სახელი მოგვაგონებს ი ს პ ი რ -ს, რომელიც შეიცავს ჭოროხის ბასეინის ზემო ნაწილს. ცხადია, რომ „ქართლის-ცხოვრება" ამ სახელით აღნიშნავს შავ ზღვას.

[2]) ციხე-ქალაქი იყო ტფილისის სამხრეთ-დასავლეთით ქციის წყალზე, რომელიც ტოტია მტკვრისა.

[3]) მტკვრის მარჯვნით, ქციაზე. თურქები უწოდებენ ამ სიმაგრეს კ ი ს - კ ა ლ ე ჰ.

[4]) ქართლოსის ხვედრში, იხილე ზემოდ, გვ. 91.

გან თავადმდე აბოცისა და ამან გაჩიოს აღაშენა ქალაქი გაჩიანი, რომელსა მაშინ ერქვა სანადირო-ქალაქი [1]).

ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუსთავი. მისცა არაგვით-გან ვიდრე ჭერემამდე, თავადმდე მთასა კახეთისასა და მტკვარს შუა [2]).

ხოლო კახოსს მისცა კავკასსა და კახეთის მთასა შორის არაგვით-გან ვიდრე ტყე-ტბადმდე, რომელი არს საზღვარი ჭერეთისა. და ამან კახოს აღაშენა ჩელეთი, [3]) და კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რამეთუ დედა-ცისი კუხოსის ხვედრი იყო, და მისცა კახოს შეწევნისა-თვის და შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რომელსა ბერ ერქვა, პირველ შენებულსა კახეთისასა. ხოლო მცხეთოს, რომელი უგმირესი იყო ძმათა მისთა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათა, რომელსა აწ ჰქვიან არმაზი. და მანვე აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკვრისა და არაგვისასა და უწოდა სახელი თვისი — მცხეთა. და დაიპყრა ქვეყანა ტფილისით-გან [4]) და არაგვითგან დასავლით ვიდრე ზღვამდე სპერისა და ესე იყო განმგე და უფალი მათ ოთხთავე ძმათა ზედა და ესე ოთხნივე იყვნეს მორჩილ მისსა [5]). ესე არიან განყოფანი ქართლოსის ძეთანი და რომელნი განუყვნა დედამან მათ-მან შემდგომად სიკვდილისა ქართლოსისა. ხო-

---

[1]) ქციის მარჯვნით, ორმოცდა რვა ვერსის სიშორეზე იმ ადგილიდამ, სადაც ქცია მტკვარს ერთვის.

[2]) ეს მხარე არის იორსა და ლიახვს შუა.

[3]) ჩელეთი მდებარეობდა ჩელეთის (ანუ ჩელტის) წყალზე, რომელიც იყო ალაზნის მარცხენა ტოტი. — კახოსი ბრძანებლობდა აწინდელი კახეთის ჩრდილოეთის ნაწილში, რომელსაც სამხრეთით გულგული ჰქონდა საზღვრად.

[4]) იმ დროს, რომელსაც შეეხება ეს ადგილი „ქართლის-ცხოვრებისა" ტფილისი არ იყო აშენებული. მაშასადამე ამ სახელის ხმარება წინასწარია, თუ ვინიცობაა ის ადგილი, სადაც ეხლა ტფილისია, უწინვე არ იყო ცნობილი იმავე სახელით.

[5]) მცხეთოსს, უფროსს და უძლიერესს თავის ძმათა შორის, ეჭირა მტკვრის საშუალ და ქვემო ნაწილთა ორივე ნაპირი, ე. ი. გაღმა-გამოღმა, ვიდრე სათავემდე, ეჭირა აგრეთვე ის მხარეც, რომელსაც რწყავდა ჭოროხი და ზღვის ნაპირიც ჭოროხს და შავს, ანუ სპერის, ზღვას შუა.

ყო მრავალთა წელთა და მრავალთა ჟამთა ცხონდა ძე ქართლოსისი, და განმრავლდა ნათესავი მისი, და მათ ყოველთა განმრავლდა ნათესავი მათი.

ხოლო შვილთა შორის მცხეთოსისათა გამოჩნდეს სამნი გმირნი სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა — უფლოს, მეორესა — ოძრხოს, მესამესა — ჯავახოს. განუყო მათ ქვეყანა და ნათესავი მათი ყოველი. ოძრხოსს მისცა ტასის-კარით-გან ვიდრე ზღვად-მდე სპერისა, ქვეყანა კლდოვანი. ამან ოძრხოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: ოძრხე და თუხარისი 1). ხოლო ჯავახოსს მისცა ფანავრით-გან ვიდრე თავადმდე მტკვრისა. და ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი, წუნდა და ქალაქი არტაანისა, რომელსა მაშინ ერქვა ქაჯთა ქალაქი, ხოლო აწ ჰქვიან ჰერი. ხოლო უფლოს დარჩა საყოფელთა მამისა მათისა მცხეთოსისა, მცხეთას; დაიპყრა ქვეყანა არაგვიდ-გან ვიდრე ტასის-კარამდე და ფანავარამდე, და ამან აღაშენა უფლის-ციხე, ურბნისი, კასპი. არაგვით-გან და არმაზიითგან ვიდრე ტასის-კარამდე ეწოდა ამას ქვეყანასა ზენა-სოფელი, რომელსა აწ ჰქვიან შიდა-ქართლი.

ხოლო ვიდრე სიკვდილამდე მცხეთოსისა, ესე ყოველნი ნათესავნი თარგამოსისნი იყვნეს სიყვარულსა ზედა ერთმან-ერთისასა, და შიში აქვნდათ ნებროთიანთა, და ჰგონებდენ იგინი ნებროთიანთაგან ძებნასა სისხლისა ნებროთისასა, და ისწრაფდეს იგინი გამაგრებასა ციხე-ქალაქთასა შიშისა-თვის ნებროთიანთასა. ხოლო ვითარცა მცხეთოს მოკვდა, ძე ქართლოსისი, შთავარდა შური შორის შვილთა ქართლოსისათა; იწყეს ბრძოლად და ხდომად ურთიერთარს, რამეთუ უფლოსს, ძესა მცხეთოსისსა, არა ერჩდეს, არცა ხადოდეს უფლად, რომელი დატევებულ იყო საყდართა ქართლოსისათა, მამისა მისისაგან მიცემულ იყო უფლობა ქართლოსიანთა. იწყეს ბრძოლად და ხდომად

1) ოძრხოს ციხე-ქალაქი არსებობდა აწინდელ ახალციხის ჩრდილოეთ-დასავლეთით ოც ვერსის სიშორეზე. თუხარისის კი სომხების მწერლები უჩვენებენ დაიკში (ანუ ტაიკში, ქართულად ტაო), ჭოროხის ერთ-ერთ მარჯვენა ტოტზე. ამ ქალაქს ასახელებს აგრეთვე ბატონიშვილი ვახუშტი თავის „საქართველოს გეოგრაფიულს აღწერაში“.

ურთიერთარს და განაგრძელეს მათ შორის ბრძოლა. რომელ ჟამსამე აღდგიან ამათგანნი ორნი ნათესავნი ერთსა ზედა და სხვანი შეეწეოდიან; რომელსამე ჟამსა იქმნის მშვიდობა მათ შორის და შეიმალნიან და ებრძოდიან. და განგრძელდა მათ შორის ესე ვითარი საქმე და არავინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს, არამედ ადგილით-ადგილად თავადნი იჩინიან. ხოლო რომელიცა იყვნის მცხეთას, რეცა *) თავადი იგი იყვნის ყოველთა მათ სხვათა ზედა და არცა სახელ ედებოდათ მეფედ, არცა ერთს-თავად, არამედ მამა-სახლისი ეწოდებოდათ, და იგი იყვის მაზავებელ და ბჭე სხვათა ქართლოსიანთა, რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთა და უწოდეს დედა-ქალაქად. და მას ჟამსა დაივიწყეს ღმერთი დამბადებელი მათი, და იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა, და ვარსკვლავთა ხუთთა, და მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისა.

## XVI. თუბალი და მოსოხი

*(Vivien de S-t Martin—Recherches sur les populations du Caucase).*

მოსეს და წინასწარმეტყველების თუბალს ან თუბელს ბერძნები უწოდებდენ ტიბარენებად ანუ ტიბარებად და მესხეხს—მოსოხებად. ამ ორ ხალხს თუბალს და მესხეხს, ანუ ბერძნულ მართლ წერით ტიბარს და მოსოხს, მუდამ ერთად იხსენიებდენ ძველი მწერლები. ნამდვილადაც ეს ორი ხალხი მხოლოდ ორი ნაწილია ერთისა და იმავე ერისა. მათი განცალკევება ძლიერ ძველად მომხდარა, როგორც მოწმობს „დაბადება“; მაგრამ ამ განცალკევებას ვერ მოუსპია საერთო მთამომავლობის კვალი, რომელიც ცხადად სჩანს ენაში და ადგილობრივ გარდოცემებში. ისტორიის ყველა ეპოქებში, როგორც უცხო ქვეყნელებიც, ისე ეროვნული მწერლები იხსენიებდენ მესხის ქვეყანას, რომელსაც ეჭირა მტკვრის სათავის მიდამონი, ახალციხის ზევით, და რომელიც, მაშასადამე, შეადგენდა აწინდელ ქართლის ზემო ნაწილს,

*) ვითამცა.

სამხრეთ-დასავლეთის მხრით; იმ შეუალ მთებს, რომელიც გარეშემო-არტყია ამ ბასეინს, ძველი მწერლები უწოდებდენ მესხეთის მთებს Mochici Montes. ეს სახელწოდება „მესხეთი“, ჟამთა ვითარების დაგვარად, ხან დიდ ადგილს შეიცავდა და ხან მცირეს. საქართველოს ეროვნული მატიანეები კი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თავ-დაპირველად მესხეთს ეჭირა ქართლის უმეტესი ნაწილი და შეიძლება კიდეც მთელი ქართლის მიწა-წყალი. ქართველ ტომის წინაპარს ქართლოსს (ეს ტომი თავის თავს უწოდებს ქართველად და სხვა სახელი თავისთვის არ იცის) ჰყავდაო, ამბობს მატიანე, რამდენიმე შვილი და მათ შორის ყველაზე უფრო მძლავრი და ღონიერი იყო მცხეთოსიო, რომელიც ბრძანებლობდა დანარჩენზე, როგორც უფროსიო. ყველამ იცის, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვები საზოგადოდ ეროვნულ ზეპირ გადმოცემებში: შვილები რომლისამე ტომის წინაპრისა მოასწავებენ ამისთანა შემთხვევაში ეთნოლოგიურ შტოებსა ანუ ტერიტორიის ნაწილებსა. ამასთანავე მცხეთოსი იყო დამფუძნებელი საქართველოს პირველ დედა-ქალაქისა, რომელსაც ეწოდა მისი სახელი—მცხეთა და რომელიც დარჩა დედა-ქალაქად მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრამდე ქრისტეს აქეთ.—შეუძლებელია არ ვიცნოთ ამ სახელებში ცხადი მსგავსება ანუ უკეთ ვსთქვათ იგივეობა: მცხეთ, მესხეს, მესხ, მოსოხ და მესხ. ეს სხვა და სხვა გამოთქმაა უცხო-ქვეყნელებისა. სიტყვაში „მცხეთა“ უკანასკნელი მარცვალი „ეთ“ ჩვეულებრივი დაბოლოებაა, რომელიც ჰნიშნავს რომლისამე ხალხის ქვეყანას. აი მაგალითები: ოს-ეთი, ე. ი. ოსების ქვეყანა, აფხაზ-ეთი, ე. ი. აფხაზეთის ქვეყანა და სხვ. და სხვ. მაშასადამე, რჩება ძირი მცხ, რომელიც სრულებით ემსგავსება ებრაულს მსხ. და რადგან ამ ძირის გამოთქმისათვის საჭირო იყო ხმოვანი ასოები, ამიტომ მცხ ანუ მსხ გარდაიქცა შემდეგ სიტყვებად: მეცეხ, მესხეს, მოსოხ, მოსხ, მესხ და სხვ. ეს სახელი დღესაც არსებობს სიტყვაში „სამცხე“, რომელიც ეწოდება ერთ-ერთს თემს საქართველოსას, სახელდობრ მტკვრის სათავის მიდამოს და უმეტეს ნაწილს ჭოროხის ბასეინისას,—სწორედ იმ მხარეს, რომელსაც სტრაბონი აკუთნებს მოსხებს. მაშ ძლიერ საწმუნოა, რომ იმ დროს, რომელსაც

ეკუთვნის „დაბადების" ეთნოლოგიური საბუთი, სახელი მ ც ხ ე თ ი, გადაკეთებული ეფრატის მინდვრების სემიტებისაგან მ ე ს ხ ე ს-ად, ნიშნავდა უმეტეს ნაწილს მტკვრის ვაკისას და იმავე დროს დედა-ქალაქის სახელი იყო მცხეთა. მაგრამ ამისთანა გავრცელებას პირვანდელ მესხეთის საზღვრებისას დიდი ხანი არ ჰქონია, რადგანაცა, ამბობს ძველი „ქართლის ცხოვრება", მცხეთოსის სიკვდილის შემდეგ, დანარჩენი შვილები ქართლოსისა განცალკევდენ და ერთმანეთს ჩხუბი დაუწყესო. მართლაც ისტორია და გეოგრაფია გვიჩვენებს, რომ შემდეგში მესხეთი უფრო ვიწრო საზღვრებში იყო ჩამწყვდეული მტკვრის სათავისკენ, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ.

ახლა უნდა გავარკვიოთ, რა ეთნოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონია ძველად სახელწოდებას „თუბალს". ამ საგანზედაც „ქართლის-ცხოვრება" გვაძლევს ძვირფას ცნობებს, მაგრამ საკვირველია, რომ ეს ცნობები აქამდე შეუნიშნავი დარჩენილა, როგორც ის ცნობები, რომელიც ჩვენ მოვიტანეთ იმავე „ქართლის ცხოვრებიდამ" მესხის სახელ-წოდების მნიშვნელობის შესახებ ძველად.

„ქართლოსის უფროსმა შვილმა მცხეთოსმა, ამბობს მატიანე, ცოცხლდა მრავალი წელი და ნათესავი მისი განმრავლდა. ხოლო მის შვილთა შორის გამოჩნდენ სამნი გმირნი სახელოვანნი, სახელდობრ უ ფ ლ ო ს, ო ძ რ ხ ო ს და ჯ ა ვ ა ხ ო ს. მცხეთოსმა თავის სიცოცხლეშივე განუყო მათ თავისი ქვეყანა და ნათესავი . . . . უფლოს დარჩა საყოფელთა მამისა თვისისა მცხეთოსისა, მცხეთას, დაიპყრა ქვეყანა არაგვიდგან ვიდრე ტასის-კარამდე და ფარავანამდე (ე. ი. იმერეთის აღმოსავლეთის საზღვრამდე), და ამან აღაშენა უფლის-ციხე, ურბნისი და კასპი... ხოლო ვითარცა მცხეთოს მოკვდა, ძე ქართლოსისი, შთავარდა შური შორის შვილთა ქართლოსისათა, და იწყეს ბრძოლა ერთი ერთას, რამეთუ უფლოსს, ძესა მცხეთოსისსა არა ერჩდეს, არცა ხადოდეს უფლად, რომელი დატევებულ იყო საყდართა ქართლოსისათა, მამისა მისისაგან მიცემულ იყო უფლობა ქართლოსიანთა... ხოლო რომელიცა იყვნის მცხეთას, რეცა თავადი იგი იყვნის ყოველთა მათ სხვათა ზედა... იგი იყვის მაზხავებელ და ბჭე სხვათა ქართლოსიანთა, რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთასა და უწოდეს დედა-ქალაქად.

ეს შესანიშნავი ადგილი სრულებით ახალ ნათელსა ჰფენს „დაბადების“ მეათე თავს, რომელიც მას უდრის. ჩვენის ფიქრით, შეუძლებელია, რომ მოსეს „თუბალი“ „ქართლის-ცხოვრების“ იგივე „უფლოს“ არ იყოს, როგორც ჩვენ ცხადად ამოვაჩინეთ იგივეობა „მესხეხ“-ისა და „მეცესეთოს-ასა“. შეიძლება ვსთქვათ, რომ ეს ორივე სახელი თუბალ და უფლოს, ერთი და იგივეა, რადგან წინ მიმატებული უხმო ასო სრულებით არ სცვლის სიტყვის სახეს და არსებითი ასოეში კი ორივე სიტყვისა სრულებით ერთი და იგივეა: უფლ და თუბლ. მაგრამ მსგავსება მარტო სახელებით კი არ არის, უფრო გადაჭრილი მსგავსებაა თვით არსებით არის. უძველესმა პოლიტიკურმა სამფლობელომ, რომელიც დაარსდა შუაგულ საქართველოში, მიიღო სახელი მესხეთი-სა და ამისმა დედა-ქალაქმა—მცხეთა-სი: ეს „მესხეთი“ მოსეს „მესხეხი“ არის.

მესხეთის საბრძანებლის შემდეგ აღორძინდა მეორე სამფლობელო, სახელდობრ უფლოსისა, რომელიც შეიცავდა თურმე იმავე თემებს, მაგრამ დედა-ქალაქი კი სხვა იყო, სახელდობრ უფლის-ციხე, და მცხეთას კი, მხოლოდ სახელი დარჩა ქართლის დედა-ქალაქისა და ნამდვილად კი დედა-ქალაქი აღარ იყო. აი ეს უფლოსი არის „დაბადების“ თუბალი.

ახლა ცხადია, თუ რა მიზეზით იხსენიებს წინასწარმეტყველი ეზეკიელი ამ ორ სახელს მესხეხს და თუბალს მუდამ ერთად: იმიტომ რომ ნამდვილადაც მცხეთა და უფლის-ციხე, თუმცა სახელით განირჩევიან, მაგრამ საქმით კი შეადგენენ ერთ და იმავე სახელმწიფოს, ქართლის ერთ და იმავე წინაპირველ სამეფოს.

მხოლოდ ნუ დავივიწყებთ, რომ ის დრო, რომელსაც შეეხება ჩვენი გამოკვლევა, იწყება თითქმის ათას ექვსას წლის წინად მაინც ქრისტეს დაბადებამდე; რომ კავკასიის ერებსა ჰქონდათ მხოლოდ იშვიათი და ნაგვიანევი დამოკიდებულება ძველთა ბერძენთა და ლათინებთან; რომ ბევრი სხვა და სხვა გარემოების გამო უნდა დავიწყებულიყო ანუ დამახინჯებულიყო უძველესნი ამბავნი, სულ ერთია, ზეპირად გადმოიცემოდა ისინი, თუ წერილობით. ჩვენ რასაკვირველია არ გამოვუდგებით სხვა და სხვა წერილმანებს და ზოგიერთ მცირეოდენ

ნაკლსა ადგილობრივ მატიანეებისას; ის უფრო გვაკვირვებს, რომ ამ მატიანეების გარდმოცემანი ეგრე თვალსაჩინოდ ეთანხმებიან არსებითის და ძირეულ ფაქტებით სხვა გარეშე და უძველს საბუთებს. მით უფრო საკვირველია ეს გარემოება, რომ „ქართლის ცხოვრება" ერთ ხანად არ არის შედგენილი და მთელი მისი შინაარსი ცხადად გვიმტკიცებს, რომ შეუძლებელია ვიფიქროთ, ვითომ უცხო-ქვეყნელ საბუთების თანხმად განგებ შეეცვალათ შემდეგში. საზოგადოდ ვფიქრობთ, რომ ეგრე თუ ავწონ-დავწონთ „ქართლის ცხოვრების" წინა პირველ მოთხრობებს და შევამოწმებთ თანა მედროვე საბუთებით, მაშინ ეს მატიანე შეიძენს იმისთანა სინამდვილეს, რომელიც, თუ მაღლა არ იდგომილება, უკან მაინც არ ჩამოუვარდება ჰეროდოტეს და ტიტ-ლივისაგან შეკრებილ ფაქტებს.—

როცა ჰეროდოტე ამბობს მეექვსე საუკუნის დასასრულისა და მეხუთე საუკუნის დასაწყისის შესახებ ქრისტეს წინად, ის იხსენიებს ტიბარენებს და მოსხებს ერთად, როგორც ასის წლის წინად იეზე-კიელი ასახელებდა ერთად თუბალ და მეშეხს, მაგრამ ბერძენის ისტორიკოსის მოთხრობიდამ ჩანს, რომ იმას ეს ორი ხალხი სულ სხვა-და-სხვა ხალხებად მიაჩნდა... შემდეგ დროთა ისტორია და გეოგრაფია-კი იხსენიებს ტიბარანებს და მოსხებს, ვითარცა ორს განსხვავებულს, მაგრამ მოძმე ნავე ხალხს. ამაშ ცხადია, რომ იმ ძველის-ძველ დროიდამ, როცა „ქართლის ცხოვრების" თქმულებით დაარსდა ორი სამრძანებელი მცხეთისა და უფლის-ციხისა, დაიწყო და თან-და-თან გაძლიერდა განცალკევება ქართველ ტომის ზემო დასახელებულ ორ შტოს შორის.

ესეთია ის დასკვნა, რომელიც ჩვენ საფუძვლიანად გამოგვყავს „ქართლის-ცხოვრებაში" მოხსენებულის და უცხო-ქვეყნელ წყაროებით შემოწმებულ ფაქტებიდამ. მაგრამ შესაძლებელია კიდევ უფრო შორს წავიდეთ და ვიკითხოთ, იქნება თუბალ-ის ან ტიბარ-ის სახელი,—ცხადია, რომ ეს ორი სახელი მხოლოდ სხვა-და-სხვა ფორმაა ერთისა და იმავე ეროვნულ სახელ-წოდებისა,—უფრო ძველად არსებობდა, იქნება ამ სახელს უფრო ვრცელს ეთნოლოგიურს ფაქტთან აქვს კავშირი, ვიდრე „ქართლის-ცხოვრებიდამ" ჩანს?

აი რა საფუძვლით გამოვთქვით ჩვენ ესეთი სათუო აზრი. ტ ი-ბ ა რ-ის სახელი, თუმცა მრავალ-ნაირად დამახინჯებული და შეცვლილი; მაგრამ მუდამ ადვილად გამოსაცნობი, ძლიერ გავრცელებული ყოფი-ლა ყოველთვის კასპის ზღვის სამხრეთიდამ დაწყებული შავიზღვის აღმოსავლეთ-სამხრეთის კიდემდე. ფრიად ძველი ჰიმნი ორფეოსისა, რომელმაც ბერძნებში ყველაზედ პირველად შეამკო არგონავტების თავ-გადასავალი, ასახელებს ტ ი ბ ა რ ე ნ ე ბ ს შავიზღვის ნაპირად, მდინარე თერმოდონის ახლოს (ახლანდელი თერმე-ჩაი, ოსმალეთში), სწო-რედ იმ ადგილზე, სადაც ამ ხალხს უჩვენებდენ სკილაკსი და ჰეკატე, რომელთაც დასწერეს თავიანთი თხზულებანი დაახლოვებით 500 წ. წინად ქრისტეს დაბადებამდე. ერთის საუკუნის შემდეგ ეს ხალხი იქვე ნახა ქსენოფონტემ, როცა თავის ათი ათასის კაცით უკან დაბრუნდა სპარსეთიდამ. სტრაბონის ჩვენებით-კი ტიბარენი ესახლნენ ცოტა უფ-რო აღმოსავლეთით, ტრაპიზონისკენ. ამ კაპადოკიელ გეოგრაფს ჰქონდა სრული ღონისძიება შეეკრიბა მრავალი ცნობები ამ ქვეყნის თაობაზე და მით უფრო საყურადღებოა, რომ სტრაბონი, როცა ტი-ბარენებს იხსენიებს, ჰხმარობს შემკრებლობითს სახელს და ამბობს: „ე რ ნ ი ტ ი ბ ა რ ე ნ ი". ჩანს, რომ სტრაბონს ამით უნდოდა აღე-ნიშნა ერთობა იმ მთის ხალხებისა, რომელნიც გაიცნეს შემდეგმა ისტორიკოსებმა და რომელთაც ახლაც იხსენიებენ საერთო სახელით—ლაზებად.—კასპის ზღვის სამხრეთით სხვა-და-სხვა ძველი მწერლები ასახელებენ ტ ა პ ი რ ე ბ ს. საკვირველია, რომ ჰეროდოტე, რომელიც ხალხებსა და ქვეყნებსა ყოველთვის ეგრე ბეჯითად და დაწვრილებით ჩამოსთვლის, არ იცნობს არც კასპის ზღვის ტაპირებსა, არც შავი-ზღვის ტიბარენებსა. მაგრამ სამაგიეროდ რამდენჯერმე ასახელებს კოლ-ხიდის სამხრეთით ერთ ხალხს, სახელდობრ ს ა ს პ ი რ ე ბ ს ანუ ს ა პ ი-რ ე ბ ს, რომლების ქვეყანას იცნობდენ ქსენოფონტე, სტრაბონი და კონსტა-ნტინე პორფიროგენეტი ამ სახელებით: „ჰისპირიტეს", „სისპირიტეს" ანუ „ჰისპირატის". ამ სახელებს ვცნობთ ჩვენ ძველ ქართულ გეოგრაფიაში, რომელშიც იხსენებოდა ს ბ ე რ-ის ქვეყანა, და აგრეთვე ახლანდელ რუკებ-ზე, რომლებზედაც აღნიშნულია ი ს პ ი რ ი, ჭოროხის ბასეინის ზემო ნაწილში. ახლა სახელების მსგავსებას გარდა, თუ დავუფიქრდებით იმას,

რომ ტიბარის სახელწოდება,—რომელსაც ფრიად შესამჩნევი ადგილი უჭირავს შავიზღვის აღმოსავლეთ-სამხრეთის ნაპირების შესახებ უძვე-ლეს ძველ მწერლების თხზულებებში, ორფეოსიდამ დაწყებული,—უცბად ქრება ისტორიიდამ და გეოგრაფიიდამ ქრისტეს შემდეგ მეორე საუ-კუნიდამ დაწყებული; თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ სიტყვებით: „ერნი ტიბარელნი“, სტრაბონს უნდოდა აღენიშნა ხალხები ჭო-როხის ბასეინისა და ყველა იმ ადგილებისა, რომელიც შემდეგში იწოდებოდა ლაზების ქვეყნად; დასასრულ, თუ მივაქცევთ ყურად-ღებას, რომ ყველა ეს მთის ხალხები ნამდვილად ეკუთვნიან ერთ და იმავე შტოს, ქართველ ტომს,—მაშინ ადვილად წარმოვიდგენთ, რომ ჰეროდოტეს სასპირები მართლა ძმები არიან, როგორც სახელით, ისე შთამომავლობითაც, შავიზღვის სანაპირო ტიბარებისა. მათი სა-ხელების ცოტაოდენი განსხვავება ადვილად აიხსნება იმით, რომ ერ-თის მხრით ხალხი დაიყო და შტოები ერთმანეთს დაშორდნენ და მე-ორეს მხრით უცხოქვეყნელების ხელში საკუთარი სახელები ძლიერ ად-ვილად სხვაფერდება.

ერთი უკანასკნელი მუხლი უნდა გავსინჯოთ კიდევ: ტიბარე-ბის სახელ-წოდება ძირეულად იგივეა რაც იბერია [ივერია], თუ არა? ამ უკანასკნელ სახელით, როგორც ვიცით, კლასიკური მწერლე-ბი ახლანდელ საქართველოს უწოდებდენ. ებრაელების ისტორიკოსი იოსებ, როგორც ეტყობა, ხედავს ამ იგივეობას და იბერიას სთვლის თუბალის შვილების ქვეყნად,—შემდეგ სხვა მწერლებმაც გამოსთქვეს ეს აზრი, მაგრამ საკმაო დამტკიცება ამ აზრისა არ მოუყვანიათ.

სახელ-წოდება „იბერია“ უცნობი იყო როგორც ჰეროდოტესა-თვის, ისე ყველა ძველ მწერლებისათვის. ეს სახელ-წოდება პირველად იქმნა ხმარებული ძველს გეოგრაფიაში მხოლოდ რომაელებს და მითრი-დატეს შუა ომის დროიდამ და დიდი პომპეის კავკასიაში ლაშქრით შემოსვლის შემდეგ, რომელიც მოხდა 65 წ. ქრისტეს წინად. მას აქედ ეს სახელ-წოდება საყოველთაო ხმარებაში შემოვიდა რომაელე-ბის და ბერძნების მწერლებისაგან.

მაშასადამე ცხადია, რომ ეს სახელ-წოდება თვით ამ ქვეყანაში იყო ხმარებაში, როცა რომაელები შემოვიდნენ, და მათ აქედამ გაავ-რცელეს ყოველგან.

მაგრამ ყველა მეცნიერნი, რომელნიც-კი შესდგომიან კავკასიის ისტორიის და გეოგრაფიის შესწავლას, თვით უახლესი მეცნიერებიც იმას ამტკიცებენ, რომ სახელ-წოდება ი ბ ე რ ი ა სრულებით უცნობი არისო თვითონ ქართველებისათვის, და თუ ზოგიერთ ქართველ მწერლებს ზოგჯერ ეს სიტყვა უხმარიათ, მხოლოდ ძველ დროის კლასიკურ მწერლების მიბაძვით მოსვლიათო. ამ აზრს მხოლოდ მცირეოდენი სიმართლე ახლავს. მართალია, რომ მკვიდრთა არასოდეს არ უხმარიათ სიტყვა ი ბ ე რ ი ა [ავერია] სრულიად საქართველოს ქვეყნების ერთობილობის აღსანიშნავად და არც თავის თავს უწოდებდენ იბერიელებად [ავერიელებად]; ერთად ერთი ეროვნული სახელი არის ქართლი ქვეყნისათვის და ქართველი მცხოვრებთათვის. მაგრამ გავიხსენოთ, რომ საქართველოს დასავლეთის მხარეს ეწოდება ი მ ე რ ე თ-ი; ამ სიტყვას თუ მოვაცილებთ დაბოლოვებას „ე თ-ი“, რომელიც ქართულად ემატება ქვეყნის აღსანიშნავად, ჩვენ დაგვრჩება სიტყვა „ი მ ე რ-ი“, რომელიც განირჩევა ძველ კლასიკურ სახელ-წოდებისაგან მხოლოდ ერთის ასოთი: „ბ“-ის მაგიერ აქ არის „მ“. ეს ორი ასო კი ხშირად ერთანეთს სცვლის. რომ ეს სიტყვა ი მ ე რ ე თ-ი მკვიდრია ამ ქვეყნისათვის, ეს ეჭვის გარეშე და უსათუოდ ეს სიტყვა არსებობდა პომპეის საქართველოში შემოსვლის დროს. მართლაც რომაელები შემოვიდენ კავკასიაში იმერეთით და ამიტომაც სახელ-წოდებამ ი მ ე რ-მა, რომელიც მათ პირველად მოესმა-თ და მათის გამოთქმით ადვილად გადაიქცა ი ბ ე რ-ად, მოაგონა დასავლეთის სახელ-განთქმული ქვეყანა. ეს სახელი მათ მიაწერეს მთელს საქართველოს. სხვაფრივ შეუძლებელია აიხსნას, თუ საიდამ წარმოსდგა ი ბ ე რ ი ი ს სახელ-წოდება ბერძნულ-ლათინურ გეოგრაფიაში. ამ სიტყვის წარმოების ახსნა რომ სხვაფრივ უნდოდათ, იმიტომაც გაუჭირდათ საქმე მეცნიერებს, რომელთაც მრავალი უსაფუძვლო ჰიპოტეზები შეადგინეს იმის შესახებ. ვითომ კავკასიის იბერიას დამოკიდებულება ჰქონდა ჰისპანიის იბერიასთან.

აი, რა საფუძვლით ვთქვით ჩვენ, რომ შეცდომილი არია, ვითომც ქართველებისათვის სრულებით უცნობი იყოს სახელწოდება ი ბ ე რ ი ა.

## XVII. გამოსვლა ხაზართა

მე-VII საუკ. ქრ. წინ.

(„ქართლის-ცოვრება“, ნაწილი I)

მას ჟამსა შინა განძლიერდეს ხაზარნი და დაუწყეს ბრძოლა ნათესავსა *) ლეკისათა და კავკასიოსთა. ესე თარგამოსიანნი ყოველნი მას ჟამსა იყვნეს მშვიდობით, სიყვარულსა ერთმანეთისასა. ხოლო შვილთა ზედა კავკასიისათა იყო უფალ დურძუკ, ძე ტირეთისა. შეზრახნეს **) ესე ექვსთავე ნათესავთა თარგამოსიანთა და ითხოვეს შველა ხაზართა ზედა. ხოლო შეკრბეს ყოველნი ნათესავნი თარგამოსიანნი, და გარდავლეს მთა კავკასია, და მოსტყვევნეს ***) ყოველნი საზღვარნი ხაზარეთისანი, და აღაშენეს ქალაქნი პირთა ხაზარეთისასა, და წარმოვიდეს. ამისსა შემდგომად ხაზართა იჩინეს ****) მეფე და დაემორჩილნეს ყოველნი ხაზარნი მეფესა მას ჩინებულსა მათსა, და წარმოიძღვანეს იგი, და გამოვლეს ზღვის-კარი, რომელსა აწ ჰქვიან დარუბანდი. ვერ წინა-აღუდგეს თარგამოსიანნი, რამეთუ იყო სიმრავლე ურიცხვი ხაზართა. წარტყვევნეს ქვეყანანი თარგამოსიანთანი, და შემუსრნეს ყოველნი ქალაქნი არარატისანი და მასისისანი, და ჩრდილოეთისანი. ხოლო დაურჩეს ციხე-ქალაქნი თუხარისა, სამშვილდე და მტკვრის-ციხე, რომელ არს ხუნანი, შიდა-ქართლი და ეგრისი. და ისწავეს ხაზართა ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღვის კარი, დარუბანდი და არაგვის-კარი, რომელ არს დარიალა. და განამრავლეს ხაზართა გამოსვლა და ტყვევნა მათი, და ვერღარა წინა-აღუდგეს, და მიერით-გან იქმნეს ყოველნი თარგამოსიანნი მოხარკე ხაზართა. ხოლო ოდეს პირველ გამოვიდა ხაზართა მეფე და მოსტყვევნნა ქვეყანანი, რომელნი ზემოთ დაგვიწერია, და გარდავლო მთა კავკასია, და

*) ერი, ხალხი, ტომი.

**) შეთანხმდენ.

***) აიოხრეს.

****) აირჩიეს.

იყო ძე მისი სახელით ეგროს, და მისცა ძესა მისსა ტყვე სომხითისა და ქართლისა, და მისცა ქვეყანა კავკასის ნაწილი, რომელის მდინარის დასავლით, დასავლეთამდე მთისა, და დაუშენა ეგროს. და მათნი ნათესავნი არიან ოვსნი, და იგი არს ოვსეთი, რომელ ნაწილი იყო კავკასისა. და დურძუკ, რომელი უწარჩინებულეს იყო შვილთა შორის კავკასისთა, მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთისასა, უწოდა სახელი თვისი დურძუკეთი, და მისცემდა ხარჯსა მეფესა ხაზართასა.

---

## XVIII. ჰეროდოტეს ცნობანი საქართველოს უძველეს მკვიდრთა შესახებ

480—426 წწ. ქრ. წინ.

*(Histoires d' Herodote, trad. par Giguet)*

მატიენები, სასპირები და ალაროდიელები შეადგენდენ მეთვრამეტე სატრაპიას სპარსეთის სახელმწიფოისა და იხდიდენ ხარკს ორას ტალანტს. მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინეკები, და მარები შეადგენდენ მეცხრამეტე სატრაპიას და იხდიდენ სამას ტალანტს.—

კოლხიდელები და მათი მეზობლები, რომელნიც ცხოვრობენ კავკასიის ქედის გადმოღმა (კავკასიის ქედის იქითა მხარე-კი არ ემორჩილება სპარსეთს) თავის ნებით დღესაც უგზავნიან სპარსეთის სახელმწიფოს ძღვნად ას-ას ყმაწვილ ვაჟს და ქალს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ.—

მოსხები ხმარობენ ხის მუზარადებს, ფარებს და მოკლე ტარიან, მაგრამ გრძელ რკინის წვერიან შუბებსა. ტიბარენები, მაკრონები და მოსინეკები იმ გვარადვე შეიარაღებულნი გამოდიან ომში, როგორც მოსხები. მათი სარდლები იყვნენ: მოსხების და ტიბარენებისა—არიომარდოს, შვილი დარიოსის და პარმისისა (პარმისი იყო ქალი სმერდისისა, კიროსის შვილისა); მაკრონების და მოსინეკების სარდალი

იყო არტაიკტესი, შვილი სერასმისა. მარები ხმარობენ დაწნულ მუზარადებს, ტყავის პატარა ფარებსა და სულ-შუბებსა. კოლხიდელები ხმარობენ პატარა ფარებს ხარის ტყავისას, მოკლე შუბებს და საომარ დანებსა. მარების და კოლხიდელების სარდალი იყო ფარანდატესი, შვილი ტეასპისა. ალაროდიელები და სასპირები საომრად გამოდიან იმგვარადვე შეიარაღებულნი, როგორც კოლხიდელები. მათი სარდალი იყო მაზისტიოსი, შვილი სიროზმატრისა.

სპარსელებს საზღვრად აქვთ სამხრეთის ზღვა, რომელიც იწოდება წითელ ზღვად. იმათ ზევით, ჩრდილოეთით, ცხოვრობენ მიდიელები; მიდიელების ზევით სასპირებია და სასპირების ზევით კოლხიდელები. კოლხიდელებს საზღვრად აქვთ ჩრდილოეთის ზღვა *) რომელსაც შეერთვის ფაზის მდინარე. ამ ოთხ ერს უჭირავს მთელი ქვეყანა ერთის ზღვიდამ მეორემდე.—

კაპადოკიელები ბერძნების მიერ იწოდებოდენ სირიელებად. ვიდრე მიდიელებს სპარსელები დაიპყრობდენ, კაპადოკიელები მიდიის ხელმწიფის მორჩილი იყვნენ და შემდეგ კი კიროსს ემორჩილებოდენ, რადგან მიდიის და ლიდიის სახელმწიფოებს საზღვრავდა ერთმანეთისაგან მდ. ჰალისი. ეს მდინარე გამოდის არმენიის მთებიდამ, მიდის კილიკიაზე; მერმე ჩაუდის მარჯვნით მატიელების ქვეყანას და მარცხნით ფრიგიელებისას; შემდეგ მიიმართება ჩრდილოეთისაკენ და ჰყოფს კაპადოკიელ-სირიელებს პაფლაგონიელებისაგან.—

მეოტიის ტბიდამ **) კოლხიდის მდინარეს ფაზისამდე ოც და ათი დღის სავალია ფეხმარდის კაცისათვის. კოლხიდიდამ მიდიამდე კი მცირე მანძილია და მათ შუა ცხოვრობენ მხოლოდ სასპირები: გაივლი თუ არა ამათ ქვეყანას, მიხვალ მიდიაში.—

ბერძნები გრძელის გემით შევიდნენ ფაზის მდინარეში და კოლხიდის ქალაქს ეაში. გაათავეს რა საქმეები, რომლისათვის მოსულიყვნენ, მოიტაცეს მეფის ქალი მედეა და დაბრუნდენ თავის ქვეყანაში. კოლხიდის მეფემ გაგზავნა საბერძნეთში მოციქული და მოსთხოვა ბერძნებს, მოტაცებული ქალი დამიბრუნეთ და ამ გზით დამაკმაყოფილეთო,

*) პონტ-ევქსინი, შავი ზღვა.—**) აზოვის ზღვა.

მაგრამ ბერძნებმა უპასუხეს, რომ თქვენც კი მოგვტაცეთ არგიელი ქალი იო, მაგრამ არავითარი დაკმაყოფილება არ მოგიციათ ჩვენთვის და ამიტომ არც ჩვენ არავითარ დაკმაყოფილებას არ მოგცემთო.—

ეგვიპტელთა ხელმწიფე სეზოსტრისი რომ მოვიდა ფაზის მდინარეზე, ერთი ნაწილი მისის ჯარისა იქ დარჩა. ნამდვილად კი არ ვიცი, როგორ მოხდა ეს ამბავი: თვითონ სეზოსტრისმა გაჰყო თავისი ჯარი და დასტოვა ერთი ამ ქვეყნის დასასახლებლად, თუ თავის ნებით ჩამორჩენ ჯარსა დაღალულობის გამო.

კოლხიდის მცხოვრებლები, მგონია, ეგვიპტელები არიან. აქ საკუთარ ჩემს აზრს ვამბობ და არა სხვისაგან გაგონილსა. რადგან ეს აზრი ფიქრად მომივიდა, ცნობები შევკრიბე ამის თაობაზე როგორც ეგვიპელებისა, ისე კოლხიდელებისაგან. კოლხიდელებს უფრო მეტი ახსოვთ ეგვიპტელების შესახებ, ვიდრე ეგვიპტელებს—კოლხიდელებისა. ეგვიპტელები იმას კი ამბობენ, რომ კოლხიდელები ჩვენის აზრით სეზოსტრისის ჯარის ნარჩენიაო. ჩემი აზრი დავამყარე იმაზე, რომ კოლხიდელები შავგვრემანები და თმა-ხუჭუჭიანები არიან. თუმცა ამ გარემოებას ცოტა მნიშვნელობა აქვს, რადგან სხვა ერებიც ემსგავსებიან ერთმანეთს ამ ორ თვისებით, მაგრა ჩემს აზრს ამტკიცებს უფრო თვალსაჩინო გარემოება: კოლხიდელები, ეგვიპტელები და ეთიოპიელები ერთად ერთნი ხალხნი არიან, რომელთაც მუდამ ჰქონიათ ჩვეულებად წინადაცვეთა. ფინიკიელები და პალესტინის სირიელები თვითონ ამბობენ, რომ ეს ჩვეულება ეგვიპტელებისაგან მივიღეთო. თერმოდონის და პართენის ნაპირებზე მცხოვრებნი სირიელნი და მათი მეზობლები მაკრონები კი ამტკიცებენ, რომ დიდი ხანი არ არის რაც ეს ჩვეულება კოლხიდელებისაგან მივიღეთო. აი მარტო ამ ხალხებს აქვთ ჩვეულებად წინადაცვეთა და ცხადია, რომ ეს ჩვეულება ყველა ამათ ეგვიპტელებისაგან მიუღიათ. აი კიდევ ერთი შენიშვნა, რომელიც ამტკიცებს კოლხიდელების და ეგვიპტელების მსგავსებას: მხოლოდ ეგვიპტელები და კოლხიდელები აკეთებენ ერთნაირად სელს. ყოფა-ცხოვრება და ენაც ერთმანეთისას უგავთ. იმ სელს, რომელიც კოლხიდიდამ მოდის, ბერძნები სარდონის სელს უწოდებენ; ხოლო რომელიც ეგვიპტიდამ მოდის, იმას კი ეგვიპტის სელს უწოდებენ.—

# XIX. ჰიპოკრატეს ცნობანი კოლხიდელების შესახებ

## 470—376 წ. ქრ. წინ.

*(К. Ганъ—Извѣстія древнихъ греческихъ и римскихъ писателей о Кавказѣ, ч. I)*

ქვეყანა, რომელსაც ჩაუდის ფაზის მდინარე, არის ჭაობიანი, ცხელი, ნოტიო და შემოსილი ტყით. მთელის წლის განმავლობაში აქ დიდი წვიმები მოდის. იქაურნი მკვიდრნი ცხოვრობენ ჭაობებში; წყალში იშენებენ სახლებს ხისას ანუ წკნელისას. გარედ გამოდიან მხოლოდ მაშინ, როცა ქალაქში ან ბაზარში უნდა წავიდენ. ამ ქვეყანაში ბევრი არხია; შიგ უდგიათ მთლიან ხისაგან გაკეთებული ნავები და ამ ნავებით შემოუვლიან გარშემო თავიანთ მამულებს. ხმარობენ წვიმის წყალს, რომელიც არის თბილი, მდორე და აყროლებული სიცხისაგან. ფაზისს ყველა მდინარეებზე უფრო ნელი და მდორე მიმდინარეობა აქვს. ამ ქვეყნის ხილი ცუდის თვისებისაა, უგემური და, წყლის სიუხვის გამო, არასოდეს არა მწიფდება. წყლისაგან, რომ ნისლი ადის, მუდამ გარს არტყია ამ ქვეყანას. ამ მიზეზებს უნდა მიეწეროს, რომ იქაური მცხოვრებლები ეგრე განირჩევიან ყველა სხვა ერთაგან: ისინი ტანით მაღალნი არიან, მაგრამ იმოდენად მსუქნები, რომ არ უჩანთ არც სახსრები და არც ძარღვები. ფერი აქვთ ყვითელმწვანე, თითქო სიყვითლით არიანო ავად. ხმა სხვებზედ უფრო გაუთლელი აქვთ, რადგან სუნთქვამენ უწმინდურს და სველს ჰაერს, ლინ-ღლსავით სქელს. ყველაფერს ერიდებიან, რაც კი დაღლის. ამ ქვეყანაში ზამთარს და ზაფხულს შორის დიდი გარჩევა არ არის სითბო-სიცივის მხრით. აქ უფრო ხშირია სამხრეთის ქარი. ამას გარდა იცის კიდევ ადგილობრივი ქარი, რომელიც არის ფრიად ძლიერი, ცხელი და უსიამოვნო. ამ ქარს ეძახიან „კ ე ნ ხ რ ო ნ ს“. ჩრდილოეთის ქარი აქ იშვიათია და არ აქვს არც ძალა და არც მნიშვნელობა.—

## XX. ქსენოფონტეს ცნობანი საქართველოს უძველეს მკვიდრთა შესახებ

431—354 წ. ქრ. წინ.

*(Xenophon—La retraite des dix mille, traduction de Perrot d' Ablancourt)*

ბერძნები მიუახლოვდენ ფაზის მდინარეს, რომელსაც განი აქვს ერთი პლეტრი. *) აქედამ ორ დღეში გაიარეს ცხრა ფარსახანგი **) და მთაზე შეხვდენ ხალიბები, ტაოხები და ფაზიანები, რომელთაც ეჭირათ მთაზე გადასავალი გზა, და ბერძნებს არ უშვებდენ მთის იქით მდებარე ვაკისაკენ. ბერძნებმა რამდენიმე მათგანი მოჰკლეს და მრავა-ლი ფარი წაართვეს. ეს ფარები ბერძნებმა დასჩეხეს იმისათვის, რომ აღარ გამოდგომოდა მოწინააღმდეგე ბარბაროსებს. მერმე ღმერთებს შესაწირავი მიართვეს, გამარჯვების ნიშნები აღმართეს და გადავიდენ ვაკეზე მდებარე სოფლებში, სადაც საჭმელ-სასმელი უხვად იშოვეს.

აქედამ გაიარეს ხუთ დღეში ოც და ათი ფარსახანგი და მივიდენ ტაოხების ქვეყანაში, სადაც სასმელ-საჭმელი შემოაკლდათ და ვერსად შოულობდენ, რადგან ტაოხები შეხიზნული იყვნენ მიუწდომელ ად-გილებში, და თან წაეღოთ, რაც რამ გააჩნდათ. როცა ბერძნები მიუ-ახლოვდენ ერთ კლდეს, სადაც რამდენიმე ტაოხს, თავის საქონლით, თავი შეეფარა, იერიშით ერთბაშად ვერ აიღეს ეს ადგილი. მაშინ მოვიდა ქსენოფონტე და ჰკითხა ხეირისოფს, რა გიშლით იქ შე-სვლასო. ხეირისოფმა უპასუხა: „იქ შესავალი გზა ეს არის ერთად ერთი, რომელსაც შენ ხედავ. ვინც კი გაბედავს ამ გზით შესვლას, ბარბაროსები ამ მაღალ კლდიდამ ჩამოაგორებენ ბლომად ქვებს და ვი-საც ეს ქვები მოხვდება, ის დაემართება, რასაც ახლა ხედავ.“ ეს რომ სთქვა, დაანახვა რამდენიმე ჯარის კაცი, რომელნიც საშინლად დაშა-ვებულნი იყვნენ.—მაგრამ როგორც კი ბერძნები ავიდენ ზევით, ბარ-ბაროსებმა ქვის სროლას თავი დაანებეს. და მაშინ გამოჩნდა საშინე-

---

*) თითქმის თხუთმეტი საჟენია.

**) თითქმის ორმოცი ვერსია.

ლი სანახავი: ქალები და კაცები ისვრიდენ ძირს თავიანთ შვილებს და თვითონაც ვარდებოდნენ. ასის-თავს ენეი სტიმფალელს მოეწონა ერთი ბარბაროსის ტანისამოსი და იმიტომ მოინდომა იმ ბარბაროსის დაჭერა, მაგრამ ბარბაროსმა გადაიტანა იგი დ ორივე ერთად გადავარდნენ უფსკრულში. ბერძნებმა ტყვენი მცირედ შეიპყრეს, მაგრამ საქონელი კი ბევრი იშოვნეს.

აქედამ ბერძნებმა გაიარეს შვიდ დღეს ორმოც და ათი ფარსახანგი და შევიდენ ხალიბების ქვეყანაში. ხალიბები ყველაზე მამაცი არიან ადგილობრივ ბარბაროსთა შორის. ხალიბებს ტანით ეცვათ სელის კურტაკი; გრეხილებით გაწყობილი, და წვივებზე—პაიჭები; თავზე ეხურათ მუზარადი, წელზე ეკიდათ პატარა ხანჯალი ლაკედემონელებსავით. შუბი მათი თითქმის ცხრა ალაბის სიგრძისა იყო და მხოლოდ წვერში ჰქონდა რკინა. როცა მტერს მოკლავდენ ხოლმე, მაშინვე თავს მოსჭრიდენ, წამოაცმევდენ შუბზე სხვების საჩვენებლად დ თან მღეროდენ და ცეკვავდენ. ხალიბები თავის სოფლებიდამ არ გამოდიოდენ, მაგრამ როცა ბერძნების ჯარი შევიდა მათ ქვეყანაში, უკან გამოედევნენ და შეებნენ ამ ჯარს. რადგან ხალიბები ცხოვრობდენ მიუვალ ალაგას და იქვე ჰქონდათ ყოველივე სურსათი, ამიტომ ბერძნებმა ვერაფერი საჭმელი ვერ იშოვნეს და იძულებული იყვნენ გამოეხოვნათ ის სურსათი, რომელიც იშოვნეს ტაოხების სოფლებში. აქედამ ბერძნები მივიდენ ჰარპასის მდინარეზე, რომელსაც სიგანე ოთხი პლეტრი აქვს. მერმე ოთხ დღეში გაიარეს ოცი ფარსახანგი სკვითინების ქვეყანაში დ შევიდენ სოფლებში, სადაც სამი დღე დარჩენ და საგზალი იშოვნეს. ოთხ დღეში კიდევ გაიარეს ოცი ფარსახანგი და მიუახლოვდენ გიმნიას ქალაქს, ძლიერ გაშენებულს დ მდიდარსა. ამ ქალაქის მმართებლებმა გამოუგზავნეს ბერძნებს ეტიკი, რომელსაც უნდა გადაეყვანა ისინი მეზობელ-მტრების ქვეყანაში. ეს ეტიკი მოვიდა და უთხრა ბერძნებს, რომ ხუთ დღეში ზღვას დაგანახვებთო და თუ არა, თავი მომჭერითო. როცა ბერძნები შევიდენ მტრის ქვეყანაში, ეტიკი აქეზებდა მათ ამ ქვეყნის აოხრებისათვის. აქედამ ცხადად აღმოჩნდა, რომ ეს ეტიკი უფრო მტრისადმი შურის ძიებისათვის იყო გამოგზავნილი და არა ბერძნების დასახმარებლად. მეხუთე დღეზე ბერძნები მიუ-

ახლოვდნენ თეხეს მთას. როგორც-კი მოწინავე ბერძნები ავიდნენ ამ მთის წვერზე და იქიდგან ზღვა დაინახეს, დიდი სიხარული შეუდგათ: „ზღვა, ზღვაო.“ აქედამ სამ დღეში გაიარეს ათი ფარსასნგი და შევიდნენ მაკრონების ქვეყანაში. პირველ დღეს მიადგნენ ერთს პატარა მდინარეს, რომელიც საზღვრავს ერთმანეთისაგან მაკრონების და სკვითების ქვეყნებს. ამ მდინარეს მარჯვნით კლდიანი ნაპირი ჰქონდა და მარცხნით მეორე მდინარე, ტოტი პირველისა. ამ ტოტის ნაპირები შემოსილი იყო ხშირის ტყით, რომელსაც ბერძნებმა ჭრა დაუწყეს, რადგან უნდოდათ ჩქარა გასულიყვნენ ამ ქვეყნიდამ. მაგრამ ამ დროს გაღმა ნაპირზე გამოჩნდნენ საომრად შეიარაღებული მაკრონები თავის შუბებით, წნელის ფარებით და ნაბდის სამკერდულებით. იგინი ყვირილით ერთმანეთს აქეზებდნენ და ბერძნებისაკენ ქვებს ისროდნენ, მაგრამ ვერც-ერთი ქვა ვერ სწვდებოდა გაღმა მხარემდე და ბერძნებს არა ევნოთ რა. ამ დროს წამოდგა წინ ერთი ჯარის კაცი, რომელიც ათინაში მსახურობდა, და მოახსენა ქსენოფონტეს, რომ ეს ქვეყანა, მგონია, ჩემი სამშობლოა, რადგან ამ ხალხის ენა მესმისო და ითხოვა ნება-რთვა გამოლაპარაკებისა. ამ ჯარის კაცმა, ქსენოფონტეს ბრძანებით, შეჰკითხა მაკრონებს, ვინა ხართ და რად ეწინააღმდეგებით ბერძნებსაო. იმათ უპასუხეს, ჩვენ მაკრონები ვართო და არ გვინდა, მტერი შემოუშვათ ჩვენს ქვეყანაშიო. ამაზე ბერძნებმა უპასუხეს, რომ ჩვენ საბერძნეთში ვბრუნდებით შავიზღვითა და სრულებით აზრადაც არა გვაქვს თქვენი ვნებაო. მაშინ შერიგდნენ და კავშირი შეჰკრეს, რის ნიშნად ადგილობრივ ჩვეულებისამებრ ერთმანეთს შუბი შეუცვალეს და ღმერთები იმოწმეს. მაშინვე მაკრონებმა გზა გაუკაფეს ბერძნებს, საგზალი მოუტანეს და სამ დღეში მიაცილეს კოლხიდის მთებამდე... ერთ მთაზე დარაზმულიყვნენ კოლხიდელები. ბერძნები ამ მთის აღებას შეუდგნენ; თუმცა ის სხვებზე მაღალი იყო, მაგრამ მიუდგომელი არ ყოფილა.—აიღეს რა ეს მთა, ბერძნები დაბანაკდნენ გადაღმა სოფლებში, სადაც ყოველგვარი სურსათი ბლომად იპოვეს. აქ ერთი დასაღონებელი ამბავი შეემთხვათ, ჯარის კაცებმა იპოვეს მრავალი სკა და, რაკი დაიწყეს თაფლის ჭამა, მაშინვე აუტყდათ პირიდამ საქმობა და სიფაღარათე და ამასთან ბოდვაც დაიწყეს, ისე რომ ვინც ნაკ-

ღებ ავად გახდა, ის მთვრალს დაემსგავსა და უფრო ძლიერ ავადმყოფი—გასულებულს და მომაკვდავს. ამისთანა ავადმყოფები მიწაზედ ეყარნენ, თითქოს ბრძოლის ველზე დამარცხებულანო. მაგრამ არც ერთი მათგანი არ მომკვდარა. მეორე დღეს სწორედ იმ საათზე, რა საათზედაც წინა დღით ავად გახდენ, გონს მოვიდენ და მესამე და მეოთხე დღეზე ფეხზე წამოდგენ, მაგრამ ისევ დასუსტებული იყვნენ, თითქოს დიდი ავადმყოფობა გამოუვლიათო.

აქედამ ორ დღეში გაიარეს კიდევ შვიდი ფარსანგი და მიუახლოვდენ ტრაპიზონს, რომელიც სინოპელ ბერძნების კოლონია არის და მდებარეობს შავ-ზღვის პირად, კოლხიდაში. აქ ბერძნები დარჩენ ოცდა ათი დღე კოლხიდელების სოფლებში. სურსათი მოჰქონდათ ტრაპიზონელებისაგან, რომელნიც უგზავნიდენ ძღვნად: ხარებს, ფქვილს და ღვინოს. ტრაპიზონელებმა შესთხოვეს ბერძნებს პატიება თავიანთ მეზობელ კოლხიდელებისათვის, განსაკუთრებით იმათთვის, რომელნიც ბარად ცხოვრობდენ და რომლებისაგან ბერძნებმა მიიღეს საჩუქრად ხარები.—

ბერძნები მიუახლოვდენ მოსინეკების საზღვარს და გაუგზავნეს ამათივე მეგობარი ტიმესითე ტრაპიზონელი იმის შესატყობლად, თუ როგორ მიიღებდენ ისინი ბერძნებს: მეგობრულად, თუ მტრულად. მოსინეკები თავიანთის ციხე სიმაგრეების მოიმედენი იყვნენ და პასუხად შემოუთვალეს ბერძნებს, რომ ჩვენ გზას არ მოგცემთო. ტიმესითემ უამბო ბერძნებს, რომ ამ მოსინეკებს გადაღმა მცხოვრები მოსინიკები მტრობენო. ამიტომ ტიმესითე გაგზავნეს ბერძნებმა გადაღმა მცხოვრებ მოსინეკებთან კავშირის შესაკრავად. მართლაც, ტიმესითე დაბრუნდა და თან მოჰყვნენ მოსინეკების თავი კაცები. როცა შეიკრიბენ ბერძნების და მოსინიკების თავი-კაცები, ქსენოფონტემ მოსინეკებს შემდეგი სიტყვა უთხრა, რომელიც გადაათარგმნინა ტიმესითეს: „მოსინიკებო! ჩვენ გვსურს წავიდეთ საბერძნეთს ხმელეთით, რადგან ხომალდები არა გვაქვს. აქეთური მოსინეკები, რომელნიც, როგორც გაიგეთ, თქვენი მტრები ყოფილან, არ გვიშვებენ. ამიტომ, თუ ისურვებთ, შეგიძლიანთ მოგვეხმაროთ და ჩვენის შემწეობით გადაუხადოთ სამაგიერო; თუ ამ პირობაზე არ დათანხმდებით, იცოდეთ რომ მეორედ არ გექნებათ შემთხვევა ამისთანა დიდი ჯარი იშოვოთ შემ-

წედ". ამაზე მოსინიკების უფროსმა წინამძღოლმა უპასუხა, რომ ჩვენც მსურველნი ვართ ამ კავშირისა და მოსინიკებსაც მოსწონთ ეს წინადადებაო. „მაშ კარგიო, მიუგო ქსენოფონტემ, აგვიხსენით რაში უნდა დაგეხმაროთ, როცა თქვენი მოკავშირეები გავხდებით და თქვენ როგორ შეგვეწევით, რომ იმათი ქვეყანა გზად გავიაროდ". მოსინეკებმა უპასუხეს: „ჩვენ შეგვიძლია მეორე მხრით დავეცეთ ჩვენს და თქვენს მტრებს და აქ გამოვიგზავნოთ ნავები და კაცები, რომელნიც თქვენთან ერთად იომებენ და გზას გიჩვენებენ". ამის შემდეგ ორმავე მხარემ ერთმანეთს მეგობრობის საწინდარი მისცეს. მოსინეკები დაბრუნდენ შინ და მეორე დღეს მოვიდენ სამასის ნავით; თითო ნავში, მთლიან ხისაგან გათლილში, ისხდა სამ-სამი კაცი: ოროლი საომრად მომზადებული გამოვიდენ ნაპირზე და თითომ თავ-თავისი ნავი უკან წაიღო. მეომარი მოსინიკები ორ წყებად დარაზმდენ ერთი მეორის პირ-და-პირ; დაიწყეს თავისებური სიმღერა და ცეკვა, და ამ რიგად ჩაიარეს ბერძნების რაზმი.

მარცხენა ხელში ეჭირათ მგლის ფარი, სუროს მსგავსად მოყვანილი, თეთრის ბეწვიანის ხარის ტყავით მოსილი, და მარცხენა ხელში ეჭირათ შუბი, სიგძით ექვს წყრთამდე; შუბის წვერი რკინისა იყო და ტარის ბოლო რგვალი ჰქონდა. ტანზე ეცვათ სქელი ნაქსოვი პერანგები, რომელიც მუხლებამდე სწვდებოდათ; თავზე ეხურათ ტყავის მუზარადი ისეთი, როგორისაც პაფლაგონელები ხმარობდენ; მუზარადის შუა ამართული ჰქონდათ გვირგვინის მსგავსად ფაფარის ნაწნავი; ამას გარდა იარაღად ჰქონდათ რკინის ცულები.

მოსინეკები ცეკვით და სიმღერით მივარდენ იმ ადგილს, რომელიც უფრო ადვილი ასაღები იყო. ეს იყო წინა უბანი დედა-ქალაქისა. ამ ქალაქში იყო მოსინიკების უმთავრესი ციხე-სიმაგრე, პირველი მიზეზი განხეთქილებისა; ვინც იმას დაიჭერდა, ის იქნებოდა მთელის ქვეყნის მფლობელი. ბერძნების მოკავშირენი ამტკიცებდენ, ჩვენი მოწინააღმდეგენი უსაფუძვლოდ ჰფლობენ ციხეს, რადგან ის საზოგადოდ მთელს ქვეყანას ეკუთვნისო.—პირველ შეტევაზე ციხეში მყოფმა მოსინეკებმა სძლიეს. მრავალი მოკავშირე მოსინეკი მოიკლა და აგრეთვე რამდენიმე ბერძენიც. გამარჯვებულმა მოსინეკებმა მკვდრებს

თავები დასჭრეს და თავისთ მოწინააღმდეგე მოსინეკებს და ბერძნებს დაანახვეს ცეკვით და სიმღერით. მეორე დღეს ბერძნებს და იმათ მოკავშირეებს ბედი ეწიათ: აიღეს ქალაქი და ცეცხლი მისცეს. ამ ქვეყნის მეფე იმყოფებოდა ხის კოშკში, რომელიც მთის წვერზე იყო აშენებული; მეფეს აქ ჰკვებდნენ საზოგადო ხარჯით და საკუთრად მიჩენილი მცველები ემსახურებოდნენ. მეფემ უარჰყო კოშკის დატოვება და ცეცხლში დაიწვა. აგრეთვე დაიწვნენ ყველა ისინი, ვინც კოშკს იცავდნენ.

ბერძნებმა ქალაქი აიკლეს: სახლებში იპოვნეს დიდ-ძალი ძველი პური. ეს პური იყო დაწყობილი სარდაფებში, რომელიც აეშენებიათ მათ მამა-პაპათ, როგორც თვით მოსინეკები ამბობდნენ. ამას გარდა ნახეს ახალი პურის ძნები და თისის ქვევრები დამარილებულის ზღვის ღორის ქონით, რომელსაც მოსინეკები ზეითუნ ზეთის მაგიერ ხმარობდნენ. ბეღლებში ეყრო მრავალი წაბლი, რომელსაც მოსინეკები ჰხარშავდნენ და პურის მაგიერ ხმარობდნენ. აქ ღვინოც არის, მაგრამ უწყლოდ სასმელად მწკლატეა და წყლით კი გემოიანი და სურნელოვანი. გადასცეს რა ცოტა თავის მოკავშირეებს, ბერძნებმა განაგრძეს მოგზაურობა. გზაზე შეხვდათ მოწინააღმდეგეების ქალაქები, რომელთა შორის ზოგი უკვე დაცარიელებული იყო და ზოგი თავ-თავისით დანებდა. უმეტესი ნაწილი ქალაქებისა ერთი მეორეზე რვა თუ თოთხმეტი ვერსის სიშორეზე მდებარეობდა. როდესაც ერთის ციხიდამ მეორეში რაიმე უნდა აცნობონ, ერთმანეთს გაჰკივიან და ხმას აძლევენ: ისე მაღალ მთიანი და ხევებით დაყოფილია ეს მხარე.

როცა ბერძნები მივიდნენ მოკავშირე მოსინეკების ქვეყანაში, ნახეს მდიდარ მოსინეკების ბავშვები, რომელნიც გამოკვებულნი იყვნენ მოხარშულის წაბლით. სიმსუქნის გამო ეს ყმაწვილები დარგვალებულ-იყვნენ; ზურგი ნაზი და თეთრი ჰქონდათ; ტანი უკან სხვა-და-სხვა ფერად შეღებილი და წინ ყვავილებით მოხატული. როგორც ქალები ისე კაცებიც თეთრი ფერისანი არიან. ყველა ბერძნები, ვინც ამ ლაშქარში იყო, ამბობდნენ, რომ ამისთანა ბარბაროსი ხალხი არ გვინახავსო; რა მილეთის ხალხიც კი ვნახეთ, ყველაზე უფრო მოსინეკები არიან ზნეობით ჩვენზე დაშორებულნიო. მართლადაც, მოსინეკე-

ბი საჯაროდ იმისთანა საქმეს კადრულობენ, რასაც სხვები მალვით სჩადიან....

მოწინააღმდეგე და მოკავშირე მოსინეკების ქვეყნები ბერძნებმა განვლეს შვიდ დღეში და მივიდნენ ერთ პატარა ხალხის ქვეყანაში, სახელდობრ ხალიბებისა, რომელნიც ემორჩილებიან მოსინიკებს. ხალიბები რკინის მადნებში მუშაობენ და ამით ცხოვრობენ.

აქედამ ბერძნები მივიდნენ ტიბარენების ქვეყანაში, რომელიც უფრო ვაკე-მინდვრიანი ქვეყანაა. აქ ზღვის პირად რამდენიმე სუსტად გამაგრებული ადგილია. ბერძნების წინამძღოლებს უნდოდათ თავს დასცემოდნენ და ჯარისათვის მიეცათ შემთხვევა დავლის შოვნისა. ამიტომაც არ მიიღეს მაშინვე ტიბარენებისაგან გამოგზავნილი ძღვენი და აცდევინეს მოციქულებს, სანამდის ქურუმები არჩევდნენ. როცა ქურუმებმა მოახსენეს ბერძნების წინამძღოლებს, რომ ღმერთებს მსხვერპლი მიჰარობვით და აღმოჩნდა, რომ არ სურთ ომი, მაშინ ბერძნებმა მიიღეს ძღვენი ტიბარენებისაგან; მეგობრულად განვლეს მათი ქვეყანა ორ დღეში და მივიდნენ ქალაქს კოტიორას, რომელიც სინოპელ ბერძნების კოლონია იყო და მდებარეობდა ტიბარენების ქვეყანაში.

---

## XXI. კოლხიდელების და თუბალ-მოსხოსების აღებ-მიცემა

ა. *(Fr. Lenormant—Histoire ancienne de l' Orient, t. I et IV)*

ფინიკიელები დადიოდნენ თავის ხომალდებით მცირე აზიის ჩრდილოეთ ნაპირებად,—სადაც მრავალ ადგილას მათის უძველესის სავაჭრო კანტორების ამბავი თვით კლასიკურ დროშიაც იყო დარჩენილი,—აგროვებდნენ გზა-გზა უმთავრეს ადგილობრივ ნაწარმოებსა და ბოლოს მიაღწიეს კიდეც კოლხიდის სანაპიროსა. კოლხიდისაკენ მიიზიდავდა მათ ის სიმდიდრე, რომელიც ოქროს საწმისის (მატყლის) ლეგენდაში იყო გამოხატული. მართლაც და კოლხიდიდამ სიდონის ხომალდებს გაჰქონდა მრავალგვარი და უძვირფასესი ლითონები, რომელთა

შეძენის სურვილი ასე შორს და საშიშარ ზღვებისაკენ მიიზიდავდა ფინიკიელებსა. ეს ლითონები იყო: ოქრო, რომელსაც თვით კოლხიდელები შოულობდენ იქაურ მდინარეებში, და ეგრეთვე ის ოქრო, რომელიც ქარავნებით მოჰქონდათ ურალიდამ, არიმასპების ქვეყნიდამ; კალა, რომელიც მიუცილებელი საჭიროა ბრინჯაოს საკეთებლად და რომელსაც იბერიელები და ალვანიელები კავკასიის მთებში სთხრიდენ; ტყვია და ვერცხლი, რომელიც ორივე ერთად მოიპოვებოდა ბევრგან კავკასიის მთებშივე. კოლხიდიდამ გაჰქონდათ აგრეთვე: ლითონის სხვა-და-სხვა ნივთეულობა, რომელსაც ხალიბები თავის მთებში აკეთებდენ და რომლის გამო მათი სახელი იმ დროიდამ მთელ ქვეყნიერობაზე განითქვა; ბრინჯაო უმაღლესის ხარისხისა; რკინა ზოდებად დაჭრილი და განსაკუთრებით ფოლადი, რომლის გაკეთება არც ერთმა სხვა ერმა ჯერ არ იცოდა და რომელსაც აქ კი უხსოვრის დროიდამ აკეთებდენ.

ფინიკიელებს რომ ალებ-მიცემა ჰქონდათ ჩრდილოეთისაკენ თუბალ-მოსოხებთან ხმელეთით, ამის თაობაზე ჩვენ არაფერი არ გვეცოდინებოდა, თუ წინასწარმეტყველ ეზეკიელს არ მოეთხრო ამის ამბავი: „თუბალ და **მოსოხ** *) ვაჭრობდეს შენ შორის სულებსა კაცთასა და ჭურჭელნი რვალისანი მისცნეს სავაჭროდ შენდა. სახლისაგან თორგამოისსა ცხენნი და ცხენოსანნი და კერძო ვირნი მისცნეს სავაჭროდ შენდა“.

თუბალი და **მოსოხი** წარმოადგენდენ ორს დიდს ერს, რომელნიც „დაბადებაში“ მუდამ განუყოფელად მოიხსენებიან. ისინი ცხოვრობდენ **მცირე-აზიაში**, ერთმანეთის გვერდით და მუდამ მტკიცედ შეკავშირებულნი. ჰყვნეს მეომარნი და სახელ-განთქმულნი თავიანთ ლითონებით. შეუძლებელია არ ვიცნოთ ამ თუბალში და **მოსოხში** ტიბარე-

*) თუბალ და მოსოხ მოხსენებული არიან ეზეკიელის წინასწარმეტყველობის ამ ადგილას მხოლოდ ლათინურ „დაბადებაში“ (*Biblia Sacra, Parisis 1839, Ezéchiel. XXVI, 13.*) ქართულ „დაბადებაში“ კი, როგორც დაბეჭდილში (ნაწ. II, ტფილისი, 1884), ისე დავით დადიანისეულშიც, რომელიც გადაწერილია ათონის მონასტრის დედნიდამ და ახლა „წერა-კითხვის საზოგადოების“ კუთვნილებაა, ეს სახელები გამოტოვებულია. აგრეთვე გამოტოვებულია ეს სახელები სლავიანურ „დაბადებაში“.

ნები და მოსხები კლასიკურის გეოგრაფიისა. მხოლოდ როდესაც ბერძნები და რომაელები იმათ შესახებ მოგვითხრობენ, ეს ერნი მაშინ მიმწყვდეულნი არიან იმ მთების ვიწრო ხევებში, რომელიც მიიმართება შავი-ზღვის ნაპირად; „დაბადების“ თქმულებით კი, ცხადია, მათი მიწა-წყალი ბევრად უფრო ვრცელი ყოფილა და ბევრად უფრო სამხრეთისაკენ მდებარეობდა. აქ კიდევ ნათელსა ჰფენს „დაბადების“ ეთნოგრაფიას ასურული ლურსმული დოკუმენტები, სადაც აწერილია ორი ძლევა-მოსილი ერი ტ ა ბ ა ლ ი და მ უ ს ხ ი, რომელნიც მუდამ დაკავშირებულნი იყვნენ ერთმანეთთან და მეთორმეტე საუკუნიდამ მეშვიდემდე ქრისტეს შობამდე ესახლენ კაპადოკიაში, რომელიც საზღვრავდა ხილაკკის ე. ი. კილიკიის ქვეყანას და კუმუხსა ანუ კომაგენსა თითქმის ეფრატის ზემო ნაწილამდე. მოსხები რომ ძველად კაპადოკიაში გავრცელებულნი იყვნენ, ამას იოსებიც *) მოწმობს. ეს მწერალი ამტკიცებს, რომ მაზაკას ქალაქმა მიიღო სახელი მოსხებისაგანაო. გარდა ამისა ციცერონის დროს ტიბარენთა ტომი სახლობდა კილიკიას მიდამოში და აგრეთვე ამაზე ჩრდილოდაც, პონტის ქვეყანაში. რაც შეეხება თოგორმას, ეს ქვეყანა სომხეთია. ვინ არ იცის, რომ ნაწარმოები, რომლებსაც ასახელებს წინასწარმეტყველი, სწორედ ის ნაწარმოებია, რომლებსაც დღესაც ვპოულობთ იმავე ქვეყნებში? მხოლოდ რუსის დროს მოისპო ის მონათა ვაჭრობა, რომელიც საქართველოს და ჩერქეზეთს ჰქონდათ ყველა მუსულმანთა ქვეყნებთან და რომლის გამო ისინი ავსებდნენ ოსმალეთის და სპარსეთის ჰარამ-ხანებსა. როცა ქსენოფონტე მივიდა თავის ჯარით ქარდუკების ქვეყანაში, გაოცებული დარჩა, რომ ნახა, რა მრავალი ლითონის ჭურჭელი ჰქონდა ამ ერს. ამ ერის გვერდით ცხოვრობდნენ ხალიბები, რომელნიც უხსოვარ დროიდამ სახელგანთქმულნი იყვნენ თავის ლითონებით. სპილენძი დღესაც ბლომად არის იმ ადგილებში, სადაც ძველად იყო.

---

*) ებრაელთა ისტორიკოსი და სარდალი (34—95 წწ. ქრ. აქეთ.) რომელიც იცავდა იერუსალიმს რომის წინაალმდეგ, ვესპასიანეს და ტიტეს დროს. დამარცხების შემდეგ გადასახლებულ იქმნა რომში, სადაც დასწერა, ბერძნულად რამდენიმე შესანიშნავი ისტორიული თხზულება.

ხშილენძი შეადგენს უმთავრეს საქონელს ამ ქვეყნების ალებ-მიცემისას ბაღდადთან და ბასორასთან; ყველა საოჯახო ჭურჭლებს ამ ქვეყნებში მხოლოდ სპილენძისაგან აკეთებენ და ქალაქებში მეტი ხელობა არ იციან, გარდა მექვაბეობისა. რაც შეეხება ხომსეთს, ის დღესაც მდიდარია საუკეთესო ჯიშის ცხენებითა.—

ფინიკიელების შემდეგ მსოფლიო ვაჭრობის და ზღვით მოგზაურობის ასპარეზზე გამოვიდნენ საბერძნეთის ერნი, რომელთაც ზღვით მოგზაურობის დასაწყისი, შორეულ ზღვაში გამგზავრების ცდა და მსწრაივ-ლი წარმატება ამ ასპარეზზე ცხადად გამოხატულია ბერძენთ ტომის თქმულებაში, სახელდობრ არგონავტების ლეგენდაში.

ამ ლეგენდიდამ სჩანს, საბერძნეთის პელაზგებმა როგორ მოიკიდეს ზღვაზე ფეხი, განიზრახეს თვითონ დაეპყრათ კოლხიდის სიმდიდრე, რომლის შესახებ, უეჭველია, ფინიკიელები ბევრს რასმე მოუთხრობდნენ და მით ბერძნებს გაუღვიძებდნენ შქესის ხალისს. მართლაც პირველად ბერძნები ამ ქვეყანას წაეტანენ და მალეც დაეპატრონენ სანავოსნო ალებ-მიცემას ამ ქვეყნისას, სადაც მრავალი სიმდიდრე თავს იყრიდა ყოველის მხრით. არგონავტების დროდამ დაწყებული ფინიკიელების ნავოსნობისა აღარაფერი ისმოდა შავ-ზღვაზე თვით კოლხიდამდე. მართლაც ეს ის მანძილია, სადაც მათი ადგილი ბერძნებმა დაიჭირეს. მას შემდეგ ჩრდილოეთის მხრით ფინიკიელების ალებ-მიცემის უკიდურესს წერტილად, ისევ თასოსი *) გახდა, როგორც თავდაპირველად იყო.

---

ბ. *(Montesquieu—De l'esprit des lois)*

ალებ-მიცემა, ზოგჯერ დევნილი მტარვალთაგან, ზოგჯერ შევიწროებული თვით-მპყრობელთაგან, დადის მთელ ქვეყნიერობაზე; ჰქრება იქ, სადაც ავიწროებენ და ჩნდება იქ, სადაც თავისუფლებას აძლევენ: დღეს ალებ-მიცემა არსებობს იქ, სადაც ძველად მხოლოდ უდაბური ადგილები, ზღვები და კლდეები მოჩანდა; იქ კი, სადაც ძველად ალებ-მიცემა არსებობდა, დღეს მხოლოდ უდაბური ადგილებია.

*) არქიპელაგის კუნძული, თრაკიის მახლობლად.

რომ ავიღოთ მაგალითად დღევანდელი *) კოლხიდა, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ვრცელს ტყეს, სადაც ხალხი ყოველდღე კლებულობს და, თუ იცავს თავის თავისუფლებას, მხოლოდ იმისთვის; რომ წვრილ-წვრილად მიჰყიდოს თავი ოსმალებს და სპარსელებს,— ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ, თუ ეს ქვეყანა ოდესმე, რომაელების დროსა, სავსე ყოფილა ქალაქებითა, სადაც აღებ-მიცემა იწვევდა მთელ ქვეყნიერობის კაცთა ნათესავს. ვერავითარ სახსოვარს ამ აღებ-მიცემისას ადგილობრივ ვეღარ ვპოულობთ. იმისი კვალი მოიპოვება მხოლოდ პლინის და სტრაბონის თხზულებებში.—

ერატოსთენი **) და არისტობული ***) სწერდენ, რომ ინდოეთის სავაჭროები შავზღვაზე მიდიოდა მდინარე ოქსუსითა ****). მარკ ვარრონი *****) გვარწმუნებს, რომ პომპეის გალაშქრების დროს წინააღმდეგ მიტრიდატისა გაიგეს, რომ შვიდ დღეში შეიძლებოდა მისვლა ინდოეთიდამ ბაქტრიელების ქვეყანაში და მდინარე იკარამდე, რომელიც ოქსუსს ერთვიდა; რომ აქედამ ინდოეთის სავაჭროები გადიტანებოდა კასპის ზღვით მტკვრის შესართავში და ამ მდინარიდამ მხოლოდ ხუთი დღის სავალი-ღა იყო ხმელეთით ფაზის მდინარემდე და აქედამ გადაჰქონდათ შავ-ზღვაში. უეჭველია, ამ ქვეყნების ერთა შემწეობით იყო, რომ ასურელების, მიდიელების და სპარსელების დიდ სახელმწიფოებსა მისვლა-მოსვლა ჰქონდათ მეტად შორეულ ქვეყნებთან აღმოსავლეთით თუ დასავლეთით.

ამისთანა მისვლა-მოსვლა შემდეგ მოისპო, რადგან ყველა ეს ქვეყნები აოხრეს თათრებმა და ეს ამკლები ერი დღესაც ამ ქვეყნებში ცხოვრობს მათდა გასანადგურებლად. ოქსუსი აღარ შედის კასპის ზღვაში, თათრებს რაღაც განზრახვით ამ მდინარისთვის სხვა გზა მიუციათ და იგი იკარგება სადღაც ურწყულს ქვიშაში.

---

*) *Montesqiucu*-მ გამოსცა თავისი წიგნი 1748 წ.—**) ბერძენთ გეოგრაფი და მეცნიერი, ცხოვრობდა 276—194 წწ. ქრ. წინ.—***) ბერძენთ მწერალი, ტომით ებრაელი, ცხოვრობდა მეორე საუკუნეში ქრ. წინ.— ****) აწინდელი ამუ-დარია.— *****) რომის სარდალი, თანა-მოღვაწე პომპეისა, და მწერალი, ცხოვრობდა 116—26 წწ. ქრ. წინ.

თათრებსავე შეუცვლიათ გზა იაქსარტის *) მდინარისათვისაც, რომელიც ოდესღაც შეადგენდა საზღვარს განათლებულ და ბარბაროსულ ერთა შორის, და რომელიც ამ ჟამად აღარ შეერთვის ზღვას.

სელევკოს ნიკატორმა განიზრახა შავისა და კასპის ზღვა შეეერთებინა ერთმანეთთან. მაგრამ ეს პროექტი, რომელიც გააადვილებდა მაშინდელ აღებ-მიცემას, გაუქმდა ნიკატორის სიკვდილისათანავე. არ იციან, შეეძლო თუ არა ესეთი განზრახვა სისრულეში მოეყვანა კავკასიის ყელზე, რომელიც ჰყოფს ორ ზღვას. ამ ჟამად ეს ქვეყანა არის ძლიერ ცოტად ცნობილი, მკვიდრთა მოკლებული და ტყეებით ატესილი. წყლები არ აკლია, რადგან უამრავი მდინარე ჩამოდის კავკასიის მთიდამ, მაგრამ თვით ამ კავკასიის მთას, რომელიც ამ ქვეყანას ჩრდილოეთით უდევს და რომლიდამაც ქედები მიიმართება სამხრეთად, დიდი დაბრკოლება უნდა წარმოედგინა განსაკუთრებით იმ ხანებში, როცა საგუბრების კეთება არ იცოდენ.—

---

## XXII. კოლხიდელების განათლება და კულტურა

*(Carl Ritter—Исторія землевѣдѣнія)*

არგონავტების სახელგანთქმული გალაშქრება შავი ზღვით (პონტ-ევქსინით) კოლხიდაში უძველესი მოგზაურობაა ბერძნებისა 1) უცხო ქვეყნებში. ეს გალაშქრება მოხდა ჰომიროსის 2) წინად და პოეტებმა ძლიერ ადრე

---

*) აწინდელი სირ-დარია.

1) ბერძნებს თავი მოჰქონდათ, რომ ჩვენ პირველად გავკვალეთ გზა ამ ზღვაში მოგზაურობისაო. მათი სხოლიასტები ამტკიცებენ, რომ, მხოლოდ ბერძენთა წყალობით, ზღვა „ჰ ა ქ ს ე ი ნ ო ს"-ი (სტუმართ-მოძულე) შეიქმნა ზღვა „ე ვ ქ ს ე ი ნ ო ს"-ი (სტუმართ-მოყვარე), და სრულიად არ იხსენიებენ ფინიკიელებს. კარიოსისა და კრიტოსის მცხოვრებელნი კი, რომელნიც ჩვენზე ადრე დადიოდენ ამ ზღვაზე, მეკობრენი იყვნენო.

2) უკვე ჰომიროსი მოგვითხრობს ხომალდის „არგოს" მოგზაურობას, რომელიც მისის სიტყვით ყველას სალაპარაკო საგნად გამხდარიყო და რომლის შესახებ მრავალი შაირ-სიტყვაობა და ამბები იყო თქმული (ოდისეია, XII, 70).

შეამკეს იგი, მაგრამ მათი შაირები, სამწუხაროდ, დაკარგულია. ყველა დღემდე გადარჩენილი არგონავტიკა კი ბევრად უფრო გვიან შეუთხზავთ სხვა-და-სხვა პირთა, როგორც მაგალითად, აპოლონ როდოსელის პოემაა და სხვანი.

ეს არგონავტიკები შედგენილია ძველი შაირების ნაწყვეტებისაგან და ეს არის მიზეზი, რომ მათში ძნელი გამოსარჩევია სიმართლე სიცრუვისაგან. ბევრი რამ მათში საეჭვოა ჩვენთვის და ბევრი კი სრულიად გაუგებარი. მაგრამ ამ შაირებში მოხსენებული გეოგრაფიული ფაქტები, ისეთ სასტორიო საფუძველზეა დამყარებული, რომ შეუძლებელია პოეტების მოგონილი იყოს. (ტანაისი, მეოტისი ბორისთენის ჭორომები, მიწაყრილები (*tumuli*) და სხვ.)

ეს შაირები გვაცოდინებს ფინიკიელთა დროინდელ ჩრდილოეთის და აღმოსავლეთ ევროპის გეოგრაფიას და ეთნოგრაფიას; ეს ცნობები შემდეგ სრულიად დაივიწყეს ბერძნებმა, თუმცა-და ახლანდელს დროშიაც მართლდება ბევრში.

თითქმის ყოველსავე აღმოჩენას ახალ ქვეყნებისას, გზის მაჩვენებელივით წინ უსწრობს ზეპირ თქმულობა. ამასვე ვხედავთ ამ შემთხვევაშიაც: ჰელლესპონტის სახელთან დაკავშირებულია ზეპირი თქმულობა ფრიქსისა და ჰელლას მოგზაურობისა უცხო ქვეყნებში განძთა მოსახვეჭად. ამიტომაც, არგონავტების გალაშქრების საგნად ყოველთვის გვისახვენ კოლხიდელთა ოქროს მატყლოვან ვერძს.)

ყველა პოეტები, რომელნიც სწერდენ არგონავტიკას, თანახმანი არიან, რომ კოლხიდაში მოგზაურობა ნამდვილია. ეს ზეპირ გადმოცემა დამყარებულია ჰომიროსის წინა დროინდელ ისტორიულ ფაქტზე. [1]

---

1) სტრაბონის აზრით, არგონავტების გალაშქრება უცილობელი, ისტორიული ჭეშმარიტებაა, რომელსაც ეთანხმება ფრიქსის ადრინდელი ზღვით მოგზაურობა და ის გარემოება, რომ მთელი მხარე ფაზისის დაყოლება მდიდარია ოქროს, ვერცხლის და რკინის მადნებით. სტრაბონი მოგვითხრობს, რომ სინოპი დაფუძნებულია იაზონის ერთის თანამგზავრის—ავტოლიკოსაგან, და დასძენს: „სინოპიდამ, პროპონტიდის და ჰელლესპონტის ნაპირების დაყოლება, ლემნოსამდე მრავალი კვალია იაზონის და ფრიქსის გალაშქრებისაო, მეტადრე კვალი იაზონისა და მის მიმდევარ კოლხიდელთა მოიპოვება კრიტოსამდე იტალიასა და ადრიატიკის ზღვამდე.

ეს არის ის პირველი და დიდი ზღვით მოგზაურობა ელლინთა, რომლის ამბავმაც მოაწია შთამომავლობამდე. ამ მოგზაურობას მესამე ადგილი უჭირავს შემდეგ ფინიკიელთა მოგზაურობისა რიგში. და აფ-რიკის გარეშემო, ნეხაოს დროს. სამაგიეროდ, ამბავი არგონავტე-ბის გამობრუნებისა იცვლება დროის-და-გვარად და წარმოადგენს მხო-ლოდ პოეტურს დამატებას, რომელსაც საგნად აქვს უფრო სასალისო გასაღოს მოთხრობის დედა აზრი.—

კოლხიდელებს ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვთ, როგორც შუა-მავლებს აღმოსავლეთის და დასავლეთის ერთა უძველესად მისვლა-მო-სვლაში. ამ ბოლოხანდელ დროშიც, 1854 წელს, ინგლისელნი და ფრანგები ედავებოდენ რუსებს იმ ქვეყანას, სადაც ძველად კოლხიდე-ლები ცხოვრობდენ. მათ სურდათ ხელ-ახლავ აღედგინათ თავისუფა-ლი სავაჭრო გზა შავი ზღვიდამ აზიის შუაგულამდე. ამავე აზრით უძველესის დროდამ, არგონავტებიდამ დაწყებული, ბერძნებსაც კოლ-ხიდისაკენ ჰქონდათ მიქცეული ყურადღება და ეძებდენ იქ ოქროსს მატყლოვან ვერძს. მხოლოდ ბერძნების პოეტურს და მითიურ ზეპირ გადმოცემას, ოქროს მატყლოვან ვერძის შესახებ, საფუძვლად უდევს ნამდვილის ფაქტის ხსოვნა: საბერძნეთს და მდიდარ აღმოსავლეთ შო-რის სავაჭროდ მისვლა-მოსვლა პირ-და-პირის და უმოკლესის გზით.— ბერძნები კოლხიდელებს, როგორც ბევრს სხვა ერსაც, უწოდებდენ ჩრდილოეთის ბარბაროსებად, თუმცა იგინი სრულიადაც ველურები არა ყოფილან, არამედ, როგორც ყველაფრიდამ სჩანს, კოლხიდელები ძვე-ლის ძველად განათლებული ერი იყო. ბერძნები, მეტადრე მილეტე-ლები, არგონავტების გალაშქრების დროდამვე ცდილობდენ, დამკვიდ-რებულ იყვნენ კოლხიდელების მიწა-წყალზე, ფაზისის ნაპირებზე.

აპოლლონ როდოსელის აღწერილობა არგონავტების გალაშქრე-ბის ამბისა და სხოლიასტების განმარტება ამ ამბისა გვარწმუნებს, რომ კარტოგრაფიულის ხელოვნების გამოგონების პატივ-დიდება სრუ-ლიადაც არ ეკუთვნის **მცირე** აზიის ბერძნებს. იგი, ბევრად უფრო ადრე, ხმარებაში ყოფილა კოლხიდელთა მოგზაურ ვაჭართა შორის. ამ გარემოებას, რაღა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს კოლხიდის ისტორიისათვის, რომელშიაც ჯერაც კიდევ ბევრი რამ გაუგებარი და

საარაკო არის დარჩენილი. აპოლლონ როდოსელის (*Argonaut.* IV, 280 და შემდეგი) და მისის სხოლიასტის სიტყვით, კოლხიდელებს ჯერ კიდევ ძველადგანვე ჰქონდათ წინაპართაგან დასწავლილი ზღვისა და ხმელეთის გზების ფირფიტებზე გამოხატვა თავიანთ სამგზავროდ. ეს ფირფიტები ჯერ ქვისა იყო და შემდეგ ხისა. მათ ეწოდებოდა კ უ რ ბ ე ი ს-ი,—იგივე სახელი, რომელიც ერატოსთენმა უწოდა ათინელთა კანონების ძველ ფიცრებს. უეჭველია, რომ ეს ფირფიტები ნახსასია ლანდქარტებისა და ადვილად საფიქრებელია, რომ ჰეროდოტეს თვალწინ ჰქონდა ამისთანა ფირფიტები, როცა ჩამოსთვალა (IV, 21—25) ჩრდილოეთის ერთა სავაჭრო გზები ბორისთენისა და პონტის მიდამოებში.

ეგვიპტელებს კოლხიდა თავის ახალშენად (კოლონიად) მიაჩნდათ და მათის აზრით თვით კოლხიდელები ის სახელ განთქმული ერი იყო, რომელიც დარჩა ფაზის ნაპირებზე სეზოსტრიდების დროიდამ. თვით ჰეროდოტეს მოჰყავს რამდენიმე, თუმცა ძლიერ სუსტი, საბუთი ამ აზრის დასამტკიცებლად.

კოლხიდელები, ჩვენის აზრით, უკიდურესი კოლონიაა, ჰეროდოტეზე ბევრად ადრე გამოსული ზემო ინდოეთიდამ ანუ ბაქტრიიდამ ძველთა ს ე რ თ ა ქვეყნიდამ და გავრცელებული ოქსუსის (ჯიჰუნი *) სათავიდამ კასპის ზღვისა, რახსისა და მტკვრისაკენ, ფაზისა და შავს ზღვამდე. კოლხიდელები იმავე გზით მიემართებოდენ პონტისაკენ, რა გზითაც რომაელთა დროს მიემართებოდენ ზერნი (აბრეშუმის მოვაჭრენი) პართელთა შუა-ქვეყნიდამ და რა გზითაც შემდეგ ასტარხანში მიდიოდენ ბუხარის ვაჭრები და აწ კი დადიან ინდოელი ბანიანები [1]) სამარყანდით და ზემოს და ქვემოს ბაქტრიით... თვით ჰეროდოტე ა ნ დ ი კ ა დ უწოდებს იმ ქვეყანას, რომელიც მდებარეობს კასპის ზღვის დასავლეთით პონტის ზღვისკენ. ეს არის კავკასიის ყელი; აწინდელი საქართველო ძველად სახელ-განთქმულ მხარეებითურთ—ალვანიით, ივერიით და კოლხიდით, რომელნიც მდებარეობენ კავკასიის სამხრეთად. აქ იყო უმთავრესი სავაჭრო მოედნები, სადაც მოდიოდენ

*) ანუ ამუ-დარია

[1]) ინდოელ ვაჭართა კასტა.

სკვითის ტომები. კოლხიდელების მიწა-წყალს ერთის მხრით საზღვრავდა ტანაისი. სკვითებს დიდ-ძალი ვაჭრობა ჰქონდათ მათთან. სკვითები მოდიოდენ კოლხიდაში თავიანთ ბორბლებიან ურმებით მეოტიის ზღვის ყინულებზე. აქ შეჰკრიბა ჰეროდოტემ ყველა თავისი ცნობანი შუაგულისა და ზემო აზიის შესახებ და სხვაგან არსად არ შეეძლო ამ ცნობების შეკრება.

## XXIII. კოლხიდელების ვინაობის შესახებ

*(Vivien de S-t Martin—Mémoire historique sur la géographie ancienne du Caucase depuis les Argonautes)*

ჰეროდოტეს აზრით, კოლხიდელები იყვნენ ეგვიპტელების შთამომავლობისანი. ამისთანა აზრს ჰეროდოტე ამყარებს ფიზიკურ მსგავსებაზე, რომელიც შეუმჩნევია მას კოლხიდელებსა და ეგვიპტელებს შორის, თუმცა ჩვეულებრივის გონიერებით ჰეროდოტე იმასაც დასძენს, რომ ამისთანა მსგავსება უეჭველ საბუთს ერთ შთამომავლობისას ვერ წარმოადგენსო, რადგან იგივე მსგავსება—შავი კანი და ხუჭუჭი თმა იმისთანა ერთა შორისაც კი შეუმჩნევიათ, რომელნიც არც კოლხიდელების და არც ეგვიპტელების მოდგმისანი არ არიან. ამას გარდა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჰეროდოტესაგან აღნიშნულ მსგავსებას დიდი ფარგალი არა ჰქონია. იმ ტიპის ხალხი, როგორისასაც ჰეროდოტე გვიხატავს კოლხიდელებს, არ შეადგენდა არც ეგვიპტელებისა და არც კოლხიდელების უმრავლესობას; კოლხიდის მკვიდრთა უმრავლესობა არსებითად არ გინირჩეოდა კავკასიის სხვა ერთაგან. ამას გვიმტკიცებს ერთის მხრით ქართული მატიანე და მთელი ისტორია და მეორეს მხრით—აწინდელი მოგზაურებიც. თვით ჰიპოკრატე, რომელიც სწერდა მხოლოდ სამოციოდე წლის შემდეგ ჰეროდოტეს მერმე, სრულებით სხვაფერ გვიხატავს კოლხიდელების ტიპს.

ჰეროდოტეს აზრს კოლხიდელების შთამომავლობაზე მტკიცე საფუძველი ექნებოდა, დამტკიცებული რომ იყოს კოლხიდელების და ეგვიპტელების ენების მსგავსება. მაგრამ ჰეროდოტის ცნობა ამ საგნის

შესახებ ძლიერ მარტივია. იგი არას მოგვითხრობს იმის თაობაზე, თუ რა ავტორიტეტების ძალით ან რომელ დაკვირვების საფუძვლით დაასკვნა აზრი სხენებულ ენათა მსგავსებისა. ამასთან ისიც მივიღოთ მხედველობაში, რომ ძველი მწერლები სრულებით არ იყვნენ დახელოვნებულნი უცხო ენათა მსგავსების გამოკვლევაში. ჩვენს დროშიც, როცა ფილოლოგიის მეცნიერება შეუდარებლად უფრო გავრცელებულია, ვიდრე ბერძნების და რომაელების დროს იყო, განა ყველა მოგზაურს შეუძლიან ერთბაშად გამოიკვლიოს რომლისამე ორის აზიურის ენის მსგავსება? თუ კი ოდესმე ეგვიპტური ენა მართლა ისმოდა კოლხიდაში, ჩვენს დრომდე მაინც არა ვითარი მისი კვალი არ დარჩენილა.

ყოველ შემთხვევაში ეგვიპტელების კოლონია რომ კიდეც ყოფილიყოს კოლხიდაში, ჩვენ არა გვჯერა, რომ ეს კოლონია დასახლებულიყოს ამ ქვეყანაში სეზოსტრისის დროს, ესე იგი, ათასის წლის წინად მაინც ჰეროდოტემდე. მართლაც შეუძლებელია, რომ ამისთანა კოლონია ამდენ საუკუნეთა განმავლობაში უცვლელად დარჩენილ იყოს იმ ხალხთა შორის, რომელნიც მიუცილებლად მისი მტერნი უნდა ყოფილიყვნენ. ჩვენ უფრო გვგონია, რომ ეს კოლონია შედეგი იყო დასავლეთ აზიის რომლისამე მეფის გალაშქრებისა ეგვიპტეს წინააღმდეგ. ამისთანა ხალხთა გადასახლებ-გადმოსახლება შეადგენდა ძველთა მტარვალთა პოლიტიკას. მაგალითად 672 წ. ქრ. წინ ასურეთის ხელმწიფემ ასსარ ჰადდონმა გადაასახლა მიდიაში ებრაელების ათი მუხლი სამარეთის სამეფოდამ. სამოც-და-ათის წლის შემდეგ ნაბუქოდონოსორმა გადმოასახლა ბაბილონში მრავალი ტყვე ფინიკიელებისა, ებრაელებისა, სირიელებისა და ეგვიპტელებისა. მეოთხე საუკუნის დასასრულს კამბიზმა ექვსი ათასი ეგვიპტელი თავიანთ მეფე ამურტეთურთ გადაასახლა სუზის პროვინციაში. ისიც ვიცით, რომ ნაბუქოდონოსორმა თავის ებრაელ ტყვეთა რამდენიმე ნაწილი გაგზავნა ხასპირების ქვეყანაში, კოლხიდის საზღვრად. ამიტომ შესაძლებელია ვიგულისხმოთ და ძლიერ სარწმუნოც არის, რომ სხვა ტომის ტყვენი ოდესმე კიდევ იყვნენ დასახლებულნი კავკასიის სხვა კუთხეებში.

საზოგადოდ რომ ვსთქვათ, დასავლეთ კავკასიის უძველეს ტომთ ორი ათასი წელიწადია და მეტიც არც მოსახლობა გამოუცვ-

ლიათ და არც სახელი: სადაც ეხლა ცხოვრობენ აფხაზები, უძველეს დროიდამ ცხოვრობდნენ ახაიები [იგივე აფხაზები] და აწინდელ ჩერქე-ზების ადგილზე ცნობილნი იყვნენ კერკეტები [იგივე ჩერქეზები]; ორ-ფეის პოემაში კოლხიდა წოდებულია ქუთეის-ის ქვეყნად.

კავკასიის ისტორიაში კოლხიდელები ძლიერ სახელგანთქმულნი იყვნენ. მეცნიერებს კი ძლიერ გაუჭირდათ ამ სახელწოდების წარმო-ების ახსნა, თუმცა, ჩვენის აზრით, ცხადია მისი წარმოება, თუ ვისელ-მძღვანელებთ ადგილობრივ ენითა. სიტყვაში „კოლხი", რომელსაც ბერ-ძნები უწოდებდნენ ფაზის ნაპირების მცხოვრებთა,. ისმის ქართული სიტყვა „ხალხი", რომელსაც იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც მნიშვნე-ლობა აქვს სპარსულ და არაბულ „ხ ა ლ ხ ი"-ს, ებრაულ ქ ა ჴ ა ლ-ს (კრება, დიდი ყრილობა), ბერძნულ ო ხ ლ ო -ს, ნემეცურ volk-ს და ლათინურ vulgus-ს. მართლაც, როგორც ამ ხალხის, ისე სხვა ერ-თა და ტომთა უფროს ერთის სახელ-წოდება ნიშნავს ხალხს ანუ კაცს.

---

## XXIV. ბერძენთა ახალშენები, შავი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირად და განსაკუთრებით კოლხიდაში

*(Dubois de Montpéreux—Voyage autour du Caucase, t I)*

თუ დავუჯერებთ ბერძნების ისტორიკოსებს, ბერძნებმა დააარსეს უძველეს დროიდამ შავი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირად ორი საახალშენო (საკოლონიო) ამხანაგობა აქეელებისა და ჰენიოქელებისა; დააარსეს სწორედ იმ ხანში, როცა აქედ-იქით გასვლის წყურვილი არ აძლევ-და ბერძნებს მოსვენებას და ამიტომ ადვილად მიემგზავრებოდნენ შორე-ულ ქვეყნებისაკენ: ტროადის, კარიის და კოლხიდისაკენ.

ის კი ბეჯითად ვიცით, რომ როდესაც მილეზიელნი ბრძანე-ბლობდნენ შავ ზღვაზე, ისინი ამ ზღვის ნაპირად ბლომად აფუძნებ-დნენ ახალშენებს და არ სტოვებდნენ უყურადღებოდ არც ერთ კუთხეს, რომელიც კი გამოსადეგი იყო მათის მრეწველობისა და აღებ-მიცემი-სათვის. ყოველ დიდ მდინარეს ბოლოში, ყოველ მოხერხებულ ზღვის

ყურეში, ყოველ სავაჭრო ადგილზე დიდ ქალაქს აიშენებდეს. როცა ამის-თანა ქალაქი გამდიდრდებოდა, მაშინ ის ქალაქი თავის გარშემო პატარა ქალაქებს დააარსებდა და თვითოეული მათგანი დიდად სარგებლობდა, როგორც მიწის ნაწარმოებით, ისე მცხოვრებლების ნიჭიერებით.

ამისთანა ქალაქები იყო: ფანაგორია, რომლის მდებარეობა მდ. ყუბანის ბოლოში ძლიერ მოხერხებული იყო; აქ მოდიოდენ სავაჭროდ აზიელი ბოსფორელნი, მეოტელნი და ყველა თესლნი კავკასიისა. გე-ლენჯიკის და სუჯუკ-კალეს *) ზღვის-ყურეებში იყო ქალაქები ტორი-კოსი და ბატა.—მშვენიერის აფხაზეთის შუა-გულში იყო დიოსკურია **), რომელიც ახლოდ მცხოვრებ მთიულებს ტყავებზე და სხვა ნაწარმოებ-ზე უცვლიდა ბანტიკაპეიდამ ***) მოტანილ მარილს. დიოსკურიამ კავკასიის მთების იქითაც გაუხსნა გზა ვაჭრობას.—

დიოსკურია იყო დედა-ქალაქი რესპუბლიკისა, რომელიც იწყე-ბოდა კოდორის მდინარიდამ და მიდიოდა ენგურის გაღმა მხარეზე. რომ ამ აყვავებულ რესპუბლიკის ძლიერება და გავლენა თანდათან მატულობდა, ამის მოწმობა თვით ქართველების მატიანეში მოიპოვე-ბა. პირველმა მეფემ ქართველებისამ ფარნავაზმა [302—237 ქრ. წინ.] განაძევა საქართველოდამ ალექსანდრე დიდის სარდალი აზონი, მაგრამ ეგრისსა და კოდორს შუა მდებარე ქვეყანა ვერ დაიმორჩილა და ეს ქვეყანა დარჩათ ბერძნებს, რომელთა ახალშენები მდინარეების ბოლოში იყო; ხოლო ბერძნებს არ ჰსურდათ ქართველებთან მისვლა-მოსვლა სრულებით მოესპოთ და ზავიც შეჰკრეს მათთან.

დიოსკურიის შემდეგ უმთავრესი ახალშენები ბერძნებისა იყო: გესოსი ანუ აწინდელი ტგუანასი, რომელიც მდებარეობს მარკულას მდინარის ნაპირად, ილორი, ბედია, ჰერაკლე ანუ აწინდელი ანაკლია. ამ ახალშენებს ძალიან ეშინოდათ გარშემო მთებზე მოსახლე ხალხე-ბისა, რომელთა შორის ყველაზე უფრო მამაცნი იყვნენ ხვანები და კორაქსელები ანუ ეხლანდელი წებელდელები. ესენი თავის მაღლობები-

---

*) აწინდელი ნოვოროსიისკი.

**) აწინდელ სოხუმის მახლობლად.

***) აწინდელი კერჩი.

დამ, საიდგანაც ჩამოდის კოდორი ან პტოლომეის კორაქსი, მეტად აშინებდენ დიოსკურიას.—სწორედ ეს იქნებოდა მიზეზი, რომ ბერძნებმა ააშენეს თავის ადგილების დასაცველად უშველებელი ზღუდე, რომელიც დღესაც აკვირვებს მნახველს. ეს ზღუდე იწყებოდა ზღვის პირად, ხოხუმის მახლობლად, აწინდელ კელასურში.—აქედამ მიემართებოდა შიგ შუაგულ აფხაზეთში, კოდორის სათავისაკენ, მჭიდროდ ზღუდავდა მარგულას და გალაზგის მთელ ზემო ვაკეებს, გასცილდებოდა ბედიას და მიებჯინებოდა ენგურს, ატანგელას ზემოდ. როგორც ამბობენ, სიგძე ამ ზღუდისა 160 ვერსი იყო. შიგა და შიგა იმას დატანებული ჰქონია კოშკები. როდის არის ეს ზღუდე აშენებული, ბეჯითად არ ვიცით, მაგრამ უეჭველია, რომ აგებული იყო სტრაბონზე წინად. სტრაბონის დროს (29 წ. ქრისტეს წინად) დიოსკურია ჯერ კიდევ ჰყვაოდა და დიდი ალებ-მიცემა ჰქონდა. უმთავრესი საგანი ალებ-მიცემისა მარილი იყო. ხოლო თავისუფლება კი უკვე დაკარგული ჰქონდა, როგორც დიოსკურიას, ისე უმეტეს ნაწილსაც ამ ქვეყნისას. ეს უძველესი ახალშენები ბერძნებისა დაიპყრო მიტრიდატმა და მიტრიდატის სიკვდილის შემდეგ დაიმორჩილეს რომაელებმა. რომაელებმა თავისი მეციხოვნენი დააყენეს ყველა ქალაქებში, რომელნიც შავი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირად მდებარეობდენ. დიოსკურიის კეთილდღეობა ძლიერ დაეცა, რაკი თავისუფლება დაეკარგა. პლინის დროს (74 წ. ქრ. წინ.) ეს ქალაქი, სადაც ცოტა წინად რომაელებს ას-ოც-და ათი თარჯიმანი ჰყავდათ თავის სავაჭრო საქმეებისათვის, წარმოადგენდა მხოლოდ უბრალო ციხეს, რომელიც სებასტოპოლის სახელით აგებული იყო მდ. ათენუნტას ანუ აწინდელ ისკურიას ნაპირას. დღეს კი არა-ფერი აღ გვაგონებს დიოსკურიას, ისე რომ მოგზაურები ვერც კი პოულობენ იმ ადგილს, სადაც ის არსებობდა. ამ სახელ-განთქმულის ქალაქის ნანგრევები დღეს იმ პატარა მდინარის ნაპირზეა, რომელსაც იქაური მცხოვრებლები უწოდებენ ხან ისკურიას, ხან ცხუმსამელას და ხან მარმარას. ამ დიდ-მნიშვნელობიან ნანგრევებს ჰფარავს მშვენიერი ტყე, რომელშიაც აქა-იქ დაფანტულია აფხაზების სოფლები. ეს შეუვალი ტყე და ეს მდინარის უდაბნო ნაპირები კაცმა რომ ნახოს, განა შეიძლება იფიქროს, რომ

ეს ის ადგილია, სადაც ისტორია დაწყებულა; რომ ეს უძველეს ზღაპრების და მითების ქვეყანაა; რომ ეს ის ადგილია, საიდგანაც განათლება გავრცელებულა და სადაც დიდებული ქალაქები ყოფილა... რა მდგომარეობაში და ნავარდნილა ახლა ის ერი, რომელიც ოდესმე სტკბებოდა ამ სამოთხის-მსგავსის ქვეყნის ნეტარებით? დღეს თითქოს მიტოვებულიაო ადამიანისაგან ეს მშვენიერი ქვეყანა. ვინ იცის, იქნება განგებაც ისე ასვენებდეს სამეფოებსა, როგორც კაცი საყანეებსა! —

აფხაზეთშივე იყო აშენებული ქალაქი პიწუნდა ანუ ქართულად ბიჭვინტა, სადაც იუსტინიანე იმპერატორმა ააგებინა (550 წ. ქრ. აქეთ) დიდებული ტაძარი, რომელსაც დიდ თაყვანსა სცემდენ ქართველები. ამ ქალაქმა დიდი მნიშვნელობა მოიპოვა შემდეგ, მეთერთმეტე საუკუნის განმავლობაში, როცა აქ იჯდა აფხაზეთის კათალიკოზი, როცა აფხაზეთი აყვავებული იყო და ამ სახელით იწოდებოდა მთელი დასავლეთის საქართველო.—

შავი ზღვის ნაპირად, ფაზისის *) მდინარის ბოლოს, იყო ფაზის ქალაქი. **) ეს ქალაქი იყო კოლხიდელების სავაჭრო ადგილი, საიდამაც გაჰქონდათ: სელი, კანაფი, ცვილი, კუპრი, ტილო, საშენებელი ხე-ტყე და თაფლი.

ყველა ეს ახალშენები ახლად დაარსეს მილეზიელებმა, თუ მხოლოდ განაახლეს?

შავი ზღვა გვიმალავს ძველ დროთა წყვდიადში იმისთანა საიდუმლოებსა, რომელთა ახსნა ჩვენთვის ძნელია. თითქმის ყველა იქაური მითები, რომელიც მოგვითხრობს ამ ახალშენების დაფუძნებას, ეკუთვნის ბევრად უფრო ძველს დროს, ვიდრე მილეზიელები გამოჩნდებოდენ და თუმცა თვით ამ მითიურ ალეგორიების ქვეშ დაფარულია, ცოტად თუ ბევრად ცნობილი, ისტორიული ფაქტები, მაგრამ თითქმის შეუძლებელია გამოვარკვიოთ, რა არის მათში ზღაპარი და რა არის მართალი.—

*) აწინდელი რიონი.

**) აწინდელი ფოთი.

აპიენის აზრით, ჰენიოქელები, თვისი კოლხიდელების თქმულებით-ვე, ნაშთიაო არგონავტებისა, რომელთაც იქ გზათ გაუყვლიათო კას-ტორის და პოლუქსის წინამძღოლობით. აქეელები კი, აპიენისავე აზ-რით, ის ბერძნები არიან, რომელნიც ტროადიდამ მოდიოდენ და ზღვამ ისეთ ნაპირზე მიაგდო, სადაც იქაური ბარბაროსები სასტიკად მოე-პყრესო; თუმცა რამდენიმე მათგანი სამშობლოში გაგზავნეს დახმა-რების სათხოვნელად, მაგრამ სამშობლოდამ უარი შემოუთვალეს შემ-წეობისაო. ამ უარმა ისე გაარისხაო ეს აქეელები, რომ სკვითე-ბის ჩვეულება მიიღესო და ჰხოცდენ ყველა უცხოელს, ვინც კი მოადგებოდა მათ სანაპიროსაო: ჯერ ყველა ტყვეს განურჩევლად სწი-რავდესო მსხვერპლად; შემდეგ არჩევდესო უფრო ლამაზს და ბოლოს წილის ყრა სწყვეტდაო, თუ ვინ უნდა გამხდარიყო მსხვერპლი.

რა არის მართალი ამ მითში? დიდი ხანია, ევროპა, რომელიც განათ-ლებას ითვისებდა საბერძნეთისაგან, შეეჩვია ყველა იმ ცდომილ აზ-რებს, რაც ბერძნების თავ-მოყვარეობამ დაჰბადა; ბერძნების აზრით, საბერ-ძნეთი კერა იყო შემოქმედობისა და ამასთან მედიდურად ამტკიცებდენ, რომ მთელი ნათელი, მთელი მეცნიერება, მთელი განათლება და ყოველი რჯული საბერძნეთშია დაბადებულიო. აწინდელი ჰელენისტებიც მუდამ ამ აზრის დამტკიცებას სცდილობენ.

მაგრამ თვით ბერძნების მითები ხშირად არღვევენ ამისთანა ტყუილ-მედიდურ აზრებსა. ვინც კი წაიკითხავს ჰომიროსს, ვინც კი შეისწავლის თქმულებას არგონავტებისა, ფრიქსისა და ჰელასას და წაიკითხავს ევროპის მოტაცების ამბავს ჰეროდოტეს წიგნში და სხვ., ის ხშირად სულ წინააღმდეგ აზრს დაადგება და დარწმუნდება, რომ ბერძნებმა, ბევრად თუ ცოტად, მიიღეს განათლება იმ ერებისა-გან, რომლებსაც ისინი ბარბაროსებს უწოდებდენ. თვით მეფე, რომელ-მაც არგონავტები, ტირიელები, ტროადელები და სხვ. მიიღო, და თვით მისი ერიც განათლებით ბევრად უფრო მაღლა იდგა იმ ავანტიურისტებზე და იმ ჯარებზე, რომელნიც ესტუმრენ მას იმისავე გასაძარცველად და სტუმარ-მასპინძლობის წესის დასარღვევლად.

თითქმის ყველა უძველეს პოეტებს და ისტორიკოსებს თავიანთ გმირების ჩინებულ საქმეების ასპარეზად შავი ზღვა ამოურჩევიათ. მა-

დის მოთხრობით, ეს გმირები მიიზიდებიან აღმოსავლეთისაკენ, რომელიც გამოსახულია განათლების და სიმდიდრის წყაროდ.—როცა „ოდისეა“-ში ვკითხულობთ ულისის ამბავს, ჩვენ ადვილად ვცნობთ კოლხიდას და მისს აღწერილობას. მართლა და ვინ არ მიხვდება, რომ აქ კოლხიდაზეა ლაპარაკი, როცა იხსენება იგი ფართო მდინარე, რომელშიაც შესულა ულისის ხომალდები, ის ვეება ტყე, რომელიც მოდებულია ზღვის ნაპირზე, ის ირმები, რომელიც აქ ბლომად შეხიზნულა, ის დიდი სასახლე, რომელიც ტყით დაბურულია? ადვილად გამოსაცნობია ამ აღწერილობით აწინდელი ნაქალაქევი. ღვინო და ახალი თაფლი აქ დღესაც ისევ ჩინებულია და ქალები დღესაც ისევ ისე ხელსაქმობენ ქარგაზეო, როგორც ჰომიროსის დროს.—

რიტტერი უფრო შორს მიდის თავის თხზულებაში და ამტკიცებს,—რამდენადაც ეს შესაძლოა იმ უძველესის საბუთებით, რომელსაც გვაძლევს უძველესი გეოგრაფია, არქეოლოგია, მითოლოგია, არქიტექტურა და რელიგიური სისტემები,—რომ სანამდე საბერძნეთის ისტორია დაიწყებოდა, შუაგულ აზიიდამ ბუდჰას რჯულის ქურუმნი წამოვიდნენო და დასახლდნენ ფაზის ნაპირზე, შავის ზღვის გარემო, თრაკიაში, ისტერზე, დასავლეთ ევროპის მრავალ კუთხეებში და თვით საბერძნეთშიაცაო; რომ ამ ახალშენებმა შესამჩნევი რელიგიური გავლენა იქონიეს ამ ქვეყნებზეო, და ეს ამბავი მტკიცდებაო არამცთუ აზიელების თქმულებით, არამედ თვით საბერძნეთის და მცირე აზიის ისტორიკოსების უძველესის ნაწერებით და განსაკუთრებით იმ სურათითო, რომელსაც გვაძლევს ჰეროდოტე სკვითების შესახებ თავის მეოთხე წიგნშიო.

მე არ მინდა ამ ჟამად შევუდგე იმის გარჩევას, თუ რამდენად მართალია ეს ჰიპოტეზა. ამისათვის საჭიროა ჩემის თვალითვე ვნახო და დავიარო ის ქვეყანა, რომელიც ჩერქეზეთზე *) უფრო ცნობილია; ის ქვეყანა, რომელიც წარმოადგენს უფრო მდიდარ წყაროს საბუთებისას; ჩემის თვალით ვნახო ის მშვენიერი ერი, რომელსაც ისტორიის

*) ეს ადგილი ამოღებულია დიუბუას თხზულების იმ ნაწილიდამ, რომელიც შეიცავს ჩერქეზეთის აღწერილობას.

დასაბამიდამ პირ-და-პირი დამოკიდებულება ჰქონია ყველა დანარჩენ ერებთან და, თუმცა არ მიუტოვებია ცანგების მიერ მისთვის ერთხელ მიჩენილი მიწა-წყალი, მაგრამ, რაც კი სადმე აზიასა და ევროპაში ცვლილება მომხდარა, ყველა გამოუვლია და შეუთვისებია კიდეც... მე ამას ვამბობ დიდებულ ქართვლის ერის თაობაზე, რომელსაც უძველესის დროდამ უჭირავს კავკასიის ყელი და შავისა და კასპის ზღვის ნაპირები. ეს ერი, როგორც გრძელ-ტოტებიანი დიდის ხნის ხეზე გასული ვაზი, ხშირად გაუტაცნია, შეურყევია და აუკლია ქარიშხალს, მაგრამ ნიადაგიდამ ამოგლეჯა მისი კი ვერ შესძლებია. ამ ქართვლის ერის თქმულებას შეუძლია ნათელი მოჰფინოს აზიის ისტორიას.—

# მეფობის დაარსებიდამ ქრისტეს სარწმუნოების მიღებამდე

## XXV. წინაპირველი მმართველობა და ყოფა-ცხოვრება საქართველოში

(თეიმურაზ ბატონიშვილი—ისტორია საქართველოსი)

ოდეს განმრავლდეს შთამომავლობანი უმეტეს ქართლოსიანთანი, მაშინ საზოგადოობათა ერისათა გამოირჩივნეს და დაიდგინეს თავისა მათისა ყოველთა თვითოეულთა კერძოთა და ადგილთა საქართველოსა მცხოვრებთა მათ რაოდენთამე სახლთა თვისად მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ნ ი; იგინი იყვნეს უფროსნი ერისა საზოგადოობასა შორის. საზოგადოობა ერისა თვით განაგებდა ყოველთა საჭიროებათა ქვეყნისა მათისა მართებლობისასა, არა უვიდოდათ მათ მეფე, არცა მთავარი, მხოლოდ მამასახლისნი; მათ ხადოდენ მამად სახლთა თვისთა, პატივსა უყოფდენ და ჯეროვანად ისმენდენ მათსა; არამედ ყოვლისა ამას შინა ქვეყანასა ივერიისასა იყო უპირველესი სხვათა მამასახლისთა ზედა მამასახლისი მცხეთისა, ვინაიდგან მცხეთა იყო უპირველესი ქალაქი ქვეყანისა მის და ჟამითი ჟამად შეკრბებოდეს მცხეთელ მამასახლისსა თანა ყოველნი მამასახლისნი ყოვლისა მის ქვეყანისა და მათთანავე რაოდენნიმე კაცნი, რომელნიცა თანა მიჰყვებოდეს, ვითარცა დეპუტატნი ერისაგან თვისისა თვითოეულთა მამასახლისთა თვისთა და ესრედ საზოგადოდ განიზრახვიდეს სარგებლობისათვის ქვეყანისა თვისისა;

ხოლო მასლობელთაგან ადგილთა, სადაცა იქმნებოდაყე შეკრებილება, ვისაცა ენება მცხოვრებთაგანსა, ყოვლითა თავისუფლებითა მივიდოდა დაუბრკოლებელად და განზრახვასსა თვისსა იტყოდა კადნიერად შესაყრებელსა მას შინა საზოგადოობისასა.

ვერა ძალ-ედვათ მამასახლისთა თავით თვისით გარდასხდევინებაჲ დამნაშავეთა ღირსთა დასჯისათა, ვიდრემდის არა წარიდგინებოდნენ იგინი საზოგადოსა ერისა შეკრებილებასა შინა. დამნაშავენი წარიდგინებოდნენ მუნ ყოვლნივე, განიკითხებოდნენ ერისაგან და, ვინცა მათგანი აღმოჩნდებოდა ღირსად დასჯისა, მაშინ გარდაახდევინებდენ მათ.

ეგრეთვე ვერცა ძალ-ედვათ ესე მამასახლისთა, რათამცა საჭიროებისათვის ქვეყანისა დაუკითხველად საზოგადოობისა შეეკრიბათ თეთრი (ესე იგი ვერცხლი), ანუ სხვა რაიმე ნივთი სასმარად მხედრობათა, გინა სახმარებისათვის სხვისა რაისამე საზოგადოსა.

ჟამთა მტერთა გამოჩინებისასა, რომელსაცა მხარესა გამოჩნდებოდა მტერი, წარვიდოდა საზღვრისა მის კერძოსა მცხეთელ მამასახლისი, წარიყვანდა თანა საკუთარისა სამამასახლისოსაგან თვისისა კაცთა რჩეულთა, გულოვნებით სრულთა. რომელიცა მამასახლისი საზღვრისა მის იყო ახლოს, მივიდოდა მისთანა, შემოკრბებოდენ მუნ ყოვლნი მამასახლისნი და სამამასახლისოთა მათთა კაცნი ძლიერნი და მეცნიერნი ბრძოლისანი და ესრეთ განიმზადებოდეს ბრძოლად მტერთა.

ჰყოფდეს მამასახლისნი სამართალსა აღრჩევითა ბჭეებისათა, ესე იგი აღირჩევდეს საზოგადოობისაგან მოხუცებულთა, ჭკვიანთა, გამოცდილთა, ქრისტიანთა და პირ-უთნებელთა კაცთა. პირველად მამასახლისი აღირჩევდა ორსა ანუ სამსა ბჭესა, ხოლო მოჩივარნი თვისი თვისად ოროლსა; შეკრბებოდეს ესენი ერთად და ესრეთ გადასწყვეტდეს მოჩივართა მათ სამართალსა.

ხოლო უკეთუ იყო რაიმე საქმეჲ ანუ სახოველო საჩივარი ანუ ორთა თემთა ურთიერთისა მიმართ ცილობა, მაშინ მამასახლისნი მეზებურნი წარავლინებდეს და მოუწოდებდენ თავისთანა სხვათაცა მამასახლისთა და მამასახლისის მცხეთისასა და ესრეთ განსწმედდენ საქმეთა მათ ცილობისათა.—

მოიყვანდეს ცოლსა ერთსა და განუყოფდეს თანასწორად მეოა

თვისთა სასცხოვრებელთა, ხოლო უკეთუ მოკვდებოდა უწინარეს კაცი, მიიღებდა ცოლი მისი უფლებასა სახლისასა და შვილთა თვისთა განმ-გებობისასა, მაგრამ არა აქვნდა თავისუფლებაი მას განბნევად ნაქონე-ბისა ქრმისა თვისისა, ვინაიდგან ყოველივე ნაქონები მამისა იყო შვილ-თა.

ხოლო უკეთუ ცოლი შეირთავდა სხვასა ქმარსა, მხოლოდ რაი-ცა იყო განწესებული ქვრივთა სასცხოვრებელისაგან ქმრისა და შვილთა თვისთაგან, მიიღებდა მას და განვიდოდა; ხოლო მამანი ქალთა თვის-თა, ვისაცა ენება, მისცემდეს თანასწორსა წილსა ძეთა-თანა თვისთა; ხოლო სხვანი ნახევართა.

აქვნდათ ამათ მსახურება მრავალ-ღმრთობისა, თაყვანის სცემ-დეს კერპთა მრავალღმრთობითისა სახითა, ჰყვათ მათ საკუთარნიცა ღმერთნი თვისნი, რომელთა შორის იყო უპირველესი ღმერთი მათი ბოჩი, რომელსაცა პირველ არმაზისა თავვანის-ცემისა ამას თაყვანის სცემდეს და შემდგომადცა არმაზის თაყვანის-სცემელად მიღებისა უყოფდეს დიდსა პატივსა ბოჩის.—

ვახუშტი სწერს: „ოდეს ქართლოსიანნი იქმნეს კერპთ-მსახურნი, მიიღესო მათ ჩვეულებათ ესე და შესჭამდესო იგინი მკვდართა სხეულ-სა კაცთასა და ავასხებდაო მოყვასი მოყვასისა თვისისა მკვდარსა სხე-ულსა შესაჭმელად", მაგრამ არა ჭეშმარიტ არს სიტყვაი ესე, ვინაიდ-გან დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე აქამომდე არა ყოფილ არს ჩვეუ-ლება, არა თუ მხოლოდ ქართლოსიანთა ნათესაობის შორის, არა-მედ სრულიად აზიისა ერსა შორის, არა რომელიმე და არცა ერ-თაი ნათესაობა იქმოდა ამას, რომ კაცის ხორცისა მჭამელნი ყო-ფილ იყვნენ; უხვება საზრდელისა, ვინდა თვინიერ მუშაკობისაცა, რაოდენი კმა ეყოფის კაცსა ველთა და ტყეთა შინა და ყოველთა ად-გილთა ივერიისათა ესე ოდენი იპოვებიან, რომელ უმრავლესადცა მადლეულს კაცსა ცხოვრებად და გამოზრდად თავისა თვისისა, მფრინველთა სიმრავლე და ნადირთა ურიცხვი არს და ნამუშაკევნი ქვეყანისანი.— და პირველად კმაი მიზეზი ესე არს, რომელ საჭიროებაი არცა ერთისა თემისა ქართლოსიანთასა არ აითხოვდა, რათამცა სჭამეს მათ ხორცი კაცისა.

მეორე მიზეზი: არცა ერთი ნათესაობა ქვეყანასა ზედა ჰყოფდეს გლოვასა და სალმობასა მკვდართა ზედა, ვითარცა ნათესავნი ქართველთანი, რომელ შემდგომად სიკვდილისა მოყვასთა თვისთასა, თვინიერ ტირილისა და გოდებისა, ჰგვემდესცა მათრახითა შიშველთა ხორცთა თვისთა, ქალნი დასხდებოდეს ცხელთა ნაცართა ზედა, ნაკვერცხალითა აღრეულსა, შეამკობდეს კაცთა მომკვდართა სამამაცოთა სამკაულითა და საჭურველითა, და ქალთა საქალოსა სამკაულითა, შთაუწყობდეს პირთა შინა დრაჰკანთა ოქროსა და ვერცხლისასა და ესრეთ მისცემდეს პატიოსანსა დაფლვასა მიწასა შინა; მერე შემდგომად მგლოვიარენი მკვდართანი მოსწვნიდეს წნელითა მიერ ზართა, ვითარცა მცირეთა რათმე სადგურთა, მოაკვრიდნეს ზარსა მას ძაძითა და ესრეთ შთასხდებოდიან მათ შინა მრავალ ჟამ მგლოვიარენი, რომელნიმე წელიწადსა სრულსა, სხვანი ორსა და სამსა წელსა მას შინა იყოფოდიან და, უკეთუ წარვიდოდეს სამყოფით მათით სხვასა რომელსამე სოფელსა ანუ სადგურსა, ზარი მოკრული ძაძითა, ურემთა ზედა შემზადიან, შთასხდიან მათ შინა, და ესრეთ ადგილითი ადგილად მიმოვლიდიან.

ესოდენ განდიდებულ იყო ქართლოსიანთა შორის გლოვა მკვდართა ზედა, რომელ კნინღა სასოებასა წარუკვეთდა კაცთა და მრავალნი მგლოვიარეთაგანნი შევარდებოდეს მასვე ხვედრსა სიკვდილისასა მოუთმენელისაგან მწუხარებისა; ამისთვის, ოდეს მოიქცა საქართველო მართლ-მადიდებელსა სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა, სასულიერო კრებისაგან იქმნა განჩინება დაყენებად უსაზომოსა მის გლოვისა მიცვალებულთა ზედა და ძნიად მრავლისა მეცადინეობითა დააყენეს ესე, თუმცა მაინც ქრისტიანობასაცა შინა მრავალთა ჟამთა ჰყოფდეს ჩვეულებითა მით გლოვათა მკვიდრთა ზედა და აქამომდე თუმცა-ღა არა სრულად, მაგრამ ზოგნი მათ ჩვეულებათა მათგანნი დაშთომილ არსვე.

ესე ვითარნი მგლოვიარებათა მოქმედი, მოყვასთა ზედა ამა სახითა მწუხარე და მლმობელი და ყოვლისა გულითა შეწუხებული სიკვდილისათვის თვისსა ზედა, ვითარღა იკადრებს ხორცსა მათსა შეჭმად, ან მიცემად სხვისად შესაჭმელად და ანუ გუნება კაცისა, ვითარ თავს იდებს ამას ყოფად. ჩვენ ყოველთა გვიხილავს მკვდარნი კაცნიცა და პირუტყვნი. ყოველთაგან უსაძაგლეს არს ლეში კაცისა და არცა უბრძანებს ბუნება კაცსა თავსდებად ამას.

მრავალჯერ გამოცდილებითი უწყებულ არს შემთხვეულებაი ესე, რომელ ციხესა შინა შემწყუდეულთა და მტერთაგან გარე მოცულთა სიყმილსა შინა მძაფრსა მიეცესთ სიკვდილისათვის თავნი თვისნი და განწირულებას ამას შინა მყოფთა არა უჭამიესთ არა ოდეს, არცა ხორცი კაცისა და არცა ქვე-წარმავალთა არა წმინდათა.—

აქა საჭირო არს თუ რაისა მიზეზისათვის დასწერეს ესე გვარ-ნი უძველესთათვის ქართლოსიანთა თვის? პირველად ამისთვის, რომელ ვინაიდგან დაუტევეს პირველი კეთილ მსახურება და შეუდგეს კერპთა, მეორედ, ოდეს მოიქცა სრულიად ერი ქართლოსიანთა ქრისტეს სარ-წმუნოებასა ზედა, მრავალთა მათგანთა კვალად მოქცევისაცა შემდგო-მად ეგრეთცა ახსოვდათ კერპნი და მჩულად ალუჩნდებოდათ დავიწყება ჩვეულებათა, რომელიცა კერპთ-მსახურებისა ჟამსა აქვნდათ მათ; ამის-თვის ეკკლესიისა ჩვენისა მოძღვარნი უძაგებდეს მათ გარდავლილთა წინაპართა მათთა, და მაისა ეტყოდეს მრავალთა უწესოთა ქცევათა და არა წმინდათა და მკვდართა ჭამასა ხორცთა კაცთასა, რათა ამით დაა-ვიწყონ წინა-პართა თვისთა კერპთ-მსახურებისა საქმენი.—

ვახუშტი შემოიტანს ისტორიათა თვისთა შორის თქმულთა ამათ ზემო მოხსენებულთა ჭამასა მკვდართასა და ამასაცა: „რომელ კარხ-ნელთა მმართებელთო კოდმანელთა სუთი მკვდარი". მაშინდელისა ჟამი-თგან აქამომდე მცხეთელნი და გარემო სოფელთა მცხეთისათა მცხო-ვრებნიცა აწცა მოუთხრობენ თვის შორის ზეპირ ამასვე: „რომელ ერთი სოფელი მეორესა სოფელსა გაასხებდესო მომკვდართა კაცთა სხეულსა შესაჭმელად". მაგრამ გახსენებაი ესე მკვდრისა გულის-ხმა ჰყავთ ესრეთ, აქვნდათ ჩვეულება ქართლოსიანთა ჟამსა მამასახლის-თასა, ოდეს წარვიდოდეს ლაშქარსა, მრავალ გზის შესვდებოდათ ესე, რომელ მიზეზითა რომელსამე საქმისათა რა ვერა ძალ-ედვა ერთსა, რომელსამე სოფელსა წასვლა ლაშქარსა სთხოვდა მეზობლისა თვისი-სასა მეორისა სოფლისა კაცთა ნაცვლად თვისსა, რაოდენიცა კაცი ხვდებოდათ, წარსულ იყვნეს იგინი და ესე ვალად დაედებოდა მთხოვ-ნელთა მათ, რათა შემდგომსა ლაშქრობასა იგინი წარსულიყვნენ ნაც-ვლად პირველთა და გარდეხადათ ვალი თვისი და, რაოდენიცა კაცნი ბრძოლასა შინა დააკლდებოდათ მათ, ესე იგი პირის-პირ მტერთა მი-

ერ მოიკვლოდეს, ეგეოდენი რიცხვი მომკვდრისა დაედებოდათ მათ ვალად, რომელთაცა მაგიერად წარსულ იყვნეს იგინი ბრძოლად მტერთა და შემდგომად სხვასა შემდგომსა ლაშქრობასა, ოდეს გარდაუხდიდეს სამაგიეროდ, მოვალენი იგი წარვიდოდეს ნაცვლად პირველთა მათ აძა მეორისა სოფლისა კაცნი, ეგეოდენი რიცხვით, რაოდენიცა მართებდათ.—

ჯვალად ესეცა წერილ არს, ვითარმედ დაუკვლიდესო, რეცა მსხვერპლად კერპთა ქართლოსიანნი ძეთა და ასულთა თვისთა. ესეცა არა არს ჭეშმარიტ, ვინაიდგან უძველესნი ერნი ქართლოსიანთა, არა თუ ძეთა და ასულთა დაუკვლიდეს, არამედ პირველსა ჟამსა მხოლოდ შესაწირავი მათი იყო კერპთა მიმართ მფრინველთაგან წმინდათა, გარდა ქათმისა, ხილნი ფერად-ფერადნი ახალნი და ძველნი, თაფლნი ახალნი გადაუმდნარნი გოლეულთა, გამტკიცებულნი პურნი შოთად გამომცხვარნი ფრიად წმინდათაგან იფქლთა, რომელსაცა სახელის-დება მისვე არმაზ ღვთად საგონებელისა აქვნდა. შოთთა არს არმაზ ღმერთისა სახელი, ხოლო შ ო თ ი პურისა მისდამი შეწირულისა: რეცა, იგი არს სახე მკლავისა კაცისა, რომელსაცა მოცემისათვის მკლავისა ძლიერებისა და ხმლისა მკვეთელობისათვის შესწირვიდეს ღმერთთა.

შესწირვიდეს ღვინოსა ახალსაცა და ძველსა, აღუნთებდეს სანთელთა დიდ-დიდთა შთამოსხმულთა ცვილთაგან (ესე იგი წმინდა სანთლებს), უკმევდეს წმინდათა და ფრიად სურნელთა საკმეველთა და შეამკობდეს ფერად-ფერადითა ყვავილებითა. ძროხათა და საცხოვართა არა დაუკვლიდეს პირველ, არამედ შემდგომად. მეფემან სრულიად ივერთამან რევ პირველად განუწესნა შემდგომად მრავალთა საუკუნეთა, ვინაითგან კეთილი და მოწყალე კაცი იყო იგი და უყვარდა გლახაკნი, რათა შეწირულნი იგი ცხოვარნი და ზროხანი მიეცემოდეს გლახაკთა, რათა საკმაო იყოს განძღება მათი ამით. შვილთა არა თუ დასაკლავად, არამედ სამსახურებელად კერპთა მისცემდენ ქურუმთა და რომელთამე დროებით მიჰგვრიდეს მათ სასწავლებლად წიგნთა და სჯულისა და ხელოვნებისა მათისა; ასწავებდეს ყრმათა აზნაურებითსა ხელოვნებასა ქურუმნი; ხოლო სამხედროთა გამოცდილებათა და ზნეთა მასწავლებელნი მხედრობითისა საქმისანი.

# XXVI. საქართველოს ზნენი და ჩვეულებანი ძველიდგან სამეფოს განყოფამდე

(ვახუშტი ბატონიშვილი—გეოგრაფიული აღწერა საქართველოსი)

სარწმუნოება დ̃ ზნენი. ქართველები თაყვანს სცემდენ ერთს დამბადებელს ღმერთს დ̃ ჰფიცულობდენ ქართლოსის საფლავს. ზნით იყვნენ: პირმტკიცენი, მტერზედ ერთობა ჰქონდათ, თავის უფლებისათვის მხნედ იბრძოდენ დ̃ მაგრად იდგნენ. აშენებდენ ციხე-სიმაგრეებს და ქალაქებს, ამაგრებდენ ქვეყანას, მისდევდენ ერთ-ცოლობას და ირთვიდენ თავ-თავიანთ სწორებს: მთავარნი მთავრების ქალებს, აზნაურნი აზნაურებისას და უმცირესნი უმცირესებისას. თუმცა მთავრები მრავალნი იყვნენ და ზოგჯერ თვის-თვისად განდგებოდენ ხოლმე, მაგრამ მტრებზედ მაინც ერთობა ჰქონდათ, მორჩილებდენ მცხეთის მამასახლისს, და მის წინა-მძღოლობით, ქვეყნისათვის შეერთებულნი, მხნედ იბრძოდენ. ამ წესებს ადგნენ ისინი მრავალ წელთა განმავლობაში, ვიდრე არ დაივიწყეს ღმერთი დამბადებელი დ̃ თაყვანი სცეს მზეს, მთვარეს, ვარსკვლავთა, ნივთიერთა დ̃ პირუტყვთა. ამასთანავე შემოესიათ გარეშე წარმართნი—სპარსნი, თურქნი, ასურნი, ბერძენნი დ̃ შემდეგ ურიებიც; დაიწყეს ლაპარაკი ამდენსავე ენებზე დ̃ უფრო დაივიწყეს დამბადებელი, თავიანთი წესები და ჩვეულებანი, და შეიქმნენ ყველა წარმართებზე უუწარმართესნი დ̃ უუსჯულოესნი, რამეთუ დაივიწყეს ნათესაობა და შეირთვნენ მრუშობით, როგორც სწერენ უცხოელნი. ამას დასძინეს მიცვალებულების, ანუ ბრძოლაში მოკლულის კაცის ჭამაც *). მოკლულს ანუ მიცვალებულს სესხულობდენ ხოლმე შესაჭმელად, როგორც გვაუწყებს დღევანდლამდე დარჩენილი თქმულება: „კარსნელთა ჭმართებს კოდმანელიაა ხუთი მკვდარი". სჭამდენ აგრეთვე ყოველ გვარს ცხოველს სულიერს დ̃ არა წმინდას. ხოლო მორჩილებდენ მცხეთელ მამასახლისს და ერთობდენ

---

*) იხილე ამის შესახებ წინა წერილი თეიმურაზისა, რომელიც ამტკიცებს, რომ შეუძლებელია ქართველები იმ დროს კაცის მჭამელები ყოფილიყვნენო. თეიმურაზის აზრს ეთანხმება ბროსსეც.

თავისით მტრებზე მრავალს წელს. შემდეგ საქართველოში შემოვიდა ალექსანდრე მაკედონელი, რომელმაც დაუდვა საქართველოს რჯული ერთის დამბადებელ ღვთის თაყვანისცემა, მზის, მთვარის და ვარსკვლავთა პატივი.

**კ ე რ პ ე ბ ი.** ალექსანდრეს შემდეგ მისმა ერისთავმა აზონმა მიატოვა იგი რჯული, ამართა კერპები—გაც და გაიმ; მთელი საქართველოს მცხოვრებლები ათაყვანა მათ, და ასწავლიდა ერს თავის ზნესა და ჩვეულებას. შემდეგ, როცა ფარნავაზმა მოჰკლა აზონი და გამეფდა თვით, გაცს და გაიმს შუა, არმაზის მთაზე და ქართლოსის საფლავზე, ხევში, ამართა თვისისავე სახელისა დიდი კერპი რვალისა, ძვირფასის ქვებით შემკობილი და ოქროს ჯავშნით და გვირგვინით მოსილი. ამ კერპს ათაყვანა მთელი საქართველო და დააწესა დღესასწაული მისი. შემდეგ მეფეებმა ამ კერპს შესძინეს კიდევ კერპები: ზადენ, აფროდიტე და სხვანი. მაგრამ არმაზი მაინც ყველა ღმერთების უდიდესად მიაჩნდათ. მეფის განწესებისა მებრ მტკიცედ იდგნენ ამ ღმერთების სარწმუნოებასა და სიყვარულზედ, და თაყვანს არ სცემდნენ სხვა ღმერთებს, როგორც სჩანს მაიკან სპასპეტის და მეფე მირიანის საუბრიდამ, რომელიც ამ მეფეს ჰქონდა თავის დიდებულებთან წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლის გამო.

**მ ე ფ ე ე ბ ი.** ჩვეულება ჰქონდათ ერთის მეფისა მორჩილება და მისს მიმართ სარწმუნოდ ყოფა. მეფის სიკვდილის შემდეგ, ტახტზე ადიოდა არა სხვა გვარის ვინმე, არამედ ძე მისი, ანუ ასული, თუ ძე არ დარჩებოდა, ვითარცა იტყვის იგივე მაიკან სპასპეტი და სჩანს ჩვენს მატიანეში.

**წ ე ს ე ბ ი.** კერპების მღვდელთა პატივი და რიგი, როგორც სასულიერო წოდების პირთა, განსხვავებული იყო. ხოლო საერო წოდებათა შეადგენდნენ: 1) ერის-თავნი, 2) მთავარნი, 3) აზნაურნი, 4) ვაჭარნი, 5) მსახურნი და 6) მუშა-გლეხნი. ერისთავებს აწესებდა მეფე მთავრების და წარჩინებულ გვარებიდამ. ერისთავების ხელთ იყო: მოურნეობა, სამართალი და ჯარის გამგეობა მათს საერისთავოში და სამეფო ხარკთა მოკრეფა. მთავრის ღირსება და შესაფერი პატივი ეკუთვნოდა ქართლოსიანთ შთამომავლობას. თუ მეფის გვარისა იყო

მთავარი, მაშინ უფრო პატივცემული იყო. გვარსა და შთამომავლობას გარდა, მთავარს უნდა ჰქონებოდა ციხე-ქალაქი, სიმაგრე და ხეობანი, თუ არა უამისოდ მთავრად არ ისახელებოდა. აზნაურს უნდა ჰქონოდა გვარი, შთამომავლობა, რაიმე სიმაგრე მთაში ანუ ბარად, დაბები; უნდა შეძლებოდა გამოსვლა მარქაფით, კარვით და მათის გაწყობილებით, თუ არა უამისოდ აზნაურად არ იწოდებოდა. ვაჭრები ითვლებოდენ აზნაურების ქვემორე და ზოგიერთ მათგანის სწორადაც. შემდგომად ითვლებოდენ მეფის მსახურნი და გლეხნი და მერმე ხინებულთა მსახურნი და გლეხნი, რომელთა პატივი და ღირსება დამოკიდებული იყო მათ ბატონების ღირსებაზე. შემდგომად ითვლებოდენ მუშა გლეხნი. სისხლის ფასიც მათის ღირსებისა მებრ იყო: ზევიდამ ქვევით ნასხვრად, ანუ ქვევიდამ ზევით ერთი ორად.

ჯ ა რ ი. მეფეებს თავიანთ მცველად ჯამაგირზე ჰყავდათ ჯარი, რამდენიც შეეძლოთ. მირიანს და აღმაშენებელს თავიანთ მარადის მცველად ჰყავდათ 60,000. დავითი კი არ ურიგებდა საჭურჭლეს ჯარსა, რომელსაც სხვა პატივი ჰქონდა. დროთი-დროზე ჯარს გამოაწვევდენ ერისაგანაც. ამისთანა შემთხვევაში იგი იყო ერისთავების ხელ-ქვევით.

ს ა ჭ უ რ ჭ ლ ე. საომარ საჭურჭლეს შეადგენდა: ჯავშანი, საბარკული *), მუზარადი **), ჩაბალახი ***), ხრმალი, ხანჯალი, ლახტი ****), ხუგლუგი *****), შუბი, სიშტი, მშვილდ-ისარი და საყალანო ******)

ს ა მ ა რ თ ა ლ ი. წესი სამართლისა და შერისხვისათვის იყო: სისხლი, ხრმალი, შანთი, მდუღარე და ფიცი. სისხლს უწოდებენ, როდესაც სწორმან ვინმე სწორი მოჰკლას. მეფისაგან შერისხვა იყო ან სიკვდილი, ან გვემა და პატიმრობა. გარდა ამ სასჯელთა, მკვლელი თანამდები იყო რომ თეთრითა და საქონლით დაეურვა [გადაეხადა] მისი პატივისა და წესის სისხლი. როდესაც უმაღლესი მოჰკლიდა უმცირესს, დაუურვებდა სისხლს, და როდესაც უმცირესი მოჰკლიდა უმაღლესს, დაუურვებდა სისხლს და მამულიდამ განიძევებოდა რამდენიმე

*) საწვივე. **) რკინის თავს სახურავი. ***) ერთი-გვარია მუზარადისა. ****) უკვეთლო საომარი საცემი. *****) პატარა წერაქვი. ******) ფრთა-დაბალი და პირ-ვიწრო ისარი.

წლით. დანიშნულ ქალების წართმევისა და დატყვებისათვისაც ამნაირადჰკა ქალის წოდების დაგვარ, დაუურვებდენ სისხლს და გარდა ამისა სასულიერო მთავრობისაგან მიეცემოდენ კიდევ სხვა სასჯელს. მეფისაგან ხრმლით დაისჯებოდენ ღალატისა, შეწამებისა, კრებების და შემდეგ ეკკლესიების მძარცველნი. შემწამებელს და შეწამებულს ალოცვინებდენ 40 დღეს. შემდგომ შესჭურვიდენ ყოველივე საჭურველით, შეაჯდენდენ ცხენებზე, თვითოეულს მათგანს მიუჩენდენ თვითოს უსაჭურველო ცხენოსანს, რომელსაც მათრახის მეტი არაფერი ექმნებოდა და მემათრახეს უწოდებდენ. ამათ ყველას გამოიყვანდენ ასპარეზზე და დაიწყებოდა ბრძოლა შემწამებელსა და შეწამებულს შორის. თავ-თავის დროზე მემათრახენი აუხსნიდენ, რა გვარ ებრძოლათ და რა საჭურველი ეხმარათ. დამარცხებულს გამტყუნებულად ჩათვლიდენ, და შერისხვიდენ თავის მოკვეთით და მამულისა და სახლის წართმევით. ვისაც შეიწყალებდენ, იმას თავის მოჭრის მაგიერ თვალებს დასთხრიდენ. ქურდების გასამართლებისათვის ხმარობდენ შანთს: გაახურვებდენ სახნისს, როგორც ნაკვერცხალი, დადებდენ მაღალზე, რომ მალე შესაძლებელი ყოფილიყო მისს ქვეშ ხელის შედება და შეწამებულს უნდა აეღო იგი ხელით, რომელზედაც ტილო ანუ ქაღალდი ჰქონდა დაფარებული, წაედგა სამი ბიჯი და გადაეგდო; იმ წამშივე შეუხვევდენ ხელს სამს დღემდე. შემდეგ გაუხსნიდენ და უკეთუ დაუწვავი ჰქონდა—გამართლებული იყო, და თუ დამწვარი—მტყუანი. ამ საგნისთვის მდუღარესაც ხმარობდენ: აადუღებდენ წყალს ქვაბში, ჩააგდებდენ შიგ მცირე რკინას და შეწამებულს უნდა ამოეღო იგი შიშველი მკლავით, რომელსაც იმ წამსვე შეუკრავდენ სამს დღემდე. შემდეგ გაუხსნიდენ და, თუ დამწვარი ექნებოდა, მტყუანი იყო და თუ არა—მართალი. მამულის ცილებისათვის, მცირე ქურდობისათვს და სხვა დანაშაულთათვის იცოდენ ფიცი; დააფიცებდენ მოწმეებს, რამდენიც შესვდებოდათ. ხოლო ქურდს (დიდს), ავაზაკსა და მძარცველს ერთის მაგიერ შვიდჯერ აზღვევინებდენ, და თუ ვინმე მესამედ მოიქმედებდა—თვალებს ამოსთფხრიდენ და მცირედისათვის ფეხებს მოსჭრიდენ. თუ ვინმე მახვილს ამოიღებდა მეფის ბჭესა, ერისთავსა ანუ წარჩინებულზედ, იმას მოჰკვეთდენ ხელებს. სხვა წესებიც მრავალი იყო.

ხ ე ლ ი ს უ ფ ა ლ ნ ი. მეფის კარზედ შემდეგი ხელისუფალნი იყვნენ: 1) ს პ ა ს ა ლ ა რ ი, ანუ ს პ ა ს პ ე ტ ი, *) რომელიც პირველობდა ყოველს სავეზირო თათბირზე და ითვლებოდა ყველა ერისთავების უფროსად; ჰკრებდა ერისთავების მეოხებით ჯარს და სამეფო გადასახადს მთელს სამეფოში. 2) ა ბ რ ა მ ა დ ი, ანუ ს ა ხ ლ თ-უ ხ უ ც ე ს ი, რომელიც განაგებდა სამეფო შემოსავალ-გასავალს, მეფის სახლის წესსა და რიგს, სახასო მიწა-წყალს, და სამეფო თათბირს. 3) მ ს ა ხ უ რ თ-უ ხ უ ც ე ს ი განაგებდა სალაშქრო საჭურველისა და იარაღის მსახურთა და ციხე-ქალაქების მცველს ჯარს მეფისას. 4) მ ო ნ ა თ-უ ხ უ ც ე ს ი განაგებდა მეფის ნაქირავებს ჯარს, ციხე-ქალაქთა გარდა. 5) მ ა ნ დ ა ტ უ რ თ უ ხ უ ც ე ს ი განაგებდა მანდატურებს, ბოქაულთ-უხუცესს, ბოქაულთა, მებჭეთა, მეკარეთ, ქონდაქარებს **), სარანგებს ***) და ნადიმობის წესს. მისივე მოვალეობა იყო წინ-მძღოლება მეფისა და მოხსენება მეფისათვის ნადირობისა და ამხედრების ჟამისა. 6) მ ე ჭ უ რ ჭ ლ ე თ-უ ხ უ ც ე ს ი, განაგებდა ყოველს საჭურჭლეს და საუნჯეს მეფისას და ამისთვის მიჩენილ მსახურთა. 7) მ ს ა ჯ უ ლ თ-უ ხ უ ც ე ს ი უფროსობდა ყველა მსაჯულებს, ბჭეებს, ხევის-ბერებს და ხევის-თავებს, და სჯიდა მეფის საბრძანოსა. 8) მ ე ჯ ი ნ ი ბ ე თ-უ ხ უ ც ე ს ი, შემდგომ ა მ ი ლ ა ხ ო რ ა დ წოდებული, განაგებდა ყველა მეჯინიბეებს მეფისას, შიკრიკებს, პაიჭებს, ჯინიბებს, ტაიჭებს, და სკადგისა და ცხენების ჯოგებს მეფისას. 9) ბ ა ზ ი ე რ თ-უ ხ უ ც ე ს ი, განაგებდა ბაზთა, ****) ბაზიერთ, მეძაღლეთა ძაღლებითურთ და მეფის სანადირო ტყეთა და ველთა მცველთა. 10) ე ჯ ი ბ ი, განაგებდა ყველა კარის კაცებს მეფისას. ნადიმზედ მეფის მაგიერ მიუგებდა და მისთვის უნდა ეთქვათ სასახლის დარბაისლებს თუ რამ ჰქონდათ მეფის მოსახსენებელი. უიმისოდ ვერ ვინ წარდგებოდა მეფესთან. 11) ე ზ ო ს-მ ო ძ ღ ვ ა რ ი, განაგებდა ყველა სამოხელეო სახლებს, მეფის სარჯს და წარსაგებელს, წესსა და რიგს დარბაზისსა, მეფის ტაბლისა და სანოვაგისას. 12) ჩ უ ხ ჩ ე რ ა ს ი, *****) განაგებდა მზარეულთ უხუცესებს, მეტაბლეებს, მზა-

---

*) მხედართ მთავარი. **) მზარეულებს. ***) ბოროტ კაცთა მდევნელებს.— ****) ქორ-მიმინოებსა.—*****) სუფრის-გამგე.

რეულებს, მეპურეებს, მერწყულეებს, მგოსნებს, მემწყობრეებს, ბუკ-ტაბლაკთა და სხვათა დამკვრელებს. 13) *მეღვინეთ-უხუცესი*, განაგებდა მეფის მეწდეთა და მესასმისეთ და ღვინის მნეთა *). 14) *მოლარეთ-უხუცესი* იყო გამგებელი იმ ფულის, ანუ ლარისა, რომელიც მეფეს გადადებული ჰქონდა თავისთვის ანუ ქველის საქმისათვის. მასვე ექვემდებარებოდენ უმცროსი მოლარენი. 15) *მესტუმრეთ-უხუცესი* იყო უფროსი მესტუმრეებისა, რომელნიც მოაწვევდენ მეფის კარის დარბაისლებს და მეურნეობდენ სასახლის სტუმრებს. 16) *ჯვარის-მტვირთველის* მოვალეობა იყო კათალიკოსის და ეპისკოპოზების მოწვევა და მეფისაგან დამნაშავეთ შერისხვა. 17) *მდივნები* იყვნენ სხვა-და-სხვა სარისხისა, უმაღლესნი და უმდაბლესნი: მდივანნი მეფისა იყვნენ პატივით უმაღლესნი, (მაგალითად, მდივანის ჩოლაყაშვილის შესახებ ნაბრძანები იყო, რომ „არა რაი ეკადროს, თუ არა დიდის შეცოდებისათვის, და მაშინც მხოლოდ ცერი მოეჭრასო“.) გარდა ამისა იყვნენ მდივანნი სპასალარისა, სახლთ-უხუცესისა, მონათ-უხუცესისა, მსახურთ-უხუცესისა, მსაჯულთ-უხუცესისა, მეჭურჭლეთ-უხუცესისა და ეზოს-მოძღვრისა. მოვალეობა მდივნებისა იყო წერა: უსტარისა **), იერლაყისა ***), გუჯარისა, სიგელისა, ბრძანებისა, განაჩენებისა, და სხვა...

*ჩვეულება*. ზემოდ თქმულთ წესსა და ჩვეულებას გარდა, ქართველებს ჰქონდათ ჩვეულებად ზრუნვა სამეფოს განუხეთქელობისათვის. თუ მტერი დაურღვევდა საზღვარს, ყველა დიდს მწუხარებას ეძლეოდა და ცდილობდენ ხელ-ახლავ მისს აღდგენას. მეფეებს მიუდრეკელად ერთგულობდენ, და თუ რომელისამე მძლავრის მტრისაგან დამარცხდებოდენ, არ დაემორჩილებოდენ, არამედ ისევ იბრუნებდენ თავიანთს წესებს, და ამ ნაირად არ სტოვებდენ თავიანთს ღმერთებს, მეფეს და ჩვეულებას. ჭამა და ნადიმობა იცოდენ ტაბლაზე, ისხდენ სკამებზე და ბოდიშობდენ ქუდის მოხდით. სმიდენ ღვინოს და სჭამდენ ხორცს პირუტყვთა და ნადირისას. გამეფების დროს მეფეებს თავზე გადაასგდებდენ ოქ-

*) მოხელეებს. —**) მინაწერისა, რესკრიპტისა. —***) შეწყალების უსტარისა.

როსა და ვერცხლის ტაბაკთა, ვისაც რამდენი შეეძლო. იცოდენ ერთ ცოლობა და არა მრავალ-ცოლობა სხვებსავით. მისდევდენ მოყვსობას, ნათესაობას, ერთმანეთის მოყვრობას და მტერობასაც, ლხინში ლხინობას და ჭირში ჭირობას. როგორც მეფეს გამეფების დროს, ისე ყველას ჯვარ-დაწერილთ ქორწილის დროს, თავზე გადაადგებდენ ყველა მოწვეულნი და მწვევველნი ოქროსა და ვერცხლს, ვისაც რამდენი შეეძლო. ეს გადანაგდები ოქრო-ვერცხლი ქორწილში ღვინის-დამსხმელისა იყო.

მკვდარს მარხვიდენ მის ტანსაცმელით, საჭურველით და სამკაულით. მოიპარსავდენ თავს, წარბებს, წამწამებს და წვერ-ულვაშს, იხდიდენ წელამდე ტანსაცმელს და სხდებოდენ ნაცარში 40 დღე და ტიროდენ. კაცებიც და ქალებიც ტირილის დროს სისხლ დინებამდე იცემდენ. წლამდე ხორცს და ცხოველს არა სჭამდენ და მაშინაც დიდის იძულებით; იცვამდენ შავ-ფალასს და თავს იხურავდენ თხის-ურის ჩაჩით: ცოლები ქმრებს და ქმრები ცოლებს საფლავამდე გაჰყვებოდენ ხოლმე; აგრეთვე ახლო მოყვასნიც. გაყოლის დროს ისხდენ ბნელის ძაძით მოკრულ ჯინში *); მოსთქვამდენ ტყეპის დროს არა მარტო ჭირის-უფლები, გარეშე მოტირალნიც. ხოლო წესნი ესე, გარდა შავის-ჩაცმისა, ხორცის უჭმელობისა და ტყეპა-ტირილისა, მოშალა მე-91 მეფემ გიორგიმ, რომელსაც ეწვია იერუსალიმის პატრიარქი.

კ ე რ პ ე ბ ი ს   დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ი. კერპ-ღმერთების დღესასწაულს უქმობდენ ასე: განვიდოდენ თვით მეფე, დიდებულნი და ხალხი ბუკ-დაფდაფით და სხვა საკრავებით და შესწირვიდენ კერპებს: ძროხებს, ხარებს, ცხვრებს და ნადირს. თაყვანს სცემდენ ჯერ არმაზს, შემდგომ ზადენს და მერმე სხვა ღმერთებს. უფრო დიდი იყო არმაზის დღესასწაული. ამ დღეს თაყვანისცემის შემდგომ მართავდენ ნადიმს „დიდი ჭამით და ღვინის სმით“, ცეკვით, მწყობრის გალობითა და სიმღერით. სამს დღეს მოილხენდენ ასე და შემდეგ თავ-თავის სახლში წავიდოდენ. იმ დრომდამ-კი, რა დრომდამაც ალექსანდრე მაკედონელმა დაატოვებინა მკვდრების ჭამა, კერპებს სწირვიდენ თავიანთ შვილებს—ვაჟებს და ქალებს, ვიდრე ტახტზე ავიდოდა მეფე რევი. რევმა

*) გოდორ-მარხილში.

მოსპო ადამიანის მსხვერპლად შეწირვა და ბრძანა შეეწირათ მსხვერპლად ისევ პირუტყვნი და არა ადამიანნი. ქრისტიანობის მიღების შემდეგაც ამ ნაირადვე მოილხინდენ, ანუ „ჯვარებობდენ“ და თვით ეკკლესიებიც ააშენეს იმ მაღალ ბორცვებსა და მთებზე, სადაც წინად კერპები ედგათ.

კერპების შემდეგ. წმინდა ნინომ შემუსრა ზღვარდამო მალიით ქართველების უდიდესი კერპი—არმაზი, აგრეთვე გაც და გაიმ და თვით მეფე მირიანმა მიიღო მისგანვე ქრისტიანობა. მთელმა საქართველომაც მედ ღვთისად აღიარა მარიამ ქალწულისაგან განხორციელებული უფალი იესო ქრისტე. შემდეგ ამისა მეფე მირიანმა მთელ თავის სამრძანებელში შემუსრა ყველა კერპები და მათ მაგიერ აღმართა ქრისტეს ცხოველ-მყოფელი ჯვარი მტრების დასამხობელად.

ეპისკოპოსნი და მღვდლები. კერპების მღვდლების მაგიერ მეფე მირიანმა დასვა მცხეთას ზემო ეკლესიაში მთავარ-ეპისკოპოსი და სხვა ქალაქებსა და დაბებში ჭეშმარიტნი მღვდლები ქრისტეს სარწმუნოებისანი. მთავარ-ეპისკოპოსს პატივი ჰქონდა მეფის თანასწორ და მღვდლებს—მთავრებისა.

მეფის კურთხევა. პირველ ხანებში მეფეს აკურთხებდა და გვირგვინს ადგამდა ეპისკოპოსი, და შემდგომ კათალიკოსობის დადგინებისა კი—კათალიკოსი. ბაგრატიონების დროს გვირგვინის დადგმა მიჩემებული ჰქონდა იმერეთს; ამიტომაც ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსნი იყვნენ მაკურთხეველნი და ქუთათელი—გვირგვინის დამდგმელი იყო ქუთაისის ტახტისათვის. საქართველოს გაყოფის შემდეგ—მაკურთხეველიც და გვირგვინის დამდგმელიც იყო: იმერეთს—იმერთა კათალიკოსი, ქართლს—ქართლისა და კახეთს—ბოდბელი.

ვახტანგ გორგასლანმა დასვა კათალიკოსი ეპისკოპოსები მთელს საქართველოში. პატივის ცემა მიეცა კათალიკოსს მეფის თანასწორ, ეპისკოპოსებს—ერისთავების თანასწორ და მღვდლებს—აზნაურების თანასწორ. როდესაც საქართველოში შემოვიდენ ცამეტი წმიდა მამა (სირიელები), რომელთაც ააშენეს მონასტრები და უდაბნოები, მონასტრების მამებს და წინამძღვრებს მიეცათ მთავრების თანასწორი პატივი.

მთავართა შეძინებული წესი. მთავრობის წინ-თქმულს წესს შეეძინა შემდეგი: თვითოეულს მთავარს სასაფლავოდ უნდა ჰქონებოდა

საეპისკოპოსო ანუ მონასტრის ეკკლესია, აგრეთვე კარის საყდარი მღვდლითურთ. აზნაურს უნდა ჰქონებოდა სასაფლაოდ მონასტრები და თავისი სახლის ეკლესია მღვდლით. თუ ესენი აკლდათ, მთავრებად და აზნაურებად არ მოიხსენიებოდენ.

ჭ ყ ო ნ დ ი დ ე ლ ი. ზემოხსენებულ ხელისუფალთა და სასულიე-რო პირებს მოემატა ჭყონდიდელი, რომლის წოდებასაც მიათვისეს მწიგნობართ-უხუცესობა და დაუხელქვეითეს წინად მოხსენებულნი ყველა საერო მწერლები. გარდა ამისა იგი განაგებდა ქვრივ-ობლებს, დავრდომილებს, უსამართლოდ დაჩაგრულებს, შეწუხებულებს და შეჭირ-ვებულებს; აძლევდა ბრძანებას მეფის სახელით ეკლესია-მონასტრებსა და ლაშქრის მოწვევად და ამათს საჭიროებას მეფეს მოახსენებდა; ლაშქრობის დროს წინ უძღოდა ჯვარს ჯვარით და, როცა ბრძოლა ატყდებოდა, ზურგს უკან ედგა ჯვარს; მასვე უნდა მიეკვლია ახალი წელი-წადი მეფისათვის.

ა თ ა ბ ე გ ი. დროთა ცვლილებისა მებრ სპასალარს უწოდეს ა თ ა-ბ ა გ ი. ათაბაგობითვე მოიხსენებოდენ ყველა შემდეგნი სპასალარნი.

მ ე ფ ე თ ა  გ ვ ა რ ნ ი. საქართველოში იმეფა ოთხმა სამეფო გვარმა: პირველი იყო ქართლოსიან-ნებროთიანი ანუ ფარნავაზიანი, მეორე— არშაკუნიანი, მესამე—ხოსროიანი და მეოთხე—ბაგრატოვანი. პირველმა ორმა გვარმა იმეფა 566 წელი და საქართველოს მისცა ოც-და-რვა მეფე, მესამე გვარმა იმეფა 454 წელი და საქართველოს მისცა ჩვიდმეტი მეფე და სამი მთავარი. მეოთხე, ბაგრატიონთა გვარი, გამეფდა ქორონიკონს 575 წელს [და იმეფა 1225 წელი].

საქართველოში ამ სამეფო გვარებზე იტყვიან: „ქართლოსიან-ნებროთიანიანნი და არშაკუნიანნი იცნობიან გმირობით, ხოსროიან-ნი—გოლიათობით, ხოლო ბაგრატიონნი—მხნეობით, სიბრძნე-ქველო-ბით და ქვეყნისთვის თავდადებულობით.“

მ თ ა ვ რ ე ბ ი ს  გ ვ ა რ ე ბ ი. ძველი გვარები მთავრებისა ესენი არიან: ქობულიძე, ბაღუში, იგივე ლიპარიტის ძე, მარუშისძე, კახაბე-რიძე, ბაკურის ძე, აბულელი, მხარგძელიძე, ორბელიანი, კარდანისძე, გამრეკელი, ასათის ძე, აღარნასიანი, ჯავაშერიანი, კავკასიძე, ჯაყელი, ირუფაქის ძე, ჩოლაყაშვილი, აბაზაძე, კორინთელი, მასტელი, ნასიძე

შარვაშიძე, ქვენაფლაველი, ჯავახიშვილი, ბურსელი და სხვანი მრავალნი, რომელნი იწერებოდენ ერისთავობით, უგვაროდ, მაგალითად: ქართლის ერისთავი გრიგოლი, ხორნაბუჯის ერისთავი, რაჭის ერისთავი, და ასე სხვანიც.

დადიანობა არის წესი ხელობისა და არა გვარი. დადიანობა პირველად იყო კარის მხარეზე და არა ოდიშში. მხოლოდ თამარ მეფის შემდეგ დადგენილ იქმნა დადიანი ოდიშში, და მიენიჭა ერისთავობა. პირველი დადიანი ოდიშისა იყო ცოტნე, რომლის გვარი არა სჩანს, და შემდეგნი დადიანნი ამისაგან ჩამომავლობენ.

ა ხ ა ლ წ ლ ო ბ ა. ქრისტიანობის შემდეგ შემოიღეს შემდეგი წესი ახალ-წელსა: 1 იანვარს, ცისკრის ლოცვის უწინარეს ჭყონდიდელი უკვლევდა მეფეს და დედოფალს—ჯვარს, ხატს, სამკაულს და შაქრისაგან გაკეთებულს ტკბილეულობას. წირვის შემდეგ კი უნდა მიეკვლიათ ყველა ერისთავებს, ხელის-უფლებს და კარის კაცებს, ყველას თავთავისი საგანგებოს შესაფერი რამე, მაგალითად: ბაზიერთ უხუცესი მიუკვლევდა შავარდენ-ქორსა და ველურის ტახის მოოქროვილს თავს; მეჯინიბეთ-უხუცესი—ოქრო-მოჭედილით შეკაზმულ ცხენს, ერისთავები მოართმევდენ უკარგისს ცხენებს და, როგორც ესენი, აგრეთვე სხვანი ყველანიც—ისრებს. მკვლევარნი მიულოცავდენ ახალ-წელიწადს და შეაჩვენებდენ მეფის ორგულს ამ სიტყვებით: „მრავალ-ჟამიერ ჰყოს ღმერთმან მეფობა თქვენი და ისარი ესე გულში განერთხას თქვენის მეფობის ორგულსა." ჯვარისაგან მოლოცვის შემდეგ გამართვიდენ დიდს ნადიმს განცხრომითა და სიმღერა-გალობით. ერისთავებისაგან მორთმეულ ცხენებს მეფის სასახლის ახლო მდებარე შემოღობილს სამეფო სანადიროში შეჰრეკდენ, დახოცდენ იქ მწუხრის დროს, რის გამოც სანადირო აივსებოდა იმ ღამეს მელით, ტურით და მგლითა. დილას მცველი ჩაუხურავდა კარებს და დაამწყვდევდა შიგ ამ ნადირს. მეორე დღეს მეფე შებრძანდებოდა ცხენზე, გაიყოლიებდა წარჩინებულებს და დილა ადრიან მივიდოდა იქ. სანადიროდამ გამოუშვებდენ მხეცებს და დაუწყებდენ ისრით ხოცვას. აქედამ სასახლეშივე დაბრუნდებოდენ ნადირობის შემდეგ.

ა ღ დ გ ო მ ა. აღდგომა დღეს ადრე, განთიადისას უნდა ეწირათ

და წირვის შემდეგ მცირედის სანოვაგით გაიხსნილებდენ ხორცით მეფე და დიდებულნი. შემდეგ ამისა მეფე, წარჩინებულნი და დაბალნიც გადიოდენ სასპარეზოდ. ყაბახზედ დასმიდენ სამეფო თასს ოქროსსა ანუ ვერცხლისას, დაუწყებდენ მას მოყმენი და ჭაბუკნი ისრების სროლას, და ვინც ჩამოაგდებდა თასს, იმას მისცემდენ ჯილდოდ. შემდეგ დაიწყებდენ ბურთაობას და, რომელი მხარეც აჯობებდა, თვითეულს მათგანს მისცემდენ მეფისაგან ჯილდოს. ქორწილისა და გამოჩენების დღესაც აგრეთვე ასპარეზობა იცოდენ. ბურთაობიდამ დაბრუნდებოდენ მეფის სასახლეში, სადაც გაიმართებოდა დიდი ნადიმი მგოსნების სიმღერებითურთ. მაგრამ სანამდე კათალიკოსი და ეპისკოპოსები დარჩებოდნენ ნადიმად, მანამდე მწყობრთა ძალთა ცემის მაგიერ იყო გალობა. ხოლო ამ სასულიერო პირთა წასვლის შემდეგ დაიწყებოდა მგოსანთა სიმღერა და მოლხენა.

დ რ ო შ ა. მთელი საქართველო ოთხ სადროშოთ იყო დაყოფილი: ა) წ ი ნ ა მ ბ რ ძ ო ლ ნ ი იყვნენ თორელები, ციხის-ჯვარელები, ახალ-ციხელები და მიმყოლნი მათნი—სრულიად მესხები და კლარჯელები და ნაწილი სომხითისა, რომელიც საქართველოს ეპყრა; ბ) მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე მ ი მ ხ ვ ლ ე ლ-მ ც ე მ ე ლ ნ ი იყვნენ—სრულიად ლიხთ-იქითი *) აფხაზ-ჯიქითურთ; გ) მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე მ ი მ ხ ვ ლ ე ლ-მ ც ე მ ე ლ ნ ი იყვნენ მთელი ჰერ-კახეთი; და დ) მ ე ფ ი ს ალმის მ პ ყ რ ო ბ ე ლ ნ ი იყვნენ ქართლელნი და როქის სპა **). მხოლოდ ომის დროს ხან სამად დაიყოფოდა, ხან სხვა რიგად, როგორც ამჯობინებდა მეფე ან სპასალარი.

შ ე რ ე უ ლ ნ ი წ ე ს ნ ი. თათართა მფლობელობის დროს ზოგიერთი ზემოხსენებულნი ჩვეულებათაგანნი შეიცვლებოდა ხოლმე, მაგალითად, თათართა გავლენის გამო შემოიღეს ნოხებზე ფეხ-მოკეცით სხდომა; ეკლესიაში მხოლოდ საუფლო სიტყვების წარმოთქმის დროს მოიხდიდენ ქუდს; დანარჩენს დროს კი ქუდ მოუხდელი იდგენ; ერთმანეთს აღარ მიესალმებოდენ ქუდის მოხდით; აღარ ეუცხოებოდენ ორ და სამ ცოლიანობას და მეფეთა წინააღმდეგობას და განდგომილებას. ხოლო მეფემ გიორგი ბრწყინვალემ ხელ-ახლავ აღადგინა ძველნი ჩვეულებანი.

---

*) იმერეთი.—**) მეფის ნაქირავები ჯარი.

# XXVII. სპარსეთის გავლენა საქართველოს ყოფა-ცხოვრებასა და კულტურაზე

(დ. ზ. ბაქრაძე—ისტორია საქართველოსი)

სპარსეთის გავლენას საქართველოს ხასიათსა და კულტურაზე უმოქმედნია. მომეტებული ნაწილი სახელებისა, რომელთაც „დაბისტან“-ში და „შაჰ-ნამე“-ში აქვთ ისტორიული მნიშვნელობა, ესე იგი, როსტომ, მანუჩარ, ქაისოსრო, ზურაბ, ბარამ და სხ., თვით საქართველოს ძველადვე მიუთვისებია. უწარჩინებულესთ პირთ შვილების აღზრდა უცხო ოჯახებში ჩვეულებად ყოფილა სპარსეთში. ეს ჩვეულება მიუღიათ სომხეთშიაც და საქართველოშიაც. ქართულნი წოდებანი, როგორც იმათ სტრაბონი აგვიწერს, ჯემშიდის კასტებს მოგვაგონებენ. სპასპეტი, რომელიც ფარნავაზ მეფის ისტორიაში იხსენიება, იყო სპარსული სიპაჰ-ბედი, გამოთარგმანებით ჩვენს ენაზე—მხედართ-წინამძღომელი. ერთ-გვარი სისხლის სამართალი, რომელსაც ძველად სპარსეთში ვპოულობთ და რომელიც თვით უძველესს ინდოეთის პოემაში „რამაიანა“-შიაც მოხსენებული და მითვისებულია ელლინთაგანაც და გერმანელთაგანაც, ყოფილა ცეცხლით თავის გამართლება. ეს სამართალი ჩვენც მიგვითვისებია. ეს არის „მდუღარით ანუ შანთით თავის გამართლება“. ძველი საქართველოს სარწმუნოებაც სპარსულის ზენდით ყოფილა აღბეჭდილი: ქართველებისა და სომხების არმაზი არის სპარსების ორმუზდი, „წარმომადგენელი მზისა ანუ ცეცხლისა.“ ჩვენ გვგონია სპარსულნი მოგვნი—„მზის მსახურნი“. ჩვენის ერის წარმოდგენაში აქამომდე გავრცელებულია დევი, რომელიც ამ სახელითვე იხსენიება. აქ მრავალ ზღაპარს საგნად აქვს ელვარე-თვალებიანი, მრავალ-თავებიანი გველეშაპი, „დაბისტან“-ის ზოჰაკი ანუ დრაკონი, მთაზე დაბმული. ეს ზღაპარი მოგვაგონებს სომხების ლეგენდას არტავაზზე, ქართველების თქმულებას ამირანზე. სპარსულს ზღაპრულ გარდმოცემაში არიმანი ანუ ამირანი იყო მაცდური სული, წინააღმდეგი ორმუზდისა და მეფე დევებისა. ეს ლეგენდა ჩვენში იგივეა ახლა, რაც სომხეთში ყოფილა მე-V საუკ. მოსე ხორენელი ამბობს არტა-

კაზზე: „მოხუცნი დედაკაცნი იტყვიან, ვითომც არტავაზი, რკინის ჯაჭვით შეკრული, შემსჭვალული იყოს კლდის ქვაბში; ვითომ ორი ძაღლი შეუსუსტებლად ღრღნიდენ ჯაჭვს და არტავაზი ცდილობდეს ქვაბიდამ გამოვიდეს და ქვეყანას ბოლო მოუღოს; ვითომც მჭედლების კვერის დარტყმით ჯაჭვი ისევ მაგრდებოდეს. ამისთვისაც თვით ჩვენს დროს, დასძენს ხორენელი, მრავალნი მჭედელნი ამ ლეგენდის მიხედვით სცემენ კვერსა სამჭედლოში, რომ არტავაზის ჯაჭვი შემაგრდეს“. ეს ლეგენდა ოსებსაც აქვთ. ოსების წარმოდგენით ერთი მძიმედ შეჯაჭვული პერობილი შემსჭვალულია იალბუზის კლდეში და იმის გულ-მუცელსა სჭამს ავი ძერა. როგორც სომხური ლეგენდა არტავაზზე და ქართველებისა ამირანზე, აგრეთვე ოსების ზღაპარი წარმოგვიდგენენ ძველს ელლინურს მითსა პრომეთეოსზე, რომელიც, ელლინების გამოხატულებით, ყოფილა ძე იაფეტისა და მისა დეკალიონისა და რომელიც ზევსს კავკასიის ქედზე მიულურსმავს და აქ იმისთვის მიუჩენია ძერა იმის გულ-ღვიძლის ამოსაჭმელად. ეს ლეგენდა, უსლარის ფიქრით, ელლინებს გაუგონიათ თვით კავკასიაში და აქედამ შეუტანიათ თავიანთ მითოლოგიაში.

---

## XXVIII. ქართული ანბანები, ხუცური და მხედრული

(დ. ზ. ბაქრაძე—ისტორია საქართველოსი)

სახელ-წოდება „ხუცური,“ „მხედრული“ ჩვენმა ძველმა მწერლობამ სრულებით არ იცის და, როდის არიან იგინი შემოღებულნი ანუ პირველად ხმარებულნი, ჯერ არ არის ცნობაში მოყვანილი. ამ საგანზე გავრცელებულია ჩვენში ორი აზრი: ერთი ჰხადის მხედრულს ხუცურზე უძველესად და იმის დაფუძნებას მიაწერს ფარნავაზსა; ხუცურის შემოღებას კი მისთვისებს სომხის მეცნიერს მესროპს მე-V საუკუნეში ქრისტეს შემდეგ. მეორე აზრი ამ აზრის წინააღმდეგია. ჩვენ თვით ვადგევართ მეორე აზრსა, რომელსაც ვამყარებთ შემდეგზე.

თუ ჩვენ ჩვენის ანბანის ანუ ალფაბეტის ასოების რიგს მივაქცევთ ყურადღებასა, შევნიშნავთ, რომ იგია ბერძნულის ალფაბეტის

ასოების რიგი. გარდა ამისა ზოგი ქართული ასოები თავის ფორმებით მიემსგავსება ბერძნულის ასოების ფორმებსა; ასოს ს, როგორც ქართულში, აგრეთვე უძველესს ბერძნულში ერთი და იგივე სახელ-წოდება აქვს: „სან.“ მართლაია, ზოგი ჩვენი ასოებიც, მეტადრე ასო-მთავრულისა ხუცურში, როგორც თვით ფორმებით, აგრეთვე გამოთქმით, უახლოვდებიან დევა-ნაგირსა და სხვა ალფაბეტებს ინდოეთისას; მაგრამ ეს მხოლოდ გვიჩვენებს, რომ ჩვენი ალფაბეტი სხვა და სხვა დროს არის სხვა და სხვა ალფაბეტებიდამ შევსებული და, ჩემის მოაზრებით, დაარსებულია იგი ბერძნულის კულტურის გავლენით იმ დროს, როდესაც ბერძნული კოლონიები დამყარებულან ჩვენ მეზობლად შავი-ზღვის ნაპირზე. თვით ლექსნი: მელანი, კალამი იმ დროდამ უნდა გვქონდეს ბერძნებისაგან მითვისებულნი. ეს ლექსები ძველს ბერძნულშიაც ისე იხმარება, როგორც ქართულში.

რომელია უძველესი, ხუცური თუ მხედრული? ამ საგანზე შეგვიძლიან დავდოთ აზრი იმათს პალეოგრაფიულს შედარებაზე. თუმცა პალეოგრაფია ახალი შტოა მეცნიერებისა, მაგრამ იმან უკვე აღმოაჩინა კანონი, რომლის ხელმძღვანელობით ის იკვლევს, ნათესავურს ალფაბეტებში რომელიც უფრო ძველი უნდა იყოს. დავადგეთ ამ კანონსა და ვნახოთ, რასა ვპოვებთ. უძველესნი ჩვენის მწერლობის ნაშთნი, რომელნიც აქამომდე ხელში გვაქვს, არიან შენობაებზე, ფულებზე და ეტრატებზე: ფულებზე—სასანიანთ დროს; მონასტრებზე—ურბნისისა, რკონისა, გორის მაზრაში, და ჯვარის-მონასტრისა, მცხეთის მახლობლად (უკანასკნელია მე-VI—VII საუკუნისა) და გარდა ამისა ტყავზე ნაწერ წიგნებში, რომელთაც მე-V—VII საუკუნოებს მიაწერენ.

ალფაბეტური ნიშნები აღრიცხულს ნაშთებზე არიან მხოლოდ ასო-მთავრულნი ხუცურნი. იმ დროს სრულებით არა სჩანს კვალი არც ნუსხა-ხუცურისა, არც მხედრულისა. ეს ასო-მთავრულნი წარმოგვიდგენენ თავის მოხაზულობით ძველად-ძველს ხასიათსა. იმათ შორის არც იპოებს ზოგი ერთი ასოები, რომელნიც მხოლოდ შემდეგ საუკუნოებში შემოდიან ხმარებაში. Ⴍ სრულებით არ არის ჵ იმის ნაცვლად იხმარება ႭჃ-ოჳ, ამასთანავე ႭჃ-თი გამოითქმის, გარდა უ-სა, ჳე-ცა, ჳა-ცა, ჳ-ცა და ჳი-ცა. ე-ს ნაცვლად იხმარება ხშირად

ⴡ-ჱ და ⴓ-ჳ-ცა, მაგალითად: ცნობისათოჳის, ოჳწყება, მოგოჳითხრა, მოძღოჳარი, განსაზღოჳრებული, შოჳდეოჳლი, ოჳფალი ჩოჳენი, მოგჳანიჭა, ქრისტჱ, ძჱ, დღჱ, პეტრჱ, მჱ, საქმჱ, სახჳ, ესრჳ, ქოჳშჳ და სხ.

ნუსხა-ხუცური პირველად შეგვხვდება ერთს ძველს ოთხ-თავის ვარიანტში, რომელსაც თვით იმისი ქორონიკონი მიაწერს მე-VII საუკუნესა, თუმცა ეს ქორონიკონი ჩვენ ცოტა საეჭვოდ მიგვაჩნია. შემდეგ იგი ცოტ-ცოტად ვრცელდება. ამ ნუსხა-ხუცურში ზემოდ ნაჩვენები შეერთებული უცნაურის თვისებისა ასოები უფრო იშვიათია და თვით ႭႳ-ს ნაცვლად იხმარება ⴓ მაშინ, როდესაც ႭႳ ასო-მთავრულში მე-XII—XIII საუკუნემდამ რჩება, თუმცა Ⴍ უკვე შემოღებულია. ⴓ სულ პირველად იწერება ⴍⴓ, რომელიც უდრის ႭႳ-სა. ეს ორი ⴓ დროს განმავლობაში უერთდებიან ერთი მეორესა და ამ გვარად ადგენენ ერთს ასოსა, რომელიც ჯერ ისევ ოთხ-ბვილიანია (ⴓ), მას-უკან სამ-ბვილიანია (ⴓ). ამ ⴓ-დამ წარმოსდგა მხედრული უ. ჩვენის აზრით, ნუსხა-ხუცურისა და მხედრულის შემოღებას ერთი მეორის შემდეგ მოკლე დრო ჰყოფს. ასეა თუ არა, მხედრული სხვა არა არის რა, როგორც იგივე ნუსხა-ხუცური, მაგრამ უფრო განმარტივებული და გაადვილებული სახმარად. უძველესს მხედრულს, რომელიც ჯერ ისევ ნუსხა ხუცურს მიემსგავსება, ჩვენა ვპოულობთ, სხვათა შორის, პირველად სომხეთის ანის ქალაქის ქართულს ეკლესიაზე (X საუკ.), რომელსაც შეცდომით ჰხადიან „ბერძნულ“ ეკლესიად; მეორედ სოუქ სუს ეკლესიაზე აივხაზეთში (XI საუკ.) და მესამედ ამ რამდენისამე წლის წინად ნაპოვნს დიდს ტყავზე ნაწერს ბაგრატ IV-ს გუჯარში.

---

## XXIX. ქართული მწიგნობრობა და უძველესი ხელნაწერები

*(А. Цагарели—Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности, вып. I)*

ქართულის მწიგნობრობის ბედი მე-V საუკუნიდამ მე-XVIII-მდე ამ სახით გვეჩვენება: მისი ისტორია ორ დიდ ხანას შეიცავს—ძ ვ ე ლ ს,

მეხუთე საუკუნიდამ მეთორმეტემდე და ახალს, მეცამეტე საუკუნიდამ მეთვრამეტემდე.

პირველ ხანაში მწიგნობრობას გამოუვლია დრო მომზადებისა, მეხუთე საუკუნიდამ მეცხრემდე, და დრო კლასიკური, მეათე საუკუნიდამ მეთორმეტემდე. ხოლო მეცამეტე საუკ. დასაწყისიდამ მეჩვიდმეტე საუკ. დასაწყისამდე, როცა მწიგნობრობამ ახალი ხასიათი მიიღო, ჩვენ ვხედავთ დაცემას ლიტერატურულის და ხელოვნურის შემოქმედობისას. მიზეზი ამ დაცემისა იყო განსაცდელნი რომელიც საქართველოს მოევლინა შინ და გარედ, მაგალითად: მე-XIII საუკუნეში თავს დაესხნენ პირველნი მონგოლნი და ხვარაზმელნი, 1400 წ. თავს დაეცა თემური და, გარდა ამისა, მეთხუთმეტე საუკუნეში, ოსმალთაგან კონსტანტინოპოლის დაპყრობიდამ, საქართველო სრულიად მოსწყდა დანარჩენ ქრისტიანე და განათლებულ ქვეყნებსა და გარს შემოერტყა მუსულმანობა. ამ გარემოების გამო საქართველო დაიყო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს კი ეს სიმწრისა და გაჭირვების საუკუნენი დაბოლოვდა სპარსეთის შაჰ-აბაზ I-ის საქართველოში შემოსევით და მძვინვარებით, ასე რომ ამ ოთხს (XIII-XVI) საუკუნეს მწარე განსაცდელისას ბუნებრივ შედეგად მოჰყვა საქართველოს კულტურისა და პოლიტიკურის ცხოვრების დაცემა. ეს ოთხი საუკუნე ჰყოფს ძველს კლასიკურს პერიოდს (X-XII) ქართულის ლიტერატურისას ახალ—აღორძინების პერიოდისაგან (XVII-XVIII).

მე-V—IX საუკუნეთა ნაწერებში, რომელთაც მოაღწიეს ჩვენამდე, ე. ი. 1883 წლამდე, ვიცოდით მხოლოდ ქართული წარწერები სასანიანთ ფულებისა მე-V-დამ *, მე-VI საუკუნემდე, წარწერები ტაძრებისა მე-VII საუკუნიდამ დაწყებული, მაგალითად მცხეთის პირ-და-პირ წმ. ჯვრის მონასტრისა და რამდენიმე უთარიღო ხელნაწერი; ახლა-კი აღმოჩნდა ორი ნაშთი პაპირუსისა მე-VII—VIII საუკუნოებისა ერთი: არის პალესტინის სადღესასწაულო და მეორე—სინას დავითნი; აღმოჩნდა

*) სასანიანთ ფულები ქართულის წარწერებით იჭრებოდა საქართველოში მეექვსე საუკუნის დასასრულიდამ და არა მეხუთიდამ, როგორც ფიქრობს პროფ. ცაგარელი (იხ. ქვემოდ „უძველესი ქართული ფულები".)

აგრეთვე ა თ ი ო დ ე ეტრატის ხელნაწერი მე-VIII—IX საუკუნოე-ბისა, მაგალითად: სახარება, დავითნი, კურთხევანი, წმ. მამათა ქმნი-ლებანი, რომელთაგან იოანე ოქროპირის, გრიგოლ ნისელის, ბასი-ლი დიდის და კირილე ალექსანდრიელის სიტყვანი და მოძღვრებანი აღნიშნულია 864 წლის თარიღით, ე. ი. უზის ქართულის ქორონი-კონის 84 (პდ); არის მეორე კრებულიც წმ. მამათა მოძღვრებისა 925 წლის თარიღით, ე. ი. უზის ქართულის ქორონიკონის 145 (რმე). ეს ორი უკანასკნელი შესანიშნავი კრებული დაწერილია ქარ-თულის მწერლობის გამავრცელებელს წმ. საბას მონასტერში, პალეს-ტინას. ჩვენში კი ქართულ მწერლობის უძველეს ნაშთად დღემდის ითვლებოდა ჯ რ უ ჭ ი ს მონასტრის ოთხთავი, 936 წელს დაწერი-ლი.

ამ ხნის განმავლობაში საქართველოს სამწიგნობრო მოღვაწეო-ბის ცენტრად იყო: უმთავრესად მონასტრები, დაარსებული ცამეტ-თა სირიელ მამათაგან, რომელნიც მოვიდენ საქართველოში მე-VI საუკ., სამცხის სავანენი VIII და მე-IX საუკუნისანი და აგრეთვე მეფეთა და კათალიკოსთა სასახლენი. საქართველოს გარეშე ამ გვარი ცენტრები იყო: პალესტინის მონასტრები (ყოვლად წმიდა ღვთისმშობლისა, წმ. იოანე ნათლის მცემელისა და სხვ.) და მეფის ძის მურვანოსისაგან (მონაზონობაში წმ. პეტრედ მაიუმის (ღაზის) ეპისკოპოსად ცნობილი), მეხუთე საუკუნეში დაარსებულნი მგზავრთა თავშესაფარნი, ლავრა წმ. საბასი მე-VII—IX საუკუნეთა განმავლობაში, სინას მთა მე-VII სა-უკუნიდამ დაწყებული და კიდევ უფრო ადრე ბერძნების ოლიმპი და კონსტანტინოპოლი; აგრეთვე ქართველების მონასტრები სირიასა და ტრაპიზონში.

ამ ხელნაწერებშია დაცული სახელები უძველესთა და უფრო ცნო-ბილ საღმთო წიგნების მთარგმნელებისა: მე VIII საუკუნემდე დავი-თისა და სტეფანოზის სახელი პალესტინაში, მე-VIII—IX საუკ. მიხეილისა და ევსტათისა სინას მთაზე, მე-X—XI საუკ. ეფთიმესი და გიორგისა ათონზე და მე-XI—XII საუკ. ეფრემ მცირესი და საბა თუხარელისა ათონზედვე.

მე-V საუკუნიდამ დაწყებული მე-IX საუკუნემდე, როგორც სჩანს,

უკვე დასრულებული იყო თარგმნა დაბადებისა; ეს თარგმანი დაწერილია ათონის მთაზე 978 წ. და ახლაც დაცულია. ზემოხსენებულ დროთა განმავლობაში დასრულებული იყო აგრეთვე თარგმნა უმეტეს ნაწილ საეკლესიო და სამღვდელ-მოქმედო წიგნებისა; იყო აგრეთვე დაწერილი ქრისტიანობის პირველ მოციქულთა, ქართველების, ბერძნების და სომხების ღვაწლ-მოსილთა და წამებულთა ცხოვრება. ამ თარგმანების კოპიოებმა, ამ წმიდათა ცხოვრებამ არსენი ნინო-წმიდელის მიერ მე-X საუკუნის მე-80 წლებში გადაწერილმა, ჩვენამდისაც მოაწია.

ეჭვი არ არის, რომ იმ ხანებშივე იქმნა შეკრებილი და ჩაწერილი საერო ისტორიულნი გადმოცემანი და აგრეთვე საქართველოს მფლობელთა და გამოჩენილ ისტორიულ მოღვაწეების ბიოგრაფიები, რომელიც შემდეგ ჩართულ იქმნა „ქართლის ცხოვრებაში," ამ მატიანეთა კრებულში. ჩვენამდე კი მოაწია ამ კრებულის ბოლოს ხანებში გადაწერილმა კოპიოებმა.

მე-X—XII საუკუნოებში საოცრად გავრცელდა სამწიგნობრო მოღვაწეობის ცენტრები, მწერლობის მოღვაწენი (მთარგმნელები, გადამწერნი და მხატვარნი,) და მწიგნობრობის ნაწარმოებნი. ზემოხსენებულ მონასტრებს გარდა, სადაც გაცხარებული სამწიგნობრო მოღვაწეობა ჰქონდათ, საქართველოში იყო სახელ განთქმული მონასტრები: ტბეთის, ხახულის, საფარის, ოპიზასი და სხვ., იმერეთში—გელათის და სამეგრელოში—მარტვილის. კახეთში იყო უმაღლესნი სასწავლებელნი—იყალთოს, გრემს და სხვ.—საქართველოს გარეშე იყო სახელგანთქმული: ივერიის მონასტერი ათონის მთაზე, მე-X საუკუნეში დაარსებული; წმ. სვიმონ-მესვეტის და ღვთის-მშობლის კალიპოსის მონასტრები ალეპპოს (ქალიბა) მახლობლად და შავს-მთაზე სირიაში და წმ. ჯვრის მონასტერი იერუსალიმში, მე-XI საუკუნის პირველს ნახევარში დაარსებული. მწიგნობრობისათვის განსაკუთრებითის მხნეობით მოღვაწეობდენ ქართველები სინას მთაზე მე-X საუკუნიდამ მე-XVI-მდე და არა ნაკლების გულსმოდგინებით იღვწოდენ ქართველი ბერები გოლგოთაზე, წმ. აღდგომის ტაძარში, წმ. სამუელისა და პალესტინის სხვა მონასტრებში, მეტადრე მარილოვან ტბის

(*Мертвое море*) ახლო წმ. საბას მონასტერში, და აგრეთვე ოლიმპისა და კონსტანტინოპოლის მონასტრებში.

საქართველოს პოლიტიკურის ცხოვრებისა და მწიგნობრობისათვის უბედურს მე-XIII—XIV საუკუნოებში, როცა მწიგნობრობა და მხატვრობა თვით საქართველოში სრულიად მისუსტდა, ქართულის სამწერლო მოღვაწეობის უძველეს ცენტრებში პალესტინას და სინას მთაზე კვლავ გულსმოდგინებით ამრავლებდენ ქართულ ხელნაწერებს.— მე-XVII და მე-XVIII საუკუნოების განმავლობაში, როცა საზოგადოებრივი ცხოვრება გამოცხიზლდა და მწერლობა და ხელოვნება აღორძინდა, სამწიგნობრო მოღვაწეობა თითქმის განსაკუთრებით მარტო საქართველოში მოთავსდა.

იმ კოლლექციებში, რომლებსაც ჩვენ ვიხილავთ და რომლებიც ნაწერია პაპირუსზე, ეტრატზე, ბამბიცინასა და ქაღალდზე შავი მელნით და სინგურით, ურევია ქართულის წერის სხვა და სხვა ნაირი და მეტად მრავალი ნიმუშები, მე-VII—XVIII საუკუნოებში ნაწერი.

პაპირუსის სვინაქსარი მე-VII—VIII საუკუნისა ნაწერია ხუცურით, უშნო და მიუხვეველის ხელით, ასო მთავრულები და წვრილი ასოები ერთმანეთშია არეული; პაპირუსის დავითნი კი, ამ ხანშივე დაწერილი, წვრილის ხუცური ასოებით არის ნაწერი; მხოლოდ ფსალმუნები და მუხლები იწყება ასო-მთავრულებით. არის რამდენიმე ლამაზი ხელნაწერი მე-VIII—X საუკუნოების წმ. საბას მონასტრისა. განსაკუთრებით ლამაზია ზემოხსენებული ორი ხელნაწერი—წმ. მამების ქმნილებათა კრებულნი 864 და 925 წწ.; ლამაზებია აგრეთვე სინას, ათონ—ივერიის და საძცხის ხელნაწერები მე-X—XI საუკუნ. თითქმის ყოველს დიდს მონასტერს თავისი ხელი ჰქონდა, მაგალითად., ათონ-ივერიის ხელი წვრილია, მოგრძო და ლამაზი, მაშინ როდესაც სინას ხელი, თუმცა აგრეთვე ლამაზია, განსხვავდება ასოების მსხვილის ხაზებით. ეტყობა რომ ქართველნი გადამწერნი ჰბაძავდენ იმ ხალხების წერის ფორმებს და მოხაზულებას, რომელთა შორისაც ცხოვრობდენ. გადამწერნი არა იშვიათად აღადგენდენ ხოლმე ხელს წინანდელ გადამწერებისას, რომელთაც რამდენისამე საუკუნით მათზე უწინ უცხოვრიათ, მაგალითად, მე-VII—VIII საუკ. ნაწერ დავითნის ხელს შეხვდებით

მე-X—XI საუკ. ათონისა და სინას ეტრატებზე ნაწერებში და მე-XIV—XVI საუკ. ქაღალდზე ნაწერებშიაც.—ამავე კოლლექციებში არის ნიმუშები იმ გვარის ნაწერებისა, რომლებიდამაც ცხადად ხედავთ, თუ როგორ გადადის ხუცური ოთხ კუთხური ხელი მხედრულს რგვალ ხელზე.

ზემოხსენებულს კოლლექციების ხელნაწერებში უკამასკნელი ადგილი არ უჭირავს მხატვრობას; ეს მხატვრობა პირველად, მე-VII საუკუნეში, უხერხულია, შემდეგ თანდათან ვითარდება და ეტყობა ეგვიპტურის, ბიზანტიურის, არაბულის და სპარსულის ხელოვნების ზედ გავლენა, თუმცა მრავალი ურევია წმინდა ქართული ხელოვნების ნაწარმოებიც, რომელთაგან ზოგნი სისრულის უმაღლეს ხარისხამდეა მიწეული. პირველ ქართულ ხელ-ნაწერში—პალესტინის პაპირუსის სვინაქსარში არშიებზე უხერხულად გამოხატულია სინგურით იესო ქრისტე და წმიდანნი, აგრეთვე დიდი დღესასწაულებიც. მხატვრებს უხატავთ ადგილის ბუნება და უბაძავთ ადგილობრივის ხელოვნებისათვის, მაგალითად, სინას მე-VIII—IX საუკ. ერთს ხელნაწერში დახატულია დედალი აქლემი, რომელსაც ლოინი კოზაკი ძუძუს ჰსწოვს და დედას კი ამასობაში კისერი გაუშვერია ბზის შტოის გამოსართმევად, რომელიც პირში უჭირავს მის წინ მდგომარე ირემს და აწვდის. საზოგადოდ სინას ხელნაწერების მინიატურები საკმაოდ ჰბაძვენ ეგვიპტისა და არაბეთის ხელოვნებას. სამცხის, გელათის და მარტვილის მონასტრების მე-X—XII საუკუნოების ხელნაწერთა მინიატურულ მხატვრობაში, ასო-მთავრულებში, ფერად სვეტებში და სხ. ერთობ ოსტატურად არის შეზავებული ბიზანტიურ-სპარსული კილო ქართულ კილოსთან. ეს მხატვრობანი უმშვენიერესი ნაშთია მინიატურულ ხელოვნებისა; სიმშვენიერით ამათ ბევრად ჩამორჩება იმავე დროის (X—XII საუკ.) *წმინდა ქართული* მინიატურები, რომელიც ყოველს შემთხვევაში ძვირფასად უნდა ჩაითვალოს, ქართულის თავისებურ, დამოუკიდებელის ხელოვნების ნაშთად. ქართულს მინიატურებში უპირატესობა უჭირავთ მცენარეების მხატვრობას—შტოების, ყვავილების და ფურცლების წნულებსა, რომლებიც განსაკუთრებულს თვისებას შეადგენს ქართულის მხატვრობისასა და ხუროთ-მოძ-

ვრობის კილოსას (სტილისას). მე-XIII—XV საუკუნოების მინიატურებს ეტყობათ საზოგადოდ ხელოვნების დაცემა, და მე-XVI—XVIII საუკ. მინიატურებს კი ეტყობათ, რომ სპარსულს ხელოვნებას უფრო უპირატესი გავლენა ჰქონია მათზე, ვიდრე ბერძნულს. იმდენად ძლიერი ყოფილა ეს გავლენა, რომ ადგილის კილო (ქართული) მხატვრობისა კიდევაც დაუმორჩილებია.

ამ ბოლო დროს ცნობაში მოყვანილ ისტორიულ ნაშთების ვრცელს განხილვას და დაფასებას სხვა ადგილს შევუდგები. აქ კი, მეტი არ იქნება, რამდენიმე სიტყვა ვთქვა საზოგადოდ ქართულს ისტორიულს მწიგნობრობაზედ, რომელსაც ამ უკანასკნელის 50 წლის განმავლობაში მეტი ყურადღება ჰქონდა მიქცეული, მაგრამ რომელსაც ზოგიერთმა რეცენზენტებმა მეტი წუნიც დასდეს.

„საისტორიო ნაწილს ქართულის მწიგნობრობისას—ვსწერდი მე 1883 წელს—თუმცა განსაკუთრებულს ყურადღებას აპყრობდნენ გამომკვლევლნი ამ ბოლონდელ ორმოც-და-ათის წლის განმავლობაში დ ერთგულად იკვლევდნენ, მაგრამ მისი განხილვა ჯერ სულ დასრულებულად მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს.—ქართულ მატიანეთა ნაშთების შ ე დ ა რ ე ბ ი თ ს ნაკლებობას (თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს სამეფოის ოცს საუკუნეზე მეტს არსებობას) და მათს გვიან შემუშავებას საკმაო სისრულეს სძენს ჩვენამდე მოღწეულნი, მრავალ რიცხოვანი და მრავალ გვარი ისტორიული ნაშთები, ისტორიასთან მჭიდრო კავშირის მქონენი. წმინდა ისტორიულ ნაშთების, მაგალითად, მატიანეთა რიცხვი, მართალია, უფრო ცოტაა, არა თუ მარტო სასულიერო ნაშთებზე, არამედ პოეზიისაზედაც, მაგრამ ამ შემთხვევაში ქართული ლიტერატურა ერთად ერთი არ არის ქვეყნიერობაზედ; მისი ბედისაა პოეზიისა და სასულიერო მწერლობის ნაშთებით მდიდარი ძველი ინდოეთის მწიგნობრობა, რომელსაც არა აქვს თითქმის არც ერთი ნამდვილი ისტორია, და ძველი სპარსეთის მწიგნობრობაც, რომლის ეროვნულის ისტორიოგრაფიის ხანა იწყება ჩვენის დროთა-აღრიცხვის მეათე საუკუნიდამ, ისტორიულ-ეპიკურის პოემით „შაჰ-ნამეთი“, მაშინ როდესაც სომხეთს, ამ სამის ქვეყნის მაგალითის წინააღმდეგ, სპარსეთის და საქართველოს მეზობელს—სამაგა-

ლითო ისტორიკოსები ჰყავს და პოეზიის კვალიც კი თითქმის სრულიად არა აქვს. ასე განსხვავებულია აღმოსავლეთის ოთხის მეზობელ ხალხის მწიგნობრობის ბედი. ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის განსჯას, თუ რად არის, რომ ზოგიერთს ხალხს აყვავებული აქვს ერთი რომელიმე დარგი მწიგნობრობისა და ზოგიერთს კი—მეორე.—

„ქართლის ცხოვრება“, რომელიც უმთავრესი და არა ერთად ერთი კრებულია ქართულ მატიანეთა, რამდენიმე ათი წელიწადია, რაც სადაო საგნად შეიქმნა მეცნიერთა შორის: ზოგიერთნი მათგანნი და მათ შორის ქართულის ენისა და მწიგნობრობის მცოდნენი აღიარებენ ისტორიულს უეჭველობას ამ კრებულისას, და ზოგიერთნი კი, რომელთა შორის უფრო მცოდნეებს ქართულ ანბანთა გარჩევაც უჭირთ, უარს ჰყოფენ ქართლის ცხოვრების ისტორიულს მნიშვნელობას და თავიანთს აზრს, რა კი ქართული ენის ფაქტიური ცოდნა არა აქვთ, ასაბუთებენ სხვა-და-სხვა ვითამ და მოსწრებულის მოსაზრებით. ის კი ავიწყდებათ, რომ ფაქტიური ცოდნის უქონლობის მაგიერობას გამოსაკვლეველს საგანში ვერავითარი ბრძნობა ვერ იზამს და რომ მოსწრებული აზრი თავის-თავად, თუ ფაქტიურს საფუძველს მოკლებულია, ყოველთვის მართალი კი არა, ჭკვიანურიც არ არის. ვინმე რომ განიზრახოს, მაგალითად, თუკიდიდეს, ტაციტეს ანუ ნესტორის მატიანეთა განხილვა და ბერძნულის, ლათინურის და სლავიანურის ანბანების გარჩევა კი არ შეეძლოს, თუმცა მოხსენებულ ავტორების (პირველის ორისა მაინც) ნაწარმოები მრავალჯერ თარგმნილია და დაწვრილებით განმარტებული, ასეთი კადნიერი განზრახვა დაცინვის მეტს ვერაფერს დაიმსახურებდა. ქართულის ისტორიულ კრებულის შესახებ კი რისთვის არ უნდა იყოს ასე—სწორედ გაუგებარი და მიუწდომელია გონებისათვის! განა რაც უფრო დახლართული და ნაკლებად გამოკვლეულია საგანი, მით უფრო ნაკლები ცოდნაა საჭირო, რომ მისს ღირსებაზე საჯოს კაცმა? განა ყველას ნება აქვს, როგორც სურს, ისე განსაჯოს იგი საგანი? ის კი არ არის საკვირველი, რომ არიან იმისთანა ადამიანები (ამისთანანი ყოველთვის ყოფილან და იქნებიან), რომელნიც დიდის სითამამით სჯიან იმ საგნებს, რომლისაც არა გაეგებათ რა, არამედ ის არის საკვირველი, რომ მოიპოვებიან

იმისთანანი, რომელნიც ისე გვაჩვენებენ თავს, ვითამ და ჩვენისთანა კრიტიკოსების აზრი მეცნიერებისათვის საყურადღებოაო. ცდას ამ რეცენზენტებისას, რომელთაც ფაქტიური ცოდნა არა აქვთ, და სხვა და სხვა მოსაზრებას კი დიდის გულმოდგინებით გაჭოლიან, ტყუილად არ ჩაუვლია იმ მკითხველებისათვის, რომელთაც ქართული ენა და ლიტერატურა არ იციან, და აგრეთვე არც ქართულის მეცნიერებისათვისაც, რომელიც, დიდი ხანი არ არის, რაც აღმოცენდა ევროპის ნიადაგზე და ჯერ კიდევ სულ გამაგრებული არ არის, და მისს შემდეგს ზრდას, როგორც ეტყობა, სიავათ უქადის... ქართული ისტორიული ნაშთები ცოტა ყოფილაო, ჰფიქრობენ, მოხსენებულ რეცენზენტების სიტყვით, ზოგიერთები,—მაშასადამე კულტურაც სუსტი ჰქონიათ ამ ქვეყანაშიო, და თუ ეგ ასეა, განა ღირსია ამისთანა ხალხის წარსულის ცხოვრების შესწავლაო? ამისთანა ცალ-მხრივს, ყოველად უსაფუძვლოს და გაუმართლებელს მსჯელობას უკვე მოაქვს, სამწუხაროდ, თავისი მწარე ნაყოფი, რომელმაც, შესაძლებელია, დიდად სავალალო და მავნებელი შედეგი იქონიოს ამ ნორჩის მეცნიერებისათვის.

ეჭვი არ არის, რომ ქართული ისტორიოგრაფია მდიდარი არ არის წმინდა ისტორიულ შინაარსიანის ნაშთებით, მაგრამ განა მარტო ქრონიკები და მატიანენი შეადგენენ ქვეყნის ისტორიას? რასაკვირველია, არა; იმიტომ რომ, რა გვეცოდინებოდა ეგვიპტისა, ძველის სპარსეთისა, ასირიისა და ბაბილონისა და სხვ., თუ კი უყურადღებოდ დავტოვებდით ჩვენამდე მოღწეულს ღარიბს ნაშთებს მათის მწერლობისას და წარსულის ცხოვრებისას, მაგ. იეროგლიფებს და ლურსმულ წარწერებს, ხუროთ-მოძღვრებასა და საზოგადოდ სამხატვრო ნაშთებს, საზოგადო შენობებს და სხვა სიძველეებს? შეგვეძლოთ განა თვით თუკიდიდეს, გინდ ტაციტეს, მათ ასაწერ ეპოქების, ბერძნებისა და რომაელების ცხოვრებისა და კულტურის მრავალ ნაირობისა და სიმდიდრის ყოველ მხრივ სრული სურათი გადმოეცათ ჩვენთვის, თუ რომ ჩვენ თვითონ არ ვასრულებდეთ მათს მონათხრობს სხვა გვარის ფაქტებით, რომლებსაც ვიძენთ სიტყვა-კაზმულ მწიგნობრობიდამ, ხელოვნებისა და კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრების ნაშთებიდამ და სხვ?

საქართველოს მდგომარეობაც ამ ნაირია: რაზედაც მდუმარებენ

მხსნი მატიანენი, იმაზედვე ხმა მაღლა ღაღადებს მისი მდიდარი სასულიერო და საერო (სიტყვა-კაზმული) ლიტერატურა მეხუთე საუკუნიდამ, ეპიგრაფიული და ნუმიზმატიური ნაშთები მეხუთე—მეშვიდე საუკუნიდამ, ათი-ათასობით დაცული ისტორიულ-იურიდიული გუჯრები და სიგელები მეათე საუკუნიდამ, აგრეთვე მრავალი ნაშთები საეკლესიო და საერო ხუროთ-მოძღვრობისა და მხატვრობისა, საზოგადო შენობათა ნანგრევნი და სხვა...

დასასრულ, ზემოდ გამოთქმული აზრები ასე შეიძლება დავასკვნათ: ა) რომელისამე ხალხის მწიგნობრობაში მატიანეთა და ქრონიკების სიმცირე ჯერ კიდევ არ ჰნიშნავს იმ ხალხის კულტურის სიღარიბესა და სიმდარეს, და არც მის აზროვნობისა და შემოქმედობის ორგანიულს სნეულებას, მით უფრო, თუ სხვა გვარი წერილობითი ნაშთი ბევრია. ამის მაგალითი არის ინდოეთი და სპარსეთი; ბ) მეორე მხრით, მატიანეთა და ქრონიკების სიმრავლე ყოველთვის არ არის მომასწავებელი ხალხის კულტურისა და ისტორიულის ცხოვრების საუცხოვო დიდებისა, ძლიერებისა და სიმდიდრისა: ამის მაგალითი არის სომხეთი; გ) წერილობით ნაშთებს გარდა, ხალხის ისტორიას აქვს კიდევ მრავალი სხვა ნივთიერი ნაშთები, რომელთაც უთუოდ ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ჭეშმარიტი ცნება შევიდგინოთ ხალხის კულტურისა და ისტორიულის ცხოვრებისა; დასასრულ, დ) არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ ის თავდა პირველი წესი, რომ რომელისამე წერილობითი ნაშთის სამეცნიერო ღირსებაზე მსჯელობის უფლება ვისაც სურს იქონიოს, იმას, სულ ცოტა რომ ვთქვათ, იმ ენის ცოდნა მაინც მოეთხოვება, რომელზედაც ის ნაშთი არის დაწერილი.

კარგად ვიცით, რომ „ქართული ლიტერატურა მდიდარია პოეტურ ნაწარმოებით, რომლის უმრავლესობამ ჩვენამდე მოაღწია და აღნიშნულიცაა ქართულ წიგნების 1838 წ. შედგენილს კატალოგში. მას შემდეგ ნაპოვნია კიდევ რამდენიმე წიგნი, ასე რომ ამჟამად რამდენიმე ათი ცალი სხვა და სხვა ეპოემისა და სივრცის თხზულებანი შეგვიძლია ჩამოვითვალოთ, უპირატესად მე-XI—XII და XVII—XVIII საუკუნისანი. მათ შორის არის აღმოსავლეთის მუზას უკეთესნი ნაწარმოებნიც, ხშირად მთარგმნელთაგან დამატებულნი, მაგალითად,

„შაჭ-ნამე,“ „როსტომიანად“ წოდებული, „ანვარი-სოჰაილი“, “ქილილა და დამანა“ და სხვ.—უმრავლეს მათგანისა კი მარტო სახელები ვიცით. ისიც უნდა ვთქვათ, რომ მათს შესწავლას მარტო ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის კი არა აქვს მნიშვნელობა, საზოგადო ლიტერატურის ისტორიისთვისაც არ იქნება უსარგებლო მათი შესწავლა. ამ შესწავლით შეიძლება აიხსნას იმისთანა საგნები, რომლებიც დღეს გამოურკვევლად და დასლართულად ითვლება, მაგალითად, აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოეტურ გადმოცემათა ურთიერთშორის დამოკიდებულება და კავშირი, რომელზედაც ამ ბოლო დროს დიდი ყურადღება აქვთ მეცნიერებს მიპყრობილი.

---

# XXX. საქართველოს განთავისუფლება ბერძნებისაგან ფარნავაზის მიერ

302 წ. ქრ. წინ.

(ნ. მთვარელიშვილისა)

უკანასკნელ მამასახლისად საქართველოში იყო სამარა. სამარა გვარ-ტომობით ეკუთვნოდა ქართლოსის შტოს. როდესაც სამარა მამასახლისობდა მცხეთაში, მაშინ გამოილაშქრა აზიაზედ ალექსანდრე დიდმა, მაკედონელმა (336—323). ეს იყო მე მაკედონიის მეფის ფილიპესი, რომლის სახელმწიფო მდებარეობდა ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზედ, თესალიის ჩრდილოეთით. ფილიპემ, თავის სიცოცხლეშივე დაიპყრო საბერძნეთი და ემზადებოდა სპარსეთზე გასალაშქრებლად, მაგრამ მოულოდნელმა სიკვდილმა აღარ შეასრულებინა ესრეთი განზრახვა. ამისმა მემკვიდრემ ალექსანდრემ მოიწადინა შესრულება მამის განზრახვისა და 30,000 მხედრობით გაილაშქრა სპარსეთის დასაპყრობად. მაკედონელის ლაშქარი გადმოვიდა მცირე აზიის ნახევარ-კუნძულზედ, სადაც დახვდა თავის ჯარით სპარსეთის მფლობელი დარიოს III კოდომანი (336—330), რომელიც ამ დროს ძლიერებით აღემატებოდა ყველა აზიის მფლობელთ. მდ.

გრანიკთან ბრძოლის დროს (334 წ.) დარიოსი დამარცხდა. პირველის ბრძოლის შემდეგ მცირე აზიაში, თვით ალექსანდრე თავის მხედრობით გაემგზავრა სამხრეთად, ხოლო ერთი ნაწილი ჯარისა აზონის სარდლობით გამოგზავნა საქართველოსკენ. აზონის მხედრობა, რომელიც შესდგებოდა 10,000 კაცისაგან, შემოვიდა ჭოროხის ხეობაში, სადაც თვით ალექსანდრესაგან გამოგზავნილი იყო მხედართ-მთავარი მემნონი, რომელსაც ისპირის ხეობაში უნდა დაეპყრო ოქროს მადანი. ჭოროხის ხეობიდამ აზონი გამოემართა რიონის ხეობისკენ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთად, გადმოიარა ლიხის მთა სურამის ქედზედ და შემოვიდა ქართლს. მაკედონელის მხედრობა „გადმოვიდა დასავლეთით, შემოვიდა ჩრდილოთ, გადმოვლო კავკასი და მოვიდა ქართლად", ვკითხულობთ თვით „ქართლის ცხოვრებაში". აქ მაკედონელთ მხედრობამ „ჰპოვა ციხე-ქალაქნი ძლიერნი".

„ამათ ყოველთა ციხეთა და ქალაქთა შინა ჰპოვნა კაცნი, სასტიკად მბრძოლნი". ამისთვის „თვით დადგა ქსანსა ზედა და დაუდგინნა ლაშქარნი მცხეთას იმიერ დ̃ ამიერ, ზემოთ დ̃ ქვემოთ". მტერსა ჰყვანდა უფრო დახელოვნებული და უკეთესად გაწვრთნილი ჯარი ბერძენთაგან. ამ ბრძოლის დროს ქართველნი იძლივნენ და აზონმა დაიპყრო მცხეთა, საქართველოს დედა-ქალაქი. მოიკლა აგრეთვე მცხეთის მამასახლისი სამარა, კაცი სახელოვანი დ̃ ძმა მისი, მ ა მ ა ფ ა რ ნ ა ვ ა ზ ი ს ა (✝ 326). დანარჩენნი საქართველოს ციხე-ქალაქნი აზონმა სრულიად დაიპყრო ექვსს თვეს. მაგრამ ამის შემდეგაც სამი ციხე-ქალაქი გადარჩა დაუპყრობელი მტრისგან: „მტკვრის-ციხე, თუხარისი და სარკინე".

აზონს მძლავრი წინააღმდეგობა აღმოუჩინეს მომეტებულად სარკინის ანუ ზედაზნის მცხოვრებთ „ბუნ-თურქთა" (უძველეს თურქთა), რომელნიც აქ კიროსის დროდგანვე იყვნენ დასახლებულნი. ესენი უკადრისის სიტყვებით იხსენიებდენ აზონს, ე. ი. „აგინებდენ". აზონმა ძლიერ იწყინა ამ გვარი ქცევა სარკინელთ თურქთა და შეუთვალა: „ვინაიდგან მაგინეთ მე, ესე არს ნაწილი (ხვედრი) თქვენი, რათა დაგხოცნე ყოველნი". მართლაც აზონმა შემოარტყა ჯარი სარკინეთს და „თერთმეტის თვის განმავლობაში" არც ერთი არ განთავისუფლებულა შეპყრობილთაგანი. როდესაც ძლიერ შეწუხდენ

სარკინელნი, იწყეს ფარულად თხრა ხვრელისა და გახვრიტეს კლდე, რომელიც ადვილი სათხრელი იყო, რადგან ნიადაგი თიხისა აღმოჩნდა. ერთ ღამეს სარკინელნი გავიდენ იმ ხვრელით და შევიდენ კავკასიის მთაში. ამის შემდეგ აზონმა მიუსია ჯარი დანარჩენ ციხე-ქალაქებსაც, „მტკვრის ციხეს და თუხარისს“, და მცირე ხანში „დაიპყრა ყოველნი საზღვარნი ქართლისანი ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ზღვადმდე სპერისა, დაიპყრა ქართლსა ზედა ეგრისიცა და მოხარკე ჰყვნა ოსნი, ლეკნი და ხაზარნი“.

ამ დროს უცხო ერთაგან ძველადვე გადმოსახლებულნი იყვნენ საქართველოში: ა) „ებრაელნი“ (ნაბუქოდონოსორის დროითგან, 604—588), ბ) „თურქნი“ (კიროსის დროითგან, 553—529) და გ) „ბერძენნი“. აზონმა „ყოველნი იგი უცხო ნათესავნი აღრეულნი, ქართლს მყოფნი, მოსრნა, და დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანნი“. მაგრამ ამ უკანასკნელებთანაც დიდ-ხანს ვერ იქონია მეგობრული განწყობილება. ეს იყო კაცი მრისხანე და მემმურნე, რომელიც ითხოვდა ქართველთაგან მონურს მორჩილებას. ქართველობა ეურჩებოდა აზონის განზრახვას: ამისთვის ამან გასცა სასტიკი ბრძანება, რომ მოეკლათ ვინც კი ქართველთაგანი იარაღით შეჭურვილი იქმნებოდა, და რომელიც განსხვავდებოდა გმირულის შესედულობით და რაინდულის ქცევით. ერთის სიტყვით, „აზონმა დაადგინა მხედრობანი საჭიროთა ადგილთა, ქალაქთა და ციხეთა, ეგრეთვე დაადგინა გამგენი ქალაქთა და სოფელთა, და აჭირვებდა ფრიად საქართველოსა“. ამის გამო, მემატიანეს სიტყვით, „იყო ჭირი დიდი ქართველთა ზედა“. ამ-გვარად აზონმა დაიპყრო მთელი საქართველო, რომელსაც ეჭირა ოთხი უდიდესი ხეობა: ჭოროხისა, რიონისა, ენგურისა და მტკვრისა, სათავიდამ აქსტაფის შესართავამდე, ანუ „ოთხნი ციხენი, რომელნი მოსდგმიდეს პირსა ქართლისასა“: თუხარისი (კლარჯეთი), ფოთი, ბედია და მცხეთა. აღწერიდამ ცხადად სჩანს, რომ აზონს საშინლად სძულდა ქართველობა. ესრეთი სიძულილი აზონისა ქართველთადმი ცხოვლად დაგვისატა ჩვენმა პოეტმა შემდეგის სიტყვებით:

„სძულდა ქვეყანა, რომელიცა მას ეპყრა ხელთა,
სძულდა თვით ერიც, მის სიკეთე, ნიჭიერება...
ერის მჩაგვრელი, ქვეყნის მთხრელი იგი მმართველი,
მთელს საქართველოს თვის ფერხთა ქვეშ მჩვარებრ ჰთელავდა
ერის იმედის, სასოების, ნიჭის მმუსრველი,
თვით ერის ენას,—მაგ ერის განძს, იგი სდევნიდა.
სძაგდა ყოველი, რაშიც იყო ერის ღირსება,
რაშიცა ერი თვისთა ნიჭთა იყო მსახველი,
რაშიცა იყო მის დიდება, პატიოსნება,
რისთვისაც დაშვრა მამაპაპის გული და ხელი.
მას ჰმორჩილებდა ერი შენი მძლავრებითა,
დევნულებისა და კირთების ქვეშ ქედსა იხრიდა,
და მონებრივის თვალთ-მიმქცევის კრძალულებითა
ძლევის წადილს გულ-დაკეტით დღე და ღამ ზრდიდა“.

(ილია ჭავჭავაძე, პოემიდამ „აჩრდილი“)

ქართველობა მით უმეტეს თაკილობდა ამ გვარს მჩაგვრელს, რომ მიჩვეული იყო თავისუფალს, დამოუკიდებელს ცხოვრებას. მთელი ერი ელოდა მხოლოდ შეუჩვეველ მტარვალისაგან გამომხსნელს, რომელიც კიდეც გამოუჩნდა. ეს ქართველთა მხსნელი იყო ახალგაზდა ფარნავაზი, ძმისწული მცხეთის მამასახლისის სამარასი, რომელიც, მამის სიკვდილის შემდეგ აზონთან ბრძოლის დროს, დარჩა სამის წლისა ობლად. მცირე წლოვანი ფარნავაზი აღზარდა კავკასიის მთებში ქვრივმა დედამ, რომელიც იყო ასული სპარსეთის მეფის დარიოსის III კოდომანისა. როდესაც ფარნავაზი შესრულდა ოცის წლისა, დედა მისი თავის შვილებით ჩამოვიდა მთიდამ ბარად და დასახლდა ქ. მცხეთას. თუმცა დედას ეშინოდა აზონის მტერობისა და ჰფარავდა ფარნავაზის ნათესაობას მცხეთის მამასახლისს სამარასთან, მაგრამ აზონმა მაინც შენიშნა ის და მიაქცია თავის ყურადღება, რადგან ეს ფარნავაზი „იყო კაცი გონიერი, მხედარი და მონადირე ხელოვანი“. სცნა რა ამისთანა ვაჟკაცობა ფარნავაზისა, აზონმა შეიყვარა იგი მომეტებუ-

ბუღად მონადირეობისათვის. დედა კი, რომელიც ეჭვის თვალით უყურებდა ფარნავაზის დაახლოვებას აზონთან, ურჩევდა თავის შვილს: „შვილო ჩემო, ეკრძალე აზონს და ნუ რა რას იჩინებ სიკეთესა თავისა შენისასა, ნუ უკვე მოგკლას შენ“ (ქ. ც. 1, გვ. 29). რამდენიც დრო გადიოდა, იმდენად უფრო საშიშარი ხდებოდა ფარნავაზის უვნებელი ცხოვრება და ამისთვის დედამ მოიწადინა წასვლა თავის შვილით ისპაანს, თავის სამშობლოს. ფარნავაზს ძლიერ ეძნელებოდა სამშობლოს დატოვება, მაგრამ არც დედის წინააღმდეგ უნდოდა მოქცეულიყო დ ამით დაერღვია მისი მშობლიური გულის სიმშვიდე. ფარნავაზი ამის გამო დიდს ფიქრში იყო თავის მომავლის ბედის შესახებ. ამ ხანებში ფარნავაზმა, თვისს მომავალს ბედზედ ფიქრით გატაცებულმა, ნახა ერთი სიზმარი, სიკეთის მომასწავებელი. ვითომც ფარნავაზი იყო შემწყვდეული სახლში, ამოვიდა მზე და ფანჯრიდამ მისი შუქი შემოერტყა გარს და გამოიყვანა სახლიდამ გარედ. აქ ფარნავაზის ფეხქვეშ ნამიანს ბალახს მოიფენილი ჰქონდა სხივი მზისა. ფარნავაზმა გამოიღო უბიდამ ხელსახოცი, მოჰხოცა ნამი და მოიბანა პირი.

რამდენისამე დღის შემდეგ, ფარნავაზმა მოიწადინა ნადირობა დიღმის მიდამოში მარტოდ. აქ ის შეჰხვდა ირმის ხროს და ერთი მათგანი კიდეც დასჭრა, რომელსაც დიდხანს სდია დასაჭერად. საღამოს ბინდმაც მოატანა და შხაპუნა წვიმამაც დაასხა. ფარნავაზმა ძალაუნებურად იწყო ძებნა თავსაფარისა და ბოლოს მიაგნო ერთს გამოქვაბულს. როდესაც ფარნავაზმა დაანთო ცეცხლი და დაათვალიერა გამოქვაბული, შენიშნა კარების მსგავსი კედელი, აიღო დუგლუგი (მუზი, კვერი) და, როდესაც გამოანგრია კარები, შევიდა შიგ და „იხილა მუნ განძი მიუწდომელი, ოქრო და ვერცხლი და სამსახურებელი ოქროსა და ვერცხლისა მიუწდომელი“ (ქ. ც. 1, გვ 29).

ფარნავაზი ახლა-ღა მიჰხვდა, თუ რას ჰნიშნავდა უცნაური მისი სიზმარი და უფრო დიდი იმედი მიეცა თავისს კეთილს მომავალზედ. შინ დაბრუნების შემდეგ, ეს ამბავი ახარა თავისს დედას და ორს დას. ამათ ოთხივემ იწყეს ღამით ზიდვა ამ საგანძურისა და ხუთს ღამეს გაათავეს იმის ზიდვა „სახედრებით და ჭურჭლებითა“ (იქვე).

ამ ბედნიერის შემთხვევის შემდეგ, ფარნავაზმა საბოლოოდ გადასწყვიტა, რომ დედის სურვილის აღსრულება მისს სამშობლოში წასვლის შესახებ სრულიად მოუხერხებელი ფიქრია და საქართველოსთვის საზარალო. ფარნავაზმა გადასწყვიტა, რომ ახალის სიმდიდრის შემწეობით იმას ადვილად შეეძლო აესრულებინა თავისი განზრახვა, რომელიც დღე-და-ღამ მოსვენებას არ აძლევდა. ეს იყო საქართველოს გამოხსნა უცხო მთავრის ხელიდამ, რომელიც შეურაცხჰყოფდა ქართველებს და მათს ზნე-ჩვეულებას.

ამ დროს დასავლეთ საქართველოში გამოჩენილი იყო ერის-მთავარი, სახელად ქუჯი, ძე მხედართ-მთავრისა, რომელიც მამასახლისობის დროს უძღოდა მხედრობათა. ადგილ-სადგომი ქუჯსა ჰქონდა რიონის სათავეში, სვანეთის მიჯნაზედ, რომელსაც ეწოდებოდა სახელი „ცისე-გოჯი“ (ნაქალაქევი).

ფარნავაზმა საშველად თავის საქმეში ამოარჩია ქუჯი და შეუთვალა: „არს ჩემთანა ხვასტაგი დიდ-ძალი. უკეთუ ინებო, მოვიდე ხვასტაგითა მით შენთანა, ვიყვნეთ ჩვენ ძმა, ვისმაროთ ხვასტაგი იგი ორთავე და გამოუჩნდეთ ჩვენ მტერად აზონს“ (ქ. ც. 1, გვ. 30). ქუჯს დიდად მოეწონა ამგვარი რჩევა ფარნავაზისა და დიდის სიამოვნებით მიიწვია თავისთან ფარნავაზი დედით და დებით, და ესენიც მსწრაფლად გაემგზავრენ ქუჯთან. ფარნავაზმა და ქუჯმა, თათბირის შემდეგ, მოიწვიეს მომხრედ „ოვსნი“ და „ლეკნი“, რომელთაც დიდის სიამოვნებით აღასრულეს ფარნავაზის წადილი, რადგან არ უნდოდათ ხარკის მიცემა აზონისთვის, რომლის მტარვალობა ყველასა სძაგდა. ამგვარად „შეკრბეს ურიცხვნი სპანი და მოჰმართეს აზონს“. ერთის სიტყვით, ლაშქრობაში იღებდენ მონაწილეობას: ამერ-იმერნი, ფშავ-ხევსურნი, თუშნი, ოსნი და ლეკნი.

ფარნავაზი თავის ჯარით შემოერტყა პირველად დედაქალაქს მცხეთას. როდესაც რომაელთ დაინახეს ურიცხვი ჯარი ფარნავაზისა და მოიგონეს მტარვალური ქცევა აზონისა, ათასი მხედარი რჩეული რომთაგან, განუდგა აზონს და გადმოვიდა ფარნავაზისაკენ. ამ ბრძოლის დროს აზონი იძლია და განივლტო „კლარჯეთს“, სადაც მოუწოდა ახალს ჯარს რომიდამ, და აქ გამაგრდა. ფარნავაზმა დაიპყრო მასვე წელს მთელი საქართველო, გარდა „კლარჯეთისა“.

ფარნავაზიც თავის მხრით შეუდგა მზადებას აზონთან ბრძოლის-თვის. წინანდელ მომხრეთა გარდა, ფარნავაზმა მოიწვია ამ დროს განთქმული თავის ძლიერებით აზიაში სირიის მეფე, რომლის მეგობ-რობა ქართველთათვის არა ოდეს არ იქმნებოდა უმნიშვნელო და უსარგებლო. მართლაც ფარნავაზმაც სთხოვა შემწეობა სირიის მეფეს ა ნ ტ ი გ ო ნ ს, რომელსაც გაუგზავნა ძღვენი და აღუთქვა მორჩილება. რადგან სომხეთის მეფეც ემორჩილებოდა სირიას, ამისთვის ანტიგონმა მოსწერა მას, რომ მოეშველებინა თავისი ჯარი ფარნავაზისთვის.

მეორე წელს აზონი ახალის მხედრობით შემოესია საქართველოს დასავლეთით და შემოარტყა თავისი ჯარი მტკვრის სათავეში მდებარე ციხეს „არტანისს“ (ქაჯთა-ციხე, ჭური, ისტ. თეიმურაზ ბატონ., გვ. 32, ქ. ც. 1, გვ. 31). ფარნავაზიც შეებრძოლა თავის ჯარით მო-სისხლე მტერს დიდის თავგანწირულებით. ხანგრძლივის ბრძოლის შე-მდეგ აზონი მოკლულ-იქმნა, ხოლო „ურიცხვნი სპანი რომაელთა მოს-რნეს და ტყვე ქმნეს“ (ქ. ც. 1, 31) ქართველთა. ამ სახით ფარნავაზმა დაიმორჩილა დასავლეთი ნაწილიცა საქართველოსი ეგრისის მდინარემ-დე, აიღო კლარჯეთი და დაბრუნდა მცხეთას დიდის დიდებით. ამის-თანა ქცევით ფარნავაზმა ნათლად დაუმტკიცა საქართველოს თავისი სიყვარული და თავგანწირულება. ფარნავაზის ესრეთს ღვაწლს გვისა-ტავს ჩვენი პოეტი შემდეგის სიტყვებით:

„მან იდვა თავსა სახელოვანი, ის დიდი საქმე შურის-გებისა.
ერის და ქვეყნის შეურაცხყოფას ვეღარ გაუძლო ჭაბუკმა გმირმა,
ვეღარ გაუძლო მტარვალთ ურცხვობას იმა მამულის ამაყმა შვილმა.
აღდგა და დასცა თავზარი მტერსა, დაამხო პირქვე ყმობა, მონება,
და უცხოთ ხელთ-ქვეშ დაჩაგრულს ერსა, ვით მზე, მოჰფინა თავი-სუფლება, —
და შენ, ჰე ქართლო, მტრისგან რღვეული კვლავ შეგაერთა ერთის ცხოვრებით,
ქართვლის სახელი, დამცირებული, კვლავ შეჰმოსა მან პატიოსნებით“.

(ილ. ჭავჭ. პოემიდამ „არჩრდილი“).

ჯილდოდ ამ გვარის ღვაწლისა სამშობლოსათვის მთელმა საქართველომ ამოირჩია ოც-და-შვიდის წლის ფარნავაზი თავის უფროს მმართველად და უწოდა „მეფედ“ მთელის საქართველოისა, მისგან განთავისუფლებულისა და შეერთებულისა..

---

## XXXI. პირველი მეფე საქართველოსი ფარნავაზ

302—237 წწ. ქრ. წინ.

(ქართლის-ცხოვრება, ნაწ. I.)

მას ჟამსა იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა, რომელსა ერქვა ფარნავაზ. ესე ფარნავაზ იყო მამულად *) ქართველი, ნათესავი უფლოსისა, მცხეთოსის ძისა, და დედულად **) სპარსი, ასპანელი. და იყო იგი ძმის წული სამარასი, რომელი მოსვლასა-მას ალექსანდრესსა ***) მცხეთელი მამასახლისი ყოფილ იყო. ესე სამარ და ძმა მისი, მამა ფარნავაზისი, მოკლულ იყო ალექსანდრესგან. ხოლო დედასა ფარნავაზისასა წარეყვანა ფარნავაზ, სამისა წლისა ყრმა, და შელტოლვილ იყო კავკასიად, და მუნ აღზრდილ იყო. და მოსრულ იყო მცხეთას მამულსა თვისსა. ხოლო ესე ფარნავაზ იყო კაცი გონიერი, მხედარი და შემმართებელი ****) და მონადირე ხელოვანი. და იმალვიდა იგი სიკეთესა თვისსა აზონის შიშისა-გან. ხოლო მონადირეობითა მისითა იქმნა მეცნიერ აზონისსა, და შეიყვარა იგი აზონ-მან მონადირეობისა-თვის. ევედრებოდა ფარნავაზს დედა მისი: „შვილო ჩემო, ეკრძალე აზონს და ნურა-რას იჩინებ სიკეთესა თავისა შენისასა, ნუ-უკვე მოგკლან შენ“. და იყო ძრწოლა მათ ზედა. და ვითარ განძრავლდა შიში აზონისი მათ ზედა, რქვა ფარნავაზს: „შვილო ჩემო, დაუტევე საყოფელი მამათა შენთა და წარმიყვანე მამულსა ჩემსა, ასპანს, ძმათა ჩემთა თანა, და განერე შენ ცოცხალი ხელისა-გან აზონისა“. და დაამტკიცეს განზრახვა ესე, წარსვლა ასპანსა. ჭირ-უჩნდა ფარნავაზს დატევება საყოფელისა მამათა პისთასა, არამედ შიშისა-გან დედისა დაამტკიცა წარსვლა. მაშინ იხილა სიზმარი ფარნავაზ, რეცა *****)

---

*) მამით.—**) დედით.—***) შეადარე ზემო წერილს.—****) მხნე, გამბედავი.—*****) ვითამ.

იყო იგი სახლსა შინა უკატურსა და ეგულვებოდა განსვლა და ვერ განვიდა. მაშინ გამოვიდა სარკმელსა მზისსა შუქი მისა და მოერტყა წელთა მისთა, და განიზიდნა, და განიყვანა სარკმელსა-მას. და ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქვემდებარედ, მიჰყო ხელი მისი, მოხოცა ცვარი პირისა მისისა, და იცხო პირსა მისსა. განიღვიძა ფარნავაზ და განუკვირდა სიზმარი იგი: „ესე არს, მე წავალ ასპანს და მუნ სიკეთესა მივეცემი“.

ხოლო მას დღესა შინა განვიდა და ნადირობდა მარტო, და დევნა უყო ირემთა, ველსა დიღომისასა. და ივლტოდეს ირემნი ღრაღალთა შინა ტფილისისათა. მისდევდა ფარნავაზ, სტყორცა ისარი და ჰკრა ირემსა, და მცირედ წარვლო ირემ-მან და დაეცა ძირსა კლდისასა. მივიდა ფარნავაზ ირემსა ზედა, და დღე იგი მწუხრი გარდასდა და დაჯდა ირემსა მას თანა, რათამცა დაყო მუნ ღამე იგი, დილეულმცა წარვიდა. ხოლო კლდისა მის ძირსა იყო ქვაბი, რომლისა კარი აღმოქმნულ იყო ქვითა ძველად, და სიძველითა შექმნოდა დარღვევა შენებულსა მას. მაშინ დაასხა წვიმა მძაფრი. ხოლო ფარნავაზ აღმოიღო ჩუგლუგი *) და გამოარღვია კარი ქვაბისა მის, რათამცა მუნ შიგა დაიმშრალა წვიმისა მისგან. და შევიდა ქვაბსა მას და იხილა მუნ შინა განძი მიუწდომელი, ოქრო და ვერცხლი, და სამსახურებელი ოქროსა და ვერცხლისა მიუწდომელი. მაშინ ფარნავაზ განკვირდა და აღივსო სიხარულითა, და მოეგონა სიზმარი იგი, და დაკრძალა **) კარი ქვაბისა ეგრეთვე. მსწრაფლ წარმოვიდა და უთხრა დედასა თვისსა და ორთა დათა მისთა. მასვე ღამესა წარმოვიდეს სამნივე იგი, სახედრებითა და ჭურჭლებითა, და იწყეს გამოღებად განძისა მის და დაფლვად სიმარჯვესა თვისსა. ვითარ განთენდებოდის, კვალად ეგრეთვე აღმოქმნიან კარი ქვაბისა მის, და ეგრეთ გამოკრიბეს იგი ხუთ ღამე და დაიგულეს სიმარჯვესა მათსა.

მაშინ ფარნავაზ წარგზავნა მონა თვისი ქუჯისთანა და ჰრქვა: „მე ვარ ნათესავი უფლოსისი, მცხეთოსის ძისა და ძმის-წული სამარა მამასახლისისა, და არს ჩემთანა ხვასტაგი დიდ-ძალი. აწ ინებო რათა

*) ჩაქუჩი.—**) დახშო.

მით ხვასტაგითა მოვიდე შენთანა და ვიყვნეთ ჩვენ ძმა, და ვისმაროთ ჩვენ ხვასტაგი იგი ორთავე: გამოუჩნდეთ ჩვენ მტერად აზონ ურისთვისა, და სვემან ჩვენმან გვცეს ჩვენ ძლევა კეთილი. მაშინ განიხარა ქუჯი სიხარულითა დიდითა, და ჰრქვა: „აღდეგ და მოვედ ჩემ-თანა და ნუ შურობ ხვასტაგსა შენსა, და ხვასტაგებითა შენითა განვამრავლნე სპანი შენნი, ვიდრე გამოვჩნდეთ მტერად აზონისა. მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა, აწყვედილთა *) მის-გან, და მიწყვდეულთა და გგონებ რომელ რომთა მათგანიცა გამოგვერთნენ **), რამეთუ ურიცხვი აწყვედილ არიან მათგანნიცა აზონის-გან.“ მაშინ ფარნავაზ ფარულად წარვიდა სიხარულით, და რომელი შესაძლებელი იყო განძისა მისგან წარიტანა თანა, დედა და დანი მისნი მის თანა. და მივიდა ქუჯის თანა, და ჰრქვა მას ქუჯი: „შენ ხარ შვილი თავთა მათთა ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩვენი. აწ ნუ შურობ ხვასტაგსა შენსა, რათა განვამრავლნეთ სპანი; და უკეთუ მოგვეცეს ძლევა, შენ ხარ უფალი ჩვენი, და მე ვარ მონა შენი“.

მაშინ შეიერთნეს და ეზრახნეს ოვსთა და ლეკთა. ხოლო მათ განიხარეს, რამეთუ არა ჰსთნდა ხარკისა მიცემა აზონისა, და მოჰყვეს ოვსნი და ლეკნი, და განიმრავლეს სპანი. ეგრისით შეკრბეს ურიცხვნი სპანი და მომართეს აზონსა. ხოლო აზონმან მოუწოდა სპათა თვისთა და შემოჰკრიბნა. მაშინ ათ-ასი მხედარი რჩეული რომთა მათგანი, რომელთა ბოროტი წაჰკიდებოდა აზონის-გან, განუდგეს აზონს და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისსა. მაშინ ყოველნი ქართველნი განუდგეს აზონს. ხოლო სპანი რომელ დარჩომილ იყვნეს, ვერღარა მიენდო მათ, რამეთუ ბოროტის მოქმედ იყო. წარვიდა აზონ და მივიდა კლარჯეთს, და გამაგრდა იგი სიმაგრეთა შინა კლარჯეთისათა. ხოლო მოვიდა ფარნავაზ მცხეთას და დაიპყრნა ოთხნი იგი ციხენი მცხეთისანი, და მასვე წელიწადსა შინა დაიპყრა ყოველი ქართლი, თვინიერ კლარჯეთისა. ამან ფარნავაზ წარავლინნა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს ასურასტანისა ***) და წარსცა ძღვენი დიდ-ძალი

---

*) არჩრებულთა, დანაწილებულთა. — **) შემოგვიერთდენ. — ***) ასურისტანი ეწოდება აქ სირიას. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ სირიაში 311—281 წწ.

და აღუთქვა მას მსახურებაი, და ითხოვა მის-გან შეწევნა ბერძენთა ზედა. ხოლო ანტიოქოს შეიწყნარა ძღვენი მისი, და უწოდა შვილად თვისად, და წარმოსცა გვირგვინი, და უბრძანა ერისთავთა სომხითი-სათა, რათა შეეწეოდენ ფარნავაზს.

ხოლო წელსა მეორესა აზონ მოირთნა სპანი საბერძნეთით, განძლიერდა ფრიად და მოჰმართა ფარნავაზს. ხოლო ფარნავაზს განე-მრავლნეს მჴედარნი ქართლისანი: მოუწოდა მათ და უხმო ქუჯის და ოვსთა. და შეკრბეს ესე ყოველნი და მოერთნეს ერის-თავნი ანტიო-ქოზისნი სომხითით და ესე ყოველნი შეკრბნა ფარნავაზ და მიე-გებნა ნაქალაქევსა თანა არტანისსა, რომელსა ერქვა მაშინ ქნჯათა-ქა-ლაქი, რომელ არს ჴური, და ეწყვნეს მუნ. და იქმნა ბრძოლა დიდ-ძალი, და მოსწყვიდეს ორგნითვე ურიცხვნი. ხოლო იძლივნეს ბერძენ-ნი ფარნავაზის-გან, ივლტოდა ზანავი მათი, და მოკლეს აზონ, და ურიცხვნი სპანი მათნი მოსრნეს და ტყვე ქმნეს. და წარვიდა ფარნა-ვაზ, და მოტყვევნნა საზღვარი საბერძნეთისა, ანძახძორისა, და ეკლე-ცით შემოიქცა, მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრა კლარჯეთი; და წარმოვიდა მცხეთად სიხარულითა დიდითა. ხოლო სიმდიდრესა მისსა ზედა და-ერთო ხვასტაგი აზონისაცა, და იქმნა სიმდიდრე გარდარეული.

ხოლო ეგრისის წყალს ქვემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკვიდ-რთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა. მაშინ ფარნა-ვაზ მისცა და თვისი ოვსთა მეფესა ცოლად. და მეორე და თვი-სი მისცა ქუჯის ცოლად, და მისცა ქუჯის ეგრისის წყალსა და რი-ონს შუა, ზღვიდ-გან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სვანე-თი, და დაამტკიცა იგი ერის-თავად მუნ; და მუნ ქუჯიმ აღაშენა ცი-ხე-გოჯი. მაშინ ფარნავაზ უშიშ-იქმნა ყოველთა მტერთა თვისთა-გან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგრისსა ზედა, და განამრავლნა ყოველნი მჴედარნი ქართლოსიანნი, განაწესნა ერის თავნი რვანი და სპასპეტი.

ერთი გაგზავნა მარგვის *) ერის-თავად, და მისცა მცირით

---

ქრ. წინ. მეფობდა სელევკოს ნიკატორი და ანტიოქოს I გამეფდა მხოლოდ 279 წ. ქრ. წინ.—

*) ანუ არგვეთს.

მთით-გან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღვამდე, რიონს ზემოთ. და ამანვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დიმნა.

და გაგზავნა მეორე კახეთისა ერის-თავად და მისცა არაგვით-გან ვიდრე ჴერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი.

მესამე გაგზავნა ხუნანისა ერის-თავად, და მისცა ბერდუჯის მდინარით-გან ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანამდის, რომელ არს გარდაბანი.

მეოთხე გაგზავნა სამშვილდეს ერის-თავად, და მისცა სკვირეთისა *) მდინარით-გან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი.

მეხუთე გაგზავნა წუნდას ერის-თავად და მისცა ფანავარით-გან ვიდრე თავადმდე მტკვრისა, რომელ არს ჯავახეთი, კოლა და არტაანი.

მეექვსე გაგზავნა ოძრხის ერის-თავად და მისცა ტასის კარით-გან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავით-გან ზღვამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა.

მეშვიდე გაგზავნა კლარჯეთის ერის-თავად და მისცა არსიანით-გან ვიდრე ზღვამდე, და ქუჯი იყო ერის-თავი.

მერვე დაადგინა სპასპეტად და მისცა ტფილისით-გან და არაგვით-გან ვიდრე ტასის-კარამდე და ფანავარამდე, რომელ არს შიდა-ქართლი და ესე სპასპეტი უკვლადვე წინაშე მეფისა მთავრობდის, განაგებდის ყოველთა ერის-თავთა ზედა. ხოლო ამათ ერის-თავთა ქვეშე ადგილთა და ადგილთა განაჩინნა სპასალარნი და ათ-ასის თავნი, და მათ ყოველთაგან მოვიდა ხარკი სამეფო და საერისთავო. ესრეთ განაწყსა ესე ყოველი ფარნავაზ, მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა.

და მოიყვანა ცოლი დურძუკელთა, ნათესავი კავკასისი. ამან ფარნავაზ მოზღუდა ქალაქი მცხეთა მტკიცედ, და ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი, მოოხრებულნი ალექსანდრეს-გან და მან აღაშენა იგინი, და ვერლა-რა იძიეს შური ბერძენთა ფარნავაზისა ზედა, რამეთუ უცალო იყვნეს იგინი უფლისა-გან რომთასა. და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა. ესევე არს არმაზი, და

*) აწინდელი ვერე, ვახუშტის აზრით.

ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქვა. ამართა კერპი-იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა მიერითგან ეწოდა არმაზი, კერპისა-მის-თვის. და ქმნა სატფურება *) დიდი კერპისა-მის-თვის აღმართებულისა. ოც-და-შვიდის წლისა მეფე იქმნა, და სამეოც და ხუთს წელს მეფობ-და სუბიერად, და მსახურებდა იგი ანტიოქოსს, მეფესა ასურასტანი-სასა. და ყოველნი დღენი მისნი, რაი დაყნდა, მშვიდობით დაყვნა და აღაშენა და განავსო ქართლი. ხოლო თვენი გაზაფხულისანი და სთვ-ლისა არისანი **) დაყვნის მცხეთას, სამეფოსა, და თვენი ზამთრისანი დაყვნის გაჩიანთა. ხოლო თვენი ზაფხულისანი წუნდას. და ჟამითი-ჟამად მივიდის ეგრისს და კლარჯეთს, და მოიკითხნის მეგრელნი და კლარჯნი, და განაგის ყოველი საქმე დაშლილი. ხოლო რომნი-იგი ათ-ასნი მხედარნი, რომელნი აზონის-გან მოერთნეს ფარნავაზს, რო-მელი ზემო ვახსენეთ, იგინი განჰყვნა ხევთა და ქვეყანათა შინა, იპყრნა იგინი კეთილად, რამეთუ ბრძოლასა-მას აზონისა მხნედ იყვ-ნეს, და უწოდა მათ სახელად აზნაურნი.

რად-გან წარვიდა ალექსანდრე, არღა-რა საჭამდეს კაცსა, თვინიერ რომელ შეეწირიან კერპსა მსხვერპლად. იყო განსვენება და სიხარული ყოველსა ქართლსა ზედა, მეფობისა-თვის ფარნავაზისა, და იტყოდეს ყოველნი: „ვმადლობთ სჯესა ჩვენსა, რამეთუ მოგვეცა ჩვენ მეფე ნა-თესავისაგან მამათა ჩვენთასა, და აღგვხსნა ხარკი და ჭირი უცხოთა ნათესავთა-გან. და ესე ყოველი აღასრულა ფარნავაზ, სიბრძნითა და სიქველითა, სიმხნითა და სიმდიდრითა.“ ესვა ძე და უწოდა სახელი საურმაგ: და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა, ქარ-თლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღა-რა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. ამანვე შე-ქმნა მწიგნობრობა ქართული. და მოკვდა ფარნავაზ, და დაფლეს იგი წინაშე კერპისა არმაზისა.

---

*) კურთხევა. —**) არე—წლის დრო, *saison.*

## XXXII. საქართველოს გეოგრაფიული მიმოხილვა პირველ მეფეების დროს

(თდ. ს. ბარათაშვილი—ისტორია საქართველოსი, დაუბეჭდავი თარგმანი ს. ხუნდაძისა)

ფარნავაზის სამეფო ისაზღვრებოდა: კავკასიის უმთავრეს ქედით, მდ. ენგურით, შავ-ზღვის ნაპირით ახლანდელ ბათუმამდის, აქედამ მთებით, რომლებიდგანაც მდ. ჭოროხის ქვედა ნაწილის შტოები გამოდის, ფალაკაციოს ტბამდის; შემდეგ მთებით, რომელნიც მდ. დებედას ნაპირს მიუყვებიან მტკვრამდის, მერე მტკვრით ალაზნის შესართავამდე და დასასრულ ალაზნით და იმის აღმოსავლეთის ჩასართავებით. ამ საზღვრების განაპირი კუთხეები მოქცეულია ჩრდილოეთის სიგანის 40° 47' და 43° 15' შუა და სიგრძის 59° 15' და 64° 58' შუა.—

ვივიენ დე სენ-მარტენის აზრის თანახმად ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართველთ დასახლების დროს მათი მიწა-წყალი შეიცავდა კავკასიის მთავარ ქედსა დ რასსის მდინარეს შუა მდებარე ადგილებსა. მაგრამ იმ დროიდამ მოკიდებული ქართველთ სამეფოს დაარსებამდე ბევრმა საუკუნემ გაიარა, რომელთა განმავლობაშიაც შესაძლებელი იყო დიდი ცვლილება მომხდარიყო, და რადგან მატიანეთაგან არა სჩანს, შეადგენდა, თუ არა, ქართველთ ტომი ფარნავაზის სამეფოს საზღვრებს გარეშეც, რასსამდე, მკვიდრთა უმრავლესობას, ამისთვის დაბეჯითებით არაფრის თქმა არ შეიძლება, ვიდრე ეს კითხვა ფიზიოლოგიურად, ანუ როგორმე სხვა გვარად არ გადაწყდება. რაიცა შეეხება ამ მიმოხილვაში მოხსენებულ საზღვრებს, აქ დღესაც ყოველგან ქართველი ხალხი ცხოვრობს.

ესეც კია, რომ, თუ დავუკვირდებით ამ სამეფოს მოსაზღვრე ხალხების სახელ-წოდებას, რომელსაც ძველი გეოგრაფები ხმარობდნენ, დ აგრეთვე თუ მივაქცევთ ყურადღებას, რასაც ის გეოგრაფები მოგვითხრობენ ამ ხალხების შესახებ, იმ შემთხვევაში უეჭველად დაგვებადება ჩვენ ბევრი ეჭვი დ საკითხავი, მაგალითად: ვინ იყვნენ პონტოელები, ალბანიელები ანუ ალვანიელები, კასპიელები, კარდუხიელები ანუ კარდუსიელები, სა-

პირები და სხვები,—იქნება ისინი ქართველთ ტომის შტოები იყვნენ?

აი რაზედ არის დამყარებული ჩვენი ეჭვები. პირველი: ძველი კლასიკები გვაცნობებენ, რომ მთელი პონტო ოდესმე სჭერია მეოძარსა და მრავალ რიცხოვან ხალხს, ხალიბებს, და ახლაც მოიპოვება იქ ქართველთ მოსახლეობის ნიშნები და აღმოსავლეთის ნაწილის რამდენსამე სოფელში აქამდის შენახულა ქართული ენა. მეორე: პლინი ამბობს, რომ მდ. ალაზანი გამოდის კავკასიის მთებიდამ და ჰყოფს ალვანელებს ივერიელებისაგანაო. რომაელთ გეოგრაფების ალბანიელები სომეხთ გამოთქმით იყვნენ ალუანიელები და ქართველთა—ალვანიელები. მართალია, არის ერთი ხეობა, ალვანის მინდვრად წოდებული, რომელიც ალაზნის სათავესთან მდებარეობს, მაგრამ დღესაც ამ მინდვრიდამ დაწყებული კავკასიის ქედის პირ-პირ, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, 200 ვერსზედ მეტია, რომ ქართველები სახლობენ; და ძველ დროებში, შირვანის სამეფოს დაარსებამდე, მათი მოსახლეობა ალბად თვით კასპის ზღვამდე მიაღწევდა; მაშასადამე, რაღა საეჭვოა, რომ ალვანიელები, რომელთა საზღვარსაც აღმოსავლეთით ეგ ზღვა შეადგენდა და დასავლეთით—ალაზნის სათავე, კახელი ქართველები ყოფილან?

მესამე: კასპიელები, რომელთა მიზეზითაც ზღვას მიეცა თავისი სახელი და რომელთაც რომაელების და ბერძნების მწერალნი ალბანიის სამხრეთ-აღმოსავლეთად მდებარე განაპირის მცხოვრებლებად სთვლიან, შესაძლებელია ქართველთ ტომისანი იყვნენ. ვგონებ ჩვენს მოსაზრებას საკმაოდ ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ ძველის-ძველად ქართველთ მოსახლეობის შუაგულში, ქართლში იყო ქალაქი, (ახლა სოფელია) კასპი; ეს სახელწოდება ქართველებისაგან დღემდის ისხენება ძლიერ წმინდად და ქალაქ Caspii-საგან სრულიად განსხვავებლად. და მეოთხე: შესაძლებელია, კარდუხიელები მართლა ქართლოსიანები ყოფილიყვნენ და საპირები—იბერიელები, როგორც გვარწმუნებენ ბატონიშვილი თეიმურაზი [1]) და ტარდიე [2]).—

---

[1]) ისტორია საქართველოისა, გვ. 101.

[2]) *Atlas universel de Géogr. ancienne et mod., dressé par. A. Tardieu ed 1858, carte № 2.*

ის მიწა, რომელიც ფარნავაზის სამეფოს შეადგენდა, თითქმის 1500 გეოგრაფიულ ალაჯს (*миля*) შეიცავდა და ოთხ უმთავრეს ბასეინად იყოფებოდა: პირველი მათ შორის არის მდ. მტკვრის ბასეინი; ეს იყო ყველაზე უვრცელესი და ქართველთა მოსახლეობის შუაგულს წარმოადგენდა; მეორე—მდ. რიონისა, მესამე—ენგურისა და მეოთხე—მდ. ჭოროხის ქვედა ნაწილის ბასეინი.

საზოგადოდ საქართველოს ადგილები წარმოგვიდგენს სხვა და სხვა ხასიათის ბუნებას: აქ მშვენივრად შეერთებული არიან ამწვანებული ხეობანი, ტყიანი თუ თოვლიანი მთები, ვიწრო ხეობანი და მათში მიმსრბოლი მდინარეები და რუები. კავკასიის ქედი მთელ თავის სიგძეზე ერთის მხრით საქართველოს საზღვარს შეადგენს და მიიმართება ჩრდილოეთ-დასავლეთიდამ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ის დაფარულია დიდის ტყით ძირიდამ დაწყებული ზღვის დონეს ზევით 8000 ფუტის სიმაღლეზე; მისი მწვერვალები გატიტვლებულია და მხოლოდ მუდმივ თოვლით არის დაფარული. თითქმის ამ ქედის პარალელურად გადაჭიმულა ერთი ქედი შავ-ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირიდამ მდინარე დებედას შესართავამდე. ეს ქედი წარმოადგენს საქართველოს სამხრეთის საზღვარს. შემდეგ ის კიდევ უფრო სამხრეთისაკენ მიიმართება და მიდის მტკვრის სისწორით, მაგრამ ამ მდინარეზე საკმაოდ დაშორებით. ამ ქედს ჩვეულებრივ მცირე კავკასს უწოდებენ; ჭოროხისა და მტკვრის გაყოლებით აგერ-იგერ ეს ქედი იმ გვარად ჩაღრმავებულია და თავის ხაზს ისე დაცილებია, რომ, ასე გონია, მდინარეებისაგან უნდა იყოს გაჭრილიო. ეს ორი უმთავრესი მთა-გრეხილი მერიდიანის 61 გრადუსთან შეერთებულია სურამის ქედით (ამას ძველად ევროპიელები მოსხის მთებს უწოდებდენ და ქართველები—ლიხის-მთას). ამას გარდა საქართველოში სხვებზედ უფრო შესანიშნავია კიდევ ორი მთა-გრეხილი: ერთი მათგანი იწყება ფასის-მთიდამ და მიჰყვება მდ. ენგურის მარცხენა ნაპირს და წარმოადგენს სვანეთის სამხრეთის საზღვარს; მეორე კი ბორბალოს მთიდამ დაწყებული მიიმართება იორსა და ალაზანს შუა: ეს არის გომბორის მთა. ამ მთებიდგან გამოდის მრავალი მდინარე, რუები და წყაროები, რომელნიც რწყავენ და აგრილებენ ჭალებს.

მდინარეებს შორის სხვებზედ უფრო შესანიშნავი არიან: მ ტ კ ვ ა რ ი (ძველებური კიროსი). ეს მდინარე გამოდის სოღანლუღის მთებიდგან, რომელთაც ძველად მ თ ი ნ ი და მ ო შ ო ს ი ერქვათ, და თავდა-პირველად სამხრეთიდამ ჩრდილოეთისაკენ მიმდინარეობს და წარმოადგენს ვიწრო ხეობას, სურამისა და მცირე-კავკასიის ქედების ტოტებს შორის მოქცეულს; შემდეგ ახლანდელ ახალციხიდამ ტფილისამდე ოდრიკალივით მიდის აღმოსავლეთისაკენ—ამ ოდრიკალს სურამის მახლობლად ზურგი ჩრდილოეთისაკენ აქვს მიქცეული—და ბოლოს ტფილისიდამ დაწყებული კასპიის ზღვამდე, ისევ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიმდინარეობს. საქართველოს საზღვრებს შიგნით იმას ჩაერთვის შემდეგი მდინარეები, რომელნიც კავკასიის უმთავრეს ქედის სამხრეთის კალთებიდგან გამოდიან: ლიახვი, ქსანი, არაგვი, ალაზანი და მასთან პატარა მდინარე იორი; მცირე-კავკასიის კალთებიდამ კი მას ჩაერთვიან ალგეთი და დებედა, უკანასკნელი—ხრამის მდინარესთან შეერთების შემდეგ.

რ ი ო ნ ი (ძველებური ფაზისი). ამის სათავე ძევს კავკასიის უმთავრეს ქედზე, სონგუთი-ხოხის მთასთან; დასაწყისში დასავლეთისაკენ მიდის, შემდეგ მერიდიანის 60° 30'—თან მიბრუნებულია სამხრეთისაკენ და ამ მიმართულებით მიდის კარდ-ცისემდის, აქედამ ისევ დასავლეთისაკენ მიიმართება და ჩადის შავ-ზღვაში სიგანის 42° 8' და სიგრძის 59° 19' მახლობლად. მას ჩაერთვის შემდეგი მდინარეები: პირველი—ყვირილა, რომელიც გამოდის სურამის ქედის ჩრდილოეთის ნაწილიდამ და მიდის ჯერ შორაპნამდე სამხრეთ-დასავლეთისაკენ, შემდეგ კი წარმოადგენს ჩრდილოეთისაკენ მიღუნულ ოდრიკალს და მიდის დასავლეთისაკენ რიონთან შეერთებამდე. მეორე—ცხენის-წყალი (ძველი ჰიპპოსი), რომელსაც სათავე ოგასის-მთაში აქვს; ამას უმთავრესი მიმართულება აქვს სამხრეთ დასავლეთისაკენ და ჩაერთვის რიონს; და მესამე—ტეხური თითქმის ცხენის-წყლის პარალელურად მიმდინარეობს და ჩაერთვის რიონს 20 ვერსტზე მოშორებით ცხენის-წყლის შესართავიდამ.

ძველ დროებში მტკვარი და რიონი გემთ-სავალ მდინარეებად ითვლებოდენ: პირველი შესართავიდგან სურამამდე და მეორე შესართავიდგან ყვირილას შეერთებამდე; თუმცა ეს მდინარეები ახლაც გემთ-

სავლელნი არიან, მაგრამ ზღვებიდგან იმდენზე კი არა, როგორც ძვე-ლად. ეს ცვლილება რამდენადმე ალბად წყლების დაკლების გამო მომ-ხდარა, რამდენადმე—კალაპოტის ჩანაგავების გამო; ესეც შესაძლებე-ლია, რომ მათში მავალი გემები პატარები იყვნენ, და სხვაგვარ მოწ-ყობილობისა, მაგალითად, ჭენიოქელების კამარების მსგავსად, რომელ-თაც სტრაბონი იხსენიებს, ან და ძველებურ ქართულ ნავტიკების მსგავსნი, ე. ი. ნავების, რომელთაც ქვეშ ამოკრული ჰქონდა გაბერი-ლი ტიკები.

**ხ ო ფ ი** (ხოფის-წყალი) მიდის სვანეთის სამხრეთის ქედიდგან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით და ჩადის შავ-ზღვაში 15 ვერ-სით უფრო ჩრდილოეთისაკენ, სანამ რიონი.

**ე ნ გ უ რ ი** გამოდის ეფასის-მთიდამ, თავდა-პირველად მიდის და-სავლეთისაკენ, შემდეგ სტოვებს სვანეთის ხეობას, მიიმართება სამ-ხრეთ-დასავლეთისაკენ და ჩაერთვის შავ-ზღვას 16 ვერსით უფრო ჩრდილოეთით, ვიდრე ხოფი.

**ჭ ო რ ო ხ ი** თავის ტოტებით რწყავს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ნაწილებს და შეერთვის შავ-ზღვას ბათუმიდამ 3 ვერსზე, სამხრეთად.

როგორც ხოფის, რიონის, ჭოროხის და მტკვრის ნაპირებზე, აგრეთვე ურიცხვ ხეობაში, სადაც ამ მდინარეების ტოტები მიდის, სახლობდენ საზოგადოებანი, რომელთაც მჭიდროდ მოსახლებულ სო-ფლებში ცხოვრებისათვის ყოველ-გვარი საშუალება ჰქონდათ. სიმდიდ-რეს და ცხოვრების საშვალებას შეადგენდენ მიწის ნიადაგი და ჰავა. საქონლის მოშენება ძველადგანვე ალბად კარგ მდგომარეობაში ყოფი-ლა, რადგან საქონლის რამდენიმე ნაწილი გარეშე მოვაჭრეებისათვის იყო დანიშნული. ამ ქვეყნის მიწის მუშაობა და ბაღოსნობა თავის ნა-წარმოებით ჰომერის დრომდისაც იყო ცნობილი. შეიძლება ძველა ის მშვენიერი და ნაზი ნაყოფი, რომელიც დღეს მოდის საქართველოში, ამ ქვეყნის ნიადაგის პირველ-ყოფილ ბუნებრივ ნაწარმოებთა ეკუთვ-ნოდეს, და თუ ეს არა, ყურძნის სამშობლოდ ხომ მაინც რიონის ნაპირებსა სთვლის მეცნიერება. დაფნისა და ლიმონის ხეები ტყეები

ვით იზდება ძველ კოლხიდის სამხრეთ-დასავლეთის ნაწილებში. მხოლოდ სვანეთის ხეობა კი უნდა გამოვრიცხოთ აქედამ: აქაურ მაღლობ ადგილებში სოფლელები ვერ ჰპოულობენ იმდენ სარგებლობას, რამდენსაც საქართველოს სხვა ხეობათა მცხოვრებნი. ამ ხეობაში ყველაზედ უფრო დაბალი ადგილია ენგურის ხეობა, მაგრამ იმისი სიმაღლეც სვანეთის ხეობაში არის 6,000—დან 3,500 ფუტამდის ზღვის დონეს ზევით, და საქართველოს სხვა ხეობებს კი 1,300 ფუტი აქვს საშუალო სიმაღლე. ხსენებულ ხეობების წლიურ საშუალო ტემპერატურად შეიძლება ჩავთვალოთ 9-დგან 11 გრადუსამდე. კავკასიის ქედი იცავს იმათ ნაყოფიერობას ჩრდილოეთის სიცივისაგან, რომელიც გაზაფხულში მიილტვის საყინავ ოკეანედამ სამხრეთისაკენ, დაუბრკოლებლად გამოივლის მთელს ევროპის რუსეთს და გზაზე სამხრეთიდამ დაძრულ სითბოს შეხვდება. ამ გვარადვე არის დაცული ჩრდილოეთის იტალია ალპებით და ტოკაის ყურძენი კარპატის მთებით.

ხეობათა მცხოვრებნი ერთმანეთში მიმოდიოდენ, როგორც ჩვენს დროშიაც, გზა-წვრილებით, რომელიც მდინარეების ნაპირ-ნაპირ იყო გაყვანილი, და აგრეთვე მთებზე გადასავალ გზებით, რომელიც წვიმებისაგან და წყლების გადმოსვლის გამო ხშირად ისე გასდება ხოლმე, რომ გავლა არ შეიძლება. მაგრამ ძველადგანვე ყოფილა იმისთანა შემაერთებელი გზებიც, რომლის გაუმჯობესობისათვისაც არა თუ ადგილობრივი მცხოვრებნი, არამედ უცხო-ქვეყნელებიც კი ზრუნავდენ. მტკვრის, ყვირილას და რიონის ხეობები და სურამის ქედზე გადასავალი გზა ისე საყურადღებო იყვნენ, რომ მათზედ გულმოდგინედ ზრუნავდენ ყველა ის ხალხები, რომლისათვისაც სასარგებლო იყო ინდოეთთან ვაჭრობა. სტრაბონსა და პლინს რომ უზარმაზარი შენობები უნახავთ ყვირილას ნაპირებზე, ესეც კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ ადგილობრივ საზოგადოებასა და მართებლობას ყურადღება ქონიათ და შეუგნიათ, რომ ამ სავაჭრო გზების კარგი მდგომარეობა სასარგებლო იქნებოდა. ეს მწერლები გვარწმუნებენ, რომ აქ არსებობდა 120 ხიდი და ამით გაადვილებული იყო ამ ჩქარ მდინარეზე იმ საქონლის გადატანა, რომელიც ივერიიდამ ხმელეთით შორაპნის სიმაგრესთან მიჰქონდათ, და ეს სიმაგრე შეადგენდა ფრიად დიდ საწყობ ადგილს,

ასე რომ იმაში მთელი ქალაქი დაეტევოდაო. რიონის ქვემო ნაწილის ნაპირები აშენებული იყო ჯებირებით წყლის შესაკავებლად, რომ არ გადმოდენილიყო ჭალებში, და ჭაობიან ადგილებს დიდის მეცადინეობით აშრობდენ. რასაკვირველია, ყველა ეს ხსენებული შენობანი სტრაბონის და პლინიის მოგზაურობის დიდი ხნით წინ იყო აგებული. დასასრულ კიდევ იყო სარმატებისა და სკვითების ვაკის შემაერთებელი გზები; ეს გზები ბუნებით გაჭრილი იყო კავკასიის ქედის გაყოლებით და ბარბაროსები იმათ შემწეობით ესეოდენ საქართველოს და სამხრეთის სხვა ქვეყნებს. ეს გზებივე საქართველოს დიდ სომხეთთან და სპარსეთთან აერთებდა. ძველი მწერლები იხსენიებენ ოთხს მთებში გასავალს, რომელიც მათ უნახავთ იბერიაში, მაგრამ მათის აწერილობით ჩვენ ახლა ვცნობილობთ მხოლოდ სამს: დარიალისას (Pilae Caucaso), ალვანიისას (Pilae Albanae) და დარუბანდისას (Pilae Caspiae). ამ გასავლებში მცველებად ქართველები იდგენ, მჟავე წყაროებთან მდებარე დარიალის ვიწრობის აწერილობაში პლინი ამბობს, რომ ეს ვიწრობი შეჭედილ ნამორებით იკეტებოდაო, და მის მახლობლად, სამხრეთის მხრით, მთაზე სიმაგრე იყოო, რომელსაც კუმანია რქმევიაო: ახლა აქ არის სოფელი კუმნის-ციხე (რუსის ინჟენრები ამას ეძახიან კალმუ-ჩიხას, რომელსაც არც ერთ ენაზე არავითარი ეტიმოლოგიური აზრი არა აქვს). დარუბანდის გასავალი მხოლოდ ხან-დახან შედიოდა საქართველოს უფლებაში. ტაციტეს მატიანეთაგან სჩანს რომ ქრისტიანეთა წელთ აღრიცხვის I საუკუნეში ამ გასავალსაც აგრეთვე ქართველები იცავდენ. „ქართლის ცხოვრების" თქმულებით— ეს ვიწრობი თავდაპირველად იმ დროს იყო გამაგრებული, როცა ფეიშდადიანის დინასტიისაგან შთამომავალი სპარსეთის მეფეები მფლობელობდენ. ამ თქმულებით იმ დროშივე აშენებულა დარუბანდის ქალაქი. ამ ქალაქიდგან იწყება კავკასიის კედელი, რომელიც, უეჭველია, თავის სიდიადით ეკუთვნის საქართველოს ფრიად შესანიშნავ ძველ შენობათა რიცხვს.—

ეს მთის გასავლები მარტო ომების დროს ერთა შორის მიმოსვლისათვის კი არ ყოფილა დანიშნული, არამედ მშვიდობიანობის დროსაც. აორსები (ალბად ოსები), რომელნიც დონის ანუ ტანაისის

ნაპირებზე ცხოვრობდენ, მიმოდიოდენ სავაჭროდ ამ გასავლებით და თავის ოქროთი ყიდულობდენ ინდოეთისა და ბაბილონის საქონელს და თავის ქვეყნებში აქლემებით გადაჰქონდათ [1]).

იქ, სადაც ვაჭრობის ამისთანა მოძრაობა იყო, შეუძლებელია, ქალაქებიც არ ყოფილიყო, რადგანაც ისინი არიან მოქალაქობრივ ცხოვრების მიმზიდველი პუნქტები. საქართველოში ძლიერ ადრე გაუმართავთ მოსახლეობანი, რომლებისათვისაც, ხალხის გადმოცემის მოწმობით, უწოდებიათ ქალაქები და ციხეები. თავ-დაპირველში იმათი გაშენების აზრი იყო თავის დაცვა და ამიტომაც ისინი სიმაგრეების მსგავსი უნდა ყოფილიყვნენ. ადგილობრივ მატიანეების ჩვენებით, იმ დროს, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, საქართველოში შემდეგი ქალაქები და ციხეები იყო:

ქ ა რ თ ლ ი, რომელიც ძველის-ძველ დროში არის აშენებული ქართლოსის შტოის ქართველთაგან. ის ააშენა ქართლოსმა იმ მთაზე, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არის ამართული, იქ, სადაც მას არაგვი შეერთვის. ფარნავაზის დროს ამ ციხეს ერქვა არმაზი ანუ არმაზ-ციხე იმ მიზეზით, რომ ამ მეფემ იქ ააშენა საკურთხეველი ღვთის არმაზის სახელზე. ძველი გეოგრაფები იმას სხვა-და-სხვა სახელს ეძახიან: სტრაბონი — ა რ მ ო ზ ი კ ა (Harmosica), პლინი — ა რ მ ა ს ტ ი ს ს (Harmastis) და პტოლომეი — ა რ მ ა ს ტ ი ზ ა ს (Harmastisa).

საქართველოს უძველეს ქალაქების აღწერას ჩვენ გამყობინეთ იმ რიგზე, როგორც ხალხის მატიანეებშია ნაჩვენები იმათი აშენება ერთი მეორეზე მიყოლებით; რადგანაც ამ გზით შეგვიძლიან დავინახოთ, როგორ მიიმართებოდა, ფართოვდებოდა საქართველოს ერის მოსახლეობა, თუმცა ეს სისტემა ეწინააღმდეგება საზოგადოდ გეოგრაფიისაგან მიღებულ სისტემას, რომელიც აღწერს ქალაქებს მათ ურთიერთ მდებარეობის დაგვარად; — ჩვენის სისტემის დაგვარად, ქართლის შემდეგ უნდა დავასახელოთ:

ო რ ბ ი ს ი (სამშვილდე), ქალაქი და სიმაგრე, რომელიც ააშენა ქარ-

---

[1]) *Strab. I. XI, p. 349.*

თლოსმა მდ. დებედას შესართავის—ქციის ანუ ხრამის მდინარის მარცხენა ნაპირზე. ჩვენს დროშიაც მოჩანს იმის ნანგრევები, სადაც არავინ არ ცხოვრობს. უცხო ქვეყნის მწერლების ცნობებისაგან არა სჩანს, თუ რამდენად შესანიშნავი იყო ეს ქალაქი ძველად; მისი არსებობა, როგორც ქართველების ქალაქისა, მოხსენებულია მხოლოდ პაპპის გეოგრაფიაში (ეს იყო ალექსანდრიის სასწავლებლის მათემატიკოსი და ცხოვრობდა ჩვენის წელთ-აღრიცხვის მე-IV საუკუნეში).

**მტკვრის-ციხე** ანუ **ხუნანი**, სიმაგრე, რომელიც აგრეთვე ქართლოსმაააშენა იმ ადგილის მახლობლად, სადაც დებედა შეერთვის მტკვარს. ეს ორი სიმაგრე ალბად ქართლოსის საბრძანებლოს სამხრეთის საზღვრების დასაცველად ყოფილა აშენებული.

**დედა-ციხე** და **ბოსტან-ქალაქი**, რომელსაც რუსთავს ეძახიან, ერთვნულ მატიანეთა სიტყვით, აუშენებია ქართლოსის ცოლს: დედა-ციხე—ქალაქ ქართლის მახლობლად, პატარა მდინარე თეძამზე, რომელიც მტკვარს შეერთვის მარჯვენა მხრით, და ბოსტან-ქალაქი—მაღლობზე, რომელსაც ახლა იაგლუჯას უწოდებენ (ტფილისიდამ 15 ვერსზეა სამხრეთით.)

**გაჩიანი** ანუ **სანადირო-ქალაქი** აშენებულია ქართლოსის შვილის გაჩიოსისაგან, ქციის მარჯვენა ნაპირზე, იმ ალაგს, სადაც ამ წყალს მაშავერი შეერთვის. ამ ქალაქის ნანგრევები დღესაც კი მოჩანს.

**ჩელეთი** ანუ **ბერი**: დღეს ეგ არის ძლიერ დიდი სოფელი კახეთში მდ. ჩელთზე ანუ ჩელტზე მდებარე, და ჰქვია სახელად შილდა.—

**მცხეთა** აშენებულია მცხეთოსისაგან მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სადაც მას შეერთვის არაგვი. ეს იყო სატახტო ქალაქი აშენების დროდამ ჩვენის წელთ-აღრიცხვის მე-V საუკუნემდე. აქ არის სიდიდით და არქიტექტურით ფრიად შესანიშნავი ეკკლესიები და გარდა ამისა აქვე დღესაც შეგიძლიათ შენიშნოთ, რომ მტკვრის ნაპირები ამოშენებული ყოფილა თლილის ქვით. ამ ქალაქს პტოლომეი უწოდებდა **მესტლეტა**-ს. ახლა მცხეთა პატარა სოფელია, სადაც დარჩენილა ხუროთმოძღვრების სახსოვარი, როგორც მისის წარსულ დიდების ბეჭედი.

მცხეთოსს შემდეგ მისმა შვილებმა თავიანთ წილხდომილ მხარე-

ებში ააშენეს შვიდი ქალაქი: ოძრხე, თუხარისი, წუნდა, არტანისი (ქაჯთ-ქალაქი ანუ გური), უფლის-ციხე, ურბნისი და კასპი.

ქალაქი ოძრხე ახლანდელ ახალციხის ახლოს მდებარეობდა, მტკვრის ერთ-ერთ შესართავზე; ამის მახლობლად, ჭოროხის ბასეინში იყო თუხარისი; წუნდა—მტკვრის სათავეებში; არტანისი იყო წუნდის მახლობლად, აგრეთვე მტკვრის ბასეინში. ძველ დროის გეოგრაფები იმას ამავე სახელს უწოდებდენ, მაგრამ ახლა თურქების ხელთ-ქვეშ ეწოდება მას არდაგანი. დასასრულ სიმაგრეებიანი ქალაქები, უფლის-ციხე, ურბნისი და კასპი, იყვნენ მტკვრის მარცხენა ნაპირზე, შუა-ქართლში. ურბნისი და კასპი ახლა პატარა სოფლებია და უფლის-ციხე კი სრულიად უდაბურია. „ეს იყო კლდისაგან გამოკვეთილი სიმაგრეო, ამბობს გეოგრაფი ვახუშტი; იმაში იყო კლდისაგანვე გამოქანდაკებული დიდ-დიდი პალატები და გვირაბები მტკვრამდეო. დასავლით აქვს მაღალი ქარაფი და იმაშია მრავალი დიდი გამოქვაბულნი, აწ შეუვალნიო“.

მტკვრის ბასეინში კიდევ იყო ერთი ქალაქი სურამი ანუ სურიუმი, მამასახლისების მმართველობის დროს აშენებული იმ ადგილას, სადაც ახლა ამ სახელწოდების დაბაა და სადაც დღემდის მოჩანს ციხის მსგავს კოშკების ნაშთები. ეს იყო ძველად ინდოეთის სავაჭრო საქონლის საწყობი ადგილი.—

რიონის ბასეინში გაშენდა ქალაქები თითქმის იმავე დროს, რა დროსაც მტკვრის ბასეინში. თუმცა ქართველთ მატიანეები ამათ აშენების დროს არ გვიჩვენებენ ისე ცხადათ, როგორც ზემოხსენებულ ქალაქებისას, მაგრამ უცხოქვეყნელთ ნაწერებისაგან ჩვენ ვიცით, რომ ეა და ქუთაისი ძველის ძველადვე არსებობდენ: პირველი იყო მდიდარი ქალაქი, რიონის შესართავის მახლობლად. ეს ქალაქი იხილეს და შეამკეს ბერძნებმა თავიანთ საგმირო ხანებში. ტროადის ომს შემდეგ, როცა ბერძნებმა იწყეს აქეთ-იქით ყველა მხარეში გადასახლება, მილეტელებმა დაიპყრეს იგი და მის ნანგრევებზე დააარსეს ახალშენი (კოლონია), სახელდობ ფაზისი, რომელსაც ახლა ფოთს ვუწოდებთ. ქუთაისი (კოტა ანუ კიტა) იყო კოლხიდის მთავართა სამეფო ქალაქი. ეს ქალაქი დღესაც რიონზე მდებარეობს.

გარდა ამისა ფარნავაზის მეფობის დროს სხვა ქალაქებიც აუშე-

ნებიათ, რომელთა შორის უფრო შესანიშნავი იყვნენ: შორაპანი, და არქიოპოლისი. ბროსსეს აზრით, ეს უკანასკნელი არის ნაქალაქევი, ძველებური ციხე-გოჯი, რომელიც ააშენა ფარნავაზის პირველმა თანამოღვაწემ, ერისთავმა ქუჯიმ, მდინარე ტეხურის მარჯვენა ნაპირზე.

---

## XXXIII. საქართველოს მეფეები შემდეგ ფარნავაზისა მირიანამდე

237 წ. ქრ. წინ.—265 წ. ქრ. აქეთ.

როდესაც ფარნავაზ მეფე გარდაიცვალა და ტახტზე დაჯდა შვილი მისი საურმაგ (237), ერისთავებმა იფიქრეს: ახლაა დრო მეფობა გავაუქმოთ და თავისუფალნი გავხდეთ, როგორც ფარნავაზამდი ვიყავით, და ამ განზრახვით მოახდინეს შეთქმულობა საურმაგის წინააღმდეგ და დააპირეს მისი მოკვლა. მაგრამ საურმაგმა ძურძუკელთა *) შემწეობით სძლია აჯანყებულ ერისთავებს და თავისი ხელმწიფება განამტკიცა. რადგან ძურძუკეთი ვერ იტევდა ხალხსა, საურმაგმა, ნიშნად მადლობისა შემწეობისათვის, მისცა ძურძუკელთ თავისუფალი ადგილი საქართველოში და დაასახლა დიდოეთიდგან სვანეთამდე. ამავე მეფემ დასდგა მცხეთას ორი კერპი აინანი და დაინანი. რადგან საურმაგს ვაჟი არ ჰყავდა, სპარსეთიდამ მოიწვია იმან თავის ცოლის ნათესავი მირვან, მისცა თავისი ქალი ცოლად და დაუმკვიდრა თავისი ტახტი. ამ მირვან I-ის დროს (162—112) ძურძუკელთა დაივიწყეს ფარნავაზის და საურმაგის სიყვარული და აოხრეს კახეთი და ბაზალეთი. მეფემ სძლია ძურძუკელთა და ძველადვე სპარსთაგან აშენებულს დარუბანდს შეაბა ქვითკირის კარი. მირვანმა თავისი ქალი მისცა ცოლად სომხეთის მეფის არშაკის შვილს არშაკს და ტახტი დაუმკვიდრა თავის ვაჟს ფარნაჯომს.

ფარნაჯომ მეფემ (112—93) შემოიღო სპარსეთიდამ ცეცხლმსახურება და ცეცხლის მსახურნი მოგვნი დაასახლა მცხეთას. ასეთმა

---

*) აწინდელ ქისტთა და ღლიღველთა ანუ ინგუშთა წინაპარნი.

ამბავმა ააღელვა ქართველი ერი. განრისხებულმა ერისთავებმა განიზრახეს ფარნაჯომი ჩამოეგდოთ ტახტიდამ და მის მაგიერ დაესვათ სომხეთის მეფის შვილი არშაკ. ამ განზრახვის შესასრულებლად გაუგზავნეს მოციქული სომხეთის მეფეს არშაკს და სთხოვეს, მოგვეცით თქვენი შვილი არშაკი საქართველოს მეფედაო. მოციქულმა შემდეგი სიტყვა მოახსენა არშაკს: „მეფე ჩვენი გარდახდა სჯულსა მამათა ჩვენთასა, არღარა მსახურებს ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა და აწ არღარა ღირს არს იგი მეფედ ჩვენად. მოგვეც ძე შენი არშაკი, რომელსა უზის ცოლად ნათესავი ფარნავაზიანთა მეფეთა ჩვენთა და იყოს მეფედ ჩვენდა ძე შენი არშაკ და დედოფლად ჩვენდა ცოლი მისი, შვილი მეფეთა ჩვენთა."

სომხეთის მეფე დათანხმდა ამ წინადადებაზე და თავის ჯარით წამოვიდა საქართველოსკენ. ტაშირს შეხვდნენ ერთმანეთს ორი ჯარი ერთის მხრით სომხებისა და აჯანყებულ ქართველებისა და მეორეს მხრით—სპარსებისა და იმ მცირეოდე ქართველებისა, რომელნიც შერჩენოდენ ფარნაჯომს. აქ მათ შორის გაიმართა სასტიკი ბრძოლა, რომელშიაც მოჰკლეს ფარნაჯომ. ამ რიგად საქართველოში გამეფდა არშაკ და დაარსდა არშაკუნიანთ სამეფო გვარი (93), რომელიც პირველად აღმოჩნდა პართიაში და იქიდამ გავრცელდა, სხვათა შორის, სომხეთში და საქართველოში. არშაკის შემდეგ დაჯდა საქართველოს ტახტზე მისი შვილი არტაგ (81—66), რომლის მეფობის დროს შემოვიდა საქართველოში რომაელთა ჯარი სახელგანთქმულ პომპეის წინამძღოლობით და რომელსაც კლასიკური მწერლები უწოდებენ ა რ ტ ო კ ე ს-ს.

არტაგის შემდეგ გამეფდა მისი შვილი ბარტომ I (66—33 წწ. ქრ. წინ.), რომლის წინააღმდეგ გამოვიდა სპარსეთიდამ იქაურის ჯარით ფარნაჯომის შვილი მირვან. ეს მირვან მამა მისის ფარნაჯომის მოკვლის შემდეგ წაიყვანა სპარსეთში და იქ აღზარდა მისმა მამამძუძემ. მირვანმა ჯერ მიუგზავნა ქართველ ერისთავებს მოციქული ამ სიტყვებით, როგორც მოწმობს ჩვენი მატიანე: „თუმცა მამა-მან ჩემმან შემოიღო სჯული უცხო თქვენ შორის, სამართლად მოიკლა მამა ჩემი, რამეთუ ვერ კეთილად იპყრა სჯული მამათა თქვენ-

თა, რომლისაგან გაქვსთ კეთილი. აწ ნუ არს შიში და საურავი გულსა თქვენსა სიკვდილისათვის მამისა ჩემისა, რამეთუ სჯულისა დატევებისათვის მოკლენ მამანი შვილთა და ძმანი ძმათა; არა იძიების სისხლი სჯულისა დატევებისათვის მოკლულთა. მე ვარ შვილი მეფეთა თქვენთა ფარნავაზიანი და თუმცა აღზრდილ ვარ სპარსთათანა, არამედ ვარ მე სჯულსა ზედა მამათა თქვენთასა და ვესავ მე ღმერთთა მამათა თქვენთასა. სასოებითა მოვალ ძიებად მამულისა ჩემისა, აწ მიიღეთ ჩემგან დიდება და კეთილი.“ ასეთმა სიტყვამაც ვერ მიიმხრო ქართველ ერისთავების უმრავლესობის გული მირვანისადმი. მხოლოდ მცირეოდენი, ისიც არა წარჩინებულთაგანი, მიემხრენ მირვანს. ხუნანის ახლოს, ბერდუჯის (ბორჩალოს) მდინარის პირად გაიმართა ბრძოლა მირვანის და ბარტომის ჯართა შორის. პირველის ჯარს შეადგენდენ სპარსელები და მეორისას—ქართველები და სომხები.

ბარტომი მოჰკლეს ამ ბრძოლაში და მირვან II დაიჭირა საქართველოს ტახტი (33—23). მხოლოდ შემდეგში მოვიდა სომხეთიდამ იქ აღზრდილი ბარტომის ქალის შვილი ადერკი, რომელმაც დაამარცხა მირვან II-ის შვილი არშაკ II და დაიჭირა საქართველოს ტახტი (2 წ. ქრ. წინ.—55 წ. ქრ აქედ.)

ამ ადერკის მეფობა ღირს შესანიშნავია იმით, რომ იმის დროს იესო ქრისტე იშვა და ანდრია მოციქულმა იქადაგა ქრისტეს სარწმუნოება დასავლეთს საქართველოში.

სიკვდილის დროს ადერკმა მეფობა დაუტოვა ორს თავის შვილს ბარტომ II-ს და ქართამს (55—წ. ქრ. აქედ). ამათ მეფობის დროს რომის იმპერატორმა ვესპასიანემ აიღო იერუსალიმი და იქიდამ გამოქცეული ებრაელები მოვიდენ მცხეთას, სადაც შეუერთდენ ძველად მოსულ ებრაელებს. ამ ახალ მოსულთა შორის, „ქართლის-ცხოვრების“ თქმით, იყვნენ შვილები დამნაშავე ბარაბასი, რომელსაც აპატიეს იესო ქრისტეს წილ. თეიმურაზის აზრით სამეფო ხელმწიფების განაწილება ორ მეფეთ შორის მდგომარეობდა იმაში, რომ ერთი განაგებდა ყველა სამხედრო და გარეგან საქმეებსა და მეორე—ყველა შინაურს, საქვეყნო საქმეებსა; ომის დროს ერთი მათგანი წავიდოდა ლაშქარსა და მეორე კი უმზადებდა მას სურსათსა და ყოველსავე, რაც საჭირო იყო

ლაშქრისათვის. ესეთი ორ-მეფობა გაგრძელდა 129 წლამდე ქრ. აქეთ, როცა ფარსმან ქველის შვილმა ადამმა მარტო დაიჭირა საქართველოს ტახტი. შემდეგ ამისა უწარჩინებულესი მეფე საქართველოს ტახტზე იყო რევი (186—213). ამან შეირთო ცოლად საბერძნეთის ლო-გოთეთის ქალი სეფელია, რომელმაც შემოიტანა საქართველოში კერპი აფროდიტი და აღმართა მცხეთის შესავალს. რევი არ ყოფილა გამო-ჩენილი არც ძლევა-მოსილობით და არც საზოგადოდ სამხედრო ახოვა-ნებით, არამედ დაიმსახურა დიდი სახელი თავის სამოქალაქო ქველობით და ზნეობრივის ღირსებით. თავის პირადის გავლენით რევმა ძლიერ იმო-ქმედა საქართველოს ზნეობის ამაღლებაზე და განკარგულებაზე. თუმცა რევი წარმართი იყო და ქრისტეს სჯული ოფიციალურად არ მიუღია, მაგრამ, ჩვენის მატიანეს მოწმობით, ქრისტეს სახარება გაცნობილი ჰქონდა და მისი ცხოვრება და მოქმედება საუცხოვოდ ეთანხმებოდა სახარების სწავლას. „ვიდრე იგი იყო მეფედ, ამბობს „ქართლის-ცხოვ-რება“, არღარა ვინ კლვიდა ყრმათა კერპთა-თვის; ხოლო ცხვრისა და ზროხისა შეწირვა განუწესა, და ამისთვის ეწოდა რ ე ვ მ ა რ თ ა ლ ი“.

რევის შემდეგ გაირა ნახევარმა საუკუნემ და საქართველოს ტახ-ტზე გარდიცვალა უვაჟოდ მეფე ასფაგურ (265), რომელმაც დასტო-ვა მხოლოდ ქალი. ამ რიგად მოისპო საქართველოში არშაკუნიანთ სა-მეფო გვარი და ასფაგურის მოადგილედ მირიანმა დაამყარა სასანიანთ სამეფო გვარი, რომლის დასაწყისი, როგორც არშაკუნიანებისა, გაჩნ-და სპარსეთშივე.

აქ მოკლედ ჩამოთვლილ ფაქტებისაგან, რომელიც მომხდარა ფარნავაზის სიკვდილიდამ მირიან მეფემდე, შეგვიძლიან შემდეგი ღირს შესანიშნავნი გარემოებანი აღვნიშნოთ. ქართველ ერის ბედს მეფეს-თან ერთად განაგებდენ ფეოდალები, ანუ ერისთავები „ქართლის-ცხოვ-რების“ სახელ-წოდებით. თუმცა „ქართლის ცხოვრება“ ამბობს, რომ ეს ერისთავები დაადგინაო ფარნავაზ მეფემ და ჩააბარაო მათ გამგე-ობა საქართველოს სხვა-და-სხვა ნაწილებისა, მაგრამ ცხადია, რომ ფარ-ნავაზს ამ ფეოდალების ხელის უფლება უფრო შეუმცირებია, ვიდრე გაუდიდებია. ეს იქიდამ სჩანს, რომ ფარნავაზის სიკვდილისთანავე ერისთავებმა შეთქმულობა მოახდინეს და მეფობის მოსპობა განიზრა-ხეს, რათა ხელახლავ შეეძინათ ის უფლებანი, რომელნიც ჰქონდათ

ფარნავაზის წინად. მემკვიდრემ ფარნავაზისამ საურმაგმა სძლია ერის-თავებს. ასეთი გამარჯვება საურმაგ მეფისა ამტკიცებს, რომ მეფობა დაარსებულ იქმნა არა მარტო ფარნავაზის სურვილის გამო და მისის პირადის მოღვაწეობით, არამედ უფრო ნაყოფი იყო წინანდელ ის-ტორიულ გარემოებათა და ამიტომ დამყარებული იყო მტკიცე საფუძ-ველზე. ერისთავებს შემდეგ ამისა ხელმეორედ აღარ უცდიათ მეფობის სრულიად გაუქმება. თავის გავლენას და ძალას მხოლოდ იმას ახმარებ-დენ, რომ მათთვის არა სასურველი მეფე არ მჯდარიყო საქართვე-ლოს ტახტზე. ხშირად ერთ მეფეს ჩამოაგდებდენ ტახტიდამ და მე-ორეს დასვამდენ. ასეთი ბრძოლა მეფესა და ერისთავთა შორის არ მო-სპობილა თითქმის მთელის ჩვენის ისტორიის განმავლობაში.

ამ ბრძოლაში თავიდგანვე მონაწილეობას იღებდენ სპარსელები, რომელთა შემწეობას ითხოვდენ ერისთავებისაგან გაძევებული მეფეები. ამ გვარად საქართველო მალე გახდა სპარსელებისათვის ბრძოლის ვე-ლად. მაგრამ ჯერ-ჯერობით სპარსელებს და ქართველებს შორის არა ყოფილა ის დაუცხრომელი და შეუბრალებელი მტრობა, რომელსაც შემდეგ შევხვდებით. სპარსელებს იწვევდა თვით ქართველების ერთი ნაწილი, თუმცა ხშირად მცირეოდენი, და როგორც კი დასვამდენ საქართვე-ლოს ტახტზე მათ სასარჩლო მეფეს, ან და როგორც კი დამარცხ-დებოდენ ქართველ მეფითურთ, მაშინვე სპარსეთში დაბრუნდებოდენ მეორე შემთხვევამდე; ის დაუძინებელი და ულმობელი მტრობა კი, რომელსაც ვხედავთ ისტორიის შემდეგ ხანებში ქართველებს და სპარ-სელებს შორის, დაიწყო მხოლოდ საქართველოს გაქრისტიანების შემ-დეგ, როცა სარწმუნოების სხვა-და-სხვაობამ სამუდამოდ ჩასტეხა მათ შორის ხიდი.

ქრისტეს სარწმუნოება საქართველოს ერმა ოფიციალურად და საბოლოოდ თუმცა მეოთხე საუკუნეში, მირიან მეფის დროს, მიი-ღო, მაგრამ ეს სარწმუნოება თან-და-თან ვრცელდებოდა საქართველო-ში პირველისავე საუკუნიდამ. ამის მიზეზი ის იყო, რომ საქართვე-ლოს პირ-და-და-პირა მისვლა-მოსვლა ჰქონდა იმ ქვეყნებში, სადაც გა-ჩნდა და პირველად გავრცელდა ეს სარწმუნოება. პირველ მოციქულებს უმთავრესი ყურადღება ჰქონდათ მიქცეული მცირე აზიისაკენ და აქე-

დამ საქართველოსაკენ. პირველ მოციქულთა შორის, რომელთაც იქა-
დაგეს საქართველოში, „ქართლის-ცხოვრება“ ასახელებს ანდრია პირველ-
წოდებულს, ადერკ მეფის დროს. ამას გარდა საქართველოში უძველეს
დროდამ დასახლებული იყვნენ ებრაელები. ამათ განუწყვეტელი მისვ-
ლა-მოსვლა ჰქონდათ იერუსალიმელ ებრაელებთან და ზოგნი მათგანნი
დამსწრენიც იყვნენ იესო ქრისტეს ჯერ ქადაგებისა და მერმე ჯვარ-
ცმისა. ვინც ამათგანი აღიარებდა ქრისტეს სჯულს, ის, რასაკვირვე-
ლია, საქართველოში დაბრუნებისათანავე ამ სჯულის მხურვალე მქადა-
გებელი იქნებოდა. ებრაელთა რიცხვმა იმატა ბარტომ მე-II-ის და
ქართამის მეფობის დროს, როცა რომის იმპერატორმა ვესპასიანემ
(70 წ.) აიღო იერუსალიმი და განფანტა დედა-მიწაზე ებრაელები.
დასავლეთ საქართველოში კი, სადაც შავის-ზღვის ნაპირად გაბნეული
იყო ბერძნების ახალ-შენები, ქრისტეს სჯულის ცნობა შემოჰქონდათ
ბერძნებსაც. მეორე საუკუნის დამლევს საქართველოს ტახტზე ვხედავთ
რევ-მართალს. თუმცა ეს მეფე იყო წარმართი, და მისმა ცოლმა სა-
ბერძნეთიდამ ჩამოიტანა კერპი აფროდიტისა, მაგრამ სახარების ცოდ-
ნა სრული ჰქონდა. მისმა მაღალ ზნეობამ და გონიერმა ყოფა-ქცევამ
და მმართველობამ მოამზადა ქართველები იმ დიდ ზნეობითის ცვლი-
ლებისათვის, რომელიც მოხდა მეოთხე საუკუნეში, მირიან მეფის
დროს.—

---

## XXXIV. რომის მხედართ მთავარი პომპეი საქართველოში და ბრძოლა მისი მიტრიდატ პონტელთან

66—64 წწ. ქრ. წინ.

*(Th. Mommsen—Histoire romaine, trad. par de Guerle, t. VI)*

პომპეის ჩაჰბარდა საბითინიო პონტის და კილიკიის გამგეობა
და ამ ქვეყნებში დაყენებული ჯარები; მიენდო აგრეთვე ომი სომხე-

თისა და პონტის წინააღმდეგ (66 წ.). ამის შემდეგ მისს ნებაზე იყო როგორც ომი, ისე მორიგებაც აღმოსავლეთის მეფეებთან. პომპეიმ მიიღო ეს მინდობილება და ფიქრობდა, ამ გზით მოვისპეჭ პატივსა და დიდ-ძალს სიმდიდრესაო, და ამიტომაც მალე დაივიწყა ის არისტოკრატია, რომელსაც იგი ეჯავრებოდა და შურის თვალით შესცქეროდა მისს გამარჯვებას; ხელი აიღო კრიტის ჯარის მთავარსარდლობაზე და მეკობრეების დევნაზე და თავისი ფლოტით განიზრახა პონტის და სომხეთის მეფეებზე გალაშქრება. მცირე აზიაში გალაშქრების შემდეგ, რამდენიმე თვე ახალმა სარდალმა გაორკეცებულის მეცადინეობით მოახმარა სამხედრო და დიპლომატიურ მომზადებას. მიტრიდატს მოციქულები გაუგზავნა, მაგრამ უფრო დროს გაგრძელებისათვის, და არა მართლა შემწყობის სათხოვნელად. პონტის სასახლეში იმედი ჰქონდათ, რომ პართების მეფე ფრაატი, უკანასკნელის თვალ-საჩინო გამარჯვების შემდეგ, რომელიც დარჩათ მათს შეერთებულ ჯარებს რომის წინააღმდეგ, მონაწილეობას მიიღებდა სომხეთის და პონტის ხელშეკრულობაში. ამ განზრახვის საწინააღმდეგოდ რომის დესპანები მივიდნენ კტეზიფონის *) სასახლეში. ამ საქმეში მათ ხელი შეუწყო შინაურმა განხეთქილებამ, რომელიც აშფოთებდა სომხეთის სასახლეს. ტიგრან დიდს ჰყავდა ერთი შვილი, რომელსაც იმისივე სახელი ერქვა და რომელიც წინააღუდგა მამას. მიზეზი ამისა იქნება ის იყო, რომ შვილმა ველარ შესძლო მოხუცებულის მამის სიკვდილამდე მოცდა, ან, ეგება, მამის ცუდმა ხასიათმა, რომელმაც დალუპა მისი ძმები, მოთმინებიდამ გამოიყვანა იგი და თავის მდგომარეობის გაუმჯობესობის ღონისძიებას მხოლოდ აშკარა აჯანყებაში ჰხედავდა. მამისაგან დამარცხებული, იგი გაიქცა, რამდენიმე წარჩინებული სომხებით, არშაკიდების სასახლეში და იქიდამ უწევდა თავის მამას მტრობას. ფრაატმა რომ კავშირი შეჰკრა რომაელებთან, ამის მიზეზი ერთად ახალგაზდა ტიგრანიც იყო.—მაგრამ უფრო დიდი ზარალი ახალგაზდა ტიგრანმა თავის მამას და მიტრიდატს იმით მოუტანა, რომ მისმა აჯანყებამ განხეთქილება ჩამოაგდო ამ ორ მე-

*) პართების სამეფო ქალაქი.

ფეს შუა. ტიგრან დიდი ჰფიქრობდა, რომ ამ აჯანყების საქმეში მონაწილეობა უნდა ჰქონდესო მიტრიდატს, რომლის ასული—კლეოპატრა იყო მისი ცოლი და ასალგაზრდა ტიგრანის დედა. თუმცა ტიგრან დიდი აშკარად არ აშლია მიტრიდატს, მაგრამ კეთილი განწყობილება მათ შორის სწორედ იმ დროს მოისპო, როცა უფრო საჭირო იყო.—

როგორც კი გაზაფხული დადგა, პომპეიმ თავის ჯარით, რომელიც შესდგებოდა 40 თუ 60 ათასი კაცისაგან, გადაიარა პონტის საზღვრები. აქ მიტრიდატი დახვდა 30,000 ქვევითის და 3,000 ცხენოსანის ჯარით. მიტრიდატმა რა დაინახა, რომ მოკავშირეებმა მიმატოვესო და რომაელები დიდის ძალით და მედგრად მოდიანო,— შეუდგა მორიგების ცდას. მაგრამ პომპეი სრულს დამორჩილებას თხოულობდა. მიტრიდატი ამას ვერ დათანხმდებოდა, რადგან რაც უნდა უბედურად დასრულებულიყო მისთვის ომი, უარესი რაღა დაემართებოდა? მიტრიდატმა რომაელების ქვევითა ჯართან საშინელ შეტაკებას მოარიდა თავის ჯარი, რომელიც უმეტეს ნაწილად შემდგარი იყო მშვილდოსნებისა და ცხენოსნებისაგან და ნელ-ნელა დაიწია უკან. რომაელები იძულებულნი იქმნენ მის კვალს მიჰყოლოდნენ. როცა კი შემთხვევას დაინახავდა მიტრიდატი, შეაჩერებდა ხოლმე რომაელების ცხენოსანს ჯარს,—თუმცა ეს უკანასკნელი უფრო ძლიერი იყო მიტრიდატის ცხენოსანს ჯარზე,—და დიდ გაჭირებას აყენებდა რომაელებს სურსათის შოვნის გაძნელებით. მოთმინებიდამ გამოსულმა პომპეიმ გადასწყვიტა აღარ დადევნებოდა პონტის ჯარის კვალს და მიტრიდატის გამოკიდებას ამჯობინა თვით ქვეყნის დამორჩილება. პომპეი დაბრუნდა ევფრატის ზემოდ, გავიდა ამ მდინარეში და დაიჭირა პონტის სამეფოს აღმოსავლეთი ნაწილები. მიტრიდატი უკან გამოუდგა, მაგრამ საქმის გადასაწყვეტი შეტაკება არა ჰქონიათ მოწინააღმდეგეებს. ბოლოს პომპეიმ მოუარა წინ მიტრიდატის ჯარს და დაიჭირა სიმაღლეები, საიდგანაც რომაელებმა საშინელი სისწრაფით დაუწყეს ურიცხვი ისრების სროლა მიტრდატის ჯარს, რომელმაც რომაელების იქ ყოფნა არც კი იცოდა. ეს მოხდა ლიკოს მდინარის (იესკილ-ირმაკის) სამხრეთ ნაპირზე, აწინდელ ენდერის მახლობლად,

სადაც შემდეგ ნიკოპოლისი გააშენეს. როცა რომაელებს გამოელიათ სასროლი იარაღები, ჩამოირბინეს სიმაღლეებიდგან და ხელ-და-ხელ დაერივნენ მიტრიდატის ჯარს, რომელიც ახლად ამოსულმა მთვარემ მთლად გამოაშკარავა და რომლის დამარცხება რომაელებისათვის ძლიერ ადვილი იყო: ვისაც მახვილმა ვერა ავნო არ, ის ცხენებისა და ეტლებისაგან გასრესილ იქმნა. ეს იყო უკანასკნელი შეტაკება, რომელიც მოხუცებულს მეფეს ჰქონდა რომაელებთან. მიტრიდატი გაიქცა სინორიას ციხეში, სადაც ეგულებოდა ზოგიერთი თავისი მომხრეები. თან გაჰყვა სამი მეგობარი და ერთი ხასა, რომელიც ჩვეულებრივ დაჰყვებოდა ჩხუბში და კაცურად ჩაცმული მამაცად იბრძოდა მის გვერდით. მიტრიდატმა გაუყო თავის მომხრეებს საზინა, რომელიც იმ ციხეში იყო შენახული—6,000 ტალანტი (7,312,500 მანათამდე) იშოვა თავისთვის და მათაც მისცა საწამლავი და საჩქაროდ გასწია დანარჩენის ჯარით თავის მომხრე სომხეთის დიდ მეფესაკენ, რომელთანაც შეერთებას ესწრაფებოდა. მიტრიდატს ეს იმედიც გაუცრუდა. სომხეთის მეფემ ტიგრანმა მოიწადინა რომაელებთან კავშირის დაჭერა და, ვიდრე ნამდვილად შეჰკრავდა მათთან კავშირს, უკვე მოსპო ყოველივე განწყობილება მიტრიდატთან, ისე რომ მიტრიდატმა, სომხეთის საზღვართან რო მივიდა, შეიტყო, რომ ტიგრანს მისი თავი დაუფასებია ას ტალანტად, მისი მოციქულები დაუჭერია და რომაელებისათვის გაუგზავნია.

ახლა კი იგრძნო მიტრიდატმა, რომ მისი სამეფო მტრის ხელში იყო, რომ მისი მოკავშირენი მზად იყვნენ მტრის ხელში ჩაეგდოთ მისი თავი. შეუძლებელი-ღა იყო ომის გაგრძელება. თავის თავის დიდი სიფრთხილე უნდა დაეჭირა, თუ უნდოდა, რომ მიეღწია შავი-ზღვის აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის ნაპირებამდე. იქნება შესძლებოდა ბოსფორის სამეფოდგან განდევნა თავის შვილის მახარასი, რომელიც მის წინააღმდეგ აჯანყდა და რომაელებთან კავშირი დაიჭირა; იქნება მეოტის [აზოვის] ზღვაზე ეპოვნა ახალი ნიადაგი თავის ახალ პროექტებისათვის. ამიტომაც მიტრიდატი მიიქცა ჩრდილოეთისაკენ.

როცა გაქცეულმა მეფემ გადაიარა უწინდელი საზღვარი მცირეაზიისა, ფაზის მდინარე, პომპეი უკან აღარ დასდევნებია. მაგრამ მის

მაგიერ, რომ დაბრუნებულიყო იმ ქვეყანაში, რომელსაც რწყავდა ევფრატი, ის მიიქცა სამხრეთით, რახსის ქვეყნისაკენ, ტიგრანთან საქმის დასაჭერად. თითქმის წინააღმდეგობა არ შეხვედრია, ისე მივიდა ტიგრანის სატახტო ქალაქის, არტაქსატის მახლობლად (ერევნის მახლობლად) და დაიბანაკა ქალაქიდგან სამს მილზე. იქ დახვდა დიდი მეფის შვილი, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ მამის ტახტიდგან ჩამოგდების შემდეგ, სომხეთის მეფის გვირგვინს რომაელების ხელიდგან მივიღებო, და ამიტომ მოიწადინა თავის მამისათვის ხელი შეეშალა რომაელებთან მორიგების საქმეში. ამიტომ უფრო გადასწყვიტა დიდმა მეფემ რომაელებს მორიგებოდა, რაც უნდა ძვირად დასჯდომოდა ეს მორიგება. ცხენზე, უპორფიროდ, მაგრამ გვირგვინითა და ჯიღით ტიგრან დიდი გამოცხადდა რომაელების ბანაკის წინ და ითხოვა, რომ წარუდგინათ იგი სარდლის წინაშე. ლიქტორის წინადადებისამებრ, მეფემ გადასცა მას, როგორც მოითხოვდა რომაელების ბანაკთა ჩვეულება, თავისი ცხენი და ხმალი და დავარდა, ბარბაროსების ჩვეულებისამებრ, პროკონსულის ფეხებთან და სრულის დამორჩილების ნიშნად მიართვა თავისი გვირგვინი. ამისთანა ადვილ გამარჯვებით გახარებულმა პომპეიმ აიყვანა დამცირებული მეფეთ მეფე, დაუბრუნა მისი ღირსება და მორიგების პირობანი. მეფეს უნდა გადაეხადნა 8,375,000 მანეთი და გარდა ამისა უნდა მიეცა ჯარის კაცებისათვის საჩუქარი, რომლისგან თითო ჯარის კაცს უნდა ჰრგებოდა 13 მანეთამდე. ამასთანავე ტიგრანმა უარი სთქვა ყველა მისგან დამორჩილებულ ქვეყნებზე, არამც თუ ფინიკია, სირია, კილიკია და კაპადოკიაზე, არამედ სოფენზეც და ქურდისტანზედაც, რომელნიც მდებარეობდნენ ევფრატის მარჯვენა ნაპირზე. ამ ნაირად შემცირდა მისი დიდი სამეფო და სომხეთი ისევ თავის კალაპოტში ჩადგა. ერთის გალაშქრებით პომპეიმ დაამხო აღმოსავლეთის ორი დიდი სამეფო, პონტისა და სომხეთისა.

66 წლის დასაწყისში ქრ. წინ რომაელების უწინდელ სამფლობელოს საზღვრების გადაღმა არც ერთი რომაელი ჯარის კაცი არ იყო; იმავე წლის ბოლოს კი მეფე მიტრიდატი გაქცეული იყო და უჯაროდ კავკასიის ხეობებში დადიოდა უგზო-უკვლოდ; მეფე ტიგ-

რანი სომხეთის ტახტის მეფედ მეფე კი აღარ იყო, არამედ რომაელების ქვეშევრდომ მთავრად ითვლებოდა. მცირე აზიის ქვეყანა ეფრატის აღმოსავლეთმდე ერთიანად რომაელების სრულს მორჩილებაში ჩავარდა: გამარჯვებულმა ჯარმა საზამთროდ დაიბანაკა სომხეთის ვაკის აღმოსავლეთად, ეფრატის სათავეს და მტკვარს შუა, რომელთა წყალი იტალიის ცხენებმა პირველად დალიეს.

მაგრამ ახალი ქვეყანა, რომელშიც რომაელები მაშინ შევიდენ, უმზადებდა მათ ახალ ბრძოლას. აღმოსავლეთის და შუაგულის კავკასიის მამაც ხალხებს ძლიერ ეწყინათ რომაელების მათ ქვეყანაში დაბანაკება. ახლანდელ საქართველოს ნოყიერს და მრავალ მდინარეებით მორწყულ მთა-ვაკეებზე, ცხოვრობდენ ივერიელები, ერი მამაცი, განათლებული და მიწის მუშაკი. მიწა-ადგილი კერძოდ არავის ეკუთვნოდა, არამედ იყო საერთო საკუთრება სხვა-და-სხვა გვარებისა, რომელნიც ემორჩილებოდენ ხევის ბერებს. ერი და ჯარი ერთი იყო. ერის მაღლა იდგა ერთის მხრით აზნაურთა წოდება და უფრო ხნიერი მათგანი მეფობას უწევდა ივერიელებს და მისი მომყოლი კი—მსაჯულობას და სარდლობას; მეორეს მხრით ერის მაღლა იდგენ ხუცების გვარები, რომელთა მოვალეობას შეადგენდა უცხო ერებთან პირობების შეკვრა და ამ პირობების ასრულებისათვის ყურის გდება. დანარჩენი, თავისუფლებას მოკლებული ხალხი კი მეფეს ეკუთვნოდა.

უფრო ნაკლებად ჰქონდათ შემუშავებული მიწა მათს მეზობლებს აღმოსავლეთის მხრით—ალვანიელებს, რომელთაც ეჭირათ მტკვრის ქვემო ნაწილის ქვეყანა კასპის ზღვამდე. ეს ერი იყო მეჯოგე და მისდევდა ქვევითად და ცხენით თავის მრავალს ჯოგს, რომელსაც აძოვებდა ახლანდელ შირვანის ზემო მინდვრებზე. შემუშავებული ყანები, ისიც ურკინო გუთნით, ცოტა ჰქონდათ. ფული მათ არ იცოდენ და თვლა ასზე ზევით არ შეეძლოთ. თვითოეულ მათ მოდგმას (tribus),—სულ იყო ოც და ექვსი მოდგმა—ჰყავდა თავისი წინამძღოლი და ჰქონდა თავისი საკუთარი ენა. რიცხვით ივერიელებზე ბევრად მეტი იყვნენ, მაგრამ სიმამაცით კი ივერიელებს ალვანიელები ვერ უდრიდენ. ბრძოლის წესი ორისავე ერისა თითქმის ერთნაირი იყო: ისინი ომობდენ შვილდ-ისრებით, ან სხვა ამ გვარ სას-

როლ იარაღით, რომელსაც, ინდოელებსავით, ხის უკან ამოვარებულ-ნი, ან ხის წვერზედ შემდგარნი ისროდენ. ალვანიელებს ჰყავდათ აგრეთვე მრავალი ცხენოსანი ჯარი, აბჯრით მძიმედ მოსილი, მიდიე-ლების და სომხების მსგავსად. ივერიელები და ალვანიელები თავის მინდვრებზე და საძოვრებზე სულ თავისუფლად ცხოვრობდენ უხსოვ-რის დრომდამ. თითქოს თვით ბუნებამ დასდგაო კავკასია ევროპას და აზიას შუა, ვითარცა კედელი ხალხთა ღელვის წინააღმდეგ; როგორც კვიროსის, ისე ალექსანდრეს ჯარები ძალა უნებურად აქ უნდა შეჩერე-ბულიყვნენ. გულადმა ერმა, რომელიც შეადგენდა ამ გამყოფს კედელს, მოიწადინა თავისი დაუმოკიდებლობის დაცვა რომაელებისაგანაც.

ალვანიელებმა გაიგეს, რომ რომაელების სარდალს განზრახვა აქვს მომავალს გაზაფხულში მთები გადაიაროსო და პონტის მე-ფეს უნდა უკან დაედევნოსო კავკასიის *) გადაღმა, რადგან ამბობდენ, რომ მიტრიდატი ზამთარს ატარებსო დიოსკურიაში (ისკურია, სოხუმს და ანაკლიას შუა), შავიზღვის ნაპირად. ამ ამბით ზარდაცემულ-მა ალვანიელებმა პირველად გადაიარეს კავკასია შუაგულ ზამთარში (66—65 წ.) თავის მთავრის ოროზეს ხელქვეშით და თავს დაეცენ რომაელების ჯარს, რომელიც სამ ნაწილად იყო დაყოფილი: ქვინტუს მეტელლუს ცელერს, ლუციუს ფლაკუს და თვით პომპეის შუა. მაგ-რამ ცელერი, რომელსაც დაეცა მტრის უმთავრესი ძალა, კარგად გა-უმაგრდა და პომპეიმ, დაამარცხა რა მასზე მისული ჯარი, მტკვრამდე მისდია ყოვლის მხრით დამარცხებულს ბარბაროსებს. ივერიელების მე-ფე არტაგი (არტოკეს) წყნარად იყო და რომაელებს შეჰპირდა მე-გობრობასა და კავშირს; მაგრამ პომპეიმ გაიგო, რომ არტაგ იდუმალ ემზადებოდა რომაელებზე თავს დასაცემად კავკასიის ხევებში, და 65 წლის დასაწყისს, სანამდი ხელ-ახლავ შეუდგებოდა მიტრიდატის და-დევნებას, უკან დაბრუნდა და მიიქცა არმაზის (Harmosika) და წი-წამორის (Seusamura) ციხეებისაკენ. ეს ციხეები აშენებული იყვ-ნენ ტფილისის ცოტა ზემოდ, ძლივს შორავდენ ერთმანეთს სამ ვერს ნახევარზე, ჰყოფდენ მტკვრის და არაგვის ვაკეებს და ზედ

*) ესე იგი, კავკასიის მთების შტოს—ლიხის მთის გადაღმა.

დასცქეროდენ სომხეთიდამ ივერიაში შესასვლელ გზას. არტაგმა სანამდე მტერი მოვიდოდა, საჩქაროდ დასწვა მტკვრის ხიდი და დაიწია უკან შუაგულ ქვეყანაში. პომპეიმ დაიჭირა ციხეები და გამოუდგა ივერიელებს მტკვრის გაღმა ნაპირით. იმედი ჰქონდა, რომ ამ მხრით ივერიელებს დაიმორჩილებდა. მაგრამ არტაგ სულ უფრო და უფრო შიგ შეიწევდა და ბოლოს პელოროსის ნაპირზე შეჩერდა, მაგრამ იმისათვის კი არა, რომ დამორჩილებოდა, არამედ—ბრძოლა გაეწია. ხოლო ივერიელების მეშურდულეებმა ერთს წამსაც ვერ გაუძლეს ლეგიონების ძალას, და როცა არტაგმა დაინახა, რომაელებმა პელოროსის მდინარე გაიარესო, მაშინ მიიღო ყველა პირობები, რომელიც გამარჯვებულმა მტერმა უბრძანა და ამანათად გაუგზავნა თავისი შვილები. პომპეი თავის განზრახვისამებრ მტკვრის ხეობიდამ ფაზის ხეობაში შევიდა შორაპნის გზით და იქიდამ წყლით მივიდა შავს-ზღვაზე, სადაც უცდიდა ფლოტი, რომელსაც ოკტავიუსი განაგებდა. მხოლოდ ამ საძნელო გალაშქრებამ უცნობსა და უმეტეს ნაწილად მტრულს ქვეყნებში უფრო და უფრო ცხადად დაანახვა რომაელებს, თუ რამდენად ძნელი იყო მათთვის გზა და რამდენად გაურკვეველი და ფუჭი იყო ის საგანი, რომლისათვის ჯარი და ფლოტი მოეყვანათ კოლხიდის სალეგენდო ნაპირებზე. მართლაც, რომაელებს რომ კიდეც შესძლებოდათ ფაზისის შესართავიდამ ყირიმს გადასვლა და ერთის სიტყვით მშვიდობით შეესრულებინათ ეს გალაშქრება, რომელიც უფრო ძნელი იყო, ვიდრე გალაშქრება ალექსანდრესი და ჰანნიბალისა, რას უნდა გამორჩენოდენ მაინც იმისთანას, რომ ღირებულიყო იმ სიძნელედ და გაჭირვებად, რომელიც უნდა გამოევლო მათს ჯარს? მართალია, ომი არ ჩაითვლებოდა დასრულებულად, სანამდე მოხუცი მეფე ცოცხალი იქნებოდა, მაგრამ ვინ იყო თავდები, რომ მართლა მიაღწევდენ იმ მეფის საზღვარს, რომლისათვის ამისთანა უმაგალითო ნადირობა გამართეს? განა არა სჯობდა, თუნდაც იმითი მიტრიდატს მისცემოდა საშუალება ახალი ომი გაემართა მცირე აზიაში, რომ დასთხოვნოდენ ამ დევნას, რომელსაც ასე ცოტა სარგებლობა და გასაჭირი კი მრავალი უნდა მოეტანა? ჯარში და განსაკუთრებით რომში მრავალი ხმა თხოულობდა, რომ პომპეის ეს დევნა გაეგრძე-

ლებინა შეუწყვეტლად და რა ფასადაც უნდა დამჯდარიყო; მაგრამ ესქ-თი რჩევა იყო წინდაუხედავი კაცებისა ან ვერაგ მეგობრებისა, რომელნიც ცდილობდენ ყოვლის ღონისძიებით, რომ პომპეი რომზე დაშორებული და აღმოსავლეთის ქვეყნებში დაუსრულებელ საქმეებით გართული ყოფილიყო. პომპეი ძრიელ გამოცდილი სარდალი იყო, და არც თავის სახელს გაიფუჭებდა და არც თავის ჯარს დაღუპავდა ამისთანა სულელურ საქმისათვის. ალვანიელების აჯანყებამ მას მიზეზი მისცა, რომ მიტრიდატისთვის თავი დაენებებინა და უკან დაბრუნების განკარგულება მოეხდინა. შემდეგ ამისა ფლოტს უბრძანა შავ-ზღვაზე დარაჯად დარჩენილიყო, მცირე აზიის ჩრდილოეთის ნაპირი დაეფარა და საკიმერიო ბოსფორი შემოეზღუდა და გამოეცხადებინა ყველა სავაჭრო გემების კაპიტნებისათვის სიკვდილის მუქარა, თუ ვინიცობაა მათგანი ვინმე გაარღვევდა შემოზღუდულ ადგილს. ხმელეთის ჯარი კი დიდი გაჭირვებით წაიყვანა სომხეთით და კოლხიდით შიგოთიან მტკვრისაკენ, რომელშიც გავიდა ალვანიის ვაკეზე. რომაელების ჯარი ზაფხულის პაპანებაში იძულებული იყო ევლო ჭაობიან ადგილებში, სადაც მხოლოდ ჭილობი იზდებოდა, მაგრამ მტერს კი ვერ შეხვდა. მხოლოდ მდ. აბასის (ეს უნდა იყოს აწინდელი ალაზანი) მარცხენა ნაპირას შეხვდა ალვანიელების ჯარი, რომელსაც წინამძღოლობდა კოზესი, ორეზეს მეფის ძმა. სულ ამ ჯარის რიცხვი, რომელიც შეიცავდა ამიერ კავკასიის უდაბურ მინდვრების მცხოვრებთაც, უნდა ყოფილიყო 60,000 კაცი ქვეითი და 12,000 ცხენოსანი. მაგრამ ალვანიელები მაინც ვერ გაუბედავდენ პირ-და-პირ შეტაკებას, თუ არ ჰგონებოდათ, რომ საქმე მარტო რომაელების ცხენოსანს ჯართან ჰქონდათ. ნამდვილად კი ცხენოსნები მხოლოდ მოწინავე ჯარს შეადგენდენ და, როცა უკან დაიწიეს, გამოჩნდა რომაელების ქვეითი ჯარი. ცოტა ხნის ბრძოლის შემდეგ ალვანიელების ჯარი ტყეში დაიფანტა. პომპეიმ შემოარტყა თავისი ჯარი და ცეცხლი გაუჩინა ტყეს, მაშინ ალვანიელებმა სთხოვეს პომპეის მორიგება და შეჰკრეს მასთან პირობა.—ამ გვარად ალვანიელები, ივერიელები და ყველა ის ერნი, რომელნიც ცხოვრობდენ კავკასიის მთებში და მის ქვემოდ, დაემორჩილდენ დროებით რომს. თუმცა ფაზის მდინა-

რეს და პალუს მეოტიდეს *) შორის მოსახლე ერთაც: კოლხიდე-ლებს, სვანებს, ჭენიოქელებს, იაჯიგებს, აქეელებს და უფრო შორს დასახლებულ ბასტარნებსაც სთვლიდენ პომპეის დაპყრობილ ერთა რიცხვში, მაგრამ ისინი ნამდვილად კი არ ყოფილან დამორჩილებულ-ნი. კავკასია პირველად წარმოუდგა ქვეყნიერობას თავის ისტორიულ მრავალ-მნიშვნელობით: როგორც წინად ბერძნების და სპარსელების ძლევა-მოსილებას, ისე ახლა რომაელებისას კავკასიამ დაუდვა საზ-ღვარი.

ამ გვარად მიტრიდატი დარჩა მარტოკა, მაგრამ იმედი არ და-კარგვია. რომაელების პატრონობას აღმოსავლეთის ერნი ბუნებითად ვერ ითმენდენ. მიტრიდატი კი, ავი თუ კარგი, პირველი მთავარი, იყო აღმოსავლეთში. იმ სუსტის გამგეობის შემწეობით, რომელიც სენა-ტორების მართებლობას შეჰქონდა დამორჩილებულ ქვეყნებში და იმ პარტიების გამო, რომელნიც რომში მუდამ არსებობდენ და მუდამ მზად იყვნენ ერთმანეთისათვის ბრძოლა დაეწყოთ, მიტრიდატს შეეძლო თავისი მეფობა აღედგინა, თუ შემთხვევას მოუცდიდა. მართლაც მი-ტრიდატი, ვიდრე ცოცხალი იყო, ზარსა სცემდა რომაელებს. ეს გა-დავარდნილი მეფე, ვიდრე ცოცხალი იყო, ეგრევე იმედოვნებდა, რო-გორც იმ დროს, როცა ჰყავდა რამდენიმე ასი ათასი მხედარი; იმე-დოვნებდა, რომ შეიძლებდა რომაელებისაგან საბერძნეთის და მაკედო-ნიის წართმევას. დაუღალავი მოხუცი წავიდა დიოსკურიით, გასვლო ხმელეთი და ზღვა, გამოიარა უთვალავი სიძნელე და მივიდა პანტი-კაპეის **) სამეფოში.

აქ მოიპოვა მრავალი მომხრე და დაამარცხა თავისი აჯანყებული შვილი, რომელსაც თავი მოაკვლევინა. აქედამ კიდევ ეცადა რომაე-ლებს მორიგებოდა. მიტრიდატი თხოულობდა თავის სამკვიდრო სა-მეფოს დაბრუნებას და უცხადებდა სურვილს, რომ რომაელების ჰეგემონია ეცნო და თვითონ გამხდარიყო მათი მოხარკე მთავარი. მაგრამ პომპეიმ უარ-ჰყო მიეცა მიტრიდატისათვის იმისთანა მდგომარეობა, რომელშიც იმას შეეძლო უწინდელი წინააღმდეგობის განახლება. პომპეიმ მოითხოვა,

*) აზოვის ზღვა.—**) სადაც ახლა კერჩია.

რომ მიტრიდატი პირადად დამორჩილებულიყო. მიტრიდატმა არ ისურვა თავის მტრის ხელში ჩავარდნა და შეადგინა ახალი და უფრო ვრცელი პლანები. გადარჩენილ საზინის და მის ხელ-ქვეშ დარჩენილ სამეფოის ნაწილის შემწეობით მან შეჰკრიბა ახალი ჯარი 36,000 კაცისაგან შემდგარი, რომლის ერთ ნაწილს შეადგენდენ მონები. ეს ჯარი იყო შეიარაღებული და გაწვრთნილი რომაელების მსგავსად. მიტრიდატმა გააწყო აგრეთვე სამხედრო ფლოტი. ამბობენ, რომ იმას უნდოდა გაევლო თრაკია, მაკედონია და პანნონია, თან წაეყვანა სარმატის უდაბურ მინდვრებიდამ სკვითები და დონის კელტები და ამისთანა ხალხთა გროვით თავს დასცემოდა იტალიას. ეს განზრახვა ზოგიერთებს დიდებულად ეჩვენათ და შეადარეს იგი ჰანიბალის გალაშქრებას, მაგრამ ერთი და იგივე საქმე შესაძლებელია სამხედრო კაცის მხრით გენიოსურ ქმნილებად ჩაითვალოს და უძლური კაცის ხელში კი სულელობას მოასწავებდეს. აღმოსავლეთის ერთა იტალიაში შემოსევა სულ სასაცილო იყო და წარმოადგენდა უძლურის სასოწარკვეთილების ფანტაზიას. რომაელების სარდალი აუჩქარებელი კაცი იყო და საჭიროდ არ დაინახა გამოჰკიდებოდა მტერს და ბრძოლა გაეწია შორეულ ყირიმში, რადგან, თუ მიტრიდატის პლანი თავისით არ დაიშლებოდა, ყოველთვის შესაძლო იყო მისი დროზე შეჩერება ალპების მთების ძირში. მართლაც, თუმცა პომპეი ყურს არ უგდებდა მიტრიდატის მსვლელობას და თავის დროს ახმარებდა ახლად დაპყრობილს ქვეყნებში წესის და რიგის დამყარებას, მაგრამ მიტრიდატის საქმე თავისით დაიშალა და მოხუცებულ მეფის ბედ-იღბალს ჩრდილოეთში ბოლო მოეღო. მისმა უზომო სამხედრო მომზადებამ გამოიწვია გაცხარებული უკმაყოფილება ბოსფორელების მხრით, რადგან შეეხნენ მათ ოჯახებს, ართმევდენ მათ საგუთნე ხარებს სამხედრო იარაღების გადასაზიდად. თვით ჯარის კაცები ზიზღით მიდიოდენ იტალიის წინააღმდეგ საომრად. მიტრიდატი ყველას ეჭვით უცქეროდა და ყველასაგან ღალატს მოელოდა: მას არ ჰქონდა ნიჭი თავისიანების სიყვარულის და ერთგულების მოპოვებისა. მისივე სარდლები მას წინააღუდგნენ.— მეფემ დაიწყო შურის-ძიება და გამოიჩინა თავისი სისასტიკე. ერთის საჭურისის დაბეზღებით მან ჯვარს აცვა თავისი უსაყვარლესი მეგო-

ზარი, თვით მისი ღვიძლი შვილების სიცოცხლეც საშიშ მდგომარეობაში იყო. ერთი მათგანი ფარნასე, რომელიც უფრო საყვარელი იყო მისი და ალბად დანიშნულიც იყო მემკვიდრედ, წინააღუდგა მას და გასდა აჯანყებულების მოთავედ. თვით მოხელეები, რომელნიც მიტრიდატმა გაგზავნა აჯანყებულების დასამარცხებლად, მიემხრნენ აჯანყებულებს. მთელი ერთი რაზმი ჯარისა, რომელიც იტალიიდამ გამოქცეულებისაგან შემდგარი იყო და რომელიც, იქნება, მიტრიდატის ჯარებში ყველაზე უფრო ძვირფასი იყო, მიემხრო ფარნასეს. უთუოდ იმიტომ, რომ არ მოსწონდათ იტალიის წინააღმდეგ გალაშქრება, რომელიც საეჭვო იყო და მათთვის, იქნება, სახიფათოც. ჯარების სხვა ნაწილებმა და ფლოტმაც ამ მაგალითს წაბაძეს. როცა ერმაც და ჯარმაც მიატოვა მიტრიდატი, დედა-ქალაქმა პანტიკაპეიმ კარი გაუღო აჯანყებულებს და მის ციხე-სიმაგრეში შემწყვდეული მოხუცი მეფე გასცა. მეფემ თავის სასახლით გადმომდგარმა სთხოვა თავის შვილებს, რომ სიცოცხლე მაინც შემარჩინეთო და თქვენს ხელებს ნუ გაურევთ მამის სისხლშიო. მაგრამ ამისთანა თხოვნა ასირებული იყო იმ კაცის პირში, რომლის ხელები შებღალული იყო თავის ცოლის და ღვიძლის შვილის, უმანკო ქსიფარეს, სისხლით. მაგრამ ფარნასემ გადააჭარბა თავის მამას უკაცურობით და უგრძნობელობით. რადგან სიკვდილი აუცილებელი იყო, მეფემ განიზრახა მომკვდარიყო მაინც იმ გარემოებაში, რა გარემოებაშიც ცხოვრობდა და უბრძანა მთელს თავის ჰარემს საწამლავი მიეღოთ: ვიდრე საწამლავის ჯამი მამასთან მივიდოდა, ჯერ მის ცოლებს, ხასებს და ქალებს უნდა მიეღოთ სიკვდილი. ამათ შორის ეგვიპტის და კიპრის მეფის ახალ-გაზდა დანიშნულ ქალსაც უნდა მიეღო საწამლავი. რადგან საწამლავმა ჩქარა არ იმოქმედა, მან უბრძანა ერთს კელტელს ჯარის კაცს ბოლო მომიღეო. ამ რიგად მოკვდა მიტრიდატი ევპატორი 63 წ. ქრ. წინ, სამოც-და-რვა წლისა, შემდეგ ორმოც და ჩვიდმეტის წლის მეფობისა და ოცდა ექვსი წლის რომაელებთან ბრძოლისა. მისი გვამი ფარნასე მეფემ გაუგზავნა რომაელებს, ნიშნად თავის ერთგულებისა და მორჩილებისა, და დამარხულ იქმნა, ფარნასეს ბრძანებითვე, სინოპის სამეფო აკლდამაში. რომაელებისათვის მიტრიდატის სიკვდილი ერთ გამარჯვებად ღირდა:

შიკრიკები, დაფნის გვირგვინებით თავ მოკაზმულები,—თითქოს გამარჯვების მახარობელნი იყვნენო—გამოცხადდენ პომპეის ბანაკის წინაშე, იერიხონში, და გამოუცხადეს მიტრიდატის სიკვდილის ამბავი. მიტრიდატთან დამარხეს რომაელებმა დიდი მტერი, უდიდესი იმ მოწინააღმდეგეთა შორის, რომელიც მათ შეხვდათ აღმოსავლეთში. ხალხმა ეს იგრძნო ინსტიკტურად: ხალხის ყურადღება პომპეის ტრიუმფში არაფერს არ მიუზიდავს ისე, როგორც იმ სურათს, რომელიც წარმოადგენდა მიტრიდატს, როცა ის მირბოდა და თავის ცხენი სადავით მიჰყავდა და შემდეგ, როცა თავის ქალების გვამთა შორის მომაკვდავი იტანჯებოდა. როგორიც მსჯელობა უნდა იქონიონ მიტრიდატის ჯიუტობაზე, ეს კია, რომ ის იყო შესამჩნევი ისტორიული პირი სრულის სივრცით ამა სიტყვისა. ის არ იყო გენიოსი და არც მდიდარი ნიჭითა, მაგრამ მას ჰქონდა პატივსადებელი ნიჭი მძულვარებისა და ამ მძულვარების შემწეობით მან შეიძლო გაეწია უთანასწორო ბრძოლა უფრო მძლავრ მტერთან; მართალია, მას გამარჯვება არ დარჩენია, მაგრამ ღირსება კი შერჩა ბოლომდე.—

---

## XXXV. საქართველოს ნაწილების აღწერა სტრაბონის მიერ

66 წ. ქრ. წინ.—24 წ. ქრ. აქეთ.

*(Géographie de Strabon, trad. par Amédée Tardieu, t. II)*

კოლხიდაში უმთავრესი ადგილებია: დიოსკურია და ფაზის ქალაქი. დიოსკურია მდებარეობს შავი ზღვის აღმოსავლეთის კიდეზე, ზღვის-ყურეში და ამიტომ უწოდებენ შავი ზღვის (პონტ ევქსინის) კუთხედ და მიაჩნიათ უშორეს ადგილად ზღვაში მოგზაურთათვის. ამ დიოსკურიის ქალაქთანვე იწყება ყელი, რომელიც მიიმართება შავი ზღვიდამ კასპის ზღვამდე. თვით ქალაქი წარმოადგენს საერთო სავაჭრო ადგილს გარეშემო მცხოვრებთათვის. ამბობენ, რომ იქ იკრიბებაო სამოც-და-ათი სხვა და სხვა ხალხი. სხვების სიტყვით

კი, რომელთაც ნაკლებ დაეჯერებათ, სამასამდე სხვა-და-სხვა ხალხი იკრიბებაო. ყველა ეს ხალხები სხვა-და-სხვა ენაზე ლაპარაკობენ, რადგან განცალკევებულნი არიან და გაუნათლებლობის გამო ერთმანეთთან კავშირი არა აქვთ. უმეტესი ნაწილი სარმატებია, მაგრამ ყველანი კი კავკასიის თესლისა არიან.

იმ ხალხთა შორის, რომელნიც მოდიოდენ სავაჭროდ დიოსკურიაში, იყვნენ აგრეთვე ფთიროფაგები (ე. ი. ტილის ჭამიები). ეს სახელი დაერქვა ამ ხალხს თავის უწმინდურების და ბინძურობის გამო. მათი მეზობლები სვანები ბინძურობით უკან არ ჩამორჩებიან ფთიროფაგებს, მაგრამ ვითარცა ძლიერი ხალხი კი უპირატესობა აქვთ ფთიროფაგებზე და თითქმის ამ ქვეყნის ყველა დანარჩენ ხალხებზეც. მართლაც, სვანებს, უჭირავთ დიოსკურიის ზემოდ მაღალი მთები და იქიდამ ბრძანებლობენ ყველა გარეშემო ხალხებზე. იმათ ჰყავთ მეფე, რომელიც სამას მხედრისაგან შემდგარის კრების შემწეობით განაგებს ერს. ამბობენ, რომ სვანებს, ომის დროს შეუძლიათ ორასი ათასი მეომარი გამოიყვანონო. მართლაც, მათში ყველა მხედარია, მხოლოდ აკლიათ მუდამი ჯარის გაწვრთნილობა. მეორე უფრო სარწმუნო ამბავი, რომელსაც მოგვითხრობენ, ის არის, რომ ამ ქვეყნის ნაკადულებს თან მოაქვს ოქროს ქვიშაო, რომელსაც მკვიდრი მცხოვრებლები დახვრეტილ ფიწალის და გრძელ-ბეწვიან ტყავის შემწეობით აგროვებენო. ამ გარემოებამ დაბადაო, ამბობენ ზოგიერთები, ოქროს მატყლოვან ვერძის მითი.—სვანები თავიანთ ისრებს აცხებენ რაღაცა საწამლავს, რომელსაც საშინელი მყრალი სუნი აქვს და ამიტომ უფრო უძნელებს ავადმყოფს ჭრილობის ატანას. დანარჩენი ხალხები, რომელნიც ცხოვრობენ კავკასიის მთების მახლობლად, ღარიბები არიან, რადგან უჭირავთ უდაბური და ვიწრო ადგილი.—

დანარჩენი ნაწილი კოლხიდისა მდებარეობს უმეტესად ზღვის პირად. ამ ქვეყნის დიდი მდინარე ფაზისია.—ფაზის მდინარეში დადიან ნავებით ს ა რ ა პ ა ნ ი ს *) ციხემდე, რომელშიც შეიძლება მთელი ქალაქის მცხოვრებნი მოთავსდენ. ამ ციხიდამ მტკვრამდე საურმე.

---

*) შორაპანი.

გზაა ოთხი დღის სავალი. ფაზის მდინარის პირად მდებარეობს ქალაქი იმავე სახელისა *), რომელსაც საზღვრავს ერთის მხრით მდინარე, მეორეს მხრით—ტბა და მესამეს მხრით—ზღვა. კოლხიდის ნიადაგი, ფაზის მდინარის შესართავთან, ქვიშიანია, დაბლობი და ნოტიო. კოლხიდას უძევს საზღვრად ტიბარენების ქვეყანა, რომლის მიჯნაზე ტრაპიზონის ქალაქია. კოლხიდა მდიდარია საუკეთესო ხილებით (მაგრამ თაფლი კი აქ მწარეა) და ხომალდების საშენი მასალეებით, რომელნიც გააქვთ აქედამ მდინარეების შემწეობით. ამას გარდა ამ ქვეყანაში დიდი წარმოებაა სელისა, კანაფისა, ცვილისა და კუპრისა. სელის ნაწარმოები ამ ქვეყნისა ძლიერ სახელ-განთქმული იყო და გაჰქონდათ კიდეც უცხო ქვეყნებში. ამ სელის ნაწარმოებზე ზოგიერთები ამყარებდენ იმ აზრს, რომ კოლხიდელები და ეგვიპტელები ნათესავნი არიანო. მოხსენებულ მდინარეების ზემოდ, მოსხების ქვეყანაში, არის ფრიქსის მიერ აგებული ლევკოტეის ტაძარი თავის ქურუმით. ამ ტაძარში არ შეიძლებოდა მსხვერპლად ცხვრის მიტანა. ოდესმე ეს ტაძარი ძლიერ მდიდარი ყოფილა, მაგრამ ჩვენს დროში ჯერ ფარნაკმა გასძარცვა და მერმე პერგამის მეფემ მიტრიდატმა.—

რა სახელ-განთქმული იყო კოლხიდა, ჩანს იმ ზეპირ-თქმულებიდამ, რომელიც მოგვითხრობს ჯერ ფრიქსის და მერმე იაზონის ამ ქვეყანაში გალაშქრებას.—არგონავტების მოგზაურობა კოლხიდაში შეადგენს ნამდვილ ისტორიულ ფაქტს, რომელსაც თვალსაჩინოდ ხდიან ჩვენს დრომდე დარჩენილი ნაშთები და აგრეთვე ჰომიროსის ცხადი მოწმობა. ეს ქალაქი, მაგალითად, ახლაც არსებობს ფაზის მდინარეზე; არავინ არ ეჭვობს, რომ აეტი ნამდვილად მეფობდა კოლხიდაში და მისი სახელი ამ ქვეყანაში დღეს გადაქცეულია ეროვნულ სახელად **); აგრეთვე ყოველთვის გაიგონებთ აქ გრძნეულ მედეაზე თქმულებას; გარდა ამისა ის სიმდიდრე, რომელიც ამ ყამად კოლხიდელებს გამოაქვთ თავიანთ ოქროს, ვერცხლის და რკინის მადნებიდამ, ცხადად გვიჩვენებს, თუ რა იყო ნამდვილი საგანი არგო-

*) ფაზის ქალაქი ანუ აწინდელი ფოთი.—**) ფიქრობენ, რომ ეს სახელი უნდა იყოს ოტია.

ნავტების გამგზავრებისა კოლხიდაში. არგონავტებზე უწინ ფრიქსი წავიდა იმავე მიზნით კოლხიდაში. არგონავტების და ფრიქსის მოგზაურობის კვალს ჩვენს დროშიც უჩვენებენ: ფრიქსის ტაძარი კოლხიდის და ივერიის საზღვარზე; იაზონის სახელზე კი რამდენსამე ტაძარს ვპოულობთ აგებულს სომხეთში, მიდიაში და მათ გარემემო ქვეყნებში.—გარდა ამისა იაზონის კვალს და აგრეთვე იმ კოლხიდელებისას, რომელნიც უკან დაედევნენ მას, პოულობენ კრიტის კუნძულზე, იტალიაში და ადრიატიკის ზღვაზეც.—

კოლხიდის უკანასკნელმა მეფეებმა დაჰყვეს სამეფო რამდენსამე სამთავროდ და ამიტომ ამ მეფეებს დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონიათ. მხოლოდ როცა მიტრიდატი ევპატორი გაძლიერდა, კოლხიდა მის ხელში გადავიდა და ამ ქვეყნის გამგედ ან მოურავად იგი ნიშნავდა ყოველთვის ვისმე თავის მეგობართაგანს. მათ შორის იყო აგრეთვე დედი ჩემის ბიძა (პაპა ჩემის ძმა) მოაფერნი... ამ ქვეყნიდამ მიტრიდატს მოსდიოდა მასალა თავის ფლოტისათვის. როდესაც კი მიტრიდატი ჩამოაგდეს ტახტიდამ, მთელი მისი სახელმწიფო დაიშალა და განაწილებულ იქმნა სხვა-და-სხვა მთავართა შორის. უკანასკნელ მეფედ კოლხიდისა იყო პოლემონი, რომლის სიკვდილის შემდეგ მისი ცოლი პითოდორიდა, ქალი ჭკვიანი და საქმის მცოდნე, გახდა მეფედ კოლხიდელებისა, ტრაპიზონისა, ფარნაკიისა და მათ ზემოდ მცხოვრებელ ბარბაროსებისა: ტიბარენებისა, ქალდეველებისა და ჭანებისა (სანნებისა), რომელთაც წინად უწოდებდენ მაკრონებად. ქალდეველებს კი ძველად ხალიბებად უწოდებდენ.—

დღეს მთელ იმ მხარეს, რომელიც ფაზის და ევფრატის აქედ არის, გარდა არაბეთის ნაწილისა, განაგებენ რომაელები ან მათგან დანიშნული მთავრები. რაც შეეხება სომხებსა, ივერიელებსა და ალვანიელებსა, რომელნიც ცხოვრობენ კოლხიდის ზემოდ, იმათი მართვა ადვილია: ამისთვის საკმაო იქნებოდა რომის ლეგატის გაგზავნა. თუ ამ ჟამად ისინი შფოთავენ, იმიტომ რომ იციან, რომ რომაელებს ახლა მათთვის არ სცალიათ.—

*მოსოხების* ქვეყანა, სადაც ლევკოტეის გამოჩენილი ტაძარია, იყოფება სამ ნაწილად: ერთი ეკუთვნის კოლხიდელებს, მეორე

ივერიელებს და მესამე—სომხებს. ივერიაში არის ფრიქსოპოლი ანუ ფრიქსის ქალაქი, რომელსაც დღეს ჰქვია იდ.ეესა. ეს ქალაქი წარმოადგენს კარგად გამაგრებულ ადგილს კოლხიდის საზღვარზე.—

ალვანიელები და ივერიელები, რომელთაც მარტოკა უჭირავთ თითქმის მთელი კავკასიის ყელი და რომელნიც აგრეთვე ირიცხებიან კავკასიის ერთა შორის, ჰფლობენ ნაყოფიერს და საცხოვრებლად სასიამოვნო ქვეყანას. მათ ქვეყანას შეუძლია არჩინოს ფრიად დიდი ხალხი.

განსაკუთრებით ივერია ძლიერ მდიდარი და დასახლებული ქვეყანაა, როგორც ამას გვიმტკიცებს სიმრავლე ციხე-ქალაქებისა და სოფლებისა, კრამიტით დახურული და არქიტექტურის წესით აშენებული სახლები, აგრეთვე ქულბაქები და სხვა სავაჭრო შენობები.

ერთი ნაწილი ივერიისა შემოზღუდულია კავკასიის მთებით, რომლებიდამ მიიმართება მისი ტოტები სამხრეთისაკენ სომხეთამდე და კოლხიდამდე; შუაში კი მდებარეობს ვაკე, რომელსაც ჰრწყავს მდინარეები. ამ მდინარეთა შორის უდიდესია კიროსი *), რომელიც გამოდის სომხეთში, მალე შემოდის ხსენებულ ვაკეზე, სადაც მას შეერთვის კავკასიის მთებიდამ გამომდინარე არაგონი **) და სხვა წყლები; მერმე ვიწრო ვაკეს გაივლის და შედის ალვანიაში; მერმე ალვანიას და სომხეთს შუა ფართოდ ჰრწყავს მდიდარს საბალახოებსა, სადაც ბლომად იმოვება საქონელი; ამის შემდეგ კიროსს შეერთვის კიდევ რამდენიმე მდინარე, სახელდობრ: ალაზონიოსი ***), სანდობანესი, რეტაქესი და ხანესი; ყველა ამ მდინარეებზე ნავებით დადიან. შემდეგ ამისა კიროსი შედის კასპის ზღვაში. წინა-პირველად ამ მდინარეს უწოდებდენ კოროსად.

ერთი ნაწილი ივერიელებისა ცხოვრობს ბარში და ეს ნაწილი მისდევს განსაკუთრებით მიწის მუშაობას და მშვიდობიანობის მოყვარეა. ამ ბარის ივერიელებს დიდიხნით შეუთვისებიათ სომხების და მიდიელების ტანისამოსი და ზნენი. მხოლოდ მეორე, უფრო დიდი ნაწილი ივერიელებისა, რომელიც ამასთანავე უფრო მეომარია, ცხოვ-

---

*) მტკვარი.—**) არაგვი.—***) ალაზანი.

რობს მთებში. ისინი ცხოვრობენ აქ სკვითების და სარმატების მსგავსად. მთიული ივერიელები მეზობლები არიან და ცოტა არ იყოს მონათესავენიც ამ სკვითებისა და სარმატებისა. პირველ ხმაურობაზე ან ომიანობის გაგონებაზე იმათ შეუძლიათ ბარის ივერიელებთან ერთად შეჰკრიბონ რამდენიმე ათი-ათასი მხედარი.

ივერიაში შესავალი მხოლოდ ოთხი გზაა. ერთი ის გზაა, რომელიც დაჰყურებს კოლხიდელების სარაპანის ციხეს. ეს გზა ის ვიწრო ხევია, რომლითაც ფაზის მდინარე შედის კოლხიდაში. ფაზის მდინარე ჯერ ნელ-ნელა და ფრიად მიხვეულ-მოხვეულად მიდის, რასაც ამტკიცებს ის ასოცი ხიდი, რომელიც გადებულია იქ და რომლის შემწეობით კაცმა უნდა გადაიაროს და გადმოიაროს ეს მდინარე. ხსენებულ ციხესთან კი ფაზის *) მდინარე საშინელის ღელვით და სისწრაფით მიდის, რადგან აქ შეერთვის მრავალი ნაკადული. მეტადრე წვიმის დროს საშინელი ბევრია ამისთანა ნაკადული, და ამისა გამო აქაური მთები ოღრო-ჩოღროდ დასერილია. ფაზის მდინარე გამოდის იმ მთებიდამ, რომელნიც კოლხიდის ზემოდ მდებარეობენ. მთებშივე შეერთვის მრავალი წყალი და შემდეგ ბარშიც შეერთვის რამდენიმე მდინარე, რომელთა შორის ცნობილია გ ლ ა ვ კ ო ს ი **) და ჰიპპოსი ***). ამ მდინარეებით გადიდებული ფაზისი ნავებით სასიარულო შეიქმნება და შედის შავ-ზღვაში იმ ქალაქთან, რომელსაც ჰქვია ფაზის ქალაქი. აქ დიდი ტბა არის ****). ამისთანა არის პირველი გზა კოლხიდიდამ ივერიაში შესავალი. ეს გზა დაცულია ბუნებრივ კლდეებით და ნაკადულებით და ხელ-ქმნილ ციხეებით.

მეორე გზა შემოდის ჩრდილოეთიდამ, სადაც საქონლის მიმდევარი ხალხი ცხოვრობს. ეს გზა მეტად ძნელია, რადგან მგზავრი ჯერ სამ დღეს უნდა მოუნდეს იმას, რომ ავიდეს საშინელ ვიწრო ქედზე, რომელიც დასცქერის არაგონის მდინარეს და რომელიც ისე

*) კლასიკური მწერლები ფაზისად უწოდებდენ ხან რიონს, ხან ჭოროხს და ხან ყვირილას. ცხადია, სტრაბონი აქ ფაზისად ჰხადის ყვირილას, რომელიც შორაპნის ქვემოდ შეერთვის რიონს.—**) ამ სახელსაც ზოგიერთები უწოდებდენ ყვირილას და ზოგიერთები—ტეხურს.—***) აწინდელი ცხენის წყალი.—****) პალეოსტომი.

ვიწროა, რომ ორი კაცი ერთად ვერ გაივლის; ასვლის შემდეგ ამ ქედზე უნდა იაროს მგზავრმა კიდევ ოთხი დღე და ბოლოს შესვდება მიუდგომელი ციხე, რომელიც იცავს ამ გზას.

მესამე გზა დასავლეთიდამ არის და ჯერ კლდეებში გაჭრილის ბილიკით მიდის და მერმე გაივლის ჭაობებს, რომელსაც აყენებს აქ კავკასიის მთებიდამ მომდინარე ალაზონიოსი.

მეოთხე გზა სომხეთიდამ არის და მიდის კიროსის და არაგონის ხეობებით. ამ მდინარეებზე დგას ორი კლდეებში გამაგრებული ქალაქი: კიროსზე დგას ჰ ა რ მ ო ზ ი კ ა *) და არაგონზე—ს ე ვ ს ა მ ო რ ა **). ეს ქალაქები 16 სტადიის ***) მანძილზეა ერთმანეთზე. ამ უკანასკნელის გზით შემოვიდა პომპეი სომხეთიდამ ივერიაში და შემდეგ ამავე გზით ისარგებლა კანიდიოსმა.

ივერიაში ხალხი იყოფა ოთხ წოდებად. პირველი წოდება ის არის, რომლიდამაც მეფეს ირჩევენ. მეფედ ირჩევენ იმას, ვინც უფრო დაახლოებული ნათესავია გარდაცვალებულის მეფისა და უფრო მოხუცებული. ვისაც კი ამ ნათესავთა შორის მეორე ადგილი უჭირავს, იმას ირჩევენ მთავარ-მსაჯულად და მთავარ-სარდლად. მეორე წოდებას შეადგენენ მღვდლები, რომელთაც, გარდა სამღვთო თანამდებობისა, ვალად ადევთ, განაგონ განწყობილება მეზობელ ერებთან. მესამე წოდება შეიცავს მხედრებს და მიწის მუშაკებს და მეოთხე— დაბალს ხალხსა ანუ მეფის მოსამსახურეებსა, რომელთ მოვალეობას შეადგენს ყოველი სამოჯალაბო საქმე. თვითოეულ გვაროვნობის ქონება ეკუთვნის საერთოდ ყველა წევრებს და ამ ქონებას განაგებს და უვლის უხუცესი მათგანი. ასეთია ზნე და დაწესებულებანი ივერიელებისა და ასეთია მათი ქვეყანა.

ა ლ ვ ა ნ ი ე ლ ე ბ ი უფრო საქონლის მიმდევარი ხალხია და მისი ხასიათი უფრო ამისთანა ხალხის ხასიათს უახლოვდება, თუმცა კი იმდენად ველური არ არის, როგორც ამისთანა ხალხს შეეფერება, და ამის მიზეზით არც იმდენად მეომარია. თვით ალვანია მდებარეობს

---

*) არმაზის ციხე. — **) წიწამური. — ***) ერთი სტადია უდრის 84 საჟენს.

ივერიასა და კასპის ზღვას შუა; აღმოსავლეთით ზღვას ესება და დასავლეთით—ივერიას; ჩრდილოეთით ალვანია დაცულია კავკასიის მთების გრესილით, რომელიც დაჰყურებს ერთიანად ალვანიის მინდვრებს და რომელსაც ზღვის მახლობლად კერაუნის მთებად უწოდებენ; სამხრეთით ალვანიას საზღვრავს სომხეთი. სამხრეთის ნაწილი ალვანიისა ზოგან ვაკეა, ზოგან მთიანი; განსაკუთრებით მთიანია კამბიზენე *), სადაც შეიყრებიან სომხეთის, ივერიის და ალვანიის საზღვრები.

**კ ი რ ო ს ი** და მისი შესართავი მდინარეები, რომელნიც ჰრწყავენ ალვანიას, ძლიერ ანაყოფიერებენ ამ ქვეყანას, მაგრამ ზღვას კი, დაახლოების მაგიერ, აშორებენ, რადგან კიროსს მოაქვს მრავალი შლამი, რომელიც ავსებს შესავალ გზას, ისე რომ ახლო-მახლო მდებარე პატარა კუნძულებიც ხმელეთს შეუერთდება და აქედამ წარმოსდგება საშიში თავ-თხელი, რომლის ნიადაგი საზოგადოდ ცვალებადია და განსაკუთრებით იცვლება იმის გამო, რომ ზღვის ტალღები სცემს. ამასთანავე ბოლოში კიროსი იყოფა 12 ტოტად და ზოგი ტოტი ქვიშაში იკარგება და ზოგი იმდენად დაბალია, რომ ნავებს მიდგომაც არ შეუძლია.—ის კი, რომ სადაც კიროსი შეერთვის ზღვას, იქვე ახლოს ჩქარა ჩამორბის სომხების მთებიდამ მდ. არაქსი, რომელიც ისვრის შემოტანილ შლამს და იკვალავს თავისთვის გზას, მაგრამ რამდენსაც ის ისვრის ამ შლამს, იმდენი კიდევ შემოაქვს კიროსს.

**საფიქრებელია**, რომ ამისთანა ხალხს არც კი ეჭირვება ზღვა, რადგან თავის მიწითაც ვერ უსარგებლია, როგორც რიგია, მერმე რა მიწით? იმისთანა მიწით, რომელზედაც მოდის ყოველგვარი და საუკეთესო ხილი, ყოველ გვარი მცენარე და მუდამ ამწვანებულია ხეები. საკვირველი ეს არის, რომ ყოველივე ეს მოდის, თითქმის სრულებით უშრომლად. „ყოველივე აქ მოდისო უხვნელად და უთესველად" (ჰომიროსის ოდის. X, 109). ამასვე მოწმობენ რომაელები, რომელნიც იბრძოდენ ამ ქვეყანაში და გვიხატავენ ალვანიელებს, რო-

*) კამბეჩოვანი.

გორც ზღაპრის ციკლოპებს. ისინი გვარწმუნებენ მართლაც, რომ აქ ერთხელ ჩაგდებული თესლი იძლევა ორ-სამ სამკალსა და პირველ სამკალში ერთი მარცვალი იძლევა არა ნაკლებ 50 მარცვლისას. აგრეთო მუდამ, ისე რომ მიწამ შესვენება არ იცისო. მიწას ღრმად კი არა ხვნენ რკინის გუთნითა, საკმაოა ხის გუთანიც. ცხადია, რომ ალვანიის მინდვრები მდინარეებით და სხვა წყლებით უფრო ბლომად მორწყულია, ვიდრე ბაბილონის და ეგვიპტის მინდვრები, და მთელის წლის განმავლობაში ამწვანებულია ეს მინდვრები, რომელზედაც მშვენიერი საძალახოებია. ჭაერიც, რასაკვირველია, უკეთესია აქ, ვიდრე ბაბილონში და ეგვიპტეში. რაც შეეხება ვენახებს, არასოდეს ძირს არ უბარვენ და მხოლოდ სხლავენ ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ. ახალ ვაზს ნაყოფი მოაქვს მეორე წლის ბოლოს. კარგად გამაგრებულ ვაზზე კი იმდენი ასხია, რომ უმეტეს ნაწილს ვაზზედვე სტოვებენ. ასეთივე ხვავი აქვს აქ პირუტყვს, როგორც შინაურს, ისე გარეულს.

კაცები აქ ძლიერ ლამაზებია და მაღალი ტანისა; ამასთანავე ძლიერ გულ-მართალნი არიან. ვაჭრობას ნაკლებ მისდევენ; ფულს ნაკლებ ხმარობენ და ასზე ზევით თვლა არ იციან. თავის სავაჭროს პირ-და-პირ სცვლიან გარედგან შემოტანილ სავაჭროზე. ყველა დანარჩენ საქმეებსაც უზრუნველად ეპყრობიან. მაგალითად, ამათ არა აქვთ ბეჯითი არც სასწორი და არც საზომი. ერთის სიტყვით, მათ სრული წინდაუხედველობა ეტყობათ ომიანობაშიც, მეურნეობაშიც, და სხვა ყველა საქმეებშიც. ის-კი უნდა ვთქვათ, რომ ალვანიელებს ჰყავთ მუდამი ჯარი, ქვეითი და ცხენოსანიც. ნაწილი ამ ჯარისა მსუბუქად შეიარაღებულია, და ნაწილი შემოსილია აბჯრით სომხების მსგავსად.

ალვანიელებს ივერიელებზე მეტი ჯარი შეუძლიანთ გამოიყვანონ; საჭიროების დროს გამოჰყავთ საომრად 60,000 ქვეითი და 12,000 ცხენოსანი. სწორედ ამოდენი ჯარი გამოიყვანეს ალვანიელებმა ამას წინად პომპეის წინააღმდეგ. ამას გარდა, როცა უცხო ხალხი თავს დაესხმის ალვანიელებს, მაშინ ამათ ეხმარება მთაბარობის ხალხი, როგორც ამისთანავე შემთხვევაში თვითონ ალვანიელები ივერიელებს ეხმარებიან. ზოგჯერ კი ეს მთაბარობის ხალხი თავს ესხმის ალვანიელებს და ივერიელებს და მიწის მუშაობას უშლის მათ. ალვანიელები

ხმარობენ საომარ იარაღად: მშვილდ-ისარს, ხელ-შუბს, და კარის მსგავს ფარს, აცვიათ აბჯარი და ჰხურავთ ნადირის ტყავისაგან გაკეთებული მუზარადი, როგორც იბერიელებს. ალვანიელებს უჭირავთ აგრეთვე კასპიანა. ამ ქვეყანას უწოდეს ეს სახელი გადასულ ხალხის კასპიანებისაგან, რომელთაგან ზღვამაც თავისი სახელი მიიღო. ალვანიელები, როგორც მათი ძაღლები, კარგი მონადირეები არიან, რაიცა მიეწერება უფრო მათ ბუნებრივ მიდრეკილებას, ვიდრე ხელოვნურ გაწვრთნას.

აქაც, როგორც იბერიაში, ის წოდებაა პირველი, რომლიდამაც ირჩევენ მეფეს. ახლა ერთი მეფე განაგებს მთელს ქვეყანას, მაგრამ წინად აგრე არ ყოფილა: თვითოეულს თემს, რომელიც ლაპარაკობდა ცალკე ენას, ჰყავდა თავისი მეფე. ამბობენ, ოც-და-ოთხი სხვა-და სხვა ენა მაინც ითვლებაო ალვანიაში. ეს იმის შედეგი არის, რომ ეს ხალხები მუდამ განცალკევებულნი ცხოვრობენ ერთმანეთისაგან. ამ ქვეყანაში სხვა-და-სხვა მხამიანი ქვემძრომნი იპოვება, მაგალითად, მორიელები და ფალანგები. ზოგის ფალანგის მხამი ჰკლავს კაცს სიცილში და ზოგისა კი — ტირილში და ქვითინში, და ამასთანავე მომაკვდავი ეძახის თავის მკვდარ ნათესავებს და მეგობრებს.

ალვანიელები თაყვანსა სცემენ შემდეგ ღმერთებს: მზეს, ზევსს და მთვარეს; განსაკუთრებით მთვარეს, რომლის ტაძარი იბერიის მახლობლად დგას. მთავარ-ქურუმი მეფის შემდეგ ყველაზე უფრო პატივცემულია. იგი განაგებს ვრცელს და მჭიდროდ დასახლებულს ტაძრის მამულს და აგრეთვე ბრძანებლობს საღმთო მოსამსახურეებზე, რომელთა შორის მრავალი აღტაცებული და ქადაგი არის. ვინც იმათგან უძლიერესად აღტაცებული დარბის მარტოკა ტყეში, იმას, მთავარ-ქურუმის ბრძანებით, შეიპყრობენ, საღმთო ჯაჭვით შეჰკრავენ და ერთის წლის განმავლობაში უხვად ჰკვებავენ და შემდეგ კი წაასხმენ სუნნელოვან ზეთსა და მსხვერპლად შესწირავენ ღმერთს სხვა მსხვერპლებთან ერთად. მსხვერპლის შეწირვა აგრე მოხდება ხოლმე: ვისაც უჭირავს საღმთო ლახვარი, ერთად ერთი იარაღი, რომლითაც შესაძლოა კაცი მსხვერპლად შეწირულ იქმნას, გამოდის კრებულიდამ და გამოცდილის ხელით ლახვარს სტყორცნის სამსხვერპლო კაცს მკერდზე და უპობს გულს. როცა მსხვერპლი ძირს ეცემა, მაშინ ქურუმები წინასწარ-

მეტყველობენ იმის კვალობაზე, თუ როგორ დაეცა მსხვერპლი, და ამ წინასწარმეტყველობას იქვე აცხადებენ საყოველთაოდ. შემდეგ სხეულს მიიტანებენ დანიშნულს ადგილს, სადაც ყველანი ფეხით შეეხებიან სხეულს, რათა ამით განიწმინდონ ცოდვებისაგან.

ალვანიელები ძლიერ პატივსა სცემენ მოხუცებულებს, არა თუ მშობლებს, არამედ საზოგადოდ ყველა მოხუცებულებს. სამაგიეროდ აღკრძალულია ყოველივე ზრუნვა მკვდრებისათვის და მათი ხსენებაც. მკვდრებს თან ატანებენ საფლავში ყოველსავე მათ ქონებას და ამიტომაც ცოცხლები ყოველთვის ღარიბად არიან, რადგან მემკვიდრეობა არა რჩებათ. აი, რაც გვქონდა სათქმელი ალვანიელებზე.

---

## XXXVI. საქართველოზე ინდოეთს მიმავალი სავაჭრო გზა

### უძველეს დროდამ I საუკუნემდე ქრ. აქედ

*(П. К. Усларъ—Древнѣйшія сказанія о Кавказѣ)*

ალექსანდრე მაკედონელის დროშივე ინდოეთიდამ სავაჭრო გზა მიდიოდა ოქსუსით, კასპის ზღვით და ამიერ კავკასიაზე შავს ზღვამდე (პონტ-ევქსინამდე). ის გარემოება, რომ ბერძნებმა ამ გზაზე ნამდვილი არაფერი იცოდენ, უეჭველი საბუთია იმისა, რომ ამ გზით არავითარი საქონელი არ დაჰქონდათ ინდოეთიდამ საბერძნეთში. ინდოეთის საქონელი საბერძნეთში მიჰქონდათ ტირიით, არაბეთით და ერიტრეის (ინდოეთის) ზღვით. უნდა ვიფიქროთ, რომ კავკასიის ყელიდამ საქონელს ეზიდებოდენ ევროპის შუაგულში იმ დიდ მდინარეებით, რომელნიც ერთვიან შავს ზღვას, და შემდეგ კი ხმელეთით გადაჰქონდათ. ყოველს შემთხვევაში, ეჭვი არ არის, რომ ევროპის აღრინდელნი მკვიდრნი არც ბერძნების და არც რომაელების მაშუალობით არ გაეცნობიან ინდოეთის მრავალნაირს ნაწარმოებს. ევროპიდამ, ჩრდილო-

დასავლეთიდამ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, აზიის შუაგულში და გა-საპირამდიაც მიდიოდა ტყავეულობა და ძვირ-ფასი ქარვა. დიდად შე-სამჩნევია პლინის თქმულება, რომ სვევთა მეფემ ძღვნად გაუგზავნაო გალიის პროკონსულს ინდოელები, რომელნიც ინდოეთიდამ მოცურავ-დენ სავაჭრო საქმეებისათვის და გრიგალ-ქარებმა კი გერმანიის ნაპი-რებზე მოაგდოო. რაღა თქმა უნდა, რომ მათ არ შეეძლოთ ჩრდი-ლოეთის ზღვებში მოსულიყვნენ „კ ე თ ი ლ ი  ი მ ე დ ი ს" კონცხის გარს შემოცურვით; ცხადია, რომ იმათ მდინარეებით და ხმელეთით მოაღწიეს ბალტიის ზღვას, სადაც შემდეგ უბედურება შეემთხვათ. მეორე მხრით, რაღა თქმა უნდა, რომ ეს ინდოელები არ ეკუთვნოდნენ ინდოეთის უმაღლეს კასტებს—ბრამინებს, ქშატრიებს ანდა ვაისიებს: ამ კას-ტებს ხასიათადა აქვთ მძულვარება, არათუ ყოველისავე მორეულის საქ-მისა, არამედ ყოველისავე საგარეო მოღვაწეობისაც. ეს მგზავრი-ინ-დოელები, უეჭველია, ეკუთვნოდნენ შ ა ვ-ი ნ დ ო ე ლ თ ა რიცხვს, და-ნაშთს ძველ კუშიტთა მოსახლეებისას მცირე აზიაში,—როგორც ფი-ქრობენ ბევრნი ახალნი გამომკვლევნი. შავ-ინდოელთა ვაჭრობის კვალს ვპოვებთ რუსეთის უძველეს ისტორიაშიც; თითქმის ახლან-დელ მათ მცირე ნაშთად შეიძლება ჩავთვალოთ ასტრახანის ინდოე-ლები. როდის დაიწყო ხმელეთით ეს ინდო-ევროპული ვაჭრობა? აი საკითხავი, რომლის ახსნაც სამუდამოდ დამარხულია ისტორიისათვის მიუწვდომელ ეპოქაში. შეიძლება კიდეც დავეთანხმოთ გამოჩენილის რიტტერის აზრს, რომ ის მცირე ოდენი ცნობანიც, რომელიც გვაქვს ამ ვაჭრობაზე, ეკუთვნის იმ დროს, როცა ის უკვე დაცემული იყო კიროსის სამხედრო მონარქიის დაარსების გამო და იმის მეო-ხებით, რომ ველური ადგილობრივი ხალხი და მონგოლის ტომები დაიძრნენ და ევროპას ინდოეთის გზაზე გადაეღობნენ. ყურადღება რომ მივაქციოთ ვაჭრობის მხოლოდ იმ მიმართულებას, რა მიმართუ-ლებაც, როგორც ვიცით, ალექსანდრე მაკედონელის დროსვე ჰქო-ნდა ვაჭრობას კავკასიაზე, მაშინ ადვილი გასაგებია ბერძნების სა-ვაჭრო ქალაქების აყვავების მიზეზი შავი-ზღვის აღმოსავლეთს ნა-პირზე. ისინი დედა-ქვეყნისაგან (მეტროპოლიისაგან) სრულიად და-მოუკიდებლად მოქმედებდნენ და კიდეც მალვიდნენ თავიანთის გამდიდ-

რების მიზეზს, რომ მითი აქცილებისათ მეტოქენი. რასაკვირველია, რომ პირ-და-პირი გზა ინდოეთისაკენ შავის ზღვის აღმოსავლეთიდამ ბერძნებს არ აღმოუჩენიათ; მათს ხელში გადვიდა ვაჭრობა, რომელიც მათზე უწინ დიდი ხნით ადრე არსებობდა.—

როცა პომპეი დიდი დაიძრა ამიერ კავკასიისაკენ, ხელ-ახლავ გავარდა ხმა სავაჭრო გზის არსებობაზე ინდოეთიდამ შავს ზღვამდე. პლინი მოგვითხრობს, რომ „პომპეიმ კასპის ზღვის ახლო მყოფობის დროს გაიგო, რომ შვიდს დღეს შეიძლებაო ინდოეთიდამ ბაქტრიაში, მდინარე იკარამდე მისვლაო; იკარი ერთვის ოქსუსს, და ოქსუსიდამ კასპის ზღვის გადაცურვით და მტკვრით გადაიტანება სავაჭროებიო; მტკვრის ზევით კი ხუთი დღის განმავლობაში ხმელეთით უნდა ზიდონ ფაზისამდე (რიონამდე) და აქედამ პონტ-ევქსინში (შავს-ზღვაში) ჩაიტანებენო". მდინარე იკარის სახელწოდებას არც ერთი კლასიკური მწერალი არ იხსენიებს. საფიქრებელია, რომ ეს სახელი გადამწერთა შეცთომილებას უნდა მიეწეროს. პომპეიმ, დაამარცხა რა მიტრიდატი, დაიფლო მისი განძი, რომელმაც საოცარი ბრწყინვალება მისცა გამარჯვებულის ტრიუმფს. ამ განძში ნახეს აუარებელი თვალ-მარგალიტი, რომელთაგან ზოგნი არც კი ენახათ აქამდე რომაელებს. პლინი ამბობს, რომ მხოლოდ მიტრიდატთან ომის გათავების შემდეგ გაუცხოველდათ რომში თვალ-მარგალიტის სიყვარული. ამასთანავე გავრცელდა რწმენა ქვების ჯადოსნურ ძალისა, და ამ რწმენას გაუცვნენ ბაბილონელის ზახალიასის თხზულებიდამ; ამ ზახალიასმა რამდენიმე წიგნი დაწერა ამ საგანზე მიტრიდატისათვის. ამდენი განძის შეგროვება შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზედ ძნელი ასახსნელი იყო მარტო მიტრიდატის ძლიერებითა და ძლევა მოსილობით. კლასიკური ქვეყანა, რომელიც უკვე კარგად გაეცნო მთელის დასავლეთის აზიის სიმდიდრეს, გაოცებული იყო ამ განძეულობით. თვალ-მარგალიტის სიმრავლე კავკასიაში შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმ სავაჭრო მისვლა-მოსვლით, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ჰქონდა კავკასიას ინდოეთთან და აგრეთვე მარგალიტის საპოვნელ ადგილებთან—ტაპრობანასთან (ცეილონ) და სპარსეთის ზღვის ყურესთან. რიტტერის აზრით, ეს პირ-და-პირი სავაჭრო გზა უხსოვარის დროდამ არსებობდა ამიერ კავკასიასა და სპარსეთის ზღვის ყურეს შუა.

ეს პირ-და-პირი გზა, კოლხიდიდამ სპარსეთის ზღვის ყურემდე მიმავალი, ცხადია. ჰეროდოტემა იცოდა, მაგრამ მხოლოდ გაკვრით იხსენიებს მას, თითქოს შიშობდეს—მეტი არაფერი წამომცდესო. ერთს ადგილს იგი სწერს: „კოლხიდიდამ მიდიამდე დიდი მანძილი არ არის, ამ ქვეყნებს შუა მხოლოდ ერთი სასპირთა ქვეყანა ძევს; მას რომ გასცილდებით, მიდიელთა ქვეყანას მიაღწევთ. მაგრამ სკვითებს ამ გზით არ გაუვლიათ, იმათ გაიარეს ზემო გზით, რომელიც ბევრად უფრო გრძელია“. შემდეგ, როცა მოუდგება მაშინდელ დროში ცნობილის და დასახლებულის დედა-მიწის აღწერას, ამბობს: „სპარსელთაგან დასახლებული ქვეყანა მდებარეობს სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც ერიტრეის ზღვა ჰქვია. ზემოდ, ჩრდილოეთისკენ, ცხოვრობენ მიდიელნი, მიდიელების ზემოდ—სასპირები და სასპირების იქით—კოლხიდელები. ესენი საზღვრეენ ჩრდილოეთის ზღვას (პონტ ევქსინს), რომელსაც ერთვის ფაზისი. ამ ოთხს ერს უჭირავს სივრცე ზღვიდამ ზღვამდე“. ამ ოთხთა ერთა კავშირს, დაფუძნებულს გეოგრაფიულის ქარტის დათვალიერებაზე კი არა, არამედ სიტყვიერს ჩვენებაზე, რიტტერი უყურებს როგორც დამტკიცებას იმისას, რომ პონტ-ევქსინსა და სპარსეთის ზღვის ყურეს შუა პირ-და-პირი გზა ყოფილა ხმელეთით. უფრო დასაბუთებულს დამტკიცებას ამ გზის პირ-და-პირობისას, ჩვენ ვხედავთ ალექსანდრე მაკედონელის ისტორიაში: სუზაში მყოფმა ალექსანდრე მაკედონელმა მოხსენება მიიღო პონტიდამ, და ძლიერ გაუკვირდა, რომელის გზით მოიტანეს ეს მოხსენება ასე მალე.

ეგვიპტე-აზიის უძველეს ცივილიზაციის შესახებ ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ იმ ცნობებით, რომელთაც ნამდვილის ისტორიისათვის გვაძლევს ზოგიერთი ჩვენამდე მოღწეული ნაშთები ამ საგულისხმო დროისა. ჩვენ ნათქვამი გვაქვს, რომ ერთად-ერთის უძველესის ცივილიზაციის კვალს შეიძლება მივყვეთ აზიის შუაგულიდამ ინდოეთის ქვემოდ, შემდეგ დასავლეთისკენ ერიტრეის ზღვის ნაპირის, მავის-ზღვის ორთავ ნაპირის და, ბოლოს ხმელთა შუა ზღვის სირიის ნაპირის დაყოლებაზე თვით არქიპელაგამდე. ჩვენი ნათქვამი ამტკიცებს, რომ კავკასიის ყელს უხსოვარის დროიდამ ჰქონდა სავაჭრო

განწყობილება აზიის შუაგულთან და ინდოეთთან. შეიძლება ისიც დავიჯეროთ, რომ წარსულ დროში პონტ-ევქსინიდამ პირ-და-პირი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ გამართული სპარსეთის ზღვის ყურემდე, სადაც დაწყებულა კაცობრიობის ისტორია. ყველა ეს გარემოებანი გვაფიქრებინებს, რომ ნამდვილის, ბეჭითის ისტორიის დაწყებასთანავე კავკასიის ყელი შეადგენდა ერთს რგოლს იმ მხარეთა წყობაში, რომელთაც შეთვისებული ჰქონდათ უძველესი ცივილიზაცია, და რომ კავკასია არასოდეს არ წარმოადგენდა იმისთანა ველურობის სურათს, როგორც ისტორიულ საუკუნეთა განმავლობის უმეტეს დროს. ბერძნებს არ შეეძლოთ არ შეენიშნათ ეს სახელოვანი კვალი კავკასიის ისტორიისა, რომელზედაც მათ, სანამ კავკასიას გაეცნობოდენ, ჰქონდათ ისეთივე ბუნდოვანი წარმოდგენა, როგორიც სუფევდა საშუალო საუკუნეებში კლასიკურ სიძველეთა შესახებ. აწ ადვილი გასაგებია, თუ რატომ დაუკავშირეს ბერძნებმა კავკასიას დიდი წილი თავიანთის მითებისა და რატომ ეჩვენებოდათ მათ ეს მხარე, კავკასია, დაცალიერებულ სცენად, რომელზედაც ოდესმე ვითომ და სუფევდენ მათნი ღმერთები და ნახევარ-ღმერთები. თუმცა ძლიერ გრძნობიერნი და ადვილად დამჯერებელნი იყვნენ ზღვად-მავალნი ისპანიელები, მაგრამ ამერიკის პოვნას ისეთი შთაბეჭდილება არ მოუხდენია მათზე, როგორიც მოახდინა ბერძნებზე შავის-ზღვის აღმოსავლეთის ნაპირის პოვნამ.—ამ ზოგადს მოსაზრებას დავუმატოთ ის მცირე რამ, რაც ვიცით კავკასიის ყელის ყოფა-ცხოვრებაზე. ცნობები ავიღოთ ისტორიკოსებისა და გეოგრაფებისაგან, რომელთაც აუწერიათ ის, რაც უნახავთ, ან და მნახველთაგან გაუგონიათ, და არა პოეტებისაგან, რომელნიც ისე უყურებდენ კავკასიას, როგორც მოიჯადოებულს ქვეყანას.

ინდოეთიდამ წამოღებული საქონელი კასპის ზღვიდამ შავს-ზღვამდე მრავალჯერ უნდა ამოეზიდნათ მდინარეებიდამ, და ხან ხმელეთით და ხან ისევ მდინარეებით უნდა ეტარებინათ. ყოველივე ეს ნიშნები სატრანზიტო ვაჭრობისა ამტკიცებს, რომ კავკასიაში საკმაოდ გავრცელებული იყო კეთილი წეს-წყობილება, და ის ხომ ეჭვს გარეშეა, რომ უშიშროება უთუოდ უნდა ყოფილიყო, რაიცა შეადგენს პირველს საქმეს სატრანზიტო ვაჭრობისათვის. სტრაბონი მო-

გვითხრობს, რომ საქონელი აჰქონდათ ფაზისით შორაპნამდეო; მაგრამ ამ მდინარის თვისებას ეჭვში შევყავართ, რომ ეს ამბავი მართალი იყოს, მით უფრო, რომ თვით სტრაბონი სხვა ადგილას ამბობს, რომ ვაკეზე გასვლისას ფაზისს ერთვის ორი მდინარე: გლავკოსი და ჰიპპოსი, და ამ შეერთების შემდეგ იგი ნავთ-სავალ მდინარედ გადიქცევაო. ყოველს შემთხვევაში, ეჭვი არ არის, რომ უძველესს დროში ფაზისზე (რიონზე) დაჰყავდათ სავაჭრო გემები. შორაპანს ზევით საქონელი დაჰქონდათ მდინარის ზემო ნაწილის დაყოლება, დაკლაკნილ ხევში, სადაც ას-ოც-ჯერ უნდა გასულიყვნენ ხიდებზე. ფაზისის ზემო ნაწილად, ეჭვი არ არის, რომ სტრაბონს მიაჩნია ყვირილა; რომლის დაკლაკნილს ხევს ახლაც რომ დაჰყვეს კაცი, წამ-და-უწუმ მოუხდება მდინარეზე გასვლა, მაგრამ ხიდებზე კი აღარა—ფონით, და ისიც ხშირად ისე, რომ არ იცის, ცოცხალი გავა, თუ არა. როცა სტრაბონი მოგვითხრობს ივერიაზე, რომელსაც ის-ის იყო ბერძნები გაეცვნენ, იგი სხვათა შორის ამბობს, რომ „ივერია უმეტეს ნაწილად მოფენილია სოფლებით და ქალაქებით, იმდენად კარგად გაშენებულებით, რომ შეხვდებით კრამიტების სახურავებს, ხუროთ მოძღვრების ყოველივე წესის დაცვით აშენებულ სახლებს, მოედნებს და ყოველ გვარ საზოგადო შენობებსაო“. დიდი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს იმას, რასაც სტრაბონი ამბობს კოლხიდის დაცემის შესახებ. მისს დროინდელს კოლხიდას იგი ადარებს იმ კოლხიდას, რომელსაც ენა-მჭევრობით და ლამაზის გამოგონებით ასწერდენ ზღაპრულის მეფის აეტის მორჭმულობისა და დიდების შემამკობელი პოეტები. შესანიშნავია მისი შემდეგი სიტყვები: „კოლხიდის ტილოს ქარხნების სახელი მოფენილი იყო ქვეყანაზედ და ეს ტილო ბევრი იგზავნებოდა სხვა ქვეყნებშიო“. ამ მრეწველობის შესახებ ოთხას ორმოც-და-ათის წლის წინად სტრაბონზე ჰეროდოტეც ამბობდა შემდეგს: „მარტო კოლხები აკეთებენ სელს იმ რიგადვე, როგორც ეგვიპტელები. ბერძნები **ს ა რ დ ო ნ ი ს** სელს ეძახიან იმ სელს, რომელიც კოლხიდიდამ მოაქვთ და **ე გ ვ ი პ ტ ი ს ა ს** იმას, რომელსაც ეგვიპტიდამ ეზიდებიან“. ახლანდელს დროში ეს მრეწველობა სრულიად მოისპო კავკასიაში, ისე რომ მისი კვალიც აღარ სჩანს. ამ ქამად,

გარდა მცირეოდენ შეუმუშავებელ ნაწაროებთა, მთელი კავკასიის ყელი ვერაფერს ვერ გვიჩვენის საზღვარ გარეთ! კიდევ უფრო ბეჯითის დამტკიცებას იმისას, რომ ოდესმე ჩინებულს მდგომარეობაში ყოფილა კავკასია, წარმოადგენს მოსარწყავ არხთა სისტემა ამიერ-კავკასიაში, რომელთაგან ამ ჟამად მხოლოდ მცირეოდენი-ღა რიცხვია დარჩენილი. შირაქი და მუღანლო, დღეს უწყლობის გამო გაუდაბურებულნი და უნაყოფონი, ოდესმე უხვად მორწყულნი ყოფილან მორიდამ გამოყვანილის წყლით. ამ გვარი ნაშრომი ამტკიცებს, რომ მთელს ხალხს, ანუ რამდენსამე ხალხს შეერთებულის ძალით უღვაწნიათ, ან იმის გამო რომ ყველას გაგებული ჰქონია საზოგადო სარგებლობისათვის შრომის აუცილებლობა, ან და იმის გამო რომ განკარგულება მოუხდენია მტკიცედ დადგენილს უმაღლეს ხელმწიფებას. რაც უნდა იყოს, ამ გვარი ნაშრომები მოწმობენ, რომ ოდესმე წესიერება და კეთილ-განწყობილება იყო იქ, სადაც მთელი ისტორიული დროის განმავლობაში, რამდენსამე დაწყნარებულ მოკლე პერიოდებს გარდა, მხოლოდ არეულობა სუფევდა. გვერდი რომ ავუქციოთ იმას, რაც ფანტასტიური რამ თქმულა კოლხებზე, ჩვენ ვნახავთ უტყუარს საბუთს კოლხიდელების ცივილიზაციის დამამტკიცებელს. კლასიკები აქებენ მათ სტუმართ-მოყვარეობას და იმ დახმარებას, რომელსაც ისინი უწევდენ ხოლმე მათს ნაპირებთან გემთ დაღუპვისაგან გადარჩენილებს, რომელთაც ფულებით ქწეოდენ და მით საშუალებას აძლევდენ მგზავრობის გაგრძელებისათვის; მწერლობა იხსენიებს კოლხიდელების ფილოსოფოსს მარსიასს; მოგვითხრობენ აგრეთვე, რომ კოლხიდის გზების ნაპირად ამართული იყო ქვის ფილაქანი (ტაბლიცები), რომლებზედაც მგზავრთა საგულისხმოდ წარწერილი იყო, თუ საით რა გზა მიდიოდა და სად რა თავ შესაფარი სახლი იყო მგზავრთათვის. ამ გვარ დაწესებულებათ, რომელიც მათთვის უცხო იყო, ყურადღება მიაქციეს ბერძნებმა, თუმცა ეჭვი არ არის, რომ, რაც მათ შეამჩნიეს, მხოლოდ ნაშთი იყო უკვე დაცემულს მდგომარეობაში მყოფის ცივილიზაციისა.

ამ გვარი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები, რაღა თქმა უნდა, ნიშნებია დიდის ნივთიერის გახვითარებისა კავკასიის მკვიდრთა, თუ მთელის კავკასიისა არა, ნაწილისა მაინც.

# XXXVII. ბრძოლა ქართველებსა და სომხებს შუა ტაციტეს მოთხრობით *)

*(Annales)*

იმავე წელს [51 ქრ. აქეთ] ატყდა სომხებსა დ. ივერიელებს შუა ომი, რომელმაც დიდი არეულობა ჩამოაგდო პართელებსა და რომაელებს შორის. მაშინ პართელების მეფე იყო ვოლოგეზი, შვილი ერთის ბერძენი მხევლის ქალისა. ამ ვოლოგეზმა სამეფო ტახტი დაიჭირა თავის ძმების თანხმობით. ივერიელების მეფედ ფარსმანი იყო მემკვიდრეობის ძალით და მისი ძმა მიტრიდატი კი სომხეთის ტახტზე იჯდა რომაელების შემწეობით. ფარსმანს ჰყავდა შვილი რადამისტი, ტანით მაღალი და მოსული, საშინელი ძლიერი, დახელოვნებული ყოველ გვარ ეროვნულ ვარჯიშობაში და სახელ-განთქმული ყველა მეზობელ ერთა შორის. რადამისტი მუდამ სჩიოდა, რომ მამა ჩემის მოხუცებულობამ ასე დაამცირაო სამშობლო. თავის ჩივილს ამის თაობაზე ისე ხშირად და ისე ნაღვლიანად აცხადებდა, რომ ყველამ გაიგო, თუ რა იყო მისი წადილი. მოხუცებული ფარსმანი მიხვდა, რომ მისი სიცოცხლე საშიშს მდგომარეობაში იყო ამისთანა ძლიერის და აღტაცებულ ყმაწვილ კაცისაგან, რომელიც აღჭურვილი იყო მთელის ერის სიყვარულით; ამიტომ ფარსმანი ცდილობდა თავიდგან მოეშორებინა იგი. ამ განზრახვით ფარსმანი რადამისტს მიუთითებს სომხეთზე და ეუბნება: „მე ეს ქვეყანა პართელებს წავართვი და მიტრიდატს მივეცი, მაგრამ სჯობს აშკარა ძალადობას ერიდო, ხერხით უფრო ადვილია მიტრიდატის დამარცხება, რადგან იმას არავითარი ეჭვი არა აქვსო". მართლაც; რადამისტი მიდის ბიძასთან ვითამ იმის გამო, რომ მამას აშორდეს და დედინაცვლის სიძულვილი ვერ აეტანოს. მიტრიდატმა რადამისტი დიდის სიყვარულით მიიღო და ეპყრობოდა, როგორც თავის შვილს. მაგრამ იმავე დროს, როცა მიტრიდატი წყალობით ავსებდა რადამისტს, რადამისტი მის წინააღმდეგ წარჩინებულ სომხებს აღელვებდა.

---

*) რომაელთა ისტორიკოსი ტაციტე ცხოვრობდა 56—117 წწ. ქრ. აქეთ.

რამდენისამე ხნის შემდეგ რადამისტი კითომ შეურიგდა მამას და დაბრუნდა შინ. დაბრუნებულმა უამბო მამას, თუ როგორ კარგად გააბა მას ხაფანგი და უთხრა, რომ დანარჩენი იარაღით უნდა დავასრულოთო. ფარსმანს ამის შემდეგ უნდა გამოეგონებინა რამე მიზეზი ომიანობისათვის. მან წარმოადგინა კითომ ის მიზეზი, რომ ალბანიის მეფესთან როცა ვომობდი, რომაელებს დახმარება ვთხოვეო, მაგრამ ამის წინააღმდეგი ჩემი ძმა იყოვო. ამ შეურაცხ-ყოფისათვის სამაგიერო უნდა გადავუხადოთ და მიტრიდატი უნდა გავანადგუროთო. ამ განზრახვით ის ჩააბარებს თავის შვილს ძლიერს ჯარს. რადამისტი უეცრად შედის მიტრიდატის საბრძანებელში. შეშინებული მიტრიდატი ვერ ბედავს ველზე შეტაკებას და დაემწყვდია გორნეას ციხეში. ეს ციხე წარმოადგენდა უშიშარს ადგილს, როგორც თავის მდებარეობით, აგრეთვე რომაელების ჯარით, რომელიც შიგ იდგა და რომელსაც განაგებდენ პრეფექტი ცელიუს პოლიონი და ცენტურიონი კასპერიუსი. ბარბაროსებმა თითქმის სრულ არ იცოდენ მაშინების ხმარება და ციხეების გეთების ხელოვნება, და ჩვენ კი (რომაელები) ძლიერ განვითარებული ვიყავით ამ საქმეში. რადამისტმა ჯერ ამაოდ სცადა რამდენჯერმე იერიშით აღება ციხისა, და მერმე გარს შემოარტყა ჯარი. რაკი ძალით სრულებით ვერა გააწყო რა, პრეფექტის მოქრთამვით აიღო ციხე. კასპერიუსი ამაოდ ეწინააღმდეგებოდა ამისთანა სამარცხვინო საქციელს, და ურჩევდა პრეფექტს, ნუ ჰყიდი მოკავშირე მეფეს და ნუ ართმევ მას სომხეთს, რომელიც მინიჭებული აქვს რომაელებისაგანო. ბოლოს, რადგან პოლიონი ამტკიცებდა მტრის უპირატესობას და რადამისტი კი ამბობდა, რომ მე ვმოქმედობ მამი ჩემის ბრძანებისამებრო, კასპერიუსმა გამოითხოვა ომის შეჩერება და წავიდა ფარსმანთან იმ განზრახვით, რომ მოესპობინებინა ომი, და თუ ამ განზრახვას ვერ შეასრულებდა, ეცნობებინა სირიის გამგებლის უმიდიუს კვადრატუსათვის, თუ რა მდგომარეობაში იყო სომხეთის საქმეები.

როგორც კი ცენტურიონი წავიდა, პრეფექტმა იფიქრა, ახლა განთავისუფლებული ვარ მის ზედამხედველობისაგანაო, და მიტრიდატს მორიგებას ურჩევდა: „ძმები ხართ და ძმურად უნდა ცხოვრობდეთო, ეუბნებოდა პრეფექტი; ამასთანავე ფარსმანი უფროსია შენ-

ჯერ. შენ ხარ ქმარი იმის ქალისა და სიმამრი რადამისტისა. ივერიელები მორიგების უარს არ არიან, თუმცა-და აქ ქამად უფრო მძლავრნი არიან. სომხების ვერაგობა კი საკმაოდ ცნობილია, ჩვენ დაგვრჩა ცარიელი ციხე და სურსათი კი არა გვაქვს. ცხადია, რომ ომს სჯობს მორიგება, რომელიც მოსპობს სისხლის ღვრას“.

მითრიდატი ყოყმანობდა: ის ვერ დაენდო პრეფექტის რჩევას, რადგან იცოდა, რომ ეს ის კაცი იყო, რომელმაც შეაცდინა ერთი მისი ხასსათაგანი, და რომელიც ფულისათვის მზად იყო ყოველ ბოროტ საქმისათვის. ამ დროს განმავლობაში კასპერიუსი მისულიყო ფარსმანთან და სთხოვდა, მოესპობინე ივერიელებს ციხის გარს შემორტყმა. ფარსმანი ხან გადაწყვეტილ პასუხს არ აძლევს, ხან თითქოს თანხმობას აცხადებს, მაგრამ იმავე დროს რადამისტს იდუმალ მოციქულებს უგზავნის და უთვლის, რომ ყოველი ღონის-ძიება მიიღე, საჩქაროდ აიღო ციხეო. ღალატობისათვის ფასს უმატებდეს და პოლლიონი იდუმალ ჯარის კაცებს დაქრთამავს და ურჩევს, მორიგება მოითხოვეთ და გამოაცხადეთ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ციხეს მივატოვებთქო. გარემოებისაგან იძულებული მითრიდატი დანიშნულს დღეს და ადგილს გამოდის ციხიდამ ზავის შესაკრავად. რადამისტი მას მაშინვე გადაეხვევა, კოცნობა ფრიად ზრდილობიანად, უწოდებს: „სიმამრო“ და „მამაო“, შეჰფიცებს, რომ არასოდეს შენ წინააღმდეგ არ ვიხმარო არც რკინა და არც საწამლავიო და გაიტყუებს მახლობელ ტყეში, სადაც ვითომ მომზადებული ჰქონდა მსხვერპლი, რათა მორიგება წინაშე ღმერთებისა მომხდარიყო. ამ ერთა მეფეებს ჩვეულება აქვთ, რომ, როცა მეგობრობის კავშირის შეკვრა უნდათ ხოლმე, მარჯვენა ხელების ცერებს ერთმანეთთან მაგრა შეჰკვრენ და, როცა ცერების წვერებში სისხლი ბლომად მოგროვდება, ცოტად უჩხვლეტენ და მეფეები სწოვენ ერთმანეთის სისხლსა. ამის შემდეგ ხელ-შეკრულობა ჩაითვლება საიდუმლოებად და დარღვევა მისი შეუძლებელია. კაცი, რომელსაც უნდა შეეკრა მითრიდატის და რადამისტის თითები, წაიქცა ვითომ უცაბედად, მოსწვდა მითრიდატს ხელები მუხლებზე და წააქცია. მაშინვე სხვებიც ეცენ მითრიდატს, და ფეხებზე ბორკილი დაადვეს, რაც დიდ სირცხვილად მიაჩნიათ ბარბაროსებს. და ასე შეკრული წაიყვანეს. და-

ბალღმა ხალხმა, რომელსაც დიდი გაჭირვება გამოეუვლია მის მეფობაში, დაუწყო მიტრიდატს ლანძღვა და ცემასაც ემუქრებოდა. მხოლოდ ზოგიერთები კი სიბრალულით შეჰყურებდნენ ამისთანა ბედის ტრიალს. მისი ცოლი წვრილის შვილებით უკან მისდევდა და საშინლად მოსთქვამდა. სანამდი ფარსმანის განკარგულება მოვიდოდა, ისინი ჩასვეს ცალ-ცალკე დახურულ ეტლებში. ფარსმანისათვის გვირგვინი უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე ძმა და ქალი. იგი მზად იყო ყოველ ბოროტებისათვის. მაგრამ საშინელი სანახავი მაინც აიცილა თავიდამ და ბრძანა, მიტრიდატი მოეკლათ არა მის თვალ-წინ. რადამისტმა თითქოს გაიხსენაო თავისი ფიცი, და არ მოჰკლა თავისი და ბიძა არც მახვილით, არც საწამლავით, არამედ გააწვენინა ისინი მიწაზე, ზედ დააყრევინა მრავალი მძიმე ტანისამოსი და ამრიგად დაახრჩო. მიტრიდატის შვილებს იტირეს თავისი მშობლები და ამიტომ ისინიც მოჰკლეს.

რომაელებმა რომ მიტრიდატის ამბავი გაიგეს, ფარსმანს მოსთხოვეს სომხების საზღვრებიდამ თავისი ჯარები წამოეყვანა და თავისი შვილიც დაებრუნებინა იქიდამ.—

ვოლოგეზს ეგონა, რომ ეს არის დრო მოაწიაო ხელ-ახლად დაეპყრა სომხეთი, რომელიც წინად ჩვენს წინაპრებს ეჭირათო და ამ ჟამად კი [52 წ. ქრ. აქედ] ბოროტ-მოქმედების შემწეობით ხელ-ში ჩავარდნია უცხოელსაო. ვოლოგეზი აგროვებს ჯარს და გზავნის თავის ძმას ტირიდატს სომხეთის ტახტის დასაჭერად, რადგან ვოლოგეზს ჰსურდა, რომ მისის სახლობის ყოველ წევრს თვითო სამეფო ჰქონოდა. როგორც-კი პართელები შემოვიდნენ, ივერიელები უბრძოლველად უკუ იქცნენ და სომხეთის ქალაქები, არტაქსატი და ტიგრანო-ცერტი, პართელებს დანებდნენ. მაგრამ სასტიკმა ზამთარმა, სურსათის უქონლობამ და ამ ორ მიზეზებისაგან წარმომდგარმა ავადმყოფობამ აიძულეს ვოლოგეზი თავი დაენებებინა დაწყებულ საქმისათვის. როგორც კი ვოლოგეზმა მიატოვა სომხეთი, რადამისტი ისევ შევიდა იქ და სომხების წინააღმდეგ უფრო დიდი სისასტიკე გამოიჩინა, ვიდრე წინად, რადგან ღალატობას სწამებდა მათ და ფიქრობდა, რომ სომხები მზად არიან ხელ-ახლავ ბრძოლა დაიწყონო, როცა კი შემთხვევას იშოვნიანო. თუმცა სომხები მიჩვეული იყვნენ მონურ მორჩილებას, მაგრამ

ბოლოს ისინიც გამოვიდენ მოთმინებიდამ და შეიარაღებულები სასახ-ლეს გარს შემოერტყენ.

რადამისტი და მისი ცოლი ცხენებზედ შესხდენ და გაიქცენ. რადამისტი გადაარჩინა მხოლოდ მისი ცხენის სიმარდემ. ცოლი კი ფეხ-მძიმედ იყო და, თუმცა პირველად, როგორც იყო, ამ გაქცევის სიძნელეს ითმენდა, ქმრის სიყვარულით, თუ მტრის შიშით, მაგრამ შემდეგ, ეს ჩქარი ჭენება რომ დიდს ხანს გაგრძელდა და მუცელი საშინლად ეხირა, ქმარს შეევედრა, რომ სამარცხვინო ტყვეობას პატიოსან სიკვდილით გადამარჩინეო. რადამისტმა მაშინ თავისი ცოლი აიყვანა, გულში ჩაიკრა და ჯერ ამხნევებდა; თან უკვირდა მისი სულის სიმძლავრე და თან ეშინოდა, ვაი თუ სხვას ჩაუვარდეს ხელშიო, მე რომ მივატოვოო. ბოლოს სიყვარულისაგან გაშმაგებულმა ამოიძრო სატევარი და ბოროტებაში გამოცდილის ხელით დასცა თავის ცოლს. დაჭრილი მიათრია არაქსის ნაპირზე და მისცა წყალს, რათა თვით ცხედარიც არავის ჩავარდნოდა ხელში. თვითონ კი ივერიაში მივიდა, მამა მისის სამეფოში. მხოლოდ ნელმა მდინარეობამ ზენობია (ასე ერქვა იმის ცოლს) ჯერ კიდევ ცოცხალი მიაგდო ნაპირზე. ვიღაცა მწყემსებმა შენიშნეს და ნახეს, რომ კიდევ სუნთქავდა. ნაზ აგებულებაზე მაშინვე შეატყეს დიდებული გვარიშვილობა; ჭრილობა შეუხვიეს და ბალახის წამლები დაადვეს. როგორც კი შეიტყეს მისი სახელი და თავგადასავალი, მაშინვე მიიყვანეს არტაქსატის ქალაქში და იქიდამ სა-ზოგადოების ხარჯით გაგზავნეს ტირიდატთან. ტირიდატმა ზრდილო-ბიანად მიიღო ეს ქალი და ისე ეპყრობოდა, როგორც ეკადრებოდა მეფის ცოლს.—

წლის ბოლოს [55 წ.] ხმა გავარდა, რომ პართიელები ხელ-ახლავ თავს დაეცნენ სომხეთსა, აიოხრეს იგი და გამოაგდეს რადამისტიო. წინად რადამისტი რამდენჯერმე გამოგდებული ყოფილა სომხეთიდამ და რამდენჯერმე ხელ-ახლავ დაუპყრია ეს სამეფო. ამის შემდეგ კი სრუ-ლებით ხელი აიღო ომზე.—

ფარსმანმა [59 წ.] მოჰკლა თავისი შვილი რადამისტი, ვითარ-ცა მოღალატე, და რომაელების ერთგულების გამოსაჩენად. უწინდე-ლის სისასტიკით ბრძოლა დაიწყო სომხების წინააღმდეგ.—მარდები

[60 წ.] თავს დაეცენ რომის სარდალს კორბულონს, როცა ის მარდების საზღვარზე მივიდა.—კორბულონმა მარდების წინააღმდეგ გაგზავნა ივერიელები, რომელთაც აოხრებინა მარდების ქვეყანა და ამგვარად მტრის კადნიერება სხვების სისხლით დასაჯა.

## XXXVIII. ბერძნული წარწერა ვესპასიანეს მიერ საქართველოში აგებულ ციხე-სიმაგრეზე

75 წ. ქრ. აქეთ.

თვითმპყრობელმა ცეზარმა ვესპასიანემ, ავგუსტოსმა, დიდმა მღვდელ-მთავარმა, ტრიბუნის უფლებით მოსილმა მეშვიდედ, იმპერატორად გამოცხადებულმა მეთოთხმეტედ, კონსულმა მეექვსედ და აღნიშნულმა მეშვიდედ, მამამ მამულისამ, ცენზორმა, და თვითმპყრობელმა ტიტე ცეზარმა, შვილმა ავგუსტოსისამ, ტრიბუნის უფლებით მოსილმა მეხუთედ, კონსულმა მეოთხედ და აღნიშნულმა მეხუთედ, ცენზორმა, და დომიციანე ცეზარმა, შვილმა ავგუსტოსისამ, კონსულმა მესამედ და აღნიშნულმა მეოთხედ, ივერთა მეფეს მითრიდატს, ფარსმანის და იამაზდის შვილს, ცეზარის მეგობარს და რომაელთა მოყვარეს ერს აუგეთ ციხე-სიმაგრე. *)

*) ქვა ამ წარწერით ნაპოვნია 1867 წ. მაისში მცხეთის მახლობლად და ახლა დაცულია კავკასიის მუზეუმში.

# ქრისტეს სარწმუნოების მიღებიდამ ვახტანგ გორგასლიანამდე

## XXXIX. კერპთ-მსახურება საქართველოში

(დ. ზ. ბაქრაძე—საქართველო ანდრია მოციქულის დროს)

„ქართლის-ცხოვრება" ჩვენ წინა-პართ ძველს სარწმუნოებას და ზნეობას თავ-და-პირველად შეეხება მამასახლისების დროს. მოვიყვანთ იმის თქმულებას. „მას ჟამსა—იტყვის იგი—დაივიწყეს ქართლოსიანთა ღმერთი დამბადებელი მათი და იქმნეს მსახურ მზისა, მთვარისა და ვარსკვლავთა ხუთთა, და მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისა. ქაიხოსრო სპარსთა მეფემ „მოვლო ყოველი სომხეთი და ქართლი... და დაუტევნა ერისთავნი და აღაშენა არდა-ბადაგანს სახლი სალოცავი სჯულისა მათისა... ქართველთა დაიპყრეს სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთა, რამეთუ ცოლ-ქმრობისათვის არა უჩნდათ ნათესაობა, და ყოველსა სულიერსა სჭამდეს. საფლავი არა იყო, მკვდარსა შესჭამდეს". „ალექსანდრე მაკედონელმა ჰპოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა, რამეთუ ცოლ-ქმრობისა და სიძვისათვის არა უჩნდათ ნათესაობა, ყოველსა სულსა სჭამდეს, მკვდარსა შესჭამდეს." და „უბრძანა ალექსანდრემ აზონს, რათა პატივს-სცემდენ მზესა და მთვარეს და ვარსკვლავთა ხუთთა, მსახურებდენ ღმერთსა უხილავსა, დამბადებელსა ყოვლისასა." „მოკვდა ალექსანდრე და ამან აზონ დაუტევა სჯული ალექ-

სანდრეს მოცემული. იწყო კერპთ-მსახურებად და შექმნა ორნი კერპ-ნი ვერცხლისანი, გაცი და გაიმ.“ ვახუშტი დაურთავს: აზონმა ნე-ბა მისცა ქართველებს თავიანთის შვილების მსხვერპლად შეწირვისა კერპთათვის. „ფარნავაზ მეფემ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა. ესევე არს არმაზი, და ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქვა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა მიე-რიდგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთვის და ქმნა სატფურება დიდი კერპისა მისთვის აღმართებულისა.“ „რადგან წავიდა ალექსანდრე, არ-ღარა სჭამდეს კაცსა, თვინიერ რომელ შესწირვიან კერპსა მსხვერპ-ლად.“ ფარნავაზის შვილმა „საურმაგ შექმნა ორნი კერპნი, აინინა და დანანა, და აღმართნა გზასა ზედა მცხეთისასა“. ფარნაჯომ ნებროთიდზე ქართლის-ცხოვრება იტყვის: „შეიყვარა სჯული სპარსთა—ცეცხლისა მსახურება, მოიყვანა სპარსეთით ცეცხლისა მსახურნი და მოგვნი და დასხნეს იგინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ ჰქვიან მოგვთა, და იწყო ცხადად გმობად კერპთა. ამისთვის მოიძულეს იგი მკვიდრ-თა ქართლისათა, რამეთუ დიდი სასოება აქვნდა კერპთა მიმართ“. ეს იყო მიზეზი, როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, რომ ქართველებმა ფარნაჯომი განდევნეს და მეფედ მოიწვიეს არშაკ არშაკიდი.—„მოვი-და ათორმეტთა მოციქულთაგანი ანდრია ქალაქად ტრაპიზონად, რო-მელ არს სოფელი მეგრელთა, და იხილა უგუნურება პირუტყვებრივი მკვიდრთა მორის მის ქალაქისათა; განვიდა მიერ და მივიდა ქვეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების, ხოლო მუნ კაცნი პირ-უტყვთა უგუნურეს იყვნეს, რამეთუ არა იცნობდეს შემოქმედსა ღმერ-თსა და ყოველსა საძაგელსა და არა წმინდასა წესსა აღსრულებდეს, რომელი სათქმელადაცა უჯერო არს“. „მოვიდა საზღვართა სამცხისა-თა; აქ სოფელსა ზადენგორას იხილა, რამეთუ კაცნი მის ადგილისა-ნი უზორვიდეს *) კერპთა ყრუთა, და ილოცა და ყოველნი იგი კერპნი დაემსხვრნეს და შეიმუსრნეს.“ „ხოლო აწყვერს, რომელსა პირ-ველად ეწოდებოდა სოსან-ქეთი, იყო ტაძარი საკერპო და მას შინა იმსახურებოდეს კერპნი მათნი.“ „იყო ქალაქსა მას შინა ბომონი სა-

*) მსხვერპლსა სწირავდენ.

კერპო, რომელსა შინა იმსახურებოდეს ბილწნი ღმერთნი მათნი, არტემი და აპოლონ. და ვითარცა იხილეს საქმე ესე (ქვრივის აღდგინება მკვდრეთით ანდრია მოციქულისაგან) მღვდელთა მათთა, აღივსნეს შურითა." ხალხი იტყოდა: „აპოლონ და არტემი არიან დიდნი ღმერთნი". მეფე რევზე ამოვიკითხავთ ქართლის-ცხოვრებაში: „ამან რევ მოიყვანა საბერძნეთით ასული ლოგოთეთისა, სახელით სეფელია, მოიხუნა თანა კერპი, სახელით აფროდიტოს და აღმართა თავსა ზედა მცხეთისასა. მეფობასა შინა მისსა არღარავის უტევა ქართლსა შინა ყრმათა კვლა, რომელსა იგი ამისსა უწინარეს და პირველ კერპთა მიმართ შესწირვიდეს მსხვერპლად ყრმათა და, ვიდრე იგი იყო მეფედ, არღარავინ კლვიდა ყრმათა კერპთათვის. ხოლო ცხვრისა და ძროხის შეწირვა განუწესა". როდესაც სპარსეთის მეფემ ქასრემ, ქართველების თხოვნით, მოსცა იმათ მეფედ თავისი შვილი, მცირე წლოვანი მირიანი, მაშინ ქასრემ უბრძანა მირიანის მამა-მძუძეს მირვანოზს, რათა იყოს შვილი ესე ჩემი ორსავე სჯულსა ზედა, მამათა ჩვენთა ცეცხლის-მსახურებასა და თქვენთა კერპთასა". „აღიზარდა მირიან მსახურებასა შინა შვიდთა მათ კერპთასა და ცეცხლისასა... და ჰმატა შემკობა კერპთა და ბომონთა, კეთილად იპყრნა ქურუმნი (მღვდელნი) კერპთანი და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსახურებასა მას კერპთასა. „წმინდამან ნინო ურბნისის ქალაქში იხილა ერი უცხო და უცხოთა ღმერთთა მსახურნი, რამეთუ თაყვანის-სცემდეს იგინი ღმერთად მათდა ცეცხლსა, ქვასა და ხეთა... დღესა ერთისა აღიძრნეს ერნი დიდნი სიმრავლითა მათ ქალაქით წარმავალნი დედა-ქალაქად სამეფოდ მცხეთად... წინაშე არმაზ ღვთისა მათისა და წარჰყვა მათ წმიდა ნინო და დაისადგურეს მათ წიაღ მოგვთასა, ხიდსა მას ზედა; იხილა მუნ მოგვობა ცეცხლის-მსახურთა მათ ერთა... და იყო ხმა საყვირისა და გამოსვლა ერისა ურიცხვისა. და ზარი საშინელი ვიდრე გამოსვლამდე მეფისა". ჰკითხა წმინდამან ნინო დედაკაცსა ურიასა: „რაი არის ესე." „ღმერთი ღმერთთა არმაზ უწყეს მათ წინაშე მისსა აღსვლად, რომლისა მსგავს არა არს სხვა კერპი." „შეუსწრო წმინდამან ნინო ცისედ არმაზსა, და დადგა იგი მახლობელად კერპისა მის, ნაპრალსა ზღუდისასა, და ხედვიდა, ვითარ-იგი იყო-

შიში და ძრწოლა ზარისა აღსასხდელი, მეფეთა მათ და ყოვლისა ერისა, წინაშე კერპთა მათ წარდგომილთა, რამეთუ იხილა მუნ წმინდამან ნინო მდგომარე კაცი ერთი სპილენძისა, რომელსა ეცვა ტანსა მისსა ჯაჭვი ოქროსი, თავსა მისსა ჩაფხუტი ოქროსა, სამხრენი და თვალნი მისნი იყვნეს ზურმუხტისა და ბივრიტისანი, და ეპყრა ხრმალი ხელსა მისსა, ელვარე და ბრწყინვალე, რომელი იგი იქცეოდა ხელსა შინა მისსა"... „და კვალად იყო მარჯვენით მისსა სხვა კერპი ოქროსა, და სახითა კაცისათა მდგომარე, და სახელი მისი გაცი, და მარცხენით მისსა უდგა კაცი ვერცხლისა, და სახელი მისი გაიმ, რომელნი იგი ღმერთად უჩნდეს ერთა მათ ქართლისათა." როდესაც წმინდამან ნინო ლოცვის ძალით კერპნი დაამხო, მაშინ „უმრავლესნი იგი იტყოდეს გულფიცხელნი, მოუდრეკელნი ერნი, ვითარმედ ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან და ჩვენი ესე ღმერთი არმაზ ყოვლადვე ურთი-ერთისა მტერ არიან. რამეთუ ამან ოდესმე მათზედა ზღვა მოიქცა. და აწ მან შური იძია და მოაწია ესე ამას ზედა. ხოლო რომელნიმე ერნი იტყოდეს, ვითარმედ „რომლისა ღმერთისა ძალითა თრდატ, სომეხთა მეფე ეშვად შეიცვალა, და კვალად ეშვისაგან კაცადვე მოაქცივნა, მან უკვე ღმერთმან ჰყო და მოაწივნა ესე რისხვა ივისი მათ ზედა."

როგორც ამ გამონაწერებიდამ სჩანს, ჩვენი მატიანე უჩვენებს ორს სხვა და სხვა მხარეს, საიდამაც საქართველოში ძველი აღსარება გავრცელებულა. ეს მხარეებია: საბერძნეთი და სპარსეთი. აზონს შემოაქვს გაცი და გაიმი; საურმაგს—აინინა და დანანა; ფარნაჯომს—ზადენი. ანდრია მოციქულის დროს მესხნი მსახურებენ ბერძნების ღმერთებს არტემის და აპოლონს. რევის მეუღლე, ასული ლოგოთეთისა, შემოიტანს აფროდიტს. ვიდრე ბერძნების სარწმუნოებრივი გავლენა აღმოჩნდებოდა ჩვენ მხარეში, ბევრით ადრე იმ დროზე, აქ ვპოულობთ იმავე აღსარების წესს და ღმერთებს, რომელნიც აღმოიპოვებიან ტავრო-სკვითებში და რომელთაც თვით საბერძნეთის ტომნი ექვემდებარებოდნენ. ამ საგანს „ქართლის-ცხოვრება" შეეხება: „მსახურებდენ მზესა, მთვარესა და ხუთთა ვარსკვლავთა". სპარსეთიდამ ჩვენ შემოგვიტანია არმაზი. „ქართლის-ცხოვრება" იტყვის ფარნავაზზე: „შე-

ქმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა, ესე იგი არმაზი". მაგრამ ცხადია, რომ არმაზი ძველადვე დამკვიდრებულა საქართველოში. ჩვენი არმაზის სპარსების ორმუზდი, სომხების არმაზტი. ის სპარსეთში იყო „მზის ანუ ცეცხლის წარმომადგენელი; მისნი მსახურნი იყვნენ მოგვნი. საქართველოში და სომხეთში იმას, კერპთ-მსახურების გავლენის ქვეშ, შეუცვლია თავისი ხასიათი და ბუნება: აქ ის გარდაქცეულა საწარმართო კერპად და, რადგანაც სხვა კერპებზე ხალხის აზრში უძლიერესი ყოფილა, ამისთვის ის აქ, როგორც სომხეთში, უმთავრეს ღმერთად გადაქცეულა. სომხეთის არმაზტი იწოდებოდა ღმერთების მამად და მეფედ; მისი ტაძარი იყო აღმართული ანის ქალაქში; აქვე ჰქონდა ადგილ-სადგომი არმაზტის მღვდელთ-მთავარს. მოსე ხორენელის სიტყვით, ქართველების „არმაზი, ქვეყნა-ქვეყნიერის მპყრობელი, აღმართული იყო ქალაქს გარეთ გაღმა მდინარისა. ჩვეულებისა-მებრ ქალაქის მცხოვრებნი თაყვანს-სცემდნენ იმას ყოველ დღე განთიადის დროს, თავიანთის სახლის სართულებიდამ და, ვისაც იმისთვის მსხვერპლის შეწირვა სურდა, ის ავიდოდა მდინარეს და ტაძრების წინ დაჰკლავდა მსხვერპლს." რასაც ჩვენ ზემოდ ვამბობთ საქართველოს სარწმუნოების თვისებაზე, თითქმის იმასვე ამბობს სენ-მარტენი სომხეთის ძველს სარწმუნოებაზე. იმის სიტყვით, „ტრდატ მეფის წინა-მოადგილეთ დროს, სომხეთი აღიარებდა იმავე აღსარებას, რომელსაც მისდევდნენ პართელები, ესე იგი: შეიძლება ვიფიქროთ, რომ სომხების აღსარება იყო ზოროასტრის სარწმუნოება, მაგრამ შეცვლილი და შერეული, როგორც ბერძნების აღსარებასთან, აგრეთვე სხვა-და-სხვა გვარს ამაო-რწმუნებასთან, რომელნიც სომხების წინაპართ საკუთრივად გამოუტანიათ. სომხების საკერპოებში იხილებოდა მრავალ-რიცხვი კერპები, რომელთაც პირუტყვთ შესწირავდნენ. ამ გვარი მსხვერპლები აღკრძალული იყო ზოროასტრის სარწმუნოებაში. უძლიერესნი ღმერთნი, სომხების აზრით, იყვნენ არამაზტი, სპარსების ორმუზდი და ბერძნების ზევსი; დედა-ღმერთი ანაიდი ანუ ვენუსი და მიჰრი ანუ მითრა. სომხები თაყვანს სცემდნენ აგრეთვე სპან-ტარადს, ვაჰაგანს, ბარშამს, ნანეს და სხვათა მრავალთა, რომელნიც ჩვენმიერ ცნობილნი არ არიან".—

ამ გვარად იყო მოფენილი საქართველოში კერპთ-მსახურება. თუმცა, როგორც „ქართლის-ცხოვრება" ამბობს, კერპთ-მსახურებას ძველადვე ებრძოდა ცეცხლის აღსარება, თუმცა ზოგიერთს მეფეებსაც მიიმხრობდა ის, თუმცა იმისნი მსახურნი—მოგვნი ხალხშიაც ავრცელებდენ იმის მსახურებას, თუმცა ამ ბრძოლაში კაი ხანიც გასწია და თვით ქრისტეს სჯულის მიღების შემდეგ საქართველოში, ესე იგი, მეხუთე-მეექვსე საუკუნეში აღიძრა დიდი ბრძოლა ლაზიკაში, ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის, მაგრამ მაინც შეუძლებელი საქმე იყო ცეცხლის თაყვანის-ცემისაგან დანაგვრა ძველად კერპთ-მსახურებისა, შემდეგ ქრისტეს სარწმუნოებისა; შეუძლებელი იყო იმისთვის, რომ ჯერ კერპთ-მსახურება, მასუკან ქრისტიანობა საქართველოში და იმის მოსაზღვრე მხარეებში იყვნენ მჭიდროდ დამყარებულნი და მოფენილნი.

რა ძალით მოქმედებდა საქართველოში კერპთ-მსახურება ამას „ქართლის-ცხოვრება" მოიხსენიებს. ის იტყვის: „ქართველებს ეპყრათ სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთა: ქართველები შესწირვიან კერპებს ყრმათა, სჭამენ კაცთა, რომელთაც შესწირვიან კერპთა". შესაწყნარებელია თუ არა ეს თქმულობა? აი ამაზე რას ამბობს ბროსე: „მე მჯერა „ქართლის-ცხოვრების" სიტყვა ცოლ-ქმრობაში ნათესაობის შერევაზე ურიების ჩვეულების მიყოლით და მკვდრის დაუმარხაობაზე ცეცხლის თაყვანის-მცემელთ მიბაძვით. მაგრამ მეძნელება დავიჯერო, ვითომც ივერიელთ ოდესმე ჩვეულებად ჰქონიყოთ კაცის მჭამლობა. კაცის მჭამლობას, ჩვეულებად შეთვისებულს, ძნელად პოულობენ თვით აზიის ტომებში. ამერიკის და ოკეანის მცხოვრებნი, რომელთაც, მართალია, ჰქონიათ და აქვთ ეს ჩვეულება, არიან ველურნი მეომარნი; იმათ არ იციან არც ბინადრული ცხოვრება, არც იმისი საფუძველი—მიწის შემუშავება. ისინი იკვებებიან წყლის ცხოველით და ტყის ნაყოფით. ამისთვის შესაძლებელია, რომ იმათი ბირუტყვის მსგავსი ბუნება და შიმშილი აღვიძებს იმათ გულის-წადილს, როდესაც ისინი ჰხედვენ მტერს, მიწაზე გართხმულს, მაგრამ ადამიანის ჭამა ნაყოფიერის მიწის-მუშაკთ ივერთაგან, რომელნიც, ბერძნების და რომაელების თქმით, მჭიდროდ დაფუძნებულს ტომს შეადგენდენ, შესაწყნარებელი საქმე არ არის, და მე უარ-ვჰყოფ ამას."

## XL. ქადაგება ანდრია მოციქულისა საქართველოში

(თეიმურაზ ბატონიშვილი—ისტორია საქართველოსი).

შემდგომად ქრისტეს ამაღლებისა მეექვსესა წელსა მოიწივნეს ესე ორნი მოციქულნი ქრისტესნი პირველ-წოდებული ანდრია და სიმონ კანანელი, რამეთუ უბრძანა წმიდამან ღვთის-მშობელმან, რათა წარვიდნენ ივერიად და მუნ ჰქადაგონ საყვარელი ძე მისი ქრისტე ღმერთი, მხსნელი და მაცხოვარი, წილ-ხდომილსა 1) შინა ქვეყანისა ღვთისა დედისასა, ვითარცა წერილ არს ძველთა შინა ეკლესიისა ჩვენისა მატიანეთა. წარმოვიდნენ ესე მოციქულნი ქრისტესნი, ანდრია და სიმონ კანანელი, მოვიდნენ პონტოის გზით ქვემოსა შინა საქართველოსა კოლხიდად, ადგილსა მეგრელთა და აფხაზთასა, ქალაქად ნიკოფსიად, სადაცა იყო პალატი და სადგური დიდი საქართველოს მეფეთა. და დიდ-დიდნი ბომონნი სამსახურნებელნი კერპთანი, ჰქადაგეს მუნ, აღასრულეს სასწაულნი პირად-პირადნი *) და ნიშნი, და მოაქცივნეს მრავალნი ერნი ქრისტეს სარწმუნოებასა ზედა მეგრელნი და აფხაზნი; ხოლო მეფესა აძერკისცა ესმნეს ქადაგებისა მათისა სიტყვანი და სასწაულნი, რომელსა სახელითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა იქმოდეს წმინდანი ესე მოციქულნი, და უკვირ-

---

1) წილხდომილი ქვეყანა ღვთის დედისა არის ივერია მიზეზითა ამით ვინაითგან მოუთხრობს საქართველოსა ეკკლესიის ისტორია, ვითარმედ ოდეს ამაღლდა ქრისტე ზეცად და საღმრთოთა მოციქულთა ზედა გარდამოვიდა ყოვლად წმიდა სული; მაშინ მოციქულნი განემზადნენ წარმოსვლად პირსა-ზედა ყოველსა ქვეყნისასა და იყარეს წილი მოციქულთა თვის შორის, თუ რომელი რომელსა ქვეყანასა წარვიდეს და ჰქადაგონ სიტყვა ღვთისა. მაშინ ჟამსა მას ესენ იყოფოდა მათთანა დედაცა ღვთისა ქალწული მარიამ და უბრძანა მოციქულთა: „შვილნო ჩემნო საყვარელნო, დასდევით წილიცა ჩემი წილის საყრელსა თქვენსა შორის, რამეთუ სურვილ ვარ მეცა შრომისა მიღებად საყვარელსა ძისა ჩემისათვის, რათა ექადაგო სახელი მისი, რომელსაცა ადგილსა ეხვდებოს მე წილი. ხოლო იგინი მორჩილ ექმნეს და დასდევს წილიცა მისი შორის წილთა თვისთა, წილ იგდეს და ხვდა დედასა ღვთისასა წილად თვისად ივერია, რომელ არს საქართველო.—*) სხვა და სხვა.

და მას ფრიად. ხოლო მუნითგან შესრულმან მოციქულმა ანდრია კავკასიისა მთათა შინა მცხოვრებთა, მოვლო რომელნიმე ადგილნი, გამოვლო ქართლი, მოიწია მცხეთად; არამედ არავის განუცხადა მუნ მრავალთა და არცა შევიდა ქალაქსა შინა მცხეთისასა; არამედ პირის-პირ მცხეთისა გაღმით მდინარისა არაგვსა აღვიდა მთასა მას ზედა, რომელსაცა ზედა არს მონასტერი ჯვარისა ცხოველს-მყოფელისა, რომელსაცა ჯვარის მონასტრად სახელ-ედების, და მწვერვალსა მას გორისასა აღმართა ჯვარი, და დაუტევა და წარვიდა მუნით კახეთისა კერძოთა, და შევიდა შინაგან კახეთისა, განსლა მდინარესა დიდსა იორსა, ესე იგი, ალაზნისა მდინარესა, და მივიდა გრემს, და აღმართა მუნცა ჯვარი მცირესა მას მწვერვალსა ზედა გორისასა, სადა იგი არს აწ ეკკლესია მიხაილ-მთავარ-ანგელოზისა, რომელი იყო ძველად მონასტერი და არს იგი სასაფლაო მეფეთა და მუნით გაღმამხრის გზით კავკასიურით გზით, განვლო დიდოეთი და მრავალნი ადგილნი ლეკთანი მოვლნო, და ჰქადაგა ადგილთა მათ და ანდრიად წოდებულსა ქალაქსა შინა კავკასიურსა ჰქადაგა სიტყვა ღვთისა (მუნ ჟამიდგან ეწოდა ადგილსა მას ანდრია). მუნით მოიქცა ქისტეთის გზით და მოვიდა ხევსა მთიულეთისასა ლომეკის მდინარესა ზედა, რომელსა აწ სახელ-სდებენ თერგად. და აღვიდა ძირსა საშინელისა მის კავკასიურისა მთისა, რომელსა ეწოდების მყინვარი. მაღალსა მთასა ზედა, სადა იგი არს ჩამოსწვრივ ძირი მისი, აღმართა მუნ ჯვარი, არს ადგილსა მას დაბა და ადგილსა მას, სადა იგი ჯვარი აღმართა წმიდამან ამან მოციქულმან, აწ არს მას ზედა ეკკლესია დიდი მონასტერი წმიდისა მოციქულისა პირველ-მოწამისა სტეფანესი.

მუნით კვალად შევიდა წმიდა ესე მოციქული კავკასიად, დავლო და ჰქადაგა მრავალთა ადგილთა და მთავიდა კვალად მეგრელიად და აფხაზეთად. და მუნით მიიქცა და წარვიდა სხვათა ქვეყანათა დაკერძოთა.

ხოლო წმიდა მოციქული სიმეონ კანანელი [1]) დაადგრა მუნვე

[1]) წერილი არს მოთხრობათა შინა საქართველოისათა ვახტანგ მეფისა, ვახუშტისა და სხვათაგანცა მომთხრობელთა, ვითარმედ წმიდა მოციქული სიმეონ აღესრულა და დაეფლა მუნვე ნიკოფსიას.

აფხაზეთს და მეგრელიად. ამა წმიდათა მოციქულთა ანდრიამ და სი-მონ აღაშენნესცა ეკკლესიანი ნიკოფსიას და სხვათა რომელთამე ადგილთა საქართველოისათა და ჰქადაგეს მესხთა და ჯავახთაცა შო-რის, და მუნცა მოაქცივნეს მრავალნი (ხოლო ადგილნი ესე მესხთა და ჯავახთა არს ნაწილი ზემო-ქართლისანი).

თუმცა-ღა წმიდათა სამღრთოთა მოციქულთა ჰქადაგეს და მოაქ-ცივნეს მრავალნი და მას ჟამსა არცა მეფემან ადერკიმ უქმნა მათ წი-ნა-აღმდეგი რაიმე, ვინაიდგან იგი მრავალთა ძლით ქრისტესაგან და წმიდათა მოციქულთა მიერ ქმნილთა სასწაულთა და ქადაგება-თა სმენითა და განფვენითა. ყოველსა ზედა პირსა ქვეყანისასა გრძნო-ბდა გულსა შორის თვისსა, რომელ ესე არს ზეგარდამო რაიმე გან-გებულება, და ამისთვის ესე არა აბრკოლებდა წმიდათა ამათ მოცი-ქულთა ქადაგებასა. მაგრამ შემდგომთა ადერკისათა მეფეთა საქართვე-ლოისათა დააყენეს შერისხვითა ერთათა კეთილ-მსახურებაი ესე და ჰგალად იწყეს კერპთ-მსახურება, ვიდრე მოსვლადმდე წმიდისა მოცი-ქულისა სწორის ქალწულისა ნინა, ჩვენ ქართველთა განმანათლებელი-სათა.—ხოლო წერილ არს ესეცა საეკკლესიოთა შინა საქართველოი-სათა, რომელ ხატი იგი შემდგომად წმიდისა ღვთის-მშობლისა, რომელიცა მისცა თვით დედამან ღვთისამან ანდრიას მოციქულსა, და მოიღო მან ივერიად და მოვიდა რა ადგილსა ქვემოისა საქართველო-ისასა მეგრელიად, ბიჭვინტას და ჰქადაგებდა რა მუნ ერსა შორის სიტყვასა ღვთისასა, აჩვენებდა ხატსა მას შემდგომად წმიდისასა ერ-სა. ხოლო ხატი იგი დედისა ღვთისა ვედრებითა მუნებურთა ერთათა დაუტევა მუნ ბიჭვინტას. ხოლო ბიჭვინტისა ღვთის-მშობლისა ხატი, რომელიცა ასვენიეს აწცა ქვემოსა საქართველოსა შინა მასლდობელად ქუთაისის ქალაქისა მონასტერსა შინა სამიტროპოლიტოსა განათლი-სას (ესე იგი გელათს), რომელიცა არს ფრიად მრავლითა სიმდიდ-რითა შემკულ ლითრს სასხოვარისა მეფისა ბაგრატ მეოთხისაგან სრუ-ლიად ივერიის თვით მპყრობელისა დავითიან-ბაგრატოვანისა. იტყვიან მას ხატსა, რომელ იგი არს რომელიცა მოციქულმან ანდრია მოასვე-ნა თვით და აწე არს იგი უეჭველად ორიგინალი ხატისა მისგან გარ-დამოხატული.

ხოლო ქადაგებასა მოციქულისა ანდრიასსა ივერიისა ადგილთა და მოქცევასა მათსა მოგითხრობს ვრცლად ნიკიტა, ბერძენთა ფილოსოფოსი, აღწერილსა შინა მის მიერ ქადაგებათა და მიმოსვლათა ანდრია პირველ წოდებულისა მოციქულისათა.—

## XLI. ქრისტეს კვართის ამბავი, თქმული აბიათარ მღვდლის მიერ

(„ქართლის-ცხოვრება“, ნაწ. I)

მე აბიათარ მოგითხრობ თქვენ თხრობასა-მას, რომელი მეუწყა მე ყურითა ჩემითა ვისმინე, მამის დედისა ჩემისა-გან, და რომელი წიგნთა-განცა ვუწყი, რამეთუ მათცა პაპათა და მშობელთა-გან თვისთა მოთხრობით და სმენით უწყოდეს, ოდეს იგი მეფობდა ჰეროდე იერუსალიმს, მას ჟამსა გვესმა ესრეთ, ვითარმედ იერუსალიმი სპარსთა დაიპყრესო, რომლისა-თვის იქმნა გლოვაი და წუხილი ურიათა ზედა ქართველთა, მცხეთელთა მკვიდრთა, ხოდელთა მღვდელთა, კოდის-წყაროელთა მწიგნობართა, დასობის განანელთა თარგმანთა; რომლისა-თვისცა ესე ყოველნი აღიძრნეს წარსვლად და შეწევნად იერუსალიმელთა. ხოლო შემდგომად მცირედთა დღეთა, სხვაი მოიწია ღაღადისი ნუგეშინის-ცემისაი, ვითარმედ სპარსნი-იგი არა დაპყრობად იერუსალიმისა მოვიდესო, არამედ საჭურჭელთა-წილ აქვნდა ოქრო სამეუფო და მური *) მსწრაფლ მკურნალი წყლულებისა, და გუნდრუკი სურნელი, და ეძიებდეს ყრმასა ვისმე, შობილსა თესლისა-გან დავითისა, რომელ რეცა **) პოვეს მწირი ერთი ყრმაი, მწირისა დედაკაცისაი, შობილი უცხოდ, უადგილოსა ადგილსა, ვითარცა არს ჩვეულება გარეგან დაბისა მდგომართა კაცთა. და ესენი მის ყრმისაი მოვიდეს, და შესწირეს მისსა ძღვენი-იგი მშვიდობით. და იქმნა სიხარული დიდი სმენითა ამის ამბავისათა ურიათა ზედა ქართველთა.

*) ანუ მირრა.—**) ვითამ.

ხოლო შემდგომად, გარდასლვეს რაი წელნი ოც და ათნი, მაშინ მოწერა ანნა მღვდელ-მან, იერუსალიმით [მამის] მამისა ჩემისა ელიოზის-თანა ესრეთ, ვითარმედ „იგივე, რომლისა-თვის სპარსნი მოგუნი ძღვნითა მოვიდეს, აღზრდილ არს და ჭაბუკსა ზომისასა მოწევნულ არს იგი, და თავსა თვისსა ძედ ღვთისად ხადის. აწ მოვედით ყოველნი სიკვდილსა მისსა, რათა აღვასრულოთ მცნებაი მოსესი," და წარვიდა აქათ ელიოზ, მამის მამა ჩემი, კაცი მოხუცებული, და ესვა მას დედაი ტომისა-გან ელი მღვდლისა, და ესვა მას დაი ერთი. და ევედრებოდა ელიოზს დედაი მისი ესრეთ: „წარვედ, შვილო, წოდებასა-მას მეფისასა და წესსა სჯულისასა, გარნა რომელსა-იგი განიზრახვენ, ნუ შეერთვის ცნობაი შენი, შვილო ჩემო, რამეთუ იგი არს სიტყუაი წინასწარ-მეტყველთა, და იგავი ბრძენთაი, და საიდუმლო დაფარული პირველით-გან, და წარმართთა ნათელ, და ცხოვრებაი საუკუნო". და წარვიდა ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი და მუნ დახვდეს ჯვარ-ცმასა უფლისა ქრისტესა. ხოლო რა-ჟამს იგი დამსჭვალვიდეს უფალსა ჯუარსა ზედა და ჭასანიკ-მან *) კვერითა-მით რკინისაითა სცა სამსჭვალთა-მათ **) ზედა უფლისათა იერუსალიმს, მაშინ ესმა ხმა, სამსჭვალსა-მათ-გან გამოსრულნი, დედასა ელიოზისასა, მყოფსა მცხეთასა შინა, და მეყსეულად იღრჩიალნა: „მშვიდობით, მეფობაო ურიათაო, რამეთუ მოჰკალით თავისა თქვენისა მაცხოვარი და მხსნელი, და იქმნენით ამიერით-გან მკვლელ და მესისხლე შემოქმედისა. ვაი თავსა ჩემსა, რომელ არა მეყუელა უწინარეს-ვე ამისსა სიკვდილი, რათამცა არღა-რა სმენილ იყო ყურთა ჩემთა, და არდარა შემდგომად ამისსა ღირს-ვიქმენ მე ხილვად ნათლისა წარმართთა ზედა, და მშვიდობისა ისრაელსა". და მეყის შეისვენა, ***) რაი სრულ ჰყო სიტყვაი ესე.

ხოლო კვართი-იგი უფლისა სვდა წილითა მცხეთელთა-მათ ურიათა, და მოიღო იგი მცხეთად ელიოზ. და მიეგებნა დაი მისი ცრემლთა მიერ შესვარული, და მოეხვია ყელსა ძმასა თვისსა ელიოზს; და მოუღო რა მას სამოსელი იგი იესოსი, შეიტკბო მკერდსა თვისსა. და

*) ჯალათი. — **) ლურსმანი. — ***) განისვენა, გარდაიცვალა.

მყის მეყსეულად ხელნი წარსდეს მასვე ჟამსა სამთა ამათ ტკივილთა სიმწარითა: ქრისტეს სიკვდილითა, და დედისა თვისისა, და ზიარებისა თვის უარის-მყოფელთა ქრისტესთა ძმისა თვისისა. მაშინ იყო საკვირველი და დიდი შეშფოთება მცხეთასა შინა, რამეთუ განკვირდა თვით დიდი მეფე ადერკი და ყოველი სიმრავლე ერისა და მთავართა და სთნდა მეფესა ადერკის სამოსელი იგი, გარნა საკვირველებისა-მისგან ზარ-განხდილ და შეშინებულ იქმნა იგი, და ვერღარა იკადრა გამოღებად ხელთა-გან მის მკვდრისათა, რომელსა-იგი მაგრად და სურვილითა შემოემკერდა. და ესრეთ ხელთავე მქონებელი სამოსლისა უფლისაი დამარხა ძმა-მან ელიოზ და-იგი თვისი ადგილსა-მას, რომელი უწყის ღმერთ-მან და არა-ვინ სხვა-მან თვინიერ ამისა, რომელ ესე უწყიან, ვითარმედ არს ადგილი-იგი მახლობელ ნაძვისა-მის, ლიბანით წარმოღებულისა და მცხეთას დანერგილისა და აღორძინებულისა.

---

## XLII. სასანიანთ სამეფო გვარი და მეფე მირიან

### 265—342 წწ.

(დ. ზ. ბაქრაძე—მირიან მეფე და წმ. ნინო.)

უკანასკნელის საქართველოს არშაკიდის, ასფაგურის მეფობაში სპარსეთში მოხდა ცვლილება. არშაკიდები დაეცნენ და იმათი ადგილი დაიჭირეს სასანიდებმა. ამ სამეფო სახლის დამფუძნებელი იყო არტაქსერქსი ანუ არდაშირი, სპარსეთის მოგვთა უფროსის ბაბეგის შვილი და სასანის შვილის-შვილი, რომელმაც სამს შეტაკებაში 223 და 226 წელს სრულებით დაამხო პართიიდამ შემოსული არშაკიდება და დაამყარა სპარსეთში სასანიდების სამეფო გვარი. შესანიშნავია სასანიდების ხასიათი: ზოგნი სასანიდნი არიან ცნობილნი სწავლა-სიყვარულითა; არდაშირი იყო განვითარებული მეცნიერი და მწერალი: იმან დასტოვა სხვა თხზულებათა გარდა „კ ა რ ნ ა მ ე“ ანუ განმარტება თავის ცხოვრებისა და მოქმედებისა—და აგრეთვე წიგნი ზნეობაზე.

მეოთხე სასანიდი, ბარამ პირველი, იყო მეცნიერობის მოყვარე და პირუტყვთ ქიმობაში დახელოვნებული. ხოსრო ნუშირვანმა მეექვსე საუკუნეში გამოსცა მეორედ არდაშირის. თხზულება ზნეობაზე; იმის დროსვე გავრცელდა სპარსეთში ინდოეთიდამ შემოტანილი, სანსკრიტულ ენაზე შედგენილი, ზღაპართ-კრება ქ ო ლ ე ი ლ ა ჭ ვ ე-დ ი მ ნ ა ჭ, ანუ ჩვენებურად ქილილა-დამანა, გადალებული მრავალ აზიურს და ევროპულს ენებზე და თვით ქართულად ნათარგმნი, ჯერ თამარ დედოფლის დროს და შემდეგ ვახტანგ მეექვსისაგან და საბა ორბელიანისაგან. სასანიდები განითქვეს არქიტექტურის ნაწარმოებით: იმათი დედა-ქალაქი მადაინი, კტეზიფონის მახლობლად და კტეზიფონის არემარე, ბუნებით შემკულ მხარეში, ეფრატის კიდეებზე, მოფენილი იყო გასაოცარის ძეგლებით. ამ გვარმა სწავლა-ხელოვნების სიყვარულმა ვერ მოარბილა იმათი მხეცური ბუნება. თითქმის მთელი სამეფო სახლის ხასიათი განსხვავდებოდა სისხლის ღვრით, როგორც შინა, აგრეთვე გარეთ. ხშირად მოხდებოდა, რომ შვილი ჯდებოდა ტახტზე მამის სიკვდილით შესისხლული. ეს იყო მიზეზი, რომ ოც-და-თხუთმეტს სასანიდების წევრთა რიცხვში ხანგრძლივ მეფობდენ მხოლოდ შვიდნი. სასანიდები გულ-მხურვალედ ემსახურებოდენ ზოროასტრის ალსარებას ანუ ცეცხლის თაყვანის-ცემას. დიდი გავლენა ჰქონდათ იმაზე მოგვებს, რომელთაც ეპყრათ გამოჩენილი ადგილები თვით სასახლეში. სასანიდები ყოველს ღონის-ძიებას ხმარობდენ, რომ ცეცხლის თაყვანისცემა დაემყარებინათ ყოველგან. ისინი სდევნიდენ ქრისტეს სარწმუნოებას, რომელიც იმათ დროს მოეფინა მცირე აზიაში, სომხეთში, საქართველოში და აგრეთვე სპარსეთში. ამასთანავე ისინი უშიშრად და ურყევლად ცდილობდენ თავიანთის საზღვრების გავრცელებას და უცხო-ტომთა დამონავებას. ისინი ხანგრძლივ ებრძოდენ ჯერ რომაელებს, მასუკან, როდესაც რომი დაეცა, ბიზანტიელებს, როგორც სომხეთში და საქართველოში, აგრეთვე აზიაში. ბედ-კრული სომხეთი იმათის ხმლით დაიმხო და დაიგლიჯა. საქართველოს ეს უბედურება არ ეწვია, თუმცა ამ განზრახვით სასანიდები მთელის საუკუნის განმავალობაში (455—560 წ.) სასტიკად ებრძოდენ ბიზანტიას, საქართველოს დასავლეთის მხარეებში, ანუ ბიზანტიელების ლაზიკაში.

მივუბრუნდეთ ისევ არდაშირის დროს. არდაშირმა მოჰფინა თავისი მფლობელობა სპარსეთში და დაიმონავა სომხეთი, რომელსაც, შემდეგ სომხეთის მეფის ხოსროს მოკვლისა, 27 წლის განმავლობაში თავისუფლად განაგებდენ არდაშირი და მისი შვილი შაბურ პირველი.—

ასფაგურს არა ჰყვანდა ვაჟი—ამბობს ჩვენი ისტორია—ჰყვანდა მხოლოდ ერთი ქალიო; შეიკრიბნენ ყველა ქართლის ერისთავნი მცხეთის ქალაქში სპასპეტთან, რომელსა ერქვაო მაიჟან. იმათ სურდათ მოეპოვებინათ რაიმე ღონის ძიება, რომ სპარსეთის მხრივ აეცილებინათ განსაცდელი. მაიჟან სპასპეტმან სთქვა: „მოიკლა სპარსთაგან დიდი მეფე სომხეთისა, და სპარსთა მეფის განზრახვა არის შთანთქას მთელი ჩვენი ქვეყანა, დარჩენილი ობლად, და არავინ არის ჩვენში იმის წინააღმდგომი; გამოვთხოვოთ სპარსთა მეფეს საკუთარი ვაჟი ჩვენ მეფედ და ვევედრნეთ, რომ შერთოს იმას ცოლად ასული ასფაგურისა, იმ პირობით, რომ იმისმა შვილმა აღიაროს სჯული ჩვენი და არ შემოიყვანოს ჩვენში სპარსნი“. ერის-თავნი დაემოწმნენ მაიჟანს სპასპეტს, წარგზავნეს მოციქული სპარსთა მეფესთან. სპარსთა მეფემ გამოიკითხა მდებარეობა მცხეთისა და იმისი სივრცე, მახლობლობა ხაზართა და ოვსთა და აგრეთვე გვარი ასფაგურის ასულისა და სცნო, რომ ის მომდინარეობს ნებროთიანთა და ფარნავაზიანთაგან. სპარსთა მეფემ შეიწყნარა ვედრება ქართველთა და ინება თავის ძის მეფობა მცხეთაში, რადგან ყველა სომხით-ქართლ-რანის ქალაქთა შორის მცხეთა ჰპოვა უმაგრეს ქალაქად, როგორათაც უახლოესი ჩრდილოთა მტერთა; აქედამ შეეძლო იმას იმათთან ბრძოლა და დაპყრობა კავკასიელთა. სპარსთა მეფემ მიიღო ყოველივე თხოვნა ქართველთა და მოვიდა მცხეთას, სადაც მას მიეგებნენ მაიჟან სპასპეტი და ერის-თავნი ქართლისანი. სპარსთა მეფემ ქასრემ შერთო ასული ასფაგურ მეფისა თავის ვაჟს, რომელიც თან ჰყვანდა და რომელიც იყო შვიდის წლისა, ნაშობი მხევლისა. იმას ერქვა სპარსულად მიჰრან და ქართულად მირიან. მირიანი დაადგინა მცხეთას მფლობელად ქართლისა, სომხითისა, რანისა, მოვაკანისა და ჰერეთისა. დასტოვა მირიანის მამა-მძუძედ და გამგებლად წარ-

ჩინებული მირვანოზ, ორმოცი ათასის მხედარითურთ რჩეულთა სპარსთაგან, რომელნიც დასხნა ჭერეთს, მოვაკანს და სომხითს, და არა ქართლს. მხოლოდ ბრძანა, რომ ამ სპარსთაგანი შვიდი ათასი რჩეული მხედარი იყოს მცხეთას მირიანის მცველად. „და იყოს შვილი ესე ჩემი ორსავე სჯულსა ზედა, მამათა ჩვენთა ცეცხლის მსახურებასა და თქვენთა კერპთასა, რამეთუ პირველვე ამასცა ზედა მოეცა ფიცი. ქასრე მეფემ დაიმორჩილა ყოველნი ხევნი კავკასიანთანი; დასხნა ყოველგან მთავარნი და მოსთხოვა მათ, რათა იყვნენ მორჩილ მირიანისა. თვით მირიანს და იმის მამა-მძუძეს მირვანოზს უბრძანა, რათა ბრძოდიან ხაზართა, და შემდეგ წარვიდა სპარსეთად“.

როგორც მოხსენებულია, მირიან დაჯდა მეფედ შვიდის წლისა. აღრზდილმა „კერპთ მსახურებაში და ცეცხლის თაყვანის ცემაში“, მირიანმა შეამკო „კერპნი და ბომონნი და კეთილად იპყრა ქურუმნი“. მირიანს უყვარდა ქართული ენა და ქართველნი და თვით ქართველთაც დიდი სიყვარული და პატივის ცემა ჰქონდათ იმისი. როდესაც მირიანი შეიქმნა 15 წლისა, იმას მოუკვდა მეუღლე, ქალი ასფაგურისა და მოიყვანა მეორე ცოლი საბერძნეთით, პონტით, ასული ოლიოტორისა, სახელად ნანა. მირიანს ჰქონდა ხშირი ბრძოლა ჭერეთში და მოვაკანში ხაზარებთან და იმათ მოკავშირე ძურძუკებთან და დიდოებთან. „უფროსი ლაშქრობა იმისი იყო დარუბანდს, რომელსაც მოაწყდებოდნენ ხაზარნი, რათა გაეხსნათ ფართო კარი, საიდამაც შეეძლოთ გასვლა სპარსთა ზედა. მირიან შევიდა ორმოც წელში, როდესაც აღესრულა იმისი მამა, სპარსთა მეფე და ქასრეს მოადგილედ დაჯდა უმცროსი ძმა მირიანისა ბარტომ. მირიან ითვისებდა მამის ტახტს. ის ამბობდა: „პირმშო შვილი ვარ და საუფლის-წულოდ მებოძნეს ქვეყანანი უცხონი... მრავალ-გზის სისხლითა ჩემითა დამიცავს სპარსეთი ხაზართაგან, ჩემი არს ტახტი მამისა ჩემისა. ბარტამი იტყოდა: „თუმცა პირმშო არის მირიან, მაგრამ ნაშობია მხევლისა და მხევლის ნაშობისთვის საკმარისია ის სამეფონი, რომელნიც იმას ჰხვდა სვედ. ორთავემ შეკრიბეს სპანი და მიეგებნეს ბრძოლად ერთი მეორეს. იხილეს რა მოხუცთა და მარზაპანთა, რომ სისხლის ღვრა აუცილებელია, შეუდგნენ შუამავლობას. ორნივე მეფენი დასჯერდნენ იმათ

ბჭობას“... ამათ დასდეს განაჩენი, რომლითაც დაუმკვიდრეს მეფობა სპარსეთისა ბარტომს და „მირიანს მისცეს ბარტომისაგან ჯაზირეთი და შამისა ნასყვარი და ადარ-ბადაგანი; ყოველივე ეს ქვეყნები ზედა დაურთეს სომხითს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს“.

შესანიშნავია შემდეგი გარემოებანი. მირიანის დროს ჩვეულებისამებრ ხაზარნი მოაწყდებიან საბრძოლად დარუბანდს. მირიან შევა მთაში ჯარით საშველად. ამ დროს მეფე გუთთა ურიცხვის სპით შევა საბერძნეთში. ბერძნის მეფე შემოიკრებს თავის ძალას. მეფე გუთთა მოითხოვს პირის-პირ ბრძოლას კეისართან. ვერ შეიძლებს კეისარი ბრძოლას. ამ ჟამად აქ იყო ძე კოსაროს სომეხთა მეფისა, სახელად ტირდატ გოლიათი; აღზრდილი საბერძნეთში, ტირდატი გამოარჩია ყოველთა სპათა საბრძოლად გუთთა მეფესთან. გუთთა მეფე და ტირდატ მიეტევნეს ერთმანეთს. სძლო ტირდატმა, შეიპყრო გუთთა მეფე და იოტეს ბანაკი გუთთა. შემდეგ ამისა კეისარი მისცემს სპასა ტირდატს და გამოგზავნის სომხითში, საიდამაც განდევნის სპასა და ერისთავთა მირიანისათა. მაშინ მირიან მოიწვევს სპარსეთით თავის ნათესავს ფეროზს დიდძალის ჯარით; ფეროზს შეაუღლებს თვის ქალს და დაუმკვიდრებს ქვეყანას ხუნანიდამ ბარდავამდე, სადაც იმას დაადგენს ერის-თავად. მირიან აუტეხს ბრძოლას ტირდატს; როდესაც მოერთვის ტირდატს ძალი საბერძნეთით, ვერ წინა-აღუდგება იმას მირიან და ტირდატ მოუვლის იმის ქვეყანას; როდესაც გაძლიერდება მირიან სპარსეთით, ტირდატ ვერ შესძლებს იმის წინა-აღმდეგობას და მირიან მოვლის სომხითს. „ესრედ დაუცხრომელი იყო შფოთი იმათ შორის მრავალ წელ“.

„ქართლის-ცხოვრების“ თქმით, სპარსეთის მეფის ბარტომის მოადგილე, მირიანის ძმის-წული, რომლის სახელიც არ იხსენიება, მიიწვევს მირიანს, „რათა შევკრბეთ და გარდავლოთ სომხითი და შევიდეთ საბერძნეთად“. მირიან და სპარსთა მეფე გაივლიან სომხეთს, სადაც ვერ წინა-აღუდგება იმათ ტირდატ, შევლენ საბერძნეთში, ვერ წინა-აღუდგება იმათ ბერძენთ მეფე კოსტანტინე და ეს უკანასკნელი დიდს მწუხარებას მიეცემა. ამ დროს კაცნი ღვთის მსახურნი ურჩევენ კოსტანტინეს, რომ ნათელ-იღოს და წარიმძღვაროს ჯვარი, რადგანაც

„ყოველნი მოსავნი ქრისტესნი ჯვარის წინამძღოლობით სძლევენო მტერთა". კონსტანტინემ ნათელ-იღო და წარმოიძღვანა სახე ჯვარისა და ეწყო ურიცხვთა სპარსთა სპითა მცირითა და მოსრა სიმრავლე მათი; ივლტოდეს ორნი ძმანი მცირედითა-ღა მხედრითა, და მიჰყვა მათ კონსტანტინე და შევიდა საზღვართა მათთა. სპარსთა მეფე შევიდა სპარსეთად მეოტი; ხოლო მირიან დადგა ქართლად და განამაგრა ციხე-ქალაქნი. ულონოქმნილი და შეშინებული მირიან მოითხოვს მშვიდობას. კონსტანტინე სპარსეთის მეფის კვლავ შიშის გამო დაეზავება მირიანს, გამოსთხოვს იმას მძევლად იმის შვილს ბაქარს და დაამოყვრებს ტირდატს და მირიანს, ესე იგი ტირდატის ასულს სალომეს შეჰრთავს მირიანის შვილს რევს, განუწესებს საზღვარს საქართველოსა და სომხეთს შორის. „რომელთა ქვეყანათა მდინარენი—ამბობს „ქართლის-ცხოვრება"—დიან სამხრით, მოერთვიან რანსა, ესე ქვეყანანი ტირდატის კერძად დაყარნა, და რომლისა ქვეყანისა მდინარენი ჩრდილოთ დიან და მიერთვიან მტკვარსა,—მირიანის კერძად, და შუამდგომელ ექმნა მათ და წარვიდა". „ჰფლობდა მირიან ქართლს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს, და აქვნდა ეგრისიცა ეგრის წყლამდე და მისცა ძესა თვისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი. და დასვა იგი უჯარმოს, რევ და ცოლი მისი სალომე, ასული ტირდატისა. თვით ფეროზს, მირიანის სიძეს აქვნდა ქვეყანა, რომელი ზემოდ ვახსენეთ, მიცემული მირიანისაგან და იყო აქ ერის-თავად".

ასე მოქმედებდა და მოღვაწეობდა მირიან, ვიდრე ის ქრისტეს სჯულს მიიღებდა. „ქართლის-ცხოვრების" თქმით, მირიანი ათვუმნებს საქართველოში სამეფო სახლს ხოსროიდებისას, ანუ უკეთ ვსთქვათ, სასანიდებისას. ქართველთ ერისთავთ გამოთხოვით, ქასრე პირველი სასანიდი სპარსეთისა თვითონ დაჰსვამს იმას მცხეთაში მეფედ და სხვათა-შორის სომხეთსაც დაუმკვიდრებს იმას. განსაკუთრებით ყურადღება ქასრესი მიქცეულია მცხეთაზე, „რადგან მცხეთა ყოველთა ქალაქთა უფროსად და უმაგრეს გამოარჩია მახლობლად ჩრდილოთა მტერთა, რათა იპყრობდეს ყოველთა კავკასიელთა". მირიან ქასრეს სიკვდილის შემდეგ ითვისებს სპარსეთის ტახტს; ის ხანგრძლივ ებრძვის ჰერეთში და მოვაკანში და უფროსღა დარუბანდში ხაზართ, რომელნიც

მოადგიან დარუბანდს, რათამცა წარიღეს და განაღეს კარი ფართო და შენითამცა იწყეს გასვლა სპარსთა ზედა“. კონსტანტინე კეისრის ომში გუთთებთან მონაწილეობას მიიღებს სომეხთ ტირდატ, რომელიც აქ თავს ისახელებს და შემდეგ ბერძნების ჯარის შემწეობით დაიჭერს თავის სამეფოს და განდევნის სომხეთიდამ „სპათა და ერის-თავთა მირიანისთა“. ასტყდება ბრძოლა მირიანსა და ტირდატს შორის. გარდა ამისა მირიანი მიეკრძება სპარსეთის მეფეს, როდესაც ის საბერძნეთში შედის საბრძოლველად კონსტანტინესთან. ამ დროს კონსტანტინეს მომხრე არის ტირდატ. კონსტანტინე მტერსა სძლევს და შემდეგ დაუზავდება მირიანს, დაამოყვრებს იმას სომხეთის მეფესთან, განუწესებს იმათ საზღვრებს და გამოსთხოვს მირიანს მძევლად იმის შვილს ბაქარს.

ამ მოთხრობაში ნამდვილი ფაქტი და ზღაპრული ამბავი ერთი მეორესთან შეკავშირებულია. აქ ერთის დროს შემთხვევა მიეწერება მეორე დროს. აქ ზოგიერთი გარემოება, რომელსაც ჩვენი მატიანე მოიხსენებს და უცხო ტომთ თქმულება კი არა, ეჭვ ქვეშ უნდა იყოს, თუმცა ის ისტორიის წინააღმდეგს არას წარმოგვიდგენს. შესაძლებელია, მაგალითად, რომ მირიან იყო სასანიდთაგანი, რომ ის საქართველოს მეფედ დაუსვამს სპარსეთის ხელმწიფეს თავის გავლენის დასამყარებლად კავკასიის მხარეში, რომ მირიან სპარსეთის მეფის ძალით განაგებდა სომხეთს, რომელიც ხოსრო დიდის სიკვდილიდამ ტირდატის გამეფებამდე, 27 წლის განმავლობაში, უპატრონოდ იყო დარჩენილი, და ტირდატის შემოსვლის დროს განდევნილ იქმნა. შესაძლებელია, რომ მირიანს ჰყვანდა სპარსეთში ძმა ბარტომი, თუმცა არდაშირის მემკვიდრედ იქ დაჯდა 238 წელს იმისი შვილი შაპურ პირველი, რომელსაც მოწინააღმდეგე არავინ არ გამოსჩენია. მატიანეს თქმულება ამ საგანზე რომ ნამდვილი შემთხვევა იყოს, მაშინ, ცხადია, ეს მოხსენებული იქნებოდა უცხო ტომთ მწერალთაგან, მაგრამ ამ შემთხვევას არც ერთი მატიანე არ უჩვენებს. მოსე ხორენელი მოიხსენებს გაკვრით ტირდატის მონაწილეობას პრობუსის ბრძოლაში გუთთებთან ანუ გოთთებთან, რომელშიაც ტირდატს უსახელებია თავი. ეს მომხდარა 281 წელს, დიოკლეტიანეს დროს. 284 წელს, ჩამო-

ანის თქმით, ტირდატ გოთების მეფეს ჰკრთჩეს შეებმის და მოჰკ-
ლავს და ამითი დასრულდება ომი. გუთებს ანუ გოთებს ჰხადიან სკვი-
თებად. იმათი ენა მიემსგავსება ნემეცურს და სპარსულს. ძველად გო-
თნი დამყარებულნი იყვნენ სკანდინავიაში და შვეციაში. შემდეგ,
სამის საუკუნის წინად ქრისტეს შობისა, იმათ დაუჭერიათ სამხრე-
თი და აღმოსავლეთი ნაპირები ბალტიის ზღვისა; აქედამ ისინი გაბ-
ნეულან გერმანიისაკენ და შავი ზღვისკენ, საიდამაც ხშირად თურმე
თავს ეცემოდენ დუნას მხარეებს. იმათ ისე შეარყიეს რომი, რომ
რომის იმპერატორებს ხარკით უნდა მოესყიდათ თავიანთი მშვიდობა,
რომელსაც ისინი ყოველსავე შემთხვევაში არღვევდენ. ვალერიანის და
გალლიანის დროს, გოთებმა გასწვლეს ჰელლესპონტი, აოხრეს მცირე
აზია, დასწვეს ეფესსის ტაძარი და შევიდნენ თვით კაპადოკიაში. თი-
თქმის ყოველს რომის ბრძოლაში სპარსეთთან აუცილებელი იყო იმა-
თი მონაწილეობა, რომელსაც ხან ერთს მიაგებდენ, ხან მეორეს. გო-
თებში გაავრცელეს ქრისტიანობა მცირე აზიიდამ დ მეტადრე კაპადო-
კიიდამ ტყვეთ გაყვანილთა; ერთმა იმათგანმა, გოთის ეპისკოპოსმა
ულფილამ, ნათესავით კაპადოკიელმა, შეასუსტა იმათში კერპთ-მსა-
ხურება, მოარბილა იმათი ზნეობა და მისცა იმათ ანბანი, რომელიც
მიიღეს სხვა სკვითების ტომთაც. იმანვე გადმოსთარგმნა გოთურს
ენაზე ძველი მცნება. გარდა ამისა გოთებს ჰქონდათ ისეთი სამოქა-
ლაქო წყობა, რომელზედაც შემდეგ დამყარდა გერმანიელების სჯულ-
დება.—„ქართლის-ცხოვრება", როგორცა ჩანს, მირიანის დროსაც და
იმის წინადაც ხშირად მოიხსენებენ ერთ-ჩრდილო ტომს, ხაზარებს.—
ქართველებსა და სომხებს გარდა, ხაზარებს მოიწვევდენ რომაელნი და
სპარსნი თავიანთის ურთი-ერთის ბრძოლის დროს, და თვით ისინი,
როდესაც უსაქმოდ რჩებოდენ, ხან აქ ეცემოდენ, ხან იქ. ხაზარნი სა-
შიშნი იყვნენ უფრო სპარსეთისათვის, რადგანაც იმათი მოხერხებული
გზა მიემართებოდა დარუბანდის მხარეს დ უფრო „ფართო" და ადვილ
გასავალი იყო, ვიდრე ჩვენი ხევის-კარი ანუ დარიალანი. ქართველების
„დარუბანდის კარი" უცხო ტომთ მწერალთაგან დიად ცნობილია. იმას
უწოდნენ: რომაელნი Pylae Albanicae, Pylae Caspiae, სომხები—
ჩ ო გ ანუ ჩ ო რ, ბერძნები—ძ უ რ. დარუბანდის შესავალში ამართუ-

ლი იყო ვრცელი ციხე-სიმაგრე, რომელიც იწოდებოდა ვ ი რ ა ფ ა რ ა ხ ა დ ანუ ივერიის ზღუდედ. ეს ის ზღუდე უნდა იყოს, რომელსაც ჩვენ ვუწოდთ კავკასიის კედლად და რომელიც, ახალის გამოკვლევით, როგორც ამას ჰმოწმობს თვით იმისი აქამომდე დაცული კვალი, მიემართება 360 ვერსზე, და დარუბანდიდამ მოყოლებული ერთის მხრით გადადის კავკასს იქით, მეორეს მხრით შედის საქართველოს საზღვარში. უეჭველია, რომ ეს ვრცელი ზღუდე უნდა იყოს აშენებული სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა ტომთაგან. „საქართველოს“ მეფეებს, ბროსსეს შენიშვნით, დიაღ ხშირად ჰქონდათ ბრძოლა დარუბანდის მხარეში და ამისთვის იმათი სარგებლობა მოითხოვდა, რომ გასავალი ჩ ო რ ი ს ა ანუ ძ უ რ ი ს ა იმათ დახშული და დაცული ჰქონიყოთ“. დარუბანდის ციხე-სიმაგრეზე დიდი ყურადღება იყო მიქცეული რომაელთაგან და უფრო სპარსთაგან. როდესაც ის იყო სპარსების ხელში, ისინი იმას დიდძალის გარნიზონებით იცვავდენ, რომ ხაზარნი შეეკავებინათ.

ჩვენის ფიქრით, ტირდატის ომი მირიანთან შესაძლებელი საქმეა, თუ რომ მხედველობაში ვიქონიებთ მაშინდელს ქვეყნის მდგომარეობას. რომი და სპარსეთი ერთი მეორეს ებრძვიან; რომი ქომაგება ტირდატს, რომელიც რომაელების შემწეობით ცდილობს სომხეთის დაჭერას; სპარსეთი ქომაგება მირიანს სასანიდს. რომაელნი და სპარსნი ამ შემთხვევაში ეძიებენ თავის სარგებლობას, ესე იგი, ორივე მხარე ცდილობს საკუთარის გავლენის გავრცელებას აზიაში. ეს კია, რომ ამ აზრს არ ეთანხმება სომეხთ გარდმოცემა, ვითომც საქართველო ექვემდებარებოდა ტირდატს, ვითომც მირიანი იყო ტირდატის სპათა უფროსი, ვითომც იმის მზადების დროს საბრძოლველად სპარსეთთან, 296 წელს, იმან მიიხმო ალვანიის და ივერიის ჯარები. ზემოდ ხსენებული თქმულება სპარსთა მეფის ბრძოლაზე კონსტანტინე დიდთან ისტორიული სიცრუეა. ჯვარის წაძღომა აქ „ღვთის მსახურთ კაცთ რჩევით“, დამარცხება სპარსთა და შემდეგ კონსტანტინესაგან ნათელ-ღება სხვა-და-სხვა დროს შემთხვევაა. ჯვარის ძალით სძლია კონსტანტინემ თავის მტერს 312 წ., მაგრამ ეს მტერი იყო მაქსენცი და არა სპარსეთის მეფე. კონსტანტინემ ნათელ-იღო ბევრით შემდეგ „ქართლის-ცხოვრებისაგან“ ჩვენებულ დროისა, ესე იგი, თავის

სიკვდილის წინად. გარდა ამისა არც კონსტანტინე დიდს, არც იმის პირველ შვილს კონსტანტინე მეორეს არ ჰქონიათ ბრძოლა სპარსეთთან. თუმცა კონსტანტინე მეორე მოემზადა საბრძოლველად, მაგრამ მზადების დროს მოკვდა. ეს ბრძოლა იწყო მხოლოდ კონსტანტინე დიდის მეორე შვილმა კონსტანციმ. შესაძლებელია, რომ ამ ომში მიემხრო ჩვენი მეფე სპარსეთს და შემდეგ, როდესაც საქმის გარემოება შეიცვალა და ამის გამო იმან მიჰმართა კონსტანცის, კონსტანციმ დაამოყვრა ის ტირდატს.—ამ დროს ჩვენს მატიანეში მოხსენებულია მირიანის ძე ბაქარ, ვითომც კონსტანტინესაგან მძევლად გაყვანილი. იმის თქმით, შემდეგ ქრისტეს სჯულის მიღებისა მირიანისაგან, „კეისარმან კონსტანტინემ გამოუგზავნა იმას ძე ბაქარ ნიჭითა დიდითა". ეს იყო ის ბაქარი, რომელიც მირიანის მოადგილედ დაჯდა საქართველოში და მეფობდა 342 წლიდამ 364 წლამდე. აქ უნდა ვსთქვათ, რომ არც ბაქარის შესახებ ეთანხმება ჩვენი ქართლის-ცხოვრება უცხოტომით თქმულებას, რომელიც, თუმცა მოიხსენებს „ივერიის მეფის ძეს ბაკურსა", მაგრამ, როგორც სჩანს, ის უნდა იყოს სხვა ბაქარ. რუფინს გაუცვნია იერუსალიმში ბაკურისი, რომელსაც იმისთვის უამბნია ქრისტეს სჯულის დამყარება საქართველოში. რუფინის სიტყვით, ის ყოფილა დიდ ყმაწვილი, როდესაც ნინოს უქადაგნია ჩვენში ახალი მცნება. განდევნილი საქართველოდამ შინაურის არეულობისაგამო, ის გასულა საბერძნეთში და აქ იმისთვის იმპერატორს თეოდორეს მიუნდვია სასახლის მსახურთ უფროსობა და პალესტინის გამგეობა. ის მოკლულა 394 წელს, მაშინ, როდესაც ბერძნების ჯარით თურმე ებრძოდა ტირანს ევგენიოზს. იმის ახოვანებას დიდის ქებით მოიხსენიებენ იმ დროს უცხო-ტომით მწერალნი.

## XLIII. საქართველოს მოქცევა, თქმული წმ. ნინოს მოწაფის სიდონია დედა-კაცის მიერ

(„ქართლის-ცხოვრება“, ნაწ. I)

და იყო დღესა ერთსა ზაფხულისასა, თვესა ივლისსა ოცსა, დღესა შაბათსა, განვიდა მეფე მირიან ნადირობად მუხნარით კერძო და მოუხდა უჩინო-იგი მტერი ბოროტი, ეშმაკი, და შთაუგდო გულ-სა სიყვარული კერპთა და ცეცხლისა, და იგონებდა ყოველსა მსახუ-რებასა მათსა მახვილითა მოწყვედასა ყოველთა ქრისტიანეთასა. და ჰრქვა მეფე-მან ოთხთა თანა-მზრახველთა მისთა: „ღირს ვართ ჩვენ ღმერთთა-გან ჩვენთა ბოროტის ყოფასა, რამეთუ უდებ ვიქმნენით მსახურებისა-გან მათისა და მიუშვით ჩვენ ქრისტიანეთა გრძნეულთა ქადაგებად სჯულსა მათსა ქვეყანასა ჩვენსა, რამეთუ გრძნეულებითა ჰყოფენ საკვირველებათა-მათ. აწ ესე არს განზრახვაი ჩემი, რათა ბო-როტად მოისრნენ ყოველნი მოსავნი ჯვარ-ცმულისანი, და უმეტესად შევუდგე მსახურებასა ღმერთთასა მათ მპყრობელთა ქართლისათა. ვამ-ხილოთ ნანას, ჩემსა ცოლსა, შენანებაი, და დატოვებაი სჯულისა ჯვარ-ცმულისასა, და თუ არა მერჩდეს, დავივიწყო სიყვარული მისი, და სხვათავე-თანა წარვსწყმიდო *) იგიცა“. დაუმტკიცეს განზრახვაი მისი თანა-მზრახველთა-მათ, რამეთუ მხურვალედ იყვნეს იგინი საქმესა ამას და ნებავდა პირველითგან და ვერ იკადრებდეს **) განცხადებულად. ხოლო მეფე-მან მოვლო ყოველი სანახები მუხნარისა და აღვიდა მთასა ზე-და თხოთისასა, მაღალსა, რათამცა მოიხილა კასპად და უფლის-ცი-ხედ. განვიდა თხემსა მთისასა შუა-სამხრისოდენ, და დაუბნელდა მათ ზედა მზე და იქმნა ღამე ბნელი, უკუნი, და დაიპყრა ბნელ-მან არე-ნი და ადგილნი. განეშორნეს ერთი-ერთარს ჭირისაგან და ურვისა-და დაშთა მეფე მარტო და იარებოდა მთათა მაღნართა, შეშინებული და შეძრწუნებული, და დადგა ერთსა ადგილსა, და წარეწყვირა სასო-ებაი ცხოვრებისა მისისა. და ვითარცა მოიგო თავისა ცნობასა და

*) დავლუპო.—**) ვერ ბედავდენ.

განიზრახვიდა ესრედ გულსა შინა თვისსა: „აჰა ესე-რა ვხადე *) ღმერთთა ჩემთა და არა ვპოვე ჩემ-ზედა ლხინებაი. აწ რომელსა ქადაგებს ნინო, ჯვარსა და ჯვარ-ცმულსა, და ჰყოფს კურნებათა მისთა სასოებითა, არამც ძალ-ედვა ხსნაი ჩვენი ჭირისა ამის-გან. რამეთუ ვარ მე ცოცხლივ ჯოჯოხეთსა შინა, ვერა ვუწყი, თუ ყოვლისა ქვეყნისა-თვის იქმნა დაქცევა ესე და ნათელი ბნელად გარდაიქცა და თუ ჩემ-თვის ოდენ. აწ თუ ჩემ-თვის ოდენ არს ჭირი ესე, ღმერთო ნინოსაო, განმინათლე ღამე ესე და მიჩვენე საყოფელი ჩემი, და აღვიარო სახელი შენი, აღვმართო ძელი ჯვარისა და თაყვანისვსცე მას, და აღვაშენო სახლი სალოცველად ჩემდა, და ვიყო მორჩილ ნინოსა სჯულსა ზედა რომთასა“.

ესე ყოველი რაი წარმოსთქვა, განთენა და გამოუბრწყინვა მზე და გარდმოვიდა მეფე ცხენისა-გან და დადგა მას ადგილსა. განიპყრნა ხელნი აღმოსავალით და სთქვა: „შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა, და უფალი ყოველთა ზედა უფლებათა, ღმერთი, რომელსა ნინო იტყვის, და საქებელ არს სახელი შენი ყოვლისა დაბადებულისა-გან, ცასა ქვეშე და ყოველსა ქვეყანასა ზედა, რამეთუ შენ მიხსენ მე ჭირისაგან და განმინათლე ბნელი ჩემი. აჰა ესე-რა მიცნობიეს, რამეთუ გინდა ხსნა ჩემი და ლხინებაი, და მიახლება შენდა. უფალო კურთხეულო, ამას ადგილსა აღვმართო ძელი ჯვარისა, რომლითა იდიდებოდეს სახელი შენი, და იხსენებოდეს საქმე ესე და სასწაული უკუნისამდე.“ და ისწავა ადგილი იგი, და წარმოემართა. და იხილა ერ-მან მან ნათელი და გამოემართნენ ერი განბნეული. ხოლო მეფე ღაღადებდა: „მიეცით ღმერთსა ნინოსსა დიდებაჲ ყოვლმან ერ-მან, რამეთუ იგი არს ღმერთი საუკუნეთა, და მას მხოლოსა შვენის დიდებაი უკუნისამდე“.

ხოლო ნანა დედოფალი და ყოველი ერი განვიდეს მიგებებად მეფისა, რამეთუ ესმა პირველ წარწყმედა, და კვალად მოსვლა დიდებით, და მიეგებოდეს ქინძარას და ღართას. ხოლო ნეტარი ნინო დადგრომილ იყო ლოცვასა მწუხრისასა, მაყლოვანსა-მას შინა, ჩვეულე-

*) მოვუწოდე, გახსენე.

ზისა-ებრ მისისა ჟამსა თვისსა, და ჩვენ მის-თანა ორ-მეოც და ათი სული. და იყო ვითარცა შემოვიდა მეფე, აღიძროდა ქალაქი, და ხმითა მაღლითა ღაღადებდა მეფე: „სადა არს დედა-კაცი იგი უცხო, რომელ არს დედაი ჩემი და ღმერთი მისი—მხსნელი ჩემი?" ვითარცა ესმა, თუ აქ მაყვლოვანსა არს და ილოცავს, მოდრკა მეფე და ყოველი-იგი ლაშქარი. მოვიდა და გარდაიჭრა სახედრისა-გან და ეტყოდა ნინოს: „აწ ღირს მყავ სახელის-დებად სახელისა ღვთისა შენისასა და მხსნელისა ჩემისასა". ხოლო წმიდაი ნინო ასწავებდა და აწვევდა მსწრაფელ თაყვანის-ცემად აღმოსავალით და აღსარებად ქრისტეს-ღვთისა. მაშინ იქმნა გვრგვინვა და ტირილი ყოვლისა კაცისა, ოდეს-ხედვიდეს მეფესა და დედოფალსა ცრემლოსანთა. და ხვალისა დღე წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთად მირიან მეფე-მან წინაშე კოსტანტინე მეფისა, და წიგნი ნინოსი, ელენე დედოფლისა წინაშე, და აუწყეს ესე ყოველი სასწაული ქრისტეს მიერ, რომელი იქმნა მცხეთასა შინა მირიან მეფესა ზედა, და ითხოვნეს მოსწრაფებით მღვდელნი ნათლის-ღებისა-თვის. ხოლო წმიდაი ნინო და მოწაფენი მისნი ქადაგებდეს ერსა-მას შინა დღე-და-ღამე დაუცხრომელად, და უჩვენებდეს გზასა ჭეშმარიტსა სასუფეველისასა.

---

## XLIV. საქართველოს ნათელ-ღება ქრისტეს სარწმუნოებით

(გ. წერეთელი—„კრებული", 1872, № 7)

მეოთხე საუკუნის დასაწყისში ქრისტეს მოსვლის შემდეგ საქართველოში მეფობდა მირიან მეფე სასანიდის გვარისა, სპარსეთის მეფის ჩამომავალი. ის იჯდა უზრუნველად მამა-პაპის ტახტზე, მცხეთას. გარეშე მტერი შეწუხებას ვერ უბედავდა, რადგან მფარველათ ჰყავდა დიდებული და იმ დროს ყველაზე უძლიერესი სპარსეთის სახელმწიფო. მთის ხალხნი ყველა შეშინებული ჰყავდა, რადგან ფარნავაზისა და იმის მემკვიდრეებისაგან დარჩენილი, ბერძნულს წესზე განწ-

ყობილი ჯვარი მუდამ გარს ერტყა. ჯარს გარდა კავკასიის მთებით ყოვლის მხრით შემოზღუდული ქვეყანაც არწივის ბუდესავით უშიშრათ იფარავდა შიგ ჩაბუდებულს ქართველის ერს თავის მეფით. მეფე მირიანი, ვაჭრობით გამდიდრებული, შეექცეოდა ლხინს და ნადირობას; თაყვანს სცემდა ბრწყინვალე მზეს, მსხვერპლსა სწირავდა თავის უმთავრესს კერპს არმაზს და ზადენს, რომელთა სურათები სპილენძით, ვერცხლით და ოქროთი იყვნენ ხელოვნურად გაკეთებულნი და ამართულნი მცხეთის მოშორებით მტკვრის მარჯვნივ მაღლობზე.

იქ, სადა გამოდის არმაზის წყარო, მანგლისის ახლოს, არის ნაქალაქევი, სახელად ატენი, ზაფხულში მშვენიერი საგრილებელი ალაგი, რომელიც იყო ძველად დარჩენილი საქართველოს მეფეებისათვის საზაფხულო ადგილ-სამყოფად და შესაქცევად. მირიანის დროს ამ ალაგს ერქვა არმაზი, სადაც საუკეთესო კერპები იყო ამართული თავიანთ საყუდრებით ანუ, უკეთ ვთქვათ, საყდრებით. 318 წელს მკათათვეში ამ ალაგს მთელს საქართველოს სამეფოდგან იყვნენ მოგროვილნი დიდებულნი და მცირენი საერო დღესასწაულის გადასახდელად და თავიანთ კერპების მსხვერპლების შესაწირავად. ერი ფერხულით უვლიდა გარს არმაზის კერპს და იძახოდა „არალეს". [1]) მეფე, ჯარი და დანარჩენი ერი, ყველანი მხიარულად ატარებდენ ამ დღესასწაულს. მზე მეტად აცხუნებდა და ერს სიმღერით და შექცევით ოფლი წურწურით სდიოდა. სამხრობისას ცას შავი ღრუბელი გადაეკრა და გაჩნდა საშინელი ჭექა-ქუხილი, წამის-წამს მეხი ეცემა მშვენიერ ჩუქურთმით ნახელავს კერპებს და სულ ერთიანად არმაზის სამლოცველო ინგრევა. მთელი ერი შეძრწუნებულია, ყველანი იქით-აქეთ მორბიან. არმაზის სამლოცველოზე აღარავინ დარჩენილა დამსხვრეულს კერპებსა და ერთ

---

[1]) სომხის მეცნიერი ემინი ამბობს, რომ ძველად ქართველებს და სომხებს სწამდათ ომში მოკლული კაცების გაცოცხლება „არალესების" შემწეობით. ეს ღმერთები, სომხების მწერლების სიტყვით, ჩამოვიდოდენ ზეციდამ და იმდენს ლოკავდენ მკვდრებს, რომ გააცოცხლებდენო. მოსე ხორენელი ამბობს, რომ ღმერთი ა ს რ ა ნ ი სწამდათ ქართველებს და იმის კერპს თაყვანს სცემდენო. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ფერხული სიმღერა „არალე" იმ კერპთ თაყვანისმცემლობიდგან არის დარჩენილი.

ფეხ-ტიტველა ახალგაზრდა ქალს გარდა, რომელსაც დაუჩოქია, თვალები ზეცას აღუპყრია და ევედრება. ვინ არის ეს ახალგაზრდა ქალი, რომელიც ამ მეორედ მოსვლის დროს აქ დაჩოქილი და ხელ-გაპყრობილი ღმერთს ევედრებოდა? ნუ თუ მხოლოდ იმას არ ეშინიან მეხის დაცემისა?—ის ქალი არის გულ მაგარი თავის სარწმუნოებით. იმას მტკიცედ სწამს, რომ ეს ჭექა-ქუხილი იმის ღვთისაგან არის მოვლენილი კერპთ-თაყვანისმცემლების მოსაქცევად.

ის ამ დროს გულ-მხიარულია, და მტკიცედ დარწმუნებულია, როგორც გულში განუზრახავს, უეჭველად კიდეც აღუსრულდება. ეს ახალ-გაზრდა ასურეთიდგან ფეხით მოსულა საქართველოში ქრისტიანობის გასავრცელებლად. შემკრთალმა ერმა შენიშნა ეს ქალი იმ საშინელს მეხის ტეხის დროს და გულით დაემორჩილა იმის ზნეობითს ძლიერებას, თავგანწირულებას. ყოველმა ქართველმა, კერპთ-თაყვანის მცემელმა გულში გაივლო ეს სიტყვები: „სწორედ იმ ქალის ღმერთმა შემუსრა ჩვენი კერპებიო“. ამ დღესასწაულობის შემდეგ, როცა ერი დაიშალა, ნინოს ამბავი მთელს საქართველოში განითქვა. მაგრამ სანამდის საქართველოს ერის მოქცევაზე ვიტყოდეთ რასმე, საჭიროა ორიოდე სიტყვით აღვწეროთ ნინო წმიდის ცხოვრება.

ნინო იყო კეთილ-მსახური დედ-მამის ქალი; მამა მისს ერქვა ზაბულონი, ცხოვრობდა კაპადოკიაში და თვითონ კი მხედრად მსახურებდა დიოკლეტიანის ჯარში. როცა ჯარიდგან დაბრუნდა, იერუსალიმის პატრიარქის და შეირთო ცოლად და გაუჩნდა ქალი, სახელად ნინო. ეს ქალი ჯერ კიდევ პატარა იყო, როცა დაობლდა. ბიძამ მიიღო იმისი მზრუნველობა და მიაბარა ერთს ეკკლესიის მსახურს დედაკაცს, სახელად სარრას, რომელმაც ჩინებულად იცოდა საღმთო წერილი. ნინო კარგა დიდი შეიქმნა და საღმთო წერილშიაც ძალიან განვითარდა. ამ დროს იერუსალიმს მივიდა ერთი კონსტანციის კეისრის კარზე ნამყოფი ქალი, რომელმაც მოიტანა ამბავი, რომ კეისრის ცოლს ქრისტიანობის მიღება ძალიან ჰსურსო, მაგრამ ჯერ ვერ მოუხერხებია, რადგან ზოგიერთი გარემოება აბრკოლებსო. წარმოიდგინეთ იერუსალიმის ქრისტიანების სიხარული, როცა ამ ამბავს შეიტყობდენ. ნინოს გული კი იმდენად აღელდა ამით, რომ მაშინვე განიზრახა

რომს წასვლა ქრისტიანობის გასავრცელებლად. ის წაჰყვა ზემოხსენებულს ქალს რომს და იქ შევიდა ერთს დედათა მონასტერში, სადაც რამდენსამე ქალს დაწვრილებით ასწავლიდენ ქრისტეს სჯულს. ამავე მონასტერში იზდებოდა მშვენიერი რიფსიმე.

იმპერატორს დიოკლეტიანეს მოესმა რიფსიმეს მშვენიერება და განიზრახა იმის ცოლად შერთვა. ეს მონასტრის ახალგაზდა ქალებმა შეიტყეს და იმავე ღამეს გამოიპარნენ სომხეთში. გამოპარულებს შორის იყო ნინო, გაიანე, რიფსიმე და სხვებიც. მაგრამ სომხეთშიაც არ მიეცათ ამ საწყლებს მოსვენება: სომხეთის მეფემ ტირდატმა დიოკლეტიანეს სიტყვით დაიჭირა ისინი ნინოს გარდა და, რომ ვეღარ დაათანხმა რიფსიმე კეისრის ცოლობაზე, ყველა აწვალა. ასე ჰქონდა მოწყალობა დიოკლეტიანესაგან. ამ საქმით შეშინებული ნინო სომხეთიდგან გამოიქცა და მოვიდა ჯავახეთს. იქიდგან მგზავრებს წამოჰყვა ურბნისის ქალაქამდის. აქ ნინომ ნახა, რომ ქართლის ერი იყო კერპთმსახური და თავის ღმერთების დღესასწაულობისთვის მიდიოდენ მცხეთის მახლობლად, არმაზისა და ზადენის თაყვანის-საცემლად. ნინო გამოჰყვა მგზავრებს და მოვიდა იქ, სადაც ერი იკრიბებოდა. დღესასწაულობის შემდეგ, ნინო მიადგა კარს მეფის მებაღეს და ის ჩვეულებრივის სტუმრის მოყვარეობით დახვდა შორეულ ქვეყნიდგან გადმოვარდნილს, საკვირველს ახალგაზდა ქალს. ცოტა ხანს შემდეგ ნინომ მოარჩინა ერთი დედაკაცის შვილი, რომელიც თავის დედას გამწარებული დაჰქონდა კარ-და-კარ და ყველას ევედრებოდა მორჩენას. ნინომ დედ-მამას უთხრა: „განკურნებულ არს ზეციერი მამის სახელითა“. იმ ყმაწვილის სახლობა ამის შემდეგ შეიქმნა გულით ქრისტიანი. მცხეთის ქალაქში ნინოს დიდი ხმა დაუვარდა ექიმობისა. მირიან მეფის ცოლი დიდი ხნიდგან შეიქნა დავრდომილი ავადმყოფი. იმის მორჩენას არა გაეწყორა. ბოლოს მეფის მოლარეთ-უხუცესმა რაბბინმა აბიათარმა ურჩია მოეყვანათ საექიმოდ უცხო ქვეყნიდგან მოსული დედაკაცი, რომელიც თავის ღვთის სახელით ჰკურნებდა ყოველს ავადმყოფს. ნინომ მეფის ცოლიც მალე წამოაყენა ფეხზე, მოაქცია და შემდეგ ცოლის შემწეობით თვითონ მირიანიც თავისკენ მიიმხრო. მეფემ შეჰკრიბა პატივცემული კაცები მოსალაპარაკებლად ამ მძიმე საქ-

მეზე. საქართველოში ძველიდგანვე წესი იყო ერის უფროსების დაუკითხავად მეფე ვერას მოიქმედებდა. ყველას მოსწონდა კეთილ მსახური დედაკაცის სარწმუნოება, მაგრამ მამა-პაპის სჯულის დაგდებას მაინც ვერ ბედავდენ. ბოლოს ერთმა საკვირველმა შემთხვევამ სრულებით დაარწმუნა მეფე და ერის წარმომადგენლები, რომ ქრისტეს სარწმუნოება უფრო ჭეშმარიტი იყო იმათსაზე.

ქართლის ცხოვრებაში აი რა სწერია: ერთხელ მეფე და იმის ხლებულნი დიდებული ერის-თავები წავიდენ თხოთის ტყეში სანადიროდ. უეცრად ცას შავი ღრუბელი გადაეკრა და ასე დაბნელდა, რომ კაცი თითს თვალში ვერ მიიტანდა; ატყდა ამასთანავე მეხის ტეხა და ჭექა-ქუხილი, ყველანი იქიდ-აქედ გაიფანტენ, დარჩა მეფე მარტო, შეშინდა და, რადგან ნინოს ქადაგებით გული შერყეული ჰქონდა, თვალ-წინ წარმოუდგა იმისი სიტყვები, და კიდევ უფრო შეშინდა. იმან მკრთოლვარე ხმით შეჰფიცა ნინოს ღმერთს, თუ ამ სიბნელისაგან გადამარჩენ, შენი თაყვანის-მცემელი გავხდეო. ცოტა ხნის შემდეგ ღრუბლები გაიფანტა და მზემ ისევ გაანათლა ქვეყანა. მეფე დაბრუნდა მცხეთას მცინარე სახით. ერმა უკვე იცოდა იმის ამბავი და მხიარულად გამოეგება. ნინოც იმათ შორის იყო. როგორც მირიანმა დაინახა კეთილ-მორწმუნე დედაკაცი, ცხენიდგან გადმოხდა, თავი დაუხარა და მიიღო იმისგან კურთხევა. ამის შემდეგ ერი იმდენად მომზადებული იყო, რომ მოუთმენლად ელოდა ქრისტიანობის მიღებას. მირიანმა გაგზავნა ელჩები კონსტანტინე იმპერატორთან, სთხოვა ეპისკოპოსი და მღვდლები ერის მოსანათლავად. კონსტანტინემ გამოგზავნა საქართველოში სამღვდელოება სახარებით და წმიდა ნაწილებით. იმათ მოსვლის დროს მირიანმა შეჰკრიბა თავის სამეფოდგან ყველა ერისთავები და მცხეთის მცხოვრებლები სიამოვნებით მოინათლენ მტკვარში.

მეფის სიტყვით მშვენიერის ხელოვნებით ნაკეთები კერპები დაინგრა, იმათი საყდრები ზოგი სულ გაცივდა, ზოგი ეკლესიად გადაკეთდა. მტკვარს გაღმა რომ მაღალი ბორცვია, ახლა იქ ძველი ჯვარის ეკლესიაა; იმაზედ წინად ჩუქურთმით და მდიდრულად ნაკეთები არმაზის კერპი იყო უწინ ამართული, რომლის ოქროს და სპილენძის

შემკულება, როცა ამომავალი მზის სხივები ეცემოდენ, ჩირაღდანსავით შუქით აპრიალდებოდა. ქართლის ერი დილის მზის ამოსვლისას ქალი და კაცი, დიდი და პატარა ავიდოდენ თავის სახლის ბანებზე და მუხლ-მოყრით თაყვანს სცემდენ შუქით გაელვარებულ კერპსა. ყველას სწამდა, რომ მზე თავის სურათს განზრახ ამკობდა შუქებით. მაღალი მზისკე საქებლად, რომელიც იყო ცხოვრების მომცემი, გამთბობი და განმანათლებელი მთელი ქვეყნისა. ქრისტიანობის შემდეგ ერმა ველარ ნახა მთაზე ამართული საყვარელი კერპი, დაიწყო ჯავრობა ამ სიტყვებით: „ვიღას უნდა ვსცეთ თაყვანიო“. ბრწყინვალე კერპის მაგიერად ამართეს ხის ჯვარი, მაგრამ მდაბალი ერი მაინც უკმაყოფილოდ დარჩა და ამბობდა: „მაგისთანა ხეები ჩვენს ტყეშიაც ბევრიაო.“ მოგვები სარგებლობდენ ერის უკმაყოფილებით და კიდევ დიდხანს ჰყავდათ მტკიცედ მდაბალი სოფლის ერი ზენდის სარწმუნოებაზე. მირიან მეფემ წარჩინებული ერის მონათვლის შემდეგ მოაჭრევინა ტყე თავის ბაღში და იქ ეკლესია ააგებინა. ამ ნაირმა წარმატებამ წმიდა ნინო კიდევ უფრო გაამხნევა, მისცა იმდენი სულის სიმაგრე, რომ ალანეთის კარიდამ მოკიდებული მესხეთამდის, კავკასიის მთის იქით და აქედ ყველა ადგილები სულ ფეხით მოვლო და ქადაგებდა ქრისტიანობას. ამ სახით ქართველები შეიქმნენ ქრისტიანებათ იმ დროს, როცა ჯერ კიდევ საეკლესიო წესი არ იყო დადგენილი. ის დააფუძნა ნიკეის წმიდა კრებამ 325 წელს ქრისტეს შემდეგ. ამ წესის შემოღებით საქართველოს ეკლესია შეიქმნა ანტიოქიის საპატრიარქო.—

---

## XLV. ქრისტეს სარწმუნოება საქართველოში

*(Архимандритъ Макарій—Исторія христіанства въ Россіи до равно-апостольнаго кн. Владиміра, т. I)*

საეკლესიო მწერლობის ნაწერებში დაცულია ძველნი თქმულებანი, რომელთაგანაც სჩანს, რომ ამიერ კავკასიაში უქადაგნია ქრისტიანობა ხუთის მოციქულს: ოთხნი ათორმეტთაგანნი იყვნენ—წმ. ანდრია,

წმ. მათე, წმ. ბართლომე, წმ. იუდა თადეოზი, ლევიად წოდებული და ერთიც ათ-სამეოცთაგანი— წმ. თადეოზი.

პირველმა მოიარა შავის ზღვის სანაპიროსი, შემდეგ ამიერ კავკასიაში და საკუთრად ზღვის პირის ქვეყნებში იქადაგა იქ, საცა გზად გაიარა, სახელდობრ კოლხიდასა და აფხაზეთში. აფხაზეთში მეტად დიდხანს იღვაწა, მეტადრე უფრო იქაურს ქალაქში—სებასტოპოლისში (ახლანდელი ისკურია), საცა დიდი დევნა და წამება გამოიარა. აქედამ წმიდა მახარებელმა გადავლო კავკასიის მთები, საცა დამარხა თანამგზავრი თვისი წმ. სიმონ კანანელი და მასუკან პირ-და-პირ გადავიდა ჩიხებში, რომელნიც ცხოვრობდენ აზოვის ზღვის პირად. დასავლეთ კერძოთა და მიდამოთა გარდა, საქართველოს ანუ ივერიას არ მოუსმენია მისი ქადაგება: სომხეთსა და ალვანიაში კი სულ არ ყოფილა. ამას ჰმოწმობს თვით იქაური მატიანეც.

წმ. მათეც ქადაგებდა კოლხიდაში. ეს გარემოება საკმაოდ სჩანს დოროთეოზის, ტირის ეპისკოპოსისა და ნიკიტა პაფლაგონელის ნაწერებიდამ. ორივენი ამბობენ, რომ მათე ათორმეტთა მოციქულთა გუნდს შეუერთდა იუდის ნაცვლად და იქადაგა, გარდაიცვალა და დაიმარხა პირველს ეთიოპიაში. ხოლო ძველნი ხანდახან ეთიოპიას უწოდებდენ კოლხიდასაც. მაგრამ უფრო გარკვევით სჩანს ესევე გარემოება სოფრონიის და ეკუმენის ნაწერებიდამ (მე-X საუკ.): იმათ ნაწერებში ნათქვამია, რომ წმ. მათე ქადაგებდა და დაიმარხა სწორედ იმ ეთიოპიაში, საცა იყო მდინარე აფსარი და გისიო, ხოლო ეს ორი მდინარე მარტო კოლხიდაშიაო.

მოციქული ბართლომე და ორივე თადეოზნი ქადაგებდენ აგრეთვე სომხეთშიაც.—თუმცა ამიერ კავკასიაში რამდენიმე წმ. მოციქული იყო და თითქმის ყველამ ცოტა საქმე არ გააკეთა, მაინც არ ითქმის, რომ ქრისტიანობა ამ ქვეყანაში იმ დროდამვე დამყარდა და დაუბრკოლებლივ იქმნა შეწყნარებული. არა, აქაც, როგორც ყველგან სხვაგანაც, დაბრკოლება ბევრი დახვდა: წინააღმდეგობა გაუწია მკვიდრმა ერმა—კერპთ-თაყვანის მცემლებმა, რომელთაც ბრმად სწამდათ სარწმუნოება მამა-პაპათა; წინააღმდეგობა გაუწიეს მოგვთა და ქურუმთა, რომელთაც ბევრი-რამ დააკლდებოდათ კერპთ-თაყვანის მცემლობის მოს-

პოთ; წინააღმდეგობა გაუწიეს აგრეთვე მეფეთა და მთავართა, რომელნიც დიდს ხნითვე ჩვეულნი იყვნენ დაეფარათ და დაეცვათ სარწმუნოება ერის: აქაც დიდხანს აიტანა ქრისტიანობამ უწყალო დევნა, მეტადრე სომხეთში, და თუ ზოგან სრულიად არ ამოიფხვრა, კეთილი მაინც არ იქმნა. ხოლო მეოთხე საუკუნის დასაწყისს და არა უფრო ადრე, დადგა აქ უკეთესი დრო ქრისტიანობისათვის, როცა წმიდა სარწმუნოება, შიგა შეწყნარებული და მფარველობასა ქვეშ მიღებული თვით პატრონთაგან სომხეთისა და იბერიისა, შეიქმნა უმთავრესს სარწმუნოებად ყველა იმ ერთა შორის, რომელნიც მათ ემორჩილებოდენ.—

გავიდა რამდენიმე წელიწადი სომხეთის ნათელ-ღების შემდეგ და ქრისტიანობა საქართველომაც მიიღო. ღმერთმან ჰსაჯა საქართველოს განმანათლებელად ყოფილიყო ერთი კეთილმსახური კაპადოკიელი დედაკაცი, სახელად ნონე ანუ ნინო. ნინო იყო ერთი იმ ქალწულთაგანი, რომელთაც ღვთისთვისა ჰქონდათ თავი შეწირული და, როცა დიოკლეტიანემ დევნა დაუწყო, რომის ქვეყნებიდამ ივლტოდნენ სომხეთად დასაფარავად თვისის სარწმუნოებისა და ქალწულებისა. სომხეთში ტირდატმა აწამა მათ შორის ოც-და-შვიდმეტი. ნინო და მასთან ერთი ქალწული, მეგობარი მისი, გადაურჩნენ მტარვალისა მახვილსა და შეაფარეს თავი მომიჯნავე საქართველოში აქ შეიპყრეს ტყვედ მკვიდრთა, მაგრამ ნინომ დიდის მარხულობითა, განუწყვეტელის ლოცვითა და ქალწულებისა თვისისა დაცვითა დაიმსახურა საყოველთაო ყურადღება და პატივისცემა. მალე ნინომ იესო ქრისტეს სახელით შვილიერება მიანიჭა ერთს დედაკაცს. ქრისტესისავე სახელით განკურნა შვილი ერთის ქვრივისა, მერმე განკურნა თვით დედოფალი და მეფე. ამ ამბავს მოჰყვა დიდი ცვლილება საქართველოს ერის ბედისა. 318 წ. მოხდა ეს ამბავი. წმ. ნინომ ამცნო სარწმუნოება ქრისტეს მაცხოვრისა მირიანს, მაშინდელს მეფეს საქართველოსას. მირიანმა მსწრაფლ მოუწოდა ყველა თავის დიდებულებსა და წარჩინებულ კაცთა დედა-ქალაქად მცხეთად, და მეუღლისა თვისისა და მოციქულთა სწორისა განმანათლებელითურთ, აუწყა შემოკრებულთ ამბავი ახალის და ჭეშმარიტის სარწმუნოებისა და მზად-ყოფნა თვისი ამ სარწმუნოების მიღებად.

ამავე დროს მირიანმა გაუგზავნა მოციქულნი საბერძნეთის იმპერატორს კონსტანტინეს, ხოლო თუ ვერწმუნეთ სომხთა მისტორიკოსთა, სომხეთის განმანათლებელს გრიგოლსაც, და სთხოვა მწყემსნი და მოძღვარნი. კონსტანტინე დიდის სურვილით მალე წამოვიდა საქართველოს მეფეთა-ქალაქით *) იმ დროს იქ შემთხვევით მყოფი პატრიარქი ანტიოქიისა ევსტათი მცირედის თვისის კრებულით, რომელსაც შეუერთდნენ შემდეგ რამდენიმე მღვდელნი, მოსულნი სომხეთიდამაც. აი ამ მწყემსმთავარმა, თავის კრებულის თანა-შემწეობითა, მიმოვლო სრულიად ქვეყანა ივერიისა და განავრცელა ყოველგან ქრისტიანობა, აგურთსა ეკლესიები, ხელ-დასხმნა მოძღვარნი და, რა დაადგინა ივერიაში მთავარ ეპისკოპოსი იოანე მთავრად ეკლესიისა, დაბრუნდა თვითონ საპატრიარქო კათედრად, რომელსაც მიაწერა ამიერიდგან ახალად-დაარსებული ეკლესია.

შემდეგი ამბავი საქართველოს ეკლესიისა, ისე როგორც სომხეთისაცა, თითქმის განუწყვეტელი ბრძოლაა ნათელისა და წყვდიადისა, რომელსაც ბოლოს მაინც სძლია პირველმა.

საქართველოში მეფობდნენ სხვა-და-სხვა მეფენი კეთილნი, რომელნიც ჰზრუნავდნენ როგორც სამეფოსა თვისის კეთილდღეობისათვის, აგრეთვე მშობლიურისა და ღვთილისა ეკლესიისათვისაც. ასეთი იყო მე და მემკვიდრე მირიანისა ბაკურ **). ბაკური ცდილობდა ქრისტიანობის გავრცელებასა ყველა თავის ქვეშევრდომთა შორის და უმეტესად იქ, სადაც წინადვე ვერ დამკვიდრდა. ამას გარდა, სადაც-კი უფრო საჭირო იყო, მისის სურვილით მრავლად შენდებოდა ღვთის ტაძრები ძველ კერპთ-მსახურების ბომონთა მაგიერ. ამავე დროს ეკლესიის საქმეთა უკეთესად მოწყობისათვის და თვალ-ყურის დასაჭერად, რომ წმინდად დაცულ იყო სარწმუნოება და წარმატებულიყო ზნეობა ახლად მოქცეულ ქრისტიანეთა, ბაკურმა საჭიროდ სცნა დაეარსებინა რამდენიმე საეპისკოპოსო კათედრა. ხოლო ღირსეულ მწყემსთა მოსამზადებლად და საზოგადოდ ერისა თვისისა გასანათლებლად ცდილობდა დაეფუძნებინა სკოლები, რომლისათვისაც მასწავლებლებს იბარებდა

---

*) კონსტანტინეპოლი. — **) ბაქარ.

ასურეთიდამ და საბერძნეთიდამ. ასეთები იყვნენ მას შემდეგ მეფენი—მირდატ (მე ბაკურისა), რომელმაც სამუდამოდ დაამკვიდრა ქრისტეს მცნება კლარჯეთსა და ჯავახეთში; არჩილ (413—446), რომელიც ყოვლის ღონის-ძიებით ცდილობდა აღმოეფხვრა, თუ რამ ნაშთი კერპთ-მსახურებისა დარჩენილიყო სამეფოში და განეწმინდა ეკლესია საქართველოსი ზოგიერთა უწესოებათა და ურიგობისაგან; ვახტანგ (446—499), რომელმაც ბევრად ხელი შეუწყო ქრისტიანობის გამტკიცებას თავის სათნო ცხოვრებითა და ტაძართა ღვთისათა პატივის ცემითა; მაგრამ უფრო უმეტესად ხელი შეუწყო ამ საქმეს მით, რომ თვითოეულ საეპისკოპოსო კათედრას დაავალა საკუთარი სკოლა და სასწავლებელი გაეჩინა. ღირსია მოხსენებისა, რომ ბაკურის მეფობაში მისგან დაწესებულ სასწავლებლებში დაედო საფუძველი საღმთო წერილის თარგმანს ბერძნულით ქართულად.—არჩილის მეფობაში კი, სურვილისამებრ სათნო მეუღლისა მისისა სანდუხტასი, გადათარგმნილ იქმნა პირველ ქართულად ახალი აღთქმა. ამა წმიდა საქმეში მოღვაწეთა შორის მატიანე ქართული მოიხსენიებს მხოლოდ დავითსა და სტეფანეს (V საუკ.), რომელნიც, უნდა ვსთქვათ, სთარგმნიდენ საღმთო წერილის წიგნებს არა იმ ენით, რომლითაც იყო დაწერილი პირველად, არამედ ასურულის ენით. სთარგმნიდენ ამასთანავე არა ყველა წიგნებს, არამედ იმ წიგნებს, რომელიც უფრო საჭირო იყო წირვა-ლოცვისათვის. ამ თარგმანებს სჯერდებოდა საქართველოს ეკლესია მეათე საუკუნემდე, ვიდრე არ გაჩნდა მაშინ პირველი და უკეთესი თარგმანი ბერძნულით ყველა სამღვდელ-მოქმედო წიგნებისა.

ღმერთი მოუვლენდა ხოლმე საქართველოს ეკლესიას კეთილ მწყემსთაცა, რომელნიც გულმოდგინეობით იღვწოდენ თვის სამწყსოისა საკეთილოდ. მათ შორის ყველაზედ მეტად ღირსია ხსოვნისა შთამომავლობის მიერ მთავარ-ეპისკოპოსი პეტრე (457 წ.). შესაძლოა ვსთქვათ, რომ მან გააკეთა თავის სამწყსოსათვის ყოველივე, რის გაკეთებაც-კი საჭირო იყო მაშინდელის დროს მიხედვითა: გაამრავლა თავის სამშობლოში რიცხვი სკოლებისა, რომელნიც სოფლის ეკლესიებთანაც-კი დააარსა; ბრძანა შესწორებულიყო საღმთო წერილის წიგნები, გარყვნილი გადამწერელთაგან, გადათარგმნილ იყო

რაც ჯერ გადაუთარგმნელი იყო და დაჰრიგებოდა ყველა ტაძრებსა და ეკლესიებს; ჰგზავნიდა გამოცდილ მღვდელთა საქადაგებლად აფხაზეთისა, სამეგრელოსა და კავკასიის მკვიდრთა შორის და დააარსა ქართლ-კახეთისა, სომხეთისა და იმერეთის ზოგიერთს ალაგას ახალი საეპისკოპოსო კათედრები. არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ აქ საუკუნოდ სახსენებელნი საქართველოში ცამეტნი მამანი ასურეთისა, მოსულნი ივერიად, ღვთის ჩაგონებით, ასურეთიდამ ფარსმანის მეფობაში [542—557]. ამ ცამეტმა მამამ ბევრგვარად შეუწყვეს ხელი ქვეყნის მოქცევასა და მკვიდრთა სათნოების გაძლიერებასა. მამანი ესე დაბინავდენ უდაბნოთა შინა და განდეგილობისა ღვაწლითა, სიბრძნითა და საswაულებით ყოველ მხრიდგან იზიდავდენ მრავალთა, რომელნიც მიისწრაფოდენ მათთან ანუ შენდობისა და ლოცვა-კურთხევისათვის, ანუ რჩევისა საკითხველად და დარიგებისა მათისა მოსასმენად. მალე ზოგმა მათგანმა (მაგ. იოანემ და იოსებმა) სახელი განითქვეს მით, რომ მოაქციეს და მოაქრისტიანეს მრავალი ნადირ-მსგავსნი მკვიდრნი კავკასიის მთიებისანი. ზოგმა (ანტონ და შიო) დააფუძნეს უდაბნონი და მონასტერნი, რომელთაც შემდეგში დიდი სახელი გაითქვეს. იქ მათი დამაარსებელნი იკრებავდენ გარეშემო ღირსეულთა მოწაფეთა თვისთა; ზოგმა მათგანმა (აბიბოს ნეკრესელი და ისე წილკნელი), მეფისა და კათალიკოსის თხოვნით, მიიღო ღირსება ეპისკოპოსისა და, დადგენილნი ადგილსა მას ნათელოვანსა, დიდხანს ჰფენდენ გარემოდ თვისსა ნათელსა კეთილისა საქმეებისასა, სადიდებელად ღვთისა და ცხოვრებად მოყვასთა.

მაგრამ საქართველოს ეკლესიას იმოდენი ბედნიერება და სიკეთე არ უნახავს ამ ხანში, რაც უბედურება და მღელვარება გამოსცადა. ვინ მოსთვლის, რაც უბედურება ეწია საქართველოს და მასთან საქართველოს ეკლესიასაც მარტო გარეშე მტერთაგან—სპარსთა, ბერძენთა და არაბთაგან. სპარსნი თავს ესხმოდენ საქართველოს უფრო იმიტომ, რომ ბრმად სწამდათ სარწმუნოება თვისთა მამა-პაპათა და სძულდათ ქრისტიანობა. შემოსევა მათი დაიწყო ჯერ ისევ ბაკურის მეფობაშივე (342—364), იმ ბაკურისა, რომელიც ისე ზრუნავდა ქრისტიანობრივის სათნოებისათვის. მის შემდეგ არა ყოფილა თითქმის ისეთი

მეფე, რომლის დროსაც მტერი არ შესეოდეს საქართველოს; და თითქმის ყოველთვის, მტერნი ქრისტესნი მახვილითა და ცეცხლით აოხრებდენ ამ სუსტს ქვეყანას, ანგრევდენ ქალაქებს, სძარცვავდენ სოფლებს, ფეხ-ქვეშ სთელავდენ ნათესსა და ჭირნახულს; ყოველთვის მოისწრაფოდენ მოგვნი სპარსეთისანი თავიანთის ქადაგებით და უნდოდათ დამონებულნი ქრისტიანენი მიექციათ ცეცხლ-მსახურებად, ხოლო ეწამებინათ ისინი, ვინც გამოიჩენდა სიმტკიცესა და ურჩობასა. ხან-და-ხან ყოველს ამას საპოლიტიკო მიზეზიც ზედ დაერთოდა ხოლმე: სპარსნი ვერ იითმენდენ, როცა ქართველნი დაუმეგობრდებოდენ იმათ მტერს—ბერძნებს, და ამიტომ იყო, მაგალითად, რომ ვარაზ-ბაქარის მეფობაში (379—393) სპარსელთ იწყინეს, რად დაუმეგობრდა ეს მეფე ბიზანტიის იმპერატორს თეოდოსე დიდსა, შემოესივნენ და მოაოხრეს ქართლ-კახეთი, შაქი და შირვანი. ისიც მოსდებოდა ხოლმე, რომ ბერძნებიც აღმოიწვდიდენ მახვილს ივერთა საწინააღმდეგოდ, თუმცა-კი არა სარწმუნოების მიზეზით, არამედ მხოლოდ იმიტომ რომ, სპარსთ ნუ ემხრობითო. აი თუნდა, როცა საბერძნეთის იმპერატორი ერეკლე შეებრძოლა სპარსეთის მეფეს ხოსროს და მოვიდა ივერიად, შენიშნა ივერიელებს, რომ უფრო სპარსებისკენ აქვთ გულიო; მაშინ იმპერატორმა მახვილი თვისი მიაქცია ქართველთა წინააღმდეგ და დიდად მოაოხრა კიდეც ქვეყანა. არაბების შესევის მიზეზი საქართველოში და აგრეთვე სხვა ქვეყნებშიაც უფრო ფანატიკოსობა იყო და სიძულვილი ქრისტიანობისა. მხედართმთავარი მურვან-აბულ-ყასიმ, სურვილისამებრ ომარისა, რომელიც შემდგომად მაჰმადისა მბრძანებლობდა და მსურველ იყო საქართველოში ცრუ-წინასწარ-მეტყველის მოძღვრების გავრცელებისა, რისხვასავით დაეცა იმერეთს 730 წელს, მოსწვა ქალაქნი და დაბანი, აღაოხრა ტაძარნი, გაანადგურა ყოველივე ქრისტიანული და თვით ქრისტიანენი ჰგვემა და აწამა სასტიკად სარწმუნოებისა და სჯულისათვის. ესევე განმეორდა მეტისა მძვინვარებით 760 წელს და რამდენ ჯერმე კიდევ შემდეგაც.

ამავე დროს საქართველოს ეკლესიამ სიმწარით იხილა მტერნი თვისნი თავის საკუთარ ძეთა შორის და მერე ისიც ისეთ ძეთა შო-

რის, რომელთაგანაც უფრო მფარველობა და ზრუნვა იყო მოსალოდნელი. სახეში გვყავს, პირველად, მეფე მირდატი *), რომელიც გულითა და სულით ისე იყო გარყვნილი, რომ ფიქრობდა ახალ იულიანედ შექმნილიყო თვისთა ქვეშევრდომთათვის; სძულდა სარწმუნოება და სდევნიდა ქრისტეს ეკლესიას, ვიდრე, განგებითა ღვთისათა, ღირსეული სასყიდელი არ მიიღო სპარსთაგან; მეორედ, მთავარ-ეპისკოპოსი მობიდაჯი (434), რომელსაც პირველი ადგილი ეჭირა საეკლესიო მთავრობაში და უნდოდა არიანობა შემოეღო შეუმჩნეველად. ამ აზრით სცდილობდა ნელ-ნელა შეეცვალა ძველი წესები, ძველი საეკლესიო ჩვეულებანი და მათ მაგიერ შემოეღო ახალი, მწვალებლობის შესაფერი და შესაბამი; ამას გარდა სდევნიდა და აშორებდა კიდეც ეკლესიას, ვითომ და დიდის დანაშაულობისათვის იმათ, ვისაც ატყობდა, რომ დიდი ერთგულია მართლმადიდებლობისა. დასასრულ ვითომ და იმიტომ რომ სახელმძღვანელო შევუდგინო საკლებად მომზადებულ მწყემსთა და მოძღვართაო, დასწერა თვისი ღვთის-საწინააღმდეგო აზრები და დაარიგა საყოველთაო საყურადღებოდ. მაგრამ ღმერთმა არ დააცალა ამ უკეთურს შეესრულებინა თვისი განზრახვა: მალე შეამჩნიეს ბოროტება, მოძღვრება მისი შეაჩვენეს და თვითონ იმასაც აჰხადეს ღირსება და მოჰკვეთეს ეკლესიას.

არა ერთხელ სცადა სხვა ცრუე-მოძღვრებამა და მწვალებლობამ საქართველოში დამკვიდრებულიყო, მაგალითად მოძღვრებამ პეტრე ფულლონისამ, რომელიც ჰქადაგებდა, რომ სამ-წმიდა არსების საგალობელს უნდა მიემატოს: ჯ ვ ა რ - ც მ უ ლ ი  ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს ა ო; მწვალებლობა ალვანიელებისა, რომელნიც პირველად (650 წლებში) გამოჩნდნენ ალვანიაში და ისე ქადაგობდენ, როგორც მანიხეები და ასურეთის სხვა მწვალებელნი; ბოლოს კიდევ მწვალებლობა მონოფიზიტებისა, რომელთაც მოტყუებითა და ცბიერებით მოიგდეს ფეხი სომეხთა ეკლესიაში და მერე ცდილობდენ ივერიის მკვიდრნიც აეყოლიებინათ. მაგრამ ყოველივე ამაო შეიქმნა: პირველ მწვალებლობის წინააღმდეგ შესდგა კრება მწყემსთა საქართველოში და ამ კრებამ საქვეყნოდ უარ-

*) მირდატ IV (408—410 წწ.)

ჭყო ცრუ-მოძღვრება; მეორეთ მწვალებლობის წინააღმდეგ მწყემსნი აღიჭურვენ ღვთისა სიტყვისა მახვილითა, მეფენი —ყოვლითა ძალითა და ძლიერებითა თვისითა, ერი—უგულებელ ყოფითა; მესამე მწვალებლობა შეაჩვენა კათალიკოსმა კირიონმა და ამასთანავე აღუკრძალა სამწყსოსა თვისსა, ერიდებოდეთ ცთომილობასაო.

ასეთის სიწმინდითა და უვნებლობით დაიცვეს ქრისტიანებმა მართლ-მადიდებელი სჯული მამა-პაპათა რამდენისამე საუკუნის განმავლობაში და, თუმცა ათას-გვარი გაჭირება და ვაი-ვაგლახი გამოიარეს, მაინც კეთილ-მსახურება არ დაჰკარგეს, ის კეთილ-მსახურება, რომელიც უნებლიედ ანცვიფრებდა უცხოელებსაც-კი. „ივერიელნიო,—ამბობს თავის ნაწერში ბერძენი პროკოპი,—უკეთესნი არიან ყველა ქრისტიანეთა შორის, რომელთა ცნობაც-კი ჩვენა გვაქვს; ამასთანავე მტკიცედ უჭირავთ ყველა წესი და წყობილება მართლ-მადიდებლობისაო“.

ერთს საუკუნეზე მეტს ხანს ივერიის ეკლესია ანტიოქიის პატრიარქის დამოკიდებულებაში იყო და მის უმთავრესს მოსამსახურეთ ეძლეოდათ მხოლოდ ღირსება მ თ ა ვ ა რ - ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ს ა. მაგრამ 457 წლიდგან-კი მიიღეს ნება კ ა თ ა ლ ი კ ო ს ე ბ ა დ წოდებისა და მას უკან ნელ-ნელა დაიმკვიდრეს დამოუკიდებლობა ეკლესიის გამგეობის საქმეებში. მეტადრე მაშინ შეიქმნენ თავისუფალნი, როცა კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ევტიქიოსმა და იმპერატორმა იუსტინიანემაც შეიწყნარა დამოუკიდებლობა ივერიის ეკლესიისა. ისიც-კი უნდა ვსთქვათ, რომ, როცა რაიმე საყურადღებო საგანი იყო, თვით სჯულის საფუძვლის შესახები, ივერიის კათალიკოსნი მიჰმართავდენ ხოლმე მეფეთა-ქალაქის პატრიარქსა და იმპერატორს, როგორც მოიქცა მაგალითად (597 წ.), კათალიკოსი კირიონი იმ დავის გამო, რომელიც ხალკიდონის კრებაზე ჩამოვარდა სომეხთა და ქართველთა ეკლესიის შორის.

ივერიის ეკლესიას დაფუძნებიდამვე ივერიელთ გარდა ეკუთვნოდენ მკვიდრნი აფხაზეთისა, კოლხიდისა ანუ ახლანდელის სამეგრელოსი და კავკასიისანი. შემდეგ, აფხაზნი და კოლხიდელნი ხან-და-ხან განშორდებოდენ ხოლმე ივერიის ეკლესიას და თავიანთი დამო-

უკიდებელი მთავარნი ჰყვანდათ ხოლმე: აფხაზთ—სებასტოპოლის ქალაქში, ხოლო კოლხიდელთ—ფაზის ქალაქში, თუმცა-კი ორივე კათალიკოსნი ისევ ბერძენთა მწყემსთ-მთავართა უწყებას ემორჩილებოდენ. ამის მიზეზი იყო ხოლმე ხან პოლიტიკებრივი განდგომა ივერიისაგან აფხაზეთისა და კოლხიდისა და გავრცელება მათ შორის ბერძენთა იმპერატორების ბრძანებლობისა, რომელთაც ამისათვის ჰქონდათ იქ ციხე-სიმაგრენი; ხოლო ხან ისა, რომ მრავალნი აფხაზნი, კოლხიდელნი, სვანები და ლაზნი მოქცეულნი იყვნენ არა ივერიელთა მიერ, არამედ ბერძენთა იმპერატორის იუსტინიანესაგან, რომელიც ამასთანავე აშენებდა და აახლებდა მათთვის ტაძრებსა და მონასტრებს და უგზავნიდა მღვდლებსა და მოძღვრებსა. რაიცა შეეხება კავკასიის მთიელთა, იმის გამო, რომ განათლებულნი მწყემსნი ნაკლებად იყვნენ, თუ სპარსეთის მოგვთა მეცადინეობით, თუ საპოლიტიკო არეულ-დარეულობის გამო, ეს ნადირ-მსგავსნი ხალხნი—არა თუ განშორდენ ივერიის ეკლესიას, არამედ თან-და-თან სულ მიივიწყეს იმათ წმიდა სჯული და სარწმუნოება. ესეც-კი უნდა ვსთქვათ, რომ იყო ხოლმე ისეთი დროც, როცა ეკლესია ივერიისა, რა-კი დამშვიდდებოდა თავად და აღარ აწუხებდა შინაური შფოთი და მღელვარება, ზრუნავდა ხოლმე ცთომილთა მთის შვილთათვისაც და არა ერთხელ კვლავ დაიბრუნებდა ხოლმე წიაღსა შინა თვისსა. ამიტომ ქრისტიანობა მთაში კიდევ რამდენსამე საუკუნეს იყო ფეხ-მოკიდებული: ცნობილია რომ მეცამეტე საუკუნეშიაც-კი ერთს კონსტანტინეპოლის კრებაზე დაესწრო ეპისკოპოსი კავკასიისა.—

---

## XLVI. პეტრე ქართველი, ეპისკოპოსი პალესტინისა

*(А. Цагарели—Памятники грузинской старины)*

მეხუთე საუკუნეში გამოჩნდა პალესტინაში სახელ-განთქმული ქართველი მოღვაწე და სწავლული მურვანოზ, რომელიც შემდეგ იწო-

და წმ. პეტრედ *) და შეიქმნა ეპისკოპოსი მოჯამისა. მურვანოზ იყო მეფის თუ დიდებულთა შთამომავლობისა **) და 12—14 წლისა წაყვანილ იქმნა კონსტანტინეპოლს, სადაც იმპერატორ თეოდოსი მცირის კარზე მიიღო მშვენიერი აღზრდა და საუკეთესო განათლება: „მოკლე ხანში შეისწავლაო, ამბობს მისი ბიოგრაფი, ბერძნული და სირიული ენები და ფილოსოფია". ხოლო რადგან გულში უღვიოდა სურვილი შედგომოდა ბერობას, იდუმალ წავიდა იმპერატორის კარიდგან, თან წაიყვანა თავისი მოსამსახურე საჭურისი იოანე და მივიდა იერუსალიმს, სადაც წმ. საფლავის ტაძარში შევიდა ბერად პეტრეს სახელით. აქ ვიდრე შეიქნებოდა 25 წლისა მოღვაწეობდა პეტრე საქველ-მოქმედო ასპარეზზე: აღაშენა ღვთისმშობლის სახელზე მონასტერი, რომელსაც ეწოდა ი ვ ე რ თ ა  მ ო ნ ა ს ტ ე რ ი, თავ-შესაფერი სახლი იმ ქართველების და ბერძნებისა თვის, რომელნიც თავიანთ ქვეყნებიდამ აქ სალო-

---

*) ჩვენი მ ა მ ა თ-ც ხ ო ვ რ ე ბ ა უწოდებს მას პ ე ტ რ ე-ქ ა რ თ ვ ე ლ ა დ.

**) ყოვლად უსაფუძვლოა ეჭვის შემოტანა შესახებ მურვანოზის შთამომავლობისა, რადგან მურვანოზის ბიოგრაფი—ზაქარია ქართველი, რომელიც იყო მისი მოწაფე, პირ-და-პირ ამბობს, რომ მურვანოზ იყო შვილი ვარაზ-ბაკურისა, და ამასთანავე მოგვითხრობს, რა შემთხვევის გამო წაიყვანეს მცირე-წლოვანი მურკანოზ საბერძნეთში. აი, რა სიტყვებით მოგვითხრობს ზაქარია ქართველი მურვანოზის ცხოვრების დასაწყისს: „არა სხვისაგან სმენილსა მოქენე გარ აღწერად, არამედ რომელსა თვით მხილველ ვიქმენ, რამეთუ სიყრმიდგან შევუდეგ მე წმინდასა მას, ვითარცა შვილი ერთგული, სადაც იგი არნ. ჟამთა ღვთის-მსახურისა თეოდოსი მცირისა, მეფისა ბერძენთასა, ძისა არკადისა და ძის-წულისა დიდისა თეოდოსი მეფისა, იყო მეფე ქართველთა ზედა დიდი ვარაზ-ბაკურ, მეოთხე მეფე მირიანიდგან... ჟამთა მცირისა თეოდოსი მეფისა იქმნა მტერობა ბერძენთა შორის და სპარსთა, და მეფემან თეოდოსი მოშიშმან, ნუ უკვე შეერთდენ ქართველნი სპარსთა და იძლივნენ ბერძენნი, მოსთხოვა სიყვარული ქართველთა მეფესა და უმტკიცესისა სიმტკიცისათვის მძევალნიცა სთხოვნა. ხოლო, რათა არა განიწვალნენ ქართველნი ბერძენთაგან, ყოველი სათხოველი ბერძენთა მეფისა აღუსრულა მეფემან ქართველთამან და წარავლინა ძე თ ვ ი ს ი  მ უ რ ვ ა ნ ო ზ ათორმეტისა წლისა მძევლად ქალაქად კონსტანტინეპოლედ სხვათათანა სეფე-წულთა". თითქმის იგივე ეჭვი შემოაქვს დ. ზ. ბაქრაძეს, რომელიც ამყარებს თავის ეჭვს იმაზე, რომ ქართულ ქრონოლოგიით ვარაზ-ბაკურ მეფობდა 379—395.

ცავად მოდიოდნენ. როცა პეტრე შემოსილ იქმნა იერუსალიმის პატრიარქის ანასტასის მიერ ბერ-მონაზონად (458—477 წ.), იგი მიდის იოანესთან ერთად უდაბნოში და იორდანეს ნაპირად აშენებს მონასტერს, მერმე გადის ეგვიპტეს და სეთის (არაბეთის?) უდაბნოდ, საიდგანაც დაბრუნდება თავის მონასტერში იერუსალიმს. ცოტა ხნის შემდეგ, მოჲამის მცხოვრებელთა თხოვნით, პატრიარქმა ანასტასემ აკურთხა პეტრე ეპისკოპოსად ამა ქალაქისა, სადაც კერპთ-თაყვანისცემა დიდ ხანს და შეუსუსტებლად სუფევდა. მოჲამი ეწოდებოდა ღაზის ქალაქის ნავთ-სადგურს და შემდეგ ეს სახელივე დაერქვა თვით ქალაქს. პეტრეს მოჲამში ეპისკოპოსად მყოფობის დროს გარდაიცვალა იმპერატორი თეოდოსი მცირე და მის ადგილზე დაჯდა იმპერატორად მარკიანე, რომელმაც შეჰკრიბა 451 წ. ხალკიდონში მსოფლიო კრება მონოფიზიტების და იაკობიტების მწვალებლობის განსაკითხავად. პეტრე არ დაეთანხმაო, ამბობს მისი *ცხოვრება*, ხალკიდონის კრების განაჩენებს წინააღმდეგ მწვალებელთა. ამ მიზეზით პეტრეს დიდი უსიამოვნება შეემთხვია, და იძულებული შეიქმნა მიეტოვებინა მოჲამის საეპისკოპოსო კათედრა, სადაც დაბრუნდაო, ზოგიერთების სიტყვით, მხოლოდ 458 წ. იმპერატორ ლეონ თრაკიელის დროსაო, და სხვების სიტყვით-კი, უკვე 453 წელსაო, იმპერატორმარკიანის მეუღლის პულხერიას გამოსარჩლებობის გამო. გარდაიცვალა პეტრე 65 წლისა იმპერატორ ზენონის დროს (475 წ.) და დაფლულ იქმნა „დიდითა დიდებითა მონასტერსა ქართველთასა იერუსალიმში, რომელიც მასვე წმიდასა პეტრეს აღეშენეს", როგორც ამბობს მისი *ცხოვრება*. ამ ცნობებს წმ. პეტრეს *ცხოვრებისას*

---

წლებში, და თეოდოსი მცირე-კი იჯდა ბიზანტიის ტახტზე 408—450 წწ. (დ. ზ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 152 და 153), მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ჩვენი ქრონოლოგია არ არის ჯერ მტკიცე საფუძველზე დამყარებული და ამიტომ, როცა ეს ქრონოლოგია ეწინააღმდეგება თანა-მედროვე გვამის თქმულებას, იმისთანა გვამისას მეტადრე, რომელიც თავის პირადის თვისებითა ღირსია რწმუნებისა, მაშინ უეჭველად უპირატესობა უნდა მიეცეს ამ თანა-მედროვის ჩვენებას.

და „ქართლის-ცხოვრებისას“ სომხის ისტორიკოსი მე-XIII საუკუნისა ასოღიკი დასძენს *), რომ პალესტინაში გაგზავნილმა ბიზანტიელთა ჯარმა (რომელსაც უნდა დაემშვიდებინა ხალკიდონის კრებისაგან გამოწვეული არეულობა) „არავინ არ დაზოგა, გარდა პეტრე პატრიკისა, ისრაელ ეპისკოპოსისა, მის მაღალ სათნოებათა გამო. იგი იყო, როგორც ამბობდენ, შვილი ქართველთა მეფისა, წარგზავნილი კონსტანტინეპოლს მძევლად (ამასვე მოგვითხრობენ აწ წმიდის ცხოვრება და „ქართლის-ცხოვრება“). იგი ძალით აკურთხესო მონაზონად და პალესტინის ეპისკოპოსად. ეპისკოპოსობდაო ლაზაში და ვერავინ შეეცილებოდაო სწავლაში. წმ. პეტრემო, განაგრძობს ასოღიკი, წერილით მიულოცა სომხებს, რომ ხალკიდონის კრებას არ დასწრებიხართო, და პეტრეს მოწაფემ იოანემ დასწერაო 36 მუხლად 72 სიტყვა წმ. პეტრესი და სხვათა მამათა ხალკიდონის კრების განაწესების წინააღმდეგო. ეს ეპისტოლე დაუცავს მხოლოდ ასოღიკს, ხოლო თვით დაბრუნება წმ. პეტრესი მოქვამში ცხადად გვიმტკიცებს, რომ მისი უთანხმოება ხალკიდონის კრების განაწესებთან დიდ-ხანს არ გაგრძელებულა და თავ-და-პირველადაც ეს უთანხმოება არ ყოფილა დიდი, თორემ ბერძნები აღარ დაუბრუნებდენ პეტრეს უწინდელს საეპისკოპოსო კათედრას.

მონოფიზიტის ეპისკოპოსმა ზაქარია მელიტენელმა მე-VI საუკუნის ნახევარში დასწერა ცხოვრება თეოდოსისა, რომელიც დროებით განაგებდა იერუსალიმის საპატრიარქოს, პატრიარქის იუვენალის კონსტანტინეპოლს ყოფნის დროს. ეს ზაქარია ამბობს, რომ იმ ეპისკოპოსთა შორის, რომელნიც დაადგინა ამ თეოდოსმა, იყო აგრეთვე პეტრე ქართველი, ეპისკოპოსი ღაზელი, და როცა პატრიარქი იუვენალი კონსტანტინეპოლიდამ დაბრუნდაო ჯარით, ხალკიდონის კრების მოწინააღმდეგეთა დასამშვიდებლადაო, მაშინ ეპისკოპოსები, რომელნიც დაადგინა თეოდოსმა, ყველანი გადაყენებულ იქმნენ, გარდა პეტ-

*) ყველა ქვემოდ მოყვანილ ცნობებს მოგვითხრობს სირიელთ პატრიარქი მიხეილ დიდი, რომელიც ცხოვრობდა მე-XII საუკუნეში, იხ. *Chronique de Michel le Grand, trad. par Langlois.*

რესი, ლაზელ ეპისკოპოსისა, რომელსაც გამოესარჩლა იმპერატორ მარკიანის მეუღლე პულხერია, 453 წ.

ამ წმ. მამის შესახებ გვაქვს საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა. მისი ც ხ ო ვ რ ე ბ ა დასწერა მეხუთე საუკუნეში სირიულ ენაზე ზაქარია ქართველმა, მისმა მოწაფემ და თანა მოღვაწემ; რომელიც ახლდა მას სამშობლოდამ გასვლიდგან სიკვდილამდე, როგორც მოგვითხრობს თვით ც ხ ო ვ რ ე ბ ა. სირიულიდამ ქართულად გადმოთარგმანა ეს ცხოვრება მღვდელმა მაკარიმ.—წმ. პეტრეზე მოგვითხრობს კიდევ სირიელი მღვდელ-მთავარი მე-XII საუკუნისა პატრიარქი იაკობიტებისა მიხეილ.

---

## XLVII. საქართველო მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში

(გ. წერეთელი—„კრებული“ 1872 წ., №№ 8 და 9)

მეოთხე საუკუნეში სპარსეთმა განიზრახა სომხეთისა და საქართველოს სამეფოების დაპყრობა და ქრისტიანობის მოშლა, რომ ამ სახით სპარსეთის სახელმწიფოს სრული უფლება ჰქონოდა მთელ მცირე-აზიაზე ხმელთა-შუა ზღვამდის და ეგვიპტემდის. სომხეთის სამეფო სულ გაქელა, მერე მოადგა საქართველოს და დაუწყო ხარკის თხოვნა. სომხები იმ დროს ძალიან მხნენი და მეომარნი იყვნენ. მამულის თავისუფლებისთვის და სარწმუნოებისათვის თავს არ ზოგავდენ. იმათ გამოუგზავნეს ელჩები საქართველოს მეფეს: ერთად შევკავშირდეთ, მოვიწვიოთ ხაზარის ხალხი და წინაღვუდგეთ სპარსეთის უსამართლობასაო. მაგრამ ქართლის მეფე გამოჩნდა მხდალი და ყოვლად საძაგელი კაცი (ვარაზ-ბაქარი—ბაქარ მეფის შვილის-შვილი). კავშირის მაგიერად, როდესაც სპარსელების ურიცხვმა ჯარმა მოაოხრა სომხეთი და მოაწია საქართველოს საზღვარზე, მეფე თავის ცოლ-შვილით შეიმალა კახეთის ერთს ციხეში და თავის ერს თავი დაანება. ამის გამო სპარსელებმა გააკეთეს შურის ციხე იმის მახლობლად, საცა ახლა

ტფილისის ქალაქი სდგას, დააყენეს სპარსეთის დარაჯი ჯარი და კახეთიდგან მოკიდებული ლიხის მთამდის (სურამის მთამდის) ხელში ეჭირათ და ყოველ წლობით ხარჯს იღებდენ. ქართლის მეფე შეიქნა უბრალო სატრაპად (ერისთავად). ლიხის მთის გადაღმა ალაგი, სამცხე-საათაბაგო, ბასიანი, ავხაზეთი შავ-ზღვამდის ბერძნებმა ჩაიგდეს ხელში, რომ სპარსეთსა და საბერძნეთის იმპერიას თანასწორი გავლენა ჰქონოდათ მცირე აზიაზე. კავკასია ისეთი სტრატეგიული ქვეყანა იყო, რომ ვისაც ის ექნებოდა ხელში, მცირე-აზიაც იმისი იქნებოდა. აი რის გამო აიხსნება დაუცხრომელი ბრძოლა სპარსეთსა და საბერძნეთს შორის კავკასიაში.

ამ დროს აღმოსავლეთის საქართველოში ქრისტიანობას ავი დღე დაუდგა. ზენდის სარწმუნოების მღვდლებმა თავი წამოყვეს სპარსეთის ჯარის შემწეობით და უქადაგებდენ ერს თავის სარწმუნოებას. ამ დროდგან იწყება სასტიკი ბრძოლა ორს სარწმუნოებას შუა. მაგრამ სანამდის ცოცხლად გამოვხატავდეთ ამ ბრძოლის სურათს, ორიოდე სიტყვას ვიტყვი სხვა მეფეებზე.

405 წელს, ფარსმან მეფის დროს, იმდენად მოღონიერდა საქართველო, რომ შემთხვევით ისარგებლა. როცა სპარსელები საბერძნეთის იმპერიას ეჩხუბებოდენ, ფარსმანმა ხარჯის ძლევაზე უარი უთხრა და სპარსეთის დამოკიდებულებისაგან განათავისუფლა აღმოსავლეთის საქართველო. მაგრამ მისი მემკვიდრე (მირდატ მე-IV) სრულებით არ იყო მამის ღირსი კაცი, თუმცა ამაყობა ორი იმდენი ჰქონდა. ისე უგუნური გამოჩნდა, რომ ვერ მოიფიქრა, თუ სპარსეთის მეფე იმას თავისუფლებას არ შეარჩენდა. როდესაც დიდძალი ჯარი მოაყენა კარს, მეფე სრულებით მოუმზადებელი დახვდა. სპარსელებმა სტაცეს ხელი და ცოლ-შვილიანათ ბაღდადს გაგზავნეს. აღმოსავლეთის საქართველო სპარსეთის ჯარმა და მოგვებმა აიკლეს: ერს დიდი ხარჯი წაართვეს, ეკლესიები დააქციეს და ცეცხლის ქურები ისევ გამართეს სალოცავად.

ამ მდგომარეობაში იყო ქართლი შვიდს წელიწადს. ბოლოს, როდესაც სპარსეთის მეფემ სხვა ტომის ერებზე გაილაშქრა, სამღვდელოება და ერისთავები შეკრბენ 413 წ. და ამოირჩიეს მეფედ არჩილ I. ამ მეფემ პირველად სცნა, რომ საქართველოს თავისუფლე-

ბისთვის მიუცილებელად საჭიროა საბერძნეთთან კავშირი. შემდეგ იმის პოლიტიკას მისდევდენ ყველა საქართველოს მეფეები, სანამ საბერძნეთი მაჰმადიანობამ არ დაამხო. არჩილმა გაყარა მოგვები, დააქცია კერპთ-საყდრები და უბრძანა ქართველსა და ბერძნის მწიგნობრებს საღმთო წერილი გადაეთარგმნათ ქართულს ენაზე. ამ დროს იყო გადათარგმნილი სახარება, ლიტურგია, სადღესასწაულო, ლოცვანი, ჟამნი და ძველი აღთქმა. ამ მეფემ გახსნა არქიეპისკოპოსის კათედრა მცხეთას; მღვდლების კურთხევა მცხეთასვე დაიწყეს, იმათი ანტიოქიაში წასვლა აღარ იყო საჭირო და ამ ღონისძიებით საქართველოში გამრავლდა სწავლული სამღვდელოება და სკოლები. მოგვების ურდოებს აღარ ედგომებოდათ ჩვენში. ისინი გაიქცენ სპარსეთს და აღძრეს ადრიბეჟანის მმართველი ბარზაბოდი.

არჩილ მეფე დასხდა იმათ ბერთიუჯის მდინარეზე, დაამარცხა ბარზაბოდი, ჩაესია იმის ქვეყანას, გაძარცვა და დიდი ნაშოვარით დაბრუნდა საქართველოში 434 წელს. მის შემდეგ მირდატ V-ს დარჩა საქართველოს ტახტი. ამან შეირთო ბარზაბოდის ქალი სანდუხტი, მტერი მოყვრათ გაიხადა და ამით კიდევ უფრო გაამაგრა სამეფო. მაგრამ, სომხეთის და საქართველოს საუბედუროდ, ამ დროს სპარსეთის ტახტზედ ავიდა ქრისტიანობის მდევნელი იეზდიგერდ II, რომელმაც ამ ორს საქრისტიანო ქვეყანას შავი დღე დააყენა.

მეოთხე საუკუნის განმავლობაში ქრისტეს სარწმუნოების მქადაგებლებმა საქართველოს ერის გონების წარმატებისთვისაც დიდი საქმე მოიქმედეს. ამ პერიოდში ცხოვრობდენ საბერძნეთიდგან მოსული მეცნიერი ეპისკოპოსები: იოანე, იაკობ და იოსები. საღმთო წერილი სულ იმათ ხელმძღვანელობით ითარგმნა. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი ღვაწლი ამ საუკუნეში სომხის ერს და ქართველებს დასდვა ერთმა მეცნიერმა სომხის ბერმა, სახელად მესროპმა. იმან მოიგონა სომხური ანბანი, მერე გადმოვიდა საქართველოში და, ქართველი მეცნიერის ჯაღლის შემწეობით, ქართული სუცურიც შეადგინა. იეზდიგერდი იყო ცბიერი პოლიტიკი. იმან შეატყო, რომ კავკასიაში და სომხეთში ქრისტიანობის დამკვიდრებით ეს ქვეყნები საბერძნეთს მიემხრობოდენ და სპარსეთის სახელმწიფო უეჭველად ადრე თუ გვიან დაჰკარგავდა

თავის ძლიერებას, რადგან მცირე აზია კავკასიის მიმხრობით საბერძნეთის იმპერიას ჩაუვარდებოდა ხელში. ამისთვის იმან გულში გადასწყვიტა სომხეთში და საქართველოში ქრისტიანობის მოსპობა. თავის სახელმწიფოს ძალა სულ ამ საქმეს მოანდომა. ამის გამო სომხეთში აღიძრა საშინელი და დაუცხრომელი ბრძოლა თავისუფლებისა და სარწმუნოების დასაცველად. ამ ბრძოლამ გადაიტანა სომხეთის პოლიტიკური თვით-არსებობა, მაგრამ თავისი ნაციონალურის სიკვდილით ჩვენ დაგვიფარა. რომ სომხები არა, საქართველოს სახსენებელი ახლა ქვეყანაზედაც არ იქნებოდა. იეზდიგერდის დროს სომხეთის მეფობა თითქმის აღარ არსებობდა, მაგრამ ერი კი ძალიან განათლებული და მხნე იყო. იმას ჰყავდა სამაგალითო სამღვდელოება და თავად-აზნაურობა. ეს ორი წოდება თავისი მაღალი ღირსებით სწორედ ნამდვილი წინამძღომელი შეიქნა ნაციონალურს ბრძოლაში და, არამცთუ ჩვენთვის შეიქნა სამაგალითოდ, არამედ მთელის კაცობრიობისთვისაც გახდა ნეტარ სახსენებელად. არ შემიძლიან არ გადმოვთარგმნო რამდენიმე ალაგი ელიშეს ისტორიიდგან: „არამც თუ მარტო კაცები იყვნენ გაცოფებულნი სამშობლოს დასაცველად, ქალები კიდევ უფრო თავგანწირულნი იყვნენ. როგორ შემიძლია სათითაოდ მოვთვალო იმ პატიოსანი დედაკაცების სახელი, რომელთა ქმრები დაეცენ სომხეთის დამამხობელს ბრძოლაში. მარტო სახელი რომ ვიცი, იმისთანა ქალები ხუთასამდის იქნება და რამდენნი სხვანიც იყვნენ, რომელთაც ცნობა არა მაქვს. უფრო მეტი ნაწილი იმათგანი, რომელთაც მე ვიცნობ, წარჩინებულის შთამომავლობისანი არიან, სხვანიც დაბალს წოდებას ეკუთვნიან. იმათ ყველამ ანგელოზებრივის სიმშვიდით ხელი აიღეს ამ სოფლის სიამოვნებაზე და კეთილ-ცხოვრებაზე. მცირეთა და წარჩინებულთა დედათა ერთნაირად შეიმოსეს ძალი სარწმუნოებისა, სიმტკიცისა და სიმამაცისა. ისინი მოთმინებაში ხედავდენ თავის სიკეთეს; რაც რომ მოაგონებდა იმათ უწინდელს განცხრომას და სიმდიდრეს, ყოველივე დაივიწყეს. აუტანელს სიღარიბეს და გაჭირებას ისეთის მხნეობით ითმენდენ, თითქოს ყმაწვილობიდგან ყოფილიყვნენ შეჩვეულნი მძიმე შრომას. ჩვეულებისამებრ, ყოველს წარჩინებულის გვარის დედაკაცს ჰყავდა მოახლენი, რომელნიც ყმაწვილობიდგან იყვნენ თან-

შეჩვეულნი ბატონისშვილთან მდიდარ სასახლეში,—ახლა-კი ბატონის შვილების მოახლეებში ველარ გამოარჩევდით. ისინი იმოსდენ მათს სადგურს და სასთუმლად ქვის ლოდი ჰქონდათ, როგორც უკანასკნელს გლეხის ქალებსა. ერთი მეორეს აღარ უგებდა ქვეშაგებს; ბატონის შვილისა და მოახლის საფენი ერთი იყო—შავი თივა. უბრალო შავი სამოსლის სარტყელი ქამარი თავზე. მდიდარს მეჯამადს აღარავინ უმზადებდა და მრავალი ფარეშები თან აღარ ახლდნენ. ამ წარჩინებულ კაცების ცოლებს აღარავინ მოართმევდა ხელსაბანს წყალს და წმინდა ხელსახოცს. მუშკით და მურასათი აღარავის იკმობდა თავს. იმათ სუფრაზე აღარ ბრწყინავდა ოქროს ჭურჭლები; მეკარე აღარ იდგა დიდებულს სასახლეების წინ სტუმრების მისაღებად; სასახლეების კარები მუდამ ჩაკეტილი იყო.—მდიდრულად მორთული იმათი ტახტები და ოქროს ტახტრევანები დაქცეულიყო. მდიდარის სამისათო ჭურჭლისა და სამკაულისაგან მხოლოდ ნამტვრევები და ნამზღლევები ეყარა კარზე. დიდებული დარბაზები და სამეფო პალატები ერისთავებისა მხოლოდ ღამის ცხოველების სადგურად გამხდარიყო. ბოლოს იმათ მაგარს კოშკებს სპარსეთის მეფის ურმასნებით საძირკველი გამოუთხარეს და მტვრად აქციეს. სუნნელოვანი ყვავილები მშვენიერი წალკოტებისა დაჭკნა, ყურძნის ვაზები დაითხარა. წარჩინებული გვარის დედაკაცები საკუთარი თვალით ხედავდნენ, როგორ ძარცვავდენ და აქცევდნენ იმათ ოჯახებს. კვნესა და გოდება ისმა დატანჯულთა მეგობართა და მეზობელთა ესმოდათ მათ; მინაური სიმდიდრე და მორთულობა ქალთა სულ მეფეს წაალებინა თავის სალაროს გასამდიდრებლად. ერთი ობოლი მარგალიტიც აღარ დარჩენილა იმათის მამაც მკერდის დასამშვენებლად და კეთილშობილის სახის შესამკობად. დარბაისელი სომხის ქალები, უმაწვილობიდგანვე სიმდიდრით და განცხრომით გასათუთებულნი, მდიდარს და რბილს საწოლს შეჩვეულნი, ახლა მიწის გომებიდგან უფეხ-საცმლოდ გამოდიოდნენ, მიისწრაფოდნენ ტაძრად და ითხოვდნენ ღვთისაგან სათნოების და ძალის მოცემას, რომ ეს გაჭირვებული და დატანჯული ცხოვრება შეემსუბუქებინა ამათთვის. რომელნიც უმაწვილობიდგან იყვნენ შეჩვეულნი ნაზსა და მდიდარს საზრდოსა, ახლა, შიმშილით შეწუხებულნი, საამოვნებით იკვებდენ თავს

ბალახითა, ბოსტნეულითა და სულაც არ მოიგონებდენ უწინდელს სუფრასა. დადნა და გაყვითლდა იმათი სახე, გაუმსხვილდათ ტანის კანი, მთელი დღე სულ პაპანაქება სიცხეში დადიოდენ თავ-დაუფარავი და ღამით ეყარნენ ნოტიო მიწაზე გაგებულს ტალახიანს თივაში. იმათი ბაგე მხოლოდ ფსალმუნების სალაღადებლად განიღებოდა.—განაგდეს დედაკაცური უძლურება და შეიქმნენ მხნე და მამაცნი მებრძოლნი სულიერს ომში.—თავის ცხოვრებით ისინი დაემსგავსენ წმიდა მოწამეებს, რომელნიც იბრძვიან უკანასკნელს სულის ამოსვლამდის"... ასეთი იყვნენ სომხეთის დედაკაცები. ისინი შეურყეველი სიყვარულით და მოთმინებით შთაბერვიდენ გმირულს სულსა და ძალას მამულის მებრძოლს ვაჟკაცებს. მთელი ერთი საუკუნე გაგრძელდა ეს საშინელი ბრძოლა და არ დასცხრა მანამდის, სანამ სომხეთის მიწაზე უკანასკნელი ვაჟკაცი არ იწამა. ამ სახით სომხეთის ერი შეიქმნა, როგორც ყველაზე პირველი ქრისტიანი ერი ქვეყანაზე, აგრეთვე უპირველესი მხედრობაც ქრისტესი და თავისი სამშობლოსი. ამ ერმა თავის წამებული ცხოვრებით ასწავლა საქართველოს ერს, თუ როგორ უნდოდა ბრძოლა მამულისა და სარწმუნოების დასაცველად.

იმ დროს სპარსელები ჩვენც იმავე ნაირად გვექცეოდნენ, მაგრამ რადგან უმთავრესი სპარსეთის ძალა სულ სომხეთის ბრძოლაში შთაინთქა, ჩვენში მაგდენი ველარა ჰქნეს რა, თუმცა, რაც მოახდინეს, იმანაც დიდი ხნით მოსწყვიტა წელი საქართველოს.

ამ მრავალნაირს უბედურებას ისიც დაემატა, რომ აფხაზეთი ლიხის მთამდის სულ ბერძნებმა დაიპყრეს. რვა წელი დაჰყო ამ ქვეყანამ ამ ცუდს მდგომარეობაში, სანამდის საქართველოს ტახტზე არ ავიდა ვახტანგ გორგასლან, რომელმაც სულ სხვა დანიშნულება მისცა საქართველოს.

# XLVIII. საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა შემდეგ მირდატ V-ისა ვახტანგ გორგასლანამდე

446—454 წწ.

(იხ. ს. ბარათაშვილი— ისტორია საქართველოსა, II რვ. ნათარგმ. ს. ხუნდაძისა)

მირდატ V იმ დროს მოკვდა, როცა იეზდიგერდ II-მ ქართველებს ბერძნების წინააღმდეგ ჯარები სთხოვა და ბრძანა, აევსოთ საქართველო სპარსელების ჯარებით და მოგვებით, რომ ცეცხლის-მსახურება გაევრცელებინათ იქ. მირდატის ცოლმა, საგდუხტმა, თავის შვილის, ვახტანგის, მცირეწლოვანების გამო, სახელმწიფოს მართვა თვითონ იკისრა; მაგრამ მალე შენიშნა, რომ თავის საკუთარ საშვალებით საქართველოს არ შეეძლო მშვიდობიანობის აღორძინება. მეზობელ ქრისტიანე ხალხების—სომხებისა და ალვანელების დახმარების იმედი ტყუილი იყო, რადგან ისინი თვითონ უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ. როცა სომეხთა სამეფო დაეცა, და ბერძნებმა და სპარსებმა ის გაინაწილეს, უდიდესი და უკეთესი ნაწილი ჩაიგდეს ხელში სპარსელებმა და ესენი მართავდნენ მას მარზპანების საშვალებით, რომელთაც ხანდის-ხან სომხებისაგან ირჩევდნენ. თუმცა სპარსებმა სომხეთი თავის საზღვრების შიგნით მოაქციეს, მაგრამ მაინც აოხრებდნენ მას, სომხეთმა მაინც ვერ მოითმინა ის უბედურება, რომელშიც იყო თავის უკანასკნელ მეფეების დროს. ქრისტიანობის დევნა აღელვებდა შეძლებულ გვარების წარმომადგენელთ; ამ აღელვებას ხელს უწყობდა კონსტანტინეპოლის სასახლის პოლიტიკური ინტერესებიც, ასე რომ ხშირად ის აღელვება გადაიქცეოდა ხოლმე სპარსთა წინააღმდეგ თავგანწირულ აჯანყებად. სპარსელნი სომხეთში თავის სარწმუნოების და პოლიტიკის მომხრეებიც ჰყავდათ, და ყოველთვის ამ ორ დასს შეატაკებდნენ ხოლმე და ხოცავდნენ მათ მათივე ხელით. ამ გვარ მდგომარეობაში იყო სომხეთი, ვიდრე იეზდიგერდი ავიდოდა ტახტზე და ვიდრე იმის მმართველად სიუნის თავადი ვასაკი არ დანიშნეს ვეჰ-მირ-

მაჰურის, ვართანის და ვაჰან ამატუნის მაგიერ; ესენი იყვნენ კეთილისმდომნი თავადები და ენერგიულად იკავებდნენ სომხებს სრულის დაღუპვისაგან, რომელიც მოელოდა მათ დაუცხრომელ ინტრიგების გამო. სომხეთის დამხობისათანავე სომხების სამეფოც დაეცა. I საუკუნეში სომხეთს, ვგონებ, დღევანდელი-მაზრების: ნუხის, შემახის, ყუბანის და ბაქოს ტერიტორია ეჭირა. ქრისტიანობა იმაში გავრცელდა ურნაირის გამგეობის დროს, დაახლოებით იმ დროსვე, როცა საქართველოშიაც დამყარდა. ალვანიას მართავდნენ შემკვიდრეობითი მეფეები. იავნაგანი, მეროვანი, სატო, ასა, ესუაგენი და ვაჩე. იმას ძლიერ ხშირად ესეოდენ დაღისტნის ხალხები; ესუაგენის მმართველობის დროსაც, მე-V საუკუნის დასაწყისში, ალვანიას შესევოდნენ სხვა ხალხებიც, რომელნიც თავმოყრილი იყვნენ ვოლგის შესართავიდგან საზღვრებთად. სანამდი სომხეთს თავისი საკუთარი ჯარები ჰყავდა, ალვანიაც, იმასთან კავშირ-შეკრული, როგორც იყო, აჩერებდა ჩრდილოეთის ხალხების შემოსევას; მაგრამ, როცა სომხეთმა ავტონომია დაკარგა, მარტო ალვანელებმა ვერ შესძლეს იმათი შეჩერება და განდევნილ იქმნენ თავიანთ საზღვრებიდგან მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. აქ, ვაჩეს მმართველობის დროს, ისინი სპარსეთთან იმგვარვე დამოკიდებულებაში შევიდნენ, როგორშიაც საბრალო სომხები იყვნენ, და ყოველივე, რასაც იეზდიგერდი საქართველოს შესახებ განიზრახავდა, ეხებოდა აგრეთვე სომხეთსაც და ალვანიასაც, სადაც მისი განკარგულებანი უფრო ადვილად და უმეტეს სიფიცხით სრულდებოდა.

ამ გვარ უკიდურეს გარემოებათა დროს, სუსტ ხასიათის იმპერატორი თეოდოსი კიდევ უფრო ნაკლებად საიმედო იყო; ამიტომაც დედოფალმა განიზრახა, თავისი მამის ბარზაბოდისათვის ეთხოვა დახმარება; ეს იყო არანის და ადრიბეჯანის მმართველი და იეზდიგერდს იმისათვის მიენდო თავის მშვენიერ წადილის ასრულება. დედოფალმა შეკრიბა მცხეთაში ყველა ერისთავები და დიდებულნი, გამოუცხადა თავისი განზრახვა, ჩააბარა მამულის სვე-ბედი და თავისი შვილები და წავიდა ქალაქ ბარდაას. სუნდუსტი იმ დროს მივიდა იქ, როდესაც ბარზაბოდი მზად იყო სპარსეთის ჯარებით საქართველოსკენ გასალაშქრებლად და თან მოგვებიც მიჰყავდა. ის თავის მამას გამოეცხადა,

როგორც მორჩილი ასული, მოამშვიდა მოხუცებული წარმართის გული და ამგვარად გამოითხოვა მისგან: 1) საქართველოს განთავისუფლება სპარსეთის ჯარების შემოსევისაგან, და 2) ქრისტიანული წირვა-ლოცვის თავისუფლად აღსრულება. თავის მხრით სუნდუსტი დაპირდა ჰუნნების წინააღმდეგ ჯარების მიშველებას და აღუთქვა, რომ არც ერთ ქართველს არ დაუშლი იმ სარწმუნოების აღსარებას, რომელსაც თვითონ აირჩევსო.

რა კი ქართველთ მეფის ოჯახობამ ამ გვარი დამოკიდებულება დაიჭირა ადრიბეჯანის მმართველთან, საქართველოს ამით დიდი მალავათი მიეცა ყველა ქრისტიანე ხალხთა შორის, რომელნიც სპარსეთის საზღვრებზე იყვნენ. თუმცა ბარზაბოლი მალე მოკვდა, მაგრამ ადრიბეჯანის მმართველობა გადავიდა მისის შვილის, დედოფლის სუნდუსტას მკვიდრ ძმის, ვარაზბაკურის ხელში, რომელსაც სენ-მარტენი ვარაზვაგანს უწოდებს, და ამიტომაც საქართველოს მშვიდობიანობა დაცულ-იქმნა იმდენად, რამდენადაც შესაძლებელი იყო იეზდიგერდის დროს.

მაგრამ აი რა ჰქნა თვით იეზდიგერდმა, ანუ რა მოსდა მის მოქმედებათა მეოხებით.

პირველი: 449 წელს ოსებმა, რომელთაც აღარად იცოდნენ ქართველთ ჯარების წასვლა, ისარგებლეს ამ შემთხვევით და საშინლად აიოხრეს ქართლი, თან წაიყვანეს ურიცხვი ტყვე, რომელთა შორისაც მოხვდა აგრეთვე მირდატის სამი წლის ასული. აქითგან ოსები შევიდნენ არანსა და ალვანიაში, აიოხრეს ეს ქვეყნები და დავლისტით თავის მხარეს დაბრუნდნენ.

მეორე: სხვა ქრისტიანე ხალხების ჯარებთან იეზდიგერდმა ამოსწყვიტა ქართველთ ჯარიც, რომელიც თითქმის ორ წლის განმავლობაში განსაკუთრებულ გამბედაობით ემსახურებოდა მის დროშას ჰუნნების წინააღმდეგ ომში,—ამოსწყვიტა იმისთვის, რომ იმათ ზოროასტრის სარწმუნოების მიღება უარყვეს.

და მესამე: იეზდიგერდმა არ დაუსწავლა ქრისტიანებს არავითარი სამსახური და 450 წელს მიანდო თავის ვეზირს, გაეგზავნა სომხებისათვის მიწერილობა და მით ვალად დაედვა მათთვის, აესრულებინათ მოგვების

სწავლის ძირითადი კანონები, რომელიც მიწერილობაში იყო გამოთქმული.

პატრიარქმა იოსებმა ამ შემთხვევის გამო მიიწვია არტაშადს კრება, რომელმაც ერთხმად უარი გამოუცხადა სპარსეთის ვეზირს. იეზდიგერდი ამით ფრიად გაჯავრდა, მოინდომა, ქრისტიანეთა ჯიუტობისათვის ბოლო მოეღო, დაიბარა თვის წინაშე საქართველოს, სომხეთის და ალვანიის პირველი დიდებულები და საშინელის ტანჯვით მოაკვლევინა მათ შორის ისინი, რომელთაც ქრისტეს სარწმუნოება უარყვეს.

იეზდიგერდის მიერ გამოგზავნილი მოგვები, მუბადის ბინქარის თაოსნობით, გატაცებით ქადაგებდნენ ცეცხლ-თაყვანის-ცემას; მეორე სპარსმა, სახელად მობიდჯალმა (ალბად ესეც მუბადი იყო), რომელსაც ქრისტიანობა მიეღო და საქართველოს არქიეპისკოპოსობა ეშოვნა, თავის ახალ წესების შემოღებით დაიწყო ეკლესიის წესდების დარღვევა. საქართველოს დაბალი ხალხი ფიქრობდა, რომ სარწმუნოების საფუძველი ეკლესიის გარეგან წესებში მდგომარეობდა და რაკი, ერთის მხრით, დაინახა ამ წესების სისუსტე და მეორე მხრით მოგვების მატყუარობითაც მოხიბლული იყო, ამიტომ თან-და-თან იწყო ქრისტიანობისაგან განდგომა. ამ ახალმა შიშის ზარმა დედოფალი აიძულა, მოეწვია საბერძნეთიდგან ერთი სწავლული ეპისკოპოსი, მიხეილი, და მისთვის დაევალებინა არქიეპისკოპოსის მოქმედებისა და მოძღვრების გასინჯვა. დედოფლისაგან გამხნევებულმა მიხეილმა დაუყოვნებლივ მიიწვია კრება, ამხილა მობიდაღს მისგან გავრცელებულ მოძღვრებების სიყალბე, ხელი აღებინა მას საეკლესიო მმართველობაზე და თვით ის შეაჩვენა, მისი თხზულებანი-კი ცეცხლში დასწვა. ამის შემდეგ საქართველოს ეკლესიის უფროსად მიხეილი დაინიშნა.

ყველა ამ უბედურებას, სპარსეთით მოვლინებულს, ზედ დაემატა კიდევ საბერძნეთის მხრით შეურაცხყოფა: დაახლოებით 452 წ. საბერძნეთის ჯარებმა დაიჭირეს აფხაზეთი, რომელსაც ისინი ძველადგანვე თავის ნებაზე პატრონობდნენ, და მასთან სამეგრელოს ნაწილიც ხელში ჩაიგდეს.

ამ გვარ მდგომარეობაში იყო საქართველო, რვა წლის გამგებლობაში, ვიდრე ვახტანგ ტახტზე ავიდოდა.

# ვახტანგ გორგასლანის დროიდამ ბაგრატიონთ გამეფებამდე

## XLIX. ომი ვახტანგ გორგასლანისა ჩრდილოეთის ხალხებთან

(თდ. ს. ბარათაშვილი—ისტორია საქართველოსი, II რვ., ნათარგმ. ს. ხუნდაძისა)

454 წელს, როდესაც ვახტანგს 15 წელი შეუსრულდა, თვით დაიწყო სამეფოს მართვა. ხალხის გადმოცემაში ამ შესანიშნავ მეფის სახელი ფარნავაზისა და მირიანის სახელებს ეთანასწორება, და ნაკლებად სახელოვანი არც მისი მოქმედებანი იქნებოდნენ, თუ რომ მის დროს ბევრად მეტი დამაბრკოლებელი გარემოება არ ყოფილიყო, ვიდრე ამათ დროს იყო. როდესაც ისტორია ხელს კიდებს დიდებულს მომქმედ პირების ეპოქის აწერას, თავის მოთხრობისათვის თხოულობს დაწვრილებით სასარგებლო ცნობებს. სამწუხაროდ, ვახტანგის ცხოვრებისა და მეფობის შესახებ ცნობები ისე ცოტაა და ბღაპრული, რომ ჩვენ არა გვაქვს ღონისძიება ამ პირობის საკმაოდ ასრულებისათვის; ხოლო მატიანისაგან ვიცით, რომ დაბადების შემდეგ ვახტანგ მამა-მისმა მირდატმა, ხალხის ძველ ჩვეულებისამებრ, მალე უცხო ხალხში მიაბარა. ეს ჩვეულება დღემდისაც არსებობს კავკასიის ბევრ ხალხებს შორის. მისი პირველი აღმზრდელი იყო ქართლის ერისთავი, საქართველოს სპასპეტი საურმაგი; ამის სიკვდილის შემდეგ მე-

ივის წლის აღზრდა იკისრეს ახალ სპასპეტმა ჯუანშერმა და მთავარეპისკოპოსმა მიხეილმა. ეს აღმზრდელები თავის მოწაფის ფიზიკურად განვითარებას და სამხედრო მეცნიერებაში მის განსწავლას ცდილობდნენ, მაგრამ ვახტანგისათვის უდიდესი სარგებლობა უნდა მოეტანა სპასალარისა და ეკლესიის უფროსის საუბარს ხალხის მრავალგვარს მძიმე უბედურებაზე და იმათ თათბირს იმ ზომების შესახებ, რომლებითაც შეიძლებოდა ამ გაჭირვებულ მდგომარეობისაგან ხალხის ხსნა.

ვახტანგ თვალად ლამაზი იყო, ტანად მაღალი და მაგარ აგებულებისა. მისი გამჭრიახი ჭკუაც გამოჩნდა ტახტზე მის ასვლის დროს. ამ სამეფო სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა, და იმ მოხსენებაში, რომლითაც ის მოექცა სპარსეთის წარმომადგენელს, ბინქარს. როდესაც ყველა იქ მყოფნი იდგენ, ვახტანგმა ის და არქიეპისკოპოსი მიხეილ, როგორც საქართველოს ორის უმთავრეს სარწმუნოების წარმომადგენელნი, თავის გვერდით დაისვა და ამასთანავე გამოუცხადა მათ რომ ოსების წინააღმდეგ უნდა გავილაშქროთ და ქართლის აოხრებისათვის მაგიერი გადავუხადოთ; ამასთანავე სთქვა, რომ გრძალვით უნდა მოვითმინოთ ის უბედურება, რომელიც საქართველოს შეემთხვა სპარსეთისა და საბერძნეთის მხრით, ვინაიდგან ის თვით ღმერთმა მოუვლინა ხალხს ცოდვების მიზეზით. მაგრამ, რამდენად ეს სიტყვები და საზოგადოდ მისი ყოფა-ქცევა გულ-წრფელი იყო, ამას ზემოთ ქვევით დავინახავთ.

ოსების წინააღმდეგ ლაშქრობის მზადება 455 წლის ბოლოს მოვიდა სისრულეში. სალაშქროდ გამოიწვიეს ყველა ის ხალხები, რომელთაც გამოეცხადათ მათთვის აოხრება, მათ შორის არანის სპარსელნიც. ყველანი გატაცებით მიისწრაფოდნენ ახალ-გაზრდა მეფის დროშებისაკენ. ჯარების კრება მუხრანის დიდ მინდორზე, მდინარე არაგვის ორივე ნაპირზე, იყო დანიშნული. დიდი ხანი იყო, საქართველოს ასე დიდი ლაშქარი არ ენახა. როცა ჯარების რაზმებს ათვალიერებდა, ვახტანგ აღტაცებაში მოვიდა იმათ აუარებელ რიცხვისა და საერთო მხნეობისა და მშვენიერი აღჭურვილობისა და სალაშქრო ნივთების სიმრავლის გამო.

დედოფალი, ვახტანგის დედა, უწინდებურად საქართველოს მმართველად დარჩა. აღთქმისამებრ ვახტანგმა შვიდ დღის განმავლობაში

იმარხულა და ილოცა; შემდეგ ჯარებს უბრძანა მთებით გამგზავრება და ისინი დაეშვენ დარიალის ხეობაში.

ამ ხეობის ნაპირები, თერგის ორივე მხრით, ეჭირათ ოსების და ხაზარების ბრბოებს, რომელნიც ქართველებს უდარაჯებდენ. ბრძოლა, ძველ ხალხების ჩვეულებისამებრ, ორთა ბრძოლით დაიწყო, რომელსაც ზედ ერთვოდენ სიმღერა საყვირების ხმასთან და დაფ-დაფების გრიალთან შეერთებული მოწინავეების კიჟინას. ბოლოს თვით ვახტანგმა ორი უპირველესი მეომარი, ხაზარი თარხან და ოსი ბაღათარ, დაა-ცა და ჯარებს წინ გაწევა უბრძანა. რაკი ოსები და ხაზარები მისდევ-რად გარეკეს, ვახტანგის ჯარებმა ცეცხლით და ხმლით დაუწყეს მუს-ვრა ყოველიფერს, რაც-კი იმათ საშინელ სრბოლას ეწინააღმდეგებოდა. ვახტანგ უკვე მიჰყვებოდა გაქცეულ ხალხებს და ამასობაში პეჭენეგე-ბის, ძლიერისა და დიდ-ძალ ხალხის, საზღვრებში შევიდა. დაიმორ-ჩილა ისინი, დიდი ხარკი გადაახდევინა და დაბრუნდა კავკასიისკენ. როცა ხელახლავ ხაზარების, ოსების და ადიგეების საზღვრები გამო-იარა, დაიბრუნა მათგან თავისი და და ყველა ტყვეები, რომელნიც მათ ქართლის აოხრების დროს წაიყვანეს; ამასთანავე გადაახდევინა ხარკად ცხენების და საქონლის აურებელი რიცხვი.—

ერთგულ მატიანეთა გარდა, ამ ბრწყინვალე ლაშქრობის შესახებ ამბობს აგრეთვე წარწერა, რომელიც აქამდის დარჩენილა ოსეთში, ეკ-ლესიის კედელზე, ნუზალში. ეს წარწერა მოწმობს, რომ მართლა ყოფილა ოსეთში ძლიერი მმართველი ბაღათარი, რომ მას ტყვედ წა-უყვანია ვახტანგ მეფის და და შემდეგ ამ მეფის ცბიერებას დაუღუ-პავს.

როცა ვახტანგ საქართველოს მოვიდა, უხვად დაასაჩუქრა ჯარე-ბი და დაითხოვა; ამას შემდეგ დაუყოვნებლივ გაუყო ალაფი და ტყვეები თავის ბიძას, არანის მმართველს, ვარაზ-ბაკურს და სპარსეთის მეფეს ორმიზდს, მემკვიდრეს იეზდიგერდისას, რომელიც 458 წელს მოკვ-და. სპარსეთის სასახლის ძღვენი მეტად ბინქარს გაატანა და მასვე მიანდო, მოეხსენებინა ორმიზდისთვის, რომ ვახტანგს მისი ასულის შერთვა სურდა. სპარსეთის მეფე ძლიერ კმაყოფილი დარჩა ვახტან-გისა და, რადგანაც მის გამარჯვებას პატივისცემით შეჰყურებდა, მისწე-

რა თავისი თანხმობა, და უწოდა მას „ათ მეფეთა შორის უდიდესად". (?)

ეს ქორწინება თავმდები იყო იმისა, რომ სპარსეთის მხრით შიში აღარ იყო და ამ გარემოებამ ქართველ ხალხის დაცემული სული აღადგინა: ახალ გამარჯვებამ წარსული უბედურებანი სრულიად დაავიწყა ერს.

---

## I. ომი ვახტანგ გორგასლანისა საბერძნეთთან

(იხ. ს. ბარათაშვილი—ისტორია საქართველოსი, II წგ., ნათარგმ. ს. ხუნდაძისა)

ჩრდილოეთის ხალხების წინააღმდეგ ლაშქრობის გათავების შემდეგ, ქართული მატიანე საბერძნეთის იმპერიასთან ომზე გადადის.

ვარაზ-ბაქარის მეფობის დროს, მე-IV საუკუნის ბოლოს, ბერძნები ცდილობდნენ, საქართველოზე გავლენა არ გაეშვათ ხელიდგან; ამ აზრით დაიპყრეს დასავლეთი საქართველო და მის მმართველად სავრომაკი დააყენეს. თუმცა სპარსმა სავრომაკი ბერძნების ჯარებიანათ განდევნა იქიდგან, მაგრამ შემდეგ ბერძნები მაინც არ ეშვებოდნენ კლარჯეთის, ოძრხის და წუნდის საერისთაოებს. დაახლოებით 452 წელს ვიღაც გუბაზმა (ალბად ერთი იქაურ ერისთავთაგანი იყო) მოინდომა მეფის ხარისხის შოვნა, ბერძნების შემწეობით სამეგრელოს ნაწილი დაიპყრა და განსაკუთრებული სამეფო დაარსა, რომელსაც ეწოდა სახელად ლაზების სამეფო. ამ ხარისხში გუბაზე დამტკიცდა ბიზანტიის სასახლისაგან და შემდეგში ისე გაძლიერდა, რომ სვანეთს თავს დაეცა.

ამასობაში ბერძნებმა სპარსეთის დასავლეთის ნაწილებს შიში მიაყენეს.

ორმუზდმა თავისი ასული ვახტანგს რომ მიათხოვა, შემდეგ იმისა ბევრ ხანს არ გაუვლია და ვახტანგს შეატყობინა სპარსეთის საზღვრებში ბერძნების შესევის განზრახვა და სთხოვა, დაესწრო მათ-

თვის და პირ-იქით შესეოდა. ეს რომ მართალი უნდა იყოს, იმისა-გან სჩანს, რომ ორმუზდს 458 წლიდგან მისი ძმის ფეირუზის აჯანყება აწუხებდა, და სხვის ვისი იმედი ექნებოდა, თუ არ თავის ძლევა-მოსილ სიძისა, რომელიც ბერძნებს კიდევაც ემდურებოდა, რადგანაც მათ სამეგრელოს ნაწილი დაიჭირეს და გუბაძესაც შემწეობას აძლევ-დენ.

კავკასიის ყველა ერნი: სომხები, ალვანიელები და ადრიბეჯანის სპარსელები ვასტანგის ხელქვეშ შეერთდენ. მეფემ კარიფსილის ციხეს მიმართა, გარშემოერტყა, მაგრამ იერიშით ვერ აიღო; ამიტომაც რა-მდენიმე ჯარი დატოვა მის მახლობლად, და თვითონ კი პონტისკენ გაემართა. გუბაძე 466 წელს დიდ საშიშროებაში ჩააგდეს,—ამიტომ ის კონსტანტინეპოლს წავიდა, ქართველებზე და სპარსელებზე საჩივარი შეიტანა და იმპერატორს ლეონ დიდს შემწეობა სთხოვა. გზა-გზა გარაივლიდამ ქალაქ კონსტანტინეპოლის ვასტანგმა აიღო: არზიანგორი, ეკლეცი და სტური. მაგრამ მისი სწრაფი მოძრაობა კონსტანტინის სი-მაგრეებმა შეაჩერა. როცა გარს შემოარტყა ჯარი, ვასტანგმა შენიშნა, რომ სპარსელები ეკლესიის მოსამსახურე პირებს ხოცავდენ და ქრის-ტიანეთა ტაძრებს შუსრავდენ. სასტიკად აღუკრძალა მკვლელობის და-ოხრების გაგრძობა და უბრძანა, რომ ყველა მღვდლები, რომელნიც ტყვეთ ჩაგივარდებათ, მე წარმომიდგინეთო. ამასობაში ბერძნებს მომ-ხმარე ჯარები თან-და-თან მალას უმატებდა: აუარებელი ლეგიონი გა-მოვიდა ზღვის ნაპირად ამ ქალაქის დასაცველად. ვასტანგმა დაინახა, რომ მისი გაჭირვება მატულობდა, გაანთავისუფლა დატყვევებული მღვდლები და ქალაქთან ზავის შესახებ გამართა მოლაპარაკება. ამ მო-ლაპარაკებაში დიდი მონაწილეობა მიიღო ქალაქის სამღვდელოებამ; თავის აზრებს ის სხვა-და-სხვა სიზმრებზე ამყარებდა და აღუთქვა ვას-ტანგს საბერძნეთთან მტკიცე ზავი, ბერძნებისაგან დაპყრობილის მის ადგილების დაბრუნება, იმპერატორ ლეონის ასულის შერთვა, თუ რომ გარშემორტყმაზე ხელს აიღებდა. ვასტანგ გაიტაცა სიზმრების წინასწარ-მეტყველებამ; მიიწვია სამხედრო რჩევა, ეს დაპირებანი მას დაუფარა და მოკავშირეებს წარუდგინა მრავალი დაბრკოლება, რომელიც ვითამ ადვილად გადაუჭრიდა მათ გზას საქართველოსა და სპარსეთისაკენ,—

ასე რომ ჯარების უფროსებს გარშემორტყმისათვის თავი დაანებებინა და სომხეთს უკან დაბრუნება ურჩია. ისინი დაეთანხმნენ და ხუთი დღის სავალზე უკან დაიწიეს. სიხარულით მოცულმა ქალაქ კონსტანტინეს მცხოვრებლებმა გაუგზავნეს ვასტანგს 1000 ლიტრა ოქრო და 500 თოფი ძვირფასი ფარჩა.

როცა იმპერატორმა გაიგო ვასტანგის ამ გვარი საქციელი, თავის მხრითაც მისცა სიტყვა სამღვდელოების დაპირების აღსრულებისა მხოლოდ იმ პირობით, რომ მეფეს მისთვის სპარსელები გაეცა. იმავე დროს ბერძნების ჯარებს უბრძანა, წინ წაიწიეთ და ვასტანგის ბანაკის პირის-პირ გაჩერდითო; ჩხუბი კი არ დაიწყოთ, ვიდრე განსაკუთრებულ განკარგულებას არ მოგასმენო. ბერძნებსა და ვასტანგს შორის ახალი მოლაპარაკება გაიმართა ამ პირობის შესახებ და, თუმცა, როგორც მემატიანეები გვარწმუნებენ, ვასტანგ სპარსელების გაცემას არ თანხმდებოდა, მაგრამ სპარსელების იჭვიანობამ და ცხადმა აჯანყებამ იქამდის მიიყვანეს, რომ, მეტი გზა არ ჰქონდა, მათ ნებაზე მიუშვა ისინი და ქართველი ჯარები მოაშორა. მაშინ ბერძნები თავს დაეცნენ სპარსელებს და სომხებს და თითქმის სრულიად ამოწყვიტეს. ვასტანგმა ბერძნების დაღალულობით ისარგებლა, შეიყვანა ჩხუბში თავისი მოსვენებული ჯარი და იმპერატორის ჯარები სრულიად დაამარცხა: ამით იმას ალბად უნდოდა, თავისი საქციელი გაემართლებინა სპარსეთის სასახლის წინაშე. ქართველებისაგან დევნილი ბერძნები ზღვის ნაპირისკენ გაიქცნენ და მხოლოდ ისინი გადარჩნენ, რომელთაც გემებში ჩაჯდომა მოასწრეს. ამ დროს პონტოს მივიდა ლეონ და, როცა ეს გარემოება შეიტყო, განცვიფრდა; მაგრამ იმ დროსვე ვასტანგისაგან წერილი მიიღო, რომელშიაც ის ბრძოლაში მოკლულს ბერძნების ჯარის უფროსს, პოლიკარპოსს, აბრალებდა ყოველივეს, და აცნობებდა მას ყველა ტყვეების განთავისუფლებას; იმპერატორი კმაყოფილი დარჩა და მოიწვია ვასტანგი ზავის შესაკრავად. ამ ზავის პირობით საქართველოს ყველა მისი მიწები დაუბრუნდა, გუბაზს იძულებულ იქმნა თავის ხარისხზე ხელი აეღო და კონსტანტინეპოლს წასულიყო; მოასდინეს ვასტანგის მიერ იმპერატორის ასულის დაუსწრებელი დანიშვნა, და აფხაზეთი მზითვად დაუ-

ნიშნეს იმპერატორის ასულს, როცა მას საქართველოს წამოიყვანდენ.

როდესაც ამ გვარად გაათავა საბერძნეთთან ომი, ვახტანგმა თავისი ჯარები სომხეთით გაგზავნა, და თვითონ-კი ახალ სამფლობელოების მოსაწყობად გაემგზავრა. ყველგან დანიშნა მმართველები, მოახდინა განკარგულებანი, რომელნიც შეეხებოდენ ხსენებულ სამფლობელოებში წეს-წყობილების დაფუძნებას, ციხეების განახლებას და მონასტრების აშენებას. შემდეგ ამისა უკანასკნელ გამარჯვებით განცხრომილი ვახტანგ თავის სატახტო ქალაქში დაბრუნდა.

---

## LI. ომები ვახტანგ გორგასლიანისა სპარსეთთან

(იხ. ს. ბარათაშვილი—ისტორია საქართველოსი, II რვ., ნათარგ. ს. ხუნდაძისა)

სპარსეთში მოკვდა ორმიზდი, ვახტანგის სიმამრი, და ტახტი ფიროზმა დაიჭირა. ამ გარემოებას თავის-თავად შეეძლო სპარსეთისადმი ქართველთ მეფის განწყობილების შესუსტება, თუ კი ეს განწყობილება მართლა არსებობდა როდისმე. მეორეს მხრით სპარსელებს არ შეეძლოთ ეპატიებინათ ვახტანგისათვის მისი ყოფა-ქცევა ბერძნებთან ბრძოლის დროს და მათთან დაახლოვება. მეფეს ყველა ეს კარგად ესმოდა და წინ-და-წინვე იცოდა, თუ ამისთანა ურთიერთობას რა შედეგი ექნებოდა, შეუდგა მზადებას საქართველოს დასაცველად. ყოველგან ციხეებს აშენებდა, მხედრებს დიდის მეცადინეობით იარაღს ურიგებდა და ციხეებში აყენებდა მეციხოვნების საკმაო რიცხვს. რამდენიმე წელი გავიდა ამ მზადებაში, მაგრამ სპარსელები ჯერ კიდევ არაფერს ამბობდენ: ნეფტალიტ-ჰუნნებთან ომი აჩერებდა მათ. როცა-კი ორმიზდის ასული ვაჟის დარჩილის მშობიარობის გამო მოკვდა და ვახტანგმა იმპერატორის ასულის შერთვის სურვილი გაამჟღავნა, მაშინ ბინქარმა და მოგვებმა, რომელნიც საქართველოში თავიანთ მომავალ მდგომარეობისათვის შიშობდენ, გამართეს სპარსეთის სასახლესთან საიდუმლო მიწერ-მოწერა; ისინი სთხოვდენ სპარსეთის ხელმწიფეს, შე-

მოესია ჯვარი საქართველოსათვის და ზოროასტრის სარწმუნოება იმ შერყეულ მდგომარეობიდამ გამოეხსნათ, რომელშიაც ის ამ ქვეყანაში დღითი-დღე უფრო-და-უფრო ვარდებოდა. ეს მიწერ-მოწერა გამოაშკარავდა, ბინქარი საპყრობილეში ჩააგდეს, მოგვები ყველანი განდევნეს და ცეცხლ-მსახურების ბომონები შემუსრეს.

ვასტანგს ესმოდა, რომ რამდენადაც ის თავის საქციელით სპარსეთს თან-და-თან უფრო-და-უფრო მტრულად ეპყრობოდა, იმდენად ფირუზის შურისძიებას უფრო-და-უფრო ამძვინვარებდა და თავის სამშობლოს დიდ განსაცდელს უმზადებდა. თავისი ძალ-ღონე რომ მტრის ძალ-ღონისთვის რამდენადმე მაინც შეეთანასწორებინა, ვასტანგმა სპარსეთის წინააღმდეგ სომხებიც გამოიწვია და საიმედოდ აღუთქვა მათ ჯუნღების დახმარებაც: ამ უკანასკნელთ მისთვის როდისღაც ფიცი მიეცათ და მით ვალდებულად გაეხადათ თავი პირველ მოწვევისათანავე მისდა საამსახუროდ მზად ყოფილიყვნენ. მაგრამ სომხები დიდხანს ყოყმანობდნენ, განსაკუთრებით მათი წინა-მძღოლი ვაჰან მამიკონიანი, რომელიც საიდუმლოდ ცეცხ-მსახურების მიმდევარი იყო. ბოლოს დროს იმანაც დაუთმო თავის თანამემამულეების უმეტესობის სურვილს: იმათ ერთმანეთს შეფიცეს, ან ერთიანად გავსწყდეთო და ან სპარსელთ მონებაში ცხოვრებისაგან თავი დავიხსნათო.

ვაჰანმა ომი დაიწყო იმით, რომ ანის ციხის კედლებთან სპარსელებზე გაიმარჯვა; შემდეგ დვინი აიღო, არტაშატს ჯვარი გარშემოარტყა და ბოლოს, სოფელ აქორის მახლობლად, რიცხვით 300 სომეხმა 7,000 სპარსელი დაამარცხა.

ლაზარე ფარპეცის და ეღიშეს მოწმობით, ვასტანგის ყოფაქცევისაგან ჩანს, რომ მას სრულიადაც არ სურვებია ომის დაწყება, არამედ სურდა მხოლოდ ძალ-ღონე მოემზადებია იმ შემთხვევისათვის, თუ რომ სპარსელები შემოესეოდნენ. სომხებმა კი მის სურვილს არ მიხედეს და მარტოდ მარტონი შეესიენ სპარსელებს და მალე, რამდენიმე უმნიშვნელო გამარჯვების შემდეგ, იგრძნეს, რომ იმდენად ძლიერნი არ იყვნენ რომ ქართველების დაუხმარებლად ისე განეგრძოთ ომი, როგორც დაიწყეს. ამ საფუძვლით ვასტანგს მოაგონეს მისი დაპირება და შეწყალება სთხოვეს. საქართველოს მეფეს ეძნელებოდა გადაწ-

უგეტა, თავისი პლანი უარ ეყო, თუ სომხებთან გავშირი გაეწყვიტა. ამასთანავე ჰუნნების ჯარები, რომელნიც მან მოიწვია, ჯერ კიდევ საქართველოს არ მოსულიყვნენ. თავის ყოყმანობის დასაფარავად სომხებთან მოლაპარაკება გამართა და შემდეგ გაგზავნა მათთან 400 ჰუნნი, რომელნიც ერთ თვეს შემდეგ უკანვე მოიწვია. სომხები-კი, როგორც ჩანს, შეშინდენ ამით, მიატოვეს თავიანთი საზღვრები სპარსეთის მხრით და წამოვიდენ დასავლეთს ევფრატის სათავეებისაკენ. ვასტანგმა რომ დაინახა, სომხებმა დასცალეს მთელი ის სივრცე, რომლითაც სპარსელებს საქართველოსთვის უნდა მოემართათ, სთხოვა მათ, მოშორდით მაგ ადგილს და გუგარქის მაზრაში შედით და იქ შეგვიერთდებითო. სომხები მივიდენ იქ, მაგრამ მინდვრად არ გამოდიოდნენ და მთების მახლობლად იყვნენ. ბოლოს, ვასტანგის დაჟინებულ მოთხოვნილებისა მებრ, გაჩნდენ იქ, სადაც საჩვენები ჰქონდათ, მაგრამ პირველვე ბრძოლაში სრულიად დამარცხდენ, და სპარსელების მრავალ-რიცხოვანმა ჯარმა, სომხეთის ნაწილის და ალვანიის აოხრების შემდეგ, საქართველოს მიმართა.

როცა სპარსელები საქართველოს უახლოვდებოდნენ, ვასტანგმა მაშინვე იმპერატორ ლეონს აცნობა ეს ამბავი და სთხოვა შემწეობა, მაგრამ ელჩებმა სატახტო ქალაქში ლეონს ვერ მიუსწრეს: ის ჰუნნებთან სალაშქრად წასულიყო. ამასობაში, სანამ გაგზავნილები იმპერატორთან მივიდოდნენ და სანამ იმპერატორი შემწეობის მიშველების განკარგულებას მოასდენდა, მტერი კიდეც შემოვიდა საქართველოში. სპარსელებს ამ ქვეყანაში, ყოველგან მლიერის მეციხოვნე ჯარებით გამაგრებულ ციხეებს გარდა, კიდევ ორი დიდი რეზერვი დაუხვდათ: ერთი მცხეთის მახლობლად იდგა, და მეორე-კი არმაზთან; ოთხ თვის განმავლობაში საითკენაც-კი მიიმართებოდენ, ყოველგან საშინელ წინააღმდეგობას შეხვდებოდენ ქართველების მხრით. ქართველთ რაზმები და უახლოეს ციხეების ჯარები სისწრაფით მიეშველებოდენ ხოლმე ერთმანეთს. ბოლოს ვასტანგმა იმპერატორისაგან წერილი მიიღო; იმპერატორი ამ წერილით აუწყობინებდა, 80,000 მომხმარე ჯარი გამოგიგზავნეო, და ამასთანავე ყველა მცხოვრებლებს, მელიტენიდგან დამოკიდებული ლაშდამდის და კარნუ-ქალაქამდის, ამ ომის გა-

მოესის ვარდ საქართველოსათვის და ზოროასტრის სარწმუნოებას იმ შერყეულ მდგომარეობიდამ გამოეხსნათ, რომელშიაც ის ამ ქვეყანაში დღითი-დღე უფრო-და-უფრო ვარდებოდა. ეს მიწერ-მოწერა გამოაშკარავდა, ბინქარი საპყრობილეში ჩააგდეს, მოგვები ყველანი განდევნეს და ცეცხლ-მსახურების ბომონები შემუსრეს.

ვახტანგს ესმოდა, რომ რამდენადაც ის თავის საქციელით სპარსეთს თან-და-თან უფრო-და-უფრო მტრულად ეპყრობოდა, იმდენად ფირუზის შურისძიებას უფრო-და-უფრო აძლიერებდა და თავის სამშობლოს დიდ განსაცდელს უმზადებდა. თავისი ძალ-ღონე რომ მტრის ძალ-ღონისათვის რამდენადმე მაინც შეეთანასწორებინა, ვახტანგმა სპარსეთის წინააღმდეგ სომხებიც გამოიწვია და საიმედოდ აღუთქვა მათ ჭირნახულის დახმარებაც: ამ უკანასკნელთ მისთვის როგორადაც ფიცი მიეცათ და მით ვალდებულად გაეხადათ თავი პირველ მოწვევისათანავე მისდა სასამსახუროდ მზად ყოფილიყვნენ. მაგრამ სომხები დიდხანს ყოყმანობდნენ, განსაკუთრებით მათი წინა-მძღოლი ვაჰან მამიკონიანი, რომელიც საიდუმლოდ ცეცხლ-მსახურების მიმდევარი იყო. ბოლოს დროს იმანაც დაუთმო თავის თანამემამულეების უმეტესობის სურვილს: იმათ ერთმანეთს შეფიცეს, ან ერთიანად გავსწყდეთო და ან სპარსელთ მონებაში ცხოვრებისაგან თავი დავიხსნათო.

ვახტანგმა ომი დაიწყო იმით, რომ ანის ციხის კედლებთან სპარსელებზე გაიმარჯვა; შემდეგ დვინი აიღო, არტაშატს ჯარი გარშემოარტყა და ბოლოს, სოფელ აქორის მახლობლად, რიცხვით 300 სომეხმა 7,000 სპარსელი დაამარცხა.

ლაშქარე ივარძელისა და კლიმეს მოქმობით, ვახტანგის ყოფა-ქცევისაგან ჩანს, რომ მას სრულიადაც არ სურვებია ომის დაწყება, არამედ სურდა მხოლოდ ძალ-ღონე მოემზადებია იმ შემთხვევისათვის, თუ რომ სპარსელები შემოესეოდნენ. სომხებმა კი მის სურვილს არ მიხედეს და მარტოდ მარტონი შეესიენ სპარსელებს და მალე, რამდენიმე უმნიშვნელო გამარჯვების შემდეგ, იგრძნეს, რომ იმდენად ძლიერნი არ ყოფნენ რომ ქართველების დაუხმარებლად ისე გაეგრძელოთ ომი, როგორც დაიწყეს. ამ საფუძვლით ვახტანგს მოაგონეს მისი დაპირება და შემწეობა სთხოვეს. საქართველოს მეფეს ეძნელებოდა გადაწ-

ყვეტა, თავისი ძალანი უარ ეყო, თუ სომხებთან კავშირი გაეწყვიტა. ამასთანავე ჭუნების ჯარები, რომელნიც მას მოეწვია, ჯერ კიდევ საქართველოს არ მოსულიყვნენ. თავის ყოყმანობის დასაფარავად სომხებთან მოლაპარაკება გამართა და შემდეგ გაგზავნა მათთან 400 ჭუნნი, რომელნიც ერთ თვეს შემდეგ უკანვე მოიწვია. სომხები-კი, როგორც სჩანს, შეშინდნენ ამით, მიატოვეს თავიანთი საზღვრები სპარსეთის მხრით და წამოვიდნენ დასავლეთის ევფრატის სათავეებისაკენ. ვასტანგმა რომ დაინახა, სომხებმა დასტოვესო მთელი ის სივრცე, რომლითაც სპარსელებს საქართველოსთვის უნდა მოემართათ, სთხოვა მათ, მოშორდით მაგ ადგილს და გუგარქის მაზრაში შედით, და იქ შევიერთდებითო. სომხები მივიდნენ იქ, მაგრამ მინდვრად არ გამოდიოდნენ და მთების მახლობლად იდგნენ. ბოლოს, ვასტანგის დაჟინებულ მოთხოვნილებისა მებრ, გაჩნდნენ იქ, სადაც ნაჩვენები ჰქონდათ, მაგრამ პირველსვე ბრძოლაში სრულიად დამარცხდნენ, და სპარსელების მრავალ-რიცხოვანმა ჯარმა, სომხეთის ნაწილის და ალვანიის აოხრების შემდეგა საქართველოს მიმართა.

როცა სპარსელები საქართველოს უახლოვდებოდნენ, ვასტანგმა მაშინვე იმპერატორ ლეონს აცნობა ეს ამბავი და სთხოვა შემწეობა, მაგრამ ელჩებმა სატახტო ქალაქში ლეონს ვერ მიუსწრეს: ის ჭუნებთან საომრად წასულიყო. ამასობაში, სანამ გაგზავნილები იმპერატორთან მიდიოდნენ და სანამ იმპერატორი შემწეობის მიშველების განკარგულებას მოახდენდა, მტერი კიდეც შემოვიდა საქართველოში. სპარსელებს ამ ქვეყანაში, ყოველგან ძლიერის მეციხოვნე ჯარებით გამაგრებულ ციხეებს გარდა, კიდევ ორი დიდი რეზერვი დაუხვდათ: ერთი მცხეთის მახლობლად იდგა, და მეორე-კი—არმაზთან. ოთხი თვის განმავლობაში საითკენაც-კი მიიმართებოდნენ, ყოველგან საშინელ წინააღმდეგობას შეხვდებოდნენ ქართველების მხრით. ქართველთ რაზმები და უახლოეს ციხეების ჯარები სისწრაფით მიეშველებოდნენ ხოლმე ერთმანეთს. ბოლოს ვასტანგმა იმპერატორისაგან წერილი მიიღო; იმპერატორი ამ წერილით ატყობინებდა, 80,000 მომხმარე ჯარი გამოგიგზავნეო, და ამასთანავე ყველა მცხოვრებლებს, მელიტენიდგან დამოკიდებული ლამდამდის და კარნუ-ქალაქამდის, ამ ომის გა-

თავ ბამდის სრულიად შენ გიმორჩილებო. ეს რომ ფირუზმა შეიტყო, იმანაც გამოუგზავნა ვახტანგს წერილი, რომელშიაც ზავის შეკვრის წინადადებას აძლევდა იმ პირობით, რომ საქართველოში ხელახლად აღედგინა ცეცხლ-მსახურება. რაკი ვახტანგმა ეს პირობა უარყო, სპარსეთის მეფემ საჩუქრები და ძვირფასი გვირგვინი გაუგზავნა და მიიწვია ზავის შესახებ მოსალაპარაკებლად. ეს გვირგვინი ყეისმა ალბად ქართველ მეფის დამოუკიდებლობის ნიშნად გამოგზავნა. ვახტანგმა გვირგვინი მიიღო და თავის მხრით გაუგზავნა ფირუზს 500 მონა, 1000 მხევალი, 500 თოფი ძვირფასი ფარჩა და მრავალი სხვა განძი; შემდეგ წავიდა ყეისის სანახავად და თან იახლა თავისი დიდებულები და ბერძნების სარდალი ლეონ ანტიპატრიკი.

ეს ნახულობა იმით გათავდა, რომ საქართველომ და სპარსეთმა შეკრეს ერთმანეთ შორის ზავი, რომლის ძალითაც საქართველო პოლიტიკის და სარწმუნოების მხრით სპარსეთისგან დამოუკიდებელ სამეფოდ აღიარებულ იქმნა; და მეფეების შორის მეგობრობის სიმტკიცისათვის ფირუზი ვახტანგის დაზე დაქორწინეს. მაგრამ ვახტანგს უნდოდა, ეს პირობები უზრუნველ-ეყო სხვა-და-სხვა შემთხვევით უკმაყოფილებისაგან, რომელიც შეიძლება მომხდარიყო სპარსეთსა და საბერძნეთის იმპერიას შუა; ამიტომ იშუამდგომლა იმპერიის საზღვრების განახლება ნიზიბისის ხელშეკრულობის ძალით, რომელიც 296 წელს დიოკლეტიანემ და სპარსეთის მეფემ ნარცეზმა მოახდინეს. ფირუზმა, ყველას სასიხარულოდ, მიიღო ვახტანგის შუამდგომელობა, და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ხელახლად ჩამოვარდა მშვიდობიანობა. თავის მხრით ქართველთ მეფე ვალდებული გახდა, სპარსეთს წასულიყო და ფირუზს დახმარებოდა ინდოეთის ლაშქრობაში, რომლისათვის სპარსეთის ხელმწიფე მაშინ ემზადებოდა.

რაკი ვახტანგმა საქართველოს ყველა მისი მიწები დაუბრუნა, მისი დამოუკიდებლობა აღადგინა და სპარსეთსა და საბერძნეთთან შეკრული პირობები ორივე ხელმწიფოს მბრძანებლებთან ნათესაობრივ კავშირით გაამაგრა—შემდეგ ამისა თავისი სახელმწიფო ათ საერისთოდ გაჰყო. ამ საერისთოების მართვა საქართველოს უპირველეს დიდებულთ მიანდო, რომელთაც ჩრდილოეთის ხალხებთან, ბერ-

ძნებთან და სპარსელებთან ომებში სახელი გამოიჩინეს [1]; მას შემდეგ ვახტანგი მოემზადა იერუსალიმს გასამგზავრებლად, საიდგანაც სპარსეთს უნდა წასულიყო ყეინის მისახმარებლად ინდოეთის წინააღმდეგ. რადგანაც საქართველოს დიდხნით ტოვებდა, ვახტანგმა თავის მცირეწლოვან შვილს დაჩის უკურთხა გვირგვინი, მიანდო იმაზე ზრუნვა ერისთავებს, გამოეთხოვა მათ, გაემგზავრა და თან წაიყვანა 10,000 რჩეული ჯარი. იერუსალიმიდგან ვახტანგ სპარსეთს მივიდა და მონაწილეობას იღებდა ინდოსტანის სხვა-და-სხვა ხალხებთან ომში. იმ სიმდიდრეს შორის, რომელიც სპარსელებმა და ქართველებმა ამ ქვეყანაში მოიპოვეს, ალბად აბრეშუმის ჭიის თესლიც იყო; ამისი ხმარება საქართველოში იუსტინიანე დიდის დროის ბევრად უფრო ადრე იცოდენ, და ევროპაში კი აბრეშუმის მოყვანა იუსტინიანე დიდმა გაავრცელა.

როცა ვახტანგი სპარსეთიდამ დაბრუნდა, საქართველოს მართვას ისევ ხელი მიჰყო და მის განკარგებაზე ზრუნავდა; იმას უნდოდა თავის სამეფო სრულიად დამოუკიდებელი გაეხადა და ეკლესიაზედაც უცხოელთ ყოველივე გავლენა მოესპო: ამიტომ თავისთვის საკუთარი დამოუკიდებელი პატრიარქობა დააწესა. საქართველო თორმეტ ეპარქიად დაჰყო, პატრიარქის უმთავრეს ზედამხედველობით, და საბერძნეთიდგან მისთანა სასულიერო პირნი დაიბარა, რომელნიც ეკლესიის უფროსობის და ეპარქიის მღვდელ-მთავრობის ღირსნი იყვნენ. სასულიერო პირნი რომ საქართველოს მოვიდენ, თან მოიყვანეს იმპერატორის ლეონის ასული ელენე.

ამავე ხანებში სირიიდგან მოვიდა ცამეტი ბერი, ეგრეთ წოდებულნი სირიელნი მამანი.—ეს ბერები თავიანთ ქადაგებით და წმიდა ცხოვრებით მთელ საქართველოში ავრცელებდენ სარწმუნოებრივ განა-

[1] ქართლი სპასპეტ ჯუანშერს დაუტოვა, კახეთი და კუხეთი დიმიტრის მიანდო, ერეთი—გრიგოლს, ხუნანი—ნერსარანს, სამშვილდე—ადარნასეს, სამეგრელო და სვანეთი—სამანგარს, მარგვი და ტაშკვერი—ბაკურს, კლარჯეთი—არტავაზს, წუნდა—ნასარს და ოძრხე—ბიგრიტიანს.

თლჲებას და ისე განამტკიცეს სარწმუნოება, რომ მას შემდეგ ცეცხლ-მსახურების ყოველგვარი წინააღმდეგობა ამაოდ რჩებოდა.—

ამ გვარად, როცა ვახტანგმა საქართველო პოლიტიკურად ფრიად მაღლა დააყენა, შემდეგ თავის მეფობის დანარჩენი დრო ქალაქების აშენებას, ტაძრების აგებას და საზოგადოდ ქვეყნის გამშვენიერებას მოანდომა. მისს ამისთანა შესანიშნავ მოქმედებათა რიცხვს ეკუთვნის მცხეთის საპატრიარქო ეკლესიის და ქალაქ ტფილისის დაფუძნება. გარდმოცემა ამბობს, რომ იქ, სადაც ახლა ტფილისი არის, იმ დროს შეუვალი ტყეები იყო, და ერთხელ ვახტანგმა, როცა ამ ტყეებში ნადირობდა, თავისი ქორი ხოხობს მიუტივა, და ქორი და ხოხობი ხევში დაიმალენო. მეფე და მისი ამალა ხევისკენ გაექანნენ და ნახეს, რომ ქორი და ხოხობი მიმდინარე ცხელ წყალში მოხარშულიყვნენ. ის ადგილები რო დაათვალიერა და ამ წყაროების სარგებლობა რომ ასწონა, მეფემ ბრძანა, იქ ქალაქი აეშენებინათ; ამ ქალაქს, იქაურ წყლების თვისების გამო, სახელად ტფილისი დაერქვა.

როცა ამ საქმეებში იყო ვახტანგი გართული და წარსულთან აწმყოს შედარებით სრულის სიმართლით შეეძლო ეფიქრა, რომ ჩემის მოღვაწეობით საქართველოს მშვიდობიანი მომავალი გაუმზადეო, სწორედ ამ დროს თურმე სვე-ბედი საიდუმლოდ მრავალს ახალ განსაცდელს უმზადებდა ამ სამეფოს, და მალეც იხილა თავი ამ განსაცდელმა.

როდესაც ვახტანგი ტფილისის გაშენების საქმეში იყო გართული, შეატყობინეს, რომ სპარსეთის ახალ ხელმწიფისგან ელჩები მოვიდნენო. ეს იყო დაახლოვებით 499 წელს. ამ დრომდის, როგორც საბერძნეთში, ისე სპარსეთშიც ბევრი ცვლილება მოხდა; ჩვენთვის ფრიად საჭიროა ვიცოდეთ, რომ საბერძნეთში, ლეონისა და მის მემკვიდრის ზენონის სიკვდილს შემდეგ, 491 წლიდგან იმპერატორად მართლმადიდებლობის მტერი ანასტასე იყო, სპარსეთში კი 485 წლიდგან პალაშის მემკვიდრე, ფეროზის შვილი კობადი მეფობდა, რომელიც სპარსეთის ძველ ძლიერების აღდგენას ცდილობდა. კობადმა ძლევა-მოსილობით თუ ცბიერობით მოიმხრო ჰუნნები და არაბები და მოსთხოვა ვახტანგს, საბერძნეთის წინააღმდეგ შემიერთდიო. როდე-

მაც კობადის ელჩებმა ფრიად მეგობრულის და პირმოთნე სიტყვებით ეს ვახტანგს გამოუცხადეს, ვახტანგმა უთხრა მათ: „თქვენი მეფის თხოვნა მესმის; მას უნდა, რომ მე გავუღესო იარაღი, რომლითაც ჭსურს უფრო ადვილად ჩემივე დამარცხება. უთხარით მას: ჯერ პირ-და-პირ ჩემზე მოვიდეს, და მერმე საბერძნეთს მიმართოს."

ვახტანგმა ელჩები გაისტუმრა და, რადგან იცოდა, რომ კობადი ფრიად დიდი მომზადებული იყო საჩხუბრად, და იმედი არა ქონდა, რომ ქართველები შეიძლებდენ თავიანთ ქალაქებში და ციხეებში გამაგრებას,—ამიტომ ბრძანა, ციხე-ქალაქები მიეტოვებინათ და კავკასიის მთებში და კახეთის შეუვალ ტყეებში შეეფარათ თავი. ჯარები თავისთან დაიტოვა და ერისთავების ჯუანშერ და ადარნასეთურით უჯარმოზედ გაჩერდა; ერისთავებს დიმიტრის, ნერსეს და ბივრიტიანს-კი მცხეთის დაცვა მიანდო. ეს განკარგულება რო მოასწრო, იმავე დროს იმპერატორ ანასტასეს ელჩის პირით შეატყობინა თავისი გასაჭირი.

კობადი საქართველოს შემოესია. დაიჭირა ქიზიყი, ალაზნიდელი სიღნაღის მაზრა; მისმა რაზმებმა აიღეს სიმაგრეები: ჭერემის-ციხე და ველის-ციხე, და სპარსელთ უმთავრესი ჯარები-კი იორზე დაბანაკდენ. ვახტანგი დარბაზის ციხესთან გაჩერდა, მტრის თვალწინ. აქ მოხდა გაცხარებული ბრძოლა და სისხლის ღვრა, რომელიც, მატიანეთა ჩვენებით, სამ დღეს გაგრძელდა და რომელშიაც ორივე მხრით მრავალი დაიხოცა. ერთ ღამეს, როცა ჯარები შესვენებული იყვნენ, ვახტანგმა კათალიკოსი პეტრე მიიწვია თავისთანა და აცნობა, რომ კობადი მარტო ხარკის დასადებად კი არ შემოგვესევია, არამედ საქართველოში ცეცხლ-მსახურების გავრცელება სწადიანო, და ამიტომ მე გადავწყვიტე, ან გავიმარჯვო, და ან გავსწირო ჩემი თავი და მთელი ჩემი ჯარი ქრისტეს სარწმუნოებისათვისაო. ეს განზრახვა ძრიელ მოეწონა მღვდელ-მთავარმა, და მისის სიტყვებით გამხნევებული ვახტანგი მეორე დღეს გათენებისას და სისწრაფით თავს დაეცა სპარსელების ბანაკს და თვით კობადის კარვამდე ისეთის სიჩქარით მივიდა, რომ იქ მიუსწრო მის შვილს, რომელიც იმ ალიაქოთში დროზე ვერ გამოსულიყო გარეთ. ვახტანგმა ის მოკლა, მაგრამ იმავე წუთს თვითონ მძიმედ დასჭრეს ისრით გულში. გაცხარებული ბრძოლა მუა-

თღუებას და ისე განამტკიცეს სარწმუნოება, რომ მას შემდეგ ცეცხლ-მსახურების ყოველგვარი წინააღმდეგობა ამაოდ რჩებოდა.—

ამ გვარად, როცა ვახტანგმა საქართველო პოლიტიკურად ფრიად მაღლა დააყენა, შემდეგ თავის მეფობის დანარჩენი დრო ქალაქების აშენებას, ტაძრების აგებას და საზოგადოდ ქვეყნის გამშვენიერებას მოანდომა. მისს ამისთანა შესანიშნავ მოქმედებათა რიცხვს ეკუთვნის მცხეთის საპატრიარქო ეკლესიის და ქალაქ ტფილისის დაფუძნება. გარდმოცემა ამბობს, რომ იქ, სადაც ახლა ტფილისი არის, იმ დროს შეუვალი ტყეები იყო, და ერთხელ ვახტანგმა, როცა ამ ტყეებში ნადირობდა, თავისი ქორი ხოხობს მიუტევა, და ქორი და ხოხობი ხევში დაიმალნენ. მეფე და მისი ამალა ხევისკენ გაექანნენ და ნახეს, რომ ქორი და ხოხობი მიმდინარე ცხელ წყალში მოხარშულიყვნენ. ის ადგილები რო დაათვალიერა და ამ წყაროების სარგებლობა რომ ასწონა, მეფემ ბრძანა, იქ ქალაქი აეშენებინათ; ამ ქალაქს, იქაურ წყლების თვისების გამო, სახელად ტფილისი დაერქვა.

როცა ამ საქმეებში იყო ვახტანგი გართული და წარსულთან აწმყოს შედარებით სრულის სიმართლით შეეძლო ეფიქრა, რომ ჩემის მოღვაწეობით საქართველოს მშვიდობიანი მომავალი განუმზადეო, სწორედ ამ დროს თურმე სვე-ბედი საიდუმლოდ მრავალს ახალ განსაცდელს უმზადებდა ამ სამეფოს, და მალეც იჩინა თავი ამ განსაცდელმა.

როდესაც ვახტანგი ტფილისის გაშენების საქმეში იყო გართული, შეატყობინეს, რომ სპარსეთის ახალ ხელმწიფისგან ელჩები მოვიდნენო. ეს იყო დაახლოვებით 499 წელს. ამ დრომდის, როგორც საბერძნეთში, ისე სპარსეთშიც ბევრი ცვლილება მოხდა; ჩვენთვის ფრიად საჭიროა ვიცოდეთ, რომ საბერძნეთში, ლეონისა და მის მემკვიდრის ზენონის სიკვდილს შემდეგ, 491 წლიდგან იმპერატორად მართლმადიდებლობის მტერი ანასტასე იყო, სპარსეთში კი 485 წლიდგან ბალაშის მემკვიდრე, ფეროზის შვილი კობადი მეფობდა, რომელიც სპარსეთის ძველ ძლიერების აღდგენას ცდილობდა. კობადმა ძლევა-მოსილობით თუ ცბიერობით მოიმხრო ჭუნნები და არაბები და მოსთხოვა ვახტანგს, საბერძნეთის წინააღმდეგ შემიერთდიო. როდე-

საც კობადის ელჩებმა ფრიად მეგობრულის და პირმოთნე სიტყვებით ეს ვასტანგს გამოუცხადეს, ვასტანგმა უთხრა მათ: „თქვენი მეფის თხოვნა მესმის; მას უნდა, რომ მე გავულესო იარაღი, რომლითაც ჰსურს უფრო ადვილად ჩემივე დამარცხება. უთხარით მას: ჯერ პირ-და-პირ ჩემზე მოვიდეს, და მერმე საბერძნეთს მიმართოს.“

ვასტანგმა ელჩები გაისტუმრა და, რადგან იცოდა, რომ კობადი ფრიად დიდი მომზადებული იყო საჩხუბრად, და იმედი არა ქონდა, რომ ქართველები შეიძლებდენ თავიანთ ქალაქებში და ციხეებში გამა-გრებას, — ამიტომ ბრძანა, ციხე-ქალაქები მიეტოვებინათ და კავკასიის მთებში და კახეთის შეუვალ ტყეებში შეეფარათ თავი. ჯარები თავის-თან დაიტოვა და ერისთავების ჯუანშერ და ადარნასეთურით უჯარმო-ზედ გაჩერდა; ერისთავებს დიმიტრის, ნერსეს და ბივრიტიანს-კი მცხეთის დაცვა მიანდო. ეს განკარგულება რო მოახდინა, იმავე დროს იმპერატორ ანასტასეს ელჩის პირით შეატყობინა თავისი გასაჭირი.

კობადი საქართველოს შემოესია. დაიჭირა ქიზიყი, ახლანდე-ლი სიღნაღის მაზრა; მისმა რაზმებმა აიღეს სიმაგრეები: ჭერმის-ცი-ხე და ველის-ციხე, და სპარსელთ უმთავრესი ჯარები-კი იორზე დაბა-ნაკდეს. ვასტანგი დარპაკის ციხესთან გაჩერდა, მტრის თვალწინ. აქ მოხდა გაცხარებული ბრძოლა და სისხლის ღვრა, რომელიც, მატიანე-თა ჩვენებით, სამ დღეს გაგრძელდა და რომელშიაც ორივე მხრით მრავალი დაიხოცა. ერთ ღამეს, როცა ჯარები შესვენებული იყვნენ, ვასტანგმა კათალიკოსი პეტრე მიიწვია თავისთანა და აცნობა, რომ კობადი მარტო ხარკის დასადებად კი არ შემოგვესევია, არამედ საქარ-თველოში ცეცხლ-მსახურების გავრცელება სწადიანო, და ამიტომ მე გადავწყვიტე, ან გავიმარჯვო, და ან გავსწირო ჩემი თავი და მთელი ჩემი ჯარი ქრისტეს სარწმუნოებისათვისაო. ეს განზრახვა ძრიელ მოუ-წონა მღვდელ-მთავარმა, და მისის სიტყვებით გამხნევებული ვასტანგი მეორე დღეს გათენებისას და სისწრაფით თავს დაეცა სპარსელების ბანაკს და თვით კობადის კარვამდე ისეთის სიჩქარით მივიდა, რომ იქ მიუსწრო მის შვილს, რომელიც იმ ალიაქოთში დროზე ვერ გამოსულიყო კარვით. ვასტანგმა ის მოკლა, მაგრამ იმავე წუთს თვი-თონ მძიმედ დასჭრეს ისრით გულში. გაცხარებული ბრძოლა შუა-

დღემდე გაგრძელდა, და, თუმცა სპარსელები რიცხვით ბევრად მეტი იყვნენ, მაგრამ მაინც დამარცხდნენ და იძულებული შეიქმნენ რუსთავისკენ გაბრუნებულიყვნენ. გამარჯვებულებს აუარებელი ნადავლი დარჩათ.

მაგრამ, რაკი შეიტყეს ვახტანგი მძიმედ დაჭრილიაო და ქართველ ჯარების წინამძღოლობაზე ხელი აიღოო, სპარსელები ხელახლად გამხნევდნენ და ქართველებს თავს დაესხნენ. ისინი გავიდნენ მდინარე მტკვარში, დააქციეს ახლად მოშენებული ტფილისი, ძველი ქალაქი არმაზ-ციხე ნანგრევებად აქციეს და დაიჭირეს ქართლი, გარდა მცხეთისა, რომელიც გმირულად დაიცვეს ერისთავებმა დიმიტრიმ, ნერსემ და ბივრიტიანმა. ვახტანგის ჭრილობა-კი, ქართველთ საუბედუროდ, სასიკვდილო აღმოჩნდა. ვახტანგმა დასწერა ანდერძი, ტახტი დარჩილს დაუტოვა და მოკვდა 499 წელს. ეს გმირი საერთოდ იგლოვეს ყველა ქართველებმა და, ღრმა მწუხარების ნიშნად, თავზე ფერფლი და ნაცარი დაიყარეს, და შემდეგ მისი გვამი, „ქ-ცხოვრების" მოწმობით, მცხეთის ტაძარში დამარხეს და მის საფლავს ქვა დაადვეს, რომელზედაც მისი ნამდვილი სახე იყო გამოხატული.

თავის ანდერძში ვახტანგი ქართველებს თხოვდა, მტკიცედ მდგარიყვნენ ქრისტეს სარწმუნოებაზე, მისი შთამომავლობა არ დაევიწყებინათ და საბერძნეთის სახელმწიფოსთან კავშირი დაეცვათ. მეფის უფლება და ხარისხი თავის უფროს შვილს, დარჩილს, გადასცა; ამასთანავე თავის ორ შვილს, ლეონს და მირდატს, რომელნიც მეორე ცოლის, ელენეს, ხელში შეიძინა, დაუნიშნა მზრუნველებად ერისთავები ართავაზი, ნასარი და ბივრიტიანი და დაუტოვა მაზრები: ტაშისკარი, წუნდა და აფხაზეთი. ამ ორს შვილსაც მიანიჭა ერისთავების ხარისხი და დაუმორჩილა ისინი დარჩილს და იმის შთამომავლობას.

## LII. საქართველოს და სპარსეთის ურთიერთი დამოკიდებულება მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში

*(M. Brosset—Additions et éclaircissements à l' histoire de la Géorgie)*

სპარსელები თავის ხელმწიფის იეზდიგერდ II-ის დროს ძლიერ სდევნიდენ სომხებს. ამას შედეგად მოჰყვა ომები სპარსელებსა და სომხებს შორის. ამ გარემოებამ გავლენა იქონია საქართველოზედაც. საქართველოს ერმა სომხეთის სამღვდელოების და თავადების მწუხარებაში მონაწილეობა მიიღო. სპარსელები აწამებდენ სომხეთის სამღვდელოებას და თავადებს ქრისტეს სჯულისადმი ერთგულებისათვის. საქართველოს ერი, ალვანიელებთან ერთად, გზავნიდა თავის ეპისკოპოსებს და დიდებულებს, ხან სპარსეთის ხელმწიფის კარზე, და ხან მონაწილეობის მისაღებად იმ ომში, რომელსაც ვართანიანთ ომს უწოდებენ, და აგრეთვე გზავნიდა თავის ჯარებს, რომელნიც სომხებთან ერთად იბრძოდენ. ეს ამბები მოხდა ვახტანგის ყმაწვილობის დროს ჲ, თუმცა ამ ამბებს სრულებით არ იხსენიებს საქართველოს მემატიანე, მაგრამ იმათ სინამდვილეზე შეუძლებელია ეჭვი შევიტანოთ, რადგან ეს ამბები დიდის დაწვრილებით აგვიწერა ორმა თანამედროვე სომხის ისტორიკოსმა ლაზარ ფარპელმა და ეღიშემ, რომელნიც თვით იყვნენ მომქმედნი პირნი მათ მიერ მოთხრობილ დრამისა. ამასთანავე მათმა სამღვდელო ღირსებამ უნდა იხსნას ისინი, თუ გადამეტების ეჭვისაგან არა, სიცრუის შეწამებისაგან მაინც.

იეზდიგერდი მონდომებული იყო სომხეთში და საქართველოში მოესპო ქრისტეს სჯული, მაგრამ ამისთვის თავ-და-პირველად მხოლოდ მრუდე საშუალებას ხმარობდა და არა პირ-და-პირ მოქმედობდა. თავის ხელმწიფობის მეხუთე წელს, რომელიც უდრიდა 444 წ. ქრ. აქედ, იეზდიგერდმა გამოაცხადა ომი წინააღმდეგ კუშუნებისა ანუ ჰეფტალიტებისა და ამისათვის მოიწოდა თავის დროშათა ქვეშ, როგორც სპარსელები, ისე ქრისტიანები და სხვებიც.— შემდეგ ორი წლის ბრძოლისა, სპარსეთის ხელმწიფე დარწმუნდა, რომ იმდენად ვერ იმარჯვებდა, რამდენადაც იმედი ჰქონდა და ამიტომ ქრის-

ტიანეპის დამხმარი ჯარები დაითხოვა, მაგრამ მათ მაგიერ სხვები გამოიწვია; ასე გაგრძელდა ექვსი წელი, ვიდრე 450 წელს სრულიად არ გაიმარჯვა და არ დაბრუნდა თავის სახელმწიფოში. მეორე წელიწადს გაილაშქრა იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელსაც ეღიშე უწოდებს იტალიკან-ს, ბალხის მხარეზე, და იქ თავის ჯარებს ამოაწყვეტინა ერთი ნაწილი ქართველების, სომხების და ალანების ცხენოსანი ჯარისა, რომელნიც აღიარებდენ ქრისტეს სჯულს და იბრძოდენ მის დროშათა ქვეშ. მისი ბრძანებითვე სხვებიც დახოცილ იქმნენ, ვინც-კი უარყო ცეცხლ-მსახურების აღსარება; დასასრულ, სპარსეთის ხელმწიფემ არავითარი წვალება არ დაზოგა ქრისტიანებისათვის, რადგან მოწადინებული იყო სჯული შეეცვლევინა მათთვის.

მე არ შევუდგები დაწვრილებით აღწერას ამ დევნისას, რომლის შესახებ ქართველებს თვალსაჩინო ადგილი არ ეჭირათ; მხოლოდ ვიტყვი, რომ 450 წელს ვეჭ-მირ-ნერსემ, იეზდიგერდის პირველმა მინისტრმა, გაუგზავნა სომხებს ბრძანება, რომელშიც გამოცხადებული იყო ძირითადი დოგმატები ცეცხლ-მსახურებისა. ამ ბრძანებაზე პასუხი მისცა თვრამეტმა ეპისკოპოსმა, რომელთაც მოახდინეს კრება არტაშატში.—იეზდიგერდი გააბრაზა სომხეთის დიდებულების და სამღვდელოების პასუხმა, და მაშინვე დაიბარა თავის წინაშე წარჩინებულნი სამის ერისა: სომხეთისა, საქართველოსი და ალვანიისა, და ეს წარჩინებულნი მივიდნენ სპარსეთში აღდგომის კვირის შაბათს.—იეზდიგერდმა უბრძანა მათ ცეცხლ-მსახურების სარწმუნოება მიეღოთ. უმრავლესობა დათანხმდა გარეგნობით და იდუმალ-კი ღვთის წინაშე აღთქმა დასდვეს, რომ ხელახლავ აღვიარებთო ქრისტეს სჯულს, როგორც-კი ამ ნაირის ხერხით სამშობლოში დაბრუნებას შევიძლებთო. ესეთი იყო ერთ-რიგი სვინიდისის დამშვიდება, რომელიც ჩვეულებრივი გახდა საქართველოში და სომხეთში, მეტადრე მუსულმანთა ბრძანებლობის დროს. ამის გამო მძევლებმა ნება მიიღეს დაბრუნებულიყვნენ თავიანთ საჴლ-ში, გარდა აშუშასი და ვაზგენისა (სომხეთის წარჩინებულებისა). ხოლო სპარსეთის ხელმწიფემ ხელ-ახლავ გაილაშქრა კუშუნების წინააღმდეგ, და ვიდრე ის იქიდამ დაბრუნდებოდა, სომხეთი ქრისტეს სჯულს დაუბრუნდა, აჯანყდა იეზდიგერდის წინააღმდეგ და შემწეობა

სთხოვა იმპერატორ თეოდოსე მცირეს, რომელიც ამასობაში მოკვდა. მარკიანემ [მისმა მემკვიდრემ] კი უარი უთხრა შემწეობისა.

ეს ამბავი რომ გაიგო დერბენდის ჩრდილოეთით მდებარე ჯ ო რ ი ს ციხის მოურავმა, გასწია ალვანიისაკენ, გაიარა ეს ქვეყანა, გავიდა მტკვარში, ხალ-ხალის ქალაქის პირის-პირ, მაგრამ დამარცხებულ იქმნა სომხების მიერ ვართანის წინამძღოლობით. მოურავი გაიქცა და მივიდა ლოპნას მდინარის პირად; ლიფსნელი მეფის ძმა ვურკი, რომელსაც ეწირა სპარსელების მხარე, მოჰკლეს მეორე შეტაკებაში, იმ მდინარის მახლობლად. ვართანმა აიღო ის ციხე, რომელიც იეზდიგერდმა ააშენა ჯ ო რ ი ს გასავალზე, და გახდა მპყრობელი ამ ადგილებისა: ეს ციხე ჩააბარდა ვინმე ვართანს, რომელიც იყო ალვანიის სამეფო გვარისა. ამის შემდეგ სომხების ჯარის წინამძღოლმა ვართანმა შემწედ მოიწვია ჰუნები, რომელნიც ცხოვრობდნენ კასპის ზღვის ჩრდილო-დასავლეთით. ჰუნები მიემხრნენ ქრისტიანებს.

სპარსეთის ხელმწიფემ, რომელიც დამარცხებულ იქმნა კუშუნებისაგან, მხოლოდ 450 წ. ზამთარში გაიგო თავის ჯარის სომხეთშიც დამარცხება და გადასწყვიტა ჯერ-ჯერობით დაეცლია ქრისტიანებისათვის. მაგრამ, როცა გაიგო, რომ მარკიანემ შემწეობის უარი უთხრა სომხებს, მაშინ იეზდიგერდი გამხნევდა და გაგზავნა სომხების წინააღმდეგ ახალი ჯარი. ამ ჯარმა ერთს დიდ შეტაკებაში, რომელიც მოხდა შაბათს წმიდა სულის მოფენის წინ, 451 წ., სრულიად დაამარცხა სომხები, რომელთაც ვართანის მოკვლით სამუდამოდ დაუკარგა იმედი.

ამ გამარჯვების შემდეგ სპარსეთის ხელმწიფემ მესამე ჯერ დაიბარა სომხეთის აზნაურობა და სამღვდელოება მორიგების ჩამოსაგდებად. მაგრამ უმეტესი ნაწილი იმ სამღვდელო პირთა დაჰხოცეს 31 ივლისს 454 წ. ხორასანში, ნიუშაპუჰს ქალაქის მახლობლად მინდორზე: ამ შემთხვევას უწოდებენ წ მ ი დ ა ლ ე ვ ო ნ დ ი ა ნ თ ა მ ო წ ყ ვ ე ტ ა ს ა. ასე უწოდეს მღვდლის ლევონდის გამო, რომელმაც ყველაზე მეტი ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინა მოკლულთა შორის. პირველად მოჰკლეს სუნის მთავარი ვასაკი. ვასაკს, თუმცა სპარსელების სჯული ჰქონდა მიღებული, მაგრამ დასაჯეს იმიტომ, რომ ბოროტ-მოქმედება შეამჩნიეს საქმეების

წარმოებაში. ვინც-კი გადარჩა სიკვდილს, ზოგიერთებმა თავის უფლებაც იშოვნეს, მაგრამ სომხეთში დაბრუნების ნება უმრავლესობამ მიიღო მხოლოდ 464 წ., სპარსეთის ხელმწიფის ფირუზის დროს. დაბრუნებულთა შორის იყო ვაზგენი, რომელმაც მიატოვა ქრისტეს სჯული და მეტად ერთგულებდა ცეცხლ-მსახურებას. თავის ცოლიც [შუშანიკიც] უნდოდა თავის ახალ სჯულზე მოექცია, მაგრამ ცოლი ეწინააღმდეგებოდა და ამიტომ ქმარი ძლიერ სასტიკად ეპყრობოდა მას. ცოლმა ქმრისაგან წვალება ველარ აიტანა და მოკვდა 458 წ., ე. ი. იეზდიგერდის მემკვიდრის, ორმიზდას, ხელმწიფობის პირველ წელს. სომხები და ქართველები წმიდად ჰხადიან ამ ქალს. ლაზარ ფარბელი და ჩვენი მოგვითხრობენ, რომ ივერიის მეფემ, ვახტანგმა წმ. შუშანიკის სიკვდილი აზღვევინაო ვაზგენს, რომელსაც გამოუცხადაო ომი და ამ ომში მოჰკლაო იგი ფირუზის ხელმწიფობის 15 წელსა, ე. ი, სენ-მარტენის ქრონოლოგიით 476 წელსა.

ამ დევნას და ბრძოლას მოჰყვა სომხეთისათვის ხანა მშვიდობისა რომლის განმავლობაში მაინც მრავალმა სომეხმა ცეცხლ-მსახურების სარწმუნოება მიიღო. მცირე ხნის შემდეგ ფირუზმა ხელახლად განიზრახა კუშანების წინააღმდეგ გალაშქრება. ამასობაში ფირუზმა გაიგო, რომ ვახტანგმა, საქართველოს მეფემ, ვაზგენი მოჰკლაო და სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყდაო, ამიტომ უბრძანა სომხებს ვახტანგის წინააღმდეგ გალაშქრებულიყვნენ. სომხებმა განიზრახეს მიმხრობოდენ თავის თანა მორწმუნეებს. მაგრამ სომხების წინამძღოლი ვაჰან მამიკონიანი, ძმის წული ზემოდ ხსენებულის ვართანიანისა, დიდხანს ყოყმანობდა და ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო: ერთი რომ ქრისტეს სჯული მიტოვებული ჰქონდა, და თუმცა გულით-კი უნდოდა ხელახლად გადმოსულიყო ქრისტეს სჯულზე, მაგრამ მეორეს მხრით ეშინოდა, ვაი თუ ამ გზით ახალ განსაცდელში ჩავაგდო ჩემი ერიო, რომელსაც ძლიერი დამხმარებელნი არა ჰყავსო; ერთის მხრით ბერძნების ვერაგობა და მეორეს მხრით ქართველების სისუსტე, რომელთაც ძლივს მცირეოდენი ცხენოსანი ჯარის გამოყვანა შეეძლოთ, და ამას თანავე ის გარემოება, რომ ნამდვილად ვაჰანი არ იყო დარწმუნებული, თუ ჰუნები დაეხმარებოდენ სომხებს მამაცის ვახტანგ მეფის და-

პირობისამებრ,—კვლა ამ მიზეზების გამო ვაჰანი ვერ ბედავდა აჯანყე-ბულიყო სპარსეთის წინააღმდეგ. ბოლოს, როგორც იყო, დაეთანხმა თავის თანა-მემამულეთა სურვილს, და ყველანი შეიკრიბნენ შირაკის მაზრაში და დაიფიცეს სახარებაზე, რომ გავსწყდეთ და სპარსელების მორჩილებას აღარ დავუბრუნდეთო. ალვანია-კი უკვე რამდენიმე წე-ლიწადი აჯანყებული იყო და ამ ქვეყნის მეფემ, ვაჩემ, თავის ბიძას ფეიროზს გამოჰგლიჯა ნება დარჩენილიყო თავის სარწმუნოებაზე და ქვეყანა თავისი სამკვიდრო-საბრძანებელი. ამ გვარად ორივე მხარე, ქრი-სტიანები და სპარსელები, თითქმის თანასწორნი იყვნენ. პირველად გაიმარჯვა ვაჰანმა ანის ციხე-ქალაქთან, საიდგანაც განდევნა მარზპანი ატრვეშნასპი და მხედართ-მთავარი ვეჰ-ვეჰნამი და ყოველივე მათი ბარგი დაატოვებინა. შემდეგ ამისა ვაჰან მოვიდა დოვინში, გარს შე-მოარტყა ჯარი არტაშატს, სადაც შეხიზნულიყვნენ მტრები. ისინიც გამორეკა აქედამ და აიძულა გადასულიყვნენ არტაპატაკანს. დასასრულ, მესამე შეტაკებაზე აკორის სოფლის მახლობლად შვიდი ათასი სპარ-სელი გასწყვიტა სამასმა სომეხმა და სპარსელი გარსპანიტ მოჰკლეს. ყოველივე ეს მოხდა 481 წელს. ამ გამარჯვებით გამხნევებულმა სომ-ხებმა მოსთხოვეს საქართველოს მეფეს, რომ, დაპირებისამებრ, შემო-გვიერთდი და გამოგვიგზავნეო ჰუნების ჯარი დასახმარებლად. მეფემ-კი, ვინ იცის, რა მიზეზის გამო, ჯერ მოციქულობა გააგრძელა, მერ-მე, თუმცა 400 ჰუნი გამოგზავნა, მაგრამ, გაატარეს თუ არა ამათ ერ-თი თვე საზამთრო ბანაკად, მაშინვე უკან დაიბარა, ისე რომ სომხე-ბი თავის თავის ანაბარად დარჩნენ, მაგრამ მაინც გაიმარჯვეს კიდევ ნერსეჰ-აპატის სოფლის მახლობლად, არტაზის მაზრაში.

ამ გამარჯვებათა შემდეგ, სომხებმა დაისვენეს მალკოტნის მაზ-რაში, ვარშაკის ტფილ წყლების მახლობლად, ეფრატის სათავის მი-დამოში. ამ დროს მეფე ვახტანგმა მოციქულები გამოუგზავნა და სთხო-ვა, მიატოვეთ მაგ ადგილი და მომეშველეთო. სპარსელების ჯა-რი შემოვიდა საქართველოშიო, უთვლიდა ვახტანგი, და მე მაიძულეს სომხეთის მთებში შევხიზნულიყავიო და იქ მიგელოდებითო. ამასთა-ნავე ვახტანგმა დაიბარა ჰუნები და იმათ მოსვლამდე არ აპირებდა ბრძოლის დაწყებას. ვახტანგს ისე ბლომად დაებარებია ჰუნები, რომ

ალბად ის განზრახვაც კი ჰქონდა, რომ მარტო ისინი მიუშვა სპარსელებთან საბრძოლველად. სომხებმა უარი ველარ შეუთვალეს ვახტანგს, რადგან შეფიცებულნი იყვნენ, შემწეობა აღმოეჩინათ ქართველებისათვის; მოვიდნენ და დაბანაკდნენ კანგარკის მაზრაში, რომელიც იყო გუგარენის ნაწილი, მტკვრის სამხრეთად. აქ მეფემ გამოუცხადა სომხებს, რომ ორს თუ სამს დღეში შემწე ჰუნები მოვლენო. რვა დღეც გავიდა და ჰუნები არსად სჩანდნენ და ვახტანგმა შეატყობინა სომხებს, რომ სპარსელების სარდალი მიჰრანი ალვანიის მთებში შეიხიზნაო. ამასთანავე ვახტანგმა თავის ჯარიდგან გაგზავნა რამდენიმე კაცი მთებში და უბრძანა მათ, მთებზე ცეცხლი აენთოთ და აგერ-ეგერ ჯოხებზე წამოეცვათ ჯარის კაცების ტანისამოსი, რომ სომხებისათვის ეჩვენებინათ, ვითომ შემწე ჯარი მოვიდაო. მაგრამ ამასთანავე სომხებს შეუთვალა, რომ ჰუნები მანამდი არ მოვლენო, ვიდრე თქვენ მინდვრად არ ჩამოხვალთ და ნამდვილ წინააღმდეგობას არ გამოუჩენთ სპარსელებსაო. თუ კი ჰუნები არ მოვლენო, ესეც კი დასძინა ვახტანგმა, ივერიას სპარსელები გაანადგურებენო. თუმცა სომხები ეჭვის თვალით უყურებდნენ ვახტანგის მოქმედებას და ამასთანავე გული უგრძნობდათ, რომ ივარსაგი არა სდებოდა, მაგრამ მაინც ჩამოვიდნენ ჯარმანის მინდორზე. ასეთი მოქმედება საქართველოს მეფისა აფიქრებინებდა ყველას, რომ იგი იდუმალ სპარსელების მომხრე იყო და ამით სომხების დაღუპვა უფრო უნდოდა, ვიდრე გამოხსნა თავის ქვეყნისა, საიდგანაც, როგორც აღმოჩნდა, სპარსელები უკვე წასულიყვნენ. ვაჰანის ჯარების ერთი ნაწილი, თუმცა უკუიქცა, მაგრამ ეს სარდალი მაინც შეეტაკა მტერს: ვახტანგი და იმისი ჯარი მარცხენა მხარეზე იყვნენ დამდგარი; ხოლო იმ დროს, როცა მარჯვენა მხარი და შუაგული ჯარი, რომელთაც წინამძღოლობდნენ თავადნი კასსარაკანები, სასწაულებრივს მამაცობას იჩენდნენ, ივერიელები და მათ რაზმში მყოფი სომხები გაიქცნენ ყვირილით: „თავს უშველეთო“! სომხები, რასაკვირველია, დამარცხდნენ და ვაჰანი შეიხიზნა ტაიკში: ეს მოხდა გაზაფხულს 482 წელს. ვითამ სომხების გასამხნევებლად ვახტანგმა მარზიელებს და მქადაგებლებს ხმა გაავრცელებინა, რომ მარზპანი და საჰაკ ბაგრატიონი და სარდალი ვასაკ მამიკონიანი, ძმა ვაჰანისა, არ

მოუკლავთ ბრძოლის ველზედ. ამ ხმამ, რომელიც ქალებმა კიდევ უფრო გაავრცელეს, რწმუნება მოიპოვა ჯარში; ვაჰანმა, თუმცა კი დარწმუნებული იყო თვითონ ხსენებულ გვამთა სიკვდილში, მაგრამ მაინც გაგზავნა ერთი ნაწილი თავის ჯარისა საქართველოში დასარწმუნებლად, რომ ვასაკი და საჰაკი იქ იმყოფებოდენ; ამასობაში მეორე სარდალი სპარსეთისა, ზარჰმიჰრ-ჰაზარავუხტი თავს დაეცა იმ სომხებს, რომელნიც დოვინში დარჩენ ვაჰანთან, და ისე საშინლად დაამარცხა, რომ ვაჰანმა ძლივს თავს უშველა. ეს მოხდა 483 წლის დასაწყისს.

ფირუზი, რომელმაც დააპირა ხელახლად გალაშქრება ჰუნების წინააღმდეგ ჰირკანიაში, უკმაყოფილო იყო ვახტანგისა, რადგან შეამჩნია ორ-პირობა. ამიტომ ფირუზმა გაგზავნა ჰაზარავუხტი ალვანიისაკენ და უბრძანა, რომ საქართველოში გაევლო და ვახტანგი ან მოეკლა და ან გაეძევებინა საქართველოდამ. სპარსეთის სარდალმა თავის მხრით ყოველივე ზომა მიიღო, რომ როგორმე ხელში ჩაეგდო საქართველოს მეფე, მაგრამ ვახტანგი ძლიერ ფრთხილად იყო. როდესაც-კი ერთმა ნაწილმა შემწე ჯარისამ სომხებისამ მიატოვა საქართველოს მეფე და სპარსელებისაკენ გადავიდა, მაშინ ვახტანგი წავიდა სამეგრელოში. ჰაზარავუხტმა მაშინ მიატოვა საქართველო და სპარსეთის ხელმწიფე ისე იყო სხვა საქმეებში გართული, რომ თავისი განზრახვა საქართველოს შესახებ ველარ შეასრულა. ფირუზის მემკვიდრემ ვალარშმა დაიპყრო სომხეთი და ამას მოჰყვა შედეგად ივერიის და ალვანიის დაპყრობაც.

## LIII. წამება და ღვაწლი წმ. რაჟდენისა

(„მამათა-ცხოვრება", ხელნაწერი შიო-მღვიმის მონასტრისა)

ქვეყანასა ამას ჩვენსა პირველად ამან [რაჟდენ] განუღო კარი წამებისა შემდგომთა მისთა მოწამეთა და პირველად ამან დასთხია სისხლი და ექმნა მიზეზი სხვათაცა ახოვნებისა და სიქველისა; რამეთუ

პირველ ამის ნეტარისა არავისი სმენილ არს მარტვილობაი ქვეყანასა ამას საქართველოსასა. ესე ექმნა წინამძღვრად მოწამეთა, რამეთუ ამან რა იღვაწა ქრისტესთვის ღვაწლი იგი უკვდავებისა, შემდგომად მისსა უძლეველმან მან მეფემან ვახტანგ, რამეთუ მანცა გვირგვინი მოწამობისა შეიმოსა ხელითა უღმრთოთა სპარსთათა ქრისტესთვის და სჯულისა მისისათვის. მერმე შემდგომად მცირედისა მოსვლასა მას ყრუსასა ორთა ძმათა მთავართა მათ არგვეთისათა, დავით და კოსტანტინე, ახოვნებაი სრული აჩვენეს და გვირგვინოსან იქმნეს მოწამობითა, მერმე შემდგომად დიდმან მეფემან არჩილ და ესრედ შემდგომითი შემდგომად მოწამენი მრავალნი, მეფენი და მთავარნი, გამობრწყინდეს, არა ხოლო თუ ესე ვითარნი მხნენი მამაკაცნი, არამედ დედანიცა, უძლურნი მდედრნი ბუნებითა ახოვან იქმნეს და ბუნებაი იგი უძლური დაივიწყეს და ფიცხელთა და სასტიკთა სატანჯველთა უშიშად შეჰკადრეს, და არათუ უნდოთა ვიეთმე და მდაბიურთა, არამედ დედოფალთა და პალატსა შინა სამეფოსა მყოფთა. დამაკლებს მე ჟამი ესე აღრიცხვად სიმრავლესა მათსა, რომელნი გამობრწყინდეს შემდგომად წმიდისა ამის მოწამისა, რომელნი აღწერილ არიან წიგნსა შინა უწყებისა მათისასა და ჩვენდა საცნაურ ქმნილ არიან.

იყო ესე სამ გზის სანატრელი, ვითარცა ძველნი მატიანენი გვაუწყებენ, ნათესავით სპარსი, დიდთა და დიდებულთა მთავართაგანი და საკუთართა შორის სპარსთა მეფისათა წარჩინებულ და ჰსჯულითა იყო იგი ცეცხლის მოსავ და მსახურ მზისა და მთოვარისა. რომელსაც არწმუნეს ასული მეფისა აღსაზრდელად, რამეთუ წესი იყო მაშინ სპარსთა შორის, ვითარცა ჩვენ ქართველთა შორის, რომელსა მამა მძუ-ძედ უხმობდეს და დიდად რადმე პატივად ანიჭებდეს, ესე ვითართა საქმეთა მთავართა და დიდებულთა თვისთა.

მას ჟამსა დიდმან მეფემან ვახტანგ ინება მზახლობაი სპარსთა მეფისაი, და მოსთხოვა ცოლად ასული იგი, რომლისადა მამა მძუძე ქმნილიყო სანატრელი იგი, და ოდეს ქმნეს ქორწილი და მოიწვენეს ქართლად, თანა ჰყვა ნეტარიცა ესე და მეფემან ვახტანგ დიდითა პატივითა და შემსგავსებულითა არზანგითა *), ვითარ ჰშვენოდა მთავ-

---

*) ანუ არძანაგი—საჴდომელი პატივი, საუფროსო უფლება.

რობასა მისსა, ეგრეთ ჰპატივ სცა ნეტარსა მას და დიდნი სოფელნი და აგარაკნი მიანიჭა და საკუთარ და თანამზრახველ თვისსა ჰყო იგი და არა მხოლოდ ოდეს მთავრებრივისა და დიდებულებისა მისისა შე-სატყვისობისათვის; არამედ სიკეთისა და სათნოებათა მისთა ღირსები-სათვის, რამეთუ ჯერეთ მამულით ჰსჯულითა მყოფი არა უდარეს ნა-თელ დებულთასა იქცეოდა, რამეთუ ყოვლითა სათნოებითა შემკულ იყო, რომელსა გვასწავებს სახარებისა ჰსჯული, სიმართლითა და ჭე-შმარიტებითა, მოწყალებებითა და სიმდაბლითა და სიმშვიდითა და სხვი-თა ყოვლითა სათნოებითა, რომელი საყვარელ და სათნო არს ღვთი-სა, ამისთვის საყვარელ იყო ყოველთა მიერ და უფროსად მეფისა მიმართ აქვნდა საკუთრებაი ესე ოდენთა კეთილთა მისთათვის. არამედ ფრთხილ იყო და მახვილიცა გონებითა ნეტარი რაჟდენ. იხილა რაი წესი ქრისტიანობისა და სარწმუნოება მტკიცე და სჯული ქართველთა, იწყლა გული მისი სიყვარულითა ქრისტესითა და ცეცხლებრ მოწ-ყინარე იყო სარწმუნოებისათვის და სუროდა ნათლისღებისათვის, რო-მელი იგი პირველვე განათლებულ იყო საქმეთა მიერ კეთილთა და აღბეჭდულ ღვთის მსახურებითა.

ფხედას ზედან მივალნ იგი ეკლესიად და ისმენნ სიტყვათა სა-ღმრთოთა და ქადაგებათა სჯულისათა; და პირველ ნათლის-ღებისა, ვითარცა ვსთქვუ, არა უდარეს გამოჩნდა იგი აღრითგან ნათელღებულ-თასა; ხოლო ნათელ იღო რაი, უმეტესად წარემატა სათნოებითა და მის ზედა მოივენილი იგი მადლი სულისა უმსურვალესად აღატ-ყინა მის შორის, რამეთუ მარადის გამოიკვლევდა ცხოვრებასა წმიდა-თასა და უფროსად მოწამეთათვის სურვიელ იყო და ნატრიდა ცხოვ-რებასა მათს და აღსასრულსა მათსა.

ხოლო ოდეს მიშვებითა ღვთისათა აღდგეს სპარსნი ქრისტია-ნეთა ზედა და აღიძრნეს ურიცხვითა მხედრებითა, რამეთუ დიდი იყო მაშინ ბრძოლაი და დაუცხრომელი მტერობაი ქრისტიანეთა ზედა და უფროსად ბერძენთა მიმართ; ხოლო ჩვენ ქართველთა მომართ ამის-თვის, რამეთუ ეძვინებოდა ჩვენი ბერძენთა მიმართ სიყვარული და ერთობა, და ესე იყო ნება მათი, რათა ჩვენცა მათთანა მტერ ვექმნეთ ბერძენთა.

მაშინ აღლაშქრეს, ვითარცა ვსთქუ, მეფემან სპარსთაგან ურიცხვითა მჴედრობითა და დიდითა ძალითა თვისითა, პირველ მოიწივნეს საზღვართა ქართლისათა და ენება დამორჩილება მათი, რათა ესენიცა თანა წარიტანოს, ხოლო ქართველთა ესე არა ენება და არცა მიერთნენ, არამედ შეივლტოდეს ციხეთა და ქალაქთა შინა, რამეთუ მაშინ ბერძენნი უცალო იყვნეს და ვერ ეძლო შეწევნა ქართველთა. მაშინ მეფემან ვახტანგ განამაგრა ციხენი და ქალაქნი და თვით დადგა მცხეთასა, სამეფოსა მას ქალაქსა შინა. მოვიდეს სპარსნი და აღავსეს ქართლი სპითა სიმრავლითა და გარე მოიცვეს მცხეთა. ხოლო განიყვნეს იგინი; რამეთუ ზოგნი დადგეს ავჭალას, ზოგნი—საქულბაქეს, დიღომით კერძო, და უმრავლესი მჴედრობაი—მუხრანით კერძო და მიდა ქართლს, იმიერ და ამიერ მტკვრისა; და იყო მიმდემი *) ბრძოლაი და ურთიერთარს კვეთებაი, რამეთუ გამოვიდიან მცხეთით რჩეული მხედრები და დაუცხრომელად ებრძოდიან და ზოგჯერ სძლევდენ სპარსთა და მშვიდობით შემოიქციან ქალაქად და ზოგჯერ იძლინიან ქართველნი და მოსვროდეს მათ მიერ და გაგრძელდა ბრძოლა იგი ვიდრე ოთხ თვემდე.

დღესა ერთსა, ჩვეულობისამებრ, განვიდა წმიდა რაჟდენ ბრძოლად, რამეთუ იგი უმეტეს სხვათა ქართველთასა უმხურვალეს ებრძოდის სიყვარულისათვის ქრისტესა, რამეთუ იყოცა წმიდა ესე ახოვან წყობათა შინა და გამოცდილი და რჩეული მებრძოლი, რამეთუ, მრავალგზის განსრული და მძლე ქმნილი ძალითა ქრისტესითა, ძლევა შემოსილი უვნებელად შემოიქცის.— კვალად განვიდა არმაზით კერძო და ბრძოლა ჰყო მათდა მიმართ. ხოლო იგინი მარადის უმზირდეს და ენება ცოცხლივ შეპყრობა მისი, რამეთუ დიდად ძლევად შეერაცხა შეპყრობაი მისი ცოცხლივ, რამეთუ ემვინებოდა მათ ქრისტიანობაი მისი და მამულისა სჯულისა დატევებაი და ახოვანებისა თვისცა მისისა ენება ხელთ გდება მისი. ცნეს რა სპარსთა მუნ დაბანაკებულთა, მზირ **) ჰყვეს იმიერ და ამიერ და გზისა სივიწროთა ველარა ეძლო პირის-პირ შეტევებაი და შეიპყრეს სანატრელი იგი მხედარი ქრის-

*) ყოველდღიური, განუწყვეტელი.—**) უდარაჯებდენ.

ტესი და შეკრული წარუყვანეს წინაშე სპარსთა მეფისა. ხოლო სცნა რა მეფემან შეპყრობაი წმიდისა რაჟდენისი, განიხარა ფრიად, ვითარმცა სრულიად მძლე ქმნილ იყო ყოველთა წინააღმდგომთა თვისთა; და ვითარცა წარადგინეს წინაშე მისსა, იხილა იგი მეფემან და ეტყოდა მხიარულითა პირითა: გიხაროდენ მხნეო, რაჟდენ! მშვიდობა შენდა, სადა უკვე იყავ ესოდენთა ამათ ჟამთა? რასათვის უარ გიქმნიეს მამული სჯული და შედგომიხარ ჰსჯულსა უცხოსა, რომელი არა განსწავეს მამათა შენითა და ბრწყინვალისა მზის წილ და ცეცხლისა და სხვათა მათ მნათობთა, მსახურებ ჯვარცმულსა კაცსა, რომელი ურიათა მოაკვდინეს და შენ იგი ღვთად შეგირაცხიეს? ანუ არა ესე ყოველი ესრეთ არსა?

ხოლო წმიდამან მიუგო: „ჰე ჭეშმარიტად ეგრეთ არს, ვითარცა სთქვი, მეფეო, რამეთუ მე ქრისტიანე ქმნილ ვარ და დამიტევებიეს მამული უღმრთოება და არღარა თაყვანისვცემ ცეცხლსა შემწველსა, არცა მზესა კაცთათვის სამსახურად დაბადებულსა, არამედ ღმერთსა ცხოველსა, რომელმან ჰქმნა ცანი და ქვეყანა და ყოველნი, რაი არს მათშინა ხილულნი ანუ უხილავნი, რომელსა აქვს უკვდავება, და მკვიდრ არს იგი ნათელსა შინა თვალ შეუდგამსა, რომელი იგი არავინ იხილა, ვერცა ხილვად შემძლებელ არს; ესე არს ღმერთი ჩვენი, რომელსა მე შევემცნე, სამ-გვამოვნებით დიდებული და ერთ ღვთაებით აღსარებული, რომელი უკანასკნელთა ამათ ჟამთა მოვიდა ხსნისათვის კაცთა ნათესავისა ერთი წმიდისა სამებისაგანი, ხორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩვენ შორის და იქმნა მსგავს კაცთა, თვინიერ ცოდვისა და ყოველივე განგებულება ცხოვრებისა ჩვენისა აღასრულა, და უკანასკნელ ჯვარსა ეცვა და მოკვდა ბუნებითა ჩვენითა, და ჩვენ უკვდავება მოგვანიჭა და დაეფლა და აღდგა მესამესა დღესა და ამაღლდა ზეცად მიუნვე წიაღთა, ვინა იგი გარდამოხდა და მჯდომარე არს მამისა თანა, და კვალად მოველით დიდებითა ღვთივ შვენიერითა მაცხოვრად მორწმუნეთა მისთა და დასჯად მათდა, რომელთა არა რწამს ღვთაება მისი“.

ესე რა წარმოსთქვა ქრისტეს მოწამემან ბრწყინვალითა ხმითა, დიდთა მათ თვის საიდუმლოთა მოკლითა სიტყვითა, აღივსო გულის

წყრომითა დაუშურომელითა მძლავრი იგი, არამედ ჯერედ ჰგმობდაყე *) და სიმშვიდესა იხემბდა, ჰგონებდა ნუ უკუჱ ნიჭთა და პატივთა მიერ შეუძლოს მიქცევაი მისი, პირველისავე უსასურებისა მიმართ და მორწილებაა ბრძანებისა მისისა ჲ ეტყოდა კვალად: „ისმინე, რაჟდენ, და დაუტევენ უსმარნი ეგე სიტყვანი და ერჩდი ბრძანებათა ჩვენთა და მიგანიჭნეთ პატივნი და დიდებანი უფროის პირველისა და გყოთ თანა ზიარ დიდებისა ჩვენისა და იყო საკუთარ მეგობარ და საყვარელ ჩვენდა და, უკეთუ ესე არა ჰყო, სიკვდილითა მწარითა და სატანჯველითა მრავალ ფერითა მოგაკვდინოთ შენ“.

მაშინ მოწამემან მცირედ განიღიმა, ესმნეს რაი სიტყვანი ესე მეფისაგან. მიუგო ჲ რქვა: „რაი არიან ნიჭნი ჲ პატივნი შენნი, მეფეო, არა საწუთროონი არიანა და მსგავსად სიზმისა განქარვებადნი და აჩრდილებრ წარმავალნი, რამეთუ ვითარცა კვამლი განქარდების და ვითარცა მტვერნი განიბნევის, რამეთუ მიწანი ვართ და მიწადვე მივიქცევით, ხოლო სული უკვდავ არს.—ხოლო უკეთუ მოვკვდე ქრისტესთვის, უკვდავ ვიქმნე საუკუნოდ და მისთანა ვსუფევდე და მისთანაცა ვიდიდო დიდებითა დაუსრულებელითა. ესე არს განზრახვა ჩემი უცვალებელი და თქვენ, რაიცა სათნო არს თქვენი, იგი ჰყავთ, არა რომელთა სახითა ვერჩდე ბრძანებასა შენსა“.

მაშინ უმეტესითა გულის წყრომითა აღივსო მეფე იგი უსჯულო და უბრძანა წინაშე მდგომელთა, რათა სცენ პირსა მისსა ძლიერად და სცემდენ უწყალოდ ესე ოდენ, ვიდრე კბილთა სრულად შემუსრვადმდე; რამეთუ განირყვნა და შეიმუსრა პირი მისი და აღმოფხვრნეს კბილნი მისნი და აღივსო ადგილი იგი მძაფრ მომდინარითა მით სისხლითა; ხოლო იგი მადლობასა აღუარებდა ღმერთსა, რომელ სახელისათვის მისისა ღირს იქმნა ესოდენსა და ესე ვითარსა გვემასა. კვალად განსძარცვეს იგი და შიშველსა ითრევდეს ქვათა მახვილთა ზედა და სცემდეს უწყალოდ არგნებითა **) და მყოვარ ჟამ რაი ითრევდეს, მერმე შეკრეს ხელით და ფერხით და, რკინით მაგრად შეჭედილი, საპყრობილესა ბნელსა შეაყენეს, თვინიერ ყოვლისა ნუგეშინის ცემისა.

---

*) იცადა, იყო.—**) ჯოხებითა.

მყოვარ ჟამ რა იცვებოდა საპყრობილესა მას შინა, ვერ მიდრი-კეს გონება მისი სიყვარულისაგან ღვთისა, მაშინ მოვიდეს მთავარნი ქართლისანი, რომელნიცა მაშინ სპარსთათანა მისრულ იყვნეს. ევედ-რებოდეს მეფესა მას ულმრთოსა გამოყვანებად წმიდისა მის საპყრო-ბილით და ეტყოდეს: „ჩვენ თავს მდებ ვექმნეთ რაჲდენს ასოვანსა“ და მოახსენებდეს სიკეთესა მისსა და სიბრძნესა და სიქველესა მისსა, „რამეთუ მრავლისა პატივისა ღირს არს კაცი იგი, და არა ჯერ არს ესრეთ უპატიოდ და უწყალოდ სიკვდილი მაგისი: განუტევე ეგე მცი-რედ ჟამ, რათა წარვიდეს მამულსა თვისსა და იხილნეს ცოლი და შვილნი თვისნი, მეგობარნი და ძმანი, ნუ უკვე სიწყალულით მათით და მათ მიერით განზრახვითა ერიდეს ბრძანებასა თქვენსა, და არა მიეცეს ესრეთ უწყალოსა სიკვდილსა, რამეთუ დიდად გვეღმისო მაგისთვის და, ოდესცა ბრძანოთ, მსწრაფლ წარმოვიდგინოთ წინაშე თქვენსა“.

შემდგომად მრავლისა ვედრებისა, ისმინა მათი მძლავრმან მან და ბრძანა გამოყვანებაჲ წმიდისა მის საპყრობილით და მიჰმადლა იგი მათ და განუტევა იგი სახიდ თვისად და უთხრა მათ, რათა ადრე წარ-მოადგინონ წინაშე მისსა.

მაშინ წარვიდა წმიდა იგი სახიდ თვისა და პირველად მივიდა ხილვად მეფის ვახტანგისა და იხილნა და მოიკითხნა მეფე და დედო-ფალი. ცნა რაჲ ეს მეფემან ღვთის მოყვარემან, განიხარა ფრიად და მიეგებნეს წინა სიხარულით და მოწლედ*) ამბორს უყოფდეს და სი-ყვარულით მოიკითხვიდეს.

შემდგომად ამისა წარვიდა სახლეულთა მიმართ თვისთა და მო-იკითხნა, ხოლო მათ მხილველთა მისთა და სიხარულითა უზომოთა აღვსებულთა მადლობა შესწირეს ღმერთსა, რამეთუ აღარა ელოდეს ხილვასა მისსა, შეიტკბობდეს და ამბორს უყოფდეს ხელთა და ფერ-ხთა მისთა, და ეტყოდეს: „ჰოი! სანატრელო რაჟდენ, ოდესღა ვეს-ვიდით ცოცხლებით ხილვასა შენსა, რამეთუ განეწირე ყოველთა და ყოველნი სიკვდილსა შენსა ვგონებდით. აწ ვიხადგან ცოცხლებით

*) მოწყალედ.

გიხილეთ, ნუღარა დაგვიტევებ." მერე შემდგომად მცირედისა ზირე-ბითა *) ეშმაკისათა აღიძრა მეუღლე მისი, მგზავსად პირველისა მის დედისა, განაზრახებდა წმიდასა მას და იტყოდა: „რად ესრედ განგი-წირავს ცხოვრებაი თვისი და მიგიცემის თავი შენი სიკვდილად და ჩვენცა სრულიად ოხერ და ობოლ გვყოფ, ერჩდი ბრძანებასა მათსა და იხსენ თავი შენი და ჩვენცა, რათა არა ბოროტად მოჰკვდე შენ და ჩვენ სიკვდილითა შენითა მივეცნეთ განსაცდელსა მწარესა და მწუხარებასა ძნელსა და სხვასაცა მრავალსა ეტყოდეს და აწვევდეს შეტკბობად წუთ ჟამისა ამის ცხოვრებისა და დიდებისა მისთვის წა-რმავალისა არა ჰსურდა მათ: არცა ცხოვრებისა მისთვის დაუსრულე-ბელისა იგონებდეს.—ხოლო ესმა რა ზრახვაი ესე წმიდასა მას მეუ-ღლისაგან თვისისაი, მიხედა მას მხსინვარედ გულის წყრომით და ეტ-ყოდა: „რად ესრედ ბოროტისა განმზრახ მექმნები, ჰოი დედაკაცო, ვითარცა ევაი? რაი არს უტკბილეს ქრისტესთვის სიკვდილისა, ვინათ-გან მანცა ჩვენთვის სიკვდილისა გემო იხილა და ჩვენ უკვდავება მო-გვანიჭა? რაი დიდ არს უკეთუ ჩვენცა მოვკვდეთ მისთვის მიწანი ესე და მტვერნი და რათა მისთანაცა ვსუფევდეთ?" და მყის აღდგა და განეშორა მათგან. ხოლო იგინი აღივსნეს მწუხარებითა და მოიცვნა ტირილმან და გოდებამან მწარემან და ესრეთ გამოვიდა ნეტარი იგი მათგან და წარვიდა თვით უწოდებელად მუნვე, სადა იგი პირველ ედ-ვაწა ღვაწლი იგი უკვდავებისა, მძლავრთა მათ მიმართ უღმრთოთა, რომელთა მიმართ აღეთქვა მუნვე მიქცევაი.

იხილა რაი წმიდაი იგი მძლავრმან მან, კვალად ეტყოდა და აიძულებდა უარის ყოფად ქრისტესა და ჰკითხვიდა: „ვითარ ხარ, მხნეო რაჲდენ, და რა განიზრახე ესოდენთა ამათ დღეთა, ნუ უკვე აწცა არა გულისხმა გიყოფიეს უმჯობესი თავისა შენისა და რამეთუ ესოდენთა ამათ ჟამთა სულგრძელი გექმნენით, რამეთუ გვეწყალის სიკეთე შენი და არა გვნებავს უჟამოდ სიკვდილი შენი. ხოლო წმიდა იგი მიუგებდა: „ჰოი, მეფეო! განზრახვა ჩემი უცვალებელ არს და შეუქცეველ, რამეთუ ვინათგან ერთგზის დაუტევე მამული უღმრთოება

*) ცთუნებითა.

ადა ვიცან ჭეშმარიტება; აღარა ჟამ არს მუნვე მიქცევა ჩემი უღმრთოებად და დატევებად ცხოველი ღმერთი და არცა ესოდენთა ამათ ღვაწლთა, რომელ თავს ვისხენ ქრისტესთვის, მისი უქმად წარხდომად“.

კვალად შეიპყრეს წმიდა იგი, პირველისაებრ სცემდეს უწყალოდ და ითრევდეს და აიძულებდეს, რათა დაუმორჩილოს ბრძანებასა მეფისასა. ხოლო იგი დუმნა და არა რას მიუგებდა, და იხილეს რა უქცეველობა მისი, შეკრეს იგი და წარგზავნეს სხვისა მთავრისა მიმართ, რომელი დაბანაკებულ იყო ზემოსა სოფელსა წრომს და მიუმცნო ესრეთ, რათა აიძულის რომლითაცა ღონითა შეუძლოს განშორება მისი ქრისტესაგან და მორჩილება მეფეთა, და უკეთუ ისმინოს მისი, დიდითა პატივითა მისდავე მიაქციოს; ხოლო უკეთუ ეგოს *) პირველსავე მას ურჩებასა ზედა, თვინიერ ყოვლისა წყალობისა, მწარითა სატანჯველითა განიყვანოს ამის ცხოვრებისაგან, ესრედ უწყალოდ, ვიდრემდე არცაღა თუ ხორცთა მისთა შემდგომად სიკვდილისა ექმნას მიწასა შინა დაფლვაი. წარიყვანეს კვალად შეკრული და წარგზავნეს წინაშე მთავრისა მის ზემო სხენებულისა.

იხილა რაი წმიდა იგი მთავარმან მან, განიხარა ფრიად, რამეთუ სყუროდა ხილვა მისი, რამეთუ ასმიოდა პირველვე სიკეთე და ახოვნება მისი, მოწლედ მოიკითხა იგი და ეტყოდა: „გიხაროდენ, მხნეო რაინდენ, შენ ხარ, რომელმა აჩვენე სიმხნე უძლეველი და წინა აღუდეგ ბრძანებასა თვით მპყრობელთასა და აგინებ სჯულსა მამულსა და შედგომილხარ სჯულსა ურიათაგან მოკლულისა კაცისასა, აწ მოვედ და ისმინე ჩემი, უარ ჰყავ სატყუარი ეგე, რომლითა შეცთომილხარ და მსახურე მზესა და მთოვარესა და ცეცხლსა ამას ბრწყინვალესა, რომელი სჯულ გიდევს მამათა შენთა და მიიხვენ პატივნი და დიდებანი უმეტესნი პირველთასა და იყავ ცოცხლებით და ნუ აღირჩევ სიკვდილსა ტკბილისა ამის საწუთროსა წილ“. ხოლო წმიდა იგი მიუგებდა: „რასა მაიძულებთ, უსჯულონო, ცხოველისა ღვთისა დატევებად, რომელმან დაბადა ცაი და ქვეყანა და ყოველი რაი არს მათ შინა და მსახურებად ცეცხლსა შემწველსა და სხვათა მათ უნდოთა ნივთთა ადრეკე უარ ქმნილთა ჩემ

*) იყოს, დარჩეს.

მიერ, მე პატივნი თქუენნი და ნიჭნი გინებად შემირაცხიან, რომელი დღეს არს და ხვალე არღარა. კვალად წარიყვანეს შეკრული ხელით და ფერხით და შეიყვანეს საპყრობილესა მწარითა ტკივილითა მოცული და იგი ყოველსავე მადლობით მოითმენდა.

ხოლო შემდგომად დღეთა არა მცირეთა, კვალად გამოიყვანეს ნეტარი იგი და აიძულებდეს კვალად უარის ყოფად პირველისაებრ და წინა უყოფდეს პატივთა და ნიჭთა დიდ დიდთა და ეგრეთვე პატიჟ-თა და ჭირთა უფიცხესთა და სიკვდილსა მწარესა უძვირეს პირველისა მისა, უკეთუ არა ისმინოს. ხოლო ახოვანი იგი და ყოვლად უში-ში გონებითა კვალადცა შეურაცხებით უკუნ იქცევდა სიტყვათა მათთა და სიმხნით განეწყობოდა სატანჯველთა უმძვინვარესთა და კვალად იტყოდა: „ვერა რომლითა სახითა განმაშორებთ სიყვარულსა მისსა“. მაშინღა უსასო იქმნეს გარდაქცევისათვის მისისა, რამეთუ ყოველი ღონე დაელია მძლავრთა მათ უღმრთოთა.

ბრძანეს მოხვმად ძელთა, რათა მით მოაკვდინონ სამ გზის სა-ნატრელი იგი, რამეთუ თქვეს უსჯულოთა მათ, ვინათგან ძელსა ზე-და მოკლულისა მიმართ აქვს სასოება, ჯერ არს, რათა ესეცა ძელი-თა აღესრულოს. აღმართეს ძელი იგი და მას ზედა დამსჭვალეს ტა-რიგი ქრისტესი. მერმე მოიყვანეს სხვანი ხუთნი ძვირის მოქმედნი ავაზაკნი, აღმართნეს ძელები და მისთანა დამოჰკიდნეს და შორის მათ-სა ნეტარი იგი, ვითარცა ჩვენი იესო შორის ავაზაკთასა ჯვარ ცმული და მერმე განაწყვეს მოისარნი იმიერ და ამიერ და იწყეს სროლად, და ესოდენ უწყალოდ ესროდეს უღმრთონი იგი, ვითარცა მხეცნი გამ-ძვინებულნი და არა კაცნი პირმეტყველნი, რამეთუ ისარნი იგი, მათ მიერ ტყორცებული და ხორცთა შინა წმიდისათა ძლიერად გან-წონილნი, აღმოსწვადიან და იგივე კვალად განაწონიან, რამეთუ მრა-ვალ გზის ჰყვეს ესრედ უღმრთოთა მათ და ძლიერი წყლულებანი მოაწიეს მასზედა და ყოველნი ხორცნი მისნი აღავსეს წყლულებითა და ესრეთ დაწერტილი და დაგვმერილი ძელსა-ზედა დამოკიდებულად იხილვებოდა და ვერღარა ეძლო წმიდასა მას მრავალ ჟამ ცხოვრებად, ვინათგან კაცი იყო, მასცა თანა ედვა ბუნებითა იგი სიკვდილი. მა-შინღა ხმა ჰყო: „ხელთა შენთა, უფალო, შევვედრებ სულსა ჩემსა“, და

ესრეთ განუტევა სული და აღესრულა; ვაჲ! სამ გზის სანატრელისა მის ღვაწლნი! ვაჲ! დიდებული იგი სიკვდილი, უკვდავად გარდაცვალებაჲ!

ჯვალად აქაცა იქმნა რაჲმე მსგავსი ვნებისა მის მეუფისა, რომელი იგი უვნებელმან მან ჩუენთვის დაითმინა მსგავსად დღისა მის ჯუარცმისა: გარდამოხდა ბნელი წყვდიადი შუადღესა და იქმნა ბნელი მსგავსად ღამისა და ქარი სასტიკი, ვიდრელა განიბნივნეს ყოველნი შემოკრებულნი და შერბიოდეს შინაგან და იმალვოდეს. ხოლო მცველნიცა იგი, რომელნი დაედგინნეს უსჯულოსა მას მთავარსა, რათა არა აუფლონ ქრისტიანეთაგანსა წარღება გვამი იგი წმიდისა მის და არცა დაფლვად მიწასა შინა, არამედ რათა მხეცთა და ფრინველთა შეჭამონ, იქმნა რა საშინელი იგი დღე და ბნელი წყვდიადი და ქარი სასტიკი, ვერ ვინ შემძლებელ იყო მუნ დგომად. მაშინ მოვიდეს მორწმუნენი მის დაბისანი და მათთანა მღვდელი ერთი და აღიღეს გვამი იგი მრავალ მოღვაწე შიშით და კრძალულებით, და დაკრძალეს ადგილსა ფარულსა.

ამისსა შემდგომად იქმნა მშვიდობა დიდი შორის სპარსთა და ქართველთა, რამეთუ მეფემან სპარსთამან მიავლინნა მოციქულნი ვახტანგის მიმართ მეფისა მშვიდობისათვის და ერთობისა და ჰქმნეს ზავი ურთიერთას. გამოვიდა მეფე ვახტანგ და იხილეს ურთიერთას ორთავე მეფეთა და დიდნი პურობანი გარდისადეს და ძღვენნი სამეფონი ურთიერთას ანიჭეს, რომელსა იგი გვაუწყებენ ცხოვრებანი ქართველთანი. ხოლო მეფე სპარსთა შეიქცა მუნვე და წავიდა სამეფოდ თვისად და მიერითგან იქმნა მეგობრობა დიდი ქართველთა შორის. ესე ყოველი მადლმან ქრისტესმან ქმნა, მეოხებით წმიდისა ყოვლად ქებულისა რაჟდენისათა, რამეთუ ვითარცა იგი სისხლმან სამეუფომან ქმნა მშვიდობაჲ დიდი შორის ცისა და ქვეყანისა, ანგელოზთა და კაცთა, ეგრეთვე მისთვის დათხეულმან სისხლმან ქმნა ქართველთა შორის და დაიცვნა ეკლესიანნი ჩუენნი და შეზღუდა მშვიდობითა.

შემდგომად ამისსა გარდასხდეს წელნი რაოდენნიმე და იქმნა დაწყნარებაჲ და მშვიდობაჲ და მეფემან ვახტანგ იწყო ძიებად ნაწილთა მათ წმიდისათა, რამეთუ ფარულად იყო დაკრძალულ მცი-

რედთა ვიეთმე კაცთაგან და არავინ უწყოდა თვინიერ მღვდლისა მის, რომელი ზემო ვახსენეთ, რომელსა დაეკრძალა იგი.—აღდგა სუცესი იგი აღვსებული შიშითა და სიხარულითა დიდითა და მყის წარვიდა მეფისა მიმართ და, შერავიდა წინაშე მისსა, აუწყა ყოველი, თუ ვითარ და ოდეს და სადა იგი დაეკრძალა.

ესმა რა ესე მეფესა, აღივსო სიხარულითა გამოუთქმელითა და მადლი შესწირა ყოვლად ძლიერსა ღმერთსა და სანატრელსა მის მოწამესა, მყის იხმნა ეპისკოპოსნი სამეფოისა თვისისანი და სიმრავლე სამღვდელოისა მწყობრისა და წარავლინა იგინი სამეფოთა ნიშნითა სიმრავლითა სოფელსა მას, რომელი ზემო ვახსენეთ, წრომს, სადა იგი იყო დაკრძალულ მრავალ მოღვაწე ძვი გვამი ღვაწლით შემოსილისა მის მოწამისა.

და ვითარცა მიიწივნეს მუნ და იხილნეს ნაწილნი იგი წმიდანი, დიდითა შიშითა და სურვილითა შეემთხვივნეს და აღმოიღეს მიერ სამარხით და სურნელებაი მიუთხრობელი გარდაეფინა და აღავსო ყოველი იგი ადგილი და აღიღეს მუნით და წარმოემართნეს გალობითა და ფსალმუნებითა, სანთელთა და კერონთა სიმრავლითა და საკმეველთა სურნელებითა და წარიღეს ნიქოზს, საეპისკოპოსოსა მას ეკლესიასა, მისვე მეფისა ვახტანგისა მიერ აღშენებულსა.

## LIV. საქართველოს ეკლესია და მისი ეპარქია მეხუთე და მეექვსე საუკუნეებში

*(Пл. Іосселіани—Краткая исторія грузинской церкви)*

მამის სიკვდილ შემდეგ ვახტანგ I გორგასლანი შვიდის წლისა დარჩა. მისმა დედამ, საქართველოს დედოფალმა, ქებულმა სიბრძნითა და სათნოებით, იფიქრა, ვაი თუ ქრისტიანობის მოვარველობით გადავიკიდო სპარსნი და მამა ჩემი, მეფე სპარსთაო და ამიტომ საჭიროდ სცნა გამოეცხადებინა თავის სამეფოში თავისუფლება ცეცხლ-მსახურებისა. ასეთის ღონისძიების მიღება მოუწონა და იქნება თვითონაც

ჩააგონა დედოფალს საბერძნეთიდამ დაბარებულმა ეპისკოპოსმა მიხეილმა. პირველში, როცა ქრისტიანობას გულ-მხურვალედ ქადაგებდენ, ცეცხლ-მსახურებს ფეხს ვერ იკიდებდა. თვით მოგვი სპარსელთა რაჟდენი მოიკლა ქრისტეს სარწმუნოებაზე და, თუმცა სასტიკად იქმნა წამებულ სპარსთაგან, რომელთაც, როგორც ამბობს მსწავლული ეპისკოპოსი ნიკოლოოზ, შიშველი მისწვალეს ჯვარზედ, სტანჯეს და ჰგვემეს, მაგრამ ამ გარემოებამ უფრო განამტკიცა ერი ქრისტიანობაში. გვამი წამებულისა განისვენებს ნიქოზის საკათედრო ტაძარში; საქართველოს ეკლესია დღესასწაულობს მის სახელს 3 აგვისტოს. შემდეგ-კი, სპარსელ მოგვების ცბიერებით, შესუსტდა ქრისტიანობა კავკასიის მორეულს მთებში. ამ მთიულებმა დაივიწყეს ერთობა სარწმუნოებისა, შემოესიენ ქართლს და აიკლეს. ახალ-გაზდა მეფემ, მაშინ უკვე ახოვანმა ჭაბუკმა, იგრძნო თვისი ძალაცა, მათ თამამობას წაუყენა გაჟკაცობა და გავიდა საბრძოლველად გაბედვითა და ღვთის სასოებითა. შეჭურვილმა ქრისტეს ჯვარით, გამხნევებულმა მიხეილის ლოცვა-კურთხევით, მალე დაამარცხა ორგულნი და მწარედ დასაჯა მოღალატენი. როცა შეირყა ზავი საქართველოსა და საბერძნეთ შორის, თავისი მახვილი მიმართა საბერძნეთის წინააღმდეგ და წაართვა ბერძენთ კლარჯეთი, მხოლოდ რამდენისამე ხნის წინად დაჭერილი აღმოსავლეთის იმპერიის მიერ. მაგრამ სარწმუნოებისათვის არ იყო სასარგებლო ასეთი დაშორება კავკასიის მკვიდრთა ბერძენთაგან. ქრისტიანობა, რაკი ნასწავლი და განათლებული მწყემსნი შემწედ არ ჰყავდა, ჯერ შესუსტდა და მერე სრულიადაც მოისპო, ამიტომ რომ ქართველთ თავიანთ დამოუკიდებლობის დაცვაც არ შეეძლოთ ზოგჯერ და ნადირ-მზგავს მთიულებს უფრო როგორ იყოლიებდენ მორჩილებაში. მხოლოდ ნანგრევნი ეკლესიათა, დახსომება წმ. სამებისა, წინასწარ-მეტყველის ილიას სახელისა და შენახვა ზოგიერთის მარხვისა კავკასიის მთათ-სავანეებში მოწმობს დღესაც, რომ ოდესმე იქ იყო და ჰყვაოდა კიდეც ქრისტიანობა.

ხოლო ეკლესია ივერიისა ანტიოქიის პატრიარქის სრულს დამოკიდებულებაში იყო, ბერძენთა ეკლესიის წესზე იქცეოდა ყველაფერში და არაფრით არ დაურღვევია ეს კავშირი. ასე მოიქცა ეკლესია ივერიისა

მაგალითად მაშინ, როცა შემოღებულ იქმნა საგალობელი სამებისა კონსტანტინეპოლელის პატრიარქის პროკლეს მიერ 433 წელს. შემდეგ, როცა გაჩნდა ევტიხიოსის მწვალებლობა, პეტრე ფულლონი, ანუ გნაფი, რომელმაც არ შეიწყნარა კრება ხალკიდონისა, აიძულებდა ივერიის ეკლესიასაც, მიუმატე სამების საგალობელს: ჯ ვ ა რ ც მ უ ლ ო ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს ა ო, მაგრამ სამღვდელოთა კრებამ უარ ჰყო ეს სარჩიელი. საქართველოს ეკლესია ისევ ძველს წესზე დარჩა. სომეხნი განუდგნენ აღმოსავლეთის ეკლესიას, მრავალნი მქადაგებელნი ჰქადაგებდენ ცრუ მოძღვრებასა, მაგალითად, აკეფალიტები, სევერიტები, ანუ ფულონის მიმხრენი და სხვანი მწვალებელნი აზიისა, მაგრამ ივერიელნი-კი ერიდებოდენ ყოველ-გვარ ცვლილებასა, მართლ-მადიდებლობის ეკლესიისათვის საწინააღმდეგოსა.

სარწმუნოებრივის გულ-მოდგინეობისა და ღვთისმსახურების გამო, წავიდა მეფე ვახტანგ თვისის სახლობითა იერუსალიმს სალოცავად უფლისა კუბოსა წინაშე; მეფემ ააშენა იქ მონასტერი, რომელიც დიდხანს იყო ქართველების ხელში; წმინდა ადგილთა დასაცველად და სადარაჯოდ დაასახლა იქ რამდენიმე ქართველი მეომარი, რომელთა შთამომავალნი დღესაც ცხოვრობენ იერუსალიმის ახლო-მახლო და ევფრატის პირად და, რადგან ქართული დაუვიწყნიათ, არაბულსა ლაპარაკობენ.

მეფეს უნდოდა დაეყო ივერია საეპისკოპოსოებად, თვითოეულს საეპისკოპოსოში დაეარსებინა სასწავლებელი და ამიტომ იწვევდა საბერძნეთიდამ ეპისკოპოსებსა და მასწავლებლებს. ვახტანგს დიდად ეწყინა, როცა შეატყო თავის მოძღვარს და აღმზრდელს, მთავარ-ეპისკოპოსს მიხეილს წინააღმდეგობა და არ მოწონება მისის სურვილისა. სამაგიეროდ, იგი იქმნა გაგზავნილ სამსაჯულოსა წინაშე კონსტანტინეპოლს, სადაც პატრიარქმა განადიმ პატიმარ-ჰყო და გაგზავნა მ ღ ვ ი ძ ა რ ე თ ა მონასტერში, ხოლო მის მაგიერ მთავრად ეკლესიისა მოვიდა მთავარ-ეპისკოპოსი პეტრე, რომელსაც ეწოდა კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი ს რ უ ლ ი ა დ ი ვ ე რ ი ი ს ა და მიენიჭა ყოვლივე უფლება ეკლესიის დამოუკიდებელის გამგებელისა (ავტოკეფალოსი). ამ ახალის მწყემსის ზრუნვითა და მეოხებით იმატა სამღვდელოთა რიცხვმა, ყოველსა სოფელსა და

ქალაქში გაიგზავნა მღვდლები საქადაგებლად აფხაზთა და მეგრელებში, კავკასიის მთების აღმოსავლეთ და ჩრდილო მკვიდრთა-შორის; საეკლესიო წიგნები, გარყვნილი გადამწერთაგან, ხელ-ახლად იქმნა გადამონჯული; რაც კიდევ ახალი წიგნი იყო საჭირო, გადაითარგმნა ბერძნულით და გადიწერა მრავლად ყველა ეკლესიისათვის; ეკლესიებთან დაარსებულ იქმნა სასწავლებლები; მირიანის დროს აშენებულ და უკვე დაძველებულ ეკლესიის მაგიერ, აგებულ იქმნა ქვითკირის ტაძარი, გარშემორტყმული მაღალის ქვითკირისავე გალავანით; საეპისკოპოსოები დაარსდა: 12 ქართლს, 12 კახეთს, 9 სომხითს და 2 იმერეთს.

ძნელა კარგად არა სჩანს, რომელი ეპარქიები იყო ეს ეპარქიები. სია საეპისკოპოსოებისა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია და რომელიც ბევრად შემდეგ არის შედგენილი, გვიჩვენებს, რომ შემდეგი იერარქიული წესი ყოფილა.

1. კათალიკოსი მცხეთისა და სრულიად საქართველოსი.
2. მთავარ-ეპ. სომხითისა.
3. მთავარ-ეპ. მცხეთისა.
4. ეპისკოპოსი მაწყვერისა.
5. ეპისკოპოსი კუმურდოსი.
6. ეპისკოპოსი იშხანისა.
7. ეპ. ტბეთისა (მტბევარი).
8. ეპ. წყაროს-თავისა.
9. ეპ. განგისა.
10. ეპ. რუსთავისა.
11. ეპ. კაწარისა.
12. ეპ. რუისისა (მროველი).
13. ეპ. ნიქოზისა.
14. ეპ. ვალაშკერტისა.
15. ეპ. კრელისა.
16. ეპ. ხარჭაშნისა.
17. ეპ. ბანისა.
18. ეპ. ჭერემისა.
19. ეპ. დაბანისა. [1]).

1. კათალიკოსი აფხაზეთისა.
2. მთავ.-ეპ. ჭყონდიდისა.
3. მთავ.-ეპ. ალავერდისა.
4. მთავ.-ეპ. ბოდბესი (ბოდბელი)
5. ეპ. ნინოწმიდისა.
6. ეპ. ანჩისა.
7. ეპ. წურწკამისა.
8. ეპ. ერუშნისა.
9. ეპ. წინ-წყაროსი.
10. ეპ. ურბნისისა
11. ეპ. სამთავისისა (სამთავნელი)
12. ეპ. ბოლნისისა.
13. ეპ. ანისა.
14. ეპ. ტფილისისა
15. ეპ. წალკისა.
16. ეპ. დმანისისა.
17. ეპ. გიშელისა.

---

[1]) მეფე ვახტანგს არ შეეძლო დაენიშნა იმერეთში ორ ეპისკოპოსზე

ეს საეპისკოპოსონი, დაარსებულნი საქართველოს სამეფოს საერისთავოებში, იყვნენ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი ს დამოკიდებულებაში. კათალიკოსს ჰქონდა ტიტული: კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი მ ც ხ ე თ ი ს ა და ი ვ ე რ ი ი ს ა. კათალიკოსი განაგებდა საეკლესიო საქმეებს, ისე რომ ოთხს პატრიარქში არც ერთს არავითარს ანგარიშს არ აძლევდა; ისტორიაში მაინც არა არის-რა ნათქვამი, რომ საბერძნეთის პატრიარქებს რაიმე გავლენა ჰქონოდეთ საქართველოს ეკლესიის საქმეებზე ფარსმანის [მე-VI-ის] შემდეგ, იმ ფარსმანის შემდეგ, რომელმაც დაახლოვებით 556 წელს მოაშორა საქართველოს ეკლესიას გავლენა ბერძნებისა. ამ მოშორებამ და საკუთარის კათალიკოსის ყოლამ, რომელსაც ექვემდებარებოდა ყოველი საქმე საქართველოს ეკლესიისა, ბევრ-გვარი უხერხულება ააშორა თავიდამ საეკლესიო გამგეობას. კონსტანტინეპოლი და ანტიოქია მეტად შორს იყო საქართველოზე და ამასთანავე შუა-იდო ქვეყნები, რომელთა ერნი მტრულად ეკიდებოდენ საქართველოსაც და საბერძნეთსაც და არა მოყვრულად. განშორება საქართველოს ეკლესიისა საბერძნეთისაგან, როგორც ამბობენ ისტორიკოსები, მოხდა კონსტანტინეპოლის პატრიარქის ევტიხიოსისა და თვით იმპერატორის იუსტინიანეს თანხმობით. თუმცა ქსეც-კის რომ, თუ საჭიროება მოითხოვდა, ივერიის კათალიკოსნი არა იშვიათად მიჰმართავ-

მეტი, რადგან იმერეთს ჰფლობდენ ბერძნები და ბერძნების პატრიარქნი თვითონ ჰგზავნიდენ თავიანთ ეპისკოპოსებს იმ ქვეყნებში, რომელიც იმათ ახალშენებს ანუ კოლონიებს ეკუთვნოდა კოლხიდაში და საზოგადოდ შავის-ზღვის პირად. ვახტანგის მიერ დაარსებული ეპარქიები ალბად რაჭასა და ლეჩხუმში იყო, მთა-გორიანს იმერეთში, რომელიც ქართლის სამზღვარზეა და ბერძნებს არ ეკუთვნოდა. ამ ადგილებში კვალიც არ არსებობს რომაელებისა და ბერძნების ყოფნისა. მე-IX საუკუნის დამლევსა და მე-X დამდეგს, როცა ბერძნების გავლენა მოისპო კოლხიდაში და საქართველოს მეფეენი დაეპატრონენ ბერძენთა განათლების ნაშთებს ამ ქვეყანაში, მათ მიერ დაარსებულ ეპარქიების მაგიერ, სხვა ეპარქიები გაჩნდა. ბერძნების დაარსებული ეპარქიები იყო: როდოპოლისი (ეხლანდელი ვარციხე), პეტრა (უჩინარი, იმპერატორის იუსტინიანეს ციხე-სიმაგრე, აშენებული 530 წ.), ფაზიდა (აწინდელი ფოთი) და ზიგანეია (ციხე-სიმაგრე, რომელიც ალბად ქობულეთში იმყოფებოდა. მათ მაგიერ დაარსდა:

დენ ხოლმე კვლავ საბერძნეთის პატრიარქსა და მსოფლიო ეკლესიის სამსჯავროს წარუდგენდენ ხოლმე განსაჯელად ყოველსავე, რასაც-კი სარწმუნოების ერთობისა და მართლმადიდებლობის სიწმინდის დასაცველად ეჭირვებოდა დამტკიცება მსოფლიო კრებისა.

---

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. დრანდა | 5. ჩელეში | 9. ხოფი | 13. შემოქმედი | 17. ნიკორ-წმიდა |
| 2. მოქვი | 6. მარტვილი | 10. სებასტ. | 14. ჯუმათი | 18. გელათი |
| 3. ბედია | 7. ტყვარჩი | 11. ანაკლია | 15. ჩაქვი | 19. ქუთაისი |
| 4. ცაიში | 8. იპპურია | 12. ცაგერი | 16. ხონი | და სხვ. |

ყველა ეს ეპარქიები არსებობდა მეXVIII საუკუნის დამდეგამდე. ქართლ-კახეთში და სომხეთში რომ 33 საეპისკოპოსო იყო, ამისი მიზეზი ის არის, რომ ქრისტეს სჯული ძლევა-მოსილებდა მით, რომ მრავალნი ჩნდებოდენ წამებულნი და აღმსარებელნი მისნი, როცა ამ ქვეყანას თავს ესხმოდენ საშინელის მძვინვარებით ოსმალნი და სპარსნი, ანუ კიდევ მაშინ, როცა თვით ქვეყანაშივე ძლიერი იყო ცთუნება ერისა, რადგან საქართველოს მეფენი ძალა უნებურად ჰღალატობდენ მამა-პაპათა სარწმუნოებას და ისლამის მფარველობისა ქვეშ სხდებოდენ სამეფო ტახტზე თითქმის 200 წლის განმავლობაში მე-XVI და XVII საუკუნოებში. ესეც-კია რომ იმერეთის მეფენი არას დროს არ ჰღალატობდენ ქრისტეს სარწმუნოებას, თუმცა ისინიც დიდს შევიწროებაში იყვნენ ოსმალთაგან.

## LV. ათ-ცამეტთა სირიელ მამათა მოღვაწეობა

(დ. ზ. ბაქრაძე—ისტორია საქართველოსი)

ფარსმან VI-ს დროს *) ევლავიოზის კათალიკოსობაში შემოდიან შუა-მდინარით **) ქართლში ათ-ცამეტნი სირიელნი მამანი: იოანე, შემდეგ ზედაძნელად წოდებული, თავის მოწაფეებითურთ. ამ სირიელთა მამათა იმ ადგილების სახელი მიეთვისათ, სადაც თვითოეულს მათგანს უღვაწნია: 1) იოანე ზედაძნელი, 2) დავით გარესჯელი, 3) სტეფანე ხირსელი, 4) იოსებ [ალავერდელი]; 5) ზენონ იყალთოელი, 6) ანტონ მარტომყოფელი ***), 7) ისე წილკნელი, 8) თათე მამებელი, 9) შიო მღვიმელი, 10) ისიდორე სამთავნელი, 11) აბიბოს ნეკრესელი, 12) მიხეილ ულუმბელი, 13) პიროს ბრეთელი და 14) ილია დიაკონი. მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას იმათ ცხოვრების აღწერათა. მომეტებულს ნაწილს მათგანს ეტყობა უეჭველი კვალი იმ დროისა, რომელსაც ეკუთვნიან. ეს იმისგამო, რომ ძველად ჩვენში, როგორც მთელს საქრისტიანოში, ჩვეულებად იყო, რომ წმ. მოღვაწეთა ცხოვრებანი იმათ უახლოეს დროსვე იწერებოდენ ეკლესიაში საკითხავად და ამისგამო თითქმის უცვლელად შთებოდენ. ჩვენ მამათ-ცხოვრებაების ფაქტებივე ჰმოწმობენ იმათ სინამდვილესა. მართლადაც სხვა წყაროებიდამაც იმათ დროს არიან ცნობილნი: ფარსმან VI, კათალიკოსი ევლავიოზი და შემდეგ ამისა მაკარი, სვიმონ მცირე მესვეტე. ამასვე გვიმტკიცებს შემდეგი ცნობები საქართველოს მდგომარეობისა იმ დროს: ახლად დანერგილი ჩვენში ქრისტეს სჯული ჯერ კიდევ არ არის მტკიცედ დამყარებული; თვით მცხეთის მახლობლად ზედა-ზენზე ვპოულობთ კიდევ საკერპოსა; ჩრდილო-მთიულნი არიან წარმართებაში, რომელსაც ასუსტებს მხოლოდ ისე წილკნელი; ცეცხლის-მსა-

---

*) 542—557 წწ.—**) ეს სიტყვა თარგმანია ლათინურისა—*Mesopotamia*.—***) ანტონ მარტომყოფელს კი არ მიუღია თვისი სახელი ადგილისაგან, არამედ აწინდელ მარტყოფს მისგან მიეთვისა ეს სახელი და წინად-კი მარტყოფს ეწოდებოდა აკრიანის მთა.—

ხურებასაც ისეთი ძალა აქვს, რომ ჰბაძოს ნეკრესელი იმის მსახურთაგან იწამება ზენა-სოფლის (ქართლი) სოფელ რუსაში, როდესაც ამ მხარეს განაგებდა სპარსეთის მეფისაგან დადგენილი მარზპანი.— ახლა ჩვენს მწერლობაში ვრცელდება ის აზრი, ვითომც ათ-ცამეტნი-მამანი ყოფილიყვნენ ქართველნი ნათესაობით. ეს აზრი ჩვენის წარმოდგენითაც უსაფუძვლო არ არის. ჩვენ ვიცით, რომ სულ ძველად ქართველნი მოღვაწენი და მთარგმნელნი ანტიოქიაში და იმის გარეშემო შრომობდენ თავიანთ მამულის სასარგებლოდ. გარდა ამისა, შემოდიან თუ არა საქართველოში, ქართულად საუბრობენ; ქართულადვე ასრულებენ წირვა-ლოცვას და ჰმოძღვრობენ თვით ქართველ ერსა. ქართულმა ეკლესიამ ძველადვე შეჰრიცხა იგინი წმიდათა შორის, როგორც „განმანათლებელნი და აღმაშენებელნი ეკლესია-მონასტერთა ქართლისათანი“. ამ საგანზე ჩვენ არა ვსადით საჭიროდ სიტყვა გავავრცელოთ. შემოვიტანთ აქ იმათ ცხოვრებიდამ მხოლოდ ორიოდე ღირს-შესამჩნევს ფაქტსა. ჩვენში მიღებული წელთა-თვლა ანუ პასხალიონი ხუთასიანი (532 წელი) სირიულ ციკლად ითვლება. თუმცა იმას ჯერ-ჯერობით პირველად ხმარებულსა ვპოულობთ „ქ-ცხებაში“ მერვე საუკუნეში, მაგრამ ჩვენის ფიქრით ეს პასხალიონი ჩვენში შემოტანილი უნდა იყოს სირიიდამ ათ-ცამეტთა მამათაგან. აქ დავძენთ, რომ იმ დროსვე ანთავისუფლებდენ ხარჯისაგან ეკლესიებსა; უძრავ მამულებს უძღვნიდენ მონასტრებსა და ჰზრუნავდენ დიდ-კაცთა შვილების აღზრდას საღმრთო წერილებზე, რომელიც, სჩანს, კიდეც ყოფილა თარგმნილი... „საჩინო მთავარი ცისე-დიდისა ქვარგე, შვილი ღვთის-მსახურთა და მორწმუნეთა მშობელთა, სიყრმიდგან ღვთის-მსახურებასა და საღმრთოთა წერილთა წვრთასა შინა იყო აღზრდილი“... „მიანიჭა უკვე ფარსმან მეფემან მონასტერსა (შიო-მღვიმისასა) ოთხნი რჩეულნი სამეფოთა დაბათაგანნი და დაწერა ხელითა თვისითა თავისუფლება მათი და მისცა ოცდა ათი ლიტრა ოქრო ეკლესიათა მათთვის სახმარად, ბარძიმი ოქროსი და ფეშხუმი და სხვა ყოველი სამსახურებელი ვეცხლისა, ჯვარი დიდი ოქროსი და სახარება ფრიად მშვენიერად შემკობილი სანატრელისა მეფისა ვახტანგის მიერ“. „დასწერნა მთავარმა სტეფანოზმა ხელითა თვისითა ქარტა იგი და

დადვა საფლავსა ზედა წმიდისა შიოსსა; დასწერა როარტაგი და დაამტკიცა ხელითა თვისითა და წარსცა ყოველსა შინა ქვეყანასა ქართლისასა, რათა ყოველნი ეკლესიანი განათავისუფლნენ მძლავრებისაგან და ხარკისა მიცემისა“.

---

## LVI. ქართველთა მოღვაწეობა წმიდა ქვეყანაში და სინაზე მე-IV—VI საუკუნეებში

*(А. Цагарели—Памятники грузинской старины въ Святой Землѣ и на Синаѣ)*

თხუთმეტ საუკუნის განმავლობაში საქართველოს მისვლა-მოსვლა ჰქონდა აღმოსავლეთის წმიდა ადგილებში და იქ მოღვაწეობდა კიდეც, რაიცა შეადგენს ერთს უჩინებულესთაგანს გვერდს, არა თუ მარტო საქართველოს ეკლესიისა და ერის ისტორიაში, არამედ ქრისტიანე ხალხების კულტურის ისტორიაშიაც საერთოდ. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ქართველებს ადგილი ეჭირათ წმიდა ქვეყანაში, ხან როგორც მლოცველებს და მოღვაწეებს, ხან როგორც მწიგნობრებს და მხატვრებს და ხან-კი როგორც მხედრებს და დამცველებს წმ. საფლავისას. ჩვენ სამართლიანად გვიკვირს სიმხნე და რელიგიური აღტაცება ევროპის ქრისტიანე ერთა, რომელნიც თითქმის ორის საუკუნის განმავლობაში იცავდნენ ქრისტიანების უფლებას აღმოსავლეთის წმიდა ქვეყანაში, მაგრამ ქართველები, გაუზვიადებელად შეიძლება ითქვას, ჯ ვ ა რ ო ს ნ ე ბ ა დ იყვნენ თითქმის თერთმეტის საუკუნის განმავლობაში, როცა მუსულმანები და კერპთ-თაყვანისმცემელნი ბატონობდნენ წმ. ადგილებში [1]). როცა პალესტინაში ბატონობდა ბიზანტია, ქარ-

---

[1]) მშვენიერად აქვს გამოხატული ქართველების ეს ისტორიული ღვაწლი ბ. ევგ. მარკოვს (*Очерки Кавказа*): „მართმადიდებელი ჯვარი უნებლიედ გახდა, ამბობს იგი, ქართვლის მამულად, მისი ეროვნობის სიმბოლოდ და ქრისტიანობის დაცვა-კი შეიქმნა მთელის მისის ისტორიის მიზნად. როგორც ჯვაროსანი-რაინდი, ეგ ერი მთელ თავის სიცოცხლეს ატარებდა ლოცვაში ერთის მხრით და სასტიკ ბრძოლაში ისლამთან მეორეს მხრით. ათას

თველებს, როგორც მართლ-მადიდებლებს და მოზავეთა ამ სახელმწი-ფოისას, ჰქონდათ ყოველივე ის უფლებანი და უპირატესობანი, რაიცა თვით ბერძნებს ჰქონდათ, მაგრამ 614 წელს შაჰმა ხოსრო II დაიპყრო იერუსალიმი, 637 წელს იგივე წმიდა ქალაქი დაიპყრო ომარმა და ამ წუთიდამ მოკიდებული წმ. ადგილებში ფესვს იდგამს ისლამის ბატონობა, რომელსაც, ლათინთა იერუსალიმის სამეფოის 88 წლის (1099—1187) არსებობა რომ გამოვაკლოთ, დღესაც იგივე ადგილი და უფლება უჭირავს. მე-XIII საუკუნიდამ სირიასა და პალესტინაში იწყება თითქმის საუკუნო ბრძოლა მონგოლთა ეგვიპტის მამელიუკებთან; აღმოსავლეთის ქრისტიანები: ქართველები, სომხები, ბერძნები და ფრანგები მონაწილეობას იღებენ ამ ბრძოლაში და შეადგენდენ კაი ძალ გუნდს მონგოლთა ჯარებისას. განსაკუთრებით თავს იჩენენ ქართველები: მუსლიმინთა მწერლები ჰმოწმობენ, რომ იგინი შეადგენდენ მოწინავეს და რჩეულს ჯარს. ამაო იყო ქრისტიანების იმედი, რომ გამარჯვებულთა-გან ჯილდოდ მივიღებთ იერუსალიმსაო,— მამელიუკთა და მონგოლთაგან სირიაზე, პალესტინასა და ეგვიპტეზე ბატონობა მე-XVI საუკუნეში გადვიდა ოსმალთა ხელში, რომელთაც უკვე მე-XV საუკუნის ნახევარში დაიპყრეს კონსტანტინეპოლი. და აი, ამ დროიდამ *სამ ნახევარის საუკუნის განმავლობაში საქართველო არის ერთად ერთი საქრისტიანო სამეფო აზიაში*, გარშემორტყმული მაჰმადიანთა ოკეანით. ქართველები, ყოველ მხრით მტრის ჯარისაგან გარშემორტყმულ თავ განწირულ მეციხოვნეებსავით, მტრებისათვისაც გასაოცარ სამაგალითო მამაცობით გაუმაგრდენ მტრის ალყას, ვიდრე ჩრდილოეთით არ გამოუჩნდათ დამხმარებელი. ასე რომ, გენერალის რ. ა. ფადეევის თქმისა არ იყოს, „ქრისტიანე საქართველომ ზესთა-კაცობრივის ჯაფა-წვალების მეოხებით გადირჩინა თავი იმ საათამდის, როცა რუსეთმა მიიწია კავკასიის ტერფამდე“. [1])

---

წელიწადზე მეტი მუდამ ხელში ეჭირა ხმალი და, თუმცა საქრისტიანო ჯვარი მანტოს სახელოზე ამოკერებული არა ჰქონია, მაგრამ სამაგიეროდ გულში ისე მტკიცედ ჩანერგილი ჰქონდა, რომ იქიდამ იმისი ამოფხვრა შეუძლებელი იყო“.—[1]) *„Русь“ за 1884 г., № 2, стр. 22.*

ქართველების მოღვაწეობის დავარდნა და გავრცელება წმ. ადგილებში ერთის მხრით დამოკიდებული იყო თვით საქართველოის ისტორიულ ცხოვრების დაცემისა და აღმატებისაგან, და მეორეს მხრით იმ ერთაგან, რომელნიც სხვა-და-სხვა დროს განაგებდენ ბედს წმ. ადგილებისას, სადაც ერთს დამპყრობელს ადგილს აცლევინებდა მეორე, ახალი ძლევა-მოსილი. ეს არის მიზეზი, რომ IV-საუკუნიდამ მე-VXIII საუკუნემდე ყოველთვის თანაბრად არ ჰყვაოდა ქართველთა რელიგიური და სამხატვრო-მწიგნობრული მოღვაწეობა სირიაში, პალესტინაში და სინაზე, და ყოველ საუკუნიდამ ერთნაირივე რიცხვს მათის ნაღვაწევის სახსოვარ ნაშთებისას არ მოუწევია ჩვენამდის. საფიქრებელია, რომ უმეტესი ნაწილი ამ სახსოვარ-ნაშთებისა, მეტადრე მწიგნობრობის ნაშთებისა, დაკარგული უნდა იყოს, შეიძლება საუკუნოდაც, და დანარჩენი-კი ჯერ ხელმისაწვდენი არ არის... ამ უკანასკნელს შემთხვევაში, რაც ქართულს ცნობებს აკლია ქართველებისავე მოღვაწეობაზე წმ. ადგილებში, აუცილებლად უნდა შევსებულ იქმნას იმ ცნობებით, რომელნიც მოიპოვება წმ. ადგილთა შესახებ უცხოთა მდიდარს მწიგნობრობაში. მაგალითად, დაცულია ბიზანტიის მე-IV საუკუნის საეკლესიო ისტორიკოსის რუფინის მოთხრობა, რომ მას უნახავს პალესტინაში ქართველთა მეფე (მეფის ძე?) ბაკური; აგრეთვე ჩვენამდე მოაწია არაბთა მწერლების ნაამბობმა, რომ თამარმა სალადინს შეაძლია ორასი ათასი დინარი ჯვარის და იერუსალიმის იმ წმიდა ადგილთა გამოსასყიდად, რომელნიც სალადინმა წაართვა ქრისტიანებს იერუსალიმის დაპყრობის დროს 1187 წელს; იგივე უცხოთა მწიგნობრობა გვაუწყებს, რომ მე-XIII საუკუნეში ეგვიპტის სულთანმა ქალავუნმა (ბიბარსმა?) ტყვედ აიყვანა ქართველთა მეფე (დიდებული?); მონათხრობია აგრეთვე ამბავი 1305 წ. ქაირში ქართველთაგან გაგზავნილ ელჩებზე და სხვ. ყველა ამაებზე ქართველ მწერლებს არაფერი არა აქვთ ნათქვამი; სამაგიეროდ ისინი გვაძლევენ იმისთანა ცნობებს ქართველების მოღვაწეობისა და წინა-აზიაში მომხდარ ამბებისას, რომელთა შესახებ უცხოელები ვერაფერს გვეუბნევიან. ამიტომაც, სრულისა და ყოველმხრივის შემეცნების შესადგენად წმიდა ადგილებში ქართველთა მოღვაწეობის შესახებ, აუცილებლად საჭიროა ვისარ-

გზმლოდ, როგორც ადგილობრივის—ქართულის წყაროებით, აგრეთვე უცხოელების წყაროებითაც.

ეს ჩემი ნაშრომი ზემოხსენებულის მოღვაწეობის ისტორია კი არ არის, მხოლოდ მასალათა კრებაა ამ გვარის ისტორიისათვის. ამ ნაშრომის უმთავრესს და უაღრესს ნაწილს, აქამომდე გამოუქვეყნებელს, შეადგენს იერუსალიმისა და სინას ხელნაწერების განხილვა, ქართული წარწერანი, რომელთ უმეტესი ნაწილი აგრეთვე გამოუქვეყნებელი იყო აქამომდე და, ბოლოს, კედლის მხატვრობა. ეს ცნობები ამ ნაშრომის საფუძვლად ნახმარი. სხვა წყაროებით-კი, როგორც ქართული, აგრეთვე უცხოურითაც, ვსარგებლობდი იმდენად, რამდენადაც საჭირო იყო, რომ ზოგადად მაინც დამესახა ქართველების თხუთმეტ საუკუნის მოღვაწეობის სურათი წმ. ადგილებში. აქაც, როგორც სხვა საზოგადოებრივის ცხოვრების სფეროშიაც, ქართველი უფრო მხედარი არის, ვიდრე დინჯი განმხილველი და აღმწერელი თავისის და სხვების მოღვაწეობისა,—თვითონ მიდიოდა ბრძოლის ველზედ, იჩენდა გმირულ ვაჟკაცობას, და ყველა ამაების აწერას-კი, ერთის ორატორის თქმისა არ იყოს რომაელების შესახებ, სხვათა ანაბარად სტოვებდა. ამიტომაც სხვა-და-სხვა საუკუნის და სხვა-და-სხვა ეროვნობის და სარწმუნოების უცხოელნი უფრო მეტს მოგვითხრობენ ქართველების მოღვაწეობაზე წმ. ადგილებში, ვიდრე თვით ქართველები თავიანთ თავზე, რომელნიც უფრო ხშირად ქვაზე მოკლე წარწერით, ეტრატზე უცაბედის მინაწერით და სხვა ამ გვარებით გვამცნებენ თავიანთ მოსაღვაწევს, რომლის გამო შესაძლებელი და სათანადოც იყო დიდი ტომების დაწერა... მაგრამ, სჩანს, ასეთი ბედი ჰხვდომია წილად!.. მარტო წერა კიდევ არ არის უძნელესი საქმე ერის მოღვაწეობაში: რაც უნდა ძნელი იყოს ისტორიის წერა, მაინც უფრო ძნელია მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ისტორიულის ცხოვრებით სიცოცხლე, მერე კიდევ მაშინ, როდესაც იარაღით ხელში უნდა დაიცვა თითქმის ყოველივე დღე არსებობისა, არა თუ მარტო შენთვის, არამედ სხვებისთვისაც.

მე-IV საუკუნის პირველს მეოთხედში ახლად აღმოცენებული საქართველოს ეკლესია მიწერილ იქმნა ანტიოქიის საპატრიარქოზე და იმ დროიდამ საქართველო ექვემდებარებოდა საბერძნეთის სარწმუნოებრივსა და კულტურა-პოლიტიკურ გავლენას, და ორსავე ეკლესიას შუა

ქართველების მოღვაწეობის დავარდნა და გავრცელება წმ. ადგილებში ერთის მხრით დამოკიდებული იყო თვით საქართველოს ისტორიულ ცხოვრების დაცემისა და აღმატებისაგან, და მეორეს მხრით იმ ერთაგან, რომელნიც სხვა-და-სხვა დროს განაგებდენ ბედს წმ. ადგილებისას, სადაც ერთს დამპყრობელს ადგილს აცლევინებდა მეორე, ახალი ძლევა-მოსილი. ეს არის მიზეზი, რომ IV-საუკუნიდამ მე-XIII საუკუნემდე ყოველთვის თანაბარად არ ჰყვაოდა ქართველთა რელიგიური და სამხატვრო-მწიგნობრული მოღვაწეობა სირიაში, პალესტინაში და სინაზე, და ყოველ საუკუნიდამ ერთნაირავე რიცხვს მათის ნაღვაწევის სახსოვარ ნაშთებისას არ მოუღწევია ჩვენამდის. საფიქრებელია, რომ უმეტესი ნაწილი ამ სახსოვარ-ნაშთებისა, მეტადრე მწიგნობრობის ნაშთებისა, დაკარგული უნდა იყოს, შეიძლება საუკუნოდაც, და დანარჩენი-კი ჯერ ხელმისაწვდენი არ არის... ამ უკანასკნელს შემთხვევაში, რაც ქართულს ცნობებს აკლია ქართველებისავე მოღვაწეობაზე წმ. ადგილებში, აუცილებლად უნდა შევსებულ იქმნას იმ ცნობებით, რომელნიც მოიპოვება წმ. ადგილთა შესახებ უცხოთა მდიდარს მწიგნობრობაში. მაგალითად, დაცულია ბიზანტიის მე-IV საუკუნის საეკლესიო ისტორიკოსის რუფინის მოთხრობა, რომ მას უნახავს პალესტინაში ქართველთა მეფე (მეფის ძე?) ბაკური; აგრეთვე ჩვენამდე მოაღწია არაბთა მწერლების ნაამბობმა, რომ თამარმა სალადინს შესძლია ორასი ათასი დინარი ჯვარის და იერუსალიმის იმ წმიდა ადგილთა გამოსაყიდად, რომელიც სალადინმა წაართვა ქრისტიანებს იერუსალიმის დაპყრობის დროს 1187 წელს; იგივე უცხოთა მწიგნობრობა გვაუწყებს, რომ მე-XIII საუკუნეში ეგვიპტის სულთანმა ქალავუნმა (ბიბარსმა?) ტყვედ აიყვანა ქართველთა მეფეთ (დიდებული?); მონათხრობია აგრეთვე ამბავი 1305 წ. ყაირში ქართველთაგან გაგზავნილ ელჩებზე და სხვ. ყველა ამაებზე ქართველ მწერლებს არაფერი არა აქვთ ნათქვამი; სამაგიეროდ ისინი გვაძლევენ იმისთანა ცნობებს ქართველების მოღვაწეობისა და წინა-აზიაში მომხდარ ამბებისას, რომელთ შესახებ უცხოელები ვერაფერს გვეუბნებიან. ამიტომაც, სრულისა და ყოველმხრივის შემეცნების შესადგენად წმიდა ადგილებში ქართველთა მოღვაწეობის შესახებ, აუცილებლად საჭიროა ვისარ-

გებლოდა, როგორც ადგილობრივის—ქართულის წყაროებით, აგრეთვე უცხოელების წყაროებითაც.

ეს ჩემი ნაშრომი ზემოხსენებულის მოღვაწეობის ისტორია კი არ არის, მხოლოდ მასალათა კრებაა ამ გვარის ისტორიისათვის. ამ ნაშრომის უმთავრესს და უძვირესს ნაწილს, აქამომდე გამოუქვეყნებელს, შეადგენს იერუსალიმისა და სინას ხელნაწერების განხილვა, ქართული წარწერანი, რომელთ უმეტესი ნაწილი აგრეთვე გამოუქვეყნებელი იყო აქამომდე და, ბოლოს, კედლის მხატვრობა. ეს ცნობებია ამ ნაშრომის საფუძვლად ნახმარი. სხვა წყაროებით-კი, როგორც ქართული, აგრეთვე უცხოურითაც, ვსარგებლობდი იმდენად, რამდენადაც საჭირო იყო, რომ ზოგადად მაინც დამეხატა ქართველების თხუთმეტ საუკუნის მოღვაწეობის სურათი წმ. ადგილებში. აქაც, როგორც სხვა საზოგადოებრივის ცხოვრების სფერაშიაც, ქართველი უფრო მხედარი არის, ვიდრე დინჯი განმხილველი და აღმწერელი თავისის და სხვების მოღვაწეობისა,—თვითონ მიდიოდა ბრძოლის ველზედ, იჩენდა გმირულ ვაჟკაცობას, დ ყვე- ლა ამაების აწერას-კი, ერთის ორატორის თქმისა არ იყოს რომაელების შესახებ, სხვათა ანაბარად სტოვებდა. ამიტომაც სხვა-და-სხვა საუკუნის და სხვა-და-სხვა ეროვნობის დ სარწმუნოების უცხოელნი უფრო მეტს მოგვითხრობენ ქართველების მოღვაწეობაზე წმ. ადგილებში, ვიდრე თვით ქართველები თავიანთ თავზე, რომელნიც უფრო ხშირად ქვაზე მოკლე წარწერით, ეტრატზე უცაბედის მინაწერით დ სხვა ამ გვარებით გვამცნებენ თავიანთ მოღვაწეობას, რომლის გამო შესაძლებელი დ სათანადოც იყო დიდი ტომების დაწერა... მაგრამ, ჩანს, ასეთი ბედი ჰქონდომია წილად!.. მარტო წერა კიდევ არ არის უძნელესი საქმე ერის მოღვაწეობაში: რაც უნდა ძნელი იყოს ისტორიის წერა, მაინც უფრო ძნელია მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ისტორიულის ცხოვრებით სიცოცხლე, მერე კიდევ მაშინ, როდესაც იარაღით ხელში უნდა დაიცვა თითქმის ყოველივე დღე არსებობისა, არა თუ მარტო შენთვის, არამედ სხვებისთვისაც.

მე-IV საუკუნის პირველს მეოთხედში ახლად აღმოცენებული საქართველოს ეკლესია მიწერილ იქმნა ანტიოქიის საპატრიარქოზე და იმ დროიდამ საქართველო ექვემდებარებოდა საბერძნეთის სარწმუნოებრივსა და კულტურა-პოლიტიკურ გავლენას, დ ორსავე ეკლესიას შუა

ხშირი მისვლა-მოსვლა იყო. სირიის სიახლოვე, ხმელეთის გზების ვარგისობა და უშიშროება, ბიზანტიის ბატონობის დროს, ხელს უწყობდა საქართველოს კავშირს, ურთიერთობას ანტიოქიასა და პალესტინასთან, სანამ ამ ქვეყნებს არ დაიპყრობდენ არაბები მე-VII საუკუნის დამდეგს.—სირია-საბერძნეთის მართლმადიდებელს სამღვდელოებას დიდხანს ეჭირა პირველი ადგილი საქართველოში. თუმცა მე-475—480 წლებში საქართველოს ეკლესია აღსარებულ იქმნა დამოუკიდებელ, ავტოკეფალ ეკლესიად და დაენიშნა საკუთარი კათალიკოსი, მაგრამ ანტიოქიის პატრიარქის უფროსობას მაინც ცნობილობდა. ამის გამო ანტიოქიაში ადრიდანვე უნდა დაარსებულიყო ქართველთა ძმობა და საზოგადოება, რომ მოემზადებინათ და ქართული ესწავლებინათ იმ ბერძენ და სირიელ მამათათვის, რომელნიც საქართველოში მოდიოდენ სამოღვაწეოდ, და აგრეთვე თვით ქართველებს ესწავლათ ბერძნული, სხვათა შორის მისთვის, რომ საღმრთო წერილის და სამღვდელ-მოქმედო წიგნები გადმოეთარგმნათ ბერძნულიდამ ქართულად. საქართველოს ისტორია აღნიშნავს განსაკუთრებით ერთს ფაქტს მე-VI საუკუნეში ათ-ცამეტთა სირიელ მამების მოსვლისას, რომელნიც დაბინავდენ საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებში და დიდი ღვაწლი დასდეს ამ ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელების საქმეს, ხალხში სასულიერო და სარწმუნოებრივის განათლების გავრცელებას და მართლ-მადიდებელის სარწმუნოების განმტკიცებას. მეხუთე საუკუნეში სირიაში თავი იჩინა ერთმა გვარმა მოღვაწეობამ, რომელიც შემოიღო სვიმეონ დაყუდებულმან, 385—459 წლებში მცხოვრებმა და დამაარსებელმა სახელ განთქმულის მონასტრისა ს ი მ ა ნ ი ს მთაზე, ალეპპოდამ 40 ვერსის მანძილზე. უზარ-მაზარი ნანგრევნი ამ მონასტრისა ახლაც აკვირვებს მოგზაურებს. დაყუდებულის მიმბაძველნი მალე სხვა ადგილებშიაც გაჩნდენ: ერთი მათგანი იყო მცირე-სვიმონ დაყუდებული, რომელიც ცხოვრობდა ანტიოქიაში 521-დამ 596 წლამდე. მან აგრეთვე დააარსა საკუთარი მონასტერი ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ს მთაზე, ახლაც იმავ სიმან ჯებელის (მთის) სახელით ცნობილზე, ანტიოქიის ქალაქიდამ სამის ვერსის მანძილზე. აი, ამ მონასტრიდამ მოვიდენ საქართველოში მეორედ (პირველად მოვიდენ მე-V საუკუნეში) სირიელნი

მამანი საქართველოს მეფის ფარსმან მე-VI (542—557 წ.) დროს, სახელდობრ: იღუმენი იოანე ერთი დიაკონით და თორმეტი მოწაფეით. საქართველოში გამგზავრების წინად ისინი დალოცა სვიმონ დაყუდებულმა. საქართველოში მოსვლის შემდეგაც ჰქონდათ კავშირი სვიმეონ დაყუდებულთან სირიელ მამებს. სირიელ მისსიონერების მოთავე იოანე და მისი დიაკონი დაბინადრდენ საქართველოს ძველს სატახტო ქალაქის მცხეთის პირ-და-პირ—ზადენის მთაზე, სადაც კერპთ-თაყვანის მცემელთა სალოცავის ნანგრევების ადგილზე ააგეს წმიდა ჯვარის მონასტერი, რომელიც დღეს უძველესი ნაშთია საქართველოს საეკლესიო არქიტექტურისა უძველესის წარწერით ქვაზე (მე-VII საუკ. დასაწყისს). თავისი ექვსი მოწაფეე იოანემ გაგზავნა ქართლში და მათ საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებში დააარსეს სავანენი, საიდამაც იფინებოდა ქრისტიანობისა და სასულიერო-ზნეობრივის სწავლის ნათელი. ერთს ამ მამათაგანს, წმ. აბოს მიწერ-მოწერა ჰქონდა სვიმეონ დაყუდებულთან, რომელმაც თავის მიცვალების წინად, გამოუგზავნა წმ. აბოს საკუთარი კვერთხი ეპისტოლითურთ; მეორე ამ ათ-ცამეტ მამათაგანმა—წმ. მამა [დავით] გარესჯელმა მოილოცა იერუსალიმი, სადაც, საფიქრებელია, უნდა წასულიყო სირიით და, შეიძლება, ანტიოქიითაც. ამ ნაირად კავშირი ამ ათ-ცამეტ (ანუ თოთხმეტს, თუ ჩავთვლით ლეონ (?) დიაკონსაც) მამათა და ანტიოქიას შუა არ ისპობოდა, და შესაძლებელია, თვით მათი მოსვლა საქართველოში არა-თუ ანტიოქიის პატრიარქის, არამედ კონსტანტინეპოლის მთავრობის ნებადაურთველად და შეუტყობინებლადაც არ მომხდარიყოს, რადგანაც ეს სირიელნი ბერები სწორედ იმ დროს მოვიდენ საქართველოში, როცა საქართველოს ეკლესია გაჭირვებულს მდგომარეობაში იყო: იმ დროს მე-VI საუკუნის მეორე ნახევარში ქართველთა და სომეხთა ეკლესიებს შუა იყო გაცხარებული ბრძოლა, რომელიც, ქართველთ ეკლესიის მამათ-მთავრების სიმხნის წყალობით,და შეიძლება ზემოხსენებულ სირიელ ათ-ცამეტთა მამათა გავლენის გამოც, დასრულდა დოვინის კრებაზე 596 წ. აბრაამ პატრიარქის, მავრიკ იმპერატორის და ხოსროვ-შაჰის დროს, და დასრულდა ქართველთა და ბერძენთ ეკლესიების ერთობით და სომეხთა ეკლესიის მართლ-მადიდებლობისაგან განდგომით. ექვსის ამ მამათაგანის ცხოვრების აღწერამ მოაღწია ჩვენამდე მე-IX—X საუკუნის რედაქციით.

საქართველოს განწყობილება ანტიოქიასთან და ქართველთა მონასტრების ბედი ანტიოქიის საზღვრებში მჭიდროდ დაკავშირებული იყო იმ ისტორიულ ცვლილებაზე, რომელიც სირიაში მოხდებოდა ხოლმე. მე-VII საუკუნის დამლევამდე ანტიოქია ბიზანტიის პროვინცია იყო და ქართველებს თავისუფალი მისვლა-მოსვლა და განწყობილება ჰქონდათ ამ მაზრასთან. მეშვიდე საუკუნის დამლევს-კი არაბებმა დაიპყრეს წინა-აზია და ანტიოქიასთან მისვლა-მოსვლა ქართველებისათვის გაძნელდა, მაგრამ 969—დამ 1084 წლამდე იგი ისევ ბერძნების იმპერატორებს ჩაუვარდათ ხელში, და ერთის მხრით ამითი აიხსნება ქართველთა მონასტრების წარმატება მე-XI საუკუნეში ანტიოქიის მახლობლად. მე-XII საუკუნეში ანტიოქიას ჰფლობენ ჯვაროსნები, მე-XIII საუკუნის ნახევრამდე კიდევ არსებობდა კალიპოსის ქართველთა მონასტერი. მე-XIII საუკუნეშივე ანტიოქია აოხრებულ იქმნა ჯერ მონგოლებისაგან და მერე ხვარაზმელთაგან; 1268 წელს იგი დაიპყრო ეგვიპტის სულთანმა ბიბარისმა და იმ დროიდამ ანტიოქია, ანტაკიედ წოდებული, ცნობილია მოსლემინთა ქალაქად და მე-XVI საუკუნეში მოქცეულ იქმნა ოსმანთა იმპერიის საზღვრებში. მაგრამ ამის შემდეგაც ანტიოქიას ხშირად იკლებდენ თურქმენები და ქურთები; იგივე ბედი ეწეოდა ხოლმე ახლო მდებარე ქრისტიანთ მონასტრებს და ამათ რიცხვში ქართველებისასაც.

სალოცავად მგზავრობა ქართველებმა პალესტინაში და ანტიოქიაში ერთსა და იმავე დროს დაიწყეს. როგორც მოგვითხრობს გარდმოცემა, წმ. ნინო მოვიდა იერუსალიმიდამ და გზად გამოიარა სირია და სომხეთი. გაცხარებული მისვლა-მოსვლა ჰქონდათ პალესტინასთან აგრეთვე საქართველოში მცხოვრებ ურიებსაც. ზეპირ-გადმოცემით კი, და ეს იერუსალიმის ჯვარის მონასტრის კედლებზედაც არის დახატული 1643 წელში და ეპისკოპოსს ტიმოთეს მოხსენებული აქვს თავისს მოგზაურობაში მე-XVIII საუკუნეში, რომ პირველმა ქრისტიანე მეფემ მირიანმა (265—342 წ.), წმ. ნინოს რჩევით, კონსტანტინეპოლში ყოფნისა და კონსტანტინე დიდის ნახვის შემდეგ, მიმოვლო იერუსალიმი, სადაც შეიძინა ადგილი ჯვარის მონასტრისათვის. „ქართლის-ცხოვრებაში“ მირიანის ამ მოგზაურობაზე იერუსალიმში

სრულიად არაფერი არ არის ნათქვამი. ბიზანტიის ეკლესიის მე-IV საუკუნის ისტორიკოსი რუფინი, კონსტანტინე დიდის თანამედროვე, ვრცლად მოგვითხრობს ქართველების ქრისტეს სჯულზე მოქცევას და ამბობს, რომ ეს ცნობები მომყავსო ბაკურის სიტყვით, რომელიც იერუსალიმში ვნახეო ქართველებისაგან ქრისტეს სჯულის მიღების 50 წლის შემდეგ. ბაკურ ივერიელიო (ქართველი), ამბობს იგი, ძლიერ ყმაწვილი კაცი იყოვო, საქართველოში წმ. ნინოს მოსვლის დროს, და დიდხანს იყო მოწამე მისის ქადაგებისაო. რუფინის სიტყვით, ბაკური იყო მეფე (თუ მეფის ძე?) საქართველოისა, მიატოვა მეფის ტახტი და თავისი ქვეყანა, მიიღო იმპერატორის თეოდოსესაგან უფროსის დომესტიკოსის და პალესტინის დუკის ხარისხი და გარდაიცვალა სამას ოთხმოც და მეთორმეტე წელიწადშიო. ამ ფაქტსავე მოგვითხრობენ ბიზანტიის ეკლესიის მე-IV საუკუნის სხვა ისტორიკოსნიც, აგრეთვე ამიან მარცელინიც.

მეხუთე საუკუნეში პალესტინაში მოვიდა შესანიშნავი ქართველი მოღვაწე და მეცნიერი მურვანოზ, შემდეგ წმ. პეტრედ და მოჭამის (ლაზის) ეპისკოპოსად ცნობილი... ამ საუკუნეშივე, „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით, წმ. ადგილების მოსალოცავად იყვნენ იერუსალიმში საქართველოს მეფე ვახტანგ I გორგასლანი (446—499 წწ.): „ევედრებოდნენ ვახტანგს დედა მათი და დაი ხვარანძეო“ (ხვარამზე), ამბობს ეს მატიანე, რომ წაეყვანა ისინი იერუსალიმის მოსალოცავად. ვახტანგმა წაიყვანა ისინი ხოსროითურთ (სპარსეთის შაჰი ფიროზი, შვილი იეზდიგერდისა, ხოსროიანთა დინასტიისა 457—488 წ.)—წავიდა იმ გზით, რომელიც ადერბეიჯანზე მიდიოდა და აქედამ ვახტანგი, დედა და და იმისი წავიდნენ იერუსალიმს, ხოსრომ კი დაუცადა ანტიოქიაში (სირიაში).—მლოცველნი მივიდნენ იერუსალიმს, წმ. აღდგომის ეკკლესიაში, მოინახულეს ყველა წმინდა ადგილები, მოილოცეს წმ. აღდგომის ეკკლესია და, უხვის შეწირულების შემდეგ, დაბრუნდნენ ანტიოქიაში. ამასვე იმეორებს შემოკლებით მე-XIII საუკ. სომხური თარგმანიც „ქართლის ცხოვრებისა: „ვახტანგი, ქრისტეს სიყვარულით აღძრული, წავიდა იერუსალიმს და წაიყვანა თან დედა და დაი თვისნი. მოინახულეს რა წმ. ადგილნი, ისინი დაბრუნდნენ ანტაკში (ანტიოქიაში), აღვსილნი

სიხასულითა“. ეს გარემოება 1643 წ. აღნიშნულია ჯვარის მონასტრის კედელზე. გარდა ამისა, იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის სიტყვით, მისს დროს, მე-XVII საუკუნეში დაცული იყო გოლგოთაზე, ქართული წიგნი, რომელშიაც მონათხრობი ყოფილა ვახტანგის I მოგზაურობა იერუსალიმში. ვახტანგის იერუსალიმში მოგზაურობაზედ მოგვითხრობს აგრეთვე ტიმოთე ეპისკოპოსიც მე-XVIII საუკუნეში, მაგრამ ვგონებ იმას აურევია ერთმანეთში მშვიდობიანი მლოცველი ვახტანგ I და ვახტანგ III (1302—1307), რომელიც ქართველი ჯარებით ყაზან-ხანის მონღოლებთან ერთად იყო სირიასა და პალესტინაში ეგვიპტის საზღვრებამდე, ებრძოდა ეგვიპტის მამელუკებს, რომელნიც საშინლად დაამარცხა დამასკში და უკუაქცია იერუსალიმისა და ეგვიპტის საზღვრებისკენ.

ყოველივე ზემოხსენებულის შემდეგ, ძნელად თუ შეიძლება ეჭვის შეტანა იმაზე, რომ მე-V საუკუნეში იერუსალიმს უკვე არსებობდა ქართველთა მონასტერი და, შეიძლება, არა მხოლოდ ერთი; არსებობდა აგრეთვე დაწესებულება, რომელშიაც შესაძლებელი იყო სამწიგნობრო-მოღვაწეობაც დაწყებულიყო, ეთარგმნათ სამღვდელ-მოქმედო და ბიბლიური წიგნები, რაიცა დიდად ეჭირვებოდა ახალ დაარსებულს ეკლესიას.

იმ ოც მონასტერთა შორის, რომელნიც აგო თუ განაახლა იუსტინიანემ მე-VI საუკუნეში, ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი ამბობს, რომ ერთი ი ვ ე რ ი ე ლ თ მონასტერიც ერია. თუ კი მონასტერს მე-VI საუკუნეში ეჭირვებოდა განახლება და მივიღებთ მხედველობაში მაშინდელ შენობათა სიმტკიცეს, მაშასადამე უნდა ვიგულისხმოთ რომ იგი ერთი ასის წლის ანაგები მაინც იქნებოდა.

მეექვსე საუკუნეშივე, იმავ ისტორიკოსის მოწმობით, იერუსალიმის უდაბნოში, ალბად იერუსალიმიდამ იორდანისკენ მიმავალ გზაზედ, იყო მონასტერი ლ ა ზ თ ა, ე. ი. იმერლებისა, მეგრელებისა და ჭანებისა, რადგანაც მე-VI საუკუნის განმავალობაში მთელს სამხრეთ-აღმოსავლეთს ნაპირს და ბასსეინს შავის ზღვისას ტრაპიზონიდამ აფსილიამდე (აფხაზეთამდე) ბერძნები ეძახდენ ლაზიკას და მცხოვრებლებს—ლაზებს.

სომეხი მლოცველი ანასტასე, რომელმაც მოვლო იერუსალიმი მე-VII საუკუნის დამლევს, ანუ მე-VIII საუკ. დამდეგს, მოგვით-

ხრობს, რომ „წმიდა იოანნეს (ღვთის-მეტყველის) მონასტერში ახლა ქართველები ცხოვრობენო".—

---

## LVII. ქართული ქრონიკონი

(დ. ჩუბინაშვილი—ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა და მოსახლეთა)

პონტოს მეფემ მიტრიდატმა III გაიმარჯვა ლისიმახზედ, რომელიც იყო მაკედონიის მეფე 284 წელსა და დასდო გამარჯვების წელიწადი დასაბამად წელთა აღრიცხვისა ანუ ერად, რომელიც იყო მიღებული, როგორც ბოსფორის სამეფოში, ისე კოლხიდაში და საქართველოში.

ღირსია შესანიშნავად რომ აქედამ იწყებიან ჩვენი ქრონიკონებიცა, რადგანაც იმ დროს მთელი კოლხიდა დამონებული იყო პონტოს მეფეთაგან და ჰქონდათ ერთმანერთში დიდი ერთობა. აქამომდე სწავლულთა და სიძველის გამომძიებელთა არ იცოდნენ სწორედ, რომლის წლიდამ იწყებოდა ერა ან დასაბამი წელთა აღრიცხვისა პონტოს სამეფოში. ზოგი სცდება 8, ზოგი 10, ზოგი 12 წლითა. მე რომ შევადარე ჩვენი ქრონიკონი და აღვრიცხე, მაშინ აღმოჩნდა, რომ დასაბამი ჩვენისა და პონტოს ერასი არის 284 წელი ქრისტეს წინათ: ვინ არ იცის, რომ ჩვენს ქრონიკონსა, როგორც რომ ეკლესიის კინკლოსსა, აქვს საქცევი 532 წელიწადი. ეს რიცხვი შესდგება განმრავლებისაგან 28 × 19. რიცხვი 28 შეადგენს წელთა მზის მოქცევისათა და 19—მთოვარისათა. 532 წელი რომ დასრულდება, შვიდეულის დღენი, მთოვარის განახლება, დიდ მარხვის აღების დღე, პასექის დღე და შემდგომნი ცვლადნი დღესასწაულნი: კვირაცხოვლობა, ამაღლება და სხვანი ანგარიშნი თვითოეულის წლისა, იმავე შვიდეულს დღეს, თვისა რიცხვს და თვეს მოვლენ, როგორც რომ 532 წლის წინად იყო. მაგალითად, ჩვენი ხუთასეული ქრონიკონი დასრულდა 1844 წელსა, ასე რომ 1845 წლიდამ იწყო ახალმან ხუთასეულმან ქრონიკონმან. 1844 წელსა პასქა იყო აპრილის 15. ამ წლიდამ რომ

გამოჰკვიდეთ 532 წელი, დარჩება 1312 წელიწადი, ამ წელიწადს პასქა იყო აგრეთვე 15 აპრილსა. ქრონიკონი ანუ დიდი ინდიკტიონი შემოიღო მღვდელმონაზონმა დიონისიმ 516 წელსა ქრისტეს შემდგომ მოსაპოვნელად, თუ რომელს თვესა და რომელს რიცხვში დადგება პასქა. ამ ჟამადმდე, ე. ი. 516 წლამდინ ამ გვარი აღრიცხვა არსად იყო და, რა საკვირველია, არც საქართველოში იქნებოდა. საქართველოში, როგორცა ჰსჩანს, აღრიცხვა უწყვიათ 781 წლიდამ ქრისტეს შემდგომ *). მაშასადამე ხუთასეული ქრონიკონი გათავებულა 780 და ახალი დამდგარა 781 წელსა. 780 წელს რომ დავრთოთ 284 წელი, მაშინ შეიქმს 1064 წელსა, ან ორს სრულს ქრონიკონსა. თუმცა 781 წელს შემოუღიათ ქრონიკონი, გარნა რიცხვი წელთა დასაბამისა დაუდვიათ პონტოს ერა, ანუ დასაბამი წელთა აღრიცხვისა, რომელსაც, როგორც ჰსჩანს ზემო გამორიცხვისაგან, ჰქონია დასაბამი 284 წელსა ქრისტეს წინათ. ისტორიაც ეთანხმება ამას. 1844 შესრულდა ხუთასიანი ქრონიკონი და 1845 იწყო ახალმა ქრონიკონმა. ამ 1844 რომ დაუმატოთ 284 წელი, შეიქნება 2128 წელი. 2128 წელი რომ გავჰყოთ 532, დაშთება კერძოობითი რიცხვი უნაკლულოდ 4; ეს ამას ნიშნავს, რომ ოთხჯერ ხუთასეული ქრონიკონი შესრულდა 1844 წელსა და 1845 წელსა იწყო მეხუთე ხუთასეულმა ქრონიკონმა.

## LVIII. უძველესი ქართული ფულები

ძველის ფულების შესწავლას, ანუ ნუმიზმატიკას, რომელიც საზოგადოდ ისტორიის დამხმარებელ მეცნიერებად ითვლება, განსაკუთრებით თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისათვის. თვითოეული ძველი ფული თავის გარეგანის სახით, თუ ზედწარწერით

*) თუმცა ეს წელთ-აღრიცხვა „ქართლის ცხოვრებაში“ პირველად იხმარება მერვე საუკუნეში, მაგრამ, როგორც ფიქრობს დ. ზ. ბაქრაძე, იგი შემოტანილი უნდა იყოს საქართველოში მეექვსე საუკუნეში სირიელ მამათაგან.

წარმოადგენს უტყუარს და ნამდვილს საბუთს, რომელიც აჭეშმარიტებს და ნათელსა ჰყოფს ისტორიულ ფაქტსა. ყოველ უძველესის ერის ისტორიას ჰყოლია და ეყოლება სკეპტიკები, რომელნიც ეჭვის თვალით უცქერიან უძველეს ეროვნულ მატიანეთა და არ სჯერათ ამ მატიანეთა ნაამბობი, სანამდის არ დარწმუნდებიან, რომ იგი ნაამბობი დამყარებულია თანამედროვე საბუთზე. რასაკვირველია, რომ ამისთანა სკეპტიკები, უკეთუ ისინი აღჭურვილნი არიან კეთილსინდისით და ერის წარსულის ცხოვრების შესწავლის გულწრფელ სურვილით, სიკეთის მეტს არას მოუტანენ ისტორიულს მეცნიერებას, რადგან მათი სურვილი და წადილი მხოლოდ ის არის, რომ ეს მეცნიერება იდგას ჯეროვან სიმაღლეზე და ჰქონდეს ის სიმტკიცე, რომელიც შეჰფერის ნამდვილ მეცნიერებას. ისტორიის ამისთანა სიმტკიცისათვის საჭიროა შეგროვდეს, რაც შეიძლება, მეტი იმისთანა ნაშთები, რომელიც თანამედროვეა გამოსარკვეველ ეპოქისა. ამისთანა ნაშთებს შეადგენს: თანამედროვე კაცთაგან დაწერილი ქრონიკები, სიგელები, გუჯრები, კანონები და სხვა აქტები საზოგადოებრივ ხელმწიფებისანი, შენობები, ფულები და სხვ. და სხვ. ამათ შორის საქართველოს ისტორიისათვის თვალსაჩინო მნიშვნელობა ძველ ფულებს აქვს, რადგან სხვა ნაშთებზე უფრო ძველ დრომდამ არის უცვლელად დარჩენილი.

უძველეს ქართულ წერილობითს ნაშთსა ჯერ-ჯერობით შეადგენენ ფულები. თვით საგნის სიმარტივემ და სიცხადემ, თუ იმისმა სიბეჯითემ, ეს კი არის, რომ ქართულმა ნუმიზმატიკამ მიიზიდა რამდენიმე სწავლული კაცი, რომელთა კეთილსინდისიერმა შრომამ მტკიცე ნიადაგზე დაამყარა ეს მეცნიერება. ამათ შორის თ. მიხეილ ბარათაშვილმა ჩაჰყარა ამ მეცნიერების პირველი მტკიცე საფუძველი. თავადმა ბარათაშვილმა 1844 წელს გამოსცა ამ საგნის თაობაზე სამ ენაზე (ქართულს, რუსულს და ფრანგულზე) დაწერილი ვრცელი თხზულება („ნუმიზმატიკის ფაქტკა ანუ ძველნი ფულნი საქართველოს სამეფოსანი“), რომელშიც მოთავსებულია მშვენიერად დახატული და გარჩეული 150-ზე მეტი ძველი ქართული ფული. ამ თხზულების თაობაზე ბროსემ და ორმა სხვა აკადემიკოსმა წარუდგინეს თავისი მოხსენება პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიას. გარდა ამისა ბროსემ ამ მოხსენებას

დაურთო ცალკე წერილი ქართულ ნუმიზმატიკის თაობაზე (*M. Brosset—Rapport sur l'ouvrage intitulé*—Нумизматическіе факты грузинскаго царства *et Revue de numismatique géorgienne*, 1847.) გარდა ამისა ფრიად საყურადღებონი შრომანი ამ საგნის თაობაზე ეკუთვნის გენერალს ბართოლომეის (*J. Barthlomaei—Lettres numismatiques et archéologiques, relatives à la Transcaucasie, 1859*) და ლანგლუას (*V. Langlois—Essai de classification des suites monétaires de la Géorgie*, 1860).

ზემოდ დასახელებულ გამოკვლევათა შემწეობით, აი რა დასკვნანი შეგვიძლია დავადგინოთ უძველეს ქართულ ფულების შესახებ.

მეექვსე საუკუნემდე ქრისტეს აქედ საქართველოში არ ყოფილა (ჩვენს დრომდე მაინც არ მოუწევია) ნამდვილი ქართული ეროვნული ფულები ქართულის წარწერით. მეექვსე საუკუნემდე საქართველოში იხმარებოდა ან უცხო ქვეყნებიდამ შემოტანილი ფულები ან მათ მსგავსად თვით საქართველოში მოჭრილი ფულები. ასეთები იყო ათინისა, ალექსანდრე მაკედონელისა, კოლხიდის პატარა ვეცხლის ფულები, დიოსკურიაში დასახლებულ ბერძნების ფულები, სირიის და კაპადოკიაში მოჭრილი დრახმები, პართელ-არშაკუნიანების ფულები და რომის იმპერატორის ავგისტოს დინარიები, რომლებზეც დახატული იყვნენ მისი შვილობილნი კაიოსი და ლუციოზი.

ამ ფულთა შორის ყველაზე შესამჩნევი არის კოლხიდის პატარა ვეცხლის ფულები, ერთის მხრით იმიტომ, რომ ამისი ნიმუშები მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, ანუ ძველს კოლხიდაში, მოიპოვება და ბლომადაც მოიპოვება, და მეორეს მხრით იმიტომ, რომ ამ ფულებს უნდა ეხებოდეს შემდეგი ადგილი „ქართლის ცხოვრებისა“: როცა ფარნავაზმა ნადირობის დროს დიღომის ერთს გამოქვაბულში იპოვნა დიდი განძი, ოქრო და ვეცხლი, მან გაუგზავნა კაცი ეგრისის ერისთავს ქუჯს და შეუთვალა: არს „ჩემთანა ხვასტაგი დიდ-ძალი. აწ ინებო რათა მათ ხვასტაგითა მოვიდე შენთანა და ვიყვნეთ ჩვენ ძმა და ვისმაროთ ჩვენ ხვასტაგი იგი ორთავე. გამოუჩნდეთ ჩვენ მტერად აზონ ერისთავსა და სვემან ჩვენმან მოგვცეს ჩვენ ძლევა კეთილი.“ ქუჯს ძლიერ გაეხარდა და შემოუთვალა: „აღდეგ და მოვედ ჩემ-

თანა და ნუ შურობ სვასტაგსა შენსა და სვასტაგებითა შენითა განიმრავლნე სპანი შენნი.“ „მაშინ ფარნავაზ ფარულად წარვიდა სისარულით და რომელ შესაძლებელ იყო განძისა მისგან წარიტანა თანა... და მივიდა ქუჯისთანა.“

ამ ადგილიდამ ცხადია, რომ აქ სიტყვით „სვასტაგი“ იგულისხმება ის ოქრო-ვეცხლი, რომელიც ფარნავაზმა იპოვა გამოქვაბულში. პირ-და-პირი მნიშვნელობა კი ამ სიტყვისა არის: ს ა ქ ო ნ ე ლ ი. აქედამ სჩანს, რომ ამ ქართულ სიტყვას იგივე მნიშვნელობა ჰქონია, როგორც ლათინურს pecunia, რომელიც პირველად ხარს ნიშნავდა და მერე ფულსა. ამ მსგავსებას კიდევ მეტი მნიშვნელობა მიეცემა, როცა წარმოვიდგენთ, რომ ზემოხსენებულ კოლხიდის ფულის მეორე გვერდზე ხარის თავია გამოხატული.

შემდეგ ამისა დიდი ყურადღების ღირსია ის ფულები, რომელსაც ქართული ზედწარწერა აქვს და მოჭრილია საქართველოში, სპარსეთის სასანიანთ ფულების მზგავსად. გარეგანი სახე ამ ფულებისა შემდეგია:

პ ი რ ვ ე ლ ი  გ ვ ე რ დ ი: პეჰლევური ზედწარწერა—„ჰორმიზდა უწმინდესი“. სახე მეფისა მარჯვნით იყურება; თავზე ხურავს გვირგვინი, რომელზედაც წინ უზის ახალი მთვარე. ამ სახის გარშემო ამოჭრილია პატარა რგოლები და რამდენიმე ახალი მთვარე. ყოველსავე ამას არტყია არშია, რომლის გარშემო სამის მხრით: მარჯვნით, მარცხნით და ქვემოდ დასატულია ვარსკვლავი, ახალ მთვარეში ჩასმული და მეოთხე მხრით-ზემოდ, ქართული ზედწარწერაა ხუცურის ასოებით.

მ ე ო რ ე  გ ვ ე რ დ ი: პეჰლევური შემოკლებითი ზედ-წარწერა, რომელიც აღნიშნავს ჰორმიზდას ხელმწიფობის მეშვიდე წელსა. შუაგულში გამოხატულია ჭურჭელი, რომელშიც ცეცხლიანთია. ამ ცეცხლს იქით-აქედ უდგას ორი კაცი, რომელნიც ერთმანეთს უცქერიან. გარშემო არშია აქვს.

ამ ტიპის ფულებს, საქართველოში მოჭრილებს, შემდეგი ზედწარწერა აქვს: ერთზე ამოჭრილია ႢႰ, მეორეზე ႥႾႢ და მესამეზე ႿႭ. ეს სამი ზედწარწერა ასრე იკითხება: გ უ რ გ ე ნ, ვ ა ხ ტ ა ნ გ და ჯ ა ვ ა ხ ო ს. ცხადია, რომ თვითოეული ზედწარწერა შეიცავს იმ მთავრის სახელს, რომლის დროსაც მოჭრილია თვითოეული

ფული. მაგრამ ვინ იყვნენ ეს გურგენი, გასტანგი და ჯავასოსი, ჯერ ბეჯითად არ არის გამოკვლეული. ის კი ცხადია, რომ ეს ფულები ამოჭრილი უნდა იყოს საქართველოში არა უადრეს 586 წლისა ქრისტეს აქეთ, რადგან ამ წელს უდრის ის თარიღი (მეშვიდე წელი ჰორმიზდა მე-IV-ს მეფობისა), რომელიც ამ ფულებს მათ პროტოტიპის მიხედვით უზის,—და არა უგვიანეს მე-VII საუკუნის ნახევრისა, რადგანაც ამ დროს არაბთა გაძლიერების გამო თვით სპარსეთშიც აღარ იყო სასანიანთ ფულების სესხება და მაშასადამე საქართველოს მეფეებს და მთავრებსაც საფუძველი არ ექნებოდათ ამ ფულების მიმზგავსებით მოეჭრათ თავიანთი ფულები.

სასანიანთ ფულების მზგავსად უკანასკნელად მოუჭრია საქართველოში ფულები ბაგრატიონის გვარის მთავარს სტეფანოზ I (600—619 წწ. ქრ. შემდეგ). ამ ფულებზე ამოჭრილია სტეფანოზის სახელი ხუცურად: ერთზე—ႱႬႱ, მეორეზე—ႱႲႴႠႭ,Ⴑ და მესამეზე—ႱႲႤႴႠႬႱ.

---

## LIX. ბრძოლა ბერძნებსა და სპარსელებს შორის დასავლეთის საქართველოს ანუ ლაზიკის გამო 523—562 წწ.

(*Dubois de Montpéreux—Voyage autour du Caucase*, t. II).

რომაელნი რომ საქართველოში შემოვიდენ პომპეის წინამძღოლობით, მას შემდეგ საქართველო ორს უმთავრეს ნაწილად გაიყო: აღმოსავლეთისად და დასავლეთისად. პირველი ნაწილი იყო ლიხის და კასპის ზღვას შუა და ჰქონდა დამოკიდებულება უფრო სპარსეთთან. მეორე კი მდებარეობდა ლიხის მთას და შავ ზღვას შუა და იყო რომაელების და ბერძნების გავლენას ქვეშ. საზღვრები დასავლეთის საქართველოისა, რომელსაც ბერძნები ძველადგან კოლხიდას უწოდებდენ და მეექვსე საუკუნეში ქრ. აქედ უწოდეს აგრეთვე ლაზიკა, იყო შემდეგი: აღმოსავლეთით ლიხის მთა, დასავლეთით შავი ზღვა, ჩრდილოეთით კავკასიის მთები და სამხრეთით მესხეთი. დასავლეთი

საქართველოში იყო შემდეგი ციხე-ქალაქები: შ ო რ ა პ ა ნ ი (მდ. ყვირილაზე), ს კ ა ნ დ ა, ქ უ თ ა თ ი ს ი ანუ ქ ო თ ა თ ი ს ი, უ ხ ი მ ე რ ი ო ნ (ქუთაისის მახლობლად, ჩრდილოეთით, რაჭა-ლეჩხუმისკენ), ვ ა რ ც ი ხ ე (რიონის და ყვირილას შესართავის ცოტა ქვემოდ), ს ა ქ ა ლ ა ქ ე ვ ი*) ანუ ძველთა მწერალთა ე ა ს ქალაქი (ცხენის წყალსა და ტეხურს შუა), ფაზის ქ ა ლ ა ქ ი,**) ჰ ე რ ა კ ლ ე***) (ენგურის ზღვასთან შესართავზე), დ ი ო ს კ უ რ ი ა, პითიუს****) და სხვანი. ოთხი უკანასკნელი ქალაქი ბერძნებისა და რომაელებისა იყო. დასავლეთის საქართველოს მცხოვრებლებს ბერძნები და რომაელები კოლხიდელებს უწოდებდენ. კოლხიდელების მეზობლად ცხოვრობდენ ჩრდილოეთით მი-ს ი ა ნ ე ბ ი, რომელთაც ეჭირათ ხოფის და ტეხურის ზემო ხევები და ენგურის შუა ხევი; ენგურის ზემო ხევი ეჭირათ სვანებს; ა ფ ს ი ლ ე-ბ ი*****) ცხოვრობდენ ენგურის გაღმა, ზღვის პირად; ცხენის წყლის და რიონის ზემო ხევებს ჰქვიოდა ს კ ი მ ნ ი ა და დღეს ჰქვია ლეჩხუმი. ლაზები ცხოვრობდენ კოლხიდელების სამხრეთით ზღვის დაყოლებაზე, სხვა და სხვა სახელებით, მაგალითად: ზოგს ჭანი ჰქვიოდა, ზოგს—ზუდრეტი და ზოგს—მახელონი და სხვა; ყველა ზემოხსენებულნი ერნი ეკუთნიან ქართველთ ტომს და იმათ შორის ენგურის სამხრეთით, ზღვის დაყოლებაზე მცხოვრებთა ეწოდათ საერთო სახელი ლ ა ზ ე ბ ი. ბერძნები და რომაელები უწოდებენ მათ კოლხიდელებად. მისიმიანებს, აფსილებს, სვანებს, სკიმნიელებს ჰყვანდათ თავ-თავისი მეფეები, რომელნიც მეტ-ნაკლებად ემორჩილებოდენ კოლხიდელების მეფეს.

ესეთი იყო კოლხიდა, რომელსაც პირველ საუკუნეში ქრისტეს წინად ეპატრონებოდენ რომაელები. მაგრამ მათი პატრონობა მხოლოდ სახელით იყო. კოლხიდელები ანუ ლაზები არავითარ ხარკს არ აძლევდენ რომაელებს. ერთად ერთი ნიშანი დამოკიდებულებისა იყო ის, რომ მათი მეფეები ტახტზე ასვლის დროს მიიღებდენ ხოლმე რომის იმპერატორებისაგან სამეფო სამკაულებს და ამ რიგად იმპერატორები თითქო ამტკიცებდენ მათ მეფეებს. ერთად ერთი მოვალეობა

---

*) ანუ არქეოპოლისი ბერძნების სახელწოდებით.—**) ფოთი.—***) აწინდელი ანაკლია.—****) პიწუნდა ანუ ბიჭვინდა.—*****) აფხაზები.

შათი, როგორც დამოკიდებულ ერებისა, იყო დაცვა კავკასიის მთების გზებისა, საიდგანაც ჰუნებს შეეძლოთ თავს დასცემოდენ რომაელების ქვეყნებსა.

456 წ. ქრ. აქედ დასავლეთის საქართველოში მეფობდა გუბაძე, რომელმაც მოიწადინა სპარსეთს მიმხრობოდა, მაგრამ, რადგან სპარსეთი ჰუნებს ებრძოდა, გუბაძემ ვეღარ შეასრულა თავისი წადილი. გუბაძის მემკვიდრეების დროს გარემოება გამოიცვალა.

აღმოსავლეთის იმპერიას და საერთოდ საქრისტიანო სახელმწიფოებსა მძვინვარე მტრები გამოუჩნდენ—სპარსეთის სასანიდები. რაც იმპერატორებმა ქრისტეს სჯული აღიარეს, მას აქედ სპარსეთის მეფეებმა შეიძაგეს ეს ახალი სჯული და დაუწყეს თავის საბძანებლოდამ დევნა, რადგან ყოველი ქრისტიანე ეგონათ დამაშაკი, მტერი სპარსეთისა და მეგობარი საბერძნეთისა. საზოგადოდ დამხობა ქრისტიანობისა და განმრავლება ცეცხლის თაყვან-მცემელთა—ესეთი იყო სახელმწიფო პოლიტიკა, რომელსაც სპარსეთის მეფეები მეტ-ნაკლების სიმტკიცით მისდევდენ. სომხეთი იყო გაქრისტიანებული 287 წლიდამ. სპარსეთის მეფეები მუდამ იმას სცდილობდენ, რომ სომხეთი მათ სჯულზე მოექციათ და ამისათვის რა არ ჩაიდინეს! რა დევნა, რა კვლა და საძაგლობა არ ჩაიდინეს! აღმოსავლეთის საქართველოც ანუ ივერია გაქრისტიანებული იყო 318 წლიდამ, მხოლოდ მისმა მიუვალ ხევებმა და მიუდგომელ ადგილებმა იხსნეს ივერია სომხეთის ბედისაგან, და სპარსელები ვერ ეპყრობოდენ ივერიას ისე სასტიკად, როგორც სომხეთს, მაგრამ პოლიტიკა მუდამ იგივე იყო. სპარსეთის მეფეები მუდამ სცდილობდენ, როგორც სომხეთში, ისე საქართველოშიც ცეცხლ-მსახურების დამყარებას. მხოლოდ ამ საშუალებით შეეძლო სპარსეთს ეს ქვეყნები დაემორჩილებინა და აღმოსავლეთის იმპერიაზე სამუდამოდ დაეშორებინა გულითაც და ინტერესითაც.

ამავე აზრით სპარსეთმა სრული თავისი ყურადღება მიაპყრო გაქრისტიანებულ ლაზიკას. როცა რომის ტახტზე იმპერატორად იჯდა ანასტასე (491—518), სპარსეთის ხელმწიფემ კობადმა მოახერხა ლაზებთან მორიგება და იმპერატორების მაგიერობა გაუწია. იმდენს ეცადა კობადი, რომ ახალი მეფე ლაზებისა გვირგვინის მისაღებად

წავიდა სპარსეთში. მათი მეფე დამნაძე (ანუ ზამნაქსი, როგორც ზოგიერთები ჰკითხულობენ) კობადმა დაავგირგვინა სპარსელების სჯულისამებრ.

დამნაძის სიკვდილს შემდეგ, მის შვილს ცათეს ჰსურდა ქრისტეს სარწმუნოების მტკიცედ დაცვა, რადგან ამ სარწმუნოებას აღიარებდენ მისი ქვეშევრდომნი. ამიტომ 522 წელს წავიდა სპარსეთის მაგიერ კონსტანტინეპოლში, რათა აქ მიეღო იმპერატორ იუსტინესაგან ნათლისღება და გვირგვინ-კურთხევა. იუსტინემ შეიწყნარა მისი სურვილი, მდიდრულად დაასაჩუქრა და შეჰრთო მას პატრიცის ნომუსის ასული კალერია. გაჯავრებული კობადი ამტკიცებდა, რომ იუსტინემ გადაიბირაო ჩემი ქვეშევრდომი და ამასთან ამბობდა ცხად სიცრუეს, რომ ლაზიკა ძველის ძველიდამ სპარსელების დამოკიდებულებაში იყოო.

523 წ. კობადმა გადასწყვიტა ლაზიკაში შესვლა ცათეს გასაძევებლად. მაგრამ აქ ერთი დიდი დაბრკოლება აღმოჩნდა: საჭირო იყო გავლა აღმოსავლეთის საქართველოში, სადაც ვახტანგ გორგასლანის დროდამ ქრისტიანობის სარწმუნოება უფრო დამყარდა და ამიტომ ქართველებს უფრო შესძაგდათ სპარსელები. კობადმა, ბუნებით სასტიკმა და შეუთვისებელმა, გაუგზავნა იბერიის მეფეს გურგენს *) ბრძანება, დამემორჩილეთ და მიიღეთ სპარსელების სჯული და განსაკუთრებით მიიღე წესად, რომ ქართველებმა მკვდრები არ დამარხონ, არამედ დააგდონ ძაღლების და ფრინველების საჭმელად, სპარსელების სჯულისამებრო. გურგენმა, ამ გულწრფელმა ქრისტიანემ, იუსტინეს სთხოვა შემწეობა. იუსტინემ გამოუგზავნა სარდალი პეტრე ჰუნების დამხმარებელ ჯარით. მაგრამ ეს შემწეობა სპარსელების წინააღმდეგ ძლიერ სუსტი იყო. გურგენ იძულებული იქმნა მთელის თავის სახლობით და მთელის სამეფოს აზნაურებით გადასულიყო ლაზიკაში. სპარსელებმა ადვილად დაიპყრეს აღმოსავლეთის საქართველო და შემდეგ ამისა არავითარი ზღუდე აღარ იყო სპარსეთსა და ლაზიკას შუა.

სპარსელების შეჩერება შეეძლო კიდევ შორაპანს და სკანდას. ეს ორი ციხე იცავდა ლაზიკის შესავალს აღმოსავლეთის საქართველოს

*) „ქართლის ცხოვრება“ არ იხსენიებს ამ მეფეს. ალბად ეს გურგენი იყო ერთი ძლიერი ქართველთ მთავართაგანი.

მხრით. ლაზებმა აღარ ისურვეს ამ ციხეების დაცვა და დაუტოვეს ბერძნებს. ბერძნები დადგნენ იქ, მაგრამ მალე დასუსტდნენ აქაურ საჭმელისაგან. ლაზებს, როგორც შემდეგ იმერლებს, ღომის მეტი არაფერი არ მოჰყავდათ, პურს თითქმის სულ არ სთესდნენ, და ამიტომ ბერძნებს სხვა საჭმელი ვერაფერი ვერ უშოვნეს. ბერძნებმა მალე მიატოვეს ეს ციხეები, რომელნიც დაიპყრეს სპარსელებმა.

ამ დროს გარდაიცვალა იუსტინე (527 წ.). როგორც კი მისი ძმის-წული იუსტინიანე ავიდა ტახტზე, მაშინვე გაგზავნა ცათეს დასახმარებლად სპარსელების წინააღმდეგ სამი სარდალი. ამ სარდლებმა, თავიანთ მოვალეობის ასრულების მაგიერ, ერთმანეთს დაუწყეს შფოთი. ამ უთანხმოების გამო ისინი დამარცხდნენ და უკანვე დაბრუნებულ იქმნენ. მაშინ ჯარების უფროსობა ჩაჰბარდა პეტრე ნოტარს, რომელმაც ცათეს დახმარებით სპარსელები დაამარცხა. 532 წ. მოხდა მორიგება და სპარსელებმა ბერძნებს დაუბრუნეს შორაპანი, სკანდა და სხვა ციხეები.

აქამდის ლაზებს თითქმის არ უგრძვნიათ ბერძნების ბრძანებლობის სიმძიმე. მიზეზი ამისი ის იყო, რომ ბერძნებს მიაჩნდათ ეს ქვეყანა ველურ ქვეყანად, სადაც კაცს მეტის-მეტად უძნელდებოდა ბუნებასთან ბრძოლა, და ვერავითარ სიმდიდრეს ვერ პოულობდნენ იქ, გარდა ტყავეულობისა, ბეწვეულობისა და მონებისა, რომელთაც ლაზები სცვლიდნენ მარილზე და სხვა პირველ საჭიროების ნაწარმოებზე. ამიტომ ბერძნები დიდს ყურადღებას არ აქცევდნენ ამ ქვეყანას და კმაყოფილნი იყვნენ, რომ სახელი მაინც ჰქონდათ ამ ქვეყნის პატრონებისა.

როცა ლაზიკა სპარსელებთან ომის ასპარეზად გარდაიქცა, მაშინ მი სიმდგომარეობა გამოიცვალა. ცათეს მისაშველებლად გაგზავნილი ბერძნები მხოლოდ იმას ჰფიქრობდნენ, როგორ გავფცქვნათ ხალხი და თვითონ ჩვენ გავმდიდრდეთო.

სწორედ აგრე მოქმედებდა ლაზიკაში სარდალი ივანე ციბუსი, რომელმაც თავის მოქმედებით მოთმინებიდამ გამოიყვანა ლაზები. ეს ციბუსი იყო დაბალ შთამომავლობისა და არავითარ ღირსებით არ დაუმსახურებია ის მაღალი ადგილი, რომელიც ეჭირა, თუ ღირსებად არ ჩაითვლებოდა ის, რომ იგი იყო კაცთაგან უარესი და ხალხის გა-

ფეცქვნის საქმეში ძლიერ დახელოვნებული. ციბუსმა მისცა იუსტინიანეს აზრი ზღვის პირად ციხის აშენებისა. ამ ციხეს უწოდეს პეტრა და იყო აშენებული აწინდელ გურიაში, მაღალ კლდეზე, რომელიც ჰყოფს სკურდუბის და ნატანების მდინარეებს. აი, აქ გაიკეთა ივანე ციბუსმა თავისი საზღუდარი და დაიწყო ლაზების ქონების ხელში ჩაგდება. ამას შემდეგ არც მარილი და არც სხვა რამე სავაჭრო არავის შეეძლო შემოეტანა ლაზიკაში. ყოველი სავაჭრო უნდა მოეტანათ პეტრაში, სადაც ციბუსმა დააარსა დიდი ბაზარი, რომლის სრული გამგეგელი და მოვაჭრეც თვითონ იყო. ყველაფერს იგი ჰყიდულობდა იაფად და შემდეგ ლაზებს მიჰყიდდა ხოლმე ფრიად ძვირად.

მოთმინებიდამ გამოსულმა ლაზებმა, ცათეს შვილის და მემკვიდრის გუბაძის რჩევით, ამჯობინეს სპარსელებს დაჰმორჩილებოდნენ და 539 წ. გაუგზავნეს დეპუტატები ხოსრო ნუშირვანს, რომელიც ავიდა ტახტზე თავის მამის კობადის სიკვდილს შემდეგ. დეპუტატებს *) მინდობილი ჰქონდათ სპარსეთის ხელმწიფისათვის სიტყვა ჩამოერთვათ, რომ ლაზიკას იგი არასოდეს ბერძნებს არ დაუთმობს, თუ ამას თვითონ ლაზები არ მოისურვებენ. ხოსრომ დეპუტატები ძლიერ კარგად მიიღო. დეპუტატებმა გამოუცხადეს მორჩილება და მოახსენეს, რატომ არიან ლაზები ბერძნებზე უკმაყოფილონი: ჩვენი მეფე გადაიქცაო ყურ-მოჭრილ ყმად, რომელიც თრთის ბერძნების სარდლის წინაშეო; ჩვენი ქვეყანა გახდა ბერძნების ბანაკადაო; ჩვენს გასაფცქვნელად ბერძნებმა მოიგონეს ეს სამარცხვინო საშუალებაო, რომ გვაძალებენ მათი სურსათი ძვირად ვიყიდოთ და ჩვენი კი იაფად დაუთმოთო. ხოსრო ყურადღებით ისმენდა დეპუტატების საჩივარს და დაწვრილებით გამოჰკითხა მათი ქვეყნის გარემოება და მდებარეობა. მას უნდოდა გაეგო, თუ მისთვის რა სარგებლობის მოტანა შეეძლო ამ ქვეყანას.

დეპუტატების პასუხიდამ ხოსრომ დაინახა, რომ თუ ის ხელში ჩაიგდებდა ლაზიკას, ძლიერ ადვილად შეიძლებდა ზღვით კოსტანტინეპოლამდის მისულიყო; მთელი კავკასიის კლიტე მაშინ ხელში ექნებოდა და კავკასიის კარების გაღებაც და დაკეტვაც მის ნებაზე იქნე-

*) ამ დეპუტატების სიტყვა იხილე ქვემოდ, სტატია LXI.

ბოდა; მაშინ გააღებდა იმ კარებს, როცა ბერძნებზე თავს დასცემად კავკასიის მთებიდგან ველურის ხალხების გადმოყვანა დასჭირდებოდა. დეპუტატებს საიდუმლოდ გამოუცხადა თავისი თანხმობა, მაგრამ საჯაროდ კი გამოაცხადა, რომ ქართლში უნდა წავიდეო დიდძალის ჯარით, ვითომ და ჰუნების წინააღმდეგ. როცა სპარსელები ლაზიკის საზღვარზე მივიდნენ, გზებისა შეეშინდათ და ეგონათ, რომ იმ გზებზე შეუძლებელი იყო ჯარს გაევლო. ყვირილის ხევზე გადასვლა შეუძლებელი იყო, მაგრამ ლაზთა დეპუტატების რჩევით სპარსელებმა გადასჭრეს ვეება ხეები, რომლითაც ამოავსეს მეწყრები და ამ რიგად ჯარი ადვილად გადავიდა ვახანის ვიწრო გასავალით.

ხოსრო შემოვიდა ლაზიკაში 541 წელს. გუბაძემ თავის სახლობით მორჩილება გამოუცხადა. რაკი ხოსრომ გაიგო, რომ ციბუსი მთელის თავის ჯარით პეტრაში არისო, საჩქაროდ მცირე ჯარი გაჰგზავნა ანენიამიდეს წინამძღოლობით და უბრძანა, თუ შეიძლება ერთბაშად აიღე ეს ქალაქიო.

ციბუსმა რომ გაიგო მათი მოსვლა, ეს ხერხი იხმარა: ჯარს უბრძანა, რომ გალავნის სარკმელიდამ არავინ არ გამოჩენილიყო და ყველანი კარებს უკან დამდგარიყვნენ. სპარსელებს ეგონათ, ბერძნებმ ქალაქი მიატოვესო და ეს ამბავი საჩქაროდ შეატყობინეს ხოსროს, რომელმაც დიდძალ ჯარს ციხის კედლებზე ასვლა უბძანა და თვითონ მახლობელ სიმაღლეზე დადგა და მოემზადა გამარჯვების საცქერად. მაგრამ როგორც კი სპარსელებმა ციხეს კიბეები მიადგეს, ბერძნებმა კარები გააღეს და უეცრად სპარსელებს თავს დაეცნენ და მრავალი მათგანი დახოცეს. გაბრაზებულმა ხოსრომ ანენიამიდე მარგილზე ჩამოაცვა იმიტომ, რომ თავი მახეში გააბმევინა იმ მ ე დ უ ქ ნ ე ციბუსსა.

მეორე დღეს ხოსრომ პეტრას იერიშით აღება გადასწყვიტა, მაგრამ კიდევ ვერ გაიმარჯვა, თუმცა ივანე ციბუსი ხელში დასჭრეს და ამ ჭრილობისაგან კიდეც მოკვდა. ხოსროს სხვა რამე ღონის ძიება უნდა ეხმარა ქალაქის აღებისათვის.

პეტრას ქალაქი სამი მხრიდამ სრულებით მიუდგომელი იყო, რადგან სამის მხრით გარემოცული იყო დამრეცი გორებით. მხო-

ლოდ მეოთხე მხრით, აღმოსავლეთით, მინდორი იყო. ამ სუსტის მხრის დასაცველად სპარსებს ძლიერ მაგარი გალავანი აეშენებინათ, რომლის გვერდებზე დაედგათ ორი კოშკი ამოვსებულ კედლებით, ისე რომ შიგნით კოშკები ცარიელი არ იყო. ხოსრომ გაუთხარა ძირი ერთ კოშკს, შიგ ჩაჰყარა ხეები და წაუკიდა ცეცხლი. ერთბაშად კოშკი დაინგრა და ბერძნებმა, შეინიშნეს რა კოშკის ნგრევა, ძლივსღა გადაირჩინეს თავი. ქალაქი გაალეს და შიგ მყოფი ბერძნები, მეტი გზა არ იყო, დანებდნენ სპარსელებს. ხოსრო შეჰპირდა მათ, სიცოცხლეს და ქონებას შეგარჩენთო და კიდეც აასრულა ეს პირობა. მხოლოდ ციბუსის ქონება კი თავისთვის წაიღო. სიმართლით კი ეს ქონება ლაზებს ერგებოდათ.

ამის შემდეგ ხოსრომ ერთი რაზმი ჯარი აფხაზეთში გაჰგზავნა პიწუნდის და დიოსკურიის დასაჭერად. ბერძნებმა იგრძნეს რა თავისი სისუსტე, ცეცხლი წაუკიდეს ამ ქალაქებს და თვითონ ზღვით გაიქცნენ. ამ გვარად ლაზიკაში აღარ დარჩა არც ერთი ბერძენი.

545 წელს მორიგება მოხდა ბერძნებსა და სპარსელებს შორის და ამ მორიგების ძალით ხოსრო შეიქმნა ლაზიკის პატრონი. მაშინვე ხოსრომ ფიქრი იმაზე დაიწყო, თუ როგორ უნდა გამოვიტანო უფრო ბევრი სარგებლობა ჩემის ძლევა-მოსილობისაგანო. მან დაივიწყა თავისი აღთქმა და გადასწყვიტა ლაზიკიდამ მკვიდრნი გადაესახლებინა და მათ მაგიერ დაესახლებინა სპარსელები, რომელთაც სარწმუნოების და ერთგულების იმედი ჰქონდა. ახალი გადმოსახლებულებით, ჰფიქრობდა ხოსრო, სულ გამოვცვლიანო ლაზების მიმართულებას... მხოლოდ ყველაზე უფრო ძნელი იყო ლაზების მეფის გაძევება.

ხოსრომ ქვეყანას აჩვენა, ვითომ ზღვით გალაშქრება მსურსო და ვითომ ამ აზრით ფლოტის ასაშენებლად და საჭირო ხე-ტყის მოსამზადებლად ორი სანდო კაცი გაჰგზავნა ლაზიკაში, მაგრამ ნამდვილად კი ეს კაცები იმიტომ იყვნენ გაგზავნილი, რომ როგორმე გუბაზე დაეღუპათ, რადგან უმთავრესად გუბაზე იყო ხოსროს დიდ პლანების დამაბრკოლებელი და ხელ-შემშლელი. ლაზიკაში იყო ერთი დიდებული კაცი სახელად ფარსანე, რომელსაც ძლიერ მოძულებული ჰყავდა გუბაზე, ისე რომ თვალით ვერ დაენახვებოდა ხოლმე გუბაზეს. ხოსროს

გამოგზავნილმა კაცებმა მიჰმართეს ბარსანეს და დაეკითხენ, რა ღონისძიებით შეიძლება გუბაძის ხელში ჩაგდებაო. ბარსანუმ ურჩია, პეტრაში წადით და მე როგორმე გამოვიტყუებ იქ გუბაძესო. მაგრამ ამ შეთქმულობის ასრულების მაგიერ, ბარსანემ ეს ამბავი გაუმჟღავნა გუბაძეს. გუბაძე, რასაკვირველია, აღარ წავიდა პეტრაში, და ხოსროს გამოგზავნილები იძულებულნი იყვნენ ხელ-ცარიელნი დაბრუნებულიყვნენ სპარსეთში.

ამისთანა ღალატობამ სპარსეთის ხელმწიფის მხრით ააღელვა გუბაძე, რომელმაც მაშინვე მოციქულები გაუგზავნა იუსტინიანეს. გუბაძემ იმპერატორს გამოუცხადა სინანული, რომ გიღალატეო, აუხსნა თავისი უბედური მდგომარეობა და სთხოვა შემწეობა. იუსტინიანემ მაშინვე გამოუგზავნა შვიდი ათასი ბერძენი და ათასი ჰუნი. ამ ჯარს წინამძღოლად ჰყავდა დ ა გ ი ს ტ ე, რომელმაც გუბაძის თანხმობით პეტრას შემოარტყა ჯარი. ხოსრომ რომ ეს ამბავი გაიგო, ძლიერ შეწუხდა და გამოგზავნა თავის მხრით ლაზიკის დასაცველად სახელ-განთქმული მ ე რ მ ე რ ო ე ს ი დიდის ჯარით. გუბაძემ შეიტყო მისი მოახლოება და საჩქაროდ ურჩია დაგისტეს, თუ რა ღონისძიებით შეიძლებოდა ლაზიკის კარების დახშობა.

სპარსელებს მხოლოდ ორის გზით შეეძლოთ ლაზიკაში შემოსვლა: ერთი—ხანის წყლით, ე. ი. სასპარსეთო სომხეთიდამ და მეორე—ჩხერიმელათი, ე. ი. ქართლიდამ. ამ უკანასკნელ გზით სპარსელები შემოვიდენ ლაზიკაში 541 წელს, გუბაძემ დაავალა დაგისტეს ხანის წყლის ხევის დაცვა და თვითონ იკისრა ჩხერიმელას და ვახანის ხევების გამაგრება თავის ლაზების და დაქირავებულ ოსების და საბირების შემწეობით.

ლაზებმა მაშინ დააქციეს ყველა ის ციხეები, სადაც სპარსელებს შეეძლოთ გამაგრებულიყვნენ, დაანგრიეს ქუთაისი, ვარციხე, შორაპანი და სკანდა.

დაგისტე ახალგაზდა და გამოუცდელი იყო და, გუბაძის რჩევის მტკიცედ ასრულების მაგიერ, მან ხანის წყლის ხევში გაჰგზავნა მხოლოდ ასი კაცი და თვითონ-კი შეექცეოდა პეტრას გარსშემორტყმას, რადგანაც მოელოდა დიდის სახელის მოხვეჭას. ხოლო მერ-

შეროესი ვეღარ დააკავეს ხანის წყალზე დაყენებულმა ასმა კაცმა, თუმცა ისინი ძლიერ მარჯვედ ებრძოდენ მერმეროესის ჯარს და ათასი სპარსელიც მოჰკლეს. დაგისტემ რომ გაიგო მერმეროესის ჯარის ლაზიკაში შემოსვლა, მაშინვე პეტრას გარსშემორტყმას თავი დაანება და საჩქაროდ რიონს გაღმა გაიქცა, ისე რომ თავის ჯარს ბარგიც წაღებაც არ აცალა. მერმეროესი შეუდგა ციხეების განახლებას და ლაზებთან ბრძოლისათვის მზადებას. პეტრაში სამი ათასი კაცი დააყენა. გუბაზემ რომ ეს ამბები გაიგო, სასოწარკვეთილებას არ მისცემია, რადგანაც სანამდი მტერი რიონის მარცხნივ ეგულებოდა, მანამდი თავისი ქვეყანა საკმაოდ დაცული მიაჩნდა, იმიტომ რომ ეს მდინარე ივართო, ღრმა და ჩქარი იყო და მის დაყოლებაზე აქა-იქ დაყენებულ ლაზების დარაჯებს შეეძლოთ მტერი არ გამოეშვათ მარჯვენა ნაპირზე. მერმეროესმაც ვერ გაჰბედა რიონს გაღმა გასვლა. ხუთი ათასი კაცი თავის ჯარისა დასტოვა ლაზიკაში და თვითონ საზამთროდ წავიდა სასპარსეთო სომხეთში. იმ ხუთმა ათასმა კაცმა დაიბანაკა ლაზიკის განაპირას, ქართლის საზღვარზე და იქიდამ დაუწყეს ძარცვა ლაზების მშვენიერ სოფლებსა: საზანოს, საქარას და სხვ. გუბაზემ რომ სპარსელების მდგომარეობა გაიგო, დაგისტეს ურჩია, თავს დაეცით სპარსელებს. ბერძნები და ლაზები შეერთებულის ძალით დაეცენ სპარსელებს და სულ გასწყვიტეს ისინი, გარდა მცირე ნაწილისა, რომელიც ქართლში გაიქცა.

მეორე წელს (550) ხოსრომ კიდევ გამოგზავნა დიდძალი ჯარი ხ ო რ ი ა ნ ე ს წინამძღოლობით. ეს ჯარი უმეტეს ნაწილად შემდგარი იყო ოსების და საბირებისაგან, რომელნიც ფულისათვის ხან ერთ მხარეს ემსახურებოდენ, ხან მეორეს. ხორიანემ თავისი ჯარი პირდაპირ ლაზიკაში შეიყვანა და დააბანაკა ერთ მოხერხებულ ადგილასა, კ ა კ ე ს მინდორზე, რომელსაც პროკოპი უწოდებს მ უ ხ ი რ ი ს ი ს მინდორს და რომელსაც, მისის სიტყვით, ცხენის წყალი ჰყოფს ლაზიკის დანარჩენ ნაწილისაგან.

გუბაზემ და დაგისტემ ერთმანეთ შორის რჩევა მოასდინეს და გადასწყვიტეს ახლავე შეებათ სპარსელებსაო. მაგრამ ლაზებმა განაცხადეს, ჩვენ წინ დავდგებით და ცალკე შევებრძვით სპარსელებსო და

ბერძნებთან ერთ რაზმში ჩადგომა-კი არ გვსურსო, რადგან ისინი ჩვენ-
სავით მამულისა და ცოლშვილისათვის არ იბრძვიანო. გუბაძემ რომ
ლაზებში ასე მხნედ დაინახა, დიდ აღტაცებაში მოვიდა. *) მაგრამ რო-
ცა ბრძოლა დაიწყო, ლაზებმა, რომელთაც მოითხოვეს წინ გაგვიშვი-
თო, ვეღარ გაუძლეს სპარსელების ძალას და შეერივნენ ბერძნების
ჯარს. ამ ბრძოლაში სპარსელები დამარცხდნენ და უკან გაიქცნენ. მათ-
მა გაქცევამ ძლიერ დააღონა მეორე რაზმი სპარსეთის ჯარისა, რომე-
ლიც პეტრას ქალაქს იცავდა.—ამას შემდეგ დაგისტე კონსტანტინე-
პოლში დაიბარეს და მის მაგიერ ლაზიკაში გამოგზავნეს ბესსა.

ამ არეულობის დროს აფსაზებმა მოინდომეს ლაზიკის მეფის
მორჩილებიდამ თავი განეთავისუფლებინათ. მაგრამ ბერძნებმა ისინი
ისევ ლაზებს დაუმორჩილეს.—შემდეგ ამისა ბესსამ მოინდომა პეტ-
რას იერიშით აღება. საშინელი ბრძოლა ატყდა ორს ჯარს შორის.
ქალაქს იცავდა ორი ათას სამასი სპარსელი. იერიშით კი მიადგა ცი-
ხეს ექვსი ათასი ბერძენი. ბრძოლის ბედი რომ გადაწყდა, აღმოჩნდა,
რომ უმრავლესობა სპარსელებისა დახოცილიყო, და დანარჩენი შეი-
პყრეს ბერძნებმა, გარდა ხუთასი სპარსელისა, რომელნიც შეცვივდნენ
შუაგულ ქალაქის მაღალ ციხეში (აკროპოლისში). თუმცა ბერძნებმა
იმათ პირობა გამოუცხადეს, არას გავნებთო და თავისუფლად გაგი-
შვებთ, თუ დაგვნებდებითო, მაგრამ იმ სპარსელებმა ყურიც არ ათ-
ხოვეს ამისთანა წინადადებას და გადასწყვიტეს გმირულად მომკვდარი-
ყვნენ. მაშინ ბესსამ ბრძანა აკროპოლისს ცეცხლი გაუჩინეთო. სპარ-
სელები ცხადად ხედავდნენ, რომ იღუპებოდნენ, მაგრამ მაინც არ დაე-
მორჩილნენ და ამჯობინეს ციხესთან ერთად ბერძნების თვალწინ
დამწვარიყვნენ. ბერძნები გააკვირვა მათმა მამაცობამ. ხოსრომ რომ
ამისთანა მებრძოლნი გამოგზავნა ლაზიკაში, ამით აჩვენა ქვეყანას,
თუ რა ძვირად აფასებდა იგი ლაზიკის დაპყრობას.—ბერძნები კიდევ
უფრო გააკვირვა იმ გარემოებამ, რომ ქალაქში ბლომად მოდიოდა
მილებით გამოყვანილი წყალი, მაშინ როცა მათ ეგონათ, რომ სპარ-
სელებს წყალი მოვუსპეთო. აღმოჩნდა, რომ წყალი სამის მილით

---

*) გუბაძის სიტყვა ამ შემთხვევის გამო იხილე ქვემოდ, სტატია *LXII*.

ყოფილიყო გაყვანილი და ბერძნებს მხოლოდ ორი დაენგრიათ და მესამე მილი-კი, რომელიც კიდევ ქვემოდ ყოფილიყო მიწაში, შეუმჩნეველი დარჩენოდათ.

პეტრა აიღეს ბერძნებმა გაზაფხულს 551 წელს და აღებისათანავე სულ ერთიანად გაანადგურეს ეს ქალაქი, რადგან შიშობდენ, რომ ხელმეორედ არ ჩავარდნოდათ ხელში სპარსელებს. იმავე გაზაფხულს მერმეროესი წამოვიდა თავის ჯარით პეტრას დასახმარებლად, მაგრამ გზაზე გაიგო ამ ქალაქის ბედი და უკან დაიწია. შემდეგ მიმართა ლაზების სატახტო ქალაქს ნაქალაქევს, რომელიც თან ძლიერ მაგარს ციხეს წარმოადგენდა. მერმეროესი აქაც საშინლად დამარცხდა და ბრძოლის ველზე დაჰრჩა ოთხი ათასი კაცი. ამას გარდა ოცი ათასი ცხენი უბალახობით დაეხოცა.

ამას შემდეგ მერმეროესმა განიზრახა განახლება ქუთაისის ციხისა, რომელიც ლაზებმა, როგორც ზემოდ ნათქვამია, განგებ დაანგრიეს, რომ სპარსელებს არ გამოსდგომოდათ. მერმეროესმა დაიჭირა ქუთაისი, და რამდენადაც შეიძლო, შეაკეთა. შემდეგ დაიჭირა აგრეთვე უხიმერიონის ციხე, რომელიც იყო ქუთაისის პირ-და-პირ და რომლის დაჭერით მერმეროესმა დაიკავა რაჭა-ლეჩხუმის და სვანეთის გზა. იმ დროს სვანეთიც ლაზებს ემორჩილებოდა.

დასრულდა ზამთარიც 551—552 წ. თუმცა ვერაგმა ხოსრომ იუსტინიანეს პირობა შეუკრა, რომლის ძალით ომი უნდა შეეჩერებინა და რომლისათვის დიდი ფული გამოართვა იმპერატორს, მაგრამ თავისი განზრახვა ლაზების შესახებ მაინც არ მიატოვა და მერმეროესს მიანდო ამ ქვეყნის დამორჩილება, ოსების, ჭუნების და სხვათა შემწეობით. ეს ხალხები ხოსრომ დაიქირავა იუსტინიანესაგან მიღებულ ფულით.—მერმეროესს მთელის წლის განმავლობაში აქა-იქ ჰქონდა ბერძნებთან შეტაკება, მაგრამ ვერაფერს გახდა. 553 წ. მან განიზრახა ბრძოლა. ამ დროს ბერძნებს ეჭირათ ტელეფის ციხე, სადაც ბესსას თანაშემწე სარდალი მ ა რ ტ ი ნ ე იდგა თავის ჯარით. მარტინე ძლიერ ამაგრებდა ამ ციხეს. მერმეროესი დარწმუნდა, რომ ძალით ვერ გავიმარჯვებო და ხერხი იხმარა: მოიგონა ავად-მყოფობა და კიდეც ხმა დაჰყარეს, რომ მერმეროესი მოკვდაო. ეს რომ ბერძნე-

ბმა გაიგეს, ციხის გამაგრებას თავი დაანებეს და ქეიფი დაიწყეს. ამ დროს მერმეროესი, რომელიც სპარსნებს მკვდარი ეგონათ, მთელის თავის ჯარით მათ თავს დაეცა, საშინლად დაამარცხა და განდევნა ისინი ფოთამდი. მერმეროესმა ფოთის აღება კი ვერ გაბედა. მხოლოდ აიღო უნაგერას ციხე. ეს იყო მისი უკანასკნელი ბრძოლა. შემდეგ ამისა მერმეროესი გადავიდა ქართლში, სადაც მოკვდა და მისი გვამი, სპარსთა ჩვეულებისამებრ, ქალაქს გარედ დასდვეს ძაღლების და ფრინველების შესაჭმელად. მერმეროესი იყო საუკეთესო სარდალი სპარსეთისა და ხოსრომ ძლიერ ინაღვლა მისი სიკვდილი მის მაგიერ ხოსრომ გამოჰგზავნა ლაზიკაში მისი სასახლის ერთი უწარჩინებულეს დიდებულთაგანი ნ ა ხ ო რ ა გ ა ნ ი.

სპარსნების ყოფა-ქცევამ გუბაძე ააშფოთა. გუბაძეს ეშინოდა, რომ ბერძნებს უარესი რამ არ ჩაედინათ შემდეგში და ამიტომ შეატყობინა იუსტინიანეს მისი სარდლების მოქმედება. იუსტინიანემ ბესსას ყოველივე ქონება ჩამოართვა და აფხაზეთში გადაასახლა. თუმცა იმპერატორი მარტინეზედაც გამწყრალი იყო, მაგრამ ჯარის უფროსად მაინც დასტოვა იგი, ვინ იცის, რა ინტრიგების წყალობით. მარტინეს რა საკვირველია, სძულდა გუბაძე, რომელიც არ ჰზოგავდა არც თვითონ მას, არც სხვა სარდლებს და ხშირად ამხილებდა ხოლმე ხან მათ საშინელ დაუდევრობას და ხან მათ სისარბეს. ამიტომაც მარტინემ მოინდომა გუბაძის დაღუპვა. მარტინემ გაუგზავნა იმპერატორს ერთი ვინმე იოანე, ძმა რუსტიკისა, ლაზიკის ჯარის ხაზინადარისა. ამ იოანეს ჰქონდა მინდობილი იმპერატორი დაეჯერებინა, რომ გუბაძეს მიწერ-მოწერა აქვს სპარსელებთან და ბერძნებს ჰღალატობსო. იმპერატორმა ეს ამბავი არ დაიჯერა, მაგრამ მაინც ბრძანა გუბაძის დაბარება მის წინაშე.—უარი რომ სთქვას თქვენთან გამოცხადებისა? ჰკითხა მაბეზღარმა.—უნდა ძალა დაატანოთ, უპასუხა იმპერატორმა. —რომ გვეწინააღმდეგოს, რაღა ვუყოთ?—მაშინ ისე უნდა მოეპყრათ, როგორც მეამბოხეს.—მაშ შეგვიძლია, რომ მოვკლათ კიდეც? ჰო, მაგრამ ამ ზომას მხოლოდ მაშინ უნდა მიჰყოთ ხელი, უკეთუ ცხად წინააღმდეგობას გამოიჩენს.—იოანემ იმპერატორისაგან წერილობითი ბრძანებაც მიიღო საბერძნეთის სარდლების სახელობაზე და დაბრუნდა ლაზიკაში.

მარტინემ და რუსტიკმა, როგორც-კი წაიკითხეს ეს წერილი, იფიქრეს, რომ ამით მოგვენიჭა გუბაძის მოკვლის უფლებაო. მხოლოდ საჭირო იყო, მათის აზრით, რომ გუბაძის მოქმედებისათვის ღალატობის ფერი მიეცათ. სარდლებმა ასეთი თვისი განზრახულობა მხლებლებს არ გაუმჟღავნეს და მცირე ცხენოსან რაზმით გუბაძესთან წავიდნენ. გუბაძისათვის უნდა მიეცათ წინადადება, რომ ერთად მივიდეთ იერიშით უნაგურას ციხეზეო. მაშინ გუბაძე იყო აწინდელ სამეგრელოში, და როგორც კი გაიგო, სარდლები მოდიანო, პატივის საცემლად წინ შეეგება ხოფის ნაპირზე, ხოფლის ხორგის მახლობლად. გუბაძემ არაფერი არ იცოდა მათის განზრახულობისა და, საკუთარ მოსამსახურეების მეტი, არავინ წაეყვანია თან. მოლაპარაკება ისე გააბეს, რომ ცხენიდამ არავინ ჩამომხდარა. სარდლებმა გამოუცხადეს გუბაძეს თვისი წინადადება შესახებ უნაგურას ციხისა და დასძინეს, რომ ჩვენთვის სირცხვილი იქნებაო, არ გამოვგლიჯოთ ეს ციხე ხელიდამ ერთ მუჭა სპარსელებსაო. ამაზე გუბაძემ უპასუხა, რომ საზოგადოდ სპარსელების გამარჯვება ლაზიკაში თქვენს დაუდევრობას უნდა მიეწეროსო; რომ უნაგურას ციხე მხოლოდ თქვენ ჩაუგდეთო ხელში სპარსელებს და ამიტომ თქვენვე უნდა დაიბრუნოთ უკან ეს ციხე და, სანამდი ამ თქვენს შეცდომილებას თქვენვე არ გაასწორებთ, მანამდი არავითარ ომს მე არ დავიწყებო.

ამისთანა უარი გუბაძის მხრით საბერძნეთის სარდლებმა მიიღეს ღალატობის სრულ დამამტკიცებელ საბუთად და იოანე მაბეზღარმა მაშინვე ხანჯალი ჩასცა მუცელში. გუბაძე ცხენიდამ გადმოვარდა, მაგრამ მკვდარი არ იყო. მაშინ რუსტიკის მსახურმა, თავის ბატონის ბრძანებით, მოუღო ბოლო საბრალო მეფეს. ამისთანა მხეცურმა მკვლელობამ თავზარი დასცა და უკიდურესად ააშფოთა ლაზების ჯარი. ლაზებმა წაიღეს, რასაკვირველია, თავის მეფის გვამი და დამარხეს, როგორც მეფეს ეკადრებოდა. შემდეგ ამისა ლაზები განშორდენ ბერძნებს და ყოველივე დამოკიდებულება მათთან, ვითარცა კაცის მკვლელებთან, მოსპეს.

მარტინემ გადასწყვიტა უნაგურაზე იერიშით მისვლა. იმედი ჰქონდა აქ გავიმარჯვებო და მით ჩემს დანაშაულობას დავფარავო. მა-

გრამ ეს იმედი სულ გაუცუდდა, რადგან სამი ათასმა სპარსელმა ორმოც დ ათი ათასი ბერძენი დაამარცხა. ლაზები დარწმუნებული იყვნენ, ღვთის განგებამ დასაჯაო ბერძნები მათის დანაშაულობისათვის.

ლაზების მოწინავე კაცები შეიყარნენ ერთ მინდორზე და იქონიეს სჯა თავის მდგომარეობაზე *). ლაზები იმდენად ერთგულნი იყვნენ ქრისტიანობისა, რომ ყრილობაზე საბერძნეთის დასმა დასძლია. ყრილობამ ამოირჩია რამდენიმე დიდებული კაცი იმპერატორთან გასაგზავნად. ამ ამორჩეულებს უნდა მოეხსენებინათ იმპერატორისთვის გუბაძის საქმის ნამდვილი გარემოება, უბედურ მეფის უბრალოება და ცუდკაცობა მარტინესი და რუსტიკისა. ამასთანავე ამორჩეულებს უნდა ეთხოვნათ იმპერატორისათვის, რომ თავის სარდლები ჩადენილ ბოროტ მოქმედებისათვის დაესაჯა და მეფედ ლაზიკაში გამოეგზავნა გუბაძის უმცროსი ძმა ცათე, რომელიც იმ დროს კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა

გაგზავნილმა კაცებმა თავისი მინდობილობა შეასრულეს და იმპერატორმა ლაზიკაში გამოგზავნა მეფედ ცათე, რომელსაც გამოაყოლა ერთი უწარჩინებულეს სენატორთაგანი ათანასე. ამ ათანასეს დიდის პატიოსნების სახელი ჰქონდა და იმპერატორმა იმას მიანდო გუბაძის საქმის გამოძიება და დამნაშავეთა სასტიკად დასჯა.

ცათე მოვიდა ლაზიკაში 554 წ. დიდის ამბით; მას ეცვა მეფური ტანისამოსი, რომელიც, ჩვეულებისამებრ, მიიღო თვით იმპერატორისაგან; ცათე მიიღო მთელმა ერმა დიდის პატივისცემით და სასახლემდი მიაცილა. ცათეს თან ახლდა ათანასე, რომელმაც მოსვლისათანავე დააჭერინა რუსტიკი და იოანე. მაგრამ იმათი გასამართლების დრო კი არ იყო, რადგან ლაზიკაში შემოვიდა ნახორაგანი სამოცი ათასის კაცით, და ბერძნებს მხოლოდ ომზე უნდა ეზრუნათ.

ნახორაგანმა ბერძნებსა და ლაზებთან შებმა ჯერ ნაქალაქევს სცადა და მერმე ფოთს, მაგრამ ორგანვე დამარცხებული დარჩა და, რადგან მალე სურსათი შემოაკლდა, იძულებული იქმნა უკან დაბრუნებულიყო.

---

*) ამ ყრილობის ამბავი იხილე ქვემოდ, სტატია LXIII.

სპარსელების გაბრუნების შემდეგ ათანასე შეუდგა გუბაძის მკვლელების გასამართლებას. ნაქალაქევის შუა გულ ადგილას აღმართეს ტრიბუნა და იქვე დააწყეს სასჯელის ყველა საშინელი მოწყობილობანი. ტრიბუნის მარცხნით დააყენეს ბორკილით შეკრულნი რუსტიკე და იოანე. მარჯვნით წარდგეს, ვითარცა ბრალმდებელნი, ლაზებისაგან ამორჩეული დარბაისელი კაცები, ბერძნულ ენის მცოდნენი. ამ ლაზებმა პირველად მოითხოვეს, რომ წაეკითხათ იმპერატორის წერილი ბერძნულ ენაზე. წერილი წაიკითხა გზირმა.... ლაზებმა ცხადად დაამტკიცეს გუბაძის სიმართლე. მაგრამ ათანასემ მაინც მისცა ბრალდებულებს თავის დაცვის უფლება. კრებაში გაისმა მურმური, რომელიც ამტკიცებდა, თუ რა უკმაყოფილობით ითმენდა კრება საქმის ამისთანა გაჭიანურებას. მაგრამ მჭერმეტყველობამ მაინც ვერ იხსნა ბრალდებულები. ათანასემ რუსტიკის და იოანეს შესახებ წარმოსთქვა გამამტყუნებელი განჩინება. გამტყუნებულები ვირზე შესვეს და ნაქალაქევის ყველა ქუჩები დაატარეს. მათ წინ მიდიოდა გზირი და ჰყვიროდა: „ვინც ჩაიდენს მკვლელობას და არ ემორჩილება კანონს, ამისთანა საქმე დამართებათო“. შემდეგ ამისა ბრალდებულებს თავი მოჰკვეთეს. ამისთანა სამართლის გაჩენით ბერძნებმა ისევ მოიგეს ლაზების გული. მარტინეს შესახებ კი საქმე წარუდგინეს იმპერატორს, რომელმაც გადააყენა იგი ჯარის უფროსობიდამ. ხოსრომ სპარსეთში სასტიკად დასაჯა თავისი მხედართ-მთავარი ნოხორაგანი ფაზის დამარცხებისათვის. უბედურ სარდალს ცოცხლად გააძვრეს ტყავი, რომელიც გასტენეს ჩალით და ჩამოკიდეს სატახტო ქალაქის იმისთანა ადგილას, სადაც ხალხი უფრო ბლომად დადიოდა.

დასასრულ, 562 წელს მორიგება მოხდა ხოსროსა და იუსტინიანეს შორის. ამ მორიგების ძალით ლაზიკა დარჩა ბერძნებს. ამას შემდეგ სადაო საგნად ბერძენთა და სპარსელთა შორის შეიქმნა მხოლოდ სვანეთი *).

*) იხილე ქვემოდ, სტატია LXIV.

# LX. ლაზთა ვინაობა და მდგომარეობა მათი მეექვსე საუკუნეში

*(К. Ганъ—Извѣстія древнихъ греческихъ и римскихъ писателей о Кавказѣ, ч. II*)*

ძველად ლაზები იწოდებოდნენ კოლხიდელებად. რომ ისინი მართლა კოლხიდელების შთამომავალნი არიან, ამაში არავის არ უნდა ჰქონდეს ეჭვი, თუ მხედველობაში მივიღებთ ფაზისის მდინარეს, კავკასიის მთა-გრეხილს და დიდის ხნის მოსახლეობას ლაზებისას ამ ადგილებში.—ლაზები ძრიად დიდი და სახელ-განთქმული ერია და მათ ემორჩილება სხვა დიდი ერები. „კოლხიდელების“ ძველის სახელით ლაზები თავს იწონებენ და მეტადაც კვეხულობენ და ამაყობენ, თუმცა არა უსაფუძვლოდ, რადგან სხვა დამოკიდებულ ერთა შორის მე არ მეგულება სხვა ერი, რომელიც იყოს აგრე სახელგანთქმული და ბედნიერი თავის სიმდიდრით და ქვეშევრდომთა სიმრავლით; არ მეგულება სხვა ერი, რომელსაც ეჭიროს ასეთი კარგი ადგილ-მდებარეობა, ჰქონდეს აგრე უხვად ყოველივე, რაც ცხოვრებისათვის საჭიროა; არ მეგულება სხვა ერი, რომელიც ამდენად შემკული იყოს სათნოებით და აგრე მარჯვე იყოს. საერთოდ ისიც-კი უნდა ვსთქვათ, რომ ლაზები სრულებით ბარბაროსები არ არიან და მათი ყოფა-ცხოვრება ბარბაროსებრივი არ არის. ბერძენ-რომაელებთან კავშირის და მისვლა-მოსვლის გამო ლაზები შეეჩვიენ სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებას და კანონებზე დამყარებულ ყოფა-ცხოვრებას.

---

*) *Ганъ*-ის დასახელებული წიგნი შეიცავს თარგმანს წიგნისას *Stritter—Memoriae populorum, t. IV*, რომელიც გამოვიდა პეტერბურგში 1779 წ. *Stritter*-ის წიგნი-კი წარმოადგენს ბიზანტიელ მწერლების, მაგალ. ალათიას სხოლასტიკის, პროკოპი კესარიელის, კედრენოსის (*Cedrenus*) და სხვების თხზულებათა თარგმანს. პირველი ორი მწერალი—ალათიასი და პროკოპი ცხოვრობდნენ მეექვსე საუკუნეში და იყვნენ თანა მედროვენი იმ ამბებისა, რომლებსაც მოგვითხრობენ თავიანთ თხზულებებში. ამ სტატიაში ლაზების მდგომარეობას მეექვსე საუკუნეში მოგვითხრობს ალათიასი.

# LXI. ლაზთა დეპუტატები სპარსეთის ხელმწიფე ხოსროს წინაშე

539 წ.

*(Procopius—Исторія войнъ римлянъ съ персами, вандалами и готами, перъ съ греч. Спиридона Дестуниса, т. I)*

ლაზებმა ველარ აიტანეს იოანე ციბუსის მტარვალობა და გადასწყვიტეს — სპარსეთის ხელმწიფეს ხოსროს დაჰმორჩილებოდნენ. ამ განზრახვის ასასრულებლად, ბერძნებისაგან იდუმლად, გაჰგზავნეს ხოსროსთან დეპუტატები და დაავალეს, ჩამოერთმიათ მისთვის პირობა, რომ არ გასცემდა ლაზებს მათდა უნებურად და ბერძნების ხელში არ ჩააგდებდა, და შემდეგ დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში სპარსეთის ჯარებითურთ.

სპარსეთში რომ მივიდნენ, დეპუტატები წარუდგინეს ხოსროს, რომელსაც მოახსენეს შემდეგი: — „თუ რომელიმე ერი, წინააღმდეგ თვისის მოვალეობისა მიეკედლა უცხოელებს და მოსცილდა წინანდელ თავის მეგობრებს და შემდეგ ბედის ჩარხის უკუღმა ტრიალის გამო კვლავ მიუბრუნდა მათ თავის ნებით — უწყოდე, უდიდებულესო მეფეო, რომ ის ერი ლაზთა ერია. კოლხიდელები და სპარსელები ძველადგანვე მოკავშირენი იყვნენ და ხელს უწყობდნენ ერთმანეთს; ამას ჰმოწმობენ მრავალნი ნაწერნი, რომელნიც ჩვენცა გვაქვს და შენს სამეფო სასახლეშიაც ინახება. შემდეგ ჩვენმა წინაპრებმა, იმიტომ რომ თქვენ არ ზრუნავდით მათთვის, თუ სხვა რაიმე მიზეზით — ჩვენ ამის თაობაზე დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით — დაუკავშირდნენ ბერძნებს. ახლა-კი ჩვენ და მეფეც ლაზიკისა გარდმოგცემთ ჩვენს თავს და ჩვენს ქვეყანას თქვენს სრულს განკარგულებაში. ვითხოვთ მხოლოდ, რომ თქვენ გასაჯოთ შემდეგი: კოლხიდელები რომ გადმოდიოდნენ თქვენკენ ბერძნებისაგან შეუწუხებლად, მხოლოდ თავიანთის მოუფიქრებლობის გამო, თქვენ შეგეძლოთ უარ-გეყოთ მათი თხოვნა იმ აზრით, რომ ისინი არასოდეს არ იქნებიან თქვენნი ერთგულნი, რამეთუ ის გარემოება, რომ ადამიანნი დაარღვევენ წინანდელ მე-

გობრობას, იქნება საწყაო იმისა, თუ რა ნაირად დაიცვენ მას სხვებთან. მაგრამ თუ ჩვენ მარტო სახელით ვყოფილვართ ბერძნების მეგობარნი, და საქმით-კი მხოლოდ ერთგულნი მონანი ვიყავით მათი; თუ ჩვენ საშინელი შევიწროებანი მოგვითმენია მათგან, როგორც მტარვალთაგან—მიგვინდვეთ ჩვენ, თქვენი ძველნი მოკავშირენი; იპატრონეთ ჩვენზედ, როგორც მონებზე, როგორც იმისთანა მონებზე, რომელნიც წინად თქვენი მეგობრები ვიყავით; მოავლინეთ სრული თქვენი სიძულვილი იმ მკაცრს მტარვალობაზედ, რომელიც აღძრულია ჩვენზედ მეზობელთაგან. ამით თქვენ შეასრულებთ ვალს სამართლიანობისას, რომლის დაცვასაც ყოველთვის ჩვეულნი იყვნენ სპარსელნი. მას კიდევ არ დაერქმის სამართლიანი, ვინც თავის-თავად სხვას არ აწუხებს, თუ ამასთანავე იგი არ იცავს, როცა კი შეუძლია, სხვათაგან შეწუხებულს. აქ, სიტყვამ მოიტანა და მოვიხსენებთ, თუ როგორ ავაზაკურად გვეპყრობიან ის წყეულნი ბერძნები. იმათ დაუტოვეს ჩვენს მეფეს მხოლოდ გარეგანი სახე მეფის ღირსებისა და თვითონ-კი მიითვისეს ხელმწიფება ყველაფრისა. მეფეს ხვდა ხვედრი მონისა და ეშინია თავის მბრძანებელის—პერიენთ ჯარის უფროსისა. იმათ ჩაგვიყენეს მრავალ-რიცხოვანი ჯარი არა ჩვენის ქვეყნის დასაცველად, (არა ვის შეუძლია ჩვენი შეწუხება მეზობელ ხალხთაგანს, გარდა ბერძნებისა?) არამედ ჩვენდა შესაბორკავად და ჩვენის დოვლათის დასაკუთრებისათვის; ისინი ემიებენ უსასტიკესს ღონისძიებათა, რომ წაგვართვან ჩვენი საკუთრება. აი ხელმწიფეო, რა მოიგონეს მათ ჩვენის ცხოვრების აუცილებელ საჭიროებათათვის. ისინი, ჩვენის სურვილის წინააღმდეგ, გვაიძულებენ ვიყიდოთ მათგან, რაც მათთვის მეტია, ანუ არ სჭირიათ. უსაჭიროესს ნაწარმოებს ლაზიკისას კი ისინი ჩვენგან ყიდულობენ, მაგრამ მხოლოდ სიტყვით, რადგანაც გასაყიდსა თუ საყიდელ საგნებზე ისინი თავიანთის ნებით აწესებენ ფასებს. ამ ნაირად უსაჭიროესს საგნებთანავე ისინი გვართმევენ მთელს ოქროულობასაც და ამ გვარს მოქმედებას არქმევენ რიგიანს სახელს ვაჭრობისას; ის კი არა, თუ მათი მოქმედება არის ძალდატანება და თვით-მნებელობა.— ჩვენს მმართველად არის ახლა ვაჭარი-უფროსი, რომელიც თავის ხელმწიფების ძალას ასმარებს იმას, რომ სარგებლობს ჩვენის სიღარიბით და

ამ საქციელს ამართლებს იმით, რომ ვითომ აღებმიცემობას მისდევს. ეს არის მიზეზი ბერძნების წინააღმდეგ ჩვენის აჯანყებისა? ეს მიზეზები თვით შეიცვენ ჩვენს გასამართლებელ საბუთებს.—ახლა მოგახსენებთ იმასაც, თუ რა სარგებლობას მიიღებთ ლაზების თხოვნის შეწყნარებით. თქვენ შეუერთებთ სპარსეთის სახელმწიფოს უძველესს სამეფოს და მით გააძლიერებთ თქვენის ბატონობის მნიშვნელობას. ჩვენის მიწიდამ თქვენ შეგეძლებათ მისავალი გზა იქონიოთ ბერძნების [შავს] ზღვაზე; შეგეძლებათ ააგოთ გემები და ყოვლად გაუჭირვებლად მიადგეთ ბიზანტიის სამეფო სასახლეს; გზაზე, შენ მეფეო, არავითარი დაბრკოლება არ დაგვხვდება. დავსძენთ იმასაც, რომ შემდეგ ამისა თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მეზობელ ბარბაროსებმა ყოველწლობით აიკლონ საბერძნეთის მიწები. თქვენ უწყით, რომ ლაზთა ქვეყანა დღემდის საფარი იყო კავკასიის მთების მხრით. ასე და ამ გვარად, როცა სამართლიანობა ღაღადებს და სარგებლობა ცხადია, ჩვენი წინადადების მიუღებლობა, გვონებთ, რომ თქვენის მხრით უგუნურება იქნებოდა.“ ამას ამბობდენ დეპუტატები.

ხოსრო სიამოვნებით ისმენდა მათს სიტყვას. ის შეპირდა ლაზებს მათს დაცვას და ეკითხებოდა დეპუტატებს—შემეძლება თუ არა დიდის ჯარით შემოვიდე კოლხიდაშიო; მე ბევრისაგან გამიგონია, რომ ეს ქვეყანა ერთობ მთა-გორიანია, მოცულია ხშირის ტყე-ტევრებით, ასე რომ თითო უბარგო კაცსაც კი გაუჭირდება მაგ ქვეყანაში გავლაო. დეპუტატები არწმუნებდენ, რომ გზა მათკენ ძალიან ადვილი სავალი იქნება სპარსეთის მთელის ჯარისათვის, როცა ისინი მოსჭრიან ხეებს და გადებენ ძნელ გასავალ კლდე-ნაპირებზე; ისინი დაპირდენ სპარსელებს გზის ჩვენებას და წინასწარ ღონის-ძიების მიღებას ლაშქრობის დროს ხელის-შესაწყობად. ამ სიტყვებმა გამარჯვების დიდი იმედი ჩაუნერგა ხოსროს. მან დაიწყო ძლიერი ჯარის შეკრება და შეუდგა სამზადისს კოლხიდაში შესვლისათვის.—მას არ გამოუქვეყნებია თავისი განზრახვა, მხოლოდ გაანდო ისინი, ვისაც ყოველთვის უმხელდა თავის საიდუმლოებს. უბრძანა დეპუტატებს არავისთან წამოსცდენოდათ რა ამ საქმეზე და გაავრცელა ხმა, ვითომ ივერიაში სურდა ჩასვლა იქაურ საქმეების მოსაწყობად და ვითომ ამ მხრიდამ ჰუნნები დაეცენ სპარსეთის საზღვრებს.

## LXII. გუბაზის სიტყვა თავის ჯარისადმი ბრძოლის წინად

*(Procopius: Ганъ—Извѣстія древнихъ греческихъ и римскихъ писателей о Кавказѣ, ч. II).*

ხორიანე და მიდიელების მხედრობა დაბანაკდა ჰიპპოსის წყლის პირად. კოლხიდელების მეფემ გუბაზემ და ბერძენთ მხედართ-მთავარმა, რომ ეს გაიგეს, ჯერ მოილაპარაკეს და შემდეგ მიჰმართეს მტერს, გავიდნენ წყალს და მეორე ნაპირას დაბანაკდნენ. აქ დაიწყეს თათბირი, რა ემჯობინება, ველოდოთ მტერს, თუ ჩვენ პირველნი დავესხათ თავს, რომ ამით დავამტკიცოთ, რაოდენად მამაცნი ვართ და არაფრად ვაგდებთ მტერსაო; აგრეთვე გამოვიწვიოთ საბრძოლველად და ამითიც შევაფიქრიანოთ მტერიო. რადგან ამ თათბირში ისინი მეტნი იყვნენ, ვინც ამბობდა, ჩვენ პირველნი დავესხათ მტერსაო, ამიტომ ყველამ მიჰმართეს სპარსელებს. მაგრამ აქ ლაზებმა უარი სთქვეს, ჩვენ ბერძნებთან ერთად არ შევალთ ომშიო; არ შევალთ იმიტომ, რომ ბერძნები არ იბრძვიან დღეს მამულისა და ახლო ნათესავთათვის. ჩვენ-კი, ლაზნი ვიბრძვით ჩვენის ცოლ-შვილისათვის, ჩვენის სახლ-კარისათვის, ისე რომ თუ დავმარცხდით, სირცხვილით ჩვენს ცოლშვილს თვალით ვერ დავენახვებით. ამიტომ ლაზნი ფიქრობდნენ, რომ ვაჟკაცობა და გულდობა, რომელიც ადრე აკლდათ, დღეს თავის-თავად გამოგვაჩნდებაო. მოუთმენლად ელოდნენ, რომ ჩვენ პირველნი ურომაელებოთ დავესხათ თავს მტერს, რათა იმათ არ დაგვიმალონ ომში, როცა ისინი ჩამოერევიან, მაგრამ ჩამოერევიან სხვა აზრითა და სხვა სურვილითაო.

გუბაზეს დიდად გაეხარდა, რომ ლაზნი ასე გულადად არიანო, შემოიკრიბნა გარშემო, უბერძნებოდ, და უთხრა შემდეგი:

„—არ ვიცი, ვაჟკაცნო, რაღა უნდა იყოს საჭირო მისთვის, რომ უფრო გული მოგვეცეთ და მეტი მამაცობა გამოიჩინოთ. მე მგონია, რომ ვისაც დღევანდელისთანა გაჭირვება კარს მისდგომია, იმას დარიგება აღარ ეჭირვება, იმიტომ რომ დღეს ჩვენ ვიბრძვით ჩვენის ცოლ-შვილისა და მამულისათვის, ერთი სიტყვით ვიბრძვით იმისთვის, რაც უფრო საჭიროა, რომ პირში სული გვედგას. და ამ პირიდამ სულის ამორთმევას ჰლამის სპარსელი.

ერთს კაცსაც ვერ იპოვით ხომ, რომ თავისი ნაამაგარი ნება-ყოფლობით დაუთმოს იმას, ვისაც ძალა მოაქვს. თვით ბუნება ადამიანისა თხოულობს, რომ დაიცვას და დაიფაროს თვისი საკუთრება. კარგად იცით, სპარსე-ლების სიხარბეს საზღვარი აღარა აქვს ხოლმე, თუ ერთი ხელში ჩა-იგდეს ბატონობა ქვეყნისა. მართლაცა და, თუ დაგვძლიეს, არა მგონია, მარტო ბატონობა იკმარონ. დაგვადებენ მძიმე ბეგარას და სულ ერთი-ანად დაგვიმონებენ. ნუ თუ დაგვავიწყდა, როგორ მოგვექცა ხოსრო ამას წინად? აბა მაშ ეცადეთ, რომ ეს თქვენი ქადილი ვაჟკაცობისა ცარიელ სიტყვად არ დარჩეს და არა სთქვან, მხდალნი არიან ლაზებიო. ჩვენთვის ძნელი არ იქნება მიდიელებთან ბრძოლა, რადგან არა ერთხელ დაგვიძლევია ჩვენ ისინი. ამიტომ თქვენ სიმართლე გაქვთ, არაფრად ჩააგდოთ მტერი, რადგან არა ერთხელ დამარცხებულა ომში და სიმამა-ციითაც სპარსელებზე თქვენ უფრო წინა ხართ. ვაჟკაცობა ხომ ისეთი საქმეა, რომ თუ ერთხელ შიშს დაეჩაგვრინა, მეორედ აღარ დაბრუნდება. ამ ფიქრითა და იმედით აღსავსენი გაემართენით და შეუტიეთ მტერს".

---

## LXIII. ლაზთა საერო ყრილობა გუბაზის სიკვდილის გამო.

*(Agathias: Ганъ—Извѣстія древнихъ греческихъ и римскихъ писателей о Кавказѣ, ч. II).*

კოლხიდელების საქმე ამ დროს აშლილი იყო და თავი და ბოლო არ უჩანდა. მთავრებმაც-კი არ იცოდენ, რა მოელოდა კოლხიდელებს და ან ვისთვის მიემართნათ. ამისათვის კოლხიდელებმა კავკასიის რომელღაც ხეობაში საიდუმლოდ მოუწოდეს დიდ-ძალს ხალხს, ისე კი რომ ბერძნებს არ გაეგოთ, რასაც დააპირებდენ. იქ დაიწყეს სჯა, რა სჯობიან, სპარსელებს მივემხროთ, თუ ისევ ბერძნების მომხრენი ვიყვნეთო. ამ საგანმა ცხარე ბაასი და დიდი ლაპარაკი ასტეხა; ერთნი ამბობდენ, რომ სპარსელებისკენ გადავიდეთო, მეორენი—ისევ ბერძნებისკენ ვიყვნეთო. შემდეგ ასტყდა საერთო ყაყანი, აირია ლაპარაკი და კაცი ვეღარ გაარჩევდა, ვინ რას ამბობდა. მაშინ უფროსნი ჩაერივნენ და უბრძა-

ნეს კრებას, გაჩუმებულიყვნენ. უფროსებმა განკარგულება მოახდინეს, რომ ვისაც უნდა რიგიანი რამ სთქვას, გამოდგეს წინ და დალაგებითა და წესიერად ილაპარაკოსო. სულ ერთია, ვინც უნდა იყოს და რა შთამომავლობისაც უნდა იყოს ლაპარაკის მსურველიო.

მაშინ გამოვიდა წინ ერთი წარჩინებული კაცი, სახელად აიეტი, რომელიც ყველაზედ მეტად უკმაყოფილო იყო კოლხიდის საქმეთა გამო და რომელსაც სძაგდა ყოველივე ბერძნული და მუდამ სპარსელებისაკენ ჰქონდა გული. აიეტმა კარგი დრო იპოვა ახლა და უფრო გააზვიადა ყოველივე, რაც მოხდა კოლხიდაში. დაიწყო ლაპარაკი, რომ სჯა და თათბირი არც-კია საჭიროო. ახლავე უნდა ავდგეთ და გამოცხადებით შევემხროთ სპარსელებსაო. მაგრამ ამაზე აიეტს უპასუხეს, რომ არ ივარგებს აგრე უცბად შევცვალოთ წესი და რიგი ჩვენის ასლანდელის ყოფა-ცხოვრებისაო; ჯერ უნდა გამოვარჩიოთ და სინიდისიერად გამოვიძიოთ, რა უფრო სასარგებლო იქმნება ჩვენთვისაო. აიეტი განრისხდა ამაზე, წამოდგა, ჩადგა შუაში და წარმოსთქვა დიდი სიტყვა, ისეთი სიტყვა, რომ გეგონებოდათ სწორედ დაწესებულ საერო კრებაშია და იქა ლაპარაკობსო. აიეტი დიდის მჭევრ-მეტყველობით ლაპარაკობდა. ბარბაროსები ასეთის მჭევრ-მეტყველობით ვერა ლაპარაკობენ ხოლმე. თუ ნიჭი მეტყველებისა, და თუ აზრები ისეთი გამოიტანა, რომ ნამდვილი ორატორი გეგონებოდათ. აი რა სთქვა:

„მარტო სიტყვითა და ლაპარაკით რომ ეწყენინებინათ თქვენთვის ბერძნებს, ან მარტო ავი რამ განზრახვა რომ შეგვემჩნიათ, ეგ კიდევ არაფერი; ჩვენც ადვილად შევიძლებდით სამაგიერო გადაგვეხდენა. მაგრამ, როგორ უნდა ავიტანოთ დღეს ის საშინელი უპატიურება, რომელიც იმათ მოგვაყენეს და ან როგორ შეიძლება ახლა ფიქრი, ტოკვა და ყოყმანი? ხომ დავკარგეთ ასეთი მოხერხებული დრო და მერე როდის-ღა შევიძლებთ, რომ შური ვიძიოთ და სამაგიერო ვაზღვევინოთ. განა საბუთებს ვერ წავუყენებთ იმისას, რომ საქმით დაგვიშავეს და არა მარტო განზრახვით? საჭირო არც-კია რომ ამისი დამამტკიცებელი საბუთები დავისახელოთ. სულ-მდაბლობით მოჰკლეს იმათ გუბაძე, იგი დიდებული ვაჟ-კაცი; მოჰკლეს ისე უკადრისად, თითქო ვიგინდარა და ზნე-დაბალი კაცი ყოფილიყოს. წავიდა, განჰქრა

დიდება კოლხიდელებისა! ახლა ჩვენ იმას-კი აღარ უნდა ვფიქრობდეთ, რომ სხვები დავიმორჩილოთ და ვმართოთ საქმენი მათნი, არამედ იმისიც მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, თუ ვინც უწინ ჩვენ გვიმორჩილებოდა, ავად არ მოგვეპყროს ახლა. განა რა ჭკუაა, რომ დავსხდეთ და ვიფიქროთ, ჩვენი მტერნი არიან თუ მოყვარენი ისინი, ვინც პირველი კაცი მოგვიკლათ. მოვალენი ვართ შევიგნოთ, რომ თავგასულობა მათი ამას არ დასჯერდება. ეს ერთი დანაშაული რომ არაფრად ჩავუგდოთ, შემდეგაც აღარ მოიშლიან ჩვენს გაუპატიურებასა. უფრო გულ-დამშვიდებით და ნაკლების შიშით დაგვიწყებენ წყენასა, იმიტომ რომ თავიანთ დაპყრობილთ ისინი მეტად შეუბრალებლად ეპყრობიან და ზიზღით უყურებენ თავის ხელქვეითებს. იმათი იმპერატორიც მელა კაცია. ის მუდამ მოხარულია და მოსურნე ყოველ-გვარის არევ-დარევისა. ეს კაცის-კვლაც იმიტომ მოხდა ისე სასწრაფოდ, რომ თვითონ ის აგულიანებდა ამ საქმეში თავის ხელ-ქვეითებს და იმათაც დიდის სიამოვნებით შეასრულეს მისი სურვილი; არამც თუ მაშინა გვძარცვავდენ და გვჟლეტავდენ, როცა არაფერს არ უშავებდით და ჩვენ შორის არავითარი სამდურავი არ იყო, არამედ მაშინაც-კი, როცა მეგობრობით გვეპყრობოდენ, დიდი შეურაცხყოფა მოგვაყენეს და დიდად გაგვაბიაბრუეს. კაცს ეგონებოდა, სულ ერთად შეჰყრიათ სენი სასტიკობისა, უგუნურებისა, ჩვენის მძულვარებისა და სხვა ამისთანა ბიწიერებათა. სპარსელნი სულ სხვა ზნისანი არიან. ბერძნებისაგან დიდად განირჩევიან. თუ მეგობრობა აქვთ ვისთანმე, მუდამ ერთგულობას უწევენ, ხოლო მტერს მტრულად ეპყრობიან და არა ჰზოგავენ.

„ჩემი სურვილი და ნატვრა ის არის, კოლხიდელების სამეფო ისევე ყოვლად-ძლიერი იყოს, როგორც წინად ყოფილა, რომ არავითარი შემწეობა უცხოელთა არ ეჭირვებოდეს და რომ სრულიად დამოუკიდებელი იყოს, როგორც მშვიდობიანობისა, ისე ომიანობის დროსა, მაგრამ რაკი დროთა ბრუნვისა-გამო ანუ ბედის დაუდგრომლობის მიზეზით, ანუ, შესაძლოა, ამ ორსავ მიზეზით ერთად, ასე დავუძლურდით და თვითონ ჩვენ ჩავუვარდით ხელში სხვებს, გონიერება უფრო ის იქნება, იმათ ხელში ვირჩიოთ ყოფნა, ვინც უფრო ზომიერები და მართლის-მოყვარენი არიან და უფრო გატანა იციან თა-

ვიანთ მომხრეებისა. ჩვენს ნამდვილს მტრებზე უფრო ძლიერნი ვიქნებით მაშინ, როცა არ შევარჩენთ იმათ მიერ ჩადენილს დანაშაულს და ვიზრუნებთ ამასთანავე შემდეგისათვისაც. ახლა ბერძნები თავის მელამურობითა და თვალთ-მაქცობით გვისვევენ თვალს. ხოლო, რაკი მათნი მტერნი შევიქნებით, იმათი მოჩვენებული სიმშვიდე და მეგობრობა ველარას გააწყობს, ამაო შეიქნება. ფარისევლებს აღარ მიეცემათ შემთხვევა, რომ კვლავ დაგვათათბირონ ტკბილის სიტყვითა და მოქარგულის ენით, რადგან მტრად გადაკიდებულნი სრულიად შორი-შორს ვიქმნებით ერთმანერთზე. თუნდა რომ კიდეც გამოილაშქრონ ჩვენ წინააღმდეგ, კარგად ვერ მოუვათ საქმე; სპარსები და ლაზები ერთად შეერთდებით და რაღას გააწყობენ ისინი, მერე ისიც მტრის ქვეყანაში შემოსულნი. ერთს ჩვენს შეტევასაც ვერ გაუძლებენ. სულ ახლახან არ იყო, რომ მთელი მათი ჯარი გააქცია მილიელების მცირე რაზმმა და საშინელი სირცხვილი აჭამა. დღესაც სული ვერ მოუბრუნებიათ, ისე დაისოცნენ მაშინ სირბილით. ყველაფერში დამარცხდენ და მხოლოდ იმაში აჯობეს სპარსელებს, რომ მალიან მოკურცხლეს და გამოკიდებულნი სპარსნი ველარ დაეწივნენ. მიზეზი ამისი ის იყო, რომ მხდალნი არიან და განგებულობა მათი უგონოა. ამისთანა ნაკლი და ამგვარივე ბიწიერება თან-დაყოლილი აქვთ, დაბადებითვე გამოჰყოლიათ. ასე ბიწიერნი არიან ბუნებით და კიდევ მაინც სულს იმძიმებენ სხვა დანაშაულით, რომელიც აორკეცებს მათს უბედურებას; აორკეცებს იმიტომ რომ კაცის-კვლის გამო დაჰკარგეს მფარველობა უზენაესისა, იმიტომ რომ იმდენად მახვილი არა სჭრის, რამდენადაც კეთილი და სათნოება; არა მგონია, რომ ცოდვილსა და დამნაშავეს ეწვიოს ამისთანა მადლი. მაშ ასე: თუ გვინდა რომ კეთილ-გონიერნი ვიყვნეთ, არ უნდა დავიჭიროთ მხარე ბერძნებისა, რომელთაც თავი თავის ალაგას არა აქვთ და რომელთაც უწყრება და ურისხდება ის, ვინც არის ყოველივე ხსნა და ცხონება.

„ამ გვარად, თვით საქმით დავამტკიცეთ და არა ლიტონის სიტყვით, რომ ადვილია ჩვენთვის სპარსელებს მივემხროთ და რომ ღვთისთვისაც ეს იქნება უფრო სასიამოვნო და კაცისათვისაც. ვერავინ ვერ იტყვის, რომ ან უსამართლოდ მოვიქეცით, ან ღალატი გავწიეთ. მარ-

თალია, წინადაც ბევრი უსამართლობა გვინახავს ბერძნებისაგან, მაგრამ მაინც ვამჯობინებდით არ შეგვეცვალა ჩვენი ყოფა-მდგომარეობა, იმიტომ რომ არ არის კარგი სხვა მხარეზე გადასვლა მხოლოდ რამდენისამე მიზეზის გამო. ეს მიზეზები თუმცა პატივსადები მიზეზები იყო, მაგრამ მაინც შეიძლებოდა მოთმენა და ატანა მაშინდელის ყოფისა. ხოლო როცა უმწვერვალესად გვიჭირებენ საქმეს და გამოვყვევართ მოთმინებიდამ, მაშინ, მგონია, რომ მხოლოდ უგუნურნი, მხდალნი და საცოდავნი თუ აიტანენ ყოველსავე ამას მოთმინებით და არ აღშფოთდებიან, რაც უნდა უსიამოვნება და სირცხვილი აჭამონ. არსად და არასოდეს არ მომხდებოდა ისეთი ბოროტ-მოქმედება, როგორიც იყო მოკვლა გუბაზესი. ხოლო თუ მოხდებოდა, დაუსჯელად არ ჩაივლიდა. ამიტომ არც ჩვენ უნდა დავსტოვოთ ეს გარემოება უყურადღებოდ, რადგან სირცხვილი იქნება ჩვენთვის დავივიწყოთ მეფე ჩვენი და პირში ვეფეროთ მის მკვლელებსა. ახლა რომ ის ჩვენ წინაშე წარმოსდგეს, უეჭველია, სამარცხვინოდ გაგვკიცხავდა და საყვედურით გვეტყოდა, რომ ჩემი ჯეროვანი პატივისცემა არა გქონიათ, რაკი მკვლელნი ისევ ჩვენს ქვეყანაში არიან და ჯერაც არ განგიდევნიათო. მაგრამ იმას ხომ თქვენ შორის თავის დღეში ველარა ჰნახავთ და ველარ გეტყვით ამ საყვედურს. მაშ აზრით მაინც წარმოიდგინეთ, რომ ვითომ მეფე ჩვენი სდგას ჩვენს შორის, გვიჩვენებს თავის წყლულს, მახვილით გაპობილს მკერდს და დიდს ნახმლევს კისერზე, გვიჩვენებს და ემუდარება თავის ერს, ახლა მაინც ნუ შეარჩენთ ჩემს სისხლს, გადაუხადეთ სამაგიერო და ნუ გამხდით მტრის გულისათაო.

„ამას გარდა ვინ იქნება თქვენში ისეთი, რომ საქმე დაიჭიროს იმასთან, ვინც ტოკავს და ფიქრობს, ვითომ სამართლიანად იქცევიან კოლხიდელები, როცა ენანებათ გუბაზე, თუ არაო. ყოველ ამასაც რომ თავი დავანებოთ, უნდა გავიფთხილდეთ, რომ ჩვენ მოწილენი არ გაგვხადონ ბოროტ-მოქმედებისა. რაკი ასე გვეშინიან სპარსელების მომხრეობისა, იფიქრებენ, რომ გუბაზეს ჯავრს იმიტომ არა ჰყრილობენ და ამ საქმეს ასე გულგრილად იმიტომ მოექცნენ, რომ თვითონაც წილი უდევთ იმის მოკვლაშიო. ჩემის აზრით, უფრო მოღალატენი შევიქნებით, თუ, როცა კაცი ცოცხალი იყო, მის სახელსა ვფიცავდით, მოკვლა და მაშინვე დავი-

ვიწყეთ. როცა ყოველივე საქმე კარგად მიდის, უგუნურება იქნება შეცვლა დღევანდელის წესისა და წყობილებისა, ხოლო როცა ყოველივე საქმე დაცარულია, უგუნურებაა არ ავყვეთ დროს. მოთმინებით ატანა დღევანდელის ყოფისა მაშინ არის საქებური, როცა ასეთს მოთმენას გონიერებაც მოითხოვს. ხოლო ვინც უგულებელ-ჰყოფს იმას, რისთვისაც გულითა და სულით უნდა ზრუნავდეს, და ამჯობინებს იმას, რაც შესაფერი არ არის, მაშინ ის უფრო დამნაშავე, ვინც მისცემებია ძველს ყოფას და წეს-წყობილებას, ვიდრე ის, რომელიც ხსნასა და შეცვლას სხვა ყოფასა და სხვა წყობილებაში ეძებს.

„სპარსელებმა რომ შეიტყონ ასეთი ჩვენი განზრახვა, დიდად შეგვიყვარებენ და ეცდებიან დაგვიფარონ, იმიტომ რომ კაცთ-მოყვარენი და სულ-გრძელნი არიან; ამასთანავე, იმათ იციან და ეხერხებათ გაგება თავიანთ მეზობელთა სურვილისა. ამას გარდა კიდევ, ჩვენი ქვეყანა იმათთვის ძალიან მოხერხებულს ალაგას არის მოთავსებული; მხედრობაა კიდევ ჩვენი და ძლევითა და დიდებით არის მოსილი; სპარსელნი ჩვენს მხედრობას უფრო ირჩევენ, ვიდრე ფულსა და ქონებას. ოღონდ-კი ჩვენის ნებითვე მოვინდომოთ და შევატყობინოთ ჩვენი სურვილი, თორემ ისინი დიდის სიამოვნებით დაგვიმეგობრდებიან. ასლა ნულარ მოვჰყვებით ფიქრსა და განსჯასა, შეუდექით პირ-და-პირ საქმესა და სთქვით, რაც გულში გაქვთ. ქებისა და დიდების ღირსნი მაშინ შეიქმნებით, როცა იმას მოიქმედებთ, რაც სამართლიანია და სათანადო და რაც შეგვძენს სარგებლობასა“.

მთელმა კრებამ ალტაცებით მოისმინა ეს სიტყვები აიეტისა და დაეთანხმა კიდეცა. კოლხიდელებს იმ დღესვე უნდოდათ სპარსელების მხარეზე გადასულიყვნენ, თუმცა ჯერ არც-კი მოლაპარაკებოდენ და არც თვითონ იყვნენ იმდენად მომზადებულნი, რომ დაეფარათ ეს გარემოება ბერძნებისაგან, ან და მოეგერებინათ ისინი, თუ ვინიცობაა თავს დაესხმოდნენ იმ აზრით, რომ ჩავუშალოთ დაწყობილი საქმეო. სრულიად არ ფიქრობდენ, რომ, ვინ იცის, რა მოხდარიყო და ან რა შედეგი მოჰყოლოდა იმათს ცდას. ასეთი ნაკლულევანებანი სჩვევია საზოგადოდ დიდს კრებულს და ბრბოს, რომელიც მუდამ ეტანება ახალ-ახალსა და სისწრაფით ეგებება ახალს ცვლილებასა. ხოლო ამ

შემთხვევაში კოლხიდელები ჩვეულებრივზედ მეტად აღელდნენ, არა იმიტომ რომ ბარბაროსები იყვნენ, არამედ იმიტომ რომ ჯერ იყო და ჰგონებდენ, ჩვენ მართალნი ვართ ამ საქმეშიო და მერე იყო და—აიეტის ლაპარაკმა მოხიბლა და გაიტაცა; ყოველმავე ამან საშინლად აა-ღელვა და აამღვრია ხალხი.

როცა ამ გვარად ჩოჩქოლი შეუდგათ, დაიწყო ლაპარაკი ერთმა, სახელად ფარტაცმა, კაცმა დიად გონიერმა, დარბაისელმა და თავდაჭერილმა, რომელსაც დიდი სახელი ჰქონდა განთქმული და დიდ პატივსაცა სცემდენ კოლხიდელები; დაიწყო ლაპარაკი, აშვიდებდა კრებას და ევედრებოდა, დაწყნარდით, ნუ აჰყვებით გულის თქმასა და ნურას დაიწყებთ ისე, რომ ჩემიც არ მოისმინოთო. ძლივს მოახერხა და დააჯერა, რომ გაჩერებულიყვნენ, ესეც იმიტომ, რომ დიდს პატივსა სცემდენ და ხათრი ვერ გაუტეხეს. შემდეგ ფარტაცი გამოვიდა, დადგა შუაში და სთქვა შემდეგი:

„ახალი ამბავი არ არის თქვენთვის, კოლხიდელებო, რომ შეგვაშფოთათ მოქარგულის ენით ნალაპარაკევმა და ხელოვნებით წარმოთქმულმა სიტყვებმა. მჭერ-მეტყველება ჰხიბლავს ადამიანს და სძლევს ყველას, მეტადრე იმას, ვისაც არ გამოუცდია მისი ძალ-ღონე. მაგრამ მაინც შესაძლოა გავუმაგრდეთ და არ ავყვეთ გულს, უკეთუ დავფიქრდებით, დროსა და გარემოების შესაფერად განვსჯით და გულისხმიერებით ჩავაკვირდებით საქმეს. თქმული იმიტომ-კი არ უნდა მოგწონდეთ, რომ მოულოდნელი იყო თქვენთვის და ყური თქვენი არა სჩვევია იმის გაგონებას. თქმული უნდა მოიწონოთ მხოლოდ მაშინ, როცა ნათქვამი თქვენთვის საპატიოსნოა და სასარგებლო. გაიგეთ და შეიტყეთ, რომ იქნება თქმული სასიამოვნოა თქვენთვის, მაგრამ მაინც ის უნდა ირჩიოთ, რაც უკეთესია; ჯერ მარტო ისა, რომ ასე მალე აჰყევით ნალაპარაკევსა, ცხადი საბუთია, რომ მოტყუებულნი ხართ. იცოდეთ, რომ ვისაც სწადიან ცუდი რამ ურჩიოს ხოლმე ადამიანს, სცდილობს სიტყვა მოქარგოს, მოჰკაზმოს, გაალამაზოს, იმიტომ რომ მოთითხნულის, გულს-მოსაწველის სიტყვებით უფრო ადვილად მოჰხიბლავს, მოინადირებს გულ-უბრყვილოსა და გულ-დანდობილსა. მაშ, იცოდეთ, რომ თქვენ ფიქრად არც-კი მოგდით, რანაირად მოტყუებუ-

ლები ხართ და ბადეში გაბმული აიეტის სამაცდურით და სერხიანის სიტყვითა. ერთი რამ მაინც უნდა შევნიშნა ყოველს თქვენგანს, სახელდობრ ისა, რომ მოლაპარაკემ იმ თავიდამვე სულ სხვა საგანზე ჩამოაგდო ლაპარაკი, იმ საგანზედ, რომელიც სრულებით ახლო არ უდგება იმას, რისთვისაც ჩვენა ვართ შეკრებილი. იმანა სთქვა, ვითომ ჩვენ ყველას გვგონია, რომ რაც მოხდა, ურჩვლად შეუწყნარებელი საქმე არ იყოს, ვითომ დანაშაულად არ ვუთვლით ბერძნებს მათ მიერ ჩადენილს სამარცხვინო კაცის კვლას, ვითომ ჩვენ მხოლოდ იმ ფიქრში ვართ, მართლა ბოროტ-მოქმედება ჩაიდინეს გუშამას მკვლელებმა თუ არა; მაგრამ მოლაპარაკემ მკვლელებს-კი არ დაუწყო ბრალდება, მოგვიყვა წილადობილას იმაზე, რაც ყველამ კიცით უიმისოდაც. მე კი ვიტყვი, რომ წყეულ და შეჩვენებულ იქმნენ ღვთისაგან მკვლელნი. სიამოვნებით დავუწყებდი ცქერას, რა სატანჯველიც უნდა მიეყენებინათ, არა თუ მათთვის, ვინც თავიანთის ხელით ჩაიდინეს კაცის-კვლა, არამედ მათთვისაც, ვისაც შეეძლო აეცილებინა ჩვენთვის ეს უბედურება და ხელი არ შეუშალა მკვლელებს და ბოლოს იმათთვისაც, ვინც სიხარულით მიეგება ამ კაცის კვლას და არ აღშფოთდა, გული არ აუმღვრა. დიახ, თუმცა ასეთის აზრისა ვარ, მაინც ვგონებ, რომ სპარსელების მხარეზედ გადასვლა სარგებლობას არ მოგვიტანს. ვერავინ ვერ იტყვის, რომ, რაკი ბერძნებმა დაარღვიეს კანონი, ვითომ ჩვენის მხრითაც მოსწონი იქმნებოდა მამა-პაპათა

დერძი დავარღვია, არაფრად ჩაგვეგდო ღალატობის ჩადენა, აღარ გვმაგებოდა მკვლელურად მოღალატენი და ჩვენც გაგვტეხოდა სახელი ღალატის გამო. ჩვენ არ უნდა მოვისვენოთ და არ უნდა დავჯერდეთ იმ ფიქრსა, რომ, ვითომ, რაც მოხდა, იმას აღარა ეშველება-რა. არა, უნდა ვწუხდეთ და ამ წუხილით დავამტკიცოთ, რომ გულ-გრილად არ ვუყურებთ უკვე ჩადენილს ბოროტ-მოქმედებას, მაგრამ ამასთანავე ვალდებულნი ვართ ვიზრუნოთ, რომ შემდეგისათვის საქმენი უკეთესად მოეწყოს. მხოლოდ უგუნურნი და უჭკუონი სწუხან და შფოთავენ გამუდმებით იმის გამო, რაც უბედურობა მოხდა და შეემთხვათ ოდესმე. გონიერნი და ჭკვიანები-კი, იციან რა ცვალებადობა წუთის სოფლისა, როდი შფოთავენ ბედის ყოველ ცვლილე-

ბისა გამო, და რაც უნდა ზარალი და უბედურობა ჰნახონ, არა ჰკარგავენ იმედს მერმისისას. ეს ჩვენი მრჩეველი და მოთათბირე აიეტი-კი, რომელიც დიდი ხანია ეტანება სპარსელებს და მოწადინებულია, რომ ჩვენც იმათკენ გადავიდეთ, სცდილობს დაგვაშინოს, თითქო ბავშვები ვიყვნეთ და გვეუბნება, რომაელები იმას როდი დაგვაჯერებენ, რაც დაგვმართეს, უარესს გვიზამენო; რომ ვითომ ცბიერთ-უცბიერესი მათი მეფე თვით აგულიანებდა მკვლელებს, ჩაედინათ ასეთი შემაძრწუნებელი ავაზაკობა, რომელიც წინადვე იყო გადაწყვეტილი და მოფიქრებულიო. გვეუბნება ამას და თან გულმოდგინედ აქებს სპარსელებს იმ აზრით, რომ ვითომ ამით დაგვაჯერებს, დავიმცირობთ თავს და ჩვენის ნებითვე გადავიდეთ ჩვენთა მოსისხლე მტერთა მხარეზე. იმას მხოლოდ ერთი რამ სწადიან და მხოლოდ ერთ რისთვისამე ზრუნავს, სახელდობრ იმისთვის, რომ შესრულდეს ის, რაზედაც წინადვე უზრუნია; ამიტომ გვირჩევს, მოუფიქრებლივ მოვიქცეთ, არღვევს წესს თათბირისას და სრულიად აბათილებს, ძალას უკარგავს ბჭობას, განსჯას საქმისას. თქვენ თვითონ იანგარიშეთ ახა: ჯერ უნდა მოიფიქრება და ბჭობა იყოს იმისი, რაც ბუნდად გვესმის, ცხადად ვერ წარმოგვიდგენია; და როცა განიხილვის, რაც განსახილველია, რაც უნდა გაკეთდეს და გადაწყდეს, მხოლოდ მაშინ უნდა გაჩნდეს ნება და სურვილი, აღსრულდეს ის, რაც გადაწყდა. აიეტმა-კი ბოლო თავში მოაქცია და უნდა იმოქმედოს მაშინ, როცა საქმე ჯერ მოიფიქრებული არ არის. რის მაქნისი უნდა იყოს მაშინ ბჭობა და ფიქრი, თუ კი ერთიცა და მეორეც იმ დროს გაჩნდება, როცა საქმე უკვე გადაწყვეტილია.

„თქვენ-კი, კოლხიდელნო, განიხილეთ, თუ რა აზრი აგიჩემებიათ წინდაწინვე და ისე აიღ-დაიღევით საქმე. იქონიეთ სახეში მხოლოდ ის, რაც უფრო სასურველია თქვენთვის. რაც გადაწყდეს ბოლოს, ყველამ აიღეთ და ის შეასრულეთ. თქვენ უფრო სხვა წესსა და რიგს უნდა ადგეთ, ვიდრე სხვანი. თვითოეულმა უნდა გადასწყვიტოს საქმე სრულის თავის ჭკუითა, ვისგანმე ძალ-დაუტანებლივ, იმ აზრით რომ აი ვიფიქრე ყოველ-მხრივ და ის ვარჩიე, რაც სასარგებლოა ჩემთვისაო. რაკი ასე იფიქრებთ და განსჯით საგანს, მაშინვე დაინახავთ, რომ არც ბერძნების ჯარები, არც ლეგიონები, არც მათი წინამძღოლნი

და სარდალნი, არც უმეტესად თვით იმპერატორი არავითარს მაჩვს არ უგებდა გუბამეს. იმათში ყველა იმას ამბობს და იმას აღიარებს, რომ რუსტიკმა და მარტინემ შეიშურეს სიკეთე მისი და აჰყვნენ-თავის მხეცურ გულისთქმასა. სხვა წინამძღოლთ, არამც თუ არავი-თარი მონაწილეობა არ მიუღიათ მაგ ბოროტ-მოქმედებაში, არამედ დიდადაც სწყენიათ და გული ამღვრევიათ მარტინესა და რუსტიკზე. ამიტომ, ვგონებ, უსამართლობა იქნება და არც არავითარს სარგებლო-ბას მოგვიტანს, რომ ერთისა და ორის დანაშაულის გამო, დავარღ-ვიოთ სახელმწიფო კანონები, რომლის პატივისცემაც ვიტვირთეთ, შევცვალოთ ის წესი და რიგი ცხოვრებისა, რომელსაც შევჩვევივართ და მოღალატენი შევიქმნეთ იმათი, ვინც ჩვენის გულისათვის დგანან ციხეებში სადარაჯოდ და, ვინ იცის, რა საფრთხეში არ არიან, რა მო-სათმენს არ ითმენენ, ოღონდ-კი ჩვენ ვცხოვრობდეთ მშვიდობითა და მოსვენებით. დასასრულ კიდევ, დიდი ცოდვა იქნება ჩვენის მხრით უარვყოთ ჭეშმარიტი სარწმუნოება, წმინდა საიდუმლო და ქრისტეს მოძღვრება. თუ არ უარ-ყოფა, მაშ სხვა რა უნდა იყოს ჩვენი გა-დასვლა იმათ მხარეზე, რომელნიც ისეთი დაუძინებელნი და ძლიერნი მტერნი არიან ყოვლად შემძლებელისა? ჩვენ რომ იმათ წირვა-ლოცვა დაგვიშალონ და თავიანთი სარწმუნოება შემოგვატყუონ, განა ამაზე მეტად საშინელი-და მოხდება რამე ჩვენის ცოცხლისა და მკვდრისა-თვის? რა სარგებელი უნდა გვქონოდა, თუნდა მთელი სპარსეთიც ჩვენ შემოგვეერთებინა, სულნი ჩვენნი კი წაგვეწყმინდა? თუნდა ვსთქვათ, რომ ხელი არ ახლოს ჩვენს სარწმუნოებასა, მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ დიდის გულ-კეთილობით არ მოგვექცევიან, არამედ მუდამ გულ-ში ხინჯი ექმნებათ და საეჭვოთ დაგვიწყებენ ცქერას, დროსა და გა-რემოების მიხედვით.

— მაშ რის იმედით-ღა უნდა გადავიდეთ, კოლხიდელნო, სპარ-სელების მხარეზე? ისინი მაინც ჩვენ მტრობას არ დაიშლიან და მხო-ლოდ იმას თუ მოვიმკით, რომ იმდენად უფრო ადვილად შეგვაწუ-ხებენ, რამდენადაც ჩვენთვის ძნელი იქნება გავუფრთხილდეთ შინაურ და ქურდულს მტერს, ვიდრე პირ-და-პირ მოსულს. ვსთქვათ თუნდა, რომ ჩვენი გადასვლა სპარსელების მხარეზე საწინააღმდეგო არ არის

არც სამართლიანობისა და არც პატიოსნებისა; ვსთქვათ ისიც, რომ ვითომ სპარსების ხასიათიც უფრო უცვლელია და საიმედო და რომ ისინი თავისდღეში არ დაარღვევენ პირობასა და აღთქმასა; ბოლოს, თუნდა ისიცა ვსთქვათ, რომ აღარა გვიშლის-რა სპარსების მხარეზე გადასვლასა. მაინც ვამბობ, რომ ჩვენი ღონე საკმარისი არ არის ამ საქმის გასაბედავად. აბა, როგორ უნდა მოვახერხოთ ეს, როცა ბერძნები, ესოდენ მრავალნი და მამაცნი და მათნი უკეთესნი სარდალნი პირში გვიდგანან? როგორ გადაურჩებით საშინელს მტრის-ძიებასა მაშინ, როცა ისინი, ვინც უნდა მოგვეშველნენ, ყოვნდებიან ივერიაში და არ მოეჩქარებიან ჩვენდა; ხოლო ჩვენის სამაგიეროს გადამხდელთ-კი მთელი ჩვენი ქვეყანა ხელში უჭირავთ და შიგ ჩვენს ქალაქებში ცხოვრობენ? პატივცემული აიეტი-კი ბრძანებს, რომ ბერძნები ჩვენს ერის შეტევასაც ვერ გაუძლებენო და თავის სიტყვების დასამტკიცებლად მოჰყავს ამას წინანდელნი გარემოებანი. ხოლო ვინ არ იცის, რომ ბედი ომში ცვალებადია და რომ ისინი, ვინც ერთხელ და ორჯელ დამარცხდენ, შესაძლოა, მუდამ არ დამარცხდენ და ბევრჯელ გაიმარჯვონ კიდეცა. ხშირად გამარჯვება რჩება იმათ, ვინც წინად დამარცხდა, რათა მით გასწორდეს პირველი შეცდომა ბედისა. ამიტომ დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს იმისი, რომ ბერძნები ყოველთვის დამარცხდებიან, როგორც აქამდე იყოვო. თუ მხოლოდ იმიტომ დამარცხდენ, რომ კარგად ვერ მოსაზრეს, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, ამ მაგალითმა უნდა დაგვაფიქროს და ჩვენთვის გამოსაყენებელი ჭკუა გვასწავლოს, სახელდობრ, ის ჭკუა, რომ მოუფიქრებლობას მარცხი და ფათერაკი მოსდევს. ან-კი როგორ შეიძლება იმის მიხედვით, რაც იყო, იმედი მივცეთ ჩვენს თავს, რომ უთუოდ გავიმარჯვებთო; უფრო ჭკუას ახლოა, რომ რაკი ერთხელ და ორჯერ შესცდენ და დამარცხდენ, მით უფრო გამოიცადნენ, ჭკუა ისწავლეს და შემდეგში მეტის მოფიქრებით და ჭკუით ეცდებიან აიცდინონ შეცდომა. ხოლო თუ თვით ღმერთს აწყენინეს, განარისხეს მით, რომ მათის დაუდევრობით მოხდა საზიზღარი კაცის-კვლა და ამიტომ ეწიათ ასეთი უბედობა, ღმერთის რაღა ჩვენი მიშველება და დახმარება ეჭირვება: თვითონაც შეიძლებს მათს დასჯასა. ბერძნებმა იმდენი სიკეთე გაგვა-

წიეს, ისე გვიცავენ და გვიფარავენ, რომ ჩვენ ყოვლად მოსვენებულნი ვცხოვრობთ და, თუ მაინც ამ სიკეთის მაგიერ, ვუღალატებთ და განუდგებით, სხვა ვიღა მოგვენდობა, რას არ გაგვიბედავენ და რა ბოროტება უნდა იყოს, რომ არ მოგვაყენონ. ამიტომ სჯობს, რომ განსვენებულს გუბაძეს არავინ არ წამოგვიყენებდეს აქ სიტყვიერად, ვითომ და ჩვენ შორის სდგას, ჭლვრის ცრემლს, რომელიც არ შეეფერება მამა-კაცს და გვიჩვენებს თავის წყლულებს, აი გეცოდებოდეთ, ჩემო თანამემამულენო. ასეთი საქციელი ეკადრება მხოლოდ სუსტს და განებიერებულს კაცს, და არა მეფეს, მით უფრო ლაზს და უფრო კიდევ გუბაძეს. ის რომ ჩვენ შორის იყოს, ეჭვი არ არის, როგორც კაცი სათნოიანი და გონიერი, გისაყვედურებდათ, ეგ რა გიფიქრიათო, დაგიშლიდათ კიდეც და გეტყოდათ, ნუ დაღონდებით და ნუ შედრკებით, ნუ ილტვით, როგორც მონები, არამედ გიმრძანებთ, გამაგრდით ისე, როგორც ჩვეულება აქვთ კოლხიდელებს და ნურას ჩაიდენთ ისეთსა, რაც სამარცხვინოა და მოაყივნებს თქვენთა მამა-პაპათა სახელსაო. იყავით ისევე, როგორცა ხართ და იმედი იქონიეთ, რომ ღმერთი არ დასტოვებს კოლხიდელებსაო. განა უგუნურება არ იქნება ვიფიქროთ, რომ ის, ვინც ძალადობით მოჰკლეს, ასე ფიქრობს და ჩვენ-კი, რომელთაც ვითომ გვიყვარს ის კაცი, სულ სხვა გზას გვინდა დავადგეთ? მე იმისიც მეფიქრება, რომ მარტო იმისათვისაც არ დავისაჯნეთ საკმაოდ, რაც ფიქრი და განზრახვა გავივლეთ გულში. მომზადებულიც რომ ვიყვნეთ განდგომისათვის და იმედი გამარჯვებისა საეჭვოდ წინ გვედგას, მაინც სწორედ დიდად სამძიმო იქნებოდა ამისთანა გაჭირებულს ყოფაში მხოლოდ ვინიცობაზე მივგვეგდო ჩვენი ბედი. მაგრამ, ვინ იცის, იქნება ისინი, ვინც ასე ფიქრობდენ მოქცევასა, ვარაუდობდენ, რომ დიდი თავის ტესა არ უნდა საქმესაო. ხოლო თუ წინდაუხედაობა და მოსალოდნელი ბოროტება ასეთის განზრახვისა, ასე ცხადია, მაშ რაოდენად ღირსნი უნდა იყვნენ სიძულვილისა ისინი, ვინც ჩაგვაგონა მაგისთანა ფიქრი და აზრები? ვგონებ საკმაოდ გავარკვიეთ, როგორ უნდა მოვერიდნეთ ამისთანა კაცებს. ჩვემი აზრი-კი ის არის, რომ უნდა ვაუწყოთ იმპერატორს, როგორ მოსდა ყოველივე. ესე, რათა მას ღირსეულად დასაჯოს თავი დამნაშავენი

კაცის-კვლისა. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ჩვენ დავივიწყებთ, თუ რამ მტრობა და შუღლი გვქონია რომაელებისა და კვლავ მოვითმენთ იმათთან ყოველსავე მოსათმენს და ერთად ვილაშქრებთ და ვიბრძოლებთ ისევ ისე, როგორც გვიბრძოლნია წინად. ხოლო თუ არ შეიწყნაროს ჩვენი თხოვნა, მაშინ უნდა მოვიფიქროთ და განვსაჯოთ, საჭიროა თუ არა სხვა გზას მივმართოთ. ასეთის ქცევით დავამტკიცებთ, რომ არ დაგვივიწყნია გუბაზე და ჩვენ საქმეებს მოფიქრებით განვაგებთ.“

ამ სიტყვის მოსმენის შემდეგ კოლხიდელებმა სულ სხვა კილოზედ დაიწყეს ლაპარაკი. ფარტაცმა უფრო-კი იმითი დააფიქრა კოლხიდელნი, რომ დააშინა, ვაი თუ მართლმადიდებელი სარწმუნოება დავკარგოთ, უკეთუ სპარსებს მივუდექითო. გაიმარჯვა თუ არა ფარტაცის აზრმა და რჩევამ, მაშინვე ამოირჩიეს, ვინც უფრო დარბაისელი და დიდებული კაცი იყო კოლხიდელებში და დაავალეს, აუწყეთ იუსტინიანეს, რა დანაშაული ჩაიდინეს გუბაზის შესახებ; რა გვარ დაასმინეს მის წინაშე კაცი სრულიად უდანაშაულოვო. ამორჩეულს კაცებს უნდა აეხსნათ იმპერატორისათვის, რომ გუბაზეს ფიქრადაც არ მოსვლია განდგომა და სპარსებისაკენ გადასვლა; მარტინემ და რუსტიკმა იმიტომ შეიჯავრეს, რომ გუბაზე აყვედრიდა, მხდალნი ხართ, უზრუნველნი და დაუდევარნიო. ამაზე გადაეკიდენ, ცილი დასწამეს და ბოლოს მოჰკლეს კიდეც მართალი კაციო. აი ამიტომ უმორჩილესად სთხოვეს იმპერატორს, რომ პატივი ეცა მიცვალებულის ხსენებისათვის და დაუსჯელი არ დაეტოვა ისინი, ვინც იმის უმანკო სისხლში შეისვარეს ხელი; ამას გარდა სთხოვეს, რომ მეფედ უცხოს ნუ დაგვინიშნამო, არამედ განგვიწესეთ ცათე, უმცროსი ძმა გუბაზესიო; რომელიც იმ დროს ბიზანტიაში იყო; ეგ იმიტომ გვინდაო, რომ ხელ-უხლებელად იქმნას დაცული ანდერძი მამა-პაპათა და რომ მეფენი მუდამ და უცვლელად ჩამომავლობით ისხდენ ტახტზე ერთი მეორის შემდეგ, როგორც გვქონია წესად ძველის-ძველადვეო.

## LXIV. მოციქულობა ბერძნებისა და სპარსელების შორის სვანეთის თაობაზე

*(Менандръ Византійскій: Византійскіе историки, переведенные съ греческаго Спир. Дестунисомъ)*

562 წ. ბერძნებმა და სპარსელებმა ლაზიკაში შესწყვიტეს ომი და შერიგებისათვის ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ სპარსეთში გაგზავნა სასახლის ჯარების უფროსი პეტრე მოსალაპარაკებლად. ეს მოციქული მივიდა ქ. დარაში, რომელიც იყო ზემო მესოპოტამიაში, და იქიდამ აცნობა სპარსეთის ხელმწიფეს, თუ რა საგნისათვის ვარ გამოგზავნილიო იმპერატორისაგან. ეს ამბავი რომ გაიგო სპარსეთის ხელმწიფემ, თავის მხრით მოციქულად გაგზავნა იმავე ქალაქს იესდეგუსნაფი, რომელსაც სასახლეში პირველი ადგილი ეჭირა და მის თანამდებობას ეწოდებოდა ზიხი. ამ მოციქულებმა მოილაპარაკეს, ყოველი საგანი გამოარკვიეს და თითქმის ყველაფერში მორიგდნენ.—ვერ მორიგდნენ მხოლოდ სვანეთის თაობაზე. ამ საგანზე მათ შორის შემდეგი ბაასი ჩამოვარდა:

— სვანეთი ეკუთვნოდა ბერძნებსაო, ამტკიცებდა პეტრე; ბერძნები ბრძანებლობდნენ სვანებზე. როდესაც ცათე მთავრობდა სვანეთში, ვიღაც ბერძენი, სახელად დიტატი 1) უფროსობდა ამ ქვეყანაში მყოფს ბერძნების ლაშქარს. სვანეთში ცხოვრობდნენ სხვა ბერძნებიც. იმ დროს ლაზთა მეფესა და ლაზიკაში დაყენებულ ბერძენთა ჯარის უფროსს—მარტინეს შუა ჩამოვარდა უთანხმოება, რის გამოც კოლხიდიდამ აღარ გაუგზავნიათ სვანეთში შემწეობა—სორბალი, რომელსაც ადათისამებრ კოლხიდის მეფე აწვდიდა სვანებს.—ამ შემწეობის მიუღებლობით გულნაწყენ სვანებმა აცნობეს სპარსელებს, რომ მოგვცემთ ჩვენს ქვეყანას, თუ მოსვალთ სვანეთშიო. იმავე დროს უთხრეს ექსისატს და ბერძენთა ჯარების სხვა უფროსებსაც:

„სვანთა წინააღმდეგ მოდის დიდ--ძალი ლაშქარი სპარსელთა;

1) ქვემორე ამ დიტატს ეწოდება ექსისატი.

ჩვენ არა გვაქვს საკმაო ძალა მათდა წინააღმდეგ.—თქვენ თქვენი თადარიგი დაიჭირეთ. და ბერძნების აქაურ ლაშქრითურთ დაუთმეთ ადგილი მიდიელთა ჯარს.“ ამისთანა ოინის სმარებით და ლაშქრის უფროსების დაქრთამვით სვანებმა მოიცილეს ბერძნები თავიანთ ქვეყნიდამ. მაშინ სასწრაფოდ მოვიდნენ სპარსელები სვანეთს და შიგ დადგნენ. აქედამა სჩანს, რომ ეს მხარე ძველადგანვე ბერძნებს ეკუთვნოდა და ახლაც სამართლით მათ ეკუთვნის. რა-კი ჩვენ სრულის სიმართლით შევიქენით ლაზიკის მფლობელნი, როგორც დამტკიცებულია თქვენის მხრითაც, სამართალი მოითხოვს ვიმფლობელოთ სვანეთშიაც, რომელიც ლაზიკის მორჩილებაშია.

ამაზედ სურინამ *) მიუგო:

— თქვენ, ბერძნებს, გწყინთ, რომ სვანეთის ერი თავისისავე სურვილით და ნება-ყოფლობით მოგვენდო ჩვენ. ზიხმა დასძინა:

— სვანები იყვნენ დამოუკიდებელნი და არასოდეს არ ემორჩილებოდნენ კოლხიდელთა ხელმწიფეებს. მაშინ პეტრემ სთქვა:

— ზიხო, თუ შენ არა გსურს მორიგების ხელ-შეკრულობაში შეიტანო სახელი „სვანეთისა“, ჩასწერე, რომ მიბრუნებ მე ლაზიკას მისგან დამოკიდებულ სხვა-და-სხვა ერითურთ. ზიხმა სთქვა:

— მე რომ ასე მოვიქცე, შენ მოგეცემა საბუთი ივერიასაც წაგვედაკო, აქაო და ივერიაც ლაზთა ხელმწიფებაში იყოვო. პეტრემ მიუგო:

— ზიხო, აქედამ სჩანს, რომ შენ მთელის ლაზიკის დაბრუნება-კი არა გსურს, არამედ ნაწილისა. ბევრი ითქვა სვანეთზე ბერძენთაგან და სპარსთა, მაგრამ ვერ მორიგდნენ ერთმანეთში. ფიქრობდნენ, რომ ეს საგანი უნდა გადაეწყვიტა სპარსეთის ხელმწიფეს. ზიხმა, სპარსელთა სჯულისამებრ, შეჰფიცა პეტრეს, რომ დაგესმარები სვანეთის საქმეზე, როცა მოხვალ ხოსრო ხელმწიფესთან ამ ქვეყნის გამო მოსალაპარაკებლადაო.

ბევრის ლაპარაკის შემდეგ, როგორც ამ საგანზედ, ისე სხვაზედაც, დაიწერა სპარსულად და ბერძნულად ხელშეკრულობა შერიგებისა

---

*) სურინა მეორე კაცი იყო საელჩოში, როგორც ქვემორე ამისა სჩანს.

ორმოც-და-ათის წლის ვადით. ბერძნული ხელშეკრულობა გადაითარგმნა სპარსულად და სპარსული ბერძნულად. ხელშეკრულობა დაამტკიცეს: ბერძენთა მხრით პეტრემ, იმპერატორის სასახლის ჯარების უფროსმა, ევსევიმ და სხვათა; სპარსელთა მხრით იესდეგუსნაფმა, სურინამ და სხვათა. სპარსული და ბერძნული ერთმანეთს შეუმოწმეს, რომ სიტყვით და აზრით ერთმანეთს ეთანხმებოდნენ.

ამას შემდეგ მოციქულნი განმოეთხოვნენ ერთმანეთს; ზიხი წავიდა თავის ქვეყანაში, პეტრე კი დარჩა იქვე, რადგან შობა მოახლოებული იყო და მოინდომა დღესასწაული იქ გადაეხადა. იქვე გაატარა მან ნათლისღების დღესასწაულიც და შემდეგ გადავიდა სპარსეთში.

ვიდრე მოციქულები გაშორდებოდენ ერთმანეთს, დარს მოვიდენ ხოსროსაგან გამოგზავნილი სპარსელები თარჯიმანებით და მწონავებით და ზიხს გარდასცეს, რაც სპარსეთს შვიდის წლის შესახვედრი გარდასახადი ერგებოდათ, როგორც დადგენილი იყო ხელშეკრულობით. პეტრე მივიდა სვანეთზე მოსალაპარაკებლად ბითარმაისს, სადაც იდგა სპარსეთის ხელმწიფე. როდესაც ხოსროს წინაშე წარდგენილ იქმნა, პეტრემ მოახსენა:

„ხელმწიფეო, შენს წინაშე ვდგევართ ბედნიერნი მით, რომ ვეღირსეთ მშვიდობიანობას, მტკიცე საფუძველზე დამყარებულს, და არ ვწუხვართ, რომ გვიან ვეღირსენით იმას, რაც გვეკუთნოდა სამართლით. მას შემდეგ, რაც ჩვენ ჩავაქრეთ ბრძოლის ალი, და ვითომც მოვისვენეთ, კიდევ დარჩა ერთი ნაპერწკალი:—უბედურების ნაპერწკალს ვუწოდებ სვანეთს, რომელიც გვიქადის მტრობის ქარ-ცეცხლის აღტყინებასა. ხელმწიფეო, შეაჩერე უბედურებანი; აგვაცილე თავიდამ მოსალოდნელი ვაებანი. შენთვის ძოგვინდვია უძნელესის ასახსნელის გამორკვევა მას შემდეგ, რაც სათანადოდ მოაწყვე ყველაფერი. ბრძოლის სამუდამოდ დასასრულებლად ერთი რამ რჩება: რაკი ლაზიკას შენვე ვფლობთ, უნდა მოგვეცეს სვანეთიც. ვინც ბატონობს მეუფროსეზე, შეიძლება განა, რომ მის ხელმწიფებას არ ემორჩილებოდეს მეუფროსეს ხელქვეითი? არც ლაზნი და არც სვანნი არ იტყვიან, რომ სვანეთი ძველს დროში არ ყოფილა ლაზიკის ხელქვეითიო და რომ სვანეთის მთავარს ლაზთა მეფე არ ამტკიცებდაო“. რა-კი ეს სთქვა

პეტრემ, უჩვენა ხოსროს ნაწერი, რომლიდამაც სჩანდა, რომ ლაზთა მეფენი იყვნენ ბატონები და ისინი ამტკიცებდნენ სვანეთის მთავართ. შემდეგ მანვე განაგრძო: „თვით სამართლიანობა გვაძლევს ჩვენ სვანეთს. ხელმწიფეო, ნუ თუ არ მოისურვებ, რომ ორი უპირატესობა გქონდეს: დაუმტკიცო ქვეყანას, რომ შენ არავის სჩაგრავ და ყველას აძლევ იმას, ვისაც რა ერგება? ჩვენი ხელმწიფე დაჩაგრულად არ ჩასთვლის თავს, როცა საჩუქრად მიიღებს იმას, რაც უფლებით ეკუთვნის, იმიტომ რომ, იმის აზრით, ამ ნაირადვე მიიღო ლაზიკაც. როდესაც ჩვენ ცხადად ვამტკიცებდით, რომ ლაზიკა ძველადგანვე სპარძენთა შენაძენი იყო, შენ თვითონ გვიპასუხე, რომ ლაზიკა ბრძოლის უფლებით მე მეკუთვნისო. მაგრამ გსურდა რა სამართლიანობის დაცვა, შენ მოისაზრე, უმჯობესია გამოვიჩინო გრძნობა ზომიერებისა, ვიდრე ძლევამოსილობაო. აუცილებელ საქმედ ჩასთვალე ის, რაც არ იყო აუცილებელი და, შენის დიდ-ბუნებოვანობისამებრ, თვით წარმოსთქვი მსჯავრი შენსავე წინააღმდეგ; შენ აღიარე, რომ სამართლიანობამ გძლია და ამითი დაუმტკიცე ქვეყანას შენი ძლევამოსილობა. შენ დაგვიბრუნე ლაზიკა, როგორც ჩვენი საკუთრება, და გვაუფლე იქ. ამავე საფუძვლით გთხოვთ სვანეთსაც; გთხოვთ უსასყიდლოდ დაგვიბრუნოთ ჩვენი საკუთრება. ჩვენ მადლიერნი ვიქმნებით, რაკი არ დაგვეკარგება ჩვენი მონაგარი, და თქვენ-კი მადლობელი იქნებით ღვთისა იმდენად გაძლიერებისათვის, რომ შეგაძლებინათ გასცეთ ის, რაც არ გეკუთვნით".

ხელმწიფემ მიუგო: „გსთქვათ სვანეთის საქმე ნამდვილად ისეა, როგორც შენ ამბობ. მე დავიპყარ ლაზიკა, მაგრამ სვანეთს არც კი დავსხმივარ თავს. ჩვენ მხოლოდ განაგონი გვქონდა მერმეროესისაგან, რომ ის არის პატარა ქვეყანა, რომ არა ღირს მის გამო არც აშლა და არც მის წინააღმდეგ ხელმწიფის გალაშქრება, რომ სვანები არიან კავკასიის ერთი ხალხთაგანი, რომ ჰყავთ მთავარი და მათს ქვეყანაზე გადმოდიან სკვითები[1]). მერმეროესი მოკვდა; მისი მოადგილე ნახო-

[1]) ამ პატარა შენიშვნით, რომ სვანეთზე გადმოდიან სკვითები (ე. ი. თავს დასასხმელად გადმოდიან ჰუნნები და სხვა ხალხი. კავკასიის ჩრდილოეთით მოსახლენი) აიხსნება ის მნიშვნელობა, რომელსაც აძლევდენ სვანეთს, ამ პატარა მთიანს ქვეყანას, ბიზანტიისა და სპარსეთის ხელმწიფენი.

რაგანი იმასვე ვწერდა სვანებზე, რომ ისინი ცხოვრობენ კავკასიის მწვერვალებზეო, ქურდები არიან და მძარცველებიო, მათნი საქმენი საშინელებაა და არა წმინდაო. მე მინდოდა მათ წინააღმდეგ ჯარების გაგზავნა; იმათ შეეშინდათ ამ განზრახვისა და დაგვემორჩილნენ. აქედამ ცხადად სჩანს, რომ ეს ქვეყანა მე მეკუთვნის. მე უარს არ ვამბობ, რომ იმათი მფლობელი არა ვარ მეთქი. სვანებს რომ სათნოდ მიაჩნიათ ჩვენს ქვეშევრდომებად ყოფნა, ეს იქიდამ სჩანს, რომ ემორჩილებიან ჩვენს ხელ-ქვეითებს. სწორედ რომ ვსთქვა, როცა ზისმა მომახსენა, ბერძნები თხოულობენ სვანეთსაო, მე იმდენად დაშორებული მეჩვენა სიმართლეზე თქვენი თხოვნა, რომ დიდხანს არა მჯეროდა ეს ამბავი.

„როცა მე დავიპყარ სკანდა, შორაპანი და ლაზიკა, თქვენ არ გითქვამთ, რომ სვანეთი თქვენს ხელმწიფების ქვეშ ყოფილიყოს. აქედამ ცხადია, რომ სვანები არ ყოფილან ლაზების ხელქვეითნი, თორემ ლაზებთან ერთად ისინიც ჩვენკენ გადმოვიდოდენ“. პეტრემ მიუგო: „აგრე არ მოხდა იმიტომ, რომ სვანეთიც არ გადმოსულა თქვენკენ, როგორც გადმოვიდენ ლაზები, მათნი მპყრობელნი. მე ვამტკიცებ, რომ ქვეშევრდომი ჩვენის ქვეშევრდომისა სრულიად არ გადასულა ჩვენგან“.—„დღესაო, სთქვა ხელმწიფემ, შესრულდა ათი წელიწადი მას აქეთ, რაც მე დავიჭირე სვანეთი. ჩვენ ბევრჯელ გაგვიგზავნია ბერძნებთან და აგრეთვე იმათგანაც მიგვიღია მოციქულები. რატომ ერთი სიტყვაც არ სთქვით სვანეთზე ამ დროის განმავლობაში?“—იმიტომაო, უპასუხა პეტრემ, რომ შენ მაშინ ჰფლობდი ლაზიკას და მე რომ მეთქვა: დამითმე სვანეთიო, შენ მკითხავდი: რათაო? კიდევ რომ მეთქვა—იმიტომ, რომ სვანეთი არის ლაზიკის ხელ-ქვეითიო, შენ მომიგებდი: და რა უფლება გაქვთ ლაზიკაზეო. ამის შემდეგ ჩვენ აღარაფრის თქმა აღარ შეგვეძლებოდა.“—„შენ ამტკიცებო, სთქვა ხელმწიფემ, რომ სვანეთი ლაზებს ექვემდებარებოდაო. თუ შენ წერილობით დაამტკიცებ ამას, მაშინ მიაღწევ შენ სურვილსაო.“—პეტრემ მიუგო: „დაუყოვნებლად დაგიმტკიცებ სრულს ჭეშმარიტებას, თუ რა გვარ უძღვებოდენ ლაზები სვანეთის საქმეს. სვანეთის მთავარი ემორჩილებოდა ლაზებს და ამათ ჩარიცხული ჰყავდათ იგი სახარკო წიგნში. ლაზები იღებდენ იმისგან თაფლს, ტყავებს და სხვა ნაწარმოებს. სვანეთის

მთავარი რომ მიიცვლებოდა, ლაზების მმართველი სხვას ირჩევდა გარდაცვლილის მაგიერს და ამ გარემოებას აცნობებდა ბერძენთა იმპერატორს. იმპერატორი წერილით აძლევდა პასუხს და ბრძანებდა, რომ უზენაესის ხელმწიფების ნიშნები ჩაებარებია იმისთვის, ვისაც იგი, ლაზთა მმართველი, ამოირჩევდა, მხოლოდ ეს ამორჩეული უთუოდ სვანი კი უნდა ყოფილიყო. ეს ჩვეულება ძალაში შეკიდა ჩვენის მეფის თეოდოსეს დროდამ და მოქმედობდა პაპა თქვენის ფირუზის და ჩვენის მეფის ლეონის დრომდე.“—მერმე პეტრემ ქაღალდის ჯიბიდამ ამოიღო წიგნაკი; იმ წიგნაკში რიგზე და ცალ-ცალკე მოხსენებული იყო ლაზთა მეფეთა სახელები, რომელნიც სვანთა მთავრებს დაუმტკიცებიათ. წიგნაკის შინაარსი, თუმცა სხვა სიტყვებით კი იყო გამოთქმული, მაგრამ მაინც ასეთია: „ესენი არიან ლაზთა მეფენი, რომელნიც აწესებდენ სვანთა მთავრებს იმ დროდამ, როცა საბერძნეთის იმპერიას განაგებდა თეოდოსე და სპარსეთს—ვარანი, ლეონ იმპერატორამდე და ფირუზამდე.“ რა კი ეს წაიკითხა, პეტრემ სთქვა: „ამ ნაწერიდამ სჩანან ლაზთა მეფენი და მათგან განწესებულნი სვანთა მთავარნი, ვინც ყოფილან დღემდე“. ხელმწიფემ მიუგო მაშინ: „თუ ვიტყვით რომ შენგან წარმოდგენილი ნაწერი, რომელიც თქვენის სახელმწიფოს სასარგებლოდ მოწმობს, სანდოა, მაშინ სამართლიანობა მოითხოვს, რომ ჩვენს ნაწერებსაც ვერწმუნოთ.“—„რასაკვირველია,“ მიუგო პეტრემ.—„ამიტომაცაო, განაგრძო ხელმწიფემ, უნდა დავიჯეროთ, როგორც შენ სთქვი, რომ ზოგნი მთავარნი ასე იყვნენ განწესებულნი და ზოგნი ისე. და რადგანაც ასლა დავა გვაქვს მონის გამო, თუ შენ ძალ-გიძს ცხადად დაამტკიცო, რომ იგი შენ გეკუთვნოდა—მაშინ მოგეცემა და თუ ამის დამტკიცება არ შეიძლება და თვითონ სვანს კი უნდა ბერძნების ქვეშევრდომობა, მე სრულიად ამისი წინააღმდეგი არ ვიქნები. ამის მეტი მე აღარაფერი არ შემიძლია.“—პეტრემ მიუგო: „არა ჰკითხავ, მეფეო, სვანს ვის სურს ეკუთვნოდეს? ამ შემთხვევაში იგი თავისუფალია.“—უწყოდეო, სთქვა ხელმწიფემ, რომ მე არა მსურს დავეკითხო სვანებს სვანების შესახებ. უსამართლობა და უკანონობა იქნება, რომ ამ ქვეყნის ხვედრი დამოკიდებული იქმნას მონის აზრზე.“

ამით გათავდა მოლაპარაკება სვანეთის თაობაზე.

## LXV. საქართველოს შინაური მდგომარეობა ვახტანგის შემდგომ მეფეების დროს გურამ ბაგრატიონამდე

[499—575 წწ.]

(თდ. ს. ბარათაშვილი—ისტორია საქართველოსი, II რვ., ნათარგმ. ს. ხუნდაძისა)

დარჩილისგან დაწყებული, ვახტანგის მემკვიდრეებს არ ჰქონიათ არც შემთხვევა და არც ნიჭი, რომ საქართველო იმ სიმაღლეზე დაეყენებინათ, რომელზედაც მე-V საუკუნის მეორე ნახევარში იდგა. ამ მეფეებმა, დარჩილის ტახტზე ასვლისათანავე, დაკარგეს საქართველოს დასავლეთ ნაწილზე გავლენა, ერთის მხრით იმიტომ, რომ ეს ნაწილი, ვახტანგის ანდერძით, მის მეორე ცოლს და იმის შვილებს ხვდა; მეორეს მხრით იმიტომ, რომ ის საბერძნეთის პროვინციაზე მიკრული იყო და საბერძნეთსა და სპარსეთს შორის სადავო საგანს შეადგენდა. ამიტომ ხსენებული მეფეები ვიწროდ შემოფარგლულ თავიანთ საკუთარ თავისუფალ სამფლობელოებში მოქმედობდნენ: ქართლში, სომხეთში, კახეთში და იმერეთში, და თან კიდევ სპარსეთის მეფეებისა ეშინოდათ.

დარჩილის (499—514), ბაკურ II-ის (514—528), ფარსმან [V]-ის (528—542), ფარსმან [VI]-ის (542—[557]) და ბაკურ III-ის [557—570] მეფობის მატიანენი მხოლოდ იმას მოგვითხრობს, რომ ამ მეფეებს დაუცხრომლად უზრუნვიათ ხალხის სარწმუნოების წმინდად დაცვისათვის და ეკლესიების აშენებისა და განმშვენებისათვის. დარჩილმა თავისი ტახტი ტფილისს გადაიტანა და ეს ქალაქი ქვის კედლით შემოზღუდა, მცხეთა-კი კათალიკოსების საცხოვრებელ ადგილად დანიშნა. იმ ხანებში გავრცელებულ მიმართულებას მხოლოდ-და სარწმუნოების საქმეებზე ზრუნვისას ძლიერ უწყობდა ხელს ის გარემოება, რომ სპარსელების სარწმუნოებრივ გავლენისა ეშინოდათ; სპარსელებს ხანგრძლივი ომები ჰქონდათ იმპერიასთან, და ამიტომ თავიანთ ჯარებს საქართველოზე ხშირად გაატარებდნენ ხოლმე.

შესანიშნავია კიდევ ის, რომ იმავე ხანებში ქართველთ არისტო-კრატია რამდენადმე გაძლიერდა. შენიშნულია შემდეგი გარემოება: როდესაც რომელსამე სახელმწიფოში მეფე დიდ-ნიჭიერი გამოდგება და თავის სამეფოს ჩვეულებრივზე უმაღლესად ასწევს, მეფისა და სა-მეფოს დიდებასთან მისი თანა-მოღვაწეებიც გაძლიერდებიან ხოლმე, მაგრამ ამ უკანასკნელთ ძალა იმავე დამოკიდებულებაში რჩება მათ განმაძლიერებელთან, როგორშიაც წინად იყო; ხოლო ამ გვარი დამო-კიდებულება მხოლოდ იმ დრომდის გრძელდება, ვიდრე ისინი თავის ამამაღლებელ ძლიერების დაცემას არ შეამჩნევენ, ან თვით იმ მეფის და ან მის მემკვიდრეების დროს. მაშინ-კი ეს დამოკიდებულება იმგვა-რი ხდება, როგორიც არის ხოლმე ძლიერ ვასსალებსა და სუსტ მე-ფეებს შორის. ალბად საქართველოშიაც, ვახტანგ გორგასლანის სიკვ-დილს შემდეგ, ამგვარივე გარემოება იყო. ზემოდ ჩვენ მოვიხსენეთ ათი კაცი, რომელთაც ვახტანგ გორგასლანის დროს მრავალ ომში სახელი იჩინეს; მეფემ დაასაჩუქრა ისინი ფრიად დიდ ადგილებით ანუ საერისთოებით. როდესაც ბერძენ-რომაელთ ისტორიკოსები ვახტან-გის სუსტ მემკვიდრეების დროინდელ საქართველოს გარემოებას მოგ-ვითხრობენ, ჩვენ იმდენად თვით მეფეს-კი ვერ ვამჩნევთ, რამდენადაც ადგილობრივ ზოგიერთ დიდებულ კაცებს. ჭანეთის მთავრებზე თუ გინდ ნურაფერს ვიტყვით, რადგანაც ისინი კონსტანტინეპოლის სასა-ხლის განსაკუთრებულ პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო გაძლიერდნენ. ამათ გარდა, სხვათა შორის, ეს ისტორიკოსები გურგენს და ზამანარ-სეზს (ეგებ სვანეთის ერისთავი სემანგირი ჰყავდათ მხედველობაში) ასახელებენ, რომელთაც კონსტანტინეპოლში მეფესავით პატივს სცემ-დენ. ქსნისა და არაგვის ერისთავებზე გადმოცემები მოგვითხრობს, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდა მათ იუსტინიანე: ეს გადმოცემები ჩვენს აზრს ამტკიცებს, რომ იმ დროინდელ საქართველოს არისტო-კრატიას შესამჩნევი პოლიტიკური ძალა ჰქონია.

რადგან ჩვენი ისტორიის პროგრამისათვის მეტი არ იქნება იმ გვარების შთამომავლობის ცოდნა, რომელსაც საყურადღებო ადგილი ეჭირება საქართველოს სამეფოს ვითარების შემდეგს აღწერილობაში, ამისთვის, ჩვენის აზრით, საჭირო იყო აქვე აღგვენიშნა ვახტანგ

ჯორჯასლანის ათის ერისთავის შთამომავლობა, მაგრამ ჩვენ ამისთვის საკმაო სარწმუნო მასალები არა გვაქვს. გვგონია-კი, რომ უმეტესად ისინი სომეხთ მეფეების ანუ სომეხთ სამეფოს არსებობის უკანასკნელ დროის დიდებულთა შთამომავალნი ყოფილან. ქსნისა და არაგვის ერისთავების შესახებ-კი, რომელთაც გვარტომობის შტოც ჩვენ უკვე ვიცით, შემდეგი, ამ პერიოდის შესახები, გადმოცემა არსებობს. მდინარეების არაგვისა და ქსანის ხეობათა მცხოვრებლები, როცა წმიდა გიორგის ეკლესიის დღეობას დღესასწაულობდენ ხოლმე (ეს ეკლესია აშენებულია იმ ქედის ერთ მაღლობთაგანზე, რომელიც ამ ორ ხეობას ჰყოფს), ყოველთვის იმაზე დაობდენ, თუ რა ადგილი და რა უფლებანი დაეჭირა თვითოეულ მათგანს ამ დღესასწაულობის დროს, და ამ დავას ყოველწლივ თან მოყვებოდა საშინელი სისხლის ღვრა; მაგრამ ერთს ამ გვარ დღესასწაულობის დროს, გარეშე მლოცავთა შორის ორი ძმა, ოსეთის თავადები დუდარუკები [1]) მოვიდენ და მოსპეს ამ ორ საზოგადოების დავა და მათ შორის ზავის პირობები დასდვეს. ეს თავადები—სიდამონი და როსტომი—პატივისცემის ნიშნად, პირველი არაგვის საზოგადოებამ მიიწვია და მეორე—ქსნისამ თავიანთ ხეობათა მამასახლისებად; ქართველთ მეფემ კი მათი სხვა ნამსახურობა და მომდინარეობაც მიიღო მხედველობაში და ერისთავების ხარისხი მიანიჭა.

---

## LXVI. სპარსელთ ბრძანებლობის პერიოდის დასრულება

(თდ. ს. ბარათაშვილი—ისტორია საქართველოსი, II რვ., ნათარგმ. ს. ხუნდაძისა)

ნუშირვანი დარწმუნდა, რომ შავ-ზღვის ნაპირებზე თავის ბრძანებლობის დაცვა არ შეეძლო; და ამიტომ, როცა საბერძნეთმა მისი

---

1) დუდარუკები დღეს აბაზელების თავადები არიან; ოსეთში-კი დუდარები არიან, თაკაურის ალდარები, რომელნიც ხარისხით ქართველთ აზნაურებს უდრიან.

პატივის-მოყვარეობა და ფულის სიხარბე მომეტებულად დააკმაყოფილა ოქროთი, მაშინ სიამოვნებით დათანხმდა, ყველგან თავისუფალი გაეხადა სარწმუნოება. საქართველოსაც მხოლოდ ეს სჭიროდა: შემდეგ ამისა სპარსეთის მხრით მას შიში აღარ ექმნებოდა. ამასთანავე საქართველოს მეორე უფლებაც მიეცა: თავისუფალი ვაჭრობა; თუმცა ამ უკანასკნელს მაშინდელ დროის ქართველებისათვის ისე დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია, როგორც პირველს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ათავისუფლებდა მას საბერძნეთის მონოპოლიისაგან, რომელიც სამეგრელოსათვის დიდად საძნიმო იყო: ორივე ეს პირობა იუსტინიანემ თავის ხმლითა და ოქროთი მოუპოვა საქართველოს და თავისვე ნებით დაუთმო მას; ამიტომ ამ იმპერატორის სახელი საქართველოში და მთელ დასავლეთის კავკასიაში საყვარელი შეიქმნა. იუსტინიანემ, რა თქმა უნდა, კარგად ისარგებლა ამ მდგომარეობით, მაგრამ ამასთანავე თავის გავლენასაც მოხერხებულად იფარავდა: დაუთმობდა ხოლმე საქართველოს რასმე იმისთანას, რომელიც მისთვის არაფერს შეადგენდა, და ქართველებისთვის-კი თვალსაჩინო საქმე იყო. მან ნება დართო, კათალიკოსები მკვიდრ ქართველებისგან ამოერჩიათ,—იმ დრომდის-კი ბერძნებისაგან ინიშნებოდენ. იუსტინიანე აღერსით ეპყრობოდა ქართველთ არისტოკრატიას და მფარველობდა მას. ზოგიერთ გვარეულობას დღემდისაც შეუნახავთ ამის შესახებ გადმოცემა. ქსნისა და არაგვის ერისთავების წინაპრებს, რომელნიც ჩერქეზეთიდამ თუ ოსეთიდამ მოსულან და მის დროს დასახლებულან საქართველოში, საპატიო ტანისამოსი და ღერბები მიუღიათ მისგან. ამ გვარად იცავდა და აძლიერებდა იუსტინიანე თავის გავლენას საქართველოზე, ვიდრე დასავლეთ კავკასიის ხალხები არ დაიმორჩილა. მან დაიპყრა აფხაზეთი, ააშენა იქ უდიდესი პიწვინტის ტაძარი და ამით საუკუნოდ დასტოვა თავისი სახელი ამ მხარეში; ჩერქეზების ზეპირ გადმოცემაშიც მისი სახელი დარჩენილა, როგორც მათ შორის ქრისტეს სარწმუნოების გამავრცელებელისა. მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობამ სპარსეთისაგან ხსენებულ ტრაქტატის ძალით მხოლოდ 577 წლამდის გასტანა. იუსტინიანეს სუსტ მემკვიდრემ, იუსტინე II-მ, ეს ქვეყანა ნუშირვანს ხელში ჩაუგდო. [570] წელს

კი ბაკურ III მოკვდა და ორი მცირე წლოვანი შვილი დასტოვა; ამათ არ ყოლიათ ძლიერი მზრუნველი, რომ მათი ტახტის უფლებანი დაეცვათ. ეს გარემოება გამოიყენა თავის სასარგებლოდ სპარსეთის მეფემ, ნუშირვანის მემკვიდრემ ორმუზდმა [1]) და გაგზავნა თავისი შვილი ამბარვეზი (პარვიზი), რათა საქართველოში უმეფობა გაეგრძელებინა და ამ ქვეყნის სხვა-და-სხვა ნაწილებს შორის კავშირი დაერღვია. ამ აზრით ამბარვეზმა გამართა ერისთავებთან მოლაპარაკება: მან დაუმტკიცა თვითოეულს მათგანს საშვილიშვილოდ თავიანთ საერისთავების დამოუკიდებელ მფლობელობის უფლება და ამისთვის ვალად დასდვა მათ, მხოლოდ სპარსეთის მეფის ხელმწიფება აღეარებინათ და მისთვის ეძლიათ ხარკი. ეს უმეფობა გაგრძელდა, ვიდრე სპარსეთს ერთის მხრით თურქების ტომები შეესეოდნენ და მეორეს მხრით— ბერძნები. მაშინ ამბარვეზმა საქართველო მიატოვა და თავის მამის დასახმარებლად წავიდა; 586 წელს ქართველებმა იმპერატორ მავრიკის მიმართეს და სთხოვეს, ვახტანგ გორგასლანის შთამომავლობისაგან მათთვის მეფე მიეცა. იმპერატორმა აუსრულა მათ ეს თხოვნა და საქართველოს ტახტზე აიყვანა თავისი კურაპალატი, კლარჯეთის და ჯავახეთის მთავარი—გურამი, ვახტანგის შვილი-შვილი. დედა გურამისა იყო ვახტანგის ასული, რომელიც შეეძინა მას მეორე ცოლის, საბერძნეთის ხელმწიფის ქალის ელენეს ხელში.

[1]) ორმუზდი ტახტზე ავიდა 579 წელს.

# სარჩევი.

წინასიტყვაობა. . . . . . . . . . . . . . III

## კავკასია და ქართველთ ტომი მისს მიდამოში

I. კავკასია, მისი სახელწოდება, გეოგრაფიული და ისტორიული მნიშვნელობა (П. К. Усларъ). 1
II. კავკასიის ტომნი და მათი დასახლება (П. К. Усларъ) . , . . . . . . . . . 6
III. უძველეს უცხო ტომთა კვალი კავკასიაში (დ. ზ. ბაქრაძე). . . . . . . . . . 10
IV. უძველესი ბერძნული მითები კავკასიის შესახებ (Штолль).
ა) პრომეთეოს. . . . . . . . . . . 24
ბ) არგონავტების მოგზაურობა კოლხიდაში. . 28
V. ქართულ ენის კვალი ვანის ლურსმულ წარწერებში (Fr. Lenormant). . . . . . . . . 37
VI. ქართული ენის კვალი მცირე აზიაში (Hyde Clarc). 46
VII. ქართველთა მოსახლობის კვალი კაპადოკიაში (დ. ჩუბინაშვილი). . . . . . . . . . . 49

## საქართველოს მეფობის დაარსებამდე

VIII. ქართული ენა და მისი ადგილი სხვა ენათა შორის (ა. ცაგარელი) . . . . . . . . . . 54
IX. ქართული ენა და სომხურის დამოკიდებულება მასთან (J. A. Gatteyrias). . . . . . . 64
X. საქართველოს ისტორიული სახელწოდებანი (M. Brosset) . . . . . . . . . . . 65

XI. საქართველოს ნაწილები ისტორიულ დროთა განმავლობაში (M. Brosset). . . . . . . 67
XII. საქართველოს ისტორიული წყაროები (M. Brosset) 72
XIII. „ქართლის ცხოვრება“ (M. Brosset). . . . . 75
XIV. „ქართლის ცხოვრების“ სინამდვილე (დ. ზ. ბაქრაძე). . 8[illegible]
XV. „ქართლის ცხოვრების“ უძველესი თქმულება ქართველების შთამომავლობის შესახებ (Vivien de S-t Martin-ის შენიშვნებით). . . . . . 90
XVI. თუბალი და მოსოხი (Vivien de S-t Martin). . 98
XVII. გამოსვლა ხაზართა („ქართლის ცხოვრება“)
XVIII. ჰეროდოტეს ცნობანი საქართველოს უძველეს მკვიდრთა შესახებ . . . . . . . . . . . 107
XIX. ჰიპოკრატეს ცნობანი კოლხიდელების შესახებ . . 110
XX. ქსენოფონტეს ცნობანი საქართველოს უძველეს მკვიდრთა შესახებ. . . . . . . . . . 111
XXI კოლხიდელების და თუბალ-მოსოხების აღებ-მიცემა
ა. (Fr. Lenormant) . . . . . . . 117
ბ (Montesqieu) . . . . . . . . . 120
XXII. კოლხიდელების განათლება და კულტურა (Carl Ritter). . . . . . . . . . . . 122
XXIII. კოლხიდელების ვინაობის შესახებ (Vivien de S-t Martin). . . . . . . . . . . . 126
XXIV. ბერძენთა ახალშენები შავ-ზღვის აღმოსავლეთის ნაპირად და განსაკუთრებით კოლხიდაში (Dubois de Montpéreux). . . . . . 128

## საქართველო მეფობის დაარსებიდამ ქრისტეს სარწმუნოების მიღებამდე

XXV. წინაპირველი მმართველობა და ყოფა-ცხოვრება საქართველოში (თეიმურაზ ბატონიშვილი) . . 135

XXVI. საქართველოს ზნენი და ჩვეულებანი ძველიდგან სამეფოს განყოფამდე (ვახუშტი ბატონიშვილი). 141
XXVII. სპარსეთის გავლენა საქართველოს ყოფა-ცხოვრებასა და კულტურაზე (დ. ზ. ბაქრაძე) . . . . . 152
XXVIII. ქართული ანბანები, ხუცური და მხედრული (დ. ზ. ბაქრაძე). . . . . . . . . . . 153
XXIX. ქართული მწიგნობრობა და უძველესი ხელნაწერები (ა. ცაგარელი). . . . . . . . . . 155
XXX. საქართველოს განთავისუფლება ბერძნებისაგან ფარნავაზის მიერ (ნ. მთვარელიშვილი). . . 165
XXXI. პირველი მეფე საქართველოსი ფარნავაზ („ქართლის ცხოვრება“). . . . . . . . . . . 172
XXXII. საქართველოს გეოგრაფიული მიმოხილვა პირველ მეფეების დროს (ს. ბარათაშვილი). . . . . 178
XXXIII. საქართველოს მეფეები შემდეგ ფარნავაზისა მირიანამდე. . . . . . . . . . . . 188
XXXIV. რომის მხედართ-მთავარი პომპეი საქართველოში და ბრძოლა მისი მიტრიდატ პონტელთან (Th. Mommsen). . . . . . . . . . . 193
XXXV. საქართველოს ნაწილების აღწერა სტრაბონის მიერ. . 205
XXXVI. საქართველოზე ინდოეთს მიმავალი გზა (П. К. Усларъ) . . . . . . . . . . . 215
XXXVII ბრძოლა ქართველებსა და სომხებს შუა ტაციტეს მოთხრობით. . . . . . . . . . . 222
XXXVIII. ბერძნული წარწერა ვესპასიანეს მიერ საქართველოში აგებულ ციხე-სიმაგრეზე. . . . . . . 227

## საქართველო ქრისტეს სარწმუნოების მიღებიდამ ვახტანგ გორგასლანამდე

XXXIX. კერპთ-მსახურება საქართველოში (დ. ზ. ბაქრაძე).. 228
XL. ქადაგება ანდრია მოციქულისა საქართველოში (თეიმურაზ ბატონიშვილი). . . . . . . 234

XLI. ქრისტეს კვართის ამბავი, თქმული აბიათარ მღვდლის მიერ („ქართლის ცხოვრება"). . . . . . . 237

XLII. სასანიანთ სამეფო გვარი და მეფე მირიან (დ. ზ. ბაქრაძე). . . . . . . . . . . 239

XLIII. საქართველოს მოქცევა, თქმული წმ. ნინოს მოწაფის სიდონია დედა-კაცის მიერ („ქართლის ცხოვრება"). . . . . . . . . . . . . 249

XLIV. საქართველოს ნათელ-ღება ქრისტეს სარწმუნოებით (გ. წერეთელი). . . . . . . . . 251

XLV. ქრისტეს სარწმუნოება საქართველოში (Архимандритъ Макарій). . . . . . . . . 256

XLVI. პეტრე ქართველი, ეპისკოპოსი პალესტინისა (ა. ცაგარელი) . . . . . . . . . . 265

XLVII. საქართველო მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში (გ. წერეთელი). . . . . . . . . 269

XLVIII. საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა შემდეგ მირდატ V-ისა ვახტანგ გორგასლანამდე (ს. ბარათაშვილი). . . . . . . . . 275

საქართველო ვახტანგ გორგასლანის დროიდამ ბაგრატიონთ გამეფებამდე

XLIX. ომი ვახტანგ გორგასლანისა ჩრდილოეთის ხალხებთან (ს. ბარათაშვილი) . . . . . . . 289

L. ომი ვახტანგ გორგასლანისა საბერძნეთთან (ს. ბარათაშვილი). . . . . . . . . . 282

LI. ომები ვახტანგ გორგასლანისა სპარსეთთან (ს. ბარათაშვილი). . . . . . . . . . 285

LII. საქართველოს და სპარსეთის ურთიერთი დამოკიდებულება მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში (M. Brosset). . . . . . . . . 293

LIII. წამება და ღვაწლი წმ. რაჟდენისა („მამათ-ცხოვრება"). . 299

LIV. საქართველოს ეკლესია და მისი იერარქია მეხუთე და მეექვსე საუკუნეებში (პლ. იოსელიანი). . . . 310
LV. ათ-ცამეტთა სირიელ მამათა მოღვაწეობა (დ. ზ. ბაქრაძე). . . . . . . . . . . . 316
LVI. ქართველთა მოღვაწეობა წმიდა ქვეყანაში და სინაზე (ა. ცაგარელი). . . . . . . . . . 318
LVII. ქართული ქრონიკონი (დ. ჩუბინაშვილი). . . . . 327
LVIII. უძველესი ქართული ფულები. . . . . . . . 328
LIX. ბრძოლა ბერძნებსა და სპარსელებს შორის დასავლეთის საქართველოს ანუ ლაზიკის გამო (Dubois de Monpéreux). . . . . . . . . 332
LX. ლაზების ვინაობა და მდგომარეობა მათი მეექვსე საუკუნეში (Agathias, Procopius, Cedrenus) . . . . . . . . . . . . . 348
LXI. ლაზთა დეპუტატები სპარსეთის ხელმწიფე ხოსროს წინაშე (Procopius) . . . . . . . . 349
LXII. გუბაზის სიტყვა თავის ჯარისადმი ბრძოლის წინად (Procopius) . . . . . . . . . . 352
LXIII. ლაზთა ყრილობა გუბაზის მოკვლის გამო (Agathias) . . . . . . . . . . . . 353
LXIV. მოციქულობა ბერძნებსა და სპარსელებს შორის სვანეთის თაობაზე (Менандръ Византійскій). . . . . . . . . . . . . . 366
LXV. საქართველოს შინაური მდგომარეობა ვახტანგის შემდეგ მეფეების დროს გურამ ბაგრატიონამდე (ს. ბარათაშვილი) . . . . . . . . . 372
LXVI. სპარსელთ ბრძანებლობის პერიოდის დასრულება (ს. ბარათაშვილი). . . . . . . . . . . 374

## უმთავრეს შეცთომების გასწორება

| გვერდი | სტრიქონი ზემოდამ | დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|
| 3 | 22 | 78 | 7 და 8 |
| 9 | 12 | ირონნი | ისინი |
| 11 | 3 | ი | ის |
| 14 | 7 | ივე | იქვე |
| 15 | 11 | ბა'ზიანი | ბასიანი |
| 28 | 23 | როგორე | როგორმე |
| 29 | 32 | იყო დიდი | იყო პირველი დიდი |
| 39 | 27 | ასირიელები | ასურელები |
| 58 | 31 | ყველა | არავინ არ |
| 62 | 10 | წბრილს | წერილს |
| 66 | 20 | ტაოებს | ტაოხებს |
| 70 | 27 | მოისხენიებიეს | მოისხენებს |
| 71 | 20 | სამხრეთს | სომხეთს |
| 74 | 28 | ამბავთაგანს | ამათაგანს |
| 75 | 25 | VIII | XIII |
| 79 | 1 | აყვნენ | იყვნენ |
| " | 3 | ევროპულ | ევროპელ |
| " | 17 | (დაადგინა | დაად...(გინა |
| 98 | 8 | ერთს-თავად | ერისთავად |
| 102 | 20 | მომი ნავე | მომიჯნავე |
| 114 | 1 | ავდა | ავად |
| 115 | 17 | ჲ მარცხენა | ჲ მარჯვენა. |
| 116 | 19 | თავ-თავისით | თავისით |

| | | | |
|---|---|---|---|
| 125 | 22 | ზურნი | სურნი |
| 149 | 31 | ჯავაშერიანი | ჯავახშერიანი |
| 150 | 15 | საგანგებოს | საგანმგეოს |
| 156 | 27 | საუკონოებისა ერთი: | საუკუნოებისა: ერთი |
| 159 | 4 | XIV | XVI |
| 165 | 1-2 | „ქილილა და დამანა“ | [„ქილილა და დამანა“] |
| 194 | 13-31 | პართებისა, პართების | პართელებისა, პართელების |
| 225 | 10 | თავისი და ბიძა | თავისი დაი და ბიძა |
| 276 | 5 | ყუბანის | ყუბის |
| 310 | 20 | ეპარქია | იერარქია |
| 330 | 3-5 | *numismatigue, numismatigucs* | *numismatique, numismatiques* |